

1382/2

საგარეო




საქართველოს
რესპუბლიკის
საგარეო
მინისტროს
საგარეო
რელიგიური
და
საზოგადოებრივი
კავშირების
სამსახური

1982

5

40
78019



ISSN 0184-9048




 ეროვნული
 ბიბლიოთეკა

ამდნო მთლიანად

მეზობელი ჩემი

სურსათი



5

(50)

სექტემბერი
ოქტომბერი

1982

საქართველოს მწერალთა კავშირი
მსოფლიო ლიტერატურის ორთვიური
ალმანახი

მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ
ურთიერთობათა მთავარი სარედაქციო
კოლეგია

შინაარსი

ვალენტინ რასკუტინი. უკანასკნელი ვადა. რომანი. თარგმნა მზია გელაშვილმა	8
თანამედროვე გერმანული კოეზირიდან. თარგმნა ზესიკ ხარანაულმა	119
კნუტ ჰამსუნი. მისტერიები. რომანი. დახაწესი. თარგმნა თამარ აბრამიშვილმა	122
უცხოური იუმორი. გერმანულიდან თარგმნა შოთა ამირანაშვილმა	226
არტურ შნიტლერი. ბრძენის ცოლი. მოთხრობა. გერმანულიდან თარგმნა ვლადიმერ ჯარბიძემ	227
დევრიდ კერბერტ ლორენსი. მომხიბვლელი ქალი. მოთხრობა. ინგლისურიდან თარგმნა ახმეთ ლეკიაშვილმა	240
† უილიამ სომერსეტი მორი. ლორდი მანდინგტონი. მოთხრობა. ინგლისურიდან თარგმნა ნინო ჯაფარიძემ	255
დოროთი გარკერი. მოლოდინი. მოთხრობა. ინგლისურიდან თარგმნა ინგა პაპავამ	277
ფრიდრიხ ბუხლასი. მარტინალიები. ესტონურიდან თარგმნა ამირან კალაძემ	282
ანდრე მორუა. წვერლის კოლი თანამედროვე სამყაროში. ფრანგულიდან თარგმნა თინათინ ქიქოძემ	292
პაატა ჩხეიძე. „მეფე ლიკის ქართული თარგმანები“	305

მთავარი რედაქტორი:
მუხრან მაჭავარიანი

პ. მჭ. მღვანე:

ნანა დარჩია

ხარვედაქცეო კოლეგია:

ჯავახი აკიაშვილი

მზია ბაქრაძე

ბაჩანა ბრეგვაძე

პურაბ გოშიაშვილი

გიორგი ნიშნიანძე

ვახაღი თოფაძე

ნოდარ კაკაბაძე

ზურაბ კიკნაძე

ვახუშტი კობახიშვილი

რომან მიმინოშვილი

ოთარ ნოდია

ნიკო უიასაშვილი

თამაზ ჩხენკელი

დავით შარაფიანი

«САУНДЖЕ»
ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
АЛЬМАНАХ
НА
ГРУЗИНСКОМ
ЯЗЫКЕ

№ 5

1982

ГЛАВНАЯ
РЕДАКЦИОННАЯ
КОЛЛЕГИЯ
ХУДОЖЕСТВЕННОГО
ПЕРЕВОДА

И
ЛИТЕРАТУРНЫХ
ВЗАИМОСВЯЗЕЙ
ТБИЛИСИ

УЛИЦА
ШАЛВЫ
ДАДИАНИ, 2

შენიშვნა
გონიერებისათვის

მხატვრული რედაქტორი გ. წერეთელი. მხატვარი ა. ვართაგავა. ტექნიკური რ. წულუკიძე.
გად. წარმ. 15. 08. 82 წ., ხელმოწ. დასაბეჭდად 28. 10. 82 წ., გალალდის ზომა 70x108/32.
საბარ. თ. 24,44 სს.ტ. ი. 20 საღებავის გარ. 28,1 ტირ. 10.000 შეკვ. № 2459

შპსი # 346

სა. ზოგელის 3 ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი. 380008. ლენინის ქ. № 14.

• Типография издательства ЦК НП Грузии, Тбилиси, Ленина № 14.

ველენტინ ჩასკუტინი

უკანასკნელი ვადა



რომანი

თარგმნა მზია გელაშვილმა

1

დედაბერი ანა რუსული ღუმელის გვერდით, რკინის საწოლზე იწვა და სიკვდილა ელოდა, თითქოს დროც მოწეოდა, ოთხმოც წელს მიატანა უკვე. დიდხანს არ ებუებოდა სიბერეს, ფეხზე იდგა, მაგრამ სამი წლის წინ მთლად წაერთვა ღონე, ავადმყოფობაა მინებდა და ჩაწვა. ზაფხულობით თითქოს მოიხედავდა, ეზოში გამოლოდნებოდა, მზეზე იხუხავდა ძვლებს, ანდა კენესა-კენესით გადაჭრავდა ორლობებს და მირთნებას ეწვეოდა. შემოდგომის მიწურულში კი, თოვლის მოკვლამდე წაერთმეოდა უკანასკნელი ძალი და დილდილობით შვილიშვილის ნაჩუქარი ღამის ქოთნის გატანასაც ვეღარ ახერხებდა. მერე და მერე, ორ-სამჯერ ზღუბლზე რომ დაეცა, საერთოდ აუჯრძალეს წამოდგომა და მთელი მისი ცხოვრება იმაშილა ჩაილია, წამომჯდარიყო, ერთ ხანს საწოლიდან ჩამოეშვა ფეხები, შემდეგ ისევ ბალიშს მისვენებოდა და წოლილიყო.

დედაბერი მთელი სიცოცხლე აჩენდა და აჩენდა ბავშვებს, მაგრამ ახლა ცოცხლებში ხუთილა შემორჩა: ჯერ იყო და საქათმეს შეჩვეული ტურასავით სიკვდილი გაუშინაურდა ოჯახში, შემდეგ ომი დაიწყო. ხუთნი დარჩნენ: სამი ქალიშვილი და ორი ვაჟი. ერთი ქალიშვილი რაიონში ცხოვრობდა, მეორე — ქალაქში, მესამე კი მთლად გადაიკარგა — კიევში. უფროსი ვაჟიც ჯარის მოხდას შემდეგ ჩრდილოეთში დარჩა სამუშაოდ, იქიდან კი ქალაქში დაიდო ბინა, სახლსა და სოფელს მხოლოდ უმცროსი — მიხეილი შემორჩა, დედაბერიც მის სიახლოვეს იმოკლებდა სიბერის დღეებს და ედილობდა, ტვირთად არ დასწოლოდა ოჯახს.

უკვე ეტყობოდა, ამ ზამთარს ვერ გაატანდა. ზაფხული მიილია თუ არა, დედაბერმა იმ ქვეყნისაკენ აბრუნა პირი და მხოლოდ წინკას მოყვანილი ექთნის ნემსები აბრუნებდნენ მიწაზე. გონს მოსული უცხო ხმაზე, საბრალოდ კენესოდა, თვალებიდან ცრემლები ეწურებოდა და მოთქვამდა:

— რამდენჯერ გითხარით, ხელს ნუ მახლებთ, მომასვენეთ, ახლა სა—ად ვიქნებოდი, თქვენი ექთანნი რომ არ მჯიჯგნიდეს, — და წინკას არიგებდა, —

3

მ. მარტის სპ. სპ. სსრ
სახელმწიფო ბიბლიოთეკა
საქართველო

ექთანთან ნუ დარბიხარ. დედა თუ გაგაგზავნის, აბანოში დაიმაღე, ცოტა ხანს შეიცადე, მერე უთხარი, შინ არ არის-თქო. ამისათვის კამფეტს მოგცემ — ტკბილზე-ტკბილს.

სექტემბრის დასაწყისში დედაბერს ახალი უბედურება დაატყდა თავს: ძილმა გათანგა. აღარც ქამდა, აღარც სვამდა, ეძინა მხოლოდ. შეეხებოდნენ — თვალს გაახელდა, დაბინდულ მზერას მოავლებდა იქმურობას, ევრაფერს დაინახავდა ისევ ძილქუში დააწვებოდა. შეხებით კი მზერად ეხებოდნენ — აინტერესებდათ, ცოცხალი იყო თუ არა. ჩამოხმა და ზაფრანისფერი დაედო.

როცა საბოლოოდ ნათელი შეიქნა, რომ დედა დღეს თუ არა ხვალ მიიცვლებოდა, მიხეილი ფოსტაში წავიდა, ძმისა და დებს დებეშები დაუგზავნა — ჩამოდიოთ. შემდეგ დედაბერი შეანჯღრია და გააფრთხილა:

— მოიცა, დედა, მალე ჩვენები ჩამოვლენ, გნახვენ.

ყველაზე უწინ, მეორე დილასვე, უფროსი ქალიშვილი ჩამოუვიდა — ვარვარა. რაიონიდან არც გასჭირვებია წამოსვლა. ახლოს იყო, სულ რაღაც ორმოცდაათ კილომეტრზე და სოფლამდე გზად მომავალი მანქანაც მოიყვანდა. ვარვარამ ჭიშკარი შემოაღო, ეზოში ევრაფის მოპკრა თვალი და, თითქოს ჩართო, შეიცხადა:

— ჩემო დედიკო-ო-ო-!

მიხეილი ზღურბლზე გაჩნდა:

— მოიცა! ცოცხალია, სძინავს. ორდობეში მაინც ნუ კივი, მთელი სოფელი შეიყრება.

ვარვარას ზედაც არ შეუხედავს, ქოხში შევიდა, დედაბრის საწოლთან მძიმედ დაასკდა მუხლებს, თავი გადაიქნია და ისევ აკივლდა:

— ჩემო დედიკო-ო-ო!

დედაბერი არ გამოფხიზლებულა, ძარღვიც არ შეტოკებია სახეზე. მიხეილმა ჩაცვნილ ლოყებზე მიუტყაპუნა ხელი და ქუთუთოებს ქვემოდან ოდნავ ამოძრავდა კაკლები — თითქოს თვალის გახელას ლამობდა, მაგრამ ვერ შესძლო.

— დედა. — ანჯღრევდა მიხეილი, — ვარვარა ჩამოვიდა, შეხედე.

— დედიკო, — არ ცხრებოდა ვარვარა, — მე ვარ, შენი უფროსი შვილი, შენს სანახავად ჩამოვედი, შენ კი არც მიყურებ. დედიკო-ო-ო!

დედაბრის თვალი სასწოროს ფიალებივით შეირხა, ამოძრავდა და ისევ გაჩერდა, ქუთუთოები დაეხუჭა. ვარვარა წამოდგა და მაგიდისაკენ გაემართა სატირლად — იქ უფრო მოსახერხებელი იყო. დიდხანს მოთქვამდა, მაგიდაზე თავს ახათქუნებდა, ცრემლებს პირი მოხსნა და ველარ ჩერდებოდა. ხუთი წლის ნინკა გარს უვლიდა, იხრებოდა და ქვემოდან შესცქეროდა, უკვირდა, იატაკზე რად არ იღვრებოთ ცრემლი. ნინკას აგდებდნენ, ის კი ისევ ოთახში იპარებოდა და მაგიდისაკენ მიიწევდა.

საღამოს პირზე, ბედად დამთხვეული გემით, კვირაში მხოლოდ ორჯერ რომ დადიოდა, ქალაქელები ჩამოვიდნენ — ილია და ლუსია. მიხეილი ნაპირზე დახვდათ და შინ წაიყვანა, სადაც ყველანი დაიბადნენ და დაიზარდნენ. უხმოდ მიდიოდნენ: ლუსია და ილია ხის ვიწრო ფენილზე მიაბიჯებდნენ, მიხეილი კი გვერდით მიყვებოდათ, დაკოლტებულ ტალახში. სოფლელები ილიასა და ლუსიას ესალმებოდნენ, მაგრამ საუბრით არ აყოვნებდნენ, გვერდით

ჩაუვლიდნენ და ყურადღებით აყობდნენ თვალს. ფანჯრიდან დედაბრები და ბავშვები უთვალთვალდნენ. მოხუცები პირვარს იწერდნენ.

ვარვარამ და-ძმის დანახვაზე თავი ველარ შეიკავა:

— ჩვენი დედიკო... დედიკო-ო-ო!

— მოიცა, — ისევ შეაჩერა მიხეილმა, — მოესწრები.

ყველანი დედაბრის საწოლთან მოგროვდნენ. მიხეილმა კარდიაც იქ იყო და ნინკაც. დედაბერი უბრაოდ იწვა, სიცოცხლის აღსასრულსა თუ სიკვდილის საწყისში ჩაყინული. ვარვარას აღმოხდა:

— მოკვდა.

არავის გაუჩუმებია, დაშინებულნი ამოძრავდნენ. ლუსიამ ღიად დარჩენილ პირზე მიაღო ხელისგული, მაგრამ სუნთქვა ვერ შეიგრძნო.

— სარკე, — გაახსენდა, — სარკე მომეცით.

ნადია მაგიდას ეცა, კაბის კალთით სარკის ნატეხი გააპრილა და ლუსიას მიაწოდა. ქალიშვილმა დედაბრის სიცოცხლისაგან დაწრეტილ ტუჩებს მიაღო და ერთ ხანს გააჩერა. სარკე ოდნავ დაიორთქლა.

— ცოცხალია, — სული მოითქვა, — ცოცხალია ჩვენი დედიკო.

ვარვარას ისევ ტირილი აუტყდა, თითქოს ყველაფერი უკულმა გაეგოს, ლუსიამაც გადმოავდო კურცხალი და საწოლს მოშორდა. სარკე ნინკას ჩაუვარდა ხელში, ერთი ამბით აორთქლებდა, შიგ იხედებოდა, რა ხდებოდა, მაგრამ საინტერესო ვერაფერი აღმოაჩინა და როგორც კი დრო მოიხელთა, ლუსიასაც, მანაც დედაბრის ტუჩებს მიუახლოვა. მიხეილმა დაინახა, ყველას თვალწინ მიტყუბა და ოთახიდან გააგდო. ნინკას ღრიალმა ვარვარას მოთქმა ჩაახშო და ფიც, იძულებული შეიქნა, დადუმებულიყო. მერე ამოიოხრა:

— ეჰ, ჩვენო დედიკო, დედიკო.

ნადიამ იკითხა, მაგიდა სად გავშალო, აქ, ოთახში თუ სამზარეულოშიო. გადაწყვიტეს, სამზარეულოში ევახშმათ — დედას მაინც არ შეაწუხებდნენ. მიხეილმა თითო ბოთლი არაყი და პორტვინი გამოიტანა, არაყი ოავიანთთვის დაიხზა, პორტვინით კი ცოლსა და დებს გაუვსო ჭიქები.

— ჩვენი ტატიანა დღეს არ ჩამოვა, — თქვა მან, — ნუღარ ელით.

— ჰო, დღეს ვერაფერს ჩამოყვება, — დაეთანხმა ილია, — დეპეშა თუ გუშინ მიიღო, დღეს თვითმფრინავს გამოყვებოდა, ქალაქში უნდა გადაჯდეს, ეგებ ახლა რაიონში ზის, მანქანები ხომ ღამით არ დადიან. ასეა.

— ან ქალაქშია.

— ხვალ აქ იქნება.

— ხვალ აუცილებლად.

— ხვალ თუ ჩამოვა, ჩამოუსწრებს.

მასპინძლის უფლებით მიხეილმა პირველმა ასწია ჭიქა:

— დავლიოთ. ჩვენი შეხვედრისა იყოს.

— მიჭახუნება შეიძლება? — შეშინდა ვარვარა.

— შეიძლება, შეიძლება, ქელებზე ხომ არა ვართ.

— ასე ნუ ლაპარაკობ.

— ეჰ, ახლა გინდა თქვი და გინდა არა...

— რა ხანია ასე ერთად არ შეგვკრებილვართ, — ხმაში ღელვა და ნალველი შეეპარა ლუსიას, — მხოლოდ ტატიანა გვაკლია. ისიც ჩამოვა და თითქოს არც წავსულვართ. ადრე ხომ სწორედ ამ მაგიდასთან ვიყრიდით თავს, ოთახში

მხოლოდ სტუმრებისათვის ვშლიდით სუფრას. მე ისევ ძველ ადგილას ვზივარ, ვარვარა კი არა, არც ილია...

— როგორ თუ არ წასულხართ! — იწყინა მიხეილმა, — წახვედით და აღარც გახსენდებათ აქაურობა. ვარვარა თუ მომაკითხავს ხოლმე, კარტოფილი ან რაიმე სანოვარე რომ დასჭირდება. თქვენ კი თითქოს არც არსებობდეთ.

— ვარვარა აქვია, ყურის ძირში.

— თქვენც რაღა, მოსკოვიდან ხართ ჩამოსასვლელები, — არ შეარჩინა ვარვარამ, — გემით ერთ დღეში აქ იქნებით. ისა სჯობია აღიაროთ, რომ ნათესავებად არ მიგაჩნევართ. ქალაქელები გახდით, სოფლელებს თავს რაღად გაუყადრებთ.

— ვარვარა, ასე რატომ გველაპარაკები, — აღელდა ლუსია, — რა შუაშია ქალაქელები, სოფლელები? დაფიქრდი, რას ამბობ?

— ჰო, ვარვარას სიტყვის თქმის უფლებაც არა აქვს. განა ადამიანად ჩასაგდება. რა უნდა ელაპარაკო? არც ღირს. თქვენი და არა ვარ? მაინც დღემდე რამდენჯერ ჩამოხვედით სახლში? მე ადამიანად არ მთვლით და მაინც წელიწადში რამდენჯერმე ვნახულობდი დედას, შენზე დიდი ოჯახიც მაქვს. ახლა ისევ მე ვარ დამნაშავე.

— მართალია, კარგა ხანია აღარ ჩამოსულხართ, — დას მიემხრო მიხეილი, — უკანასკნელად რომ იყავი, ნინკა ჯერ არ გვყავდა, ილიამ კი ჩრდილოეთიდან ჩამოგვიარა, ნინკა მაშინ ძუძუს ანებებდა, გახსოვს?

ილიას ახსოვდა, თავი დაუქნია.

— არ შემეძლო და ვერ ჩამოვდიოდი, — იწყინა ლუსიამ.

— თუ მოისურვებდი, მოახერხებდი კიდეც, — არ დაიჯერა ვარვარამ.

— რას ნიშნავს, მოისურვებდი? გეუბნები არ შემეძლო-მეთქი. ჩემი ჯანმრთელობით, შვებულების დროს რომ არ ვიმკურნალო, მერე მთელ წელს საავადმყოფოში მომიწევს სირბილი.

— ხომ გაგიგია, მიზეზ-მიზეზ...

— ეგ რა შუაშია...

— ისე, სიტყვასაც ვერ გეტყვით კაცი, გაამპარტავნდით.

— გეყოფათ, — ჩაერია მიხეილი, — თითოც დავლიოთ, ხომ არ გადავღვრით?

— იქნებ იკმაროთ? — გააფრთხილა ვარვარამ, — კაცებმა ოღონდ სასმელი ნახოთ, დედა სიკვდილის პირასაა, ამათ კი ქეიფი გამართეს, ბარემ სიმღერაც წამოიწყეთ...

— სიმღერას არავინ აპირებს, დალევა კი შეიძლება. თვითონ ვიცით, როდის შეიძლება და როდის არა — პატარები არა ვართ.

— ოჰ, თქვენ სიტყვას ვინ მოგიგებთ...

აი, ასე ისხდნენ ხის გრძელ მაგიდასთან, მათმა გარდაცვლილმა მამამ ორმოცდაათი წლის წინ რომ გამოთავა და საუბრობდნენ. ცალ-ცალკე ნაცხოვრებნი ახლა ნაკლებ წაავადნენ ერთმანეთს. ვარვარასათვის რომ შეგეხედათ, და-ძმას დედად ერგებოდა, და თუმცა შარშან შეუსრულდა სამოცი წელი, უფრო ხნიერად გამოიყურებოდა, უკვე თვითონ ჩამოჰგავდა დედაბერს და ყველა სიკეთესთან ერთად, და-ძმებისაგან განსხვავებით ძალზე მსუქანი და მოუქნელიც იყო. მხოლოდ ერთი რამ დაჰყვა დედისაგან: ზედიზედ აჩენდა შვილებს, მაგრამ იმ დროისათვის, როცა მან მშობიარობა დააპირა, ბავშვების

გადარჩენა ისწავლეს, ომი კი ჯერ არ მოსწეოდა — ამიტომაც ყველანი სალაბათი ჰყავდა, მხოლოდ ერთი ვაჟიშვილი იჯდა ციხეში. შვილები ნაკლებ ახარებდნენ, ვიდრე წამოზრდიდა, ერთთავად ტანჯვასა და უბედურებაში იყო. დაიზარდნენ და ისევ ტანჯვა და უსიამოვნებანი შერჩა. შვილებმა დააბერეს ნაადრევად.

ვარვარას შემდეგ დედაბერს ილია ჰყავდა, შემდეგ ^{მეორეშვილი} ~~ლუისი~~ ^{მეორეშვილი} ნაბოლარა კი ტატიანა იყო, კიევიდან რომ მოელოდნენ.

ილიას სადაბლოს გამო ილია-მოკლეს ეძახდნენ და თუმცა სოფელში გრიელი ილია არა ჰყავდათ, ეს სახელი მაინც შერჩა. ათ წელზე მეტ ხანს ცხოვრობდა ჩრდილოეთში, თმა გასცივდა, კვერცხივით თავი მოეტვლია და კარგ ამინდში, გაბრიალებულივით ულაპლაპებდა. იქვე, ჩრდილოეთში შეირთო ცოლი, არცთუ გამოსადეგი, მაგრამ უკვე გვიანი იყო შეცდომის გამოსწორება: ნორმალური, თავისი შესაფერისი დედაკაცი ითხოვა, მაგრამ წლებთან ერთად ქალმა ხორციც შეისხა და სითამამეც — სოფელშიც კი აღწევდა მათი უსიამოვნების ამბები.

ლუსიამაც ორმოცს გადააბიჯა, მაგრამ ვერაფრით შეატყობდი. ქალაქელივით ახალგაზრდულად გამოიყურებოდა, სუფთა, დაწმენდილი, ფოტოსურათივით გაკრიალებული სახე ჰქონდა, კარგადაც ეცვა. სოფლადაც ომის დამთავრებისთანავე წავიდა და ამ ხანში ცხადია, ქალაქელებისაგან ისწავლიდა თავის მიხედვას. ანკი, რა საზრუნავი უნდა ჰქონოდა უშვილო ქალს? ბავშვები კი ღმერთმა არ მოსცა.

მიხეილს — ილიას კი არ ჰგავდა — ბოშასავით უხეში და ხვეული თმა ჰქონდა, წვერიც კი ეხვეოდა, უხუტუტდებოდა. სახეზეც შავგვრემანი იყო. მაგრამ ეს სიშავე უფრო მზისა და ყინვისაგან სჭირდა — ზაფხულობით მდინარეზე მუშაობდა, ზამთრობით — ტყეში ჰკრიდა ხეს, — მთელი წელი ღია ცის ქვეშ ტრიალებდა.

აი, ასე ისხდნენ და მუსაიფობდნენ გრძელ მაგიდასთან, სამზარეულოში, რათა მოშაკვდავი დედა არ შეეწუხებინათ, ვის გამოც წლების შემდეგ ისევ მშობლიურ სახლში შეიყარნენ. მხოლოდ ტატიანა აკლდათ. მიხეილსა და ილიას სასმელი ჯერ არ შემოელოდათ, ქალებს ჰიქები არ გამოეცალათ, მაგრამ არც დგებოდნენ — შეხვედრით, საუბრითა და იმ დღეს გადახდენილით დათენთილნი ისხდნენ და ხვალისდელ დღეზე ფიქრობდნენ შიშით.

— ნეტავ ვალოდიასთვისაც გაგვეგზავნა დეპეშა, — ამბობდა მიხეილი, — ახლა უკვე აქ იქნებოდა, ჩვენთან. მოვისიყვარულებდით მაინც. რა ხანია აღარ გვინახია.

— სად არის? — იკითხა ილიამ.

— ჯარშია, მეორე წელი გაათავა. ზაფხულში შვებულებით აპირებდა ჩამოსვლას, მაგრამ ალბათ, რაღაც დააშავა — არ გამოუშვეს. ჩემი ნაწილიდან ვილაყამ საგუშაგო მიატოვავო, იწერება, თვითონ კი, როგორც მეთაური, დასაჯეს. თავადაც დააშავებდა რამეს. ნეტა თუ შეიძლება ჩამოვიყვანოთ.

— უნდა გამოუშვან.

— გუშინ უნდა გამეგზავნა, შევცდი. მეშინია არ მოედავონ. მაინც შვილიშვილია და არა შვილი.

— პირდაპირ დაგეწერა: ბებია ცუდად არის სასწრაფოდ ჩამოდი-თქო, — ურჩია ვარვარამ.

— მეც ეგ ვუთხარი, მაგრამ ვინ დაგიჯერა, — იმედოვნად შეაშველა სიტყვა ნადიამ.

— ცოტაც მოიცადეთ, — ურჩია ლუსიამ.

— მართალია, ჯობია დავიცადოთ, თორემ მთლად გავაფრთხილებთ საქმეს. მერე კი გავუგზავნოთ: ასე და ასეა-თქო. გასვენებაზე გაქცეულნი აბა რას იზამენ?

— ვაი, ვაი, — ამოიოხრა ვარვარამ, — რას წარმოვიდგენდით, ერთი დედა გვყავდა და ისიც...

— აბა, რამდენი უნდა გყოლოდა? — ჩაიციხა ილიამ.
ვარვარამ იწყინა.

— ისე იქცევი, თითქოს მშობელი დედა არ იყოს, ხუმრობის გუნებაზე ხარ. რაც ჩამოხვედი, ყოველ სიტყვაში მიტრიზავებ, თითქოს შენზე სულელი ვიყო. რას ოხუნჯობ?

— ეგ არც მიფიქრია, რას მეცი?

— არა, არ გიფიქრია.

ლუსიამ ჩუმად ჰკითხა ნადიას:

— საკერავი მანქანა გაქვთ?

— გვაქვს, ოღონდ არ ვიცდი, კერავს თუ არა, კარგა ხანია აღარ მიხმარია.

— თითქოს ჯიბრზე შეგი კაბა არ აღმომაჩნდა, — განუმარტა ლუსიამ, — მალაზიაში გავიქეცი, ნაჭერი ვიყიდე, შეკერვას, ცხადია ველარ მოვასწრებდი, მხოლოდ გამოვჭერი. აქ მომიწევს.

— დღეს ველარ მოესწრება.

— მოვასწრებ. სწრაფად ვკერავ. დაწვებიან და აქ, სამზარეულოში მოვეწყობი.

— კარგი, მოგიტანთ, ნახეთ.

ვიდრე მოისვენებდნენ, ისევ დედის საწოლთან მოიყარეს თავი. ლუსიამ პულსი მოუსინჯა და ძლივს მოიძია — ოღნავდა ფეთქავდა. მიხეილმა ველარ მოითმინა, მხარზე შეეხო, შეანჯღრია და უეცრად სადღაც შიგნიდან გახშიანდა კვნესა თუ ხრიალი, თუმცა არც კვნესა-ხრიალი ეთქმოდა, არც დედის ხმას ჰგავდა, უცხო იყო. თითქოს საკუთარი საქმით დაკავებულმა სიკვდილმა შემოუღრინათ. მიხეილი გააჩერეს, მაგრამ ამ ხნამ ყველას ნირი წაუხდინა, ნინკაც კი ნადიას მიეკრა და გაყუჩდა.

— დილაშდუ მაინც იცოცხლოს, — ამოისლუკუნა ვარვარამ.

დასაძინებლად დაწვნენ. მოზრდილი ქოხი იყო, მაგრამ სოფლურად შუაზე გატიხრული: ერთ ოთახში დედაბერი იწვა, მეორეში კი მიხეილის ოჯახს ეძინა. ნადიამ თავიანთთვის იატაკზე დაიგო ლოგინი, საწოლი კი ლუსიას დაუთმო. ვარვარასათვის გასაშლელი საწოლი მოიძიეს, დედაბრის ოთახში დააგეს, რომ ღამით თვალყური ედევნებინა. იქვე, იატაკზე აპირებდნენ ილიას დაწვენას, მაგრამ მან აბანო იჩრია. მიხეილს აბანო შემოღობილში ედგა, სუფთად ინახავდა შმორის სუნსა და მურს არ აჭაქანებდა. ილიამ ჯუბა და ბამბის საბანი წამოჭრიდა, დაიბარა, თუ საჭირო შეიქნეს, გამალვიძეთო და წავიდა.

დედაბრის ოთახში შუქი გამორთეს და ღამას მოუკიდეს. გადაწყვიტეს მთელ ღამეს არ ჩაეჭროთ ღამმა.

ნადიამ მანქანა გამოიტანა, სამზარეულოა მაგიდაზე დადგა და ლუსიამ პატარა ნაჭერზე მოუსინჯა სველა. მანქანა კარგად მუშობდა.

— დაწეჭი. — უთხრ ლუსიამ, — ვიდრე დრო გაქვს, დაიბინე ვიზ იცის, რა გველია ამალამ.

ნადია წავიდა მიხეილმა რაღაც ჰკითხა. მან რაღაც უკმაყოფილოდ უპასუხა.

მანქანა ახრიალდა და ლუსია ისე შეერთა, სახელურს ხელი უშვა — სროლავით გაისმა რახრახი. ვარვარა შეშინებული მოფრატუნდა, ლუსია დაინახა და დაცხრა:

— მადლობა ღმერთო, შემეშინდა, ვიფიქრე, ვინ უნდა იყოს-მეთქი.

ლუსიამ არ უპასუხა, კერავედა.

— გასვენებისათვის იკერავე?

— ვერ გამოვიდა, ნუთუ აუცილებლად უნდა იკითხო?

— იაეთი რა გითხარი?

— არაფერი.

— კერე, ხმას არ ამოვიღებ, კოტა ხანს აქ ვიჯდები და წავალ, ხელს არ შეგიშლი.

ვარვარამ სკამი გამოსწია და გვერდით მიუჯდა. ტანზე არ გაეხადა; მხოლოდ სამაგროები შეეხსნა და მობოშებული წინდები მოჭმუჭნული კანივით ეკიდა ნუხლებს ქვემოთ.

მდინარიდან გენის შორეული, ყრუ კივილი მოიასმა, მერე კიდევ და კიდევ.

ვარვარამ თავი ასწია, მიაყურადა და დაძაბულობისაგან შუბლი შეიკრა:

— რას აცვირებს?

— არ ვიცო, ვიღაცას ანიშნებს ალბათ.

— სხვა ადგილი ვერ ნახა, გული გადანიქანდა.

ერთ ხანს კიდევ იჯდა, მერე უწყაღილოდ წამოდგა.

— წავალ, დიდხანს იქნები აქ?

— ვიდრე არ შეგვეკრავ.

— რა, ანაწამ არ უნდა დაგვეძინა, არ უნდა დაგვეძინა, — თავი გადააქნია ვარვარამ, — დაუძინებდარეკავით, გვესაუბრა, ეს აჩოებებდა, გული კუდს მიგრანობდა.

წავიდა, მაგრამ მალევე ნობრუნდა, კედელს აეკრა და ლუსია დააფეთა.

— რაო? — ჰკითხა ლუსიამ.

— მერვენება თუ მართლა ასეა, წამოდი, ნახე, წამოდი.

ლუსიამ არ დაიჩერა, თუმცა ვერც ის უთხრა, არ მჯერათ და დედის საწოლს მიუახლოვდა. პულსს ეძებდა, მაგრამ ზურგს უკნიდან მხოლოდ ვარვარას მაიმე, ხლიწინა სუნთქვა ესმოდა: ი-ა, ი-ა, ი-ა. იძულებული გახდა გაეგდო და მხოლოდ მაშინ, ძლივს გააჩია თუ ამოიცნო, სადღაც კილომეტრების სიშორიდან მომადენი ჩუმზე-ჩუმი, გაბნეული სუნთქვა. მიხვდა, რომ უწინდელთან შედარებით ახლა უფრო შეაუჟატებულებით გული და თანმიმდევრულად ვეღარ ფეთქავდა.

— დაწეჭი, — ლუსიამ და შეებრაღა, — ვიდრე ვკერავ მე მივხედავ, მერე გავალვიშებ.

— რა დამაინებო? — ბავშვივით ამოასლუტუნა ვარვარამ, — ილია ეშმა-

კია. ქოხიდან გაძვრა, ჩვენ კი თავში ქვა გვიხლია. ძილის დროა ახლა? სულ იმაზე ვიფიქრებ, რამე არ მოხდეს. გვერდით მოგიჯდები.

— იჯექი, თუ გინდა.

— არ შეგაწუხებ.

ისევ გვერდით მიუჯდა, ოხრავდა, ნაქერს აინჯავდა და მუდამ იმეორებდა, რომ გორ კერავდა ლუსია.

— ამ კაბას მერე თან წაიღებ?

— რა იყო?

— თუ არ წაიღებდი, მე ავიღებ.

— რად გინდა? არ ჩაგეტევა.

— ჩემთვის კი არ მინდა, გოგო ლამის შენ აიმაღლეა. კარგად მოერგება.

— რაო, შენს გოგოს ჩაააცმელი არა აქვს?

— შეიძლება ითქვას, არცა აქვს. რაღაც კაბები კი აქვს, მაგრამ ყველა გაუცვდა. გოგოებს კი, კარგად იცო, პრანჭვა უყვართ.

— შავი რა გასაპრანჭია?

— წუნია არა მყავს. ავდარში მაინც ჩაიცმევს, ფერადით ხომ ეერ ივლის. ლუსია შეპირდა.

— წასვლისას მოგცემ.

— ასეც ვეტყვი: დეიდამ გაჩუქა-მეთქი. — გაუხარდ. ვარვარას.

— რაც გინდა უთხარი.

როცა დადუმდნენ და ლუსიამ მანქანა გააჩერა, მიხეილის ოთახიდან ვილაციის ხვრინვა შემოესმათ. ვარვარამ ყურები ცქციტა.

— ვინ უნდა იყოს? — მერე ხვრინვა უფრო გარკვევით გაისმა და ვარვარას ბრაზი წაეკიდა: — რა უაინდიაოა, ნახა რაღა დრო, სინდის-ნამუსი დაეკარგა ამ ხალხმა. ღვიძლი შვილი ქვია. — დადუმდა და უეცრად საბრალოდ ითხოვა, — წამოდი, კიდევ დავხედოთ. მარტო მეშინია.

დედაბერი ისევ ისე იწვა: იყო და არც იყო. ყოველივე ჩაკედომოდა, მხოლოდ ხანგრძლივი ცხოვრებისათვის მომართული გული განაგრძობდა ფაჩუნს. მაგრამ ეტყობოდა: სულ, სულ ცოტაღა დარჩენოდა. ეგებ მხოლოდ ეს ღამე.

ვიდრე ლუსია კერავდა, ვარვარა არ დაწოლილა, მერეც, ლუსია იმუღუბული შეიქნა თავისი საწოლი დაეთმო. თვითონ კი დედა ოთახში დაწვა — სხვაგვარად ვარვარა მაინც არ დააძინებდა.

2

დროულად ინათა, შუქმა იმძლავრა, მაგრამ მზის ამოავლამდე მდინარიდან მკვრივი, გაუვალი ნისლი დაიძრა და ირგვლივ ყოველივე დაფარა, შთანთქა. გულშემძვრელად ბლადნენ ძროხები, ყელს იგლეჯდნენ მამლები, მოკლე-მოკლედ, თითქოს თევზი ფართქალებაო წყალში, ყრუდ აღწედა ადამიანთა ხმები — ყველაფერი რძისფერ, ჟინჯულ ბურუსს დეფარა, სადაც მხოლოდ საკუთარ თავს თუ გაარჩევდი. ისედაც გვიან თენდებოდა. ახლა ამ ნისლმაც მოიპარა დილა და ალაღბედზე მიაგდო.

დედაბრის ქოხში ყველაზე უწინ ნადია წამოდგა. აქამდე მუდამ დედამთილ აღვიძებდა და ნადიაც, რომც არ სთინებოდა, მაინც ძროხის ბლავილის კვალად გახშიანებული დედაბრის ძაბილით ითენებდა დილა. არც ახლა წამომ-

დგარა, იცოდა, არავინ დაუძახებდა, მაგრამ ჩვეულებისამებრ მაინც დაელო-
და. ხმა არ გაუგია, სამაგიეროდ, გამწარებული ზმუოდა მოუწველელი ძროხა
და ნადია იძულებული გახდა, ამდგარიყო. ნადიამ უხმაუროდ ჩაიკვია ფეხ-
არეფით გავიდა ქოხიდან და წინკარში ლურამნიდან აათლო ჩაიწინა.

მალე აღრე ადგომას მიჩვეულმა ვარვარამაც გაიღვიძა. მანამდე ალარ
იყო ოთახში, დანარჩენებს კი ეძინათ. ერთიმეორეს მიუყვებოდნენ. მა-
ინც ხმამაღლა და მძიმედ ამოიოხრა, ოხერას ხანგრძლივ კვნესას აყოლებდა,
მიხეილი რომ გაედვიძებინა, მაგრამ მიხეილს ფეხიც არ გაუტოვებია. ვარვარა
დადუმდა, მერე თავადაც ვერ შენიშნა, იაც ამოიოხრა. შეზარა ამ სახლმა,
სადაც ყოველი სულიერი ძილს გაეთანგა. თითქოს ვიღაცას ემალებოდა, უჩუ-
მრად, ფრთხილად გადაჭრა ოთახი და კარში შედგა. ქოხში შემოსასვლელის
გარდა, არსად კარი არ იყო. ვარვარა კარის ჭრილში ჩადგა და არწოლით შეი-
ხედა ნახევრადჩაბნელებულ ოთახში. დედაბრმა სახე ვერ დაინახა, ააწოლია
ზურგი ეფარებოდა, მაგრამ რაღაც ცოცხალი თუ მკვდარი სახნის ქვეშ იწვა.
წინ წასვლა და დახედვა კი ვერ გაბედა და უკან დაიხია. გაიფიქრა, ეგებ აჯო-
ბებდა, ჯერ გარეთ გასულიყო, მერე, მოუცლელობის ჭამს რომ აღარ ერბინა.

ვარვარა და ნადია ეზოდან ერთად შემობრუნდნენ. ნადიან მარლაში გა-
წურა რძე, ვარვარაც იქვე დაფათურობდა, ხან ერთი მხრიდან შემოუბრუნდა,
ხან მეორედან. მაგიდაზე ისევ იდგა მანქანა, წუხანდლოდან დარჩენილი და ნა-
დიამ ჩურჩულით ჰკითხა:

— შეკერა გუშინ?

— შეკერა, — ჩურჩულითვე უპასუხა ვარვარამ, — ცოტაღა დარჩა, —
და მეტს ვეღარ გაუძლო, შეევედრა, — წამოდრი, გავადვიძოთ, აღარ შემოიძ-
ლია.

— ახლავე. რძეს გავიტან.

ვარვარა თოკზე გამობმულივით გაჰყვა წინკარში. მერე ისევ უკან მობ-
რუნდნენ, მაგიდაზე ერთი ქილაც იდგა, ვარვარა კი ვერც მიხედა თან წაეღო.
ასე უაზროდ დაბოროტდებოდა აქეთ-იქით. ბოლოს ნადიამ მოიცალა, ჩვარზე
შეიწმინდა ხელი და პირველმა შეაბიჯა დედაბრის ნახევარზე.

ლუსიას ეძინა. ჩანდა კიდევ რომ ეძინა, დედაბერზე კი ამას დარწმუნე-
ბით ვერაფერს იტყოდა. ნადიამ დედამთილს გახედა და სასწრაფოდ მოარიდა
თვალი, ვარვარას კი შეხედვისაც შეეშინდა და ლუსია შეანჯღრია. ლუსიას მა-
შინვე გაეღვიძა, წამოხტა და გასასვლელი საწოლი მისი ბიძგით უკან გასრია-
ლდა.

— რა მოხდა? — გონს ვერ მოეგო ლუსია, — რა მოხდა?

ვარვარა სატირლად გაემზადა.

— არ ვიცი, თავად არ ვიცი. დახედე.

ლუსია გამოფხიზლდა. თმაზე ხელი გადასვა, ტაბურეტზე მიგდებული
ხალათი შემოიკცა და დედას მიუახლოვდა. უკვე სიცოცხლის ამოცნობას მიჩ-
ვეულმა დედაბრის მაჯა აიღო და მაშინვე გაუშვა ხელი, უკან დაიხია. დედა-
ბერმა უეცრად საბრალოდ ამოიგმინა და იაფე გაქვავდა. ვარვარამ იკივლა:

— დედიკო. ჩემო დედიკო! თვალი გაახილე!

მიხეილმა ქვედა საცვლის ამარა მოირბინა, ნამძინარევი ვერ გაერკვა:

— მოიხვენა? დედა, დედა... ვალოდიას დეპეშა უნდა გავუგზავნოთ.

— გაგიჟდი? — შეაჩერა ნადიამ, — რას გეცხარ?

ლუსიამ პულსი მოიძია და გულზე მოეშვა.

— ცოცხალია.

— ცოცხალია? — მიხეილი ვარვარასკენ შებრუნდა, აპილპილდა, — რა ჯანდაბა გალრიალებს? გარეთ გადი — ნინკას გააღვიძებ!

— ჩუმად, — გაბრაზდა ლუსია, — გადით აქედან.

თვითონ კი, ვიდრე ნადია კარტოფილს წვავდა, ლილკილოები და ქალაქიდან ჩამოტანილი ღილები დააკერა ახალ კაბას.

ცრემლმორეული ვარვარა აბანოში შევიდა და ილია გააღვიძა:

— ცოცხალია ჩვენი დედიკო, ცოცხალი...

ილია აჯუჯლუნდა.

— თუ ცოცხალია, რას მალავიძებ.

— ნინდოდა მეტქვა, გამეხარებინე.

— გამოვიძინებდი და მერე გეტქვა, ამ დილაუთენია..

— არც ისე ადრეა, ნისლი დგას.

ნისლი დადგანა, შუადღემდე არ გაფანტულა. მერე რაღაც ძალამ ზევით წაიღო. იმავე წამს ზაფხულიდან გამოყოლილი შუქითა და ძალოვანებით იფეთქა მზემ და ირგვლივ ყოველივე აკისკასდა, მხიარულად გაიზმორა. სექტემბერი იდგა, მაგრამ შემოდგომის სუნი ჯერ არ დატრიალებულაო, კომბოსტოს ბუჩქი იავე მწვანობდა ბოსტნებში, ტყესაც მხოლოდ ალაგ-ალაგ შეპარვოდა სიწითლე, თითქოს მზეს გაერუჯა ხვატში.

ამ ბოლო წლებში ზაფხული და შემოდგომა ერთმანეთს შეენაცვლნენ: ივნის-ივლისში ცა იქცეოდა, შემდეგ კი საფარვლობამდე ლაღლადა დარი იდგა. დარს რა უჭირდა, დროული არ იყო მხოლოდ. ჰოდა იმტვრიონ ქალებმა თავი, როდის ამოეთხარათ კარტოფილი: ძველი ვადებით თითქოს მოწეულიც იყო, მაგრამ დარსაც ეხარებოდნენ, გაფუებას აცლიდნენ — მთელი ზაფხული თევზივით წყალში ცურავდა და რა შემოიყვანდა. ცალკე დაგვიანებისაც ეშინოდათ, ეგებ იავე მოეხსნა ცას პირი — მერე მოდექი და ტალახში კენკე სათითაოდ.

თიბათვეზეც ასე დაემართათ: ერთმა ძველებურად მოთიბა და წვიმამ დაუღპო, მეორე ლოთობდა, დროზე ვერ გავიდა სამუშაოდ და იხეირა. ამინდს გამოჩერჩეტებული დედაბერივით აერია თავგზა და დრო და რიგი ავიწყდებოდა. ხალხი ამბობდა, მდინარეები რომ დატბორეს, იმისი ბრალიაო.

საუზმეზე ნადიამ ახალი, იმ დილას ამოთხრილი კარტოფილი შეწვა და მისატანებლად დამჟავებული ნიყვი დადგა ღრმა თასით. ლუსიამ შეკივლა:

— მჭადო! ნამდვილი მჭადო! გემოც კი გადამავიწყდა — საუკუნეა იღარ ნიჭამია, არც კი მჯერა.

— მჭადოა, ჰო, — ენა გააწყლაბუნა ილიამ, — უბრალო რამე არ გეგონოს. აია, მჭადოსთან ისიც რომ მოგეტანა, კარგი იქნებოდა!

— გუშინ რად არ ამოიღე? — უსაყვედურა მიხეილმა, — სასმელს მოუხდებოდა. ასე უბრალოდ შეიჭმება.

სტუმრების ქებამ ნადიას ალმური წაპკიდა სახეზე:

— გუშინაც ვაპირებდი, მაგრამ არ მეგონა, თუ დამჟავებული იქნებოდა. ახლაბანს ჩავაწყე. დილას ჩავხედე. გავსინჯე, თითქოს არა უჭირს. ვიფიქრე მოდი ამოვიღებ, იქნებ ვინმეს ესიამოვნოს-მეთქი. მიირთვით თუ მოგწონთ.

— დაგრჩა კიდევ?

— ცოტა კიდევ არის. მოსაგრეფად ვიყავი. ყოველ დღე ვედროებით მოაქვს ხალხს. მე კი ვერა და ვერ მოვიცალე, ხან რა საქმე გამომიჩნდება და ხან რა. ამ ზაფხულს მხოლოდ ორჯერ გავედი ახლომახლოზე.

— ადრე ტატიანას უყვარდა მჭადოს კრეფა. — გაახსენდა მანუა. — აღვიღებაც იცოდა. ერთხელ გავყევი, მაშინ სულ პატარა იყო, თვალის დახამხამებაც ვერ მოვასწარი, ვედრო გაავსო. „საიდან გააჩინე?“ — „აქ არის!“ „შენ რატომ გხვდება და მე ვერ ვხედავ-მეთქი?“ — „არ ვიციო“. „ალბათ ადრევე დაკრიფე და გადამალე, რომ ჩემთვის შეგეხარებინა“. იწყინა და წავიდა. ასე ცალ-ცალკე დავბრუნდით შინ. ის სავსე ვედროთი, მე კი — ცარიელთ.

— ბოლომდე არ გაცლიდა. — გაახსენდა მიხეილა, — პატარებს დასტოვებდა, მეორე დღეს მივიდოდა და გაზრდილი იყო უკვე. ყველაფერი ახსოვდა, მეც თან დამატრევდა. მე რა მენადვლებოდა: ნეტა ჩქარა მომეკრიფა და შინ დავბრუნებულიყავი. დამინახავდა პატარებს რომ დავკრეფდი — შავ დღეს დამაყრიდა. ერთხელ ვიჩხუბეთ ტყეში. მე მჭადოს ვამჯობინებდი — უფრო ჩქარა ვაგროვებდი, ჯგუფად იზრდება.

— ყველაზე უკეთ ჩვენი ილია აგროვებდა. — გაიკინა ლუწიამ, — ვედროს ბალახით გაავსებდა და ზემოდან რამდენიმე სოკოს დაადებდა, ვითომ სავსე იყო.

— ეგრე იყო, პო. — აღიარა ემაყოფილმა ილიამ.

— გახსოვთ, დედა მალლა მდინარეზე გარეული ხახვის საკრეფად რომ გვაგზავნიდა? იქ რალაც ჭაობი იყო, ხახვი კოლბოხებზე იზრდებოდა. ვიდრე დავკრეფდით მთლად გავილუმპებოდით და მოვითხუპნებოდით ხოლმე — სასაცილო სანახავეები ვიყავით. მშრალში ტომრებს დავაწყობდით და კოლბოხიდან კოლბოხზე დავხტუნავდით. ერთმანეთს ვეჭიბრებოდით, ვინ მეტს მოკრეფდა, გპარავდით კიდევ ერთმანეთს. ნივრისათვის კი სხვა კუნძულზე მივცურავდით, იქვეა, მალლა მდინარის პირდაპირ...

— ნამცნარში, — უქარნახა მიხეილმა.

— ნამცნარში, პო. — იქ კოლმეურნეობისათვის თიბავდნენ. თიბვაზე მთელი სოფელი გადიოდა. მახსოვს, როგორ ვუსვამდით ნიჩბებს: ცხელა, ბაბაჭუები იკბინებიან, თმასა და ტანსაცმელში გიძვრებიან...

— ბაბუაწვერები და არა ბაბაჭუები, — ჩაიბურღლუნა ვარვარამ, — ბაბაჭუები კუთხეებში აბამენ ქსელს, არ იკბინებიან.

— ბაბუაწვერები იყოს, რალაც სხვა სახელი ჭვია, მაგრამ აქ ასე ეძახიან. ჩვენთვის კი სხვა კუნძულზე ვთიბავდით... ახლაც გავიხსენებ რა ჭვია.. რალაც სოფლური სახელი.

— ფოთლოვანი.

— პო. ფოთლოვანი. რამდენი მოცხარი იცოდა! ნაყოფით დახუნძლული ბუჩქები მიწაზე იწვა. ჭამ, ჭამ, მერე ენა დაგისივდება, კბილს მოგჭრის. მსხვილი მოცხარი იცოდა. გემრიელი. ერთ საათში გაავსებდა ვედროს. ახლაც ბევრი იქნება.

— არა-ა, რას ამბობთ! — ხელი ჩაიქნია ნადიამ, — სადღაა, ბუჩქებიც ცოტალა შემორჩა. რაც სატყუო დაარსდა, გაჩანაგდა ყველაფერი. ისე ერთ-ორ კუბალს თუ წააწყდები პირის გააპაველებლად, დადიხარ... დადიხარ...

— საწყენია!

— რამდენი ანწლი იყო მაღლობზე? აღარც ის არის. საქონელზე გადათელა. არც ხალხი ზოგავს.

— რა დაგეშართათ?

— რა ვიცი! ისე ატაცებენ, თითქოს მეორედ მოსვლაში მყოფი მირიანაღ გლეჯენ ბუჩქებს, გაფოთლილ ტოტებს ამტვრევენ.

— მჭადო მაინც არისო, არა?

— წელს არის. ხალხს მოაქვს.

— მჭადოზე მაინც წავიდეთ.

— მჭადოზე წასასვლელად უღებეშოდაც შეიძლებოდა ჩამოსვლა, — უკბინა ვარვარამ.

ლუსია გაბრაზდა.

— შენთან შეუძლებელი გახდა ლაპარაკი. რაც არ უნდა ვთქვათ. ყველაფერი ეკლად გესობა, აქაოდა უფროსი ხარ, სულ ხომ არ უნდა გვეჩხუბო. თუ შეიძლება, ნუ გავიწყდება, რომ არც ჩვენ ვართ პატარები და ჭკუა გვეკითხება უკვე. რას ჰგავს ბოლოა და ბოლოს?

— ისეთი არაფერი მითქვამს, ვერ გავიგე, რატომ მეცი?

— მე გეცი?

— აბა მე?

— მიირთვით. — შეეხვეწა ნადია, — კარგოფილი გაცივდება. ცივს რაღა გემო აქვს. მჭადოც აქეთ, აქეთ და არ კი ჭამთ. მიირთვით, სადილამდე მოგაშევდებათ.

— ტატიანა უნდა ჩამოვიდეს, კიდევ დავსხდებით.

— სადილად ჩამოვა, ჰო.

— თუ რაიონიდან მოდის, იქნებ უფრო ადრეც მოუწიოს მოსვლა.

— ნუთუ სასტუმროში ან უცხო ხალხთან გაათია ღამე. ჩემთან კი არ შეიარა, იუკადრისა, — წინასწარ დაიჩივლა ვარვარამ.

— არა, ტატიანა აუცილებლად გესტუმრებოდა, — დაამშვიდა მიხეილმა, — თავმდაბალია.

— თავმდაბალი იყო, ახლა ვინ იცის, როგორია, — ნირს არ იტეხდა ვარვარა, — რა ხანია შინ არ ყოფილა.

— შორსაა, უჭირს ჩამოსვლა.

— მერე, ვინ აიბულა გადაკარგულიყო? თუ მაინცდამაინც სამხედრო უნდოდა, აქ ვერ მოძებნიდა, მე შენ გეტყვი და ცოტანი არიან. აბა, რას ჰგავს. უპატრონოსავით უკანმოუხედავად გავარდა.

ლუსიამ უღონოდ გაიქნია თავი.

— ჩვენს ვარვარას სჯობია არ ეკამათო, ყოველთვის მართალია.

— არ გიყვართ სიმართლეს რომ გეუბნებიან.

— აი, ხომ ხედავთ. — ლუსია მაგიდიდან წამოდგა, მაღლობა მოიხადა.

— გმაღლობ ნადია, დიდი სიამოვნებით შევცამე მჭადო.

— შეგარგოთ, რა ცოტა მიირთვით...

— ჩემთვის მეტი არ შეიძლება. ამგვარ საჭმელებს გადავეჩვიე, კუჭის გადატვირთვას ვერიდები.

— მჭადო კუჭს არ აგიშლის, — მეგობრულად ურჩი ვარვარამ. — არც გაწყენს. საკუთარი გამოცდილებით ვიცი. ბავშვებსაც არ უშლიდა კუჭს. —

ვარვარა ვერ მიხვდა, რად ამოიოხრა ლუსიამ და ძმებს ჰკითხა: — რა დაემა-
რთა?

— ვინ იცის.

— სიტყვის თქმაც აღარ შეიძლება?

— შენც ქალაქურად ელაპარაკე, ინტელიგენტურად, *ერწიხვტულდ* ურ-
ჩია ილიამ.

— ქალაქურად არ შემოძლია, ერთხელ ვიყავი, ეგ კი სოფელში დაიბადა
და სოფელურად მელაპარაკოს.

— იქნებ დაავიწყდა?

— მაგას დაავიწყდა, მე არ მისწავლია — რაო, სიტყვაც ველარ ვუთხრათ
ერთმანეთს?

საუზმეში ზეილი და ილია ზღურბლზე ჩამოსხდნენ მოსაწყევად.
დღე მძლავრობდა, ცა ნისლთან ერთად მალღებობდა, შორეთში ჩაკარგული.
ლურჯი ნაყშები აიყვანნენ მიიწევდა, თითქოს უფროსობდა ამ წითელ უბირქუბობას
და უფრო ახლობელს ეძებდა, რომ შეჩერებულიყო და სული მოეთქვა. მზის
სხივებით მიაღერებელი ტყე მწვანედ ახასხასდა, სოფლის სამივე მხარეს
გაშალა მხრები, მეოთხე კი მდინარეს დაუთმო. ეზოში, კაცების თვალწინ, უბ-
რალოდ, უმიზეზოდ, თავისთვის კრიახებდნენ და ფრთებს აფრთქუნებდნენ
ქათმები, წიწილები წიოდნენ და ბოსტნის მარგილს მიმწყდარი ღორი სითბო-
სა და კმაყოფილებისგან ჭყვიტინებდა.

ნინკა გამოვიდა, ნამძინარეზე მზემ თვალი მოსჭრა, ხელით მოიჩრდილა.
ცხვირი შეიჭმუხნა, მერე თვალი შეუქს მიაჩვია, შეშის ზვინის უკან შეძვრა
და ჩაცუცქდა. ქათამი გადაეკიდა, გამწარებული ცდილობდა უკნიდან მოეე-
ლო. ნინკამ აუქშია, დატრიალდა და მოულოდნელად, შიშველი ტაკო გამოუჩ-
ნდა. მიხვილმა დაუყვირა:

— ნინკა, იცოდე, კნუტივით ჩაგაყოფინებ ცხვირს. რამდენჯერ გითხარი,
ცოტა შორს წადი-მეთქი.

ნინკა დაამალა და ნაწყენი აბუზღუნდა:

— ქათმები აკენკავენ.

— მე შენ გიჩვენებ ქათმებს.

დილაგადავლილი სოფელი მიყურდა: კაცები სამუშაოდ წავიდნენ, დიასახ-
ლისებმა საქონელს მიხედეს და ახლა შინ დაფაცურობდნენ, წყნარ, უხმაურო
საქმეს აკეთებდნენ, ჯერ არც ბავშვები გამოფენილიყვნენ ორლობეში — ზო-
მიერი, იშვიათი, ჩვეული ბგერებით სავსე სიმშვიდე იდგა: ჟამიყამს საქონელი
თუ დაიზმუვლებდა, ჭიშკარი გაიჭრიალებდა ან, თითქოს შემთხვევით, მოსტ-
ტებოდა ადამიანის ხმა — არა მოსასმენად, გასაპასუხებლად, არამედ ინაი-
თვის, რომ ცოცხლებს ჩამკვდარი სიცარიელე არ ჰგონებოდათ ირგვლივ. დი-
ლასა და სადილს შუა დაყურსული სიმშვიდე ხმაურსა და მოძრაობას აუნჯე-
ბდა, ღია ციდან დაწრეტილ ნათელ, მოელვარე სითბოს ეხამებოდა, ჩუმად,
უხილაგად ამოდებდა ნალამებ სოფელს და ათბობდა.

— უბოროტო დედა გეყოლია, — დაიწყო ალერსიანი, მიმზიდველი სიმშ-
ვიდით გულშეძრულმა მიხვილმა. — ხედავ, რა დარი დაუდგა? ყველას კი არ
გაუღიშებს ბედა.

— ბო, გამოიღარა, — გაეპასუხა ილია.

— იცი, რა ვქნათ? ვიდრე მალაზიაში თეთრი, ვიყიდოთ, თორემ ხვალ შეიძლება ფული ჩამოიტანონ და დაიტაცებენ. მერე ეძებე.

— არაყზე ამბობ? —

— ჰო, თეთრზე. ის წითელი არ მიყვარს, გინდა ყოფილა და გინდა — არა. თავს მატკივებს საოხრო, — ნაბახუსევის გახსენებაზე იღვას შეფერვოლა, — მერე მთელ დღეს გადარეულივით დადიხარ.

გინდოდათ

— ქალებისათვის მაინც ვიყიდოთ.

— ცოტა ავიდოთ და გვეყოფა. ბევრი რად გვინდა? ახლა მაგას ქალებიც ნაკლებ წყალობენ, თეთრი ურჩევნიათ.

— ყველაფერში თანასწორობას ითხოვენ.

— ჰო.

მათ ეშმაკურად, გამგებიანად გაუღიმეს ერთმანეთს, მაგრამ მამაცაცებთან თანასწორობაზე საუბრის დრო არ იყო და გაჩერდნენ.

ილიამ ჰკითხა:

— რამდენი ვიყიდოთ?

— აბა, რა ვიცი, — მხრები აიჩეჩა მიხეილმა, — ერთი ყუთი მაინც დაგვჭირდება, ნაკლები არ იქნება. ნახევარი სოფელი მოვა, არც თავის შერცხვენა ივარგებს, რა ძუნწი დედაჩვენი იყო?

— ჰო, ერთი ყუთი ავიდოთ.

— ფული გაქვს?

— ორმოცდაათი მანეთი მექნება.

— მეც ახლავ ნადიას გამოვართმევ, გვეყოფა.

— დებს არ ვუთხრათ?

— ვარვარას რა აქვს, რა უნდა მოგვცეს, ლუსიას ვკითხოთ, მგონი არ უნდა უჭირდეს, მოგვცეს. ღვიძლი შვილია, აყვანილი ხომ არ არის, ვერ გამოვტოვებთ, ეწყინება.

— ახლავე წავიდეთ?

— აბა, რაღას ვუცადოთ? აი, ნადიას ვნახავ და წავიდეთ. არა, აუცილებლად უნდა ვიყიდოთ, თორემ ხვალ თუ ხელფასები ჩამოიტანეს, დაიტაცებენ. ჩვენთან ასეა, თუ პირი დაადე, მორჩა, წყალზე უნდა გადახვიდე. სხვა დროს რა თქმა უნდა, უმაგისოდაც იოლას გახვალ, მაგრამ ახლა რაღა დავგრჩენია, სირცხვილს ვერ აუხვალ. არა, დედაზე დასამღური არაფერი გვეთქმის, წესით უნდა გავაცილოთ, — მიხეილი პირველი წამოდგა, — მოდი, ასე მოვიქცეთ, მე ჩემ დედაკაცთან წავალ, ცოტა ფული გვაქვს შემორჩენილი, შენ კი ლუსიას მოელაპარაკე, მასპინძელი ვარ და ჩემთვის უხერხულია. მერე წავიდეთ. კარგად მოვიფიქრეთ, აუცილებლად უნდა ვიყიდოთ, რაღას ვუცადოთ?

ალარ შეყოვნებულან, აღფრთოვანებულნი მიდიოდნენ, სასმელი უნდა მოეტანათ, თანაც იმდენი, ერთი კაცი რომ ვერ მოერეოდა. მალაზია შორს არ იყო, ხელფასის წინ არც ბევრი ხალხი ირეოდა, დიდხანს არ გაჩერებულან, ბოთლების წკარუნით მოათრიეს ყუთი და საკუჭნაოში დადგეს.

— ასე, — თქვა მიხეილმა. — ასე უფრო საიმედოა. იდგეს, ხომ არ გაფუჭდება. პორტვეინი კი ყოველთვის შეიძლება იყიდო, ძაან არ ეტანებიან.

ქოხში უეცრად ნინკა აღწევდა. მიხეილმა კარი შეაღო, შვილისათვის უნდა დოდა დაეყვინა, მაგრამ დაინახა. სამივე ქალი მისეოდა და მიაყურადა:

— თვითონ, — ფშლუკუნებდა ნინკა.

— რა თვითონ? რა? — აჩქარებდა გოგონას ლუსია.

— Ի՞նչ արեա, տղոտուն...

— რა თვითონ? თქვეი, ლაპარაკი ხომ იცეი?

— თვითონ გაახილა თვალები და დამინახა...

— მეტი?

— თვითონ დაინახა, — შვილს გამოაჩავრა ნადიამ. — მის წინაშე დგოდა გი-
ნახე, მის ჩემოდანში რომ ჩაძვერი? ვინ გათხოვა? რას ეძებდ?

— თვითონ მანიშნა! — წამოიყვირა ნინკამ. — არ გინახავა რა ამბობ.

— მე შენ გასწავლი, დედას როგორ უნდა ელაპარაკო. ხედავ, რა მოი-
გონა? ვისგან ისწავლა მაინც?

— მოიცადე, ნადია, — შეაჩერა ლუსიამ და ისევ ნინქასავენ დაიხარა, — რაზე მიგითითა?

— რაზე... რაზე... საწოლის ქვეშ...

ნადიამ განუმატა:

— ჩემოდანში გამოფეტები უწყვია ნინუასათვის.

— როგორ მიგიჩინათ? — ჩაეძია ლუსია. — დაწვრილებით მოგვჩვენე, როგორ იყო? თქვი!

— მე ვუყურებდი, ის კი არა, მერე თვალები გაახილა და მიყურებდა.
ჩემოდანზე მანიშნა.

— არაფერი უთქვამს?

— ၁၆၇ —

— ვა-აი, — მძიმედ ამოიოხრა ვარვარამ, — რა გვეშველება?

— ისე კი. მავნე არა გვეყავს. — შვილს გამოეჭომაგა მიზეზილი, — არა-
სოდეს შეგვიმჩნევია. უჩნებ სიკვდილის წინ მართლაც გაახილა თვალი, ნინკაც
იქვე ტრიალებდა და...

სიკვდილის ხსენებამ დააფრთხო. გააყუჩა შვილები, ერთგვარი სიფრთხი-
ლით განაგრძეს სუნთქვა, თითქოს პაერი იმქვეყნიური გამჯდარი შმორით
იყო მოწამლული, რომლის ჩასუნთქვაც ცოცხლება არ ეგებოდა. შემდეგ
ფეხაკრეფით მიუახლოვდნენ დედაბრის საწოლს, რაიმე ცვლილების შეტყო-
ბას ლამობდნენ, მაგრამ ვერაფერი შენიშნეს: ახლა, როცა დილასთან შედარე-
ბით შუქი მომძლავრდა, დედაბრის სახეს უფრო დაეტყო მკვდრის იერი, გული
კი ისევ ფეთქავდა და უფლებას არ აძლევდა ადამიანებს მოწყვეტოდა.

მიზეილი ეზოში გავიდა, ილია ამ ხნის მანძილზე ქათმეზს პურს უფხვნიდა და თავს ამით ირთობდა, და მოუყვამ:

— ნინკა ამბობს, დედას თვალი გაუხელია.

— შეხედე ერთი! — გაოცდა ილია და მამალს ფეხი აუქნია, — რა დაე-
მართა?

— ൧൪ ൩൭൫൦.

— ეოცხალია?

— ცოცხალია, უნახეთ.

მაინც ერთობ უჩვეულო, რაღაც ჩაფიქრებული დღე გათენდა და ეს ჩა-
ნაფიქრი, ეგებ სწორედ დედამბრისთვის იყო განკუთვნილი — ლბილი, მსუბუ-
ქი დღე დაადგა სოფელს, თუ პირდაპირ დედამბრის ქოხს, სადილობის ჟამს
მოეწია, მაგრამ ჩამიჩუმი არ იამოდა და იმგვარად უტყვი და ახლობელი იყო.
თითქოს ვიღაცას იფარავდა მავნე ფორიაქიანგან, დილიდან ცა დაბლა ჩამოეშ-

ვა და მოფიქრალს დაემსგავსა, მიიმედ კი არა, მოლოდინით მოფიქრალს. გაზაფხულიდან ჭირ-ვარამ გამოვლილ დღეებს ახალგაზრდული სიყვარულს ეკარგება, ეს კი თითქოს მართლაც ყოველივეს უწყობდა თვის ქვეშ და ეგებ ეწადა კიდევ ამ მკაცრი, მსჯავრიანი ადგილიდან დაძვრაში დახმარებოდა დედაბერს — ერთიღა იყო საჭირო: შეუმჩნევლად გადაენაცვლებინა წყნარად მსუბუქი ბიძგით მოეწყვიტა ადგილიდან.

გინგლირთქა

მიხეილმა და ილიამ არაყი მოიტანეს და ახლა ადგილს ველარ პოულობდნენ: სხვა დანარჩენი ამათან შედარებით უმნიშვნელოდ გჩვენებოდათ და ისე იტანჯებოდნენ, თითქოს მათში ფეთქავდა ყოველი წუთი. ჯერ იმაზე ისაუბრეს, რომ ტატიანა არა და არ ჩანდა, თუმცა კი აქამდე კარგა ხნის ჩამოსული უნდა ყოფილა, მერე ილიამ მიხეილს ჰკითხა, სამსახურში როდის უნდა წახვიდო, მიხეილმა, რამდენიმე დღით დავეთხოვეო — უნიათო, მტკნარი სიტყვები ჩნდებოდნენ და საუბარში ვერ ებმებოდნენ, იმეტი ხვდებოდნენ, ახლა უმთავრესი მოლოდინი იყო, მაგრამ მოლოდინიც ახვადსახვავარია და მათაც ძანდათანობით შეშფოთება დაეტყვოთ, ეგებ უქმად კარგავდნენ დროს და ისე არ ელოდნენ, როგორც წესი და რიგია, მომავლადი დედა არ ავწყდებოდათ. მაგრამ არც ძალიან იტანჯებოდნენ: რაც გასაკეთებელი იყო — გააკეთეს — ერთმა შეატყობინა, მეორე ჩამოვიდა, აბა, არაყიც იყიდეს — დანარჩენი თვით დედაზე თუ სხვაზე იყო დამოკიდებული, მაგრამ არა მათზე — მართლაც და, სამარეს ხომ არ გაუთხრიდნენ ჯერ აღუსრულებელ ადამიანს! ერთთავად სამუშაო ჰქონდათ, ახლა კი უცებ ესეც გაქრა, რადგანაც კარზე მომდგარი უბედურების წინ უცხო საქმის კეთება ეუბერხულებოდათ, თვით უბედურებისათვის კი გასაკეთებელი არაფერი რჩებოდა.

— საოცარია, — ისევ წამოიწყო მიხეილმა, — ხომ ვიცოდით, ცას არ გამოეკიდებოდა, ახლოვდებოდა უავე, თითქოს უნდა მივჩვეოდით და მაინც გვიჭირს.

— აბა, როგორ გინდა, — დაეთანხმა ილია, — დედაა...

— დედაა... მართალია. მამა არა გვყავს, ახლა დედაც წავა და გათავდა. მართლ დავრჩებით, ბავშვები არა ვართ და მაინც მარტონი ვრჩებით. რა ხანია დედა აღარაფერში გვარგია, მაგრამ ჯერ მისი როგი იყო, მერე ჩვენი, უშიშრად შეგვეძლო ყოფნა, თითქოს გზას უხერგავდა რაღაცას, ახლა კი იცოცხლე და იფიქრე.

— რა საჭიროა ამაზე ფიქრი? იფიქრებ, არ იფიქრებ...

— რა საჭიროა, მაგრამ მაინც... თითქოს მოტიტვლებულ ადგილზე გახვედი და თვალნათლივ გამოჩნდი, — მიხეილმა ხუჭუჭი თავზე გადაიქნია და დადუმდა, — თუნდაც შვილებზე ვთქვათ, ვიდრე დედაცა კი კოცხალია, შვილებიც პატარები არიან და შენც ახალგაზრდა გგონია თავი, მოგვდება და, შვილები შენ გიბიძგებენ. ეს ოხრები ხომ იზრდებიან, ვერ გააჩერებ.

მიხეილმა სიტყვა ვერ დაასრულა — ნადია გამოვიარდა, აჩქარებით, უცხო ხმაზე დაიძახა:

— კაცებო, ჩქარა მოდით, ჩქარა.

— რა მოხდა?

დედა...

ვიდრე ოთახში შევიდოდნენ, დედაბერი ისევ უგრძნობლად იწვა, მანამდე კი რაღაც ამოელუღლულა, რა — ვერ გაარკვიეს, თუმცა ლუქიამ და ვარვარამ

დაინახეს, როგორ ეხუტებოდა პირდაპირმომზიარალი თვალები. დედაბერი უკვე უძრავად იწვა, მაგრამ რაღაც ხდებოდა მასში, შიგნით რაღაც ამუშავდა, თითქოს საცაა გაყინული წერტილიდან დაიძვრებო, სახეზეც კი დაეტყო ცვლილება: უფრო მეტყველი, თამამი გაუხდა და შერჩენილი ძალად ერთოდან შორეული სიღრმიდან, თითქოს დახუჭულ თვალებს აპაჭუნებდა.

ისინი დედის საწოლთან იდგნენ, შიშით დასცქეროდნენ, ცოცხალად იყვნენ, რა ეფიქრათ, რისი იმედი ჰქონოდათ და ეს შიში სრულიად არ ჰგავდა ყველა ადრეულ შიშს, რაც ქალაქურ თუ სოფლურ ცხოვრებაში რგებოდათ წილად, რადგან იგი იყო ყველაზე თავზარდამცემი და სიკვდილიდან იღებდა საწყისს — თითქოს სიკვდილმა აწ უკვე დაიმახსოვრა მათი სახეები და აღარასოდეს დაივიწყებდა. რაც ხდებოდა, იმისი ცქერაც ზარავდათ: ოდესმე მათაც იგივე დაემართებოდათ. ხვდებოდნენ, ის უკვე მოსულიყო. მეხსიერებაში რომ არ ჩარჩენოდათ, ცქერაც უჭირდათ, მაგრამ ვერც თვალს აშორებდნენ და ვერც პირს იბრუნებდნენ, ეგებ დედის სხეულში ჩასახლებულ სიკვდილს სწყენოდა კიდევ მათი წასვლა. მისი განაწყენება კი ზედმეტად არავის ეწადა. და იდგნენ ასე გაუნძრევლად.

რაღაცამ იფეთქა დედაბრის თვალებში, ამოძრავდა და მძიმედ, ტანჯვით, მაგრამ მაინც აეხილა, შუქზე შეყოვნება სცადა და ვერ შესძლო, მოწყდა. თვალები რამდენიმე წამს მიუყრდა: შემდეგ ისევ შეირხა, გაიხსნა, ამჯერად მეტი ძალა აჩნდა და თავის უიმედო შუქში მოჩვენებასავით გააჩნია რაღაც, რაღაც ისეთი, რაც ასევე უიმედო და ბუნდოვანი იყო. დედაბრის სახეზე განწირულება და ტკივილი აისახა, მან თვალები აახამხამა, სცადა მოჩვენება განედევნა, გაუჭირდა და ეგებ, თავადვე დახუჭა თვალი. მაგრამ ის, რაც ეჩვენა, აღარ უშვებდა, შესამოწმებლად იხმობდა — თითქოს გარდასული სიცოცხლის მოგონებანი ხლებოდნენ. ხალზე მოეატრვა გაეგო, სად იყო და გრძნობდა თუ არა რაიმეს. დედაბერმა ძალის-ძალ ნელა გააპო კუთუთო და გამოიხედა — არა, არ გამჭრალან, ახლა უფრო ახლოა დაინახა შვილები და იცნო — დუმილი ვეღარ შეიძლო, მკერდიდან კუტკუტის მაგვარი, მშრალი ბგერები აღმოხდა.

ვარვარამ შეიცხადა, ხელი ხელა შემოჰკრა და გადაჯვარედინებული მიიქრა გულზე — ყვირილი შეიჩერა.

დედაბერი დადუმდა, თითქოს დაეწრიტა სიცოცხლის სახმილი, თვალები უწადილოდ მიელულა, მაგრამ მაინც სუნთქავდა და ყოველ ამოსუნთქვაზე ევნესოდა, შემდეგ სუნთქვაც დაეწმინდა, მაგრამ არ გამჭრალა — საბანი ირხეოდა.

შვილები ელოდნენ, ცხადლივ შეიგრძნობდნენ, რომ ამ დედაბრის ვაჟიშვილები და ქალიშვილები იყვნენ, ებრალებოდათ დედა, უფრო მეტად კი — საკუთარი თავი, რადგან მისი აღსრულების შემდეგ მათ სიკვდილით ხმოილი სატანჯველი რჩებოდათ და ეს ტანჯვა არც მალე დასრულდებოდა. ყოველი მათგანი თავისებურად შეიგრძნობდა ახალ, ჭერეთ უცნობ ემაყოფილებას, რადგან იგი აქ იყო, დედის გვერდით, მის უკანასკნელ საათს, ასე ეგებოდა შვილს და ამით მის მოტევენებას იმსახურებდა — რაღაც სხვაგვარ, არაამქვეყნიურ მოტევენებას, ნაკლებ რომ იყო დამოკიდებული დედაზე და მაინც აუცილებელი ამ ცხოვრებაში. ეს იყო შიში და ტკივილი ერთად, მეტადრე მაინც ის აშინებდათ, რომ ასე დიდხანს უცქეროდნენ მიმავალ დედას, მოწმენი იყ-

ნენ იმისა, რისი ხილვის უფლებაც არ ჰქონდათ ადამიანებს და თავადაც არ სჯეროდათ, მაგრამ ეწადათ, მალე დასრულებულიყო ყოველივე.

დედაბერი სუნთქავდა.

ილიამ ველარ გაუძლო, რაღაც ჩასჩურჩულა მიხეილს და დედაბერმაც თითქოს ამ ჩურჩულს გამოეხმაურათ, უეცრად ისევ გაახილა თვალი და აღარ დაუხუჭია, დააკვირდა. ტირილი მოუწდა, მაგრამ ვერ შეიძლო. ცრემლები გაშრობოდა. ვარვარა წამოეხმარა, მსუბუქად, ხმამაღლა შეიცხადა და დედაბერი, აწ ყველაზე საჭირო ხმით გამხმევებული, დარჩა, აღარ გათანგულა — სიტყვებს უკვე მიეტოვებინათ იგი და მაინც გაახსენდა ის, ყველაზე ძვირფასი, დღემუდამ ენის წვერზე რომ უტრიალებდა.

— ლუსია. — ძლივს ამოთქვა მან, — ილკა, ვარ-ვა-რა.

— აქა ვართ. დედა, აქ. — შეაკავა ლუსიამ, — იწექი, აქა ვართ.

— დედიკო-ო! — იკივლა ვარვარამ.

დედაბერი ერწმუნა ხმებსა და საკუთარ თავს და უკანასკნელ სიხარულსა თუ ტანჯვაში ჩაყუჩდა. იგი შვილებს უძმერდა, თვით კი თითქოს უფრო დაბლა და დაბლა ეშვებოდა. და უეცრად რაღაცამ შეაჩერა, მოაბრუნა, სახე შეექმუნა, თვალები ვილაცას ეძებდნენ. ვარვარას ტირილი ხელს უშლიდა და ვარვარაც მიხვდა, დადუმდა.

— ტანჩოკა, — მუდარით ამოთქვა დედაბერმა.

მათ ერთმანეთს გადახედეს, გაახსენდათ, დედა ტატიანას ეძახდა ასე და ერთხმად უპასუხეს:

— ჯერ არ ჩამოსულა.

— მალე ჩამოვა.

— დღეს ჩამოვა.

დედაბერმა გაიგო, ოდნავ დაიქნია თავი. სახეზე სიმშვიდე დაეღვარა, თვალები დაეხუჭა. იგი კვლავ შორს იყო.

შვილები გამოშორდნენ — დასვენება იყო საჭირო. დედაბერთან მხოლოდ ვარვარა დარჩა, იგი ჩუმად ქვითინებდა და მისი ტირილი აღარავის აწუხებდა. ეგებ სიჩუმე უფრო გაძნელებოდათ.

8

სასწაული მოხდა თუ რა იყო, არავინ იცოდა, მაგრამ შვილების დანახვაზე დედაბერმა მოიხედა. კიდევ ორჯერ თუ სამჯერ წაერთვა გონი, შეუმჩნევლად ინთქებოდა საკუთარ უკუნში, მაგრამ მაინც ფხიზლდებოდა და შიშნარევი კვნესით ახელდა თვალს: აქ არიან თუ მოეჩვენა? რომელიმე მათგანი აუცილებლად თავთით ეჯდა და დანარჩენებს უხმობდა, ისიც ცნობდა შვილებს და დამშვიდებული ტირილს ლამობდა. ბოლოს შეიძლო, თავადვე გაიგონა თავისი სუსტი, შორს გადანახული ხმა, რომელიც ალბათ, მეტად აღარ აპირებდა ზევით ამოსვლას და ამიტომაც უჭირდა ასე.

თანდათანობით დედაბერი მოლონიერდა, ყოველივე, რაც მასში იყო და მას უნდა დამორჩილებოდა, ერთიმეორეს მიყოლებით მოიძია და ამქვეყნიური ვარგისიანობა აღმოუჩინა, საღამოს პირზე კი, იმდენად კარგად იგრძნო თავი, რომ ნადიას დაუძახა და სთხოვა:

— ფაფა მომიხარშე... ის, პატარა ნინკას რომ აკმევდი, ზურღულის, თხელი.

— მანანის გინდა?

— ჰო, ჰო, მანანა, ყელს გავისველებ. თხელი იყოს.

სახლში დაფაცურდნენ, აფუსფუსდნენ, ღვთის მადლმანანისა ზურღულ-
ლი ნადიას აღმოაჩნდა, მაგრამ ღუმელი უკვე გაცივებულიყო და გადამწვითეს
ფაფა ელექტროქურაზე მოეხარშათ, დიდხანს ეძებეს, ძლივს-ძლივობით მიაგ-
ნეს და მერღლა გაახსენდათ, რომ დენი ჯერ არ ჩაერთოთ. მიხეილი ეზოში გა-
გზავნეს ღუმელის გასახურებლად, ლუსია და ვარვარა ერთმანეთს წაეციდნენ.
ვერაფრით შეთანხმდნენ რაში მოეხარშათ ფაფა, ლუსიამ დაიფინა, ბევრი არ
შეიძლება, ავნებსო, ილია მიხეილის გვერდით დაბოროლობდა და წამდაუწუმ
იმეორებდა:

ერთი დედას დამიხედეთ!

— ჯიშია, — ეთანხმებოდა მიხეილი, — ჩვენს ჯიშს ასე იოლად კუბოში
ვერ ჩააწვენ.

— გაიგე, ფაფა მინდაო! მე კი სიმართლე გითხრა, არ მჯეროდა, მეგონა,
უკვე გათავდა, მან კი ფაფა მინდაო, ფაფა მომიხარშეთო, ალბათ მოშივდა.

— დედაბრები საერთოდ დიდხანს ცოცხლობენ, დაიხსოვე — რაც უფრო
გადაღებულებულია დედაბერი, მით მეტს ცოცხლობს. თითქოს სული აღარ უდ-
გათ და მაინც დატუსტუსებენ.

გაოცებული ილია კი მაინც თავისას გაიძახოდა:

— ნახე, რა დედა გეყავს! ვინ იფიქრებდა! ჩვენ ქელებისათვის არაყი ვი-
ყიდეთ, იმან კი „ცოტა ხანს შეიცადეთ, კეთილო ადამიანებო, ჩემო ვაჟიშვი-
ლებო და ქალიშვილებო, ჯერ ფაფა არ მიჭამიაო“, — ილია იცინოდა და იმეო-
რებდა: „ფაფა არ მიჭამია, უფაფოდ კი სიკვდილიც არ მინდაო“.

— დასუსტდა, — უფრო თავშეკავებით უპასუხა მიხეილმა, — რა ხანია
პირში ნამცეცე არ ჩასვლია.

ქალები ქილებითა და ქვაბებით მოცვივდნენ, ღუმელთან დაფაცურდნენ,
თითქოს ჩვეულებრივ ფაფას კი არა, უცხო რამ ნუგბარის დამზადებას აპირე-
ბდნენ სამივე ერთად. ნინკაც იქვე იყო და ყველას ფეხებში ებლანდებოდა.
ნადია აგდებდა და ვერაფრით იშორებდა: ბავშვი ხვდებოდა. რალაც მნიშვნე-
ლოვანი რომ მოხდა და ეშინოდა, მოსახდენი არ გამოჩენოდა. ვარვარა გაი-
ოფლა, წამდაუწუმ დედასთან მირბოდა, სირბილის დროს ორსული ქალივით
ხელით იმაგრებდა ათიმთიმებულ მუცელს და დედას ამხნევებდა:

— მოითმინე, დედიკო, ცოტაც მოითმინე, მალე მოიხარშება.

დედაბერს ლუსიამ მიართვა ფაფა, ჭიქისათვის ხელი არ გაუშვია, მო-
ხუცს რომ არ დაეღვარა. დედაბერი ყლუპ-ყლუპით, ფხრთხილად სვამდა, ერ-
თი-ორჯერ მოსვამდა — დაისვენებდა, კიდევ მოსვამდა, ისევ დაისვენებდა
დალევითაც ბუბუთა ბავშვივით ცოტა დალია, არა უმეტესი და ბალიშზე გა-
დაესვენა, ქანცი გაელია, ჭიქას ხელი აუჭნია, წაიღეთო, და მერე დიდხანს ვერ
მოითქვა სული.

— ოჰ, გავიქაფე, მუშაობაზე უარესი ყოფილა. მუცელიც კი გამებერა.
რალა მეშველება?

— არა უშავს, დედა, არა უშავს. — დაამშვიდა ლუსიამ, — ასეა საჭირო,

ერთბაშად კუჭის გადატვირთვა არ შეიძლება. ვინ იცის, რა მოხდება. ჯერ ეს იკმარე, მერე კიდევ დაგაღვიინებთ.

— კუჭიც დამპატარავებია, — მწარე სინანულით ლექვა დედაბერმა, — მეგონა უკვე გადასახლდი მოუსაველეთში, წერილი წავიღე, — იგი სულს ითქვამდა, დაბინდული მზერა ჭერისათვის მიეპყრო და გეგონებდა მზისადავსო, — მე უსირცხვილომ კი მოგატყუეთ. უკან მოვბრუნდი, ზაქარია ისევ ჩემენ გაგიხდით ჭირად, ფაფას ვჭამ...

დედაბერს ჰაერი არ ეყო და ხველა აუტყდა. ლუსიამ აჩქარებით უთხრა:

— დედა, ამდენი ლაპარაკი გავნებს, ჯერ სუსტად ხარ.

— აბა, ხომ არ დავმუნჯდები? — თავი მოითამაშა დედაბერმა, — ძლივს შვილების ნახვას ველირსე და რა გამაჩერებს? — ისინი ყველანი აქ იყვნენ, მის გვერდით, მან გაუმართავი და მაინც ამაყი მზერა მოავლო და უკვე მშვიდად, ძალის დაზოგვით ჩაილაპარაკა: — თითქოს ვილაყამ მიჯიავა: ბავშვები ჩამოვიდნენო. ვიფიქრე, მოდი ჯერ შვილებს დავხედავ და მერე მოვევლები — მეტი რაღა უნდა მინდოდეს-მეთქი.

ლაპარაკი მაინც უჭირდა და ძალაუვნებურად დადუმდა. მაგრამ შვილების ხილვით მოგვრილი სიხარული არ ასვენებდა. სახეში სცემდა, ხელებს და მკერდს უთრთოლებდა, ყელში აწვებოდა. შვილები დედის სიახლოვეს იყვნენ. უფრთხილდებოდნენ, დასვენებას აცლიდნენ. დედაბერმა რამდენჯერმე წამოიტირა, აფორიაქებული, მოუთმენლად აკვირდებოდა. პატარა თავს აჭიცნებდა — ერთიდან მეორეზე გადაჰქონდა მზერა და მხოლოდღა ცნობდა მათ: ეს ილიაა, ეს ვარვარა, ეს ლუსია, მაგრამ კრემლები უშლიდა თუ თვალზე გადაჰყვროდა ბინდი, შვილებს გარკვევით ვერ არჩევდა და ამის გამო ბრაზობდა. კვლავ ირწმუნა, რომ ყოველივე საცრუე იყო — სიზმარი ან ჩვენება, გარდასული ცხოვრების უკანასკნელი გახსენება და ამიტომაც ხედავდა ბუნდად. თავს ჩაეძია და გაინაბა, მიყუჩდა.

ოთახში შუქი იდგა, ნათელი დღის ის მიმზიდველი და ქათქათა შუქი, მზის ჩასვლის წინ რომ იცის ხოლმე. დედაბერი თავით ფანჯრისაკენ იწვა, მზის სხივები საწოლის ფერხით ეცემოდა, ფრთხილად აცივდებოდა მოპირდაპირე კედელს, თითქოს კედლის უკანა მზრიდან მოჟონავდა და იწრიტებოდა. დედაბერმა ახლალა დაინახა მზე, იცნო და გაიხარა. ხანგრძლივი, გონმიუწვდენი უკუნის შემდეგ წამისად შეიგრძნო სითბო, ფრთხილ სუნთქვად ჩაელვარა სხეულში და სისხლი გაუღღო. ეს უკვე ცხადს ჰგავდა: სიზმარში ხომ არც მზე ათბობს და არც ყინვა ყინავს. ამენა დაუხშო შორეულმა, საამო რევკამ და, როგორც გაჩნდა, ისევე მოუღლოდნელად მიიღო. დედაბერმა სადაფრობა მოუძია და მიხვდა, რომ ყმაწვილქალობიდან შემორჩენოდა ხსოვნას — იმხანად ხშირად ესმოდა ზარების გუგუნის და მთელი საიცოცხლის მანძილზე გამოჰყვა. იგი კი აღარ მოატყუებდა — ცოცხალი იყო ზარი.

— ღმერთო, — ჩაიჩურჩულა დედაბერმა, — ღმერთო.

სული გაიმხნევა და თვალი გაახილა. აქ იყვნენ, ისევ აქ ელოდნენ, თუმცა დედაბერს მოეჩვენა, რომ ახლა ოდნავ წინ წამოწეულ იყვნენ — უკვე ნათლად ხედავდა.

კართან უცხოთსავით იდგა ნადია, უფრო აქეთ — ილია.

ილიას ჩრდილოეთიდან მობრუნებია შემდეგ თვალი ველარ შეაჩვია დედაბერმა. მოტვლებილ თავზე აჩაბუნებრივად, მიხატულობით ეჩვენა სახე, თი-

თქოს შვილს საკუთარი სახე გაეყიდა ან ბანქოში წაეგო. ერთიანად გამოიცვალა, წამოიყინა, თუმცა წლებით დრო იყო დამცხრალიყო — ალბათ ის ადგილი, სადაც ცხოვრობდა, სულაც არ წააგავდა აქაურობას და ილია ვერა და ვერ მოდიოდა გონს.

დედაბერი დიდხანს, უხერხულ დაქანცულობამდე უცქერდა შვილს იგი მასში საკუთარ შვილს ეძებდა, თავად რომ გააჩინა, გაზარდა და მსულს ახსოვდა, ხან თითქოს მიაგნებდა აწინდელში, ხან კი ისევ თვალთაგან უსხლტებოდა. ის იყო, მაგრამ შორს. იმდენი ახალი ხორცი დასდებოდა, დედისაგან მოშორებით იმდენ ახალ ხალხს ევლო მის გვერდით, რომ დედას სჯეროდა და არც სჯეროდა მისი არსებობა, თითქოს მისი სისხლი და ხორცი ლიფსიტასავით გადაეყლაპა დიდ, გერგილიან თევზს და ახლა ერთ არსებად ქცეულიყვნენ. რომ დაგეძახა, ეგებ უცებ არც გამოგზნაურებოდა, დიდხანს იფიქრებდა, ან ეძახდნენ თუ სხვას, ან ვინ ეძახდა და საიდან. დედაბერს სწამდა, არც იქ, ჩრდილოეთში უგრძნია უკეთესობა. ჰოდა, რა უნდოდა, ეცხოვრა და ეცხოვრა სოფელში... ლუსიაზე ამას ვერც იფიქრებ, მთლად ქალაქელია, თავით ფეხამდე, შეცდომით გააჩინა დედაბერმა და არა ვილაც ქალაქელმა ქალმა, მაგრამ შემდეგ მაინც მიაგნო თავისიანებს. ილია კი არც ქალაქელს ჰგავდა, არც სოფელს, არც უცხოს, არც თავის თავს. მას მხიარული სახე ჰქონდა, თუმცა კი შვილის შემხედვარე დედაბერს სიბრაღულით უკვდებოდა გული, მაგრამ რად ებრალებოდა, თავადაც არ იცოდა, ვერ გარკვეულიყო.

ილიას მართლაც მხიარული სახე ჰქონდა, გაოცებისაგან ჯერ ვერ მოსულიყო გონს და კმაყოფილი დასცინოდა საკუთარ თავს, მიხეილს, დებს: „როგორ მოგვატყუა, ჰა? აი, რა ყოჩაღი დედა გვყავს!“ სადილამდე სჯეროდა, რომ დედაბერი სიკვდილს ებრძოდა, იგი კი თურმე ჰიცოცხლისათვის იტანჯებოდა. ილია ყველაზე მეტად საკუთარ თავს დასცინოდა: გუშინ სამსახურიდან დათხოვნისას პირდაპირ განაცხადა: დედის დასაფლავებაზე მივდივარო, ეჭვიც არ ეპარებოდა ამაში. ახლა რა თქვას? ჯამბაზობაა და მეტი არაფერი. ილია მზად იყო ერწმუნა, რომ დედამ იეშმაკა, ძალით მოიმკვდარუნა თავი, რათა შვილები შეეკრიბა და თუმცა იცოდა, ეს მისივე მოგონილი სისულელე იყო, მაინც არ ჩქარობდა ამ აზრის მოშორებას. გულში იტრიალებდა, ეხებოდა, ეთამაშებოდა, როგორც კატა ეთამაშება ხოლმე თავს. დედაბერმა რომ თავად მოითხოვა ფაფა და თოთო ბავშვივით, მხოლოდ არა საწოვარათი, ხელახლა სწავლობდა ჭამას, სიამაყემდე ართობდა და გულს უჩვილებდა ილიას და იგი ყურადღებით უთვალთვალებდა დედას: საინტერესოა, კიდევ რას მოიმოქმედებს?

დედაბერმა თვალები შეასვენა და მის ფერხთით მჭდარი ვარვარა მოიძია. ქალიშვილიც მოუთმენლად გადაიხარა დედაბრის მზერის შესახვედრად. „დედიკო! მე ვარ. შენი უფროსი შვილი, შენს სანახავად ჩამოვედი, შენ კი არც მიყურებ“ — გზაბნეულივით კიოდა გუშინ ვარვარა. ჰოდა, დაინახა დედაბერმა თავისი უფროსი შვილი. ეშველა ვარვარას. დაინახა და სახე შეუტოკდა დედაბერს, ძლივს შესამჩნევად დაუქნია თავი და ამოიოხრა. თავის დაქნევით თითქოს ერთადერთი შესაძლებელი ბედნიერება — მშვიდი სიბერე უსურვა და ამოიოხრა — რადგან იცოდა: არა, არ ერგებოდა, ოცნებადაც არ ღირს. ვარვარას შემხედვარემ ტირილისაგან ძლივს შეიკავა თავი. თავად აღარაფერი სჭირდებოდა — ყოველივე უკან მოიტოვა — აუხდენელიცა და ახდენი-

ლიც, ვარვარა კი ჯერ იცოცხლებდა და რა კარგი იქნებოდა, აღარ დატანჯულიყო.

არც მიხეილი გამოუტოვებია, თუმცა საკუთარ თავზე უკეთ ახსოვდა და მარტო კი არა, და-ძმის გვერდით როგორი იყო, ის აინტერესებდა. დედაბერს ხშირად ახსენდებოდა ხოლმე მოხუცების ნათქვამი: პერეველუხუ-ფეიშვილი ღვთისაა, მეორე — მეფია, მესამე კი — საკუთარი თავის ბრძანებითა და მეფეს იმდენი მასცა, ვეღარ მოითვლიდი, მაგრამ ცოცხლებიც, წამოიჩიტებოდნენ და დამხმარედ დაიგულებდა თუ არა, ერთმანეთის მიყოლებით ტოვებდნენ დედას, თითქოს ლეკვებივით ვიღაც სტაცებდა ხელიდან და სხვას აჩეჩებდა. მხოლოდ მიხეილია შემორჩა და დედაბერს სრული უფლება ჰქონდა ეთქვა, რომ თავისთვის ჰყავდა გაჩენილი, რათა მშობლიურ კერაზე დაესრულებინა სიცოცხლე, რადგან სხვაგან ცხოვრება ვერ წარმოედგინა. მიხეილს სხვა შვილებზე უკეთ კი არ თვლიდა — არა, უბრალოდ ბედად ეწერა: ნათან ეცხოვრა, დანარჩენებს კი ყოველ ზაფხულს დალოდებოდა, დალოდებოდა, დალოდებოდა...

ჯარში გატარებულ სამ წელს თუ არ ჩავთვლით, მიხეილი ერთთავად დედის გვერდით ტრიალებდა: აქვე შვირთო ცოლი, დაკაცდა, მამა გახდა, კაცოვით გინება იწყო და მის გვერდითვე ბერდებოდა. დედა შეეგულა, თღალი მიაჩნია, შეეთვისა მიხეილს და წლებით დამჩნეული ყველა ცვლილებაც ეთავისებოდა. გუშინაც მიხეილი იყო და დღესაც, ილია კი სხვაა, ქოჩორა ბიჭი წავიდა ჩრდილოეთში და მელოტი დაბრუნდა — ბრმავე დაიწახავდა, ვარვარა თვეში ერთხელ მაინც შემოიბრუნდა ხოლმე შინ და მასაც კი ატყობდა დედა ცვლილებებს: უფრო გასუქებულა, ბებრულად უადგილოდ თბრავა და ტარისა, თმაში ჭაღარა გარეგია, ილია, ლუსია, ვარვარა და ტანჩორა თითქოს მიტოვებულნი იყვნენ, რომ შემდეგ მათი ყველა ცვლილება შეენიშნა დედას, დაბრუნებულნი ზრუნვით ახსენებდნენ წლებს: უკანასკნელი შეხვედრიდან ამდენი და ამდენი დრო გავიდათ და შვილების ყოველი ჩამოსვლისთანავე დედაბერი თითქოს ღრმა ძილიდან გამოერკვეოდა და ერთბაშად რამდენიმე წლით წაიწვევდა წინ. ისე გამოდიოდა, შვილების ჩამოტანილი წლებით ბერდებოდა და არა საკუთარით, თავად შეუმჩნეველად ფუთფუთებდა და ფუთფუთებდა ერთ ადგილზე, ვიდრე მისი საათი არ ჩამოჰკრავდა. თუმცა, არც ამაზე ფიქრობდა. იგი შვილებს ელოდა, მოლოდინისაგან სული ეხუთებოდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ლოგინი მიეჩაქვა, მათ კი ბოლო ხანებში სულ ამოიკვეთეს ფეხი. ყოველ მათგანს საკუთარი ოჯახი ჰქონდა, საკუთარი ცხოვრება. არც ახალგაზრდები იყვნენ, წლები კი აღარ ელამუნებოდნენ — სახეს აფხაჭნიდნენ, ამას ჩივებოდა დედა.

ლუსიას წამისად შეავლო თვალი და მაშინვე მოარიდა მზერა. შემოიგ ქუთუთოებს ქვემოლან ფრთხილად და მალულად გახედა, თითქოს უთვალთვალებსო. ლუსიასი სკვვენოდა დედაბერს, თავისი სისუსტის და სიბერის ერიდებოდა. ასე ეგონა, ქალიშვილსაც ეთაკილებოდა დედა — აგე, რა ლამაზია, განათლებული, აღარც აქაურად ლაპარაკობს: თითქოს იგივე სიტყვებია, მაგრამ გულდასმით უნდა მოუსმინო და მხოლოდ მაშინ გაიგებ. ყველაფერი ეცის: ქვეყანა მოვლილი აქვს, დედაბერს კი რა უნდა ენახა? დღე და ღამ მუშაობდა და ეძინა. ჯარისაგან ტრიალებდა, მისი ნაცნობ-მეზობლებიც ასევე ცხოვრობდნენ, სხვაგვარად ვერ წარმოედგინათ. ლუსია კი რაღაც სხვანაირი,

დედაბრისათვის გაუგებარი და უცნობი ცხოვრებით ცხოვრობდა, იქ ბევრი რამ ახლებური იყო, ეგებ სიკვდილითაც სხვაგვარად კვდებოდნენ — ვიხ იცის. ახლა უკვე გვიანი იყო შეჩვეულის გადაჩვევა — მოკვდება, როგორც მოუწევს, იტირებს, როცა მოესურვება, ძველ გზას ველარ ასცდება, და მაინც, დედაბერი ცდილობდა, ისეთი არაფერი ეთქვა, ან არ ჩაედინა, რაც, ქალმშვილს გააბრაზებდა.

იგი თვალს ვერ აშორებდა შვილებს — ხარბად, აჩქარებით და უხეობულად უმზერდა და მაინც ეცოტავებოდა, ვერა და ვერ აღებოდა კქერით.

— დაწყნარდი, დედა, — უთხრა ლუსიამ, — დაწყნარდი და დაიძინე.
— ჩამოხვედით, — დედაბერმა სახეზე ხელები აიფარა და ატიროდა.
— ჩამოვედით, დედა, ჩამოვედით, — ყველაა ნაცვლად მხიარულად უბასუხა ილიამ.

ვარვარა შეკრთა, წაასჩურჩულა:

— ნუ ყვარი, ვერ ხედავ?

— ჩამოხვედით, — გული დაიმშვიდა დედაბერმა, — ველირსე, — ეს იაე მიმნდობი, აუღლია მომფონავე ხმით თქვა, როგორც დიდი ხნის ნაცნობი ორი ადამიანი საუბრობს ხოლმე, მერე დადუმდა და ისევ თვალგაუხელოდ, ხმაშეუცვლელად განაგრძო: — გონს რომ მოვედი, ველარ მივხვდი, მე ვიყავი თუ სხვა, ხელ-ფეხა ვერ ვგრძნობდი, მხოლოდ აუღლია შემოჩა სხეულში და იმასაც გზა აებნა. ვიფიქრე, მოვკვდი და ალბათ იმიტომ ბნელა-მეთქი. გამეხარდა, მადლობა ღმერთს, დავისვენე. ეს გავიფიქრე და ვხედაე, დღის სინათლეა, თვალები თავისით გამხელია, მე არაფერი ვიცოდი — მან თვალი გაახილა, არავისთვის შეუხედავს, აცალა მზეზე მიჩვევა, — აი, ასეთი სინათლე იყო, კიდევ უფრო ნათელი, ვიფიქრე, ნეტა ვინ მაჯავრებს-მეთქი ნათელი დღით? მერე თქვენ დაგინახეთ და უფრო მეტად ვერ დავიჯერე, რაა ვიფიქრებდი, თუ ყველა აქ იქნებოდით, მხოლოდ ტანჩორა გაკლიათ... ვწევარ და ვფიქრობ: „ალბათ ადამიანს სიკვდილის შემდეგ უკანასკნელი აზარული ევლინება, უკანასკნელად მოავლება ხოლმე თვალს, რაც მიწაზე დატოვა, რაზეც შესტაიოდა გული.“

— ყოჩაღ, დედა, — მხარული გაოცებით გადაიქნია ილიამ თავი, ჯერ სიტყვას ვერ ამბობდი, ახლა კი ალაპარაკე კადეც.

— მართლაც, დედა, ბევრს ნუ ილაპარაკებ, — ისევ გაათრთხილა ლუსიამ, — მაგრამ ხმაში წინანდელი სიმტკიცე აღარ ეტყობოდა, თითქოს დაეფრთხო რაღაცას.

— არა, თუ შეუძლია, ილაპარაკოა, ასე იმიტომ ვთქვი, რომ მალე გამო-შიშაქდა, როგორც ზღაპარში. ჰო.

— თქვენი ბრალია, — უბრალოდ განუმარტა დედაბერმა, — თქვენ მაი-ოულეთ, უკვე იქ ვიყავი, იქ, ვიცი, ჩამოხვედით და დავბრუნდი. მკედარი თუ ცოცხალი, მაგრამ მაინც უკან მოვბრუნდი. — ხმა წვრილ, წყვეტილ საფად იწელებოდა და ხან იკარგებოდა, ხან ისევ ჩნდებოდა, — ღმერთი დამეხმარა, მან მომცა ძალა, ადამიანს დაემსგავსებოდი, რათა ჩემი არ შეგშინებოდათ და ჩემს გვერდით შეგძლებოდათ ჯდომა.

— უცნაურად ლაპარაკობ, დედა.

— შვილების ნახვით რომელ დედას არ შეემატება ძალა? თანაც ამდენ

ბაბა, აუ არ ხახავს. მეც აბაიღა. — თქვა ბუბა. — უკმა-
სუნელად. ხელ-ფეხს მოვტაცებ უკანასკნელ ძალას და ხმას მივუმატებ. ხმა
თავისით ამოდის, უჩემოდ. მე ვიწყებ, მერე კი თავისით ამოდის, ვიდრე არ
დაიღლება. დაწყებაა ძნელი. თითქოს ჯერ მთაზე უნდა ახტე. სუნთქვაც მე-
ვრის. აი, ახლაც, მოიცადეთ.

ისვენებდა და დიდხანს უცქეროდა მზეშიმდგარ კედელს, რომელსაც
ქაფქაფის შემდეგ სხივი დალბილდა და გამოიკვეთა. დღისმკვირვარებზე თან-
დათანობით ღრმა და ნათელი, საღამოსაპირისეული სიმშვიდე დაიღვარა, რომე-
ლსაც მოხუცები უკეთ შეიგრძნობენ ხოლმე. თითქოს საკუთარი თავი გადაა-
ვიწყდა. შვილებიც, ველარაფერს შეიგრძნობდა. სუნთქვასაც კი და მაინც.
რადაც უცხო ძალით სუნთქავდა, მხოლოდ და მხოლოდ კედელზე აკრულ მზის
ლაქას ხედავდა, თუმცა ეს ლაქაც ფართოვდებოდა. თავისთავად ეღვრებოდა
ღია თვალებში და მიწაზე აკავებდა — მაინც ცოცხლობდა. ცოცხლობდა უფ-
რო ცხადად, ფხიზლად და სიცოცხლისათვის კი აღარ იბრძოდა. მისი ალერ-
სიანი კალთის ქვეშ იყო შეყუჩებული.

შვილები ელოდნენ, წასვლა არ შეიძლებოდა, ლაპარაკიც ეჩოთირებო-
დათ — ისინი დედას ელოდნენ, როგორც მან უბრძანათ და კდილობდნენ ერ-
თმანეთისათვის არ შეეხედათ.

— ახლაც ვილაცას ვყევარ ატატებული, — თქვა მან უმისამართოდ, —
თითქოს ჰაერში ვკიდივარ, არ მეშინია — ასე უნდა იყოს.

ერთ ხანს ისევ უძრავად იყო, დუმდა, შემდეგ გონს მოეგო. ქანცგაღებული
თვალები დაეხუჭა, სახეზე ადამიანისათვის ჩვეული მოთმინება აესახა, მაგრამ
შვილებს დანახვისთანავე მშვიდ, თბილ სიხარულად ექცა. და კვლავ ველარ
ირწმუნა დედაბერმა, ფრთხილად შეეკითხა ლუსიას:

— როდის ჩამოხვედით?

— მე და ილია გუშინ საღამოს.

დედაბერმა მაშინვე არ თქვა, შეიცადა:

— საჩუქარი არ ჩამომიტანეთ?

— გვეჩქარებოდა, დედა, დრო აღარ იყო. — დაიბნა ლუსია, — ძლივს
მოვასწარიტ, ნაპირზე სარბილით მივედიტ.

— მე რაღა მჭირდება, — თქვა დედაბერმა, — ნინკასთვის მინდოდა, ჩე-
ნი ძვირფასისათვის, — მან ვარვარას გვერდით ატუზული ნინკასაკენ გაიწე-
დინა ხელი, მაგრამ ვერ მისწვდა — ბავშვი შიშით გაერიდა. დედაბერს არ
სწყენია, — ჩემოდანში ვუნახავ და მერე თითო-თითოა ვაიღევ ხოლმე. მეც
მიხარია და მასაც. ამან უკვე იცნოა, წამდაუწუმ მომიჩოჩდება: „მოდო, ბე-
ბიკო, ჩემოდანში ჩავიხედოტ, რა აწყვილო“, მე კი ვპასუხობ: „არაფერი“. მაინც თავისას იყინებს, მე თითქოს ვერ ვხვდები, ვეთამაშები. მაგით მიდგას
სული, გვერდიდან არ მშორდება. დაველაპარაკები და გულზე მომეშვება ხო-
ლმე.

— დილიტ მაღაზიაში გავიქცევი და რამეს ვუყიდი, — შეპირდა ლუსია.

— არაფერი არ სჭირდება, — დაირცხვინა ნადიამ, — მშიერიკა თუ რა?
ნიაჩვია და ესეც დაძვრება, ცელქია.

— წადი, წადი, — უთხრა დედაბერმა, — ცოტა მიეცი, დანარჩენს კი მე
შევიწახავ. ვითომ მე ვჩუქნი. ამ ბოლოს მაინც გამოვკვებავ.

ლუსიას გაახსენდა:

— დედა, ყურძენი რომ გამოგიგზავნე, ჰამე?

— ია მწვანე მტევნები?

— ჰო, ყურძენი ჰქვია.

— ეშმაკსაც წაუღია. შიგ ყურეები ჰქონია, მაგის მოთმინება ^{მად} მქონდა, ნინკას ვაჭამე, პირდაპირ, ყურეებიანად ახრამუნებდა. ჰამეს თუ ვინმეს მოსწონს-მეთქი. მე რად მინდოდა? აღარაფერი მინდა, ლუსია, ხედავ, ლუსია, ^{მეტი} სიხარული გამოგიგზავნა, აიკვდილის წინ თქვენი თავი მანახა, განა არ მესმის?

იგი კვლავ ატირდა — უცრემლო, მშვიდი და გულისმომფთონავი ტირილით — და მალევე დადუმდა, მშრალი თვალები ამოიწმინდა.

— არა უშავს, დედა, არა უშავს, — უთხრა ლუსიამ, — ახლა გამოკეთ-დები და ყველაფერი კარგად იქნება.

დედაბერს არ უპასუხია, იგი კვლავ უმზერდა კედელზე შერჩენილ მზეს, შემოდგომის ბუზები რომ ეხუხებოდნენ და მთელს მის არსებაში იმგვარი მო-ნუსხული და არაადამიანური მზვარობა იყო, თითქოს მას ეწერა იმის დანახვა და დახსომება, რასაც აწ ველარავინ ჩააწვდებოდა. ქოხში ყოველივე მიყუჩდა, არც ქუჩიდან ისმოდა ჩამიჩუმში. კიდევ კარგი, ამჯერად მაინც ცოტა ხანს დუმ-და და ნათელდაფრქვეული ფარულის გამმხელელი ხმით, რომელიც თითქოს მის დაუხმარებლად ამოდიოდა — კედლიდანაც არ მოუშორებია მზერა — თქვა:

— გუშინ შენი მოთქმა მესმოდა, ვარვარა. შენი ხმა იყო, შენი — მახ-სოვს. მაშინ გავიფიქრე, ალბათ მოგკვდი და დამტირის-მეთქი. ვიდრე გონს ვიყავი, ხშირად მიფიქრია, მოგკვდები, ჩამოვა ჩემი ვარვარა, შემიცხადებს და ესეც მეყოფა-მეთქი. შენი იმედი მქონდა, გავიგონე, ტიროდი. ჰოდა, მე-გონა სიკვდილში ჩამეამოდა, სხვა რაღა უნდა ყოფილიყო?

ვარვარას ენა ჩაუვარდა, პირი დააღო და დედას თავი დაუქნია — ხმა ვერ დაძრა, ველარც ატირდა. ილია მიხეილს მიუახლოვდა და გაოცებულმა ჩასჩუ-ჩულა:

— უცნაური დედა გვყავს, არა?

— ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს ესმით იმათ, — განაგრძო დედაბერმა, — ვინ იცის? არავინ. თვალებს უხუჭავენ, ყურებს ხომ არა.

— რაზე ლაპარაკობ, დედა? — ხმამაღლა ჰკითხა ილიამ. — რაზე?

— რაზე? — დედაბერმა ხმით მიაგნო ილიას და ვერ უპასუხა, დაირცხვი-ნა, — თქვენი ნახვის სიხარულმა თავგზა ამიზნია, ვბოდავ რაღაცას. არ გა-მიბრაზდეთ, ბებერს, მთლად გამოვპრუტუნდი.

— რას ამბობ, დედა! გგონია არ გვიხარია შენი გამომჩობინება? ოღონდ ახლა სწრაფად გამოკეთდი. ნათესავებს ვესტუმროთ, შინ რა დაგვრჩენია! ერ-თად წავიდეთ სტუმრად, თუ შენით ვერ წამოხვალ, ხელში აგიყვანთ, იცოც-ხლე, ბებერი გყავს, ვინც ხელით გატარებს.

— დალიე, — ფაფით სავსე ჭიქა მიაწოდა ლუსიამ, — ახლა შეიძლება, აუჭი უკვე მოქმედებს, მოერევა.

დედაბერმა თავის წამოწევა სცადა, ლუსია მიეხმარა. ამჯერად უფრო მე-ტი მოსვა, სული მოითქვა და თავადვე გაიკვირვა:

— დახე, თითქოს უძირო ორმოში ჩაიღვარა.

— ახლა უკეთ გახდები, მერე კიდევ დალევა.

— ვაიმე, მეტი აღარ ჩამეტევა.

— არა უშავს, არა უშავს, ჩაგეტევა.

— ტანჩორამ მაინც მომისწროს, — საბრალოდ დაიჩივლა დედაბერმა, — ნეტა ასე რად დაიგვიანა? რამე ხო არ შეემთხვა?

— ჩამოვა, დედა, ნუ ნერვიულობ. შორი გზა აქვს, აუცილებლად ჩამოვა. დედაბერმა ითხოვა:

— ჯერ ნუ წახვალთ, ცოტა ხანს იყავით ჩემთან. ~~ტანჩორამ ჩამოვა და~~ ~~აღარ დაგაკავებთ, დიდხანს მაინც ვერ დარჩებით.~~ გინგლირთქვა

— ჯერ არც ვაპირებთ წასვლას.

— იყავით. მე თავს არ შეგაწყენთ, ჩუმად ვიწვები. დიდი ხანია არ მინახიხართ და ახლა იმიტომ გავიკრიფე ენად, სიხარულით თავგზა ამეზნა. მერე ხმას აღარ ამოვიღებ, თქვენ თქვენი საქმე აკეთეთ, რაც მოგეწონებათ, მე კი დღეში ორჯერ დაგინახავთ და ესეც მეყოფა.

— რას ჰქვია „მობეზრება“ და „ხმას აღარ ამოვიღებ“? — უსაყვედურა ლუსიამ. — როგორ არ გრცხვენია, დედა! რეებს იგონებ? გაიგე, ჩვენთან თავის მართლება არ გჭირდება.

— ასე ნუ ლაპარაკობ, დედა, — სიტყვა მიაშველა ვარვარამ, — ასე ნუ ლაპარაკობ, თორემ ავტირდები.

ილიამაც ველარ გაუძლო:

— დედა, დედა...

დედაბერი ნეტარებაში ჩაყუჩდა, მაგრამ სიხარული ვერ დაიტია.

— რა ბედნიერებაა, თვალს გავახელ, თქვენც აქვე ხართ, ჩემს გვერდით. ახლა ფრთებს გავშლიდი, ჩიტოვით გავფრინდებოდი და ყველას მოვუყვებოდი... ღმერთო...

დღე თანდათან ილეოდა, მაგრამ ქოხში შუქი და ნათელი იდგა: მკვეთრი, გადაწვერილი მზე დედაბრის თავით ფანჯარაში იჭრებოდა, ახლა იგი ქერამდე აღწევდა და მაღლიდან ხელახალი ნათელით იღვრებოდა. აქ ყველაფერი ახლობელი და ნაცნობი იყო და ყველაფერი თითქოს დედაშივე ხშიანდებოდა: მასთან ერთად იწყებდა ლაპარაკს თუ დუმდებოდა, შვილებს ალერსიანი, დაჟინებული სიამაყით აკვირდებოდა, ჩუმ, უსაჩინო ყურადღებით პასუხობდა. დაუჯერებელი იყო, რომ ეს ქოხი დედაბერზე მეტ ხანს იცოცხლებდა და მის შემდეგაც იდგებოდა — ორივეს ერთად უკვე მიეწიათ უკანასკნელ ზღვრამდე და მხოლოდ ერთმანეთის წყალობით იდგნენ ფეხზე. იატაკზე ფრთხილად უნდა დაგებიყებინა, რომ დედას არ ტყენოდა, ხოლო შვილების ნათქვამი ქოხის კუთხე-კუნჭულებში იწრიტებოდა.

ჰაერიც იგივე იყო — ბავშვობისდროინდელი, იგი წლების მიღმა იტყუებდა და იზიდავდა შვილებს, მაგრამ დედაბერივით აღარც მას ჰყოფნიდა ძალა.

ფანჯრები დაწეულიყო, სარკმლებად ქცეულიყო. კარში გასასვლელადაც თავი უნდა მოგედრიკა. უცნაური და უჩვეულო ჩანდა შეუბათქაშებელი, კოჭებგადმოყრილი კედლები, ქერის კოჭზე ძველებურად ქანობდა დღემუდამ დაკავებული აკვნის რგოლი — ერთი თუ წამოდგებოდა, მეორეს ჩააწვენდნენ.

მარჯვენა კუთხეში, სახატეზე ახლა ლამპას დგამდნენ. წუხელ ლამპა გამოადგათ, სხვა დროს კი თვეობით იდგა და თვალდახრილი დედაბერი მის წინაშე იწერდა პირჯვარს. უფრო მარჯვნივ, ფანჯრის სიახლოვეს პლაკატი ეკიდდა, შარშანწინ სატყეოდან რომ მოიტანეს: მხარზე ნიჩაბგადებული ბიჭი ტყე-

ში მიდიოდა. ქვევით ეწერა: „დარგე მეტი ხეები, უფრო დიდხანს იცოცხლებ“. თავდაპირველად ტყე მწვანე იყო, თუმცა ბუხებმა სწრაფად გააყვითლეს, მაგრამ სურათს მიჩვეოდნენ და კედლიდან აღარ ხსნიდნენ.

დედაბერი აწ უკვე მშვიდად უცქერდა შვილებს, უკვე ირწმუნა, რომ უეცრად, თვალსა და ხელს შუა არ გაუქრებოდნენ, უფრო დაუძრავლად ცლაპარაკობდა, შეუქირვებლად და სწრაფად პოულობდა საჭირო საგნებს. ლაპარაკი ჯერ კიდევ ღლიდა, მაგრამ უკვე უფრო თბილდებოდა. თანდათან კი ისე იყო ისვენებდა, ხელახლა მიეჩვია ძალის გადანახვას და არსებულზე აღარ იხარჯებოდა.

ნათელი საღამო ილეოდა ქოხში და არა მარტო ქოხში — ყველგან იცრიებოდა.

ლუსიამ საბანი გაუსწორა დედას, ფეხებთან ამოუყვია და უეცრად დაიყვირა:

— მიხეილ, მოდი ერთი აქ.

— რა იყო?

დედაბერი დაიბნა და დამფრთხალმა მორცხვად მოკუნტა ფეხები.

— დახედე ერთი, — სახე აემღვრა ლუსიას.

— სად?

— აი აქ, აქ.

— მერე რა?

— როგორ თუ „მერე რა?“ მეკითხები კიდევ? ვერა ხედავ, რა ზეწარზე გიწევთ დედა? შავია ლამის. ალბათ მთელი წელი არ გამოგიცვლიათ. განა შეიძლება ავადმყოფი და სუსტი ადამიანი, დედაშენი, ასეთ ზეწარზე იწვეს? როგორ არა გრცხვენია?

— მე რას მარცხვენ, რა ზეწარების უსტაბაში მნახე?

— ერთხელ მაინც დაგებედა! გეთქვა გაერეცხათ, ეგ ხომ შეგეძლო? გაგიჭირდებოდა? თუ არც გენალვლება, რა პირობებში იმყოფება დედაშენი? შენა ხარ აქ უფროსი.

ლუსია ვერ ხედავდა, როგორ დაიბნა და აქარხლდა ნადია.

— ლუსია! ლუსია! — ძლივს გააჩერა არაქათგამოცლილმა დედაბერმა და ხელი ჩაიქნია, — სიქა გამწყდა ყვირილით, მე რატო არაფერს მეკითხები. ზეწარების დროა ახლა? ან რა ოხრად მინდა თეთრი ზეწარი. მთელი სიცოცხლე უზეწაროდ მეძინა და არ მომცვდარვარ. ეგ ახლა მოიგონეთ: თეთრს იფენთ ქვეშ. აბა, რეცხე ერთი, რა გასარეცხია — ხელები დაგაწყდება.

— დედა, მე ახლა მიხეილს ველაპარაკები და არა შენ.

— მიხეილი რად გინდა. მე გეუბნები, შენ კი მაინც შენსას გაიძახი. ხომ ხედავ, ძალა აღარა მაქვს, ხმას ვერ ვუმაღლებ. ნადიამ თავი გადამჭამა ზეწარებით. მოდი, გამოგიცვლი და გამოგიცვლიო. ვერ მოვიშორე. ვწევარ და ვიწვები ასე, განძრევა მეზარება. მოვკვდები, გაპატიოსნება ეყოფათ, კუბოში ისე ხომ არ ჩამაწვენენ.

— ისევ მაგაზე დაიწყე ლაპარაკი?

— ესეც უარესი, მაგაზეო, ამბობ, — დედაბერი ნაწყენი დადუმდა, მაგრამ დიდხანს ვეღარ გაუიღო, — გული გამიხეთქე, ახლაც მაქანკალებს, ვიფიქრე, რა დაინახა, რამე ხომ არ შემემთხვა-მეთქი. რაღა მომეთხოვება? პატარა ბავშვივითა ვარ, თავი აღარ მახსოვს.

— ამაგიეროდ, შენს ვაჟს უნდა ახსოვდეს თავი და შენც. — დაიჭინა ლუსიამ, — ამოტომაა ვაჟიშვილი. ვერ გამიგია, დედა ჭუჭყში რატომ უნდა იწვეა? არც არავის ენაღვლება, თითქოს ასეა საჭირო. საზიზღოვრობა.

ნადია, ამ ხნის მანძილზე უსიტყვოდ რომ იდგა, კედელს მოსცილდა და ოთახიდან გავიდა. მიხეილმა უხერხული დუმილი დაარღვევა.

— რა ზეწრები აგიტყდა?

გინგლიქიშქა

— ნადიას გასაგონად მაინც არ გეთქვა. — თავი გადააქნია დედაბერმა, — რა მისი ბრალაა, რამდენჯერ მთხოვა. მე კი განძრევა მეზარება, მეზარება და მეშინია კედელი.

— მისთვის ხომ არაფერი მითქვამა.

— მაინც მას ეხებოდა, ნადია მივლია, მიხეილი ხომ არა.

ვარკარამ ამოიოხრა:

— ვა-ი, არ ვიცი, რა ეთქვა.

— არ იცი და ჩუმად იყავი, — ჩაიციხა ილიამ, — იშოვა რაღა საეიშვიშო.

— შენ არაფერს გეუბნები.

— არც მე.

უსიამოვნო საუბრის გააქარწყლებლად, დედაბერმა იკითხა:

— ვიდრე უგონოდ ვიყავი, მირონიხა ხომ არ მოსულა ანახავად?

— მგონი არა, — უპასუხა მიხეილმა.

— მოიბრუნს, როგორც კი გაიგებს, რომ გამოვრჩი, მოიბრუნს. რაღაცაა მომიყვება. უმაგისოდ რა გამათრევენებდა ამ ცხოვრებას. ახლაც დაველაპარაკები და გუნება გამომიკეთდება ხოლმე. მოიბრუნს, აუცილებლად მოიბრუნს, — თავს იქნევდა დედაბერი, — მეტყვის: „გოგო, რატომ დაგივიწყა სიკვდილმა?“ რა ენაკვიმატიც იყო, იაეთივე დარჩა. ერთი გახედე, კარი ღია აქვს? ფანჯრიდან ჩანს.

ვარვარა წამოიწია, რაფას გადაეყრდნო.

— არა, თითქოს ჩარაზულია.

— სადმე გაქანდებოდა. მაგას ადგილზე რა გააჩერება, სულ აქეთ-იქით დარბის. ირბინოს, ვიდრე ჩანი ერჩის, მოასწრებს წოლას. მეც ავედევნებოდი, მაგრამ სადღა შემძლია... დავამთავრე სირბილი...

— დედა, — სიტყვა შეაწყვეტინა ილიამ და მიხეილს ჩაუკრა თვალი, — წინააღმდეგი ხომ არ იქნები მე და მიხეილმა შენი გამომგობინების სადღეგრძელო რომ დავლიოთ?

— ეჰ, ეაცებო, ეაცებო, — აქოთქოთდა ვარვარა, — ისე რა გაგაძლებინებო.

— რა გაგვაძლებინებს, პო, — გულღია ღიმილით დაეთანხმა ილია.

— დალიეთ თუ გინდა, — ნება დართო დედაბერმა, — ოღონდ აქ არა. აუნი არ მსიამოვნება.

— კი ბატონო, შეგვიძლია წავიდეთ. ჩვენ ხომ შენი სადღეგრძელო გვინდა დავლიოთ, რომ აღარ იავადმყოფო, პო.

— თუ გინდათ, უწმინდური ძალა ადღეგრძელებთ, იმას უფრო ჭკუაში დაუჯდება.

— იტყვი, რაღა, უწმინდური ძალა...

— სწორედაც, ან რა სიამოვნებას ნახულობთ? ოქროში რომ ჩამსვან, პირთანაც ვერ მივიკარებ. ესენი კი ფუფუსაც ანელევენ, თითქოს უარს თუ გეტ-

ყოფით, დამიჯერებდით... რა ჩარაა... თუ გინდათ, დალიეთ, ოღონდ არ დათვრეთ. შენ არ მინახიხარ ნასვამი, მიხეილი კი ძნელი ასატანია. საცოდავი ნადია, სად დამალოა ხოლმე, აღარ იცის.

გამხიარულებულ მიხეილს არ აწყენია.

— დედა, ახლა შენ ყველა ძაღლს მე მომისევ.

— ტყუილი როდის მითქვამს.

— ნუ გეფიქრება, დედა, ცოტას დავლევთ, მაღისათვის.

— ნადიაზე სამდურავი არ მეთქმის, — კაცების წასვლის შემდეგ განაგრძო დედაბერმა, — იგი ლუსიას უცქეროდა, თითქოს მხოლოდ მას ელაპარაკებოდა, — ეს სისხლი და ხორცია ჩემი, ის კი რძალი, მაგრამ თან მყვება. ჩემს მოვლასაც ხომ მოთმინება უნდა? ერთხელაც არ აუმაღლებია ხმა, გული არ უტყვენია და ტყუილად რად უნდა დავწამო ქალა. წყალსაც მაწვდის, სათბურსაც მივსებს. სიცივეში ეს სათბურილა მაცოცხლებს მხოლოდ, მთლად გამეყინა სისხლი — გინდა გქონია და გინდა არა.

— უფრო თბილად უნდა დაიხურო, — საქმიანად ურჩია ვარვარამ.

— მეტი რაღა უნდა დავიხურო, ნადია ისედაც მე მახმარს ყველაფერს, მამძიმებს და ფეხები მაინც მეყინება. მეც ნადიას გავძახებ ხოლმე. ან ნინკას ვაგზავნი მოსაყვანად. მოვა, წყალს გამოცხელებს და ამოვისუნთქავ. ნადიათი მიდგას აული — ააეა. ბოჭა ფხიზელს არა უჭირს, ხანდახან თუ აჯაჯლანდება ხოლმე, მაგრამ თუ დალია — მტრისას, არ გაგახარებს, ხან მე ამიხირდება, ხან ნადიას, მიწაშიც ვერ დაემალება.

— როგორ თუ აგიხირდება? — გაოცდა ლუსია.

— როგორ და ჩვეულებრივად. ფეხზე ველარ დგამ და მაინც სასმელს ითხოვს, დამალევინებო. ნადიამ საიდან გაუჩინოა, რა ფულით? მაღაზიაში აგდებს ხოლმე, წადი, იქ მუშაობ და მოგცემენო. ამ საწყალმა რაღა ქნას, დამლაგებლად მუშაობს, სასმელთან რა ხელი აქვს. იცია, განა არა, მაგრამ მაინც თავისას გაიძახის. თუ ხმის ამოღება გავბედე და, გაბოროტდება, მეცემა: წევხარ და იწეჭი შენთვის, ჩუმაღ ეგდეო. მეც სიტყვა ვერ დამიძრავს, ღმერთმა დამითაროს მაგისი სიმთვრალისაგან, მეშინია უკვე. პო, ნინკასაც ჩემთან ვიწვევ ხოლმე, როცა გადაირევა.

— აჰ, რაში ყოფილა საქმე, — თავშეკავებით ჩაილაპარაკა ლუსიამ.

— მთლად დაკარგა სიზღის-ნამუსი, — აღშფოთდა ვარვარა და კარს გახედა, — წარმოგიდგენია, მშობელ დედას ასე მოექცე.

— ანდა ლოგინზე ჩამომიჯდება „მოდი, დედა ვილაპარაკოთო“. მთვრალს რა უნდა ველაპარაკო, ჭკუა აღარ ეკითხება. „ა, ლაპარაკიც არ გნებავს, გაქმევ, გასმევ, შენ კი დალაპარაკებასაც არ კადრულობ?“ რატო არ ვკადრულობ. მოდი, შე დალოცვილო, ფხიზელი და მელაპარაკე რამდენიც გინდა. ოჰ, სულს ამოგზდის...

— მე მაგას ვუჩვენებ სეირს, — შეპირდა ლუსია, — მოველაპარაკები, ბოლოს და ბოლოს რა ხდება? ეგლა გვაკლია, ლუკმა დაგამადლოს...

— მთვრალს ნურაფერს ეტყვი, არ ღირს, ვერც გაიგებს და უფრო გაბოროტდება, ცუდი სიმთვრალე აქვს, ცუდი. მერე გამოფხიზლდება და ისევ არა უშავს. სასმელი რომ არ აგიყებდეს, სულ სხვა კაცი იქნებოდა. არაყი ღუბავს.

— პოდა, არ უნდა სვამ, — თქვა ვარვარამ.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

დედაბერმა მის სიტყვებს თავი დაუქნია, ამოიოხრა:

— მერე, ვინ ამბობს, სვასო? ახლა უკვე ის ითვლება ანგელოზად, ვინც სვამს და ჭკუას არ კარგავს. მთლად თუ არ ეკარება სასმელს და ხელში ატარებული უნდა ატარო, ხალხს უჩვენო: ნახეთ რა საოცრებააო. ჩვენმა თუ დაიწყო, საზღვარი აღარ იცის, უფრო კასრივითაა, რამდენადაც გინდა ასხი, ვერ ამოავსებ.

გინგლირთქვა

— რას ვიფიქრებდი, რას ვიფიქრებდი, თუ აქამდე მივიდოდა, — გაოცებას ვერ ფარავდა ლუსია.

— მივიდა და ეგ არის, — დაეთანხმა ვარვარა, — დედა ტყუილს არ იტყობდა.

— რა ძალა მადგია? — იწყინა დედაბერმა, — ტყუილად რატო დავადანაშაულებ საკუთარ შვილს.

— მეც მაგას ვამბობ: დედა ტყუილს არ იტყვის.

— ვერ გამიგია, დედა რატომ უთმენს ამდენა, — იმავე ტონით განაგრძო ლუსიამ, — მიხეილს, როგორც შეუძლია, აბუჩად იგდებს, ეს კი მაინც იცავს, „გამოფხიზლდება და ისევ არა უშავსო“. — გამოაჯავრა მან, — მაგის გამონელებას უნდა ელოდო? იმასაც მოეაწრები, შინიდან გაგაგდებს.

— არ გავუგდივარ — ცილს რად სწამებთ.

— თუ ყველაფერი აპატიე, კარშიც გაგაგდებს, არც ეგ არის შორს.

— ჩვენს გვარში დედა არავის გაუგდია.

— არც შენი შვილივით მოქცეულა არავინ.

— არავინ, არავინ, — დაეთანხმა ვარვარა, — რაც თავი მახსოვს, ეგეთი არა გვეყოლია, ეგ პირველია.

— თქვენ ბრძობთ, — დუმილის შემდეგ ჩუმად დაიწყო დედაბერმა, — ახლა ბრძობთ, აბა, ჩემთან გეცხოვრათ. განა არ მესმის, რა ძნელი ასატანი ვარ? ხან რა მჭირდება და ხან რა. ზველა ამიტყდება და თვალთ მიბნელებს, გარეთ ვერ გავდივარ, რაღა სისუფთავეს ითხოვთ? რა ხანია სიკვდილს მივუკაკუნე, დროა. მეც ვიტანჯები და სხვებსაც ვტანჯავ, რა ვქნა, აღარც იმას ვუნდივარ. სიკვდილს ვერ დაასწრებ. ფხიზელი ითმენს, არაფერს ამბობს, მთვრალს კი აბა, რაღა ჭკუა მოეთხოვება. ჯერ მეწყინება ხოლმე, მერე დავფიქრებდი: რატო გწყინს, ვისგან? რახან ცას გამოეკიდე, უნდა მოითმინო კიდევ. ღმერთი ითმენდა და ჩვენც ეგ დაგვიბარა, — დედაბერმა სული მოითქვა და თითქოს უფრო თავისუფლად ალაპარაკდა, — ნურაფერს ეტყვი, აცადეთ. მეც წყნარად მინდა სიკვდილი, აღარ გამიჭირდება. აბა, როგორ გგონიათ? ჩემი გულისათვის ნურც ერთმანეთს წაეკიდებით, ხატრი შენინახეთ. მე მოვკვდები, თქვენ კი უნდა იცოცხლოთ და იცოცხლოთ. ერთმანეთს ესტუმრებით ხოლმე, უცხოები ხომ არა ხართ, ერთი სისხლი გიდგათ. ოღონდ ხშირ-ხშირად მოინახულეთ ერთმანეთი, და-ძმა ხართ... სოფელშიც ჩამოდით ხოლმე, აქ არის თქვენი ფუძე. მეც აქ დაგხვდებით, არსად წავალ. საფლავთან ჩამომისხედით, მე კი რითიმე განიშნებთ, რომ გიგრძენით, ჩიტს გამოვგზავნი ამბის მოსატანად.

ოთახში უჩუმრად შემოვიდა ნადია, შეეშინდა ხელი არ შეეშალა და დედაბრის საწოლის უკან, კარში შედგა. ნადია დაინახეს, შებრუნდნენ, იგი მაგიდას მიუახლოვდა, სკამზე ჩამოჯდა და მუშაობით დაქანცული ხელები მუხლებზე დაიწყო. წამიერად იცვლებოდა: მუშაობაში ცეცხლივით იყო, დაჯდებოდა

და — გაიტრუნებოდა, თითქოს ჩაეძინაო, ღიად დარჩენილი თვალები კი მზარად უდგანან და საცაა აუწყებენ — გაიტყეცო.

— საქმეა მორჩი? — საუბარში ჩააბა დედამთილმა.

— ჰო, ძროხას გავდენი და მორჩა.

— კაცები არ გინახავს?

— აბანოში არიან.

— ნეტავ არ დათვრებოდეს.

— სტუმართან იქნებ შეიკავოს კიდევ თავი.

— მარტო ხო არ არის, სტუმარიც იქ არა ჰყავს?

ნადიამ ბოლოს თქვა რისთვისაც იყო მოსული.

— აქ ვიფახშმოთ, თუ სამზარეულოში, ვახშამი გავამზადე უკვე.

— აქ დასხედით. — გამოეხმიანა დედაბერი, — მარტო ხო არ დაგორჩები? მაგასაც მოვესწრები.

— მაშინ შეუქს ჩავრთავ.

— ჩართე მერე, ვინ დაგიშალა, საბნელეში როგორ შექამთ.

— კაცებს დავუძახო?

— აბა, უწმინდური ძალა ხო არ დაანაყრებდათ? — სერიოზულად თქვა დედაბერმა. — სხვა არაფერი აქვთ. სასმელი როდის იყო აქაა აძლობდა. გასაძახე და თვითონ იცოიან.

— ვიფიქრე, იქნებ მერე ისურვონ-მეთქი.

— საწვალეებელს რატო იხდი? არ გეყო, მთელი დღე გაწყდი წელში.

— მეც მოგეჩმარები. — წამოიწია ლუსია, იგი თავს უხერხულად გოდობდა ზეწრების გამო და ცდილობდა გამოესყიდა დანაშაული.

— ბრძანდებოდეთ, ბრძანდებოდეთ, მე თვითონ გავშლი, ჯერ შევათბობ, ალბათ გაცოვდებოდა უკვე, ახლავე.

ლუსია დარჩა.

ჭოხში დაბრუნდნენ ერთნაირად ლოყებადღაყებულნი კაცები და ეგებ ამის გამო, ახლა ძალზე ჰგვანდნენ ერთმანეთს. უცხო თვალიც კი მიხვდებოდა, რომ ძნები იყვნენ: ორივეს ერთნაირად ჰქონდათ ყვრიმალეები ამოჩრილი და ერთნაირი გაბარჯილი და ხშირი წარბები უმშვენებდათ შუბლს, ორივეს კისრებზე აწითლებოდათ, ილიას აიხლი მოაწოლოდა მოტვლებილ თავზე და გავარვარებულს მიუგავდა.

ძმები ხმაურით მიუსხდნენ მაგიდას, მიხეილმა ხმამალა იეითხა:

— შენი საქმეები როგორაა, დედა?

— რა საქმეები? — დაეკითხა ილია, აბანოში ერთმანეთთან საუბარს მიჩვეოდნენ. — ყოჩალი დედა გვყავს, სიკვდილი მოატყუა და ეგ არის.

— სიკვდილს ვერ მოატყუებ. — დედაბერი უდრტვინველი საყვედურით უცქერდა მათ და პასუხიც მაშინვე არ უთქვამს.

— მოატყუე, დედა, მოატყუე, ნუ უარობ. კარგადაც მოიქეცი. შენს გარდა სხვა ვერავინ მოკვდება? მოიძებნებიან — ჰო, კეთილ ხალხს რა გამოლევს.

— მართალია. — გადაიხარხარა მიხეილმა.

— შენ კი, უსინდისო, გირჩევნია, ხმას ნუ იღებ, — დადარაჯებულივით ეცა ვარვარო.

— რა მოხდა? — ილიამ ხუმრობად მიიჩნია ვარვარას სიტყვები.

— უსირცხვილო! — ისევ წამოიძახა ვარვარამ და დასახმარებლად ლუსისაკენ გაიხედა, ლუსიაც იძულებული შეიქნა, საუბარი გაეგრძელებინა.

— შენს ადგილას, მიხეილ, მართლაც გავჩუმდებოდი, — იგეგმებ-მე-მედ წარმოთქვამდა სიტყვებს და თვალთ ბურღავდა მიხეილს, — შენი საქციელი მართლაც ყოველგვარ საზღვარს სცილდება. კარგად დაიხსომე: დედას არავის დაგაჩაგვრინებთ და არავის მივცემთ დაცინვის უფლებას!

— თქვენ რა, ლენცოფა ხომ არ გიჭამიათ. ვინ დასცინის?

— შე-ენ!

— მე? საინტერესოა, მაინც როგორ? ბარემ თქვი, თუ დაიწყე,

— ლუსია, ლუსია, — შეევედრა დედაბერი, — რატო ხარ ეგეთი? აქი ღმერთი და ხატი დაგაფიცე. ნუ კინკლაობთ, მე მაინც შემობრალეთ.

— არა, დააცადე, თქვას.

— ჯარგი, დედა, ახლა არაფერს ვეტყვი, — უწადილოდ დაუთმო ლუსიამ. — ისე კი, დაიხსომე, მიხეილ, ლაპარაკი არ დაგვიმთავრებია.

— ერთი ამათ დამიხედეთ, — ილიას შესჩივლა მიხეილმა, — როგორ მეც-ნენ. მკვიდრი დები ჰქვიათ.

— ამაზე მოგვიანებით ვილაპარაკებთ, — შეპირდა ლუსია.

— ნუ მაშინებ, შენი არავის ეშინია.

— დედას არ უნდა აწყენინო, — თქვა ილიამ, — როგორ შეიძლება.

მიხეილი ძმას არ შეკამათებია.

— მართალია, დედის წყენინება არ შეიძლება, ცოდვია. უნდა გავუფრთხილდეთ.

— დედამ სიცოცხლე გვაჩუქა.

— ეგეც მართალია, — მიხეილს სიმთვრალისაგან ცრემლები მოერია, — ყველაფერი მესმის, ამათზე მეტი მესმის, — დებისაკენ გადაიქნია თავი, — იცო, რატომ დამესიენ? გულს ასკდებიან, დებეშები დავუგზავნე, ჩამოვიყვანე, დედამ კი სიკვდილი გადაიფიქრა. ტყუილად ჩამოვიყვანე, თითქოს გავაცურე, გეს-მი-ს.

— ფიქრობ რას ამბობ, თუ უკვე მთლად გამოგელია ჰკუა? — გაწიწმა-ტდა ლუსია, — როგორ არ გრცხვენია?

— მიხეილ, ასეც არ შეიძლება, — ისევ დატუქსა ილიამ.

— თუ არ შეიძლება, არ ვიტყვი, — დაეთანხმა მიხეილი, — ჩემზე უფროსი ხარ, პატივი უნდა გცე.

— ეგ არ არის მთავარი.

— მესმის: ეგ არ არის მთავარი.

ნადია შემოვიდა: წვნიანი დაასხა. მაინც ორჯერად მოუწიათ, ჯერ კაცებმა ივანეშმეს და მხოლოდ ამის შემდეგ დასხდნენ ვარვარა და ლუსია. დედაბერს იმავე ტიქაში დაუსხეს ბულიონი. ზმას არავინ იღებდა.

კაცებმა სახატიდან ლამპა ჩამოიღეს და წავიდნენ. დედაბერმა ოხვრა გააყოლა:

— ნუთუ არ გამოელიათ? ეს რაღა უბედურებაა? ღმერთო, დაიფარე და შეიწყალე. რას სჩადიან! რას სჩადიან?!

და ევლავ იხილა დედებერმა დილა.

დიდხანს იწვა თვალეზგახელილი, ერთადერთი გადაწყვეტილებით ელოდა შუქს, როგორც კი იცრიატებდა — წამოძვრარყო — მთლად გაღატაკდა გა-
 ძვალტყავებული ზურგი და გვერდები — მაგრამ ნათელი გრძელყოფის წინ
 იცის ხოლმე, სადღაც გადავარგულიყო, აიბნელები კი განბრუნისაც ეშინოდა,
 ხომ შეიძლებოდა წაქცეულიყო და ვერც დაიყვირებდა. როგორც იქნა, აღმო-
 სავლეთისკენ მიჰყვებულ სარკმელში უკუნი გაფერძკრთაღდა, თვალეზმა შუქი
 გაარჩია, შემდეგ მეორე სარკმელიც გამოიკვეთა და ნადრევი, ცივი, მზეს
 დასწრებული რიყრაფი დაიღვარა ეზოში.

დედაბერი შუქის მომძლავრებას დაელოდა, ლუსიას გახედა, შეამოწმა, ეძინა თუ არა, საათუმლიაავენ აიჩოჩა, ერთ ხანს შეისვენა, ფრთხილად უბიძ-
 გა ფეხებს და იატაკზე ჩამოუშვა. თავბრუსხვევა იგრძნო, ხელებით საწოლს
 ჩაეჭიდა, ღმერთმა ნუ ქნას, პირქვე გადმოშხობილიყო, ასე შეკავდა, თავადვე
 გაუყვირდა და თავი დაიქნია: საოკარია, სადღა აქვს საჯდომი, ცარიელი ძვლე-
 ბია მხოლოდ და მაინც შეიძლო დაჯდომა, მერე სიგამხდრის დასაფარავად საბა-
 ნი წაიფარა ფეხებზე.

გაიხარა, წამოჯდომა რომ შეძლო. ზურგიდან, ხელებსა და ფეხებიდან ნე-
 ტარი ყრფოლით ეწრიატებოდა დიდი ხნის წოლით დაგროვილი, თითქოს გახე-
 შეშებულის სიაუსტე. თვალსაც საშველი მიეცა — მაღლა ახედვა აღარ სჭირ-
 დებოდა, პირდაპირ ეყჩირებოდა. გუშინ ლამია გადმოცვივდა კაცლები: იმდენს
 ატრიალებდა აქეთ-იქით, მერე იატაკზე დაწყობილი შიშველი ფეხები გაეთოშა
 და ქვევიდან საბანი ამოიფინა — გაუხარდა, მაშასადამე, მთლად არ გახევებია
 ფეხები, ჯერ კიდევ აღწევდა სახელი.

დილ-დილაობით ახვიც არ იჭრებოდა სახლში, მაგრამ მზის ამოსვლა
 უფანჯროდაც იგრძნო დედებერმა: თითქოს ვიღაცამ სული შეუბერაო, ისე
 ატორტმანდა, ათამაშდა ირგვლივ პაერი, ცას გახედა, ფეხშიშველა ტანტალი-
 სათვია ასხმული კიბეებით კიდოთ კიდემდე გადააარტყლულიყო სიხარულით
 გაგიჟმაყებული, ჯერ მიწაუპოვნელი მზის ახივები, იმაე წანს აითბო შეიგრი-
 ნო დედებერმა და ჩაიჩურჩულა:

— ღმერთო...

ეზოში ძროხა აბლავლდა, მაგრამ დედაბერი ნადია არ შეხმიახებია, მიე-
 ჩვიოს ადრე ადგომას, თვითონ მაინც დიდხანს ველარ იცოცხლებს ამქვეყ-
 ნად, დაძაბებით ლუსიასაც გააღვიებდა. ქალაქში გვიანობამდე სიინავთ, პოლა
 აქაც ეთინოა, რა ეჩქარება ადგომა, იგი იჯდა და უამენდა, როგორ იცვამდა ნა-
 ღია, შემდეგ კარმა აქეთ-იქით გაიჭრიალა და იაგვ დადუმდა ყველაფერი, მაგ-
 რამ დედებერმა იცოდა — ღუმელზე შედგმული, ასადუღებლად გამზადებული
 ქვაბივით საცაა აქოთქოთდებოდა სახლი.

და მართლაც, ვიღაც ატყავუნდა — ნინეა, გარეთ რა თქმა უნდა, არ გავა,
 ქოთანს კი დედებრის საწოლის ქვეშ დგას. დედაბერი გადაიხარა და ჩურჩუ-
 ლით დაუთახა ნინეას, ნამიინარევი გოგონა მოფრატუნდა, თვალდახუჭულმა
 მოისაქმა და დედებრის ლოგინში აძვრა — უწინაც ასე იყო, დილ-დილაობით
 ნინეა ბებიაათან მირბოდა ხოლმე, მაგრამ ახლა გული ყელში მოებჯინა დედა-

ბერს, ქვეყნად წილხვდომილმა ამ უკანასკნელმა სიხარულმაც რომ არ მიატო-
ვა. ნანკამ ძილ-ბურანში ჩაიბუტბუტა:

— მოვკვდები და აქ დავიძინებ.

— დაიძინე, დაიძინე, გენაცვალე, — სიხარულით ჩასჩურჩულა დედაბერ-
მა და საბანი შეუკეცა, — მალე დაზამთრდება, აქ ლუმელნი და ნახვრელნი იქ-
ნები, არაფერი გაგიჭირდება, ჩემო ძვირფასო! დიდებით შემო-სწვლავს!

სახლი ისევ მიჩუმდა, ქუჩაში კი თანდათანობით მატულობდა ხმაური.
დედაბერმა ყური მიუგდო, სცადა გამოეცნო, ვისი ძროხა ბლაოდა და რომელი
დიასახლისი ვერ შელეოდა დილისძილა. დაძაბული ელოდა, როდის აბლავლ-
დებოდა მირონიხას ძროხა, მალე, კარგად თუ მიუგდებდა ყურს, მირონიხას
წყევლასაც გაიგონებდა: ერთი ვაიუშველებელი გაჰქონდა წველის დროს, გაა-
ვებული დასჩხაოდა. ყველა-ყველა და ძროხა წველისას ადგილზე ვერ გააჩე-
რო, გაგონილა? რა ძალა ადგია სკამიანად უკან რო დასდევს და ხმას იხლეჩს?
ახლა იყიდოს, თუ თავადაც მიეჩვია უკვე?

უცნაური იყო, არც მირონიხასი და არც მიაი ძროხის ხმა არ ისმოდა,
თითქოს ორივე ერთად გადაკარგულიყო მოუსავლეთში. ნუთუ რამე შეემთხვა?
სად დაწანწალებდა გუშინ მთელ დღეს, ერთხელაც რომ არ შემოიხედა? მარ-
ტო ცხოვრობს, ვინ ჰყავს პატრონი იმ საწყალს? დედაბერმა კისერი წაიგრძე-
ლა, მირონიხას კარი რომ დაენახა, მაგრამ თვალი მხოლოდ სახურავს სწვდე-
ბოდა, საწოლიდან წამოდგომის კი ეშინოდა და ისევ ოხვრით დაეშვა ლო-
გინზე.

ქუჩაზე მიშტერებულმა დედაბერმა ველარ შენიშნა, როდის შემოვიდა ვა-
რვარა და მისმა ხმამ შეაკრთო.

— ზიხარ? — არ მოელოდა ვარვარა.

დედაბერი შიშს მოერიდა და თავი შეიქო:

— როგორც ხედავ, ვზივარ.

— შეიძლება წამოჯდომი?

— ვის გკითხო, შეიძლება თუ არა? წამოვჯექი და ვზივარ, — დედაბერს
ეწყინა, რომ ვარვარამ ვერ დაუფასა გმირობა.

— არ გადმოვარდე.

— ნუ იგონებ, რატო უნდა გადმოვვარდე? თუ გადმოვარდნა იყო, აქა-
მდე გადმოვვარდებოდი. მე კი ვზივარ.

— ალბათ, ნინკამ წამოგაგდო ლოგინიდან.

— არავის არ წამოვუგდივარ, ტყუილად ნუ ლაპარაკობ. მის მოსვლამდე
წამოვჯექი.

ნამძინარევი ვარვარა ბინდბუნდში ცუდად ხედავდა და თვალებს ჭუ-
ტავდა, თმა აბურძგვნოდა. მან მთქნარებით თქვა:

— სიზმარში რაღაც ვნახე, მაგრამ ვერ ვიხსენებ, ცუდი იყო.

— თუ არ გახსოვს, რა იცო, ცუდი იყო თუ კარგი?

— გავიღვიძე და ცუდ ხასიათზე დავდექი. აქეთ გამოვიქეცი, დედას ხომ
არაფერი შეემთხვა-მეთქი.

— ჯერ არა, — დედაბერი შეწუხდა, — თავს რომ მიხედავ, მირონიხას
შეთარე, მოინახულე. იმას ხომ არ მოუვიდა რამე? გალოკილი თითოვით მა-
რტოა, საწყალი, მოკვდება და უპატრონოდ იწვება, თვალის დამხუჭავიც არ
ჰყავს.

— რა მოკლავს?

— ღმერთო! არ იცი, რა კლივთ? დასაჯდომად ვერ მოუცლია, თავისი დღე და მოსწრება აქეთ-იქით დარბის, განა რამდენ ხანს გააღებს? დღეს არც ძროხას უბღავლია, ყურს ვუგდებდი, ჩამი-ჩუმი არ ისმის. ხან შინ მისვლამდე მთელ სოფელს ფეხზე დააყენებს, დღეს კი ხმა არ ისმის. უკუცხელო თავად ვნახულობდი, ახლა რაღა...

— წავალ.

— წადი, ნახე, უცხო ხომ არ არის, მთელი აიცოცხლე ერთად ვიყავით, ხან მე მივდიოდი მასთან, ხან ის, მასზეც შემტყივა გული.

ლუსიას ალბათ ადრევე გაეღვიძა, ვარვარაა ოთახში ყოფნისა, მაგრამ მხოლოდ მისი წასვლის შემდეგ შეირბა და თვალი გაახილა.

— გაგაღვიძეთ, — მოუბოდიშა დედაბერმა, — თუ გინდა დაიძინე ისევ, ხმას არ ამოვიღებ. ამათაც ვეტყვი, ჩუმად იარონ.

— გამოვიძინე, — ლუსიას აახე ახლაც დაწმენდილი ჰქონდა, ნაოჭები არ აჩნდა, — წუხელ კარგად მეძინა.

— სიზმარში არაფერი გინახია?

— არა.

— ვარვარამ კი მითხრა, ცუდი სიზმარი ვნახეო, არ კი ახსოვს. უკვე ვთხოვე მირონიხასთან გადასულიყო, ღმერთმა არ ქნას, იმაზე ახდეს. ტანჩორაც არა და არ ჩანს, ფიქრისაც მეშინია.

— ჩამოვა, ნუ ნერვიულობ, დღეს აუცილებლად უნდა მოვიდეს.

— გუშინაც ხომ ეგრე მეუბნებოდით, მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს, ვიფიქრე, ყველას სძინავს, ტანჩორა ჩამოვა და კარს ვინ გაუღებს-მეთქი ვწევარ და ყურს ვუგდებ. გვიანობამდე დადიოდა ხალხი, ფეხის ხმას გაგონებდი. როდის როდის ჩვენი მიხეილი მობანდალდა, დიდხანს ეცნესოდა, ოხრავდა, მერე დაწვა, ისე ხრიალებდა, თითქოს აღრჩობდა ვიღაც. სასმელი არ ასვენებდა, ალბათ ბევრი დალიეს გუშინ. დამშვიდდნენ, მადლობა ღმერთს. მერე ისევ მარტო დავრჩი, თითქოს ჩაევდა ყველაფერი. ვიწექი და საკუთარ თავს ვუსმენდი. საუკუნესავით გაიჭიმა ღამე, რა არ ვიფიქრე, დედაჩემსაც ველაპარაკე, ვუთხარი, მალე გნახავ-მეთქი. ტანჩორაც შევავედრე ღმერთს, ვთხოვე, თუ სადმე ხედავდა, გზა გაეიოლებინა. დღეს მაინც ჩამოვიდეს, თორემ შეიძლება ვეღარც მომიწეროს. ვიცი, ჩემი წილით რო აღარ ვცოცხლობ, თქვენი ხატრით დამიმატა ღმერთმა დღეები, ესეც მალე დამთავრდება, აბა, ასე ხო არ ვიქნები სულ, დამთავრდება.

აქამდე ლუსია ლოგინში იწვა, მაგრამ როგორც კი დედამ ღმერთზე დაიწყო ლაპარაკი, წამოდგა, დედაბერს გაუხარდა — ღამით მობეზრდა სიჩუმე.

— ერთი სული მქონდა, როდის გათენდებოდა — აღარ ეღირსა. ვიფიქრე, იქნებ აღარც თენდება, ღამეები ერთმანეთს გადაება და მე კი არაფერი ვიცი-მეთქი. თუმცა არა, ხალხს სძინავს, არ იღვიძებენ. მე კი გავწამდი, არც მეძინებოდა, გამოვიძინე ალბათ, მაგრამ თვალები მაინც მეხუჭებოდა. მიეჩვიენ ღამ-ღამობით დახუჭვას, რა უნდა მოეითხო. ვუძალიანდებოდი, მეშინოდა: დამეძინება და ვეღარ გავიღვიძებ-მეთქი. ძილი და სიკვდილი ხო ძმები არიან. მერე მომეყურა, მამლებმა იყივლეს, სიბნელე გაფანტეს, ძლივს ვეღირსე. როგორც კი ირრეოდა, წამოჯდომა ვცადე, ვეღარ ვუძლებდი: ძვალი და ტყავი დაფრჩი, დამეტეტა სხეული.

— ხეალ ადგები კიდეც, — ლოგინს ალაგებდა და მოთმინებით უთხრა ლუსიამ, — წამოდგები და გაივლი, აღარც იმას იტყვი, სხვისი წილი სიცოცხლით ვცხოვრობო.



— სხვისია, — დაიყინა დედაბერმა.

ლუსია აღარ შეკამათებია, საწოლი აყეცა და თმების ვარჯიშით ფანჯარასთან მიდგა. დღე წადიერად იწყებოდა, მზეში ჩახახებდა ზედავანებულ სივრცეს ამხიარულებდა და დაუფარავად, ბოლომდე აჩენდა თვალსაწიერს. მდინარე ლიცილიცებდა. გაღმა ფერდობზე შეყუჟული ტყე უფრო ახლოს მოჩანდა, ვიდრე სინამდვილეში იყო, მხოლოდ ფოთლების უღროო სიხასხასე მიენავლა მზეს. ირგვლივ მშვიდი, წყნარი ნათება იდგა. სოფელში აქა-იქ თუ შევობდა ჩრდილი და მასაც, თითქოს შიგ ჩაღრჩობისა ეშინიათო, დამფრთხალებივით გვერდს უვლიდნენ ძაღლები.

და გაუგებარი, ამოუცნობი იყო, რად ჩამოემხო გუშინ ნისლი. დღეს კი ამგვარად დაიყურსა სიმშვიდე. ლუსიას გუშინდელი საუბარი გაახანდა, სწორედ ხელსაყრელი ამანდი დაუდგა. დღეს შეიძლებოდა ნიჟვზე წასვლა. ოღონდ დედა იყოს კარგად.

ვარვარას ხმამ ფანჯარას მოწყვიტა — ზღურბლიდანვე კიოდა. თითქოს რაღაც სასიხარულო ამბავი მოეტანოს:

— გამახსენდა, დედა, გამახსენდა.

— რა გაგახსენდა?

— სიზმარი. მართლა ცუდი სიზმარია. აკი მაშინვე გითხარი, ცუდია-მეთქი. ასეცაა. თითქოს ვიცოდი.

— რა-რა? — დააჩქარა დედაბერმა.

— დედაკაცები ვისხედით წრეში, ყველანი უცნობები იყვნენ, არც ერთს არ ვიცნობდი. თითქოს ვსხედვართ და პილმენება ვახვევთ, თან გულში რას ვუდებთ, თუ იცი?

— აბა, რა ვიცი, მე რას მეკითხები?

— ტალახს.

— რას?

— ტალახს. ფერხთით ტალახი გვეყარა და იმით ვაზავებდით ხორცს. თან გვიხაროდა, ტალახიან პილმენება რომ ვამზადებდით. სიხარულით ვხარხარებდით. ქალებს ვუთხარი: „მაგ მჭლე ტალახს ნუ ჩადებთ, უგემური გამოვა, წვეს არ ჩაიყენებს, ჩემთან მსუქანი ტალახია, ეს სჯობია“. ჩემგან იღებდნენ. რომ გამახსენდება, ჟრუანტელი მივლის.

— მერე?

— მეტი არაფერი მახოვია. პილმენებს კი თითქოს ახლაც ვხედავ: თეთრი, ლამაზად მოხვეული გვერდიგვერდ აწყვია ფიცარზე. ცუდი სიზმარია. მაშინვე მივხვდი, — ვარვარა შეშინებული იქნევდა თავს, — რას უნდა ნიშნავდეს? აი, უბედურება! მცოდნოდა, არც დავიძინებდი, არ დამესიზმრებოდა მაინც. ახლა რაღა ექნა?

— აჯობებდა შენი სიზმრები შენთვისვე შეგენახა, — უთხრა ლუსიამ.

— ვნახე და ხომ არ ვიტყვი, არ მინახიაო?

— ჰოდა, თვითონ შეგეჭამა შენი პილმენები. ნუთუ არ გესმის, დედას მაგისტვის არ სცალია. რაედაც ათას რაღაცას იგონებს, ჩემი წილი სიცოცხლით არ ვცხოვრობო, შენი სიზმრებიღა აკლდა. გაგაგიჟება ეს ხალხი.

ლუსია გაბრაზებული გავიდა, კარი ღრჭოდ დარჩა და საზიზღარი ღრჭიალით გაიღო ისევ.

— მიხურე, — სთხოვა დედაბერმა, მაგრამ ვარვარამ ვერ გაიგო, შესჩივლა: — სიტყვა ვერ მითქვამს, ყველაფერზე მეჩხუბებიან. ვა-ი! ყოველთვის მე ვარ დამნაშავე, მხოლოდ მე, სხვა არავინ. ახლა სიზმარებში მხოლოდ უფლებაც აღარა მაქვს. მძინავს და როგორ ავუკრძალო, თანვესით მიმტრებიან თვალებში. მე ხომ არ ვეძახი, რაო, აღარც დავიძინო?

— რასაც გეუბნებიან, ყველაფერს კი არ უნდა მოუსმინო.

— როგორ არ მოვისმინო? მეც ხომ აქ ვიყავი. ყრუ ხომ არა ვარ. მესმის.

— ოჰ, ვარვარა, ვარვარა! ვის გეცხარ ეგეთი მიაშიტი? — შეიბრალა დედაბერმა, რაღაც გაახსენდა და საკუთარ თავს გააწყვეტინა, — მირონიხასთან გთხოვე წასვლა, იყავი?

— ჯერ არა.

— რაღას უცდი?

— ახლაც წავალ.

— არ დაიზარო, წადი, დილიდან ამეკვიატა. ნეტაი რამე ხო არ მოუვიდა? ორლობის გადარბენა არ გაგიჭირდება, თუ ცოცხალია, უთხარი, დედა გეძახის-თქო. რა ხანია აღარ მინახია, — ვარვარა გასასვლელისაკენ გაეჩქარა და დედაბერმა დაადევნა: — კარი გაიხურე, თორემ უბერავს. ფეხები მეყინება.

გადაჩვეულზე ჯდომამ დაღალა, მაგრამ წინკა სწორედ საწოლის შუაგულში გაშხლართულიყო და დედაბერი იძულებული გახდა მოეთმინა. გასაღვიძებლად შეეებრაღა შვილიშვილი. ზურგის ტკივილი დაიღია, მოიხარა და ზელები მუცელთან ამოიწყო. ახლა მოხრილი იჯდა და ტკივილი ცოტა დაუცხრა, მაგრამ ასე დაღვლარქნული ჯდომაც სახიფათოდ ეჩვენა — სულ იოლი იყო გადმოვარდნა — და ისევ გასწორდა, ზურგი გამართა, ადგილზე აქანავდა და ამოიოხრა.

ფანჯარაზე მოაკაკუნეს, ვარვარამ გარედანვე შემოსძახა:

— დედა, გესმის, დედა? შინ არ არის შენი მირონიხა. ნადიამ მითხრა, დილას თავქვე მირბოდაო.

— კარგი, კარგი, — გაიგო დედაბერმა და დუმილის შემდეგ საკუთარ თავს უთხრა: — ისევ საღლაც გაქცეულა, ვის ჰგავს მაინც ეგეთი ფეხმარდი?

— ზიხარ? — ჰკითხა ვარვარამ.

— ვზივარ, ვზივარ.

მეორე ოთახში მიხეილი აწრიალდა, კენესითა და რახარუხით გაბორიალდა წინკარში და დოქი აახრიგინა. კარი, რა თქმა უნდა, არ მიუხურავს, თითქოს მის გარდა არავინ იყო სახლში. დედაბერმა ამოიოხრა, მაგრამ მიხეილის დაძახება არ ისურვა, ფრთხილად გადაიხარა და საბანი შემოიფუთნა ფეხებზე. მაგრამ სიცივე მაინც სწვდებოდა და ტერფებს უყინავდა.

მოიბუზა, დადუმდა.

— სიზმარში მიწის ნახვა ურიგო არ უნდა იყოს, — გულისგარეთ თქვა და მიმოიხედა.

დღე სამზეოზე გამოსულიყო და ლაღად იჩქაროდა გაჩვეულ შარაზე.

მიხეილმა დოქი გამოცალა და სული მოითქვა. ვიდრე წყალი ჯელში ეღვრებოდა, მის გრილ, ნედლ ძალას შეიგრძნობდა, ახლა კი ისევ გულზიდვა დაეწყო. მიხეილი შექანდა და მუცელში წყალი აუბუუბუუდა. წყალქვეშ არა, ნარეცხი. კიდევ დააპირა დაღევა, მაგრამ გადაიფიქრა. მჭიდროდ შეკრულბოდა, ზედმეტი სიმძიმე და ზედმეტი სირბილი მოუწევდა მხოლოდ და კედელზე ხელმყრდნობილი, ლასლასით გავიდა ზღურბლზე. ახლა მზეც და ჩამოწოლილი სიცხეც ეზიზღებოდა — წვიმასა თუ ქარში იოლია, რაღაც გლრღნის და გულისყურს გიფანტავს, პაპანაქებაში კი მალე ვერ გამოკეთდები. მიხეილს მაისური ეცვა, ფეხშიშველი იყო, მაგრამ შინიდან გამოსულმა, ვერც, გარეთ მოითქვა სული, აქაც იგივე მხუთავი ლიბრი გაკვროდა ჰაერს.

ფეხზე დგომა უჭირდა, კიბეზე ჩამოჯდა და მაშინვე წამოხტა: გუშინდელიდან გამოყოლილმა მისუბტებულმა, გალიგვებულმა გონებამ საკუჭნაოში გადანახული არაყი გაახსენა. უცნაურია, აქამდე როგორ არ მოაგონდა, უფრო მიუჩვევლობის ბრალი იყო. არაოდეს ამდენი სასმელი არ ჰქონია ერთად და ნაბახუსევზე ყელის გასასველებლად წვეთი არაყიც არ რჩებოდა ხოლმე. ერთ ხანს კიდევ იდგა, ფეხს ითრევდა: დანამდვილებით ახსოვდა, გუშინ ილიასთან ერთად მთელი ყუთი სასმელი მოათრია, ერთ ჯერზე, დიდი სურვილიც რომ ჰქონოდათ, ამდენს ვერ დაღევდნენ, მაგრამ ვერ ირწმუნა: აბა კი, მოსატყუარი კბილები დიდი ხანია დაიცვალა! წინკარიდან საკუჭნაოში შევიდა, ფრთხილად ააწია ყუთზეში მიყრილი ხარახურა და ბედნიერებისაგან შუბლი შეიჭმუხნა — საკუჭნაოს ბინდბუნდში, თვალში ეცა მოხუფული ბოთლების განსაკუთრებული ეიმციმი. ყუთში მხოლოდ სამი ბუდე იყო ამოცარიელებული, დანარჩენი კი ხელუხლებლად გადარჩენილიყო. წარმოგვიდგენია, მთელი ღამე იდგა და პეწიც არ შელახვია. მიხეილმა ერთი ბოთლი ამოიღო და გამოლებით ჩაიტენა შარვლის ჯიბეში.

დასასვენებლად იქვე ჩამოჯდა, კიბის თავზე. გულზიდვას არ გაუვლია — არა, იქამდე ჯერ შორს იყო, მაგრამ ნაცნობი და ააურველი მოლოდინით დაიმედებული სხეული გამოხალისდა. გრძნობს და მერე როგორ! ახლა შეეძლო ერთ ხანს კიდევ მჯდარიყო, ეთვალთმაქცა — თითქოს ეწამები, სიცოცხლე მოგბეზრდა, გულისგულში კი იცო, საცაა გაგიჭრება უხასიათობა. იმიტომ აღარ გეშინია თვალებში შეხედო და კბილი მოღანჯო ბახუსს, რომ მომავალ თავისუფლებას ჰკრეტ. ასეთია ადამიანი. ასევე სასიამოვნოა, სწორედ ბილის წინ რომ შეიგრძნობ უსაზღვრო დაქანცულობას. ესეც ერთგვარი ეშმაკობაა. დიდი ვერაფერი, მაგრამ მაინც ეშმაკობა.

ერთხანს კიდევ იჯდებოდა, ბახუსს გაიღიზიანებდა, მაგრამ ბოსტნიდან ნადიას ხმა შემოესმა და აჩქარდა. ახლა ცოლთან შეხვედრა არ ღირდა. მოესწრება. რაც ნადიას უნდა ეოქვა, მიხეილმა ისედაც იცოდა, ფეხსაცმლის ჩასაცმელად შინ დააპირა შესვლა. მაგრამ წარმოიდგინა, კიბეში ბოთლგაჩრილს როგორ გაუჭირდებოდა დახრა, გამობრუნებული ეგებ დებს ან ნადიასაც გადაყროდა და აღარ შევიდა, ისევე ფეხშიშველა გაემართა იქით, საითაც თავიდანვე ჰქონდა გეზი აღებული — აბანოში, ილიასთან.

ილიას უშფოთველად ეძინა, არაფერი აწუხებდა და აწვალებდა, თითქოს შუალამემდე ხორბალს ლეწავდა. მიხეილი დაბალ კუნძზე ჩამოჯდა, გუშინ რომ

ეზოდან შემოათრეს და ბოთლი საქათმეში ჩამალა. საქათმე იქვე იდგა, აბანოში, ზამთარში შიგ ქათმებს ამწყვდევენ. საქათმეში შემთხვევაში კი მაგიდადაც იყენებდნენ. აი, გუშინაც საქათმეზე სვამდნენ და რა უჭირს, არ დაუჩივლიათ, ორი ბოთლი ჯერ ისევ იქ იდგა, მესამე კი ბოთლი კოცრებით კარჩაქეტილ საქათმეში აღმოჩენილიყო და წამბობილი ეგდებოდა. — ვინმე რომ შემოვიდეს, მაშინვე მიხედება. ქათმები ხოცდნენ. მიხეილმა ბოთლის გამოღება დააპირა, მაგრამ ამისათვის საქათმე იყო წამომდგარიყო. ილიასთვის გადაებოჯებინა და ხელი ჩაიჭნია: ეგდოს, ცარიელია მაინც, მერე თავისით წამოდგება.

— ილია! — დაუძახა მან. დღეს ეს პირველი სიტყვა იყო და მოუხსინჯავად ხრინჭი შეეპარა. ისე გამოშრობოდა ხორხა, რომ სიტყვაც ვერ უთქვამს. მიხეილმა ჩაახველა და ხმა ჩაიწმინდა: — გესმის, ილია!

ილია ძილში გაიტრუნა, სუნთქვა ეცვალა.

— ადექი, გეყოფა ძილი.

— აღრეა ჯერ. — თვალს გაუხეულლად ჩაიბუზლუნა ილიამ. ერთი წამიც რომ შეეყოვნებინა, ან სიტყვა დაეგვიანებინა მიხეილს, ისევ ძილი წაართმევდა თავს. ჯერ ისევ ძილბურანში იყო და იმ ანცი ბიჭავით, საღამოს ლოგინში რომ ვერ ჩააწვენ, დილას კი ველარ წამოაგდებ. არც სურდა გამოფხიზლება.

— რა აღრეა! დღეს უკვე.

— რას წამოიჭოტებით ხოლმე დილაუთენია? გუშინ ვარვარამ წამომაგდო, დღეს შენ. ეშმაკმა იკია, როდის დავწყვეით წუხელ.

— როგორა ხარ? — ყურს არ უგდებდა, ისე პკითხა მიხეილმა.

— ჯერ არ ვიცი. მგონი ცოცხალი ვარ. — ილიამ მაინც გაახილა თვალი.

— მე კი თითქოს ხორცის მანქანაში გავეტარებინო, ვერ გამოგია. სად ხელები მაქვს, სად ფეხები. ძლივს მოვცოცხლდი, სვენებ-სვენებით.

— ჰო, ზედმეტი მოგვივიდა გუშინ.

— ის იყო თვალი გავახილე და ვიგრძენი, არც წოლა შემეძლო, ადგები და — დაწოლა გინდა. აგე, შენ გძინავს, თითქოს არაფერი, მე კი...

— დილას უნდა გამოვიძინო, ჰო, ძილში გამოვდივარ. თუ ძილი დამცალდა, ისე ვარ, თითქოს წვეთიც არ დამეღლიოს, ასეა. ოღონდ არ უნდა გამაღვიძონ.

— უყურე! — შეშურდა მიხეილს. — შენ რა, ახვანაირი ორგანიზმი გაქვს? ღვიძლი ძმები ვართ, თითქოს ერთნაირად უნდა ვიყოთ.

— ძმობა მანდ არაფერ შუაშია.

— ჰო, ჩვენ კიდევ გაგვიმართლა, რომ თეთრი ვავით, ღვინით მთლად მოვისპობოდით, დღეს თავს ვერ ავწყვედით. ვერ ავდგებოდით, ვერაფრით ვერ ავდგებოდით. ვიცი.

— წითელი მეც მწყენს.

— საყიდელი ავადმყოფობაა, ეს ოხერი.

— რა?

— ვამბობ, საყიდელი ავადმყოფობაა მეტქი. — მიხეილმა ბოთლზე მიუთითა. — ფუღია გადახდილი.

— მართალი ხარ.

— ჯერ კიდევ ხუთი წლის წინ ამ საოხროსი არაფერი გამეგებოდა. გინდა დამეღლია და გინდა არა. დილას ჩიტოვით ავდგებოდით, ახლა კი დილაობინებლად

დაწვები და, თუ თავი გახსოვს, წინასწარ გაერყოლებს; ხვალ რა აგაყენებს? ტიქებით სვამ ამ საოხროს და წვეთობით გამოდის. ათჯერ მაინც უნდა გამოიწურო, რომ აღამიანად იგრძნო თავი. ვადაფუროთხებ და გგონია, ეჭე, იქნებ ცოტა მაინც მოაკლდეს, რაღაც ნაწილი ხომ ამოვაფუროთხე. მთელი სიცოცხლე ასე ეწამები.

34135320

— ერთი ანეგდოტია ეგეთი, — გაახსენდა ილიას, ზაქარიაშვილმა მოსამბებნად გაგზავნა ქალიშვილი. პო, უთხრა „საადრეოდში წადი, ის ისეთი და ასეთი ისევ იქ ეგდებათ“, ასიც, რალა თქმა უნდა, იქ იყო, აბა, სად იქნებოდა? ქალიშვილი მივიდა: „მამა, შინ წამოდი, დედა გეძახისო“, მამამ უსმინა, უსმინა და არცით სავსე ჭიჭა მიაწოდა: „დალიეო“, ქალიშვილი უარს ეუბნება, არ მინდა, არ ვსვამო. „დალიე, რომ გეუბნები!“ ქალიშვილმა მოსვა და ხველა აუტყდა, ხელები გაასავსავა, გაღურჯდა. „ვაი, რა მწარეა!“ მამამ კი უთხრა: შენ და დედაშენს, თქვენი ასე და ისეო, გგონიათ აქ თავულს ვსვამთო!

— ჰო: — გაიცინა მიხეილმა, — მაგათ ჰგონიათ, ჩვენ აქ თავფლს ვსვამთ, ჰგონიათ, ძალიან გვიბარია.

— არ იცოდია?

— არა, არ გამოგია, ძალიანაც ზუპტა ანეგდოტია, ცხოვრებისეული, —
მიხეილი დადუმდა. ჩაფიქრებულმა თავი დაუქნია ნათქვამს და გადაწყვიტა. მო-
ცდა აღარ ღიზოდა, — რაო, უღია, — ჯიბიდან ბოთლი ამოიღო, — გამოვეთება
მანც საჭიროა, არა?

— უკვე მოიტანე, — ილიას ისე აუჟანკალდა ხმა, ვერ მიხვდებოდა, შეეშინდა თუ გაუხარდა.

— გვერდით ჩავუარე და შევედი, მერე რომ აღარ მერბინა.

— იქნებ ჯერ შევძიებოთ?

— შენ როგორც გინდა, მე კი დავლევ. საღამომდე ასე ვერ გავძლებ. ლამიანად მოვეცდე კაცი, ვერ მივატან საღამოს, მაშინ დედის ნაცვლად ჩემი დასაფლავება მოგიწევთ.

— ღედა რუგორაა?

— ვერაფერს გეტყვი, ილია, არ მინახავს, ალბათ კარგადაა, თორემ ქა-
ლები მოცვივდებოდნენ, გვეტყოდნენ.

— ეგ კი მართალია, შეგვატყობინებდნენ.

— რა ვქნა, დაცისხა? — ბოთლი გახსნა მიხეილმა.

კარგი, დაახლო. მარტო ხომ არ დაღუპ.

— ၁၁၆၅.

— მისატანებელი არაფერი გვაქვს.

— არაფერი, თუ გინდა, მოიტანე, მე ვერ გამოვჩნდები, წავედნენ ერთი!
მაგათ ჰგონიათ, აქ თავლას ვსვამთ.

— მეუბნებოდა კარადებში ფათური.

— უცხო ხომ არა ხარ, აიღე რაც საჭიროა და დაბრუნდი.

[illegible]

— წავა, აბა, რას იზამს, დალევ, მოკვდები, არ დალევ და მაინც მოკვდები, იპევ ჭობია, დალიო და იპე მოკვდე, — ლოცვასავით ჩაიდუღუნა მიხეილმა. გადაკრა, ყურადღებით დაელოდა, ვიდრე არაფი ტანში დაუვლიდა და ნბოლოდ შემდეგ დადგა ჭიჭა სიტომეზე. — მაგათ ზგონით ზვენ ატ თაფლის

ესვამთ, — ათრთოლებული, ჰრინწიანი ხმით გაიმეორა სიტყვები, უფრო და უფრო რომ უთბობდა გულს.

ილია ლოგინზე იჯდა და შუბლშეჭმუხნული უცქერდა მიხეილს.

— რაო? — დაინტერესდა იგი.

— წავიდა, საოხრო. აბა, რას იზამდა? დალიე, ნუ აჯანყდები, — მიმართა ილია ლოგინს.

ბოლოს ილიამაც დალია. პირთან ისე დაიქნია ხელი, როგორც გამოთხოვებისას იციან ბოლმე, თურმე ასეთი ჩვევა ჰქონია. გუშინ ეს მოძრაობა ათობდა მიხეილს, ის კი არა, თვითონაც ორჯერ თუ სამჯერ დაიქნია ხელი, ძმას რომ არ სწყენოდა, მაგრამ ვერაფერი იგრძნო. თანაც საკუთარმა ჩვევამ გადასძლია — ყოველთვის ყველაზე უწინ სვამდა და ხელის დაქნევა ავიწყდებოდა, თუმცა ეგებ ილია ამას სხვა მიზნით აკეთებდა. მიხეილს არ უკითხავს, ან კი როგორ უნდა ეკითხა?

აბანო, თუ მიმოიხედავდი, უფრო სამზადს წააგავდა და მარტო ააქათმე არ იყო ამის მიზეზი. ასე თუ ისე, ნამდვილი მაინც არ იყო, ძველი აბანო, ბოსტანში რომ იდგა, სამი წლის წინ დაიწვა. ხანძრის შემდეგ მიხეილმა დროებით კიდითა ფარდული გადააქეთა აბანოდ. გასაორთქლი თარო არ იყო მხოლოდ, ქვის ღუმელის ნაცვლად რკინის ფეხს ახურებდნენ და წყალს აცხელებდნენ — აბანო კი არა, ცარიელი სახელი იყო მხოლოდ, მაგრამ არა უჭირდა, მაინც იოლას გადიოდნენ. ორთქლის აბანო თუ მოენატრებოდათ, მეზობელს მიაკითხავდნენ. ახალი აბანოს დადგმას კი ვერა და ვერ მოაბა თავი. ან კი რა უნდა ეღონა მარტო კაცს? სამაგიეროდ, უკვე მესამე წელი იყო ნააბანოვარზე ისეთი კარტოფილი მოდიოდა, გულს გაგიხარებდა. მთელ სოფელში კარტოფილი ჯერ მოწეული არ იყო, ნადია კი აქ სადილისათვის თხრიდა. სიმართლეს ამბობენ, ზოგი ქირი მარგებელიათ.

მიხეილი ფანჯარასთან იჯდა და წინდაწინვე დაინახა აბანოსაკენ ტანკივით მომავალი ვარვარა. შეიგინა და ბოთლი დამალა. ვარვარამ ზღურბლს გადმოაბიჯა და თვალები მოჭუტა — ბნელოდა.

— შენა ხარ? — დააკვირდა მიხეილს.

— არა, იესო ქრისტეა.

— ოო, საიდან უნდა მცოდნოდა, აქ თუ იყავი, მეგონა ილია მარტო იყო. მინდოდა გამეხარებინა, დედა წამოჰდა უკვე.

— წამოჰდა?

— ჰო, ჰო, დილას შევიხედე და თვალს არ დავუჯერე. წამომჰდარა და მიყურებს, ფეხები ძირა ჩამოუშვია...

— თავი მაღლა აუწევია?

— ილია, ნუ იცინი, — უსაყვედურა ვარვარამ, — როგორ შეიძლება? დედა, უცხო ხომ არ არის?

— რატომ გგონია, რომ ვიცი?

— წამოდით, თვითონ ნახეთ. ზის, ვინ იფიქრებდა? — ვარვარას ძალზე ეწადა ძმებსაც ენახათ დედა და გაეხარათ: — წამოდით, წამოდით, ნახეთ როგორ ზის. თორემ მერე იტყვიან, ვარვარამ მოიგონაო.

— რაღა ნახვა უნდა, იჯდეს თუ ზის, — თავიდან მოიშორა მიხეილმა, — არც ზედმეტი შეწუხება ვარგა. ოღონდ თვალი ადევნეთ, არ გადმოვარდეს.

— არა, არა, კარგად ზის.



— ცოტა მოგვიანებით მოვალთ, — შეპირდა ილია.
ვარვარამ ყურადღებით მიმოიხედა, სათქმელი ველარ მონახა, წასასვლე-
ლად შებრუნდა, მაგრამ მიხეილმა შეაჩერა.

— ნადია სახლშია?

— სახლშია. ყველანი შინა ვართ. ლუსიაც, ჩვენი დედიკა...

— დედაც სახლშია?

— ეშმაკსაც წაუღიხართ! — დაცინვას მიხვდა ვარვარა, — თქვენ თუ
გადაგეჟიდათ კაცი... წავალ.

— წადი, წადი, დედას უღარაჯე, თორემ გაიქცევა სადმე, მერე ეძებე.

ვარვარამ ფრთხილად ჩააბიჯა პარმალიდან — კარგა ამალღებული იყო,
ჯირკის დაღება კი ვერავის მოესაზრებია — და შედგა, აღარ იცოდა საით წა-
სულიყო. ძმებთან საუბრის შემდეგ სიხარული დაუცხრა. აი, ძმები რომ გაპ-
ყოლოდნენ, ყველაფერი შეიცვლებოდა: თავადაც უკან აედევნებოდა, საკუ-
თარი თვალით იხილავდა სიკვდილის პირას მყოფი და აწ გამოჯანმრთელებული
დედის ხილვით მოგვრილ გაოცებას. მაგრამ ძმებს ფეხი არ მოუცვლიათ, რა
გაუხდათ ეს აბანო, გეგონება ღვიძლ დედაზე მეტად უღირდათ და ვარვარამ
ახლა აღარ იცოდა, რა ექნა. სიზმარი გაახსენდა და უფრო აღელდა. ცუდი
სიზმარია. ოჰ, რა ცუდი, ვის უნდა ჰკითხოს, ვის ეცოდინება? ლუსიას ხმას
ვერ გასცემ — აგე, წელან როგორ შეუღრინა, ნადია კი სულ საქმიანობს, არ
სცალია. ვარვარამ ნაბიჯი გადადგა, შეჩერდა, დაბნეულმა მიმოიხედა, და ისევ
ქუჩაში გავიდა — იქ ხალხი იყო.

ის იყო ვარვარამ ზღურობლს გადააბიჯა და მიხეილმა დაუყოვნებლად შემო-
დგა საქათმეზე ბოთლი, ოდნავ დაჰკრა კიდეც. უკვე შესამჩნევად მომხიარულ-
და, სახე დაუწყნარდა, თვალები აუციმციმდა.

— ასე ჩემო ილია, — განაგრძო მიხეილმა, — საქმეს გამოკეთება დაე-
ტყო. ახლა ცოტაც დავამატოთ, დაგვიანება არ ივარგებს, ველარ მოასწრებ.

— თუ არ შევქამე რამე, ველარ დავლევ: — იუარა ილიამ, — პურის
ყუა მაინც გვქონდეს დასასუნად. უზმოზე ძნელია. ხელად მოუთავსებდით.

— ხახვი ხომ არ ამოგვეღო ბოსტანში?

— ხახვი რას გვიშველის, მაროლიც არა გვაქვს.

— ისე, მართალი ხარ, მაძლარზე უკეთესად მიდის. — დაეთანხმა მიხეი-
ლი და ნაღვლიანად დაუმატა, — დავიცადოთ, სხვა რა გზა გვაქვს. ახლა შინ
შესვლა არ ნიშნა, ხელახლა დაიწყება. ნადია გავა სადმე და გავიქცევო.

— თუ გინდა შენ დალიე.

— მოვიცდი, მეც რა შეჩქარება. მარტო არ მიყვარს სმა, უფრო გწყენს.
საოხრო, ჯობია პირისპირ არ შეება. ეგ კარგა ხანია ვიცო.

— ამბობენ, ჯობია საერთოდ არ შეებაო.

— ამბობენ, ილია, ამბობენ, მეც გამიგია. ხალხი ბევრ რაწეს ამბობს.
ცხადია, ვისაც არ დაუწყია, არც უნდა გაეკაროს, იყოს ეგრე ბედნიერად, მაგ-
რამ ვინც შეება უკვე და ამის გემო იცის — ძნელია... — მიხეილი დიდხანს
იქნევდა თავს, — ძნელია, ილია, ძნელი. მაინც მოგინდება — ეგრე მგონია.
დიდი ძალა აქვს ამ საოხროს — ვერ მოერევი. წელში გაგწყვეტს. იმედიც არ
მაქვს. ახალგაზრდობაში ბევრჯერ ვაპირებდი თავის დანებებას, მერე შევეშვი
— უშედეგოდ რატომ უნდა ვატყუო ხალხიც და საკუთარი თავიც. ახლა ასე
ვფიქრობ: კარგია თუ ცუდი, მაინც ვერ დავიხსნი თავს. არც უნდა უცადო.

ხალხს გააცინებ მხოლოდ. ერთი კია, სმაც უნდა იცოდე. ჩვენ ხომ დასაო-
რობად ვსვამთ, წყალივით.

— ეგ მართალია, სმაც უნდა იცოდე.

— ხშირად გიწევს?

— ხომ იცი, მანქანაზე ვმუშაობ. ხშირად ვერ დაღევ. ქალაქშიც სიმკაც-
რეა, პო. ვერც ჩემი დედაკაცი ეგუება. მაგრამ თუ უღელქავედ და უმანქა-
ნოდ მოვხვდი სადმე, იცოცხლე გამოვიბრუეები.

მიხეილმა ბოთლს გახედა ცერად — იქ იყო, და იკითხა:

— ხომ არ დაგველია? მერე მეტს შეჭამ.

— არა, არ შემიძლია, შენ დალიე, მე ნუ მიცდი.

— ცოტას მაინც დავლევ, თორემ უკვე ამეწვა, — მართლაც ცოტა დაის-
ხა ჭიქაში და მაშინვე გამოაცალა, თითქოს ეწადა ყელში გაჩხერილი ზიზღი
ჩაერეცხა, — პოო, — ხმაალლა ამოიოხრა, — ეგრე ჯობია, ხომ გაგიგია, და-
ლიე ვიდრე თევზია წვნიანს შეჭამდე, დააყოლე კიდევ და არც გახსენებოდას
გაწვენსო, ესე იგი, სვი და უკან არ დაიხიოო.

— ახლა თევზია წვნიანი მოგვიხდებოდა, პო.

— მაინც რა გვასმევს ამდენა, — თავის ქნევით განაგრძო მიხეილმა და
დაელოდა, ილია ხომ არ იტყოდა რამეს. ილია დუმდა, — ხალხი ამბობს, და-
რღაო. ა-არაფერიც. ეგ შეათეხარიახოვანია? იმასაც ამბობენ, მიჩვევიაო, ჩვევა
კი ხასიათად იქცევა ხოლმე. ერთი მხრივ მართალია, პურივით ძივეჩვიეთ, უბუ-
როდ მაგიდას ხომ არ მივუახდებით, ესეც ეგრეა. თუმცა, არც ეგ არის მთა-
ვარი, ჩვევასაც მიზეზი უნდა ჰქონდეს. მე კი ასე მგონია: იმიტომ ვსვამთ, რომ
აუცილებელია. ადრე რა იყო უპირველესი? პური, წყალი და მარილი. ახლა
ეს საოხროც დაემატა, — მიხეილმა ბოთლისკენ გადაიქნია თავი, — ახლა სულ
სხვა ცხოვრება დადგა, ყველაფერი შეიცვალა, ეს ცვლილებები კი ადამიან-
საც ცვლის. უფრო მეტად ვიღლებით, რა გვლის, ეშმაკმა უწყის, ეგე, ერთი
კვირია წვეთი არ ჩამსვლია პირში და რის ვაივაგლახით დავათრევ ფეხებს, მი-
ჭირს. დავლევ და თითქოს აბანოში მიბანავია, ას ფუთ სიმძიმეს ჩამოვიშორებ.
ვიცი, ყველას წინაშე დამნაშავე ვარ: შინ დედაკაცი მეჩხუბება, უკანასკნელი
კაბიკი გავანიავე, სამუშაოს ვაცდენ, ქუჩა-ქუჩა დავმათხოვრობ — მრცხვე-
ნია, თვალს ვერავის ვუხწორებ. და მაინც ჩიტივითა ვარ. ამ საოხროს უაიამო-
ვნებაც მოაქვს და სოცეთიც. მერე ისევ სამუშაოდ მიდიხარ, ცოდვებს მოინა-
ნიებ. ერთ დღეს იმუშავებ, მეორეს, მეხუთეს, სამი კაცის საქმეს ეჭიდები, ძა-
ლაც გერჩის, თითქოს მიჩუმდება ყველაფერი, სარცხვილიც ნელ-ნელა გაგივ-
ლის, გაძლება შეიძლება. თღონდ არ უნდა დალიო. ერთი მხრივ გაიოლდა ყვე-
ლაფერი, მეორეს მხრივ კი უფრო და უფრო გიჭირს, გაწევბა და გაწევბა ნალ-
ველი — მიხეილმა ხელი ჩაიქნია, — ვერ მოითმენ, დალევ. და ყველაფერი თა-
ვიდან იწყება. მაშაადამე დაიღალე, ორგანიზმმა მოითხოვა დაავენება. ჩვენი
ორგანიზმი სვამს, ჩვენ კი არა. პურივით სჭირდება აასმელი. მოთხოვნილება
აქვს. ეგრე არ არის?

— პო, მოთხოვნილებაა, — დაეთანხმა ილია, — მოთხოვნილებიან და შე-
საძლებლობიან მიხედვით ვსვამთ. რამდენიც ჩავა.

— აბა რა უნდა ქნა, — განაგრძო მიხეილმა, — რამდენიმე დღე ან ერთი
კვირა შეიძლება გაძლო, მაგრამ აუღ არ დალიო, სიკვდილამდე? წარმოიდგი-
ნე! არაფერი გრჩება. ერთფეროვანი იქნება ყველაფერი. რამდენაირ თოვზე

ვართ გამოგზავნი, შინ თუ გარეთ, ვერ ამოიხსენებოდა, რამდენია გაგზავნილებული და არ ვაკეთებთ. ერთთავად ვალდებული ხარ. ვალდებული, ვალდებული და რაც უფრო შორს მიდიხარ, მით მეტი ვალი გეღება — უმჯობესად წაუღია ყველაფერი. დაღევ და თათქოს ფრთებს გაშლი, განთავისუფლები! აღარც ვინმე ოხერის ვალი გაწევს, რაც საჭიროა ყველაფერი გაუქმდეს და გააკეთე და არც უნდა გაგეკეთებინა, ასე იყო საჭირო. დაგეგმე! განთავისუფლები! თავს! ვინ, რომელი სულელი იტყვის უარს კარგად ყოფნაზე! დაღევა ხომ დასაწყისში ზეიმივითაა. აი, ზომაღ რომ ვიცოდეთ!

— ზომა რომ გვცოდნოდა, ნახევარსაც არ შეგვამთხვევდა.

— ეგ მართალია. თუმცა ახლა ვინმემ რო მითხრას, გეყოფა. შეჩერდიო — შეჩერდები? აქნებ მართლაც უფრო აკმაბრიადა დავლიე: თითქმის გამოვკეთდი კიდევ. ახლა, ცხადია, შემიბრუნებს. მაგრამ მინდა, ეგეთი ხასიათი მაქვს. ვიდრე ჩემსას არ მივიღებ, ვერ გავჩერდები. მკითხაობა და აანახევროდ საქმის კეთება არ მიყვარს, გემო უნდა ჩავატანო, ბოლომდე მივიღე. მუშაობაც და სმაც ეგეთი ვიცი.

— თვეში რამდენი გამოგდის?

— რა? ღვინო?

ილიას გაეცინა:

— ღვინოს რომ უთვალავს სკამ, ვიცი. ხელფასი რამდენი გაქვს-მეთქი. თვეში რამდენს ოღებ.

— ხელფასი... როდის როგორ. თუ სიმართლე გინდა იცოდეს, ახლა ხელფასიც გაფუჭდა. მექანიზატორები კარგა ხვეტავენ, ჩვენ კი, ფეხით მოსიარულეებს, შეგვიმცირეს. გველთან შედარებით ახლა ნახევარსაც ვერ ვიღებთ. ადრე ერთი-ორ გემს დავტვირთავდი და შეგეილო მხარეთქოზე წამოწოლილიყავი. ვმუშაობდით კიდევ. ე, რაა ვმუშაობდით! ზურგიტ დავათრევდით ყოველ მორს. ახლა რა, ახლა ამწეებია. მიაბი — მოხსენი, მხოლოდ თვალს უნდა გეჭიროს, არ გაგჭყლიტოს. ყველგან ეგრეა, საცა გაიხედავ, მანქანებმა შეცვალეს ხალხი, ტექნიკა მომძლავრდა.

— იოლია, ეგრე, ტექნიკით.

— იოლია, რა თქმა უნდა, ვინ ამბობს, უფრო იოლია. წელს არ ვაწყვეტო.

— მიხეილი ცოტა ხანს დაფიქრდა და გრანობით თქვა: — მაინც მაშინ უფრო საინტერესო იყო, აი, თუნდაც, იგივე გემების დატვირთვა, ფულია გამო კი არა, თუმცა, არც ფული იყო ურიგო, სამუშაო მიყვარდა. დღედაღამ ნაპირს არ ვცილდებოდით, ვიდრე საქმეს არ მოვრჩებოდით, აქვე ვიყავით. ბავშვებს ქვაბებით მოჰქონდათ საქმელი, წავიხემაებდით და სამუშაოა გაეგრაილებდით. რაღაცნაირი აზარტი გვქონდა. მუხლს არ ვხრიდით, ან პად გვქონდა ამდენი ჯანი! როგორღაც ვგრძნობდით სამუშაოს, ცოცხალივით მიგვაჩნდა, იმას კი არ ველოდით, დღე როდის დამთავრდებოდა.

— მაშინ უფრო ახალგაზრდა იყავი, ჯანმრთელი.

— ახალგაზრდა კი ვიყავი... მაგრამ ე, არ არის მთავარი. გაიხსენე, კოლმეურნეობის დროს როგორ ვცხოვრობდით. იმაზე კი არ გეტყვით, რამდენს ვიღებდით. ზოგჯერ ჩემ ფეხებს ვიღებდით. იმაა ვამბობ, თანხმობით რომ ვიყავით, ყველაფერი საერთო იყო — ქირიც და ლბინიც. ტყუილა კი არ ერქვა კოლმეურნეობა. ახლა კი ყველა თავის ნაჭუჭში ჩაიკეტა. ან კი რაა ითხოვ: ჩვენებურები ქალაქში გაიქცნენ. აქ უცხოები დასახლდნენ. ამ სოფელ-

ში დავიბადე და გავიზარდე და ნახევარს ველარ ვცნობ, არ ვიცი ვინ არიან მეც უცხოთაგანი ვარ, თითქოს საიდანღაც გამომვსახლდი.

სახლში კარმა გაიჭრიალა და მიხეილმაც თავი ასწია. ნინკა გამოვიდა — ნადია კი ეგონა. გოგონამ მიმოიხედა — არავინ იყო, ერთ ხანს შეშინა ზვინთან იტრიალა და უცებ გაშვა. მიხეილმა შეიცადა, ვიდრე ნინკა თავს საქმეს მოითავებდა და კარში გაყო თავი:

— ნინკა, აქ მოდი.

— რა-ტომ? — შეშინდა გოგონა, არ მოელოდა აბანოდან თუ უთვალთვალეზდა ვინმე.

— მოდი, მოდი, გენაცვალე, აქ გაიგებ ყველაფერს.

— მეტს აღარ ვი-ზამ.

— გეუბნები აქ მოდი, ვიდრე არ მიმიტყუებხარ.

ნინკამ მიმოიხედა და გვერდულად შემოძვრა აბანოში, წინასწარ აფშლუკუნდა:

— რამდენჯერ უნდა გითხრა, ადგილი იცოდე-მეთქი? ფეხი მოგტყდება ცოტა შორს რომ წახვიდე?

— მეტს აღარ ვი-ზამ.

— აღარ ვიზამ. მარტო ეგ იცი. მომბეზრდა შენთან ლაპარაკი, ახლა მიგტყიპავ და დაგამახსოვრდება, მოგეწონება ძია ილიასთან რომ გცემო, ვიცი, კარგა ხანია ერთი ადგილი გეჭავენა. უნდა მოგფხანო და მერე გაიგებ.

ნინკამ უფრო უმატა ფშლუკუნს.

— რაო, რას გაჩუმებულხარ?

— მე კიდევ დედას ვეტყვი, აქ ღვინოს რო სვამთ, — სწრაფად გააფრთხილა ნინკამ და კარს გაუშწორდა — გასაქცევად მოემზადა.

— მე შენ გათქმევინებ! — გაცეცხლდა მიხეილი, — ისე გათქმევინებ, საკუთარ დედას ველარ იცნობ. იმიტომ გასწავლეს ლაპარაკი, მშობელი მამა დააბეზლო? დედას ეტყვის. ეს ტილი ესა, — მერე ილიას შესჩივლა, — მიწას არ ასცილებია და რამდენს ბედავს, ერთი ამას დამიხედე.

— მაშინ ნუ მეჩხუბები.

— არ გეჩხუბები — ჩუმად იყავი. თუმცა მაგისათვის კარგად უნდა მიიტყუო, რომ გაბსოვდეს.

— გეყოფა, გაუშვი ბავშვი, — შეიბრალა ილიამ, — მეტს აღარ იზამს.

— იზამ?

— აღარ ვიზამ. — წამსვე შეპირდა ნინკა და თავი ასწია, თვალები დააცეცა, იჭაურობა მოათვალიერა.

— მაგაში მარჯვე ხარ, იტყვი „აღარ ვიზამო“ და თავიდან მოიშორებ. იმ მაშალს გეცხარ, მე კი მიყვივლია და თუ უნდა ნუ გათენდებაო. ეგრეთა? მოიცა, გაქცევანუ ნუ გიჭირავს თვალი, მოასწრებ, ცეცხლი არ გიკიდია. მიგტყიპავდი, მაგრამ ძია ილია არ მანებებს. სანაცვლოდ საუზმე მოგვიტანე, გაიგე?

— გავიგე.

— ვერაფერიც ვერ გაიგე.

— დედას ვეტყვი და მომცემს.

— ისევ. სისულელეებს როტავ. დედას ეტყვის. რა, უდებოდ ვერ ძლებ? დაივიწყე, ეითომ არცა გყავს. საუზმე ისე მოგვიტანე, დედაშენმა ვერ გაიგოს და ვერც მიხვდეს. ახლა გაიგე?

— გავიგე.

— რამე იქნება მაგიდაზე ან საკუჭნაოში და ჩუმად მოიტანე. მე კი ცარიელ ბოთლს მოგცემ, — მიხეილმა გუშინ გამოცლილი ბოთლი გვერდზე გადგა.

— ჰო-ო, — უფრო ცქვიტა ნინკამ, — მომცემ და მერე თავს წამართმევ.

— არ წაგართმევ, არა, გაიქეცი.

— მაშინ ხომ წამართვი?

— მაშინ სხვა დრო იყო, ახლა არ წაგართმევ. ახლა ბევრი მაქვს, ძია ილიაა მოწმე. არ წაგართმევ.

— მე ვარ მოწმე, — მკერდზე ხელი მიიბრახუნა ილიამ.

ნინკა იდგა.

— რაღას ელი? გაიქეცი.

— თორე მომეცი, — მეორე ცარიელ ბოთლს გახედა ნინკამ.

— ორივეს მოგცემ, ოღონდ, ღვთის გულიათვის, ჩქარა მოიტანე, — მიხეილმა მეორე ბოთლიც მიუდგა გვერდით.

ნინკამ მხოლოდ კაბის კალთის ქვეშ დამალული პური მოიტანა, მეტი ვერაფერი. დიდხანს დაწრილებდა მაგიდასთან, მაგრამ დედამ დაუცაცხანა და გამოაგდო. პურის წამოღება კი არ გაჭირვებია — ნადიას წინკარში გაეტანა საუზმემდე. ახლა პურსაც არ დაიწუნებდნენ. მაგრამ მაინც ეცოტავათ. მიხეილს ახლად გაახსენდა, რომ ქათმები სწორედ აბანოს ბანზე დებდნენ კვერცხს. ნინკა ხვწეშა-ხვწეშით აფორთხდა, კაბის კალთით გაზაფხულს აქეთ დარჩენილი ხუთიოდე კვერცხი ჩამოიტანა და მიხეილმაც, ჩვევად რომ პკონდა, რაც ხელში მოხვდებოდა დაუხედავად გადაესანსლა, ჭიქა არაყს მიაყოლა. მაგრამ თვალები გადმოეკარკლა და ლამის გული აერია, იავე იძულებული გაიდა არყით ჩაერეცხა ყელი. იგი დიდხანს იფურთხებოდა და ილანძლებოდა, კვერცხებისაკენ აღარც გაუხედია. მხოლოდ პურის ყუას ლოლნიდა.

კვერცხების ჩამოტანისათვის ნინკამ მესამე ბოთლიც დაუმატა, საქათმეში რომ ეგდო, მერე მარბილზე გაგზავნეს და ჯერ გაუხსნელ მეოთხე ბოთლსაც შეპირდნენ. ბოთლის მოლოდინში გოგონა აბანოდან არ გადიოდა. მაინც დამაინც არც შინისკენ მიუწევდა გული, აქაც კი აღწევდა ნადიას ჯაჭლანი, ეშმაკად გამქრალ პურს რომ დაეძებდა. ნინკა მშვიდად დუმდა და სუფთა, უცოდველი თვალებით უმზერდა კაცებს, მათთან უზიფათოდ გრძნობდა თავს. ბედმა ახლა მჭიდროდ დააკავშირა ისინი და მიხეილა შეეძლო გული დაეარხებინებინა; ნინკა არ გათქვამდა. მალე ია ბოთლიც გამოცალეს და ნინკამ შეშის ზეინის უკან წაიღო დესამალად. მერე ბოსტანში იბორიალა და, როგორც სჩვეოდა, შორიდან შემოუარა სახლა, ალბათ მოშივდა.

არაყმა კაცებს ენა ამოადგმევინა, მხოლოდ ერთხელ, ილიამ ვიღაცას თუ რაღაცის წინაშე რომ დააპირა თავის მართლებას, წაბორძიკდნენ თუ მოითენთნენ.

— აბა, რა დაგვრჩენია? დედას ხომ არ დავუჯდებით ფერხთით, რა უნდა გავუკეთოთ. ჰო. აგე. წამოჯდა უკვე. მალე ირბენს კადეც.

— ეგეთები ეზერხება. — თავი დაუკანტურა მიხეილმა.

— მაინც რა უცნაურია! რას ვიფიქრებდით. თითქოს სააქაო პირი არ უჩანდა და მაინც მობრუნდა ყოჩალი დედა გვყავს.

— ეგეთ ფოკუსებზე მარჯვია.

— როგორ მოატყუა სიკვდილი?

— იცო, რაა გეტყვი, ილია. აი, მაგაში ეი შეცდა, ერჩივნა ახლა მომეცდარიყო. ჩვენთვისაც ასე აჯობებდა და მისთვისაც. ამაა მხოლოდ შენ გეტყვები — რა გვაქვს დასამალი. მაინც ხომ უნდა მოკვდეთ. ახლა სწორედ დროული იყო. ყველამ თავი მოვიყარეთ. მოვემზადეთ. რაღაი დაპირეთ. ბოლომდე უნდა მიეყვანა აქამდე. თორემ რა გამოვიდა? მე მათ დავუჭირეთ და...

— რას ამბობ. — არ დაეთანხმა ილია. — მოკვდება, როცა დრო მოუვა. განა მისი ნებაა?

— მე იმას ვამბობ რა აჯობებდა. ახლა სწორედ დრო იყო. ცხადია, ვერ უბრძანებ, დღეიდან შენი ფეხი აქ აღარ ვნახო. ეგრე არ გამოვა. თქვენ დღე-დღეზე წახვალთ. დედა ერთ ხანს კიდევ იცოცხლებს და მაინც განისვენებს. დაიხსომე ჩემი სიტყვა. ეგ ტყუილად არ მოსვლია, ასეთი ოხრობები უბრალოდ არ ემართებათ ხოლმე. მეც ხელახლა უნდა გამოგიგზავნოთ დეპეშები. ვინ იცის. თქვენც რა ხასიათზე დადგებით. ერთი ჩამოვა, მეორე კი ხელს ჩაიქნევს. შერე უარეაი იქნება. სიკვდილს მაინც ვერსად გაეჭკვევი.

— როგორ თუ არ ჩამოვალთ?

— ეგ ვაცმა არ იცის. ეგე. ტატიანა არც ახლა ჩამოდის.

— ტატიანა — ჰო. თითქოს იცოდნო, არ ჩქარობს.

— საჭმეც ისაა, არც იცის და არც ჩქარობს. თუ დღესაც არ ჩამოვა, ჭკუიდან შეიშლება დედა. იაედაც თავი მოგვაბეზრა თავისი ტანჩორათი: ხან სიზმარში ნახავს, ხან მოელანდება. აქ არ ცხოვრობ და არ იცი.

— ჩამოვა, ასეთი დეპეშა მიიღო და არ ჩამოხვიდე? შეუძლებელია.

— თუ ჩამოვა — დავლევთ. წესისამებრ უნდა დავზვდეთ, დაა.

— ჰო, დავლევთ, სხვა რა გზა გვაქვს.

— არ ჩამოვა და მაინც დავლევთ. — არ დაიბნა მიხეილი, — მაინც დავლევთ, ილია. აბა, რა ვქნათ?

— აბა, რა ვქნათ? — მხიარულად აუბა მხარი ილიამ. — ხომ არ გადავლვრით?

— ვინ გადაგვალვრევინებს? სახელმწიფო ქონებაა, ეგრეა.

— ახლა გინდა თუ არ გინდა უნდა დალიო.

— რა აანტერესოდ ლაპარაკობ, ილია. „არ გინდაო“. ეგეც არ შეიძლება. რატომ არ უნდა გვინდოდეს? თუ საჭიროა — უნდა დალიო, — დაიყინა მიხეილმა, — შეგვიძლია ასეთი ვალდებულება ვიკისროთ? მე და შენ ყოველ დღე ხომ არ ვხვდებით ერთმანეთს?

— შეგვიძლია, რატომ არ შეგვიძლია.

— ჰო, ეგ სხვა საჭმეა.

და საუბარი ისევ ორივესათვის ახლობელა, გასაგები და მიმზიდველი დონებით წარიმართა. ამან, რაღა თქმა უნდა, გამოახალისა კაცები. კიდევ მოუნდათ დამატება — ღვთის მადლით, არაყიც იქვე იყო, თავზე საყრელად და არც ფულის გადახდა სჭირდებოდა. მიხეილმა ფეხზე ჩაცმა მოიმზივნა და ხელმეორედ გაძვრა საკუჭნაოში. მიდიოდა და შიშველი ფეხისგულები ანათებდა, ილიამ კი „ამასობაში, ლოგინი ააღაგა, დილიდან რომ ზედ იჯდა და გარეთაც გავიდა.

მიხეილმა ევრც ამჯერად მიაღწია ჩექმებამდე ჯერ საკუჭნაოში შევიდა და თვალთ დაუბნებლდა. ელიაცაა უსინდისოდ გაენახვევრებინა ყუთი. ჩექმებისა-

თვის ვილას ეცალა? შემსუბუქებულ ყუთს ხელი დასტაცა და უსან გამობრუნდა. ვიდრე კიდევ შეიძლებოდა რამის გადარჩენა, უნდა გადაერჩინა, თორემ ცოტა ხანში ესეც აღარ დახვდებოდა.

აბანოში დიდხანს იოხებდა გულს — იგინებოდა. დღესათვის ხათელი იყო, რომ ბოთლები შინაურებმა გადაუმაღეს, მაგრამ უსან მაინც ვერ დაიბრუნებდა. დანით ხომ ვერ დაადგებოდა: მომეცით თორემ ფეხლები ჩვენი კუთხის სულ სხვა მიზნით იყიდეს არაყი და სხვებმაც გაიღეს თავისი წილი. ცხადია, კაცებს მეტი უფლებები ჰქონდათ სასმელზე, იმიტომაც ერქვათ კაცები, მაგრამ ისიც ხომ ცნობილია, ფხიზელი კაცის უფლება დათრობის შემდეგ ოდნავ პაექვით ხდება. და ისინიც იძულებულნი იყვნენ თავი ისე დაეჭირათ, თითქოს არაფერი მომხდარიყოს, ვერც ვერაფერი შეეტყვოთ და ხელსაყრელი დროის მოლოდინში ეთვალთვალათ.

ახალი ბოთლი გახსნეს თუ არა, ატირებული ნინკაც გამოჩნდა და ზღუარბლიდანვე გამოაცხადა:

— დედა ცუდია.

— ჩამოსადრჩობია დედაშენო, — უპასუხა ჯერ ისევ ბოლმამორეულმა მიხეილმა.

— მოდო, მამა, ჩამოვადრჩოთ და ვუყუროთ.

— ახლაც ავადრულებდი, მაგრამ ძალზე დიდი პატივი იქნება მაგისტრის.

— რა დაგიშავა? — დაეკითხა ნინკას ილია.

— შეუბნება, პური მოიპარეო. არ დაუნახავა და ამბობს დავინახეო.

— აყავხარ, არ გატყდე, — გააფრთხილა მიხეილმა.

— ეგრე ვქენი. ვუთხარი, თუ გინდა მამას და ძია ილიას ჰკითხე-მეთქი.

— ეგ კი შეგშლია. ჩვენი სახელი არ უნდა გეხსენებინა. ვერა ბვდები ახლა იქ ძალღადაც აღარ გვაგდებენ. აზრი არ ჰქონდა. ვერ მიხვდი?

— ცუდია, — გაიბუსხა ნინკა.

— მაგას რა ლაპარაკი უნდა. შენ მე მკითხე...

— თქვენზე ამბობენ, არაყში ჩაიღვრჩნენო, მაგათ იაე რა გააჩერებთო, — უყვებოდა ნინკა, — შენზე თქვეს, ლოთია და მეტი არაფერიო. სულ მაგის ბრალია. ძია ილიაც აიყოლაო.

— ხედავ, რას ისმენს ბავშვი? — მწარე სინანულით დაიქნია თავი მიხეილმა, — გაუგებრები: ეგრე შეიძლება? შენ კიდევ ნუ უსმენ, — უბრძანა ნინკას, — რაც უნდა თქვან, ვისი გჯერა, ჩვენი თუ იმათი?

— თქვენი.

— ეგრე, ეგრე, ჩვენთან იყავი, არ დაიკარგები, იმათ ყურს ნუ უგდებ.

კაცები ისევ სასმელს მიუბრუნდნენ. მამა-ბიძით წაჭეზებული ნინკაც იქვე ტრიალებდა, არყით სავსე ჭიქებს იღებდა, სუნავდა და ფრუტუნებდა, თანატოლივით ერეოდა საუბარში, ბოთლს არ აშორებდა თავს და კაცებს აგულღიანებდა, მეტი დაისხითო. მიხეილს ეცოდებოდა და არ გაუგდია, თუმცა მოგვიანებით გამოირკვა, რომ არც შემცდარა.

— მამა, სავსე ბოთლებს იბარებენ მაღაზიაში? — უკვე მესამედ თუ მეოთხედ ჰკითხა, მაგრამ მიხეილი ილიასთან საუბარში იყო გართული და ნინკას სიაუღელეუბნისათვის არ ეცალა.

— როგორ თუ სავსეს? — მოწყდა ბოლოს ლაპარაკს.

— იმას, რომლებსაც ვერ გადმოღვრი. ვღვრიდი, მაგრამ არ იღვრება.

— საინტერესოა, რას ღვრიდი? — ვერ მიუხვდა მიხეილი.

— ღვინოს.

— რომელ ღვინოს?

— აბა, ნუ მამბრალებენ, პური მოიპარეო. არ დაუნახავს და ნუ მამბრალებს.

— რომელ ღვინოს ღვრიდი? — მიხეილი ნინკასაკენ გადმავლიდა და რომ არ დაეფრთხო, ფრთხილად, ალერსიანად ჩაავლო ხელი.

— რომელი, რომელი! იმას, ბოთლებში რომაა. ბოთლები ვერაფრით ვერ გავხსენი.

— სად ნახე? — ჰკითხა მიხეილმა და ილიას გახედა.

ნინკა არც აპირებდა დაფარვას — დღეს მამას ენდობოდა.

— შენ ხომ მომეცი. ისინი კი მე თვითონ ავიღე. აღარ დამამბრალებს. არ დაუნახავს და ნუ მამბრალებს.

— ეგრე. ახლა სად არის ის ბოთლები?

— ფქვილში.

— სად?

— ფქვილში. საკუჭნაოში იყო შენახული. დედამ დამალა. ეგონა, ვერ მივაგნებდი, მე კი მაინც მივაგენი. იქ ერთი გალია დგას, ბოთლები შიგ აწყვია, ბევრია.

— გასაგებია, — ამოიკვნესა მიხეილმა, — ახლა ყველაფერი გასაგებია. არ იღვრება? წარმოგიდგენია, ხომ გადაღვრიდა? მაინც სად ღვრიდი? იატაკზე? — ეკითხებოდა და ტყვილით თვალს ჰუტავდა, ცხადლივ ხედავდა, უბრალო წყალივით იატაკზე დაღვრილ არაყს როგორ ისრუტავდა ფიცარი.

— არა. ფქვილში უნდა ჩამესხა, სიხველე რომ არ შეენიშნა.

მიხეილს უკვე აღარ შეეძლო თვალთმაქცობა. ნინკას აცახცახებული თითი დაუქნია და უბრძანა:

— იმ ბოთლების შესახებ არც ერთმა სულიერმა არ უნდა გაიგოს. დაიმახსოვრე?

— დავიმახსოვრე.

— არც ერთმა, — ხმა ჩაუწყდა მიხეილს, — გაიგე?

— გავიგე.

— თორემ ვაი შენს ტყავს. იტყვი და, ცუდად წაგივა საქმე.

— საფსეს მაინც არ იბარებენ, — მიხეილის სიმკაცრის შერბილება სცადა ილიამ.

— არც გადაღვრილს იბარებენ. დაღუული უნდა იყოს. გაიგე?

— გავიგე.

— რა მალე იგებ ყველაფერს? პირდაპირ შეგშურდება კაცს. რა ჰკვირნი გოგო ხარ. ახლა კი წადი. წადი, წადი, — უბიძგა მან, — გაისეირნე. კაცებთან რა გეაქმება. კარგად დაიხსოვე, რაც გითხარი. სულიერმა არ გაიგოს, მებოთლე არ გამიხდა?! გირჩევნია თოჯინებით ითამაშო, ბოთლებს გაანებე თავი.

მიხეილმა კარი მიხურა და სული მოითქვა.

— ეს ძალღმირი ლეკვი მართლა ჩააბარებდა. ბავშვს რა უნდა მოკითხო? სავსეო — ხედავ შენ? მაღაზიაშიც გულარხეინად ჩაიბარებდნენ ოც კაპიკად. რა ენადვლებათ, შენ ოღონდ მიუტანე. რა ოხერია, მაინც მიაგნო. დიდი აღქაჩი იზრდება.

ნინკა კი თვალის ცეცებით გავიდა შუა ეზოში და უხიფათოდ ადგილას რომ დაიგულა თავი, აბანოს დაემუქრა:

— მამა ცუდია.

და დედისავე გასწია.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

8

დილიდან ლუსია ერთ ხანს კიდევ იჯდა დედაბრის საწოლთან და შემდეგ, გულდაარბენებულმა, ტყეში დააბირა წასვლა. ნინკა წამოდგა თუ არა, დედაბერი ისევ ლოგინში ჩაწვა და ჩასთვლიმა, მაგრამ ფხიზელი და მოდარაჯე ძილით ეძინა, ყოველ გაფაჩუნებაზე ახელდა თვალს. დღეს უკეთესობა ეტყობოდა და უშიშრად შეეილო მისი დატოვება.

ლუსიას დიდად არ მიუწევდა მთისკენ გული, მაგრამ სხვა საქმეც ვერ მოიძია — მთელ დღეს სახლში ხომ არ იყურუტებდა. თავდაპირველად ნადიაც შეაბირა გამომყევით, მაგრამ შემდეგ თავადვე გადაათქმევინა, საუბრის გუნებაზე არ იყო. თან არც უმწეო ვარვარას იმედოდ დატოვებოდა დედა. ვერც კაცები დაეხმარებოდნენ, იქით იყვნენ მიაახედები, არაფერი მოეწიათ და დედას არ გადაკიდებოდნენ. დედაბერი მთვრალეებს ვერ იტანდა და ეგებ უარესადაც შექმნილიყო.

ლუსია დიდხანს ემზადებოდა. ისე უნდოდა ჩაეცვა, ტყეშიც მოხერხებულად ევლო და შესახედავადაც სასიამოვნო ყოფილიყო, იმ შემთხვევითობას ერიდებოდა, უგემოვნებას რომ აჩენს ხოლმე ყოველ ნაბიჯზე. უცხო თვალს კი არ უფრთხოდა — ტყეში ეგებ არც არაფერ შეხვედროდა, თავისთვის ირთვებოდა — ერთხელ და სამუდამოდ ჰქონდა დაკანონებული — მიმზიდველად სცმოდა. ამაზე იყო დამოკიდებული განწყობა და, წარმოიდგინეთ, საქმეც კი. ლუსიას სჯეროდა, რომ უბედურებასაც თვალეები ჰქონდა და ვიდრე ვანმეს თავს დაატყდებოდა, დიდხანს უთვალთვალებდა, იმასაც კი აქცევდა ყურადღებას, გარეგნულად როგორ გამოიყურებოდა ადამიანი. ძლიერ, მძლე ადამიანს იშვიათად ერჩოდა.

შესაფერისი მუქი პერანგი ნადიას აღმოაჩნდა. კიდევ რა ჩაეცვა, ველარ მოიფიქრა. ნადიამ თავისი შარვალი და ჩექმები მოუტანა, მაგრამ ლუსიამ გვერდზე მიაწყო — თვალი შეავლო თუ არა, მოხვდა, ვერ ჩაიკმევდა. როგორ გამოადგებოდა ახლა თავისი შარვალი და ქალაქგარეთ გასასვლელად სპეციალურად ნაყიდი ტურისტული ბათინკები, მაგრამ რას იფიქრებდა, თუ აქ სოკოზე მოუწევდა წასვლა. აქეთობას ამაზე არც უფიქრია. ის იყო, გადაიფიქრა კიდევ წასვლა და შინისაკენ მომავალ ვარვარას ხმა შემოესმა, წარმოიდგინა, მთელ დღეს გვერდიდან რომ არ მოსცილდებოდა, სულს ამოხდიდა ფშლუტუნით და ნადია დაამუნათა, კედლები გახადა. ჯანდაბას, ოღონდ წასულიყო. ძალზე არ სურდა შინ დარჩენა. აღარავის ნახვა აღარ ეწადა. არც ხმის ვაცემა — არც შებრალება, არც გამხნელება. თითქოს ნათესავები იყვნენ, ერთი სისხლი და ხორცი, თითქოს რაღაც სხვაგვარად უნდა მოქცეოდა, იგი კი სრულიადაც ვერ შეიგრძნობდა ამ განსაკუთრებულ, სისხლისმიერ ნათესაობას. ეს მხოლოდ გონებას ახსოვდა და ამიტომაც აღიზიანებდა საკუთარი თავი — მათთან სულიერი სიახლოვე და შეხვედრით მოგვარილი საერთო განწყობით აღფრთოვანება რომ არ შეეძლო. აღიზიანებდა დაამძები, დედა — სწორედ მის გამო

მოუწია ტყუილად ჩამოსვლა — ეს გაცრუება ყველაზე მეტად აღაშფოთებდა. ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს უნდა დარჩენილიყო აქ. ერთი, ორი თუ სამი დღე? იქნებ მეტიც.

სოფლელებს რომ არ შეხვედროდა, ლუსიამ ქუჩიდან გადაუხვია, ბოსტნებში გადაიარა და სოფელთან მიჯრილ პირველსავე გორაკზე შედგნულადანვე გადაწყვიტა, არ აჩქარებულიყო, მისთვის უმთავრესი იყო ტყეში შესვლა და სუფთა ჰაერი ჩაესუნთქა — ამ სუფთა ჰაერს ხომ უქმე დღეებში ქალაქიდან მრავალი კილომეტრის მოშორებით ეძებდა. აქ კი ტყე ყურისძირში ეგულე-ბოდა და მიუტევებელი იქნებოდა, არ გამოეყენებინა ეს ბედნიერი შემთხვევა: არც მანქანაზე ზრუნვა იყო საჭირო, არც საგზლის მომზადება, ფაციფუცი — ადექი და წადი. სოკოები — სოკოები რა გახდომია! შეაგროვებს, რაღაც სოფლად ტყეში უსაქმოდ ხეტიალი მიუღებელია. თუ წააწყდება — მოწყვეტს, თუ არა და — არც არის საჭირო.

მთაზე ავიდა და სული მოითქვა. მოეჩვენა, თითქოს მის არყოფნაში მთა დაპატარავებულიყო, დაწეულიყო, ერთი კი გაიფიქრა, მეჩვენებაო, ალბათ თავად გაიზარდა, გამაღლდა და სიდიდეზეც შეეცვალა წარმოდგენა: მას, რაც ადრე დიდად თუ მნიშვნელოვნად ეჩვენებოდა, ახლა ჩვეულებრივი საზომით ზომავდა. არა, მთა მართლაც დაწეულიყო. ლუსიას გაახსენდა, ოდესღაც, ბავშვობაში, ბექობიდან პირდაპირ ჭიშკრისაყენ მისრალებდნენ ხოლმე. მან ჭიშკრიდან გადარჩენილ ორ გადაფერდებულ ბოძს გახედა ცერად და თვალით გაზომა მანძილი: ბექობიდან ჭიშკართან მიღწევა ახლა შეუძლებელი იყო. თუმცა აღარც ჭიშკარი იდგა უკვე. მთაზე აღარც ხნავდნენ და აღარც თესავდნენ, პოდა, რად უნდა გადაეღობათ საქონელისათვისა გზა, ოთხივე მხრით მოეხსნათ კარი. აღარც მდინარეზე მოჩანდა ჭიშკრები, ისიც აეღოთ.

ლუსია ახლალა მიხვდა, რაა დაუპატარავებინა მთა: ქედი წაეჭრათ. მთა არც ისე მაღალი იყო, როგორც დამრეცი, ქვეგამხედვარე და სოფელში მანქანების მომრავლებასთან ერთად, ბუღდოზერიც მიაყენეა. მარცხნივ ძლივს მოჩანდა არხი. ის ორი კაცის სიმაღლე არხი. არხი კი არა — ხრამი, გაზაფხულის პირზე წითელი თიხით ჩაყალტამებული წყალი რომ მოღმუოდა შიგ და ვაკეებულზე ბოსტნებს რწყავდა დამცხრალი. არხის ჩამორეცხილი კალთების გუგუნს ექო ეხმიანებოდა. დედები შინიდან გასულ შვილებს უპირველესად იმას ახანებდნენ ხოლმე, ხრამს ახლოა არ მიეკართოთ და მხოლოდ ამის შემდეგ არიგებდნენ, თვალემა ნუ დაიჩიქნითო, ხრამი მართლაც გამოუცნობ საიდუმლოს ფარავდა. გამოუცნობ საფრთხეს და ეს საფრთხეც და საიდუმლოც თვალბილულის მიღმა იმალებოდა. თითქმის ყველა ნაყრბალი ფეხით ჰქონდათ მოვლილი ბავშვებს, არხი კი აქვე იყო, ყურისძირში და მაინც ახლოა ვერ ეკარებოდნენ. ოდესღაც იმავეც ამბობდნენ, თითქოს არხის ფსკერი პირდაპირ ქვესკნელში ინთქებოდა და ეს ნათქვამი ახაოვდათ, ეგებ არც სჯეროდათ, მაგრამ ახაოვდათ.

ახლა კი არხი ამოვესოთ, გადაეტყუებნათ და შიგვე ჩაემარხათ შიში და ცრურწმენა. კიდევ ერთი იდუმალი, შიშნარევი პატივისცემია მომგვრელი ადგილიც გამჭრალიყო — თანდათან უფრო მცირდება ასეთი ადგილები ამ მიწისპირზე...

არხის გაღმა, ხელმარცხნივ, სადაც შავად გადაჯაგრულა ჭინქარი, კოლმეურნეობის დროს სასილოსე ორმო იყო და გაზაფხულის მწუხრში, როცა

უფრო ძალუმაღ ფშვინავდა მდინარე, პირმოხსნილი ორმოდან სოფელს ენოს-ვის გამაღაზიანებელი შმორის სუნი ეფრქვეოდა.

სილთას ჩვეულებრივ, შაბათობებზე დებდნენ, დილიდანვე ერთი მხი-რულება და ჟივილ-ხივილი იდგა ხოლმე: მოთიბულ ბალახს და წიწვებს ორ-მოსაყენ ეზიდებოდნენ, შიგ ყრიდნენ, შემდეგ ცხენადაც ორმოში ჩაუშვებდნენ, ზედ შემოაკეთებელი რომელიმე ბავშვით და ნელ-ნელა, მარცხენა ცხენი-ცა და ბავშვიც, ზევით-ზევით იწევდა, ტკეპნიდა ბალახს, ორმოა პირთან კი ქაჩებივით დახტოდა აოფლის წვრილფეხობა და ფეხებში ებლანდებოდა მო-მუშავეებს. მოთბინებადაკარგული უფროსები ერთს დაუცაცხანებდნენ, თით-ქოსდა თავიდან მოიშორებდნენ აბეზარ ბავშვებს, მაგრამ ისინი წამისუსწრა-ფესად ისევ ორმოსთან გროვდებოდნენ, ვინ მოთვლის რამდენი ცრემლი და სიხარული ახლდა თან იმ დღეს, მუშაობაში გაფიცებული ეაცები ქიმუნჯება არ იშურებდნენ, აქეთ ბავშვები დასდევდნენ ერთმანეთს ჭინჭრებით და თუ ვინმეს მოიხელთებდნენ, პარდაპირ ორმოში უბიჯებდნენ, მოაგონდა: ნაუსახს მიწით იბეზდნენ, მერე ზედ იფურთხებდნენ და ტუტყიან სხეულზე მოთეთრო, დაბუტყული ლაქები უჩნდებოდათ. კოლეა კომაროვიც ამოუტივტივა ხსოვნამ და ღიმილი მოჰგვარა: აწორედ მისი ფურთხი ითვლებოდა დასუსტულსათვის უებარ წამლად და კოლეაც მცირე საზღაურს როდი ჯერდებოდა, სოფლის წვრილფეხობის ნახევარს ერთთავად ემართა მისი, განა ვერ ხვდებოდნენ, კო-ლეას ნერწყვი დიდად რომ არ განირჩეოდა აკუთარისაგან, მაგრამ უცხო სხე-ულის მიკარება უჩვეულოდ ალელვებდათ და ნუახავდათ.

„ნეტავ სად არის ახლა კოლეა კომაროვი, ან რა დაემართა?“ — გაიფიქ-რა ლუსიამ და გადაწყვიტა შინაურებისათვის გამოეკითხა, ოდესღაც კოლეას ლუსია უყვარდა და აოფლიდან რომ არ წააულიყო, ვინ იცის, ეგებ ბედს მა-თი კოლ-ქმრობა ენებებინა.

მოგონებათა ახალი წყება უეცრად არ დაიბრუნა, ლუსიამ მცირე მან-ძილი კიდევ გაიარა და იმ ადგილს მიუახლოვდა, ამ მოგონებას რომ უკავში-რდებოდა, ხელმარჯვნივ, მთაზე ერთი ციციქნა პექტარზე, მომცრო ტაფობი იყო, მაგრამ რაც ლუსიას თავი ახსოვდა, აღარ ხნავდნენ — ძნელი მოსავ-ლელი იყო, მხოლოდ თივას ზვინავდნენ შემოდგომობით, ზამთრის დადგომამ-დე ტაფობი ბავშვებსა ჰქონდათ აკლებული, დილიდან დაღამებამდე სამალა-ვებს თხრიდნენ, სახლობანაა თამაშობდნენ, შებინდებულზე კი წამოყინებული ბიჭები დაასეირნებდნენ თავიანთ შეყვარებულებს, მაგრამ ბინდი ვერაფერს შეელოდათ, რადგან ზვინებზე გადმოფენილი არყის ხის ტოტებში ბავშვები იყვნენ შეყუჩულები, უფრო მეტიც, ყველაზე თავზეხელაღებულნი ალერსში გართულ წყვილს ტოტებიდან თავზე ახტებოდნენ — ეს აოფლური, როყიო ხუმრობა, — აქ კი მართლაც თავზე ხელია აღება და გრძელი ფეხები ჭირ-დებოდათ, თორემ დამფრთხალ ყმაწვილს შეიძლება ხელში შემოკვდომოდნენ.

ამ მოგონებამ კი არ ააღელვა, დააიხტერესა ლუსია: იმდენად უცხო და შორეული იყო ყოველივე, თითქოს მას კი არ გადახდომოდა და თვალთ ენა-ხა, არამედ ვიღაც სხვას, მის დაბადებამდე რომ არსებობდა, ეს მოგონებანი მისეული არ იყო, ისინი თავად მიეახლნენ, უკითხავად და თვალთ დანახულს ეხმიანებოდნენ.

მეორე, წაგრძელებული მთის ძირას სამანქანო გზამ მარცხნივ გაუხვია — ამ მთას ასე იოლად ვერ გადაჭრიდნენ, ლუსია ძველ გზას დაადგა, ნაბილი-

კარის ორივე მხარეს მალალი, სიყვითლეშებარული ბალახი ყელყელაობდა. ლუსია თავთავებზე ეფერებოდა ბალახს, მარცვლები ხელისგულებზე უღიტი-ნებდა და ჩუმი შრიალთ ცვიოდა მიწაზე. მთა აიარა და ტყეც შეთხელდა, ახლა მინდვრის საზღვრამდე კანტი-კუნტად თუ იდგა ხე, სამაგიეროდ, ყოველ ნაბიჯზე ამოუძირკვავი ჭირკვები ხვდებოდა და ჩაშავებულ, მუშტოვანობით დამსკდარი ლატნები ეყარა. აქაც მოძალებულ-მომრავლებულ ბალახი და ჩონჩხებივით ეყარა გამოფიტული ტოტები — ადრე სოფლის ახლოებში ფიჩხს მაინც აგროვებდნენ სათბობად, ახლა ესეც არავის სჭირდებოდა. გუშინ, სოფელში ჩამოსვლისას ნახა, მდინარის ნაპირი ხე-ტყის გადატვირთვის შემდეგ დარჩენილი ნაფოტით იყო მოფენილი, ნაფოტს ან ფიჩხს რას დაგიღევდნენ, როცა ყოველ სახლთან მორები ელაგა და საჭიროებისთანავე ელექტროხერხით დახერხავდნენ. ადრე კი სხვაგვარად იყო, ადრე შაბათობებს აწყობდნენ, ისევ შაბათობები: რასაც ერთი ოჯახი ვერ აუვიდოდა, ნადი იკრიბებოდა, დედა-ბუდიანად მიდიოდნენ, ბავშვებსაც კი არ ტოვებდნენ შინ. მათთვისაც მოიძებნებოდა სამუშაო. ლუსიას გაახსენდა, როგორ ეხალისებოდა შეშის ზვინის ახონოლავება, რალაც პირველყოფილ სიხარულს განაცდევინებდა აბრეშუმის-ქერქიანი ნაძვის ყვითელი ნაფოტების ერთმანეთზე დაწყობა. შეშას ყოველთვის ერთსადაიმთავე დროს ამარაგებდნენ — გაზაფხულობით, ზაფხულში რომ კარგად გამომშრალიყო. ახლა კი წლის ნებისმიერ დროს შეგიძლია, აიღო და დახერხო უკვე გამზადებული, უპატრონოდ მიყრილი მორები.

„რა სიტყბო იყო ამ შაბათობებში“ — მოულოდნელი ნადვლიანი სინანულით იფიქრა ლუსიამ, — ხალხსაც სიამოვნებდა მუშაობა. ვინმეს თუ გამოსტოვებდნენ, თავად ხვდებოდა, რომ ახლობლად არ თვლიდნენ, არც მეგობრობა ეწადათ მისი და არც დახმარება“.

ეს ნადი — ერთობლივი, მხიარული, თავბრუდამხვევი, ხერხებისა და ნაჯახების მრავალხმიანი გადაძახილით, დაცემული ზროების განწირული ოხვრით — სულში აღფრთოვანებად და შფოთად ხშიანდებოდა. მომუშავეები ერთმანეთს ეხუმრებოდნენ, ეკეკლუცებოდნენ, გამასპინძლების მოლოდინში დიასახლისას ადრევე უშვებდნენ შინ. გრძელი ზამთრის შემდეგ ნადზე პირველად უწევდათ ხოლმე ტყეში გასვლა, არც სამუშაო იყო დამქანცველი და ყველა ხალხიანად შრომობდა. მზიანი ტყისა და გაცოცხლებული მიწიდან მონადენი თავბრუდამხვევი სურნელი დიდსა თუ პატარას ბავშვური სილალით უფონავდა სულს და დიდხანს, გამომფიტველ დაქანცულობამდე არ ნელდებოდა. გაღვივებული მიწა, თითქოს გრძნობებსაც ანედლებდა, იდუმალი გზებით ერწყმოდა ადამიანთა შორეულ, მეტად მგრძნობიარე ხანას, ოდეს მეტი ესმოდათ და მეტს ხედავდნენ, არჩევდნენ: უძველესი ინსტინქტები ბუნდოვანი დაჯინებით აიძულებდათ გულდაგულ დაკვირვებოდნენ, ეყნოსათ, მიწასა და ზეცაში მოეძიათ აწ მივიწყებული, დაკარგული, მაგრამ არა სამუდამოდ აღმოფხვრილი.

წყლის ნაცვლად — არყის ხის წვეწას სვამდნენ, რასაც სხეული საღებუნით ისრუტავდა — ფრთხილი ყურადღებით და წამიერი გამოძახილის იმედით. წვეწას ბავშვები აგროვებდნენ, იგივე ბავშვები აგნებდნენ და მიწიდან თხრიდნენ შროშანოს ღივს, რომელთა ყვითელი ბოლქვები პირში დნებოდა შაქარივით. სახედამანქულნი, არა იშვიათი შინაგანი წყურვილის დასაოკებლად, არამედ ერთმანეთის წამხედურობით წუწნიდნენ სოჭის წიწვებს. რალა თქმა

უნდა, არც ხის სოკოს იკლებდნენ, ურომლისოდაც იმ დღეს ისევე არ შეიძლებოდა, როგორც აღდგომა დღეს უკვერცხებოდ და რომელსაც კაცებიც კი ღვკავდნენ, შემდეგ კი ღრძილებგადატყაულნი დედას იგინებოდნენ და პაპიროსს სტაცებდნენ ხელს.

დამრეც ფერდობს მინდვრები ეკვროდა მიჯრით. ლუსია მოტივებულ ტაფობზე გავიდა და გაოგნებულმა მიმოიხედა: უცნაურია, გზა რომ აქ აებნა, როგორ უნდა დაკარგულიყო სოფლიდან ორ ნაბიჯზე? გარემო მოათვალიერა: აგერ კასალოვკა — მარცხნივ, დაბლა მდინარისაკენ გაჭიმულ მინდვრებს კასალოვკას ეძახდნენ, პირდაპირ, სადაც ცალფადლა მოჩანდა კალოსგან შემორჩენილი მესერი, ახლო ნაძვნარი იყო. შემდეგ კოშკურა, მარჯვნივ კი გზა შორი ნაძვნარისაკენ უხვევდა. ეს სახელწოდებანი ისე იოლად ამოუტივტივია ხსოვნამ, თითქოს ყოველ დღე იმეორებდა, თუმცა ჩამოსვლის დღეს სოფლის მოპირდაპირე კუნძულის სახელი ვერ გაიხსენა და ლუსია გაოცდა: რა ემართება? მოეჩვენა, რომ ბალახისა თუ ქარის ხმას მოჰქონდა აქ დაბუდებული სიტყვები, სმენა აკავებდა და გასამეორებლად უბრუნებდა მეხსიერებას.

ლუსია ნელ-ნელა მიჰყვებოდა გზას, ცნობდა და ვერც ცნობდა თვალწინ გადაშლილ სანახებს. ზემოდან თუ გადმოხედავდა, კასალოვკაც ადგილზე იყო, სოჭნარიც, კოშკურაც. მიწაზე კი ყველაფერი თვალთ დაუჩერებელ, ერთ უცხო, ფართო გავერანებულ ადგილად ქცეულიყო. ვიწრო ზოლად მთაზე ამაღალი ბილიკი აქ ისევ სამანქანო გზას უერთდებოდა და მიწის დაუზოგავად გვერდიგვერდ მიჰყვებოდა. მინდვრები ქვევიდან მოძალეხულ ხშირ, ფხიან ვერხვნარს დაეფარა. ოდნავ განცალკევებით, შუაგულში ნაძვის ნაყარი იდგა, აქაც და იქაც სავათი დაფრინავდა. უკვე ჭირდა ველისა და ყორღანის გარჩევა, იმე გადაჭდობოდნენ ერთმანეთს — ველარ დააშორებდი. ამ დროისათვის ჩვეული თავთავის სუნი კარგა ხანია გამქრალიყო. ახლა გადამწიფებული ტყის ნარევი ობშევარი ტრილებდა და გავერანებული მიწიდან უფუფარი, ხაშში სუნთქვა ამოდიოდა.

ლუსიას მარცხნივ გაუწია გულმა და მინდორზე გავიდა. მიწა ჯერ არ გაყამირებულიყო, მხოლოდ ნაცრისფერი მოსდებოდა კოშტებს. ხორბლის დამწიფებას მიჩვეული ნიადაგი თითქოს სასწაულს ელოდა და უკანასკნელი გაბრძოლებით ინახავდა თავს თესვისათვის, მაგრამ ახლადამოსული ნაძვნარის ახლოს წიწვნაყნოსი ქიანჭველები დაფუთფუთებდნენ — უკვე ერწმუნათ, რომ აქ არაეინ ახლებდათ ხელს.

რამდენი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც კოლმეურნეობა დაიშალა? შეიდი, რვა, ცხრა? ლუსიას ზუსტად აღარ ახსოვდა. კოლმეურნეობა არსადაც არ გადასულა, ადგილზევე გაილია. მხოლოდ ისედაც თითზე ჩამოსათვლელი მანქანები და რაღაც ინვენტარი წაიღეს. მინდვრებს ხომ ზურგზე ვერ წამოიკიდებდნენ — აქვე დარჩა, აგე მინდვრები, არც ხალხს მოუცვლია ფეხი. განა ასე ითლია, მშობლიური სამარეებით განათებული, შეჩვეული ადგილიდან დაძვრა და სადღაც გადასახლება. მხოლოდ სამიოდე ადრე ჩამოსახლებული ოჯახი აიყარა, მერე ერთი ისევ უკან მობრუნდა.

კოლმეურნეობას „ჩაპაევის ხსოვნა“ ერქვა და ლუსია ისევ გაოცდა, რა იოლად, მეხსიერებითა დაუძალველად ამოტივტივდა აწ ყოვლად გამოუსადეგარი დასახლება და ობლის ძახილივით გახმაინდა ველზე. ალბათ, ვერც გაიხსენებდა, აქ რომ არ ყოფილიყო. ამ ტყე-ველში, თუმცა უფრო მოგვიანებით, ლუ-

სიას წასვლის შემდეგ კოლმეურნეობას სახელი გადაარქვეს, და ეგონებ, არა-ერთხელაც, მაგრამ ის დასახელებები უკვე აღარ იყოფა.

კოლმეურნეობა „ჩაპაევის ხსოვნა“, რომელიც ისედაც ძლიერ ძლიერობით გადიოდა ფონს, ერთბაშად ყოველმხრივ არ გაუმართლა. თავი და თავი იყო რომ მეზობლად, იმავე სოფელში სატყეო მეურნეობა დაარსდა. სატყეო მეურნეობა, ფულსაც, როგორც ზღაპარში, თვეში ორჯერ უხდიდნენ მუშებს და ახალგაზრდობაც, ათასი ტყუილითა თუ მართლით ნელ-ნელა გამოეცალა კოლმეურნეობას. არც დედა-ბუდიანად აყრა იყო საჭირო, არც ცხოვრების წესის შეცვლა, უკეთესი პირობები აქვე იყო, ყურია ძირში. კარგ მექანიზატორს კოლმეურნეობაში როგორ დააკავებდი, თუ თავად ხედავდა, რომ სატყეო მეურნეობაში არც ჭაპანწყვეტა იყო საჭირო და სამჯერ მეტსაც გამოიმუშავებდა. კოლმეურნეობა კი მაინც იბრძოდა — ყვიროდა, კანონების კორიანტელა აყენებდა, მაგრამ უშედეგოდ.

ჯერ ერთი უბედურება არ მოეშუშებინა და ახლა მეორე დაატყდა თავს, კოლმეურნეობათა გაერთიანება დაიწყო და „ჩაპაევის ხსოვნა“ თავისი პირდაპირ კუზიანს აპკიდეს, ორმოცდაათკილომეტრიანი ტაიგა რომ აშორებდა. მაშინ მარტო ახალგაზრდობა კი არა, ლამია მთელი სოფელი მიაწყდა სატყეო, ააქონლის მიმხედავიც აღარავინ დარჩა. იმ კოლმეურნეობამაც თავისკენ გაიბრუნა ფარები, მინდვრებს ერთ-ორ წელს კიდევ ამუშავებდნენ, დასახმარებლად ხალხს გზავნიდნენ, თუმცა თავადაც არ ყოფნიდათ მუშახელი. ერთ ხანს აუიჯახირეს, მერე რაც გამოსადეგი იყო მოხვეტეს და წაიღეს, აღარც მინდვრებსავე მიუხედავად და დარჩა უპატრონოდ გავერანებული მინდვრები.

ლუსიამ კიდევ ერთხელ მიმოიხედა და მოულოდნელმა, აწ უკვე აქ დაბადებულმა დანაშაულის გრძნობამ გული შეუიარა. თითქოს შეეძლო რაღაცაში წასდგომოდა და არ ისურვა. „რა ისურვებო, — ფიქრი მოიშორა თავიდან, — მე რა შუაში ვარ. რა ხანია აქედან წავედი, რა უნდა მელონა?“ იმასაც მიხვდა, რომ მისი თანასოფლელები, ტყემ რომ მიწა მიატოვებინა, ალბათ უფრო გამძაფრებულად განიცდიდნენ ამ გავერანებას, ჰოდა, დე იმათ იდარდონ, თუ კიდევ შერჩენიათ დარდის უნარი. თავად კი მართლაც შემთხვევით აღმოჩნდა ამ ველ-მინდორში და ვინდო, აღარც მოუწიოს აქ მოსვლა. და მაინც გაუქრა ის გულდაჯერებულობა, ტყეში წამოსვლისაა რომ განიცდიდა. მსუბუქი, ასე-ირნო განწყობაც მოეშხამა. მაგრამ რა მიზეზით, რისთვის, თვითონაც ვერ აეხსნა. უკვე ნანობდა წამოსვლას, მაგრამ ძალიანაც რომ მოესურვებინა, უკან დაბრუნებას ვეღარ შეიძლებდა. თითქოს საკუთარი სურვილის მიღმა რაღაც უბიძგებდა, თავად კი მხოლოდ ემორჩილებოდა მათ და დამჯერად მიიწევდა წინ. ძველ ყორღანზე შორიდანვე შეიგულა მზითა და წვიმით გაპრიალებული თეთრი ჭა, გადაწყვიტა იქ ჩაეხარა მუხლი და დამშვიდებულიყო. მაგრამ მიახლოვებულმა, გვერდი აუქცია, თუმცა არც ეს შეუნიშნავა და გზა განაგრძო. გვიანდა მიიხედა — ხომ არ დაბრუნებულიყო, მაგრამ იმასაც მიხვდა, რომ დაბრუნებას ვერ შეძლებდა — საკუთარი ნება-წადილი მოჩლუნგებოდა.

მოულოდნელად ნაფიქრმა ლუსია გააოგნა. ეგებ უფრო მეტ-სიმწრაფავენ უბიძგებდა ვიღაც თუ რაღაც, უფრო მეტიაავენ, ვიდრე ახლა განიცდიდა, რადგან ბავშვობის შემდეგ ეს გავერანებულ-გაპარტახებული მიწა პირველად ნახა. თუმცა ეს არც სიმწარე იყო და არც ტკივილი — იყო დაბნეულობა, თან-

დათანობით გაურკვეველ, მიწიდან მონადენ შემზარავ განგაშად რომ იქცეოდა. რადგანაც მიწას ახსოვდა ლუსია და საბოლოო მსჯავრივით ელოდა მის განა-
ჩენს — ადრე ხომ არაერთხელ ყოფილა აქ და უმუშავია კიდევ. უმუშავია
კიდევ“ თავის მართლებასავით გაიმეორა და გაოცებული ახლავს ჩახვდა, რა
იმალეობდა ამ სიტყვებს მიღმა.

ეროვნული

ამ ფიქრმა აიძულა შეჩერებულიყო და კიდევ ერთხელ დაეფიქრა — ზე-
ციდან მიწამდე გულდინჯად მოახილა თვალსაწიერი, თითქმის იცოდა და არც
იცოდა, რას დაეძებდა და მეჩხერი, გამოხშირული ტყისაყენ დაეშვა თავქვე.
ტყის გაღმა, მდინარეში ხანჯლისპირივით შეჭრილი მინდორი ეგულეობდა და
აღელვებულმა მესხიერებამ სხვაზე უწინ ის გაახსენა. ლუსია ჩქარობდა, ეში-
ნოდა არ დაგვიანებოდა, ვაითუ იქაც ბალახს გადაეცლო მინდვრისათვის და ვე-
ლარც მიეგნო. სადღაც ქვევით, მდინარის გაყოლებაზე ბილიკი ახსოვდა, მაგ-
რამ გზის ძებნა ეშორა და პირდაპირ გადაჭრა ტყე. თან ისიც ეწადა ჯერ ფა-
ოულად. შორიდან შეეხედა მინდვრისათვის, დარწმუნებულიყო, რომ არ შეშ-
ცდარა, საკუთარი თვალთ ეხილა, რა დაემართა. გზაზე სიარულით კი წინაა-
წარ გაამეღავნებდა თავს. უკვე სჯეროდა, რომ დასაწყისიდანვე ვიღაც კვალში
ედგა, მის ყოველ ნაბიჯს უთვალთვალეობდა და ამიტომაც დამალვას ცდილო-
ბდა, მოღიაგებულ ადგილებს ერიდებოდა.

ბოლოს ტყე შეთხელდა და ლუსიამ ველი დაინახა — ის იყო. ხეებს ამო-
ფარებული გასცქეროდა ველს. ფართე, ძველი ყორღანი შემონახულიყო, მაგ-
რამ ნაკაფს უფრო ჰგავდა. გაუხეშებული, ბალახგადავლილი მიწა ხეთა თესლს
არ იკარებდა, მხოლოდ მთის ძირში ამოეყარა ვერხვა. ლუსიასაგან ოდნავ მო-
შორებით მოჩვენებული სააწაულივით ხასხასებდა ბოსტანი — ვიღაცაა აქაუ-
რს მიწა მოსწონებოდა და კარტოფილი დაეთესა. მზის გულზე კარტოფილის
ბუჩქი მომქნარიყო, დაგვაჭულიყო, მაგრამ მაინც ყინჩად იდგა, თუმცა ფუყე
პალოს კი ჰგავდა. იმიტომ მოჩანდა ასე, რომ აქ ერთობ უჩვეულო იყო კარტო-
ფილის ნახვა.

ომისშემდგომი, დამშეული წლების მოგონებამ მოიყვანა აქ ლუსია. ორ-
მოცდაექვსი თუ ორმოცდაშვილი წელი იქნებოდა. გაზაფხულზე, თესვია წინ
ამ მინდვრის გასაფარცხად გამოგზავნეს. წინა დღით გადაუღებლად წვიმდა,
მიწა ნაცრისფერი იყო და ფარცხს ისე ეწებებოდა, ჩვარივით აქცია. ცხადია,
ნიწისთვის გაშრობა უნდა ეცლიათ. მაგრამ არ ისურვეს თუ დრო არ ჰქონდათ.
ვინ იცია. სამუშაოს ისიც ართულებდა, რომ ველი წინა წლის ნახვენი იყო,
ეკალ-ბარდს დაეფარა, შარშანდელი ბალახი ფარცხს კბილებზე ედებოდა და
მიწას ზედაპირზე მიათრევდა. გოგონას წარამარა უწევდა მისი გადმოტრია-
ლება და გაწმენდა. ცხენიც ჯაგლაგი შეხვდა, უძლური, იმ გაზაფხულზე ცხე-
ნები ძლივს დაათრევდნენ ფეხებს. ამას კი მთლად სული კბილით ეჭირა.

და კვლავ, დღეს უკვე მერამდენედ, ხსოვნაში საჭირო სიტყვა გახშირდა
— იგრიონკა. ცხენს იგრიონკა ერქვა და ამ სიტყვით, ჯერ იავე სამენაში რომ
ელერდა, მოგონებას ხორცი შეესხა. ლუსიამ ცხადლივ დაინახა ვერცხლისფერ-
ფარფლიანი, შუბლვარსკვლავა ჟღალი იორღა — ფერდებჩაკვენილი, გასაცო-
დავებული, ცხენის აღვირს კაფანდარა, აჯლაჭული გოგო იქნევდა და ასკინ-
კილით მიხტუნავდა — მეორე ფეხით ფარცხის მიწაზე დამაგრებას ღამობდა.
უკან დატალღული, იკრიბოვრო კვალი რჩებოდა.

ყოველი ფეხის გადადგმაზე ბეჭია ძვლები უთამაშებდა ცხენს: წინ და უკან. თავქვე თითქოს არა უჭირდა, რის ვაი-ვაგლაბით მიათრევდა ფარცხს, მაგრამ როგორც კი შემოუხვევდნენ. ზედა ყორღანამდე ათჯერ მარცხ/ჩერდებოდა, სულს ითქვამდა, ფეხებს ძაგრაჲდა და ხიზინებდა. ლუსიაც ძალას აღარ ატანდა, ნებაზე მიუშვა, ფარცხსაც მხოლოდ მაშინ წმენდდა, სწრაფად სიქა გაეცლებოდა, მერე აღვირს მოუთათუნებდა ფერდებზე. ადგილიდან დამკრა უჭირდა იგრიონკას, კარგა ხანს ქანაობდა, ვიდრე ჯახირით გადადგამდა ნაბიჯს. კვალსაც ხშირად ამრუდებდა: აღმართზე თვალდახუჭული აღიოდა, ალბათ ყო-მრალამდე დარჩენილი სივრცე აშინებდა, უსაშველოდ გააწვალა ამ ცხენმა, ბა-ლახმა, ტალახმა, თავადაც იგრიონკასაჲთ ძლივს მილასლასებდა. დიდი ხნის წინ განცდილი ტანჯვა უეცრად იაეჲ მოუბრუნდა ლუსიას და დათრგუნა. სა-სოწარკვეთილს ხელ-ფეხი გაუთანგა დაქანცულობამ და ბალახზე დაეშვა, მინ-დვრამდე ველარ მიადწია.

მერე იგრიონკამ წაიფორხილა და წაიქცა. ლუსია დაფეთდა, აღვირს ექაჩებოდა, მაგრამ ვერაფერს გახდა, მერე ლაგამს მისწვდა და ცხენს თავი ააწევინა — იგრიონკა ისევ მიწისაჲენ ღირებდა ჩიჩვირს. ერთი შეუჲკივლა ლუსიამ, სიბრაზით კი არა, შიშით, შიშითვე ჩაწიხლა ჩაცვენილ ფერდებში, დარტყმისაგან ცხენს თრთოლვამ დაუარა სხეულში, მაგრამ წამოდგომა არც უცდია, გოგონამ მინდორს გახედა, ერთხანს მოშორდა ცხენს, შემდეგ მიიბ-რინა, შეეცადა მუცელში ეტაცა ხელი, ცდილობდა მიწიდან აეგლიჯა, მაგრამ ამაოდ ფხოქნიდა მია მომჩიარულ, დამყოლ ტყავს. და ზარდაცემული გოგონა სოფლისაჲენ გაქანდა.

ღვთის მადლით, დედა შინ დახვდა. სირბილითვე მოქანდნენ უკან, იგრი-ონკასთან. იგი უეკვე მუცელზე იწვა, ფეხები შეეკეცა, ორგვლივ ძიწა დატორი-ლი იყო — ეტყობოდა, ავი წინათგრძნობით დამფრთხალი წამოდგომას ლამო-ბდა, მაგრამ ვერ შეძლო, ახლა კი მშვიდდებოდა და მიწიდან მონადენი სიმ-შვიდით მიაღერებელი მოსახდენს ურიგდებოდა. დედამ ჩაიჩოქა და ცხენის გამწლიკულ, თითქოს ჩამოთლილ კისერს მიეფერა.

— იგრიონა, რაა შვები, იგრიონა? შე სუღელლო, სუღელლო. ხედავ, უკვე ბალახი ამოიწვერა, შენ კი სიკვდილს აპირებ. ერთი კვირაც უნდა გაძლო, მე-ტი კი არა და იცოცხლებ. ყველა ბორცვი ბალახით დაიფარება. ცოტაც მო-ცადე, იგრიონა, ნუ გეშინია, დალოცვილო. გამოიზამთრე და ახლა თვით ღმე-რთმა გიბრძანა მოთმენა. სულ ცოტალა... ღმერთო... ერთი გადაფურთხებალა დარჩა. ზამთარი რაა. მე და შენ ომი გადავიტანეთ. მთელი ომი. შე უბედურო, რაც შენ ტყის დამზადებაზე იტანჯე, მორებს დაათრევდი. აქ რაღა გაგიჭირდა? იქ ხომ შეძელი, იძაბებოდდი. ახლა კი ჯიბრით უნდა გაძლო. აგე, მე უკვე რამ-დენი ხანია ჯიბრით ეცოცხლობ.

ცხენმა ნისკარტივით წამახული ჩიჩვირი მოაბრუნა და ლაშით ხელს წაე-ტანა.

— არაფერი მაქვს, — დაფრთხა დედა, — არაფერი მაქვს, იგრიონა, არ წამომიღია. ხედავ, რა სუღელლი ვარ. შენ კი ყველაფერი გესმის. ჭკვიანი ხარ, — იგი ჩიჩვირზე ეფერებოდა, თვალეებზე ჩამოფხატულ ფაფარს უსწორებდა: — ზოგ ადამიანზე მეტი გესმის. გახსოვს, შარშანწინ ფეხი რომ მოიტეხე და ხორცის დამზადებაში გიპირებდნენ გაგზავნას, მაშინ ხომ სამი ფეხით გაქენდი ტაიგაში? და ვიდრე არ მომგოზინდი არც გამოჩენილხარ, იწეჲი, გახსოვს

კიდევ რამდენს ხანს კოჭლობდი. მე კი არავის ვანებებდი შენს თავს, გამუშა-
ვებდი, წყალს გაზიდინებდი და ფეხი რომ არ გტკენოდა, სანახევროდ ვავსე-
ბდი კასრს.

ცხენმა თავი აიღო და დამნაშავედ დაიჭიხვინა. დედამ კისერზე მიუტყა-
პუნა ხელი და ცხენმაც, ალერსის პასუხად, ისევ შესჭიხვინა პატრონს. ფეხები
ამოძრავა.

— მოიცადე, იგრიონა, — აჩქარდა დედა და საყვედურით მოიკა-
დე. ახლაც წამოვდგებით. გეყოფა წოლა, ხომ დაისვენე, — იგრიონა თვალს
არ აშორებდა პატრონს და მოუთმენლობისა თუ საკუთარი პაპუტის შიშით
ცახცახებდა. დედამ ლაგამში მოჰკიდა ხელი, მანაც ძალუმიდ გაყარა წინა
ფეხები, მაგრამ შორს, მოუხერხებლად და იალა დარჩენოდა. უკან მოეჩოჩებო-
ნა. მერე დაიძაგრა, გაიჭიმა, უკანა ტანის აწევა სცადა, ვერ შეიძლო და ჩაი-
მუხლა. ისევ პატრონს მიხვდა, განწირულად დაიჭიხვინა: არ შემიძლია, ხომ
ხედავთ, არ შემიძლიაო. დედამ დაამშვიდა, — მოიცადე, იგრიონა, მოიცადე,
კოტა დაისვენე, ნუ ჩქარობ. ერთი ამას დამიხედეთ, როგორ აჩქარდა. ჯერ წა-
მოჯდომა იკმარე, ახლა დაისვენებ და წამოდგები კიდევ. არა უშავს, არა
უშავს, იგრიონა, თპ, იგრიონა, იგრიონა.

მან ლუსიას ნამუშევარს მოავლო თვალი და უსაყვედურა:

— სიგრძეზე უნდა გეტარებინა, სიგანეზე კი არა. ამ ბორცვზე ჯანმრთე-
ლი ცხენიც დაეცემოდა, ამას სად შეეძლო...

— რო გვაჩქარებდნენ.

— მერე რა? ნელა გევლო, არავინ მოგდევს. მიწა ერთია, გინდა სიგრძით
გაფარცხე და გინდა სიგანით. არც მოემატება და არც დააკლდება.

ალფირი ლუსიას მიაწოდა, თვითონ კი გვერდიდან მოუარა, ცხენს ზურგზე
ხელი დაჰკრა და მეორე ხელი ქვევიდან ამოსდო. იგრიონკამ წინა ფეხები გა-
დაინაცვლა, თითქოს იმ ადგილს ერიდებოდა, სადაც დაეცაო, უკანა ფეხები გა-
ჭიმა, უკანასკნელი, განწირული დაძაბულობით გამართა და დადგა. იდგა და
ტორტმანებდა, დედა კი ამაგრებდა, ზურგზე გადაეხვია ხელი და სიხარულით
ეჩურჩულებოდა:

— აგე, აგე, აკი გეუბნებოდი, შენ კი წასვლა დააპირე, ცოდვას, ვინმეს
რომ უთხრა, დაგცინებენ. იფიქრებენ დეზერტირო. აბა, რა დეზერტირი შენა
ხარ? ღმერთო, რა დეზერტირი ხარ? კოლო რომ დაგაჯდეს, წაიქცევი. ეგეთი დე-
ზერტირი ხარ. ახლა მუშაობა შეგეძლო? წამოდი, დეზერტირო. წამოდი.

დედამ ალფირში ჩაჰკიდა ხელი და გასწია. ცხენი შექანდა, დაიძრა, მაგრამ
მაშინვე შეჩერდა, თითქოს შეეშინდაო, არ წაქცეულიყო, მერე კი პატრონს
გაჰყვა.

ლუსია წამოდგა, კაბა ჩამოიფერთხა, კიდევ ერთხელ გახედა მინდვრის
შუაგულა ბოსტანს, თითქოს ეწადა დარწმუნებულებით, რომ ეს ყოველივე ახ-
ლა, ამ წუთას კი არა, დიდი, დიდი ხნის წინ მოხდა, მას უკან ოცი წელი
გამოხდა უკვე. თვალდათვალ გაცოცხლებული ხილვისაგან ითავისუფლებდა
თავს, მძიმედ მიუყვებოდა აღმართს, საიდანაც წელან დაეშვა, მაგრამ მოგო-
ნება არ ტოვებდა. ასე ეგონა, რაღაცას ვერ მიხვდა, თითქოს მოგონება მხო-
ლოდ იმიტომ კი არ ესტუმრა, რამე წარსული სიმწარე და სიმძიმელი გაეხსე-
ნებინა, არამედ რაღაც იდუმალს, შემაშფოთებელს აუწყებდა, იგი კი ვერ ჩა-
სწვდა დაფარულს. გამგუნებული მიდიოდა, ბრაზობდა, რაღაც უცნობ, საკუ-

თარი ეჭვიანობის მაშინებელ გრძნობას რომ მანებდა და ამ შეგრძნებისაგან თავის დასაღწევად, გადაწყვიტა აჩქარებულიყო.

„ემუშაობდი კიდევ“ — კვლავ ის სიტყვები გაახსენდა, რომლებიც ნახევარი საათის წინ ეს მინდორი მოაძებინა. დიახ, მუშაობდა — მუშაობდა, როგორც ყველა. თბავდა, აქუჩებდა, ფარცხავდა, მარგლავდა და კრფდა — აქმეს რა გამოლევდა ეოლმეურნეობაში, მით უფრო იმ წლებში, როგორც რომ აკლდათ. „ხნავდა კიდევ“ — ვილაყამ გაახსენა შიგნიდან. მაოთაღია ხნავდა, ეს როგორ დიაფიწყდა. თუმცა მხოლოდ ორ დღეს, აახნისის გაყოლა შეეძლო მაგრამ კვალადან კვალში გადააატანად კი ძალა არ ყოფნიდა. აუტო ბავშვი იყო და სამუშაოდ თანატოლებზე გვიან გავიდა — თანა ბოლო წლებში. მანამდე კი დედა იცოდებდა და შინ ტოვებდა — ტანკასთან ახლანდელ კივველ ტანჩორასთან.

„დღეს მაინც ჩამოვიდეს ტატიანა — სხვა საფიქრალს შეჰპარა ლუსიამ, — დედა მაშველს არავის მოგვცემს, ერთთავად ტანჩორაა ვაიიახია. ეგებ მისი მდგომარეობაც გაიკვეს. ახლა მხოლოდ ტანჩორაა ელრა“.

ტყე დამთავრდა და ლუსია ისევ აღმა შეფენილ მანდვრებს აჰყვა. აქ ტრიალ ადგილზე ფართედ გაეშალა მხარი სუფთა, მკვეთრკიდებებიან, ნათელ, უკვე შემთბარ დღეს. სადღაც შორეთში ჰაერი ხმაწვრილად, ძლივს გასაგონად რაწკუნობდა მზეზე და ახლა ეს ზედაპირული, ძლივს ააყურადო წერიალიდა ისმოდა მხოლოდ. ქვევით, ლუსიას ფერხებით ყოველივე დადუმებულ-გაყუჩებულიყო. მიწა აღარ ეხმიანებოდა. გაქცავებული და დაყრუბული იწვა. მთაზე ლანდივით ირხეოდა ტყე და თვითრი არუნარის ორთქლით აუნთქავდა, რაც შემოდგომის მწიფე არსებობიდან, აითბოდა და სიმამლრიდან იღებდა სათავეს. ტყის მიღმა ცა მშვიდად და თანაბრად იწრიტებოდა მიწისაყენ, ცა ჭერ მაღალი იყო, მსუბუქი, მაგრამ სილურჯე გამოხუენებოდა უკვე, აიღრმეში გრძნობა დალეოდა და მის იდუმალებას დაქანცულობა შეჰპარვოდა.

ლუსიამ ისევ მარცხნივ გაუხვია, მდინარიაყენ. იგი ფრთხილად მიაბიჯებდა, თითქოს რაღაცა ეპარებოდა, თუმცა ტრიალ მინდორზე იყო და ყოველი მხრიდან ყარგად მოჩანდა. სადღაც იქ გზა ეგულებოდა, გადაწყვიტა გზაზე ევლო, ასე უფრო საიმედო ერევენა. განა არ იცოდა, გულარხეინად შეეძლო სიარული, მაგრამ თავიდან მაინც ვერ იშორებდა ააიდანდაც გაჩენილ რწმენას, რომ ვილაც უთვალთვალებდა და ეს ავისმომააწავებელი უბრალო წინათგრძნობა კი არ იყო, არამედ მთა წარსულს, დაკარგულ ხათვნას უკავშირდებოდა, რომლის პასუხიც ახლა უნდა მოკითხვოდა. ასე ეგონა, ტყეში წამოსვლისას, ვილაყის მიერ დაგებულ მახეში გაება გულუბრყვილოდ, ვილაყამ შემოიტყუა აქ, მაგრამ არც უკან გაბრუნება ეგებოდა, რადგან ია, რის გამოც შინიდან გამოუხმეს, ახლაც, აქვე აღარულდებოდა, და უგიც შიშით აყოენებდა. ათსაბარულს, უფრო და უფრო შორს იტყუებდა.

ბოლოს გზას მიაგნო, მაგრამ ამით არაფერი შემსუბუქებია. ერთი სული ჰქონდა უკანმოუხედავად თავქვე დაშვებულყო ამ გზაზე, აუღისმოუთვანე-ლად ერბინა სოფლამდე და მაინც ნელა, ფრთხილად აუყვა აღმართს, თითქოს გზის სიმაგრესა და უსაფრთხოებას ცდისო. თუმცა რა, ვერც სირბილით გაააწრებდა. სირბილსაც ხომ გადაეჩვია, ეტყობოდა, გზაზე დიდხანს არავის დაედგა ფეხი, მიწა დაბელტებულყო, ჰაერიც დახმობოდა ზევიდან და ლუსიას მალე სული შეეხუთა. აღმათ ისევ მინდორ-მინდორ სჯობდა სიარული, მაგრამ

გზიდან არ გადაუხვევია, ახლა ნაბიჯაც ვერ გადადგამდა გვერდზე, ვიღაცის უცხო ნებას ემორჩილებოდა, რომლის არდაწერებაც უკვე შეუძლებლად მიაჩნდა. და ლუსია ბოლოს და ბოლოს მიხვდა, რომ სწორედ ამ გზაზე არ უნდა დაედგა ფეხი, რომ ცამდე აღმართულ, გამჭვირვალეა და მისი გრძელ და ვიწრო დერეფანში მოჰმწყვდეს. საიდანაც ვერსად გაავრცელებს და აღწევდა და ეს დერეფანი მიიყვანდა რაღაც მოულოდნელთან, ეგებ თავზარდამცემთანაც კი. წამახული ბელტები კედლებშიც სტანდა ფეხისგულებს, მაგრამ ლუსია ტივილს არად აგდებდა, მთელი მისი არაება ერთ საზრუნავს მოეცვა — რაღაც სხვა, უფრო ეშმაკურ საფრთხეს არ გადაყროდა მოულოდნელად.

იგი მიდიოდა, მიდიოდა და შედგა: ზედ გზის შენაგულზე ზღარბოვით იწვა ჭიანჭველებია ბუდე. ლუსია დიდხანს, გაოგნებით უცქერდა ამ ცოცხალ, მოფუთფუთებულ ბურთს: შენაგზაზე რა უნდოდა ჭიანჭველებია ბუდეს? როგორღა გაეცლო? რა ეჭნა? ეგებ ახლა უკვე შეიძლებოდა შინ მიბრუნება? პირო რქცია და ვერაფერი დაინახა — ყველაფერა მზე დაღვროდა და ალიერმა შეჰქმა თვალი მოსჭრა, ხელი წინ გაიწვდინა, ფრთხილად ჩაიარა კიდე-კიდე, უხილავ აედგლა რომ არ შეწყდომოდა, ჭიანჭველებია ბუდეს გადააბოჯა და გაუხარდა — არაფერი მომხდარა, იმდენად გაუხარდა, გაღიმებაც შეალო.

„რა დანებართა? — შეუწყრა თავა. — რა მჭირს? მთლად მოვეშვი. აქ ყოველ ბურქს ვიცი, ვანა რა უნდა შემემთხვას? რა სიბუდეა სასერნოდ და სუფთა ჭაერია ჩაბაყლაპად წამოვედია და — აჰა — რაღაც სულელურ, ბავშვურ შიშს ავყევი. ნერვების, ნერვებია ბრალო, უნდა ვიმეორნალო. აგერ გაშვებულ ყანამდე მივალ და აოკოებს შევაგროვებ. მერე კი შინ დავბრუნდები. აქ ყველაფერი მშობლიურია — რაღაც უნდა შეშინოდეს? მაინც რა სულელი ვარ!“

უფრო ხალისიანად, არხეინად განაგრძო გზა. აღარც ტყე იყო შორს.

და უეცრად, მია არხეინობასთან შეუთანხმებლად, შორეულმა, ძალზე მივიწყებულმა და მაინც გასაგებმა უსასრულო ზარით აღსავსე კივილმა გააჰმო ჭაერი:

— მინეა-ა-ა-ა!

ლუსია შეერთა და გაიყინა: იცნო, თავისი საკუთარი ხმა იყო. თითქოს უმძიმესი ტვირთი აწევს მხრებზე, ნელ-ნელა მიაბრუნა თავი, ძველ ადგილას, მინდვრის შენაგულში შორთხვას ბურქნარი იდგა. ერთ დროს ვიღაცას შეპრალებოდა ბურქა, სახნაოთ გარს შემოეცლო და მანაც ჩაჩვებოდა წყალობით, იყარა, მომძლივრდა, ნახნავს მიწა მოატყეცა და ნაჯიფიც დაისხა. პირველ, უნებურ გრძნობას დამორჩილებულმა ლუსიამ ბურქნარისაკენ წაუდგა ნაბიჯი და მოულოდნელად გზიდან გადახვია — გზამ გატარა, ლუსიას არც გაეცირებია, უკვე მიხვდა, თავად რომ არ ირჩევდა ადვალს, ამ ადგილებში დაფუძნებული რაღაც ძალა უბიძგებდა, რომელიც დღეს შინ აღმართულად ქდებოდა.

შორთხვას ბურქნარი გაქუცდილია მოჭრილი ყანით და მისი შიშის უკარა ფოთლებმეჩხერ, ცოცხალ ტოტებზე ირბოდა. გაიშა, გაიშა და მიბრუნდა, გამოიყურებოდა: ძალოვანი, სქელი ტოტები აღსავსე ზნეა, შიშისა, გულბრათი, კაცის ამაღლე აუტო ამონაყარი გადარჩენილია შენაგული კი გაუზიდათ, მის ნაცვლად მთლილი, შიშეული პირველი იდგა. აჰა იქ ადგილს ედგა ნა-

ყოფი. ლუსიამ რამდენიმე მოწყვიტა — მაშინდელივით რბილი და ტკბილად გრილი იყო, პიტნის გემო დაჰკრავდა და მრავალი წლია მიღმიდან გაჩენილმა კივილმა კვლავ მოიცვა ლუსია და ხელ-ფეხი გაუყინა. შიშით მიმრჩებდა — არავინ იყო და მაინც, ყოველი შემთხვევისათვის ბუჩქს შემოუარა, რომ ქვედა მდინარიდან არავის დაენახა.

ერეკენშელი

ესეც ომის დამთავრებისთანავე მოხდა — იმხანად, ოფიციალური წლის შემდეგ ცხოვრება ჯერ კალაპოტში ვერ ჩამდგარიყო და აღმა-დაღმა დაეხეტებოდა: შიმშილი, დარბევა, სასამართლოები, ცრემლი. მეორე წელი ილეოდა, რაც სადღაც ჩრდილოეთიდან ვლასოველები გადმოიხიზნენ და პატარა სოფლებს შიშის ზარს სცემდნენ: ხან ძროხას გამოფატრავდნენ, ხან ქალს გააუპატიურებდნენ და კლავდნენ, მალაზიებს ძარცვავდნენ, რომელიღაც სოფელში მოვლი ოჯახი დააძინეს და თითზე გადასახვევიც არ დატოვეს. ერთ ხანს კაცები ღამ-ღამობით მზირად ედგნენ სოფელს, მაგრამ ხიზნები თავისას მაინც არ იშლიდნენ. გაახანდა, როგორ დაიჭირეს ქვემო სოფელში ორი ვლასოველი, ის დღეც დაუდგა თვალწინ, რაიონში წასაყვანად მათ სოფელზე რომ გამოატარეს, ხელდაბორკილი, ტანსაცმელშემოფლეთილი, წვერმოშვებული ვლასოველები ურემზე იახდნენ ერთმანეთთან ზურგშეკცევით და ბოროტად, გამომწვევად უცქეროდნენ ხალხს.

ვლასოველები, როგორც წესი, ზაფხულის დასაწყისში იწყებდნენ პარაშს, შემოდგომის პირზე კი სადღაც იკარგებოდნენ და სოფელიც მშვიდდებოდა, ქალები ისევ უშიშრად დაიარებოდნენ ტყეში, მინდვრად — კოლმეურნეობისა თუ შინაურ საქმეებს აგვარებდნენ — თითქოს ხიზნები ტკიპების მსგავსად მხოლოდ წლის გარკვეულ დროს იყვნენ საზიფათონი.

აგვისტოს შუა რიცხვები იდგა დედამ მიხეილი და ლუსია შორთხვის ნაყოფის საკრეფად გაგზავნა. ალბათ ადრევე შეიგულა ხასხასა, ახუნძლული ყვავილები, შემდეგ კი შეამოწმა და გაოცდა: იმ მოუსავლიან წელს შოთხეს ნაყოფით დახუნძლული ტოტები ეზნიქებოდა. გზიდან მაღალი ყანა ფარავდა, ამიტომაც გადარჩენილიყო და ნაყოფი დაემწიფებინა — ახლა კი ლამის მიწას გართხმოდა სიმძიმისაგან.

ჯრუფა სიამოვნებდათ, რაოდენ არ უყვარდა მიხეილს კენკრის შეგროვება, მოთმინება არ ჰყოფნიდა ერთი და იგივე მოძრაობის ათასჯერ გასამეორებლად, მაგრამ ისიც ხალისიანად შრომობდა. მახვილ-მახვილი ჯნაყოფი ესხა, სუფთა, უფოთლო, მძიმე მტევნებზე ხელის შეჩებაც კმაროდა. მიხეილი პირდაპირ ვედროში ყრიდა, ლუსიამ კი კალთა აიკეცა, შიგ აგროვებდა და როცა დამძიმებული კალთის ქერა გაუჭირდებოდა, მხოლოდ მაშინ ყრიდა ვედროში. კალთის დაცლის შემდეგ ვედროს ერთ მტკაველზე მაინც ემატებოდა ლუსიას სიამოვნებდა ხელებშუა ნაყოფი რომ ჩაუსარილდებოდა, თითქოს გრილ, ნაზ ნაკადულს შეუშვარაო. ნაყოფი რბილი იყო. მოწვეული, მაგრამ რაღაც სიმწკრიველით არ იჭყლიტებოდა და გვერდიგვერდ ლავდებოდა. ორ საათში ვედროები გააბიჯნეს. ბუჩქს კი ჯერ არ მოკლებოდა არაფერი.

მოაჯალი შინ მიიტანეს და გადაწყვიტეს ერთხელ კიდევ მიბრუნებულიყვნენ — დახუნძლულ ბუჩქს ხვალამდე ვინ გააჩერებდა. ნასადილევს სიცხე დაიჭირა. გათანგული მიხეილი ზანტად მიაბიჯებდა აღმართზე და კარგა შორს ჩამორჩა დას. აღარც ლუსია დალოდებია, მარტო გავიდა ყოშრალზე. ბუჩქამდე ოციოდე ნაბიჯიღა რჩებოდა. ეგებ კოტა მეტიც, როცა ტოტები შეირხა და

ვიღაც ფაფახიანი, ზაფხულის ამ ცხელ დღეს უკვე ამ ფაფახით შემზარავი უცნობი მოჩვენებასავით ჩამოხტა მიწაზე. მოულოდნელობისაგან ლუსია ადგილზე გახევდა და ნაბიჯიც ვეღარ გადადგა გასაქცევად. კაცმა მოუთმენლად, ნერვიულად გაიცინა და თითოთ მიიხშო. თვალის შევლება მოასწრო ლუსიამ: დაბალი იყო, ჩასკვნილი, წლებით დაღარდლი შავი და გაუპარსავი სახე ჰქონდა, წყალწყალა თვლებში უფერული, შეშლილი ცეცხლი უელავდა.

აი აქ იდგა, ჩექმებიანი ფეხები მოხერხებულად გაეჩაჩხა, სჯეროდა, გოგონა ვეღარსად დაეშალებოდა, ამიტომაც კატასავით დაუპირა თამაში, რომ უფრო მაძღრისი და ნოყიერი ყოფილიყო გამარჯვება — ჯერ კი შიმშილს იღიზიანებდა. და კვლავ მთელი სიცხადით განიცადა ლუსიამ ამ შეხვედრით მოგრილი ძრწოლა და აცაცხადა. უკან მოიხედა. მინდვრისაკენ წადგა ნაბიჯი, მაგრამ გაახსენდა, რომ წასვლას მაინც ვერ შეძლებდა — არ გაუშვებდნენ.

კაცმა კვლავ გაიცინა და თითოთ მიიხშო, ლუსიამ უკან დაიხია. უცნობს სახეზე წყენა გამოეხატა, ხელები გაშალა: ვითომ, ეს რაღა მატრიაზობააო. გოგონა კი უკან და უკან იხევდა. კაცი მიჰყვა, ფრთხილად, მიპარვით. მღელვარებით მოქცეულ სახეზე ცივი და მკრისხანე ღიმილი უხტოდა. და ლუსია ადგილს მოწყდა.

ყანიდან გზაზე გამოიჭრა და თავქვე, სოფლისაკენ დაეშვა. რბილ, ნახნავ ყანაში უკან ჩამორჩენილი კაცი უკვე ეწეოდა, უკვე ყურთან ჩაესმოდა მისი ხმაურიანი, ხლიწინა სუნთქვა. შიშით გონი წაერთვა გოგოს, ვედროს გადაგდებაც ვერ მოისაზრა, მირბოდა და ჰერს ხაპავდა ვედროთი. წამიც და, კაცის ბანჯგვლიანი ხელები მხრებში მისწვდა, მაგრამ როგორღაც დაუსხლტა და ვედროს უშვა ხელი — ისიც რახუნით დაედევნა უკან.

— მინკა-ა-ა!

იკვლა და ძმაც დაინახა, იგი ზანტად მოლაყუნობდა, ყვირილის გაგონებისთანავე შედგა და მაშინვე ლუსიასაკენ გამოქანდა! კაცმა შენიშნა მიხეილი და გაქცევებულობით დაერჭო ადგილს. აქ არავის ელოდა და დაიბნა. ლუსიამ მიხეილს ჩაურბინა, რამდენიმე ნაბიჯით გასცილდა და მაშინვე შეიკავა თავი ძმის შიშმა აიტულა გაჩერებულის. ისევ იკვლა. კაცმა უკვე მოასწრო დაენახა, ცხვირმოუხოცავი ღლაპი რომ ედგა წინ და ახლა მიმპარავი, დამცინავი ნაბიჯით უახლოვდებოდა.

— მინკა-ა-ა! გაიქეცი! გაიქეცი! მინკა-ა-ა! — ყელს იგლეჯდა ლუსია.

მიხეილი ქვას დასწვდა და დაიშაბა. კაცი თითქოს ნახტომისათვის ეშვადებო, სწრაფად ჩაჰდა და მიხეილმა უკან ისე უხტა. კაცმა ბოროტად მოწყვეტით გაიცინა. კიდევ ერთხელ დაუპირა შეშინება, მაგრამ ბიჭი ადგილიდან აღარ დაძრულა. უცნობი, თითქოს ბავშვთან თავის გაყადრება არ ისურვავ, ნაძალადევი კოჭლობით შემოიგინდა ყანაში და ჰგავდა მდინარისაკენ დაიშვა. თალზე ხმამაღლა ეკოდა ლუსია და მანაც ვიდრე გვიან არ იყო, გაცლა ამგობინა.

კვილი როგორც იშვა ისევე მოულოდნელად მოიღია და ირგვლივ სრულად და სავსედ ჩამოწვა მზით გახალისებულთ. ნათელი სიჩუმე. მოგონებანი დასრულდა, უკვე შეიძლებოდა გზის გაგრძელება. ლუსიამ მიხედო, განწირულობით გადადგა ნაბიჯი და ისევ იქით წავიდა — გამეფებული ყანასაკენ, ნიყვის საკრეფად. ნიყვი ახლა უსუსურ და ძაინც შესაძლებელ ხსნად ეჩვენა: ერთ თუნდაც ციკქნა ნიყვს თუ მოიძიებდა, ეგებ მოგვარებულის ყველაფერი. ან

რა უნდა მოგვარებულიყო? რას უფროთხოდა? არავინ იცის. იქნებ არც შიში ეგებოდა აქ, იქნებ მის ფიქრსაც სწვდებოდა ის ვილაც და არა, როგორც ხსნიდა. დადლილობისაგან მუხლი ეკვეთებოდა, სიარულს კი არ დაუღწია, სამი თუ ოთხი. კილომეტრი გაიარა. რაღაც უფრო მნიშვნელოვანმა და ღირებულმა დაჟანცა — ეგებ მოგონებებმა, ამ ძალზე ნათელმა და ცხადმა მოგონებებმა, რომლებიც დღეს შეთანხმებულებივით ჩაესაფრდნენ ყოველგვარ მოსაზრებას აიძულებს საკუთარი ფარული მიზნისათვის ხელახლა განეცადა განვლილი. თითქმის ცხოვრებამ უკუიქცია პირი. რადგან ლუსიას აქ ძალზე ღირებული და აუცილებელი დარჩენოდა თუ დაკარგვოდა. ჯრომლისოდაც შეუძლებელი იყო არსებობა, მაგრამ განძეორების შემდეგ ოდესღაც განცდილი, გარდასული წარსული კი არ უბრუნდებოდა, მხოლოდ გვერდზე დგებოდა, გზას უთმობდა და შორიდან უთვალთვალებდა. რა შეჰმატა თუ დააკლო ამ ხილვებმა, აბღელვა თუ უკვე სამუდამოდ დააშობოდა გული — აგერ, გარს შემოსჯარვიან და კვალში მიჰყვებიან. მარჯვნივ მიმშლილთ იღ აჯგაწყვეტილი იგრიონა გაზაფხულის ტალახში ლასლასით მიართუდა ფარცხს, მარცხნივ, შორთხვია ბუჩქნარზე ფაფახიანი შემშალავი კაცი დახტის. შორს კიდევ სხვა ხილვებია.

ლუსია შედგა. სიცრუეა აქ არავანაა, არც ერთი სულიერი და ვერავინ დააფრთხობს, იგი მარტოა. ეს შიში იაყვე უაზროა, როგორც იმ კაცის ფაფახი გაზაფხულის ცხელ დღეს. ეს შეფოთვაც მოგონილია: უბრალოდ, დეპესის მიღების შემდეგ ნერვები სამწუხაროდ და სავალალოდ განეწყვენ და ახლა ანაზღაურებას ითხოვენ.

იგი კვლავ და კვლავ უძვრებოდა გარემოს. ჰო, არავინ იყო, მზე ჩახჩახებდა, სიჩუმე და მყუდროება იდგა ირგვლივ. ზედმეტად ჩახჩახებდა მზე, ზედმეტი სიჩუმე და მყუდროება სუფევდა და ეგებ ამიტომაც აუფორიაქდა სული. იგი მარტო იყო, მაგრამ მარტო ამ უცხო, ჩასაფრებულ სიმშვიდეში, სადაც ყველა ელვარება და ყურადღება მისკენაა მიპყრობილი. ვერც ვერსად დაიშალებოდა, ყველგან ხედავენ. არა, უნდა გაიქცეს აქედან. „გაიქცეს, გაიქცეს“ — იმეორებდა იგი. რად წამოვიდა სოფლიდან? ვინ იხმობდა? რა დარჩენია აქ?

„დაგავიწყდა?!“ — უცერად ფიქრი ამ სიტყვაზე შეყოვნდა. დაგავიწყდა... აი ის, რაც დიდიდანვე რაღაც უტყვი, შორეული ცოდვით მალულად ტანჯავდა და რისთვისაც პასუხი უნდა ეყო. მართლაც იქ, ქალაქში, თავის ახალ ცხოვრებაში, ლუსიას ყველაფერი დაავიწყდა — გაზაფხულისდროინდელი შაბათობები, შემოა ახუხულავენ, შინდვრები, სადაც უმუშავია, დავარდნა-ლი იგრიონა, შემთხვევა შოთხვის ბუჩქთან და მრავალი, მრავალი სხვა უფრო ადრე გადახდენილი — სრულიად დაავიწყდა, აღარც ახსოვდა. მას დაავიწყდა, რომ ოდესღაც ფარცხავდა, ანავდა... დიახ, ფარცხავდა, ხნავდა — ღმერთო! საოცარია, ეს მაინც როგორ ამოიგდო მეხსიერებიდან. ამით მაინც შეეძლო ეამაყა — მია მეგობრებს ხომ აღბათ სახნაი თვალითაც არ უნახავთ. ვინ იცის, რა ხანაა ხოვნიით აღარ შეხებია სოფელს და გაცვეთილი მკვლმანის ფუთასავით შორეულ, დანტვერილ კუთხეში განდევნილი მოგონებებიც ჩაქვავდა, უმოძრაობით დაკოშტდა.

და დღეს გაცოცხლდა მოულოდნელად.

ბოლოს დედაბერის დიდი ხნის წინათ მირონიხას ეწვია.

დედაბერი ისე მსუბუქად და მჩატედ იწვა საწოლში, ბაღში რომ იზრდებოდა. თვალები მზირობდნენ მხოლოდ, სხეული კი უძველესი ჩაყრნული და გაღურებული სხეული ადარდელს გასცლოდა. შეხებაც არ იყო საჭირო. უკვე მისჩვეოდა მარტოობას, თითქოს შეგრძნებებშია არსებობდა, დანარჩენებისათვის კი ერთხელ და სამუდამოდ დაეკარგა საკუთარი თავი და ვერა და ვეღარ იძებდა. ნასადილევს მზემ ქოხში შემოიჭყიტა და დედაბერმაც მისი ხალისიანი, უშრეტო შუქით გაათბო გული. თორემ უკვე ცრემლებამდე მოსწყენოდა მარტოობა.

სტუმრებით სავსე ქოხში განეფებულ პიჩუქით დამფრთხალმა მირონიხამ ოთახში შიშით შემოიხედა, დაინახა, დედაბერი მარტო იყო, შევიდა და ხელი ხელს შემოჰკრა:

— უიმე, მართლა ცოცხალი ხარ, ბებერო?

დედაბერმა ისე შეჰხარა მირონიხას, თვალები აუწყლიანდა. საწოლზე აწრიალდა, წამოჯდომა დაპირა, მაგრამ გაახსენდა, ანისათვის დიდი ღრე დასკირდებოდა და აწ უკვე დამორჩილებული ხელი გაუწოდა.

— როგორც ხედავ, მეორე დღეს თვალი გავახილე. არ გაგვიცა?

მირონიხას ცოტა ხანს ეჭირა დედაბრის ხელი, მერე გაუშვა, ხელს კი იმდენი ძალა აღმოაჩნდა, თავისით მიუჩოჩდა მეორე, მარცხენა ხელს და მიეფერა.

— სიკვდილსაც აღარ უნდისარ? — საწოლზე ჩამოუჯდა მირონიხა, — ბანაშვილზე მოვედი, ვიფიქრე, იქნებ წაიღო-მეთქი წერალი, ეს კი ისევ აქ დანიხვდა. რა მაცნევ იყავი, ისეთივე დარჩი. თვალებში აოქრებდ ამომივიდა შენი ცქერით.

— ვერ ხვდები, გოგო, შენ გელოდები, — საამოვნებით ჩაება თამაშში დედაბერი, — მარტო მომწყენდებო წოლა, ჰოდა, გელოდები. ერთად არა ჯობია?

— წიხლებს დაგიშენ, ბებერო. წამახული ფეხები მაქვს, მთელი სიცოცხლე მაწაზე ვიღესავდი.

— შენ მართლა დანიშენ, ჭკუა ხომ არ მოგეკითხება.

— ჰოდა, ნუ დამელოდები, გაემზადე. მე ცოტას კიდევ ვირბენ. მეზობლობასაც ტყუილა მიპირებ. შენთან დაწოლაა მირჩევნია ერთი ბერიკაცი მოვიყვანო სახლში, ხუმრობა-ხუმრობაში იქნებ ბავშვიც გავაგოროთ.

— რა ხანია საშო გასაშრობად გაფინე და გადააგდე, ციგნობას მაინც არ იშლი.

— ახლა ძველზე უკეთესი მაქვს. შარშან ზაფხულს ერთ ქალაქელს კენკრაში გავუცვალე, ყოჩაღი ქალი ჩანდა, ჯანიანი, ხალგაზრდა, ჰოდა მოველაპარაკე. ეგრე ნუკი მიყურებ.

— ნუ გაუტრე, გაგებზრდი მაგ შენი ზღაპრებით.

— შენ ჩემი გაბეზრება თქვი: ნეტა მალე მოკვდებოდე, დავისვენებდი მაინც შენგან.

— გული მაინც ვერ გაგიძლებს, დამიტირებ, გოგო.

— შენ გგონია, სიბრაღულით ვიტირებ.

გვეც მართალია. — თახჩობით შეაჩერა დედაბერმა მორთინა, რომ ემანდ ღვთის გამოხატვას არ მისულიყვნენ. მორთინასთან საუბარში იოლი იყო ცოდვის წამოკიდება, თავდაც ზომ არ უწყობდა. რას იმბობდა, უმჯობესობაში ისეთი მწარე ენა ჰქონდა, ეშმაკსაც გააჩუმებდა, არც ანლა გადმოსდიოდა თათლი პირიდან. ყურათ გაუგონარა წამოროტავდა და არც გაწეულდებოდა.

ამ ბოლო ხანა დადინჯდა ოდნავ. ჩამოხდებოდა და მყოფადმყოფად, თორემ ადრე ადგილზე ვერ დააკავებდი. ერთთავად ცმუკავდა, გეგონებოდა, ნემსებზე ზისო, ახლა ფეხებსაც უჩივის და მაინც იმე დაკუსკუსებს. შეიძლება ახალგაზრდამაც ვერ აუწყოს ფეხი. გაჩენის დღიდან მუბლი არ ჩაუტრია, თავწაბრილი შრომობდა. მაგრამ ჯათას ჯანი არ მოატეხინა. სად ის და სად დედაბერი — მორთინას ფერ-ბოროცა არ აკლდა და, რაც მთავარია, ფეხზე იდგა, აღმა-დაღმა დარბოდა, მოკლუ. მზეზე დაწაშრული ხელები მუდამ წინ ჰქონდა გაწვდილი, თითქოს სამუშაოდ გამზადებულა. სახეც შავი ჰქონდა, ფართე. ხმა — ჩახლენილი, ახვას მოსდენი რომ ელაპარაკა აქამდე ხმას დატყარგავდა, მას კი მხოლოდ ჩაეხლიჩა. მორთინა ოთხიოდე წლით თუ იქნებოდა დედაბერზე ახალგაზრდა. წესაბუნებრივად კი უფრო ხაცლებს მიაკენდი.


მეგობრის მოსვლამ გაამხიარულა დედაბერი: თვალები გაუცისკროვნდა, ღია-ცისფერი გუგები გამოუკვეთა და სახეზეც ცნობისმოყვარეობა დაეტყო: — ნეტავ რა ამბავი მოიტანა მორთინამ? რა მოუყვება? რა ხანია ერთმანეთი არ უნახავთ. ცხოვრება კი შეუჩერებლად მიიწევს წინ, აგე, რამაღსოდება სიცოცხლე, ყველა სოფელსა თუ ქალაქს სწვდება. ყველა ადამიანს უოფხის, ზუსტად, მოუერიტებლად. შარშანდღამდე დედაბერს თახჩაზე რადიო, ედგა და თავად ატრიალებდა შავ, ღილი მსგავს რგოლებს. ზოგან მღეროდნენ, ზოგან ტიროდნენ, ეცხოურად ყატყატებდნენ, ზოგან კი სულ ვერაფერს გარკვევდი, არც უცხოური ენა და არც ჩვენებური — ენას მოიტეზდა კაცი, ისინი კი ლაპარაკობდნენ და ლაპარაკობდნენ. ყველაზე მეტად დედაბერს იველებური სიმღერების მოსმენა უყვარდა და ნინვას აგზავნიდა ხოლმე მორთინას მოსაყვანად, ერთად რომ მოესმინათ, მაგრამ იშვიათად გადმოაცემდნენ. უმეტესად რაღაცას აუღაოტებდნენ. მველებური, სულამომფონავი სიმღერების მოსმენისას, თითქოს ფოთება ეახმებოდა და ცაში დაფარფატებდა. გაუფრვნლად უხარხარო, რაღა წარეს შემოავლებდა დედაბერსა. გული ეწურებოდა და ჩუმ-ჩუმად დასტროოდა. საკეთარ თავა თუ ადამიანება, რომელთაც ვერ მიხვდოდა ვერ ეძოვათ. მაშინ აღარც სიკედილი აღარდებდა, ეხეებოდა, რომ ვიღაცის გააღწევაზე მოთქვამდნენ ამ ამღერებს და თავდაც გულში ხმას უწყობდა ვიღაც ეცნობია გათავაფფლებულ ატლა აცილებდა, რომელსაც იმ ქვეყნაზე უცნობლად ამგვარივე იველებური გალობით შეეგებებოდნენ. მხოლოდ კი რადიო გაუფუჭდა და დედაბერს ერთი სიხარულიდა შერჩა — მორთინასთან საუბარი.

— აქამდე რატო არ მოდიოდი? — უსაყვედურა დედაბერმა. — ამ დილას ვარვარაც გამოვჩავხე. მაგრამ შენისთანა შარახვეტაა წინ რა გააჩერებს, დილაღანვე გამშაობარ. ახლში როდისღა ცხოვრობ? ფეხები მაინც წაგერთვას ძალე.

— აუ წაბეროვს კიდევ, ბებოო, — მორთინა დედაბრისაკენ გადაიხარა და საწოლი შეაყინვალა. — ვზივარ ახლა და ფეხები მიბეჭთია. დავალალე —

თავტუდმოგლეჯილი დავრბივარ, ძროხაა დავეფებ. არ გაგიგია, სოოხა დამეკარგა. შინ აღარ ბრუნდება.

— თქო-თ! იმითმაც, დილას ვაყურადებდი და მაგის ხმა კი ვერ გავიგე. მაინც სად არის?

— ვიცოდე, ჩემით გეტყოდი, მაგრამ რო არ ვიცოდი.  თუ შენც იმითმაც — მახლოში ადგილი არ დამიტოვებია უნახავი. ეშმაკსაც წაუღებდა და დევ, მაგრამ გული არ მიშვებდა, პირველად დაყილობს ეგრე. გაიგებდი, გოლუბევს დათვმა დაუგლიჯა უშობელი.

— არაფერი გამიგია. — სახტად ღარჩა დედაბერი და აწრიალდა, ხმას აუწია, — ან რას მეკითხები, საიდან უნდა გამეგო, ვინ მეტყოდა? დათვმა დაუგლიჯათ. ამბობ?

ესეც მირონიხა! მის გარდა სხვა ვინ შეატყობინებდა ამ გულისმომწურავ ამბავს? ტყუილად კი არ ელოდა დედაბერი — თითქოს წინასწარ გრძნობდა რომ მირონიხა ხელცარიელი არ მოვიდოდა. დედაბერი იმგვარი ცნობისმოყვარეობით შესცქეროდა მირონიხას, თითქოს გოლუბევს უშობელისათვის მას მიესიოს დათვი და ახლა წვრილად მოუყვებოდა მომხდარს.

— აბა, აბა, დაუგლეჯია, — თავი დაუქნია მირონიხამ, — გოლუბევს კი ძროხა დაუბერდა, აღარ იწველია და წელს ამ უშობელის იმედად იყი. გუშინწინ გენკა ათისთავი ტყეში წასულა, ზედაეს, ბალახი რაღაც საეჭვოდაა გადათელილი და სისხლით მორწყული. მიმოიხედა უშობელი კი იქვე. ხელის-გაწვდენაზე. ბუჩქებში გდია, ტოტები აყრია ზემოდან. დათვს სისხლი გამოუწოვია და დაუტოვებია. სუნდაცემული უყვარს. ერთ-კი შეავლო თვალი გენკამ და გამოქანდა, ევალაც აღარ ღარჩა მისი. თითქოს ფრთები შეისხათ — იაუ მოფრინდა სახლში. — მირონიხა ისევ დედაბრისავე გადიახარა და აჩურჩულდა. — ამბობენ, გენკას დედაცა კი გუშინწინ მთელ დღეს მდინარეზე რეცხავდა შარვალს და დღესაც აელებსო, ქვემოუბრება კი ისღა დარჩენოდათ, დილას ჩვენგან წაიღეს წყალი.

— ნუ დასციხა, — სინდისზე შეავდო დედაბერმა, — თუ ეგ ყველაფერი ახლა არ მოიგონე, ნუ დასციხი. შენ რო გენახა?

— მე რო გენახა, ადგილიდან ფეხსაც არ მოვიცვლიდი, დავჯდებოდი და დაველოდებოდი, უშობელს როდია მოაკითხავდა, მერე კი ეცეცებოდა. შენი ასე და ისე, იმ უბედურ გოლუბევს რას ემართლებოდი-მეთქი? ხმასაც ვერ გამცემდა, იფიქრებდა, სიგნალი მოვიდაო. იაუ დავაფრთხოდი, მუ დათვიც ვერ მოიყვანდა ქუთაზე.

— დი-დი ხანია მომბეზრდა ეგ შენი ზღაპრები, რატო ადამიანურად არ მომიყვები, სად დაგლიჯა?

— მაკლი გითხრა? აქამდე ათჯერ მოგაყვებოდი, ქვემო მდინარესთან მთაზე მოსახვევი გახსოვს?

— რატო არ უნდა მახსოვდეს? მეხსიერება კი არ წამოთმევია, მერე?

— იცე გამოუფატრია, ზედ სოფლის ბოლოში. მალე აღმათ სოფელშიც შემოვლენ. ტაიგაში-საქმელი აღარ იშოვება, ბუნაგში ველარ ალბენ და სოფლის ახლოებში დამოწიან.

— ჰო, ჰო, — თავი დაუქნია დედაბერმა, — ეგრეა, დაარწიან.

— ეს ჩემი უდღეურიც არ ვიცი, სად ვეძებო. ხომ არ გგონია, დიდხანს დავუწყებ იებნას? ისედაც რამდენი ვირბინე, აღარ ვიცი. ცოცხალია თუ

შევდარი... კაცებმა ამბავი მოიტანეს. მთის გაღმა ყილაყის ორი ძროხა ბალახობსო. მთაზე რა ამოყვანს? ძველი ჯანი რომ მომდევდეს, იცოცხლე, გავიქცეოდი, ენახადი. ამ გახევებული ფეხებით კი სად წავიდე, რა ნაბიჯს გავივლი და მუხლი შეკეცოდა.

— მთაზე არ აქაქანდე, გოგო, ველარც ჩამოხვალ, უშვებოდა და მეშველება?

— მეც შენზე არ ვლაპარაკობდი? — გაუტრიზავა გიგანური ძროხაზე ველარაკები, ეს კი ისევ თავიანთს გაიძახის.

— შენ ძროხას მაინც გაუშვებოდა ჩიქანი.

— რაზე არ მანალვლება, ბებერო, ძროხას მოვკრა თვალი, დათვმა რომ არ დაგლიჯა ვიცოდე და ამორიალოს ჩამდენიც უნდა.

— ნეტა შენ, გოგო, ეგ ძროხა რა გაგხდომია, ჯანი შეაღიე, უვლი, იტანჯება, წყალების მეტი რა ხეირი გაქვს? თიბუა — მუშა უნდა დაიჭირავო, თივის მოსახიდადაც მუშა გჭირდება, ზამთარში საკვები გამოგელევა და უნდა იყიდო, ისედაც რამდენი მოვლა უნდა? დაადევ ააე შებანდებულისა და ბინდებამდე, რა თავს იკლავ — შინ დამშეთული შეილები გელოდება და სასმელ-საჭმელს გთხოვენ? ღმერთო, რაე თუ მოგიხდება, ჩემს ნადიართან მადი, რომ არ დაგიჭერს, ყოველ დღე გაგივსებს ქილას, მეტს ვერც დალევ, ეგ შენი უღლეური კი გაყოდე და მხარეთქოზე წამოწეკი ქალბატონივით, ფულსაც მოგცემენ, ჩემი იყოს, უფაოდაც დავუთმოვდი, ოღონდ საწვალეებელი მოეშორე-ზინა ვინმეს.

— ო-პ-ო, — დამცინავად წაუძღერა მირონიხამ, — ერთი ამას დამიხედეთ, ძროხას გაყიდდა და ფულსაც არ აიღებდა, მაინც დიდი უცნაური ქალი ხარ მთელი სიცოცხლე ძროხას ვუვლიდი და ახლა შეველიო? ცოცხლად დავიყარხო თავი? რაეც არ მინდა, ოღონდ ძროხა ზმუოდეს ბოსელში, რა საპყარი მნახე, ძროხა ვერ მოეუარო?

— არ გუნდა და, ერთად გატეხიან კისერი, მე რა მენალვლება?

ამ საკითხზე პირველად არ იწყებდნენ ლაპარაკს და დედაბერი გულში ეთანხმებოდა კიდევ მირონიხას: ძროხის მოვლა-წვალეობას მიჩვეული, აგრეთვე ვერ გადაეჩვევი ამ საზრუნავს. ან რა დედაცაა ხარ, ძროხა თუ არ გყავს? თავადაც, სანამ ფეხზე იდგა, საქონელს არ მოშორებია, ძლივს დაბანახლებდა და მაინც სათლს მიათრევდა ბოსლისაკენ, ეადრე არ აუკრძალეს, მირონიხასაც უფრო წყენისა თუ ეჭვიანობის გამო ეკამათებოდა: გული წყდებოდა, თავად რომ ველარ ეგურგურებოდა საქონელს, აი, მირონიხაც, რომ უძროხოდ დარჩენილიყო, ნებით თუ უნებლოეთ ერთ ბედ ქვეშ აღმოხნდებოდნენ და გაუიოლდებოდა ყოფა, თითქოს უკვე შეგუებოდა საკუთარ უძლურებას, მაგრამ აქაც მეგობარი სჭირდებოდა, ვინმე უცხო კი არა, აუცილებლად მირონიხა, რომელთანაც მთელი სიცოცხლე გაეტარებინა და ამ ქირშიც მათ თანახმარობა მისცემდა შვებას.

დედაბერმა მირონიხას გაუფრთხილებლად წამოიწია, დაღანდელთან შედარებით აოლად წამოჭდა, ამჯერად თითქოს სჯუროდა კიდევ საკუთარი ძალის მირონიხა არც განძრეულა, თითქოს არ გაუტოკებია მის დასახმარებლად, იცოდა, დედაბერს შეეძლო დაეცაცხანებინა კიდევ, ახლა ისინი გვერდიგვერდ იხედნენ და დედაბერი, მირონიხასთან შედარებით, მთლად გალუული ჩანდა: ბეჭები ისე გამოსჩროდა, გეგონებოდა, ააცაა ფრთებს აიქნევა და გაფრინდება. მირონიხამ გვერდიდან გახედა, ველარ მოითმინა.

— გამიხდი, ბებერო, გამიხდი.

გავნდი, — თავი დაუქნია დედაბერმა. ზედ არ დაუხედია, ისედაც იცოდა, რომ ასე იყო.

— ბავშვები ჩამოგივიდნენ, რაო, რას ამბობენ?

— რა უნდა თქვან... მომინახულეს.

— იქნებ შენს დასამარხად ჩამოვიდნენ, ბებერო?

— მოლა, დამძახხავენ კიდევ, დედა შვალეებმა უნდა დასაოხროს, — მშვიდად დაეთანხმა დედაბერი. ილიონდ თანჯროსათვის თავალი ამ მოუშორებია. თათქოა იქიდან ესაუბრებათ ვიღაცას.

— ეგ როგორღა, აქ დაგისხდებიან და დაგაცდიან ღმერთი როდია მიგოლებს?

— დიდხანს არ დააჭირდებათ ცდა, — იდუმალა. მორჩილი გადაწყვეტილებით თქვა დედაბერმა და მჭრონიხასაკენ შეტრიალდა ხელით საწოლის კიდზე იყო ჩაჭიდებული. ჯერ კიდევ ეშინოდა გადმოვარდნას, — დიდხანს არ დავიყოვნებ. განა არ მესმის, მათაც წინ ეჩქარებათ, მართო მე ხომ არ ვუყვარ? უკანასკნელად ტანჯორასაც შევაგლეხ თვალს. ჩამოვა და მეც წავალ. სიკვდილი არ გამიჭირდება. შეილებს დაელოდეთ, დაეხუტავ თვალებს და მოგვეკვლით. ვარვარა შემოვა, ოთახში დასახედდა. მე კი უკანასკნელი სუბთქვა ამოხდებოდა გავთავრებულდები. ილიონდ ტანჯორა დავინახო. ნეტა რამე ხო არ შევნთხვა, რატო იგვიანებ? გუშინ უნდა ჩამოსულიყო, არ მოვიდა, დამაიხედეს. ხვალ აუცილებლად ჩამოვაო, არც დღეს ჩანს. ადგილს ვეღარ ვპოულობ ალარ ვიცი, რა გიფიქრო.

— თავს ნუ იკლავ, ბებერო. ჯერ აღრეა. ჩამოვა შენი ტანჯორა. ტყველად რას ნერვიულობ. იქნებ იქ თვითმფრინავები არ დაფრინავს. ახლა ხომ ყველა თვითმფრინავებით დადის. ჩვენთან დაფრინავს. შესმის ხოლმე, იმათთან კი, სადაც ტანჯორა ცხოვრობს იქნებ ცა მოიღრუბლა, ან ბილეთი ვერ იშოვა. მე და შენ შეგვიძლია, ეგრე, გზაზე გადავირბნით. ტრანსპორტი არ გვჭირდება, იქიდან კი, შენც იცი, შორი გზაა.

— არ ვალოდინებ. — თავის კანტურათ გაიმეორა დედაბერმა. — არა, არ ვალოდინებ. აღარც აქ დავიკვნება შეიძლება. აღარ შეიძლება. ისედაც ნასესხებით ვცხოვრობ. ჩემი ბავშვების ჩამოსვლა შეიტყო ღმერთმა და ვილაკის წილიდან ჩამდენიმე დღე მარგუნა. ერთ ხანს რო შეცქირა მათთვის და შენც უკანასკნელად დაგლაბარაკებოდი. ახლა წასვლის დროა. როგორმე ამ ერთ დღესაც გავძლებ და მორჩა, გუდა-ნაბადი უნდა ავიკრა. დროა. ბავშვებიც წესისამებრ გამაცილებენ, დამიტირებენ, ტყუილად ხო არ ჩამოვიდნენ. ასეთი ვარ თუ ისეთი, მაიხც დედა ვარ მათი — ცოდვას შვილების დაუტოვებლად დედის დამარხვა. მახსოვს, თავს ვიკლავდი დედაზემს რო ვასაფლავებდით. განა ახალგაზრდა ვიყავი, მაგრამ მაინც არ მემეტებოდა. ეგრეა, ცას ვერავინ გამოეკიდება, ყველა სიკვდილის შვილები ვართ. შენ კი. დღისის გულისათვის, ასწავლე როგორ უნდა გამაცილონ, დაეხმარე. თუშცა კი ამბობ, მავნებელი ხარო, მაგრამ რა მავნებელი მე ვარ? არც არასოდეს ვყოფილვარ.

— ახლა სიტყვაც არ მათქმევინო.

— თქვი, — დაუტკბა დედაბერი, — განა გსაყვედურობ. არც მწყენია. შენგან რა უნდა მეწყინოს? უარესიც გვითქვამს ერთმანეთისათვის. მთელი სიცოცხლე ერთად გავლიეთ, ეგლა მაკლდა, გოგო. შენზე გავბრაზებულიყავი.



ეროვნული

ბიბლიოთეკა

ანკი უშენოდ რა უნდა შექნა? გუშინდელს აქეთ თვალები დამაწყდა შენს ლოდინში. თუ მოახერხო, ხვალაც მინახულე, ერთ ხანს ვისხდეთ ყოველ თითქოს დიდხანა ვიცოცხლეთ და მაინც ბოლომდე არ გვითქვანა სველუფი ვერც ლაპარაკით გაჩერეთ ვულე, ალბათ იქაც მომენატრები.

— იქნებ შენზე აღრეც მოგვედე, ბებერო!

ეროვნული

— ერთი ამას დამახედეთ! ჩემზე აღრე მოკვდება. ვერც ვაგე, რას გეუბნები? კი არ გეთვალთმაცები, სიმათლე გითხარი, თავგზას ნუ მიბნევ.

— არ გიბნევ.

— ჰოდა, ჩუმად იჯექი, ნუ მეკამათები.

— იცი, რა მინდა, — მირონიხა წამოდგა და ფანჯრისაკენ გაიწია, — გავიქცევი, დავხედავ: იქნებ მოვიდა ის უდღეური, დავხედავ და სწრაფადვე მოვბრუნდები, ცოტა ხანს კიდე ვიჭუჭუტოთ მახამდე კი მარტო გაძელი.

— ჰოდა, გაიქეცი, თუ გინდა, არ გიჭერ.

— არ შეგეშინდეს, ბებერო, მალე დავბრუნდები.

— გაიქეცი, გოგო, თავს ნუ იმათლუბ.

დედაბერი ისევ მარტო დარჩა. რატომღაც ნელიად წამოვიდა უხმაურო მსუბუქი ნაღველი, ცრემლიც ჩამოუგორდა ღაწვებზე და ჯერ არც ჰქონდა შემწრალი, თითქოს სული გაიწმინდა და მოკლე ლოცვა ჩაიკითხაო. დამშვიდდა. იქვე, საწოლის გვერდით, ისტაზე მზე ცელქობდა, დედაბერმა ფეხები მოუფიცა სხივებს, მზე არ დამფრთხალა, გაძვალტყავებულ ფეხებს მიელამუნა, გაუთბო, დედაბერსაც მთლად გაუხალვათდა გული და თითქოს ფეხებიდან აწყებდა ღღობას, ევლავ მოესურვა ტარილი. საწოლს ფრთხილად შეუშვა ხელი, თუ გადმოვარდნა ეწერა, მზეში მაინც დაეცემოდა, სხივებს მიეკედლებოდა, მერე კი მირონიხაც მოუსწრებდა და იქვე საწოლზე დააწვენდა. არ გადმოვარდნილა, მაშინვე გადაავიწყდა, რომ გადმოვარდნა შეეძლო. ფანჯრიდან დაფინებით გასცქეროდა ქუჩას, სადაც გარდატეხილი დღე მწუხრს უახლოვდებოდა და მაღალ, ნიშნულზე ცაზე ეზნიჭებოდა. დედაბერი მზემ მონუხა, მაგრამ არა ცაზე დანთებულმა, ცეცხლოვანმა ბურთმა. არამედ იმან. ციდან რომ აფრქვეოდა და მიწას ათბობდა. ეს მეორე დღე იყო ამ ათბობისა და სინათლის მიღმა დედაბერი რაღაც იდუმალს რომ ეძებდა. ეძებდა და ვერ პოულობდა. თუმცა არც წუხდა: იდუმალი თავისით აუხელდა თავალს, ჯერხნობით კი დროს არ მოეწია ალბათ. დედაბერს სჯეროდა, სიკვდილსა შინ ჩასწვდებოდა ამ და მრავალ სხვა საიდუმლოსაც, რომლის ამოხსნაც სიცოცხლეში არ ეგებოდა და რომელიც ბოლოს მარადიულ იდუმალში ჩაახედებდა და მიახვედრებდა — რა იყო ან რა იქნება. ცალკერძ ამინებდა ამაზე ფიქრი, მაგრამ სიკვდილის მიახლოვებასთან ერთად, სულ უფრო ჩშირად ფიქრობდა მზეზე, მიწაზე, ბალახზე, ფრინველებზე, ხეებზე, წვიმასა და თოვლზე — ყოველივე იმაზე, რაც ადამიანის გვერდით ცოცხლობს, საკუთარი უოფით სიხარულს ანიჭებს. დასასრულისათვის ამზადება და თავის დახმარებასა და ნუგეშს პირდება. ეს ყველაფერი მის შემდეგაც რომ დარჩებოდა, ერთგვარად ამშვიდებდა დედაბერს: მაინცდა-მაინც აქ ყოფნა ხომ არ იყო საჭირო. მათი შეუწყვეტელი, მიმნდობი ხმა რომ გაეგონა — ბუნების ძალნი შეუწყვეტლად იმად ხშიანდებიან, სილამაზე და რწმენა არ დაკარგო, ხმობით კი სიცოცხლისა და სიკვდილისაკენ ერთნაირად გიხმობენ.

მირონიხამ მოიბრინა, შეუჩერებლად დაასცდა საწოლს და დამფრთხალი

დედაბერი ფანჯარას მოწყდა, თავს დაუბრუნდა, მირონიხაც იცნო, მირონიხამ ხელი ჩაიქნია, დედაბერს გაახსენდა, რომ აქამდე ძროხაზე საუბრობდნენ და ეს ხელის ჩაქნევაც ალბათ იმას ნიშნავდა, ჯერ არ დაბრუნებულაო. ნეტავ მაინც სად დაეხეტება მირონიხას ძროხა? დედაბერი ახლა ამასვე დაფიქრდა რათა გაწყვეტილი და დაკარგული საუბრისათვის მისაბრუნებლად შემზადებულიყო — პასუხის გაცემა დასჭირდებოდა, აბა ასე ხომ არ დაუბრუნდება სავიტ.

მირონიხამ უთხრა:

— თქვენი აბანო რატომღაც თავდაყირა დგას, ბებერო.

— აბანო? — დედაბერმა აბანოც დაუბრუნა ცნობიერებას, მაგრამ უეცრად ვერ მიხვდა. რად უნდა მდგარიყო თავდაყირა.

— შენკენ მოვდიოდი, აბანო კი აქეთ-იქით ყირაობდა, ხან ერთი გვერდი შემომაქცია, ხან მეორე, — ეშმაკობდა მირონიხა, — შიგ ვინ დგას; რაიმე ექსპედიციაა?

— რა ექსპედიცია უნდა იყოს, გოგო, რას იგონებ, ალბათ ჩემმა ბავშვებმა ჩაიბუღეს.

— ყველამ?

— რატო ყველამ? ლუსია დოლიდან ტყეში წავიდა, ვარვარაც სადღაც სოფელში წაქაქანდა, კაცები არიან — ილია და მიხეილი.

— დღისით ბანაობენ? — ვითომ ვერ ხვდებოდა მირონიხა.

— ბანაობენ? ბავშვიეთა ხარ გოგო. ღმერთს გეფიცები! — გაბრაზდა დედაბერი. — რა ღროს ბანაობაა, მეორე დღეა აბანოდან ცხვირი არ გამოუყვიათ. დაბანით არ უბანავიათ, მაგრამ მიირთვეს, ყელს იბანენ, თორემ ხორხზე ხავსი მოედოთ, ლუკმა არ გადაადით.

— რაო, ღვინოს სვამენ?

— არა, ნადიან ტაშტით წყალი გაუთბო, ჭიქით იღებენ, აჭახუნებენ და შეექცევიან. ისეთი გემრიელია — სიხარტლით ცაა არიან ნაწევი, არ გაგიგია, ღმერთმა ფული მისცა, ეშმაკმა ხვრელი, ჰოდა, დაგორავს ღმერთის ფული ეშმაკის ხვრელში.

— იქ მარტო შენები არ უნდა იყვნენ, ბებერო, თითქოს სტეფკა ხარჩევსკის ხმაც შემომესმა.

— სტეფკა ხარჩევსკის?

— თითქოს მისი ხმა იყო.

— რა გასაყვარია, გოგო, სტეპკას სასმელის სუნს ეცეს და... არც იმას უყვარს ყელგამშრალი სიარული.

— ეგ კი მართალია, ბებერო. ახლა ცოტა თუ დადის ყელგამშრალი.

— ცოტაა, ცოტა, თუ ნახავ და ქუჩა-ქუჩა დადიან, ირჩინებიან. მაინც რა ხდება, გოგო, ამ მოწაზე? რად იღრჩობენ თავს? რა გაუჭირდათ სამაგიწო? თავის ილუბავენ, ეგ არის და ეგ, ახლა დედაკაცებმა, დედაკაცებმაც რომ მოხადის, განა ადრე ეგრე იყო?

— შენც იტყვი ბოლნე, ძველი რა გასახსენებელია?

— გახსოვს, დანილა მეწიშკვილე სვამდა და ძაღლადაც არავინ აგდებდა. ჰო, ლოთი იყო, ეგრეც წეარქვეს, დანილა-ლოთი. მარტო ის სვამდა მაგდენს, სხვა არავინ. ახლა კი, მთელ სოფელში მარტო გოლუბევი არა ავამს და დასცინიან, კაცად არ თვლიან.

ეგრეთ, ბებრო, ეგრეთ ერთი ორჯერ მაინც დაეშინებინათ, ხელად გაუ-
ჭრებოდათ არყის სისი იშტა. თორემ არავინ პასუხს არ მოჰკითხავს, არც ის-
ჯებთან. მთლად გადაიროვნ. ზოგა ძაღლია მიაატყუებლად პურის ყუაც არა
აქვს და ვაჭარივით ყი ქეიფობს. აგე, სოფელში დაწანწალებენ, ფულს აგრო-
ვებენ, ელჩე საამქლისათვის არ შეაქუჩებენ. ფეხზე ველარ დგანან და კიდევ
ითხოვენ, არა ყოფნით.

მარცხენა

— არა, გოგო, რადიოს რთ ვისმენდი, — იმ თახჩაზე წამსწამა, სა-
დაც აღრე რადიო უდგა. — სულ ან ლოთობაზე ლაპარაკობდნენ, ლოთობაო
და სხვა არაფერი, არც უკ აქებდნენ.

— მერე რა, თუ არ აქებენ. მაგ ლაპარაკს ცალ ყურში შეუშვებენ და მეო-
რედან განოუშვებენ. არც უსწენენ, მაგათ ლაპარაკი ეს არ ჭირდებათ, პასუ-
ხი უნდა აგებინო, მაინც უშველებათ, შინაური და გარეული, გებრალეა თუ
არ გებრალეა — ყველა ერთად უნდა მოხვეტო, რომ ხალხი არ გაამწარონ.

— მართალი ხარ, გოგო, მართალი.

— მეც მაგას გეტყვები.

— აღრე ცოდვა მაინც უცოდნენ, ახლა ისიც დაივიწყა.

— ცოდვაც დაივიწყეს და აირცხვილიც.

— მართლა დაივიწყეს სირცხვილი. — დედაბერმა ამოიოხრა, იყუჩა. —
აგე, ჩვენი ისე განოტყვრება ხოლმე, თვალთ არ მინდა დავიხანო. დილას
ფრატა-ფრუტ-თ წამოდგება, იმბიჭება შეკრიბავს და იავე თავიდან იწყებენ.
არც სცხვენიან, წინა დღის ამბებს ერთმანეთს უყვებიან და იცინიან, ამათ
ეცინებათ, მე როდესაც ვიყო, სირცხვილით დავიწვებოდი.

— მაგათ ბებრო, არაყი დაწვავთ, სირცხვილი ეს არა.

— ჰო, ჯერ რა უნდა გიამბო, გოგო, აირცხვილზე გამაზაუნდა, — დედაბე-
რმა შეიკადა, ელჩე მოგონებები მოიყრიდნენ თავს და იმ შორეულ დროს
მოუბრუნებდნენ, საიდანაც გარდასული ცხოვრების ნაცნობი, ყრუ ექო გახ-
მიანდა. — იმ წამშილობის დროს. — აუხანა მან. — ვარჯიშა უკვე ქალიშვი-
ლი მყავდა, მეზმარებოდა, ილკაც წამომეზარდა: თავი გატკონდა, ლუპია კი,
საწყალო, ქიანი იყო: ხელ-ფეხი ჩაიბრებიდათ ედო, სახეზე ფერი არ ედო,
ისედაც საცოდავი შესახედავო იყო და შინშილობაში სანთელივით მელეოდა
ხელში, არგო ევება და ზრუნვა აჭრდებოდა, რა უნდა მელონა? მინდა იმ ხა-
ნებში უკვე მუხლი ქტონდა გამართული, ტანჩორა დაფორთხავდა მხოლოდ თუ
ახლადფეხადგმული იყო — ახლა აღარ მახოვს, ყველანი სატმელს ითხოვდ-
ნენ, ღნაოდნენ, ცოტა ხომ არ სჭირდებოდათ მეცლია ამოსავებად? გული
მეგლიჯებოდა, ან რაა გიბანო, უჩემოდაც იცი, ორი გამოზარდე, — დედაბერ-
მა სათქმელი შეაჩერა, მოახიპა და მერე რომ არ გადავიწყებოდა, ბარემ აქვე
ჰკითხა: — შენები არ აპირებენ ჩამოსვლას?

— არაფერს იწერებრან.

— იქნებ გაუფრთხილებლად გეატყვრონ?

— არ ვიცი, ბებრო, მოვედები და ჩამოვლენ.

— ჰოდა, იმას გეტყვებოდი, ვა-აი, როგორ ვეწვალეოდი! კაცს იმ ხანად
კოლმეურნეობიდან რაღაც ტვირთი დაჰქონდა ბაზარში, შინ იშვიათად იყო,
ვიტია კი, ომში რომ დამედუბა, რაიონში სწავლობდა კურსებზე, ვერც ის გვე-
ხმარებოდა, მართო ვაყავი, ერთს გააჩერებ, მეორე ტირია, თითქოს ჯიბრზე,
ძროხაც იმ წელს დამიმაცდა, არ იწველიდა, დასაკლავად ეს ვერ ვიმეტებდი.

მერე უძროხოდ რაღა გვეშველებოდა? ვიფიქრე, რამენაირად გავიტანო თავს, სამაგიეროდ მომავალში რძე მაინც გვექნება მეტქი. ჩვენი ზორკა უკვე კოლმეურნეობაში იყო, გეხსოვება ზორკა — კარგი ძროხა იყო, დღემდე გული მწყდება, კოლმეურნეობას როდესაც ბრძანებდნენ, საერთო ბოაელს ჩაბარა ჩემმა კაცმა. როგორ ვტიროდი! პო, ზორკას კი მაინც ჩვენსკენ მოუწვევდა გული, მოსალამოვდებოდა, დააღირებდა თავს და მოგვადგებოდა. ვიფიქრე, მიმწველობა დაიწყებოდა, ვაჭმევდი, ხან მარილს დავუყრიდი პურის ნატუნზე, იქ იმდენი საქონელი ჰყავთ, მაგისტვის ვან მოიცლიდა. ჰოდა, შიმშილობაში ხო სულ ჩვენსკენ და ჩვენსკენ მოიწვედა. სალამოს წველის შემდეგ, მაშინვე გარეთ გამოლაღვდნენ, ჭინჭლაც უთვალავე იყო, ძაან წუხდა საქონელი. ზორკა ჭიშკარს მოადგებოდა და ზნუოდა, ზნუოდა. მერე შემეცოდებოდა, კარს გავუღებდი და შემოვუშვებდი. ჭინჭლების წამალს გავუხსნიდი, ჭიქანს ჩამოვბანდი, ჭუჭყიან ჭიქანს ვერ იტანდა. ერთხელ, თბილი წყლით დავბანე და ვფიქრობ, ენახავ, რძე ხო არა აქვს-მეტქი. მოიწველა, და დავიწყე, გოგო, ზორკას წველა! სალამოს წველის შემდეგ ერთ ქილას კიდევ მოვსებდა, ესეც შეღავათი იყო, კოტა გულს დაუჭერდა ბავშვებს. ამაზეც მადლობელი ვიყავი.

ჰოდა, გოგო, ერთხელ ჩვენ ზორკას ვუზივარ, ჩვენსას კი არა, უკვე კოლმეურნეობისას, ეწველი და მესამე: თითქოს კარმა გაიჭრიალა, ბოსელში შემყავდა ხოლმე. გავახედე — ლუსიაა. დგას და თვალეზდაცხეტილი მიყურებს. სული ამოშტრიალა ამ გამოხედვან. ლუსია უკვე იმხელა იყო, იცოდა, ზორკა ჩვენ როდესაც გვეყუთებოდა, უზივარ და წამოდგომის მეშინია — ისე გამოხედვდა ხელ-ფეხი. ვფიქრობ, ღმერთო, სად იყავი, ადგილზევე რომ არ გამაქვავებ პირველად? და რაე შენცხვია, რაე შენცხვია — სად წავაუღლიყავი აღარ ვიცოდი. ჰოდა, გოგო, მას შემდეგ თავისთვის ველარ მიპატიებია, ლუსიას დი-იდ-ხანს ველარ ვუსწორებდი თვალა. ახლაც ვფიქრობ ხოლმე: ნეტაი ახსოვს თუ არა? სულ მგონია ახსოვს და მადანაშაულებს. იქნებ იმიტომაც არ ინდომა ჩემთან ცხოვრება, ანუთი დედა როდესაც ჰყავს.

— სულ განოფრუტუნდი, ბებერო? საიდან უნდა ახსოვდეს, მთლად ერთი ციცქნა იყო.

— ერთი ციცქნა იყო, მაგრამ მეხსიერება ხომ ერთია. ჩაგრება და მორჩა.

— რომც ახსოვდეს, რა მოხდა მერე: აჯობებდა შიმშილით მომკვდარიყო, შენ კი ზორკასთვის მხოლოდ ჭიქანი გებანა? განა კოტა დაიხოცა მაშინ? შენ კი გამოზარდე.

— ცხადია, სიკვდილს აჯობდა. მაგრამ არც ასეა კარგი: სირცხვილა ვერ ჩამოირეცხავ. სული არასოდეს წამიწყვედია, მაშინ კი ქურდობაზე უარესი ჩავიდინე.

— უსირცხვილოდ, ბებერო, ცხოვრებას ვერ გაღევ. გეყოფა მაგაზე ფიქრი, ნახა სადარდელო.

დედაბერი დამჯერედ დადუმდა, მღელვარება დაიგრილა და საწოლზე მიწვა დაქანცული, თავი ბალიშზე დადო და შემდეგ ფეხები აიტანა ლოგინზე. მარონიზა ახლოს მიუჩოჩდა და ისევ ფანჯარას გახედა.

— არა ჩანს? — ჰკითხა დედაბერმა.

— არა, არ ჩანს. ერთი ნოვიდოდეს ის უღლეური, ფეხებს დავამტვრევ. ხომ არა ჰგონია, ამდენს მოკუთმენ.

— ვიდრე არ მოსულა, ნუ აფრთხობ. გოგო. იქნებ იმიტო არ მოდის შენი ეშინია.

— საწყალის ტყეში დათვია არ ეშინია და ჩემი შეეშინდა. თუ დათვის დაგლეჯალი არაა, ერთად ამოვანთებე ამ გამწარებას. ნერვები დამაწყვიტა. მაგის გამო აღამიანა აღარ ვგვევარ.

დედაბერმა მხოლოდ უკანასკნელ სიტყვებს მოჰკრა ყურადღება.

— რატო არ გვეხარ აღამიანს? აი, მე კი ამდის მანქანა-ქნაქნა

— ნუ გადაიროე, ბებერო.

— წელან აწოლზე ჩამომაჯექი და ვიგრძენი, ქუჩიდან რო შემოხვედი. მე კი რახანია გარეთ არ გავსულვარ, სულ აქა ვარ, აქ. ამ აღგილაა, — და მირონიხასათვის აღარ შეუხედია, ისე თქვა ნააზეც და საკუთარ თავზეც: — საცოცხლე გაგვიგრძელდა მე და შენ, გოგო.

— რატო გაგვიგრძელდა?

— აბა, ამდენი რად გვინდობდა? კარგი იცნებოდა, დიდი ხნის წინ რო დავხოცალიყავით. ახლა პრობა არ ვეუფლებოდა ააიებარო, არც მე ვიწვევბოდი საბყაროვით და აღარ ვოფრებოდი. ნეტა მირონიხა არაად გაქანდეს, ერთ ხანს კიდევ იჯდეს ჩემთან, თორემ ისევ გამტანჯავს-მეთქი ნარტოობა. შენი თავი ღმერთმა მიწყალობა, მირონიხა, ჰო, ღმერთმა. უშენოდ რა გამაძლებინებდა?

დედაბერმა თვალი დახუჭა და თავია ნათქვამს. საკუთარ თავსა და მირონიხას დაეთანხმა. თავი დაუქნია, თვალი აღარ გახელა. იგი მარტო დარჩა, ყველაფერი დაავიწყდა ამ ქვეყნად და იღლსა თუ მსუბუქი პალბურანის სიმშვიდეში ჩაიკარგა. მირონიხა დარაჯობდა, გვერდით ეჯდა და იმაზე ფიქრობდა, ნეტავ ერთდროულად, ერთ საათსა და წუთს დახოცილიყვნენ ორადვე, რომ ის ერთი მარტო არ დარჩენილიყო, იგი კიდევ დიდხანს ეჯდა დედაბერს — ვიდრე ეარეკრა არ დაბრუნდა შინ.

N.

— ერთი მოგვიყევი სტეფანე, როგორ გააცუცურავე შენი სიდედრი, — აგულობანებდა მიხეილი მალალ, მწითურ გლებს, სტეფანე ხარჩევსკის, ამ ტკბილმწარე გარჯაში თანამეინანედ რომ შემოსწრებოდათ, — ილიას მოუყევი, არ იცია. — მიხეილი თავს აკანტურებდა და სიცოლის დროს სახეს მანჭავდა. — მიდი, სტეფანე, დაიწყე.

სტეფანეს მოსვლასთანვე ახალი ბოთლი გახსნეს. საჭმელიც ჰქონდათ. მიხეილს უკვე აღარც სატახისა ეშინოდა და აღარც კოლია, ორჯერ შებოროლდა შინ, წვნიანი მოიძარგა, ახლა ისინდნენ და უკოვზოდ ხვრებდნენ ქვაბიდან. ფქვილში გადახალტულ ბოთლებზეც გამოაცოლა ზელს, საიბედო აღგილას გადაინახა; ფეხში შეაწყო შესასავით. ჯუთი კი სკამად შესთავაზა სტეფანეს. აქამდე ფეხშიწველი იყო, მნიშვნელოვანმა საქმეებმა ფეხზე ჩაცმა გადაავიწყა და დილაიდან აუღაგებელი ლოგინის ქვეშ მალავდა შიშველ ტერფებს. ილია თამადაობდა.

— მიდი, სტეფანე, მოყევი. — დაიქინა მიხეილმა.

— მიტხრეს ილია ჩამოვიდაო — მოსვლის მიზეზს უხსნიდა სტეფანე, თუმცა კი უკვე მოესწრო გადაკვრა. — ვიფიქრე, აუცილებლად უნდა ვნახო-მეთქი, ერთად გავზარდეთ, ერთ მეჩხზე ვიახედით, ერთად ვცოგნობდით. —

სტეფანემ ხელები გაშალა, თითქოს ამით ამტკიცებდა, რომ ილიას უნაზაობა არ შეეძლო, — მოუხეშავი, ხაფი ხმა ჰქონდა და ალბათ ამიტომ იშველიებდა ხელებს, — ჰოდა, მოვედი. და ლამის ავცდით. პირდაპირ ქონდა წავა-
ბოტე, აბანო არც გამხსენებია. უსწავლელი კაცი ვარ, კართანლა მივხვდი: ნე-
ტა იქ რასა ბჭობენ-მეთქი.

— კარგი ქენი რომ მოხვედი, — გაამხნევა ილიამ, — ხომ იცი, დედა ავად გვყავს, ვერსად მივდივართ. ახლოში მოვეწყვეთ, ეინიცობაა რამე მოხ-
დეს, აქა ვართ.

— სწორედ მოიქეცი. სტეფანე, — დაუმოწმა მიხეილმა, — დილიდან ვსვამთ, და კიდევ დავლევთ. არ გეგონოს, სასმელი შემოგვაკლდეს, აგე, ლუ-
მელი სავსეა. ყველა მაგნაირია. თეთრი, მაგარი.

— შენ ნულა დაღევ, — გააფრთხილა სტეფანემ, — მეტი მოგივა.

— არ გრცხვენია, კაცო? მოხვედი და დაგხვდა, როგორც მასპინძელს შეჭფერის. ხო ვიცი, ჩემი ძმის ამხანაგი ხარ, მაშასადამე ჩემიც. ერთ სოფელში ვცხოვრობთ. მე და შენ გასაყოფი არაფერი გვქონია, პირაქით, დაგვიღვევა კიდევ ერთად. ახლა კი აღარ დალიოთ, მეუბნები. რამ დამათრო? ნუ გეშინია, სტეფანე, კიდევ შემოიძლია. ჩემი ნორმა კარგად ვიცი. თუ გაჭირდა, ნორმასაც გადავაჭარბებ — მე რა მოხდა? ძლევს ერთმანეთს შევხვდით, მეც მაინტე-
რესება თქვენთან ჯდომა და ლაპარაკი. შენ კი დასაძინებლად მგზავნი. თით-
ქოს აქ ყოფნის უფლებაც არა მქონდება.

— იჯექი, კაცო, მასპინძელი შენა ხარ და მე რა უფლება მაქვს. გაგაგდო?

— ისა სჯობია მოგვიყვე, სადედრთან რა შეგემთხვა, — ისევ გაახსენა მიხეილმა. — როგორ გააცუტე?

— აღარ მოგბეზრდათ? ალბათ უკვე მთელმა სოფელმა იცია.

— სოფელმა კი, მაგრამ ზემო ილიამ არ იცია. ქალაქიდან ჩამოვიდა. მო-
გვიყევო

— თუ მაან გინდათ, მოგაყვებით, ენა კი არ მელრძობა, — ყასოდად დაი-
ზარა სტეფანემ და მოულოდნელად მიხეილა მზიარულად ჩაუყრა თვალი —
რაზან ეგრეთ. ყური მოგდე, ილია.

— ჰო, გისმენ, გისმენ.

— ბევრი არაფერია მოსაყოლი. არ ვაქცე, რა მოაწონთ. აჟღერ კი მაამბო-
ბინებენ, ზვეთლებრივი ამბავია. ეგეთები ბევრი ხდება ხოლმე ოჯახში. ზაფ-
ხული იყო. ეგრევე დავლოეთ მე და გენკა სუსლოვმა, ოღონდ აბანოში კი
არა, ბოსტანში. დედაკაცა გაეგზავნა კარტოფილს შემოსათობნად. ჰოდა, კვა-
ლში მოვეწყვეთ და ეუთობნით. ბოთლები მე მოვიტანე, ზამთრიდან მქონდა
თივის ვალი. ვიფიქრე, ფულად მოვუტანო. შეიძლება არც გამომართვას, ჯო-
ბია, ორ ბოთლს წავეულებ-მეთქი. ავიღე, მივედი. მეუბნებიან: გენკა ბოსტან-
შიაო. ბოსტანშია და იცოს ბოსტანში, ზემო ილიამ სულ ერთია. გენკამ ბოთლებს
დახედა და მაშინვე ტარით დაასო თოზი, იყნოსა. რასთვიაა? მივეთრიე. კარ-
ტოფილი შემოგვეთოხნა თუ დავვლოა? — სტეფანემ ხელები გაშალა. ამას
რა კითხვა ენდო. უკვე შევიდა ლაპარაკი ეშხში. — ჰოდა, ვახედვართ, კი-
ქაზე მეზობლა ბიჭი გავგზავნეთ. გენკამ ქორფა კატრით ორჯერ გაივას ჯიბე
და მოიტანა, ყველაფერი გვაქვს. ვახედვართ და ჭიქას ბურთივით ვისვრით
აქეთ-იქით. უსწავლელი ხალხი ვართ. გაუთლელი. რა მოხდა მერე? მე ამ საქ-

მისათვის მივედი. დალევას ვაპირებდი, გენკა კი სახლიდან კარტოფილის შე-
მოსათობნად იყო წამოხულო, სხვა მიხანი ჰქონდა, ეგრე კარტოფილი დგას.
გამოვწურეთ ბოთლები, გენკამ დაიღინა: „დედაკაცს ეჭვი რომ არ შეეპაროს,
აბლა ცოტას წავიმუშავებ. მერე სოფელში გავიართოთ. ეგრე ჩვენი ვიფიქ-
რე, თონე, მე კი ვიყურებ. კოდევ შეუბნება: უნად ჯდომას გირჩევენია სა-
რველს კვალში მოაქუჩოო, მალე მოვრჩებითო. წამოვდგენიყვნენ, სარე-
ველს კარტოფილისაგან ევლარ არჩევს. ერთიანად ამოუბოროცია. ვუხსნი: „ეგე-
თი მუშაობისათვის ხვალ დედაკაცი თმებს გაგათობნის-მეთქი“. დამიჯერა.
„სოფელში წავიდეთ, საღამოს სივხე გადავა და მერე გავთობნოო“. წავედით.
ჯიბში კიდევ მქონდა ფული. — ატეფანემ შეიცადა და ფრთხილად, სიყვარუ-
ლით ჩაილაპარაკა, — მერე აღარ ნახსოვს რა მოხდა.

— იცის ხოლმე, — მიხეილმა თავი უკან გადაიგდო და მხიარულად ახარ-
ხარდა, — ეგეთია ეგ საოხრო. მერე რა მოხდა. მოუსმინე, ილია.

— მერე რა უნდა მომხდარიყო? თქვენც იცით, გამოვფხიზლდი, გეგონე-
ბა ატომური დაბომბვა გადამეტანოს. ჯერ თვალს არ ვახელ. ეფიქრობ: რა
დღეა, მე და გენკა კარტოფილს რომ ვთობნადით თუ მეორე დღე დადგა, სადა
ვარ? თვალს ფრთხილად გავახილე — ჩემი დედაკაცი მიწევს გვერდით. მა-
შინვე ვიცანი. გვერდით საწოლზე ბავშვები წვანან — ჩემები არიან. კუთხეში
კი სიდედრს დაუჭყეტა თვალები და მოთვალთვალება მიმოვიხედე და ვფიქ-
რობ: ფეხზე უნდა წამოვდგე. გავფაჩუნდი თუ არა და, სიდედრმა კატასავით
ისკუპა საწოლიდან. ზედაც არ ვუყურებ, ჩემთვის ვდგები. მერე მივხვდი, რა
ჰქონდა უხურში. ნაბიჯს ისე არ გადადგამს, მე თუ არ მიხიძანა. პირველი დღი-
დანვე პარტიზანული ომი გვაქვს გაჩაღებული. უფლება რომ მისცე, დიდი ხა-
ნია ნაჯახით მომჭრიდა თავს და პირჯვარსაც არ გადაიწერდა. დიდი ტლუ დე-
დაკაცია.

ავდექი და გენკასთან წავედი. ერთი გავიგებ, გუშინდელიდან რას შვება
თას აკეთებს-მეთქი. გენკას დედაკაცი კი კიშკართან შემხვდა და შეუბნება:
შინ არ არიან ვიცი სახლშია, ეს კი მატყუებს. კიშკართან დგას და ფეხს არ
იცვლის. ეშმაკაა? წაუღია შენი გენკა, მე რა შენადვლება! თავად უნდა ხვდე-
ბოდე, მისთვისეა უკეთესი. ნაბახუსევზე შენ ვერ გამოიყვან.

— ჰო, ეგ მართალია, — დაეთანხმა მიხეილი — სწორია, ყოჩაღ.

— პეტეა სოროცინთანაც გავიარე, თავი იმე დაიჭირა, თითქოს წვეთიც
არაოდეს ჩასვლია პირში. „არც სასმელი მაქვს და არც ფული“. არ ჩავასეა-
ხებდი თუ რა? რაღა უნდა მეტნა, შინ მივბრუნდი. სადღაც პატაქვეშეთში რა-
ზი შეგულებოდა. დედაკაცი სამსახურში წასულიყო. სიდედრილა დამხვდა.
მივედი და პირკატა მეცა: სარდაფის ხუფზე ტაბურეტი დაუდგია. ტაბურეტზე
სართავი და ძაფს რთავს. იახრა, სადაც ჩავძვრებოდი. აკო გოთხარი, ჩემს სა-
წამებლად ცხოვრობს ამ ქვეყნად, სხვა საქმე არა აქვს. აგრე იყო. ვიფიქრე.
მოვიცდი, ვნახოთ, რამდენ ხანს იჯდება-მეთქი. ერთი სარდაფში ჩასვლა მო-
ვასწრო და მერე იქიდან ანწეთიც ვეღარ ამომიყვანთ. არაფერს ვიმჩნევ, თუ
ეშმაკობაა, ეშმაკობა იყო. ორუბებში გავედი. ვიცდი, როდემდე უნდა იცა-
დო? საცაა თავი გამისკდება. გულში გავიფიქრე, იქნებ ეშველა-მეთქი? და-
საზვერად წავედი — მალურსმულივით ზის. ზრდილობიანად ვუჩივ: „დაილ-
ლებოდი, სულ რთავ და რთავ, დაისვენე, მუხლი გამართე-მეთქი“. ის კი უს-
წავლელ ხეპრესავით მპასუხობს: „აქაც კარგად ვარო“. ვიფიქრე, რა კარგად

ჩაგაცეცხლებდა, უფრო უკეთ რო შეიქნე-მეთქი, მაგრამ რაა უნდა? ცხადია, ადგილს დააკვდება და ფეხს არ მოიცვლის, რო ავლო და სართავიანად გვერდზე გადავდგა, ისეთ კვირს ასტებს, იფიქრებ, ყელს სჭრიან, შეიძლება ვერც მოზომო, ბელი ისე მოუჭირო, მერე პასუხიანება მოვიხდეთ, ეგრე იყო, ვფიქრობ, იჩექი და ღმერთმა არც გაგანძრიოს, — სტეფანე დასოფილი თითო იატაკს დაემეტრა, — ჰოდა, როცა ვიხრე გამოსავალი, უცებ მივხვდი, რომ ასე იოლად არ დავნებდებოდე, ეგლა მაკლია, თავისი პოლიტიკა გავატანინო. ფარდულიდან ნიჩაბი განოვიტანე და ივანესთან წავიდი, გახსოვს, ალბათ, ერთი კედელი გვეყოფს, ერთი მხარეს მე ვარ, მეორე მხარეს ივანე, სარდაფი ეგრევეა, შუა კედელს რო სული შეუბერო, ჩამოინგრევა. შარშან რომ ფიცარი მივაჭედე გასამაგრებლად, ისიც მოთამთალდა უკვე, ივანესთან მივიდი, მოვიმიზეზე, კედელს აქედან დავათვალიერებ-მეთქი და სარდაფში ჩავძვერი, ორჯერ თუ სამჯერ დავცარი ნიჩაბი და ზერელი მხად იყო, სარდაფში ვდურთვთავი, გავიფერთხე, მიმოვიხედე — ექ იდგა, ნისატანებელიც თავზე საყრელადაა, მეტი რაღა მიწოდდა? ნესაის, სიდედრო ზევით ქნინავს, ვფიქრობ, იჩექი, იჩექი, შენს სიცოცხლეში ერთხელ მაინც გამომადგები, არავის ჩამოუშვებ-მეთქი, ნელ-ნელა ვწრუპავ, — სტეფანემ მხიარული ნოლოდინით მოჭუტათვალეები, — სიდედრო ლამის ქაჯიდან შეიშალა, ქვევდან რომ ვუმღერეთვალის დახანჩამებაში აოოთელდა, ნოლოდ სართავი დაეხეთქა იატაკს.

— ილიამ გაიცინა, ყურადღებით წვთვალაიერა სტეფანე და სიამოვნების გასახანგრძლივებლად, წვეწოფრი ბილყა გასაღვივებლად ჰეიოხა:

— იქვე დალიე?

— იქვე, იქვე, — სტეფანეს ნაცვლად დაუწონმა მიხეილმა, იგი ძალზე გახარებული იყო, ილიას ეს ამბავი რომ მოეწონა, — სიდედრო ჩასახელელში დარაჯობდა, ეს კი მატლივით გაძვრა კედელში და მოუუჩნდა, ეგრე იყო, არ, ამისათვის გცემ პატრის, სტეფან.

— სიძღვრა რაღად განდოდა?

— ასე, — სტეფანეს ეშმაკური ღმილი მოეფინა სახეზე, — გემოს ჩასატანებლად, ისიც ცოდოა, მთელი საცოცხლე გალია და სარდაფიდან სიძღვრა არ მოუშენია, ტლუ უფდაკაცო.

— ჰო, მხიარულად ცხოვრობთ, გაოცებითა და შიშით გადაიქნია თავი ილიამ და ისევ ჩაიცინა, — ყოჩაღ.

— როგორნე ხო უნდა იცხოვრო, ჰოდა, ეგრე ვცხოვრობთ, მრავალფეროვნებისათვის.

— სარდაფიდან რომ ამოძვერი, მერე რაო, რა გითხრა სიდედრომა? — არ ეშვებოდა ილია.

— რაღა მეტყობდა? მერე რაც უნდა ის ეთქვა.

— ცოლსაც არაფერი?

— მე, ილია, ცოლა აგრერიგად არ ვახტუნავებ, ნასწავლოა, ძილშიაც ახსოვს, რო დედაცაცა, მე კი კაცი კაცი კი იმისათვისაა კაცი, მუდამ თავისი ადგილი ეკოდე, — სტეფანა ჯერ არ დაცხრომოდა ლაპარაკის ეშში და შორიდან იწყებდა თხრობას, — ცხადია, არ ნოგატყუებ, იმისაც აქვს თავისი ზუსტურები, უმაგისოდ როგორ იქნება, შენც ნიხვლები, მომეტებულად, სმია თაობაზე, ხანდისხან თავის აზრებს პირდაპირ თვალეებში მომაყრას, თუ თვა-

ლებს დავხუჭავ. ყურში ჩამჩხავს. თითქოს მესვრის „ხელები მაღლა“ მეც
ჩა თქმა უნდა, ამ საკითხზე საკუთარი, კაცური პასუხი გამაჩნია. ძაან გასაგე-
ბად ვეტყვი ხოლმე, რომ ტყუილუბრალოდ დისკუსია არ გამომხიროს, ემტყვი
და მშვიდდება.

— არა, სტეფანე, — ენა ძლივს მოაბრუნა მიხეილმა. — დედა-
კაცობის გარდა — ქალიცაა. ცემა არ შეიძლება. შენც ჩემს მხარეს
იმის გარდა რომ შენი და ჩემი დედაცაა. კიდევ სახელმწიფო ქა-ლი-ცაა. სა-
სამართლოში შეუძლია გიჩივლოს.

— მეც, ვინ გეუბნება ცემო? — ჩაიჭირქილა სტეფანემ. — შენ რაღაც
სხვანაირად გესმის ყველაფერი. ცემა რა საჭიროა? ცემა დასჯის უმაღლესი
ზომაა, დახვრეტაავეთ. დედაცაა თუ გამგებიადა იქცევა, მეც გამგებიადა
ვექცევი. ასე თუ ისე, მეც ამ სახელმწიფოს წევრი ვარ და არა ვიღაც პირ-
ველყოფილი ადამიანი. მე და ჩემი დედაცაა ორივე ჩვენი სახელმწიფოს მო-
ქალაქეებად ვითვლებით.

— არ, ეგ მართალია. ეგრე რომ ლაპარაკობ, ძაანაც გეთანხმები.

— ეგ კი მესმის, მიხეილ, რომ სახელმწიფო მასშტაბით ჩვენი დედაცაა
ქალები არიან. რა ახსნა მინდა. მეც ასე თუ ისე რაღაც გამოგია. გაზეთებს
ვიწერ, კითხულობ.

— ვიცო. სტეფანე, კითხულობ, კითხულობ.

— სამი გაზეთი მაქვს გამოწერილი. — ილიას აუხსნა სტეფანემ, ილიამ
მოწყენით დაუქნია თავი. — ერთი პატარა, ჩვენი რაიონის, და ორი დიდი —
ერთი საქალაქო და ერთიც „პრავდა“ და ყველას ვკითხულობ. ზოგიერთები
ისე იწერენ, ქაღალდას საჭიროებისათვის, მე კი ვიღაც გაზეთს თავიდან ბო-
ლომდე არ ჩავიკითხავ. ხელსაც ვერაფერ ახლებს. ცენტრალურ „პრავდას“ ტქ-
მე დღეებშიც ბეჭდავენ. მეც ყოველ დღე ვკითხულობ. რომ საერთაშორისო
და შინაგან ვითარებას არ ჩამოვრჩე. სულ ზეპირად ვიცი. სად რა გადატრია-
ლება ხდება, სად მშრომელთა გაფიცებია.

— პო, ძალზე სწორედ ლაპარაკობ. — უკანასკნელი ძალისხმევით მიჰყ-
ვებოდა საუბარს მიხეილი. — გადატრიალებები ხდება, გაფიცებები. მეც ვიცი.
ჩვენს ქვეყანაში კიდევ დედაცაა. გარდა იმიანა. რომ დედაცაა. ქალიცაა. არც
შეიძლება დედაცაა უწოდო. უპატივცემულობად თვლიან. ანელ სიტყვებს
მიხეილი ნაწილ-ნაწილ წარმოთქვამდა და რომ არ დახვრეულიყო, ჩერდებოდა.
სათქმელს იაზრებდა. — შენ კი სტეფანე, იმ ქვეყნებს და ჩვენს ქვეყანას ერ-
თმანეთში ნუ ურევ, ჩვენ ჩვენს ქვეყანაში ვცხოვრობთ.

— მე კი მეგონა სხვაში.

— არა, არა, სტეფანე, ნუ ურევ.

სტეფანემ ილიას თვალი ჩაუკრა და მიხეილზე ანიშნა: უკვე მიიღო უფა-
ლმა, ბურღულუნებს უაჩროდ და არც ჩვენ გვაცლის ლაპარაკო. მიხეილმა თავი
ჩაჭინდრა. მუხლებს დააბჯინა. სტეფანე ხმას არ უღებდა — წუთია სიჩუმე
იყო საჭირო და მიხეილი ჩათვლენდა. მაშინ შეაიღებოდა ტომარასავით გადა-
ეტანათ საწოლზე და დაუბრკოლებლად განეგრძოთ საუბარი. სტეფანე დაი-
წარა და ახლოდან შეათვალიერა არყის ბოთლი. თითქოს უნდოდა დარწმუნე-
ბულყო, ხომ არაფერი მოკლებიათ. რა არის შეუძლებელი. — ბოთლი თავ-
ლია. ყველა ობერს შეუძლია შიგ ჩაავრთა და ამოსვლიან. გულს ეთანადრე-
ბოდა გახსნილი და გამოუცვლელი ბოთლი რომ ედგა საქათმეზე. თითქოს და-

ჭრილი ცხოველის წამებით ტკბებოდა: თუ ესროლე, მოგალი ერდევ, რაღას აწვალე. ილიას გახედა, უნდოდა ენიშნებინა, იქნებ საკმარისია საბრალო ბო-
თლის წამებათ, მაგრამ ილია სადღაც გვერდზე იცქირებოდა.

ლაპარაკითა და წესმულით ილიასაც დამძიმებოდა თავი, მაგრამ მიხეი-
ლისაგან განსხვავებით, ჯერ ყოჩაღად იყო. ნეტარი თრობდა წითელი წითი
უკვე გავიდა და ამაზე სინანული ახლა აღარ ღირდა. რა ექნა? იქნებ და
რა ექნა, იქნებ ერჩია ვინმეს, სტეფანეს მოსვლამდე ერთხელ კი შეირბინა დე-
დასთან — იგი თვლენდა და შვილი ვერ დაინახა, ანდა ეგებ არც ისურვა და-
ლაპარაკება. თავი მოიმძინარა და წამწამებსქვეშოდან უთვალთვალებდა მალუ-
ლად, ილიამ გაიხარა დედასთან საუბარი რომ არ დასჭირდა — არც იცოდა,
რაზე უნდა ელაპარაკა: ჯერ არაფერია არ გაეხსენა, სასწელი კი არ ათრობდა,
ამძიმებდა, მოგვიანებით, ხვალ და ზეგ რომ შეეტყობოდა მხოლოდ, სტეფანეს
მოსვლამ ხასიათი გამოუცვლათ ილიას, გაამხიარულა, მაგრამ ახლა, როცა სათ-
ქმელი და საბასუხო ამოიწურა, თავშეობის მოგონებების ჯერი კი არ დამდგა-
რიყო, ისევ მოიღვწენთა, საუბარს ძლივს აღეცნებდა გულისყურა, თათქოს
ამ ხალხთან, სტეფანესთანაც კი მომაბეზრებლად დიდხანს იჯდა უკვე, რა სია-
მოვნებით დახუჭავდა თვალებს და დაიძინებდა, მაგრამ მიხეილის დარად, სტეფა-
ნეს თვალწინ არ სურდა მოწყვეტილიყო და ამიტომაც იკავებდა თავს.

ნაადილევის მზე გადაიწვერა, აბანოს გვერდით, პატარა სარკმელი მოი-
ძია და აბანოს მალე გახურდა, სუნთქვა გაჭირდა, კარს არ აღებდნენ, რომ
არავინ შემოხეტებუდიყო — ქათამი, ძილი თუ აღამიანი, ითმენდნენ! სტე-
ფანე გაიოფლა, ილიასაც ოფლის წვრილ-წვრილი წვეთები დაასხა ნელოტ
თავზე, მხოლოდ მიხეილს არ ენადვლებოდა ცხელობდა თუ ნატსხავი ყინვა
იდგა.

სტეფანეს წელანდელი საუბარი გაახსენდა და ბუზღუნით განაგრძო:

— ამაროლე გინდა, ქალები უფრო არიან. დედაცაცისა აღარაფერი
სცხიანთ, ქალი მარტო ენოში სატარებლად კი არ გჭირდება, მასთან ცხოვრე-
ბაც უნდა გიხერხდებოდეს. საცხოვრებლად მე, მაგალითად, დედაცაც უფრო
მჭირდება, საქმე არ ეხარება, არ ელას, ქმარი სამსახურიდან დაბრუნდება და
წყალს მომეტანსო, თავაულებლად შრომობა, მომთმენიკაა, ყველა სიაუღუ-
ლებზე ტლინკება არ ურია, ოჯახში ყველაფერი ხდება, მთელმა სოფელმა თუ
ქალაქმა რატომ უნდა გაიგოს? „ნე ქალი ვარ, ქალი“ — გამოაჩაფრა მან, ყვე-
ლა ხედავს კაცი რომ არა ხარ, მერე რაო? ამოსათვია ხელით უნდა გატაროთ,
მოგეფეროთ? ჯერ ის შეიძინე, რისთვისაც ხელით ატარებენ, მერე მოითხოვე,
შენც ისეთი აღამიანი ხარ, ოღონდ ანუა სქესის, ჩვენ განსხვავების შესახებ
რწყილმაც კი იცია, და ამოსათვის პრეტენზიები წამოყენება რა საჭიროა?
ცხადია, არავინ ეამათობა, უ-მათოდ რა გაგვაძლებინებდა, ეჭრეა ცხოვრება
მოწყობილი, მაგრამ იმათაც ხო არ შეუძლიათ უჩვენოდ? უფრო მეტად გჭი-
რდებათ, შენ რას იტყვი, ილია? ვამბობ, უჩვენოდ იმათ უფრო უჭირთ-ნეტქი,
ეგეთი ხასიათი აქვთ, თანაც, კაცს დედაცაცია გარდა სხვა საქმეებაც აქვს,
იმათ კი არა.

— მართალია, მო, — ბოცლედ დაეთანხმა ილია, მოეწონა, ქალს რომ
უფრო სჭირდებათ კაცი, ვიდრე კაცს ქალი, ამ აზრმა გამოაცოცხლა... თვა-
ლები ეშმაკურად აუციმციმდა.

სტეფანემ ბოთლს გახედა, ნებით თუ უნებლიედ აგონობინა. კაცების ერთ-ერთი უმთავრესი სხვა საქმე. ზემოთ რომ ეახსენე, სასმელიაო.

— წარმან ზაფხულს ქალაქში ჩავდი, — განაცხობდა იგი, — იქ რამდენიც გინდა იმდენი ქალია: გაგიყდები. როგვლიც სულ ქალები დაიარებიან. მერე დავაკვირდო, იქნებ ერთი ცოცხალი დედაცაი მაინც დავინახო-მეთქი, ხორცი რომ ჰქონდეს და არა ზამბარები. სადმე შემთხვევით შევხვდი, გული გაგიჩნათდება, ჯერ არ გადაშენება ულანო. თორემ მსხტუ-მჩნსსსსტბრიული ხანის მამონტებივით დაეუწყებო ძებნას. მაღის დედაცაი და ხვდება. დედაც ყოლია, ბებიაც, სიცოცხლეც ეტყობა. ეს ქალები კი, განსაკუთრებით ანაღგაზრდები, მომართულ თოჯინებს ჰგვანან, ისე ჰგვანან ერთმანეთს, ვერ გაარჩევ, თითქოს კი არ გაიჩინეს. ქარხანაში გამოჩაჩხესო.

— საანსტანდარტით.

— რაო, რა თქვი?

— საანსტანდარტით. სახელმწიფო სტანდარტით.

— პო, ეგრეა, ოღონდ ზოგიერთი უცუთესადაა შეკერილი, ზოგი უარესად. სხვა ვერაფრით ვანასხვავებ. მაინც იპრანჭებიან: აგე, როგორი ვარ, შემომხედეთ. აი, როგორი ფეხები მაქვს, ეს მარჯვენა, ეს მარცხენა, თითქოს მარტო მას ჰქონდეს ფეხები, სხვა კი ყავარჯნები ეჭიროს. ზედამ, როგორი კურტუნი მაქვს, აქეთ-იქით მოიქნევს, — თითქოს არაფერი იცოდეს, რისთვისა აქვს ადამიანს ეს მოწყობილობა ბოიებთული, კურტუმა უნდა დამალს ცაცმა, ამით კი ლამის მთლად წაიჩინა. აი, რამდენი თმა ავიბუღებულე, რა ლამაზი თმა მაქვს: შე ვერ ვხედავ, თქვენ კი მოყურებთ, დატებით. მისთვის ცხოვრების აზრი ისაა, საკუთარი თავი გამოაჩინოს, ალბათ სუნთქვაც უჭირს, თუ არაფერი უყურებს. რამეა ეტყვი და... ვაიშე, ხერვები, ნერვიული სისტემა! სიტყვა ვერ გითქვამს. ოთხი დამე გავატარე ქვისლთან, ქალი ჰყავს ცოლად, თუ რამე აწყენინა, მაშინვე ათავადმცოფოში გარბის, იქ რომ ვიყავი, ყოველ დილას დარბოდა. დავინტერესდი: რა ტყვი-მეთქი? „ნერვიული სისტემის ნიადაგზეო“. — ამ ნიადაგზე კონკრეტულად რა ტყვა, რა ადგილი-მეთქი? — „მთლიანი სისტემა, თქვენ ვერ გაიგებთო“, აბა რა, როგორ გავიგებ... სისტემა კი არა, ჭირი. აქვე არა აქვს და იტყუარებო. ეკუთვბო არიან ქალები. მთავარი მაინც ია არის, რომ საქმის კეთება არ უკან. მუშაობას არ მიჩვეულან. მალე ბავშვი გაჩენაც დაავიწყდებათ. არ ვიცო. — შეფიქრიანებულმა სტეფანემ თავი გადაიქნია. — ომი რომ დაიწყო? რა უნდა მოკითხო ამ ქალებს? ცრემლის ღვრა და სიკვდილი? ამ ომში სანაბეკროდ დედაცაეებმა გაგვაპარჯებინეს. ახლა კი დედაცაეებოც აღარ გვყავს. თქვი რამე, ილია.

— რა უნდა ეთქვა, მართალი ხარ.

— აი, ეს ამბობდა, — სტეფანემ საშად მოკაცული მიხეილისაკენ გადაიქნია თავი. — თითქოს დედაცაეებს დამახებაც აღარ შეიძლებოდა, დამცირებოდაო. მაინც რა დამცირებოდა? რა არის ცუდი ამ სიტყვაში? რატომ არ მწყინს, როცა ჩემზე ამბობენ, კაციო? კაცი ვარ და კაცი ვიქნები, მეტი რა უნდა მინდოდეს? დედაცაეც ეგრეა, ერთი დამიხედეთ. აწყენონეს! აი, დედათქვენი, დეიდა ანა, მთელი სიცოცხლე დედაცაე იყო და არც სწყენია. ყველას კი არ შეუძლია ეგეთი დედაცაე იყოს. ენა არავის მოუბრუნდება ცუდის სათქმელად, — სტეფანე შეერთა, უეცრად დადუმდა, აზრმა გაუელვა, — მოდი, ილია. დედათქვენის სადღეგრძელო დავლიოთ, — სტეფანემ ის ნეტარება ჩაი-

ტვბო, როცა მოხადორე ჩამოვარდნილ ჰიტს უთვალთვალებს, იცის, რომ ზუს-
ტად მოაოტუა და უხარია, — მოდო, იღოა, დედა ანა სადღეგოტლო თუ არ
დავლივო, ცოდვად ჩაგვეთვლება.

— არ უნდა მართალია, — მოულოდნელად შემოეშალა მან, მან
მუხლებს მოსწყვიტა თავი და ზუსტი, დამიზნებულ მზერა მოაქცია ბოთლს.
ელლოდა, როდესაც მოაწოდებდნენ ჭიქას. — დედის ხადრის ბოთლი-ანაც
უნდა დაგლიოთ, — დაუმოწმა მან, — დაასხი, ილია.

გვეგონა გეძინა. — აღმაცოცხად გახერდა ატყუანეს.

— შეიძლება მძინავს კიდევ: მაგრამ დედის სადღეგრძელოს მიღწივ და-
ვლევ: გვრეა, სტეფანე, იმისათვის წამოვედით, რომ დედის სადღეგრძელო და-
გველია. ნეტო არაფროსათვის, ილია დამიმოწმებს, — მიხეილი შექამდა, ხრინ-
წიანად ჩაიცინა, — და დაგვავიწყდა. კარგი ქენი, სტეფანე, რომ გაგვანსენე-
ნაღიან კარგი, თორემ ჩვენ დაგვავიწყდა, დაგვავიწყდა და ევ არი, რაა ეი-
ნანთ? ისე ვსვამთ, თითქოს სადღეგრძელებელი არავინ გვყავდეს. ეგ მაგრა
შეგვეშალა, აქეთობას არც გვეგონა. ცოცხალა თუ ვადღეგრძელებდ-თ, ილია
გეტყვის.

— გენოფი მაგანუ ლაპარაკი! — შეაწყვეტინა ილიამ.

მიხეილი დადუმდა: აღიარა მოქცეული, ბოროტი მზერა მიაპყრო და ნელა ჩაილაპარაკა:

— တစ် မြေပုံကတော့၊ ဂွေကွေ ဂွေကွေ၊ ဂွေကွေကွေ၊ နှစ် မိလဂ္ဂနီကွေ၊ မိလဂ္ဂနီကွေကွေ၊

— კარგი დღეა გყავთ, — უთარა სტეფანემ.

— არ მოყვდა, — მოწმუნათ თქვა მიხეილმა, ვერა გააბრუნე — დაიბრუნა
ლა თუ დაიტრიაბა. — მაინც არ მოყვდა, ცოცხალია, თუ ჩემი არ გჯერათ,
წადით, და საკუთარი თვალით ნახეთ. — მან ჭიქისავეს გაიწია და სტეფანეს
შეეშინდა სკანიდან არ გადმოვარდნილიყო, საჩქაროდ თავი მიანწოდა, თუ-
თონ გი მფორე აიღო. — დედის სადღეგრძელო ბოლომდე დაეღლიათ! — მო-
თხოვა მიხეილმა, ჩვეულებრივსამებრ, პირველმა გადასრა და ჭიქა იატაკზე
გაუგორა ილიამ, — ილიამ აიღო და ჩუმად მიუჭახუნა სტეფანეს.

— შენ სრულად უფლებას გაქვს, არ გახსოვდეს, პატარა ჩემო. — მიხეილს
ნიშნობდა სტეფანემ. მიხეილს არც ახსოვდა, ისევ იღვწიანობდა, თავის ყუთზე
იკუნტებოდა და სტეფანეს ილიას მოუბოუბნდა, — გახსოვს ილიას დედათქ-
ვენმა მიხვასთვას როგორ იცოდა შურის? როგორ არ გახსოვს? დენის აგაბოვების
სადღის მიაკვდა ხელში, კალმეურობობის კერცხში წაასწრთ მიხვას და ზურგ-
ში მარბილი დაახალა, დენისი როგორ არ გახსოვს, მაშინ კერცხს ყოაფლობ-
და — გიორი! მიხვას ჩაუვარდა ხელში, მთლად ამოჭრული ჰქონდა ზურგი, კერ-
ცხეზღავდი, დედათქვენმა არ აპატია, ისევე დატენმა თბი ვაზნა მარბილით, დე-
ნისთან მივიდა და პირდაპირ დაუბათქენა უცნაულში, ისე დატენაჩოდა, დი-
დხანს კერ წვებოდა და კერცხ ჯდებოდა, ოთხით დადოდა, გახსოვს?

— მახოვს, პო, — გაიღიმა ილიამ, — გასამართლებასაც უპირებდნენ, მაგრამ ძეგრე დაფარცხეს ზოგოროდაც.

— მე მაგათ გავასამართლებდი! დენისის გულ-მართავს? კაცო მაინც იყოს.

— მანდ რას ჰქუროლოებთ? ისევე გაილუვია მიაჩენლმა და ბრძანა: —
სიმღერა, სიმღერა.

— შიხუც რამდენი ძალა გაქვს, მიშკა, — გაიოცა სტეფანემ, — რა გეშ-

დერება? რამდენა გინდა, დათქვამი უკანაღი დედამიწის დერება რომ ატრია-
ლებენ თუ სხვა? ეარგი სიმღერაა. სწორედ ზვეწზეა.

— არა, — შეაწვევტინა მიხეილმა. — ჩემი საყვარელი ვიმღეროთ. ხა-
ლხური. — მან თავი ასწია და დაიწყო.

თღონდ დაგვისხით, წვეთ-წვეთ გამოვცლით.
ისევ ჩაეჭინდრა თავი. მერე ტირილით დაასრულა:

ჩვენ არ დაგვისხეს, ედარც დავლიეთ.

— ზედავ, რა გადაგვიკრა? — ჩაიხიბითა სტეფანემ.

მიხეილმა სიტყვები აღარ ეყოდა. ერთხელაც გაიმეორა ჩათქვანი, მერე
აწაიღდა და თითქოს ეხილავი უხმოებო. მსუბუქად და უხმოვად გადაგორდა
ლოგინზე. ილიამ და სტეფანემ ერთხანს უყურეს, მერე სტეფანემ შესთავაზა:

— იქნებ მართლა გვემღერა?

— მიდი, ვიჭეიფოთ. — უკანასკნელმა ჭიქარ ვაათამაძმა ილია, თვალეში-
ენმაკური ცეცხლი აუნთო.

— თღონდ ის არ მომწონია, ახლანდელი, რადიოში რომ გადმოსცემენ
ხოლმე. — გააფრთხილა სტეფანემ. — არ მიყვარს, რადიოცნაირია... ვიდრე
მღერიან, გსიამოვნება, გსიამოვნებს კი არა, გიღიტინება, თითქოს ბავშვი გე-
თამაშებოთ. ჩაიმღერებენ და — გაქსოვს, ბავშვობაში ეთამაშობდით, „ვიხც
უსმენდა, სეულელა“. აქაც უგრუა, თითქოს თავი მოისულელილე, მეტი არაფერი.
გობია ზვეწებური, გულს რომ ამოგიტრიალებს, არ მოგატყუებს.

— იქნებ შენი საყვარელი სიმღერა გვემღერა?

— რომელი?

— თუ ია, აიღუდრა რომ უმღეროდნო სარდაფიდან.

სტეფანეს ვაეცინა.

— რატონაც არა, მაგით დავაწყობო.

მათ მეგობრულად, ერთხმად დააგუგუნეს საბრძოლო, დამაახერებელი
„ველებსა და ბორცვებზე“, მიხეილი ზმუილით ამღევდათ პანს.

9

დედამ ვარდა ტანჩორას აღარავინ ელოდა. ჩამოსვლელი აქამდე უნდა
ჩამოსულიყო. ამერიკაში ხომ არ ცხოვრობდა, სან დღეში ამერიკიდანაც შეეპ-
ლო ჩამოესწოო. მოგვანებით, ალბათ წეროდა, გამოგზავნიდა. მან არ ეცა-
ვით, ან ახვა რაიმეს მოგონებდა, სარტერესოა, დედამ როგორღა მოეცით-
ხედა, ხომ არ ეცოდინებოდა. კოცხალი იყო თუ მკედარი? ასეა თუ ისე, მაინც
მოუწევდა წერილის მოწერა და აშბო შეტყობა, თანაც პოეტო მინაურისა თუ
გაოფელის მიკითხვ-მოკითხვას ვერ დასჯერდებოდა, მაგრამ ეს უკვე მისი სა-
დარდელი იყო და რაკი ჩამოსვლა არ ახება, მასვე ემტკრია თავი, რას უნდა
შეეყოვნებინა? არავინ ეყოდა, ან მკითხაობა რა ხელს მოსცემდათ? ერთი იყო
ნათელი: არ ჩამოვიდა და არც არაფერი შეატყობინათ.

მხოლოდ დედაბერი არ იწყევტდა იმედს. წინკაოში თუ ფასჯარასთან ყოველი
ვაფაჩუნებაზე ერთებოდა. ასე ეგონა, ტანჩორა მალეულად წებოიპარებოდა საი-
ლში, დახედავდა და მხოლოდ ამის შემდეგ გამოიშვარებოდა თავს. ამიტომაც
ერთხელად კარისაკენ ეჭირა თვალი რომ ქალიშვილის შემოსვლა არ გამოშპაო-
ვოდა, დედაბუთს მხედველობა არ აცლდა, მის ხნობას ცოდვაც იყო ჩიერი.

მაგრამ ახლა ერთადერთი კარგი მომენტებული თვალშიც ელვებოდა დედებ-
რი ნაბიჯსა შევდის არ აძლევდა. იმყოფებოდა ეცნობოდა, რისთვისაც უნდა გა-
ფრთხილებოდა. ადლა უნდა გამოდგომოდა? ტანჩორას დაქანცულ დაზმა-
რებოდნენ და მეტი აღარავინ უფიქრობდა. და როცა დაქანცულობისაგან თვა-
ლები გაუქლივდა ასტეკულებოდა და ეცნობებოდა. დედებში მისწრაფებდა, პა-
რარა ხვრელსა ტოვებდა ხან ერთ, ხან მეორე თვალში მისწრაფებდა. გერეტი
შევიდა და ასე ასვენებდა.

რაც შეეძლო დრო გადმოდი. ამ მხრივ, უაზრო ლოდიში, მით ნაკლები რჩე-
ბოდა დასაცდელი, დედებრი გარგად ხვდებოდა, რომ ტანჩორას მხოლოდ
დღეს შეეძლო ჩამოსვლა, ეს უკანასკნელი ვადა იყოს მისთვის განკუთვნილი,
ხვალთან კი თავისკენ იხმობდა უფალი. ხვალინდელი დღე რას უქად-
და დედებრმა არ იცოდა და არც ცდილობდა შეეტყო: ჯერ ისევ
ღვრიდა იმედში. სჯეროდა ტანჩორას ჩამოუსწრებდა და უნახავად არ გაუშვებ-
და. ამ წუთის თუ არ მოვიდა, ალბათ ერთი წუთის შემდეგ გამოჩნდებოდა, დრო
ერთ იმდენსა და ამოდ არ ღირდა ნერვიულობა — ჩამოვა, სად დაიკარგება.
ნაადილევს გული მომეტებულად აუფანცქალდა, და ეს ყოველივე ტანჩორას
სიბლბუივით ახსნა, მოეჩვენა თითქოს ქალიშვილი ზღუბლზე იდგა და საცაა
შემოვიდოდა. დედებრი ყმაწვლი ქალივით შეჩქეფდა და აჩქარდა. უნდოდა
წამოჩადარი დახვედროდა. პირველი დანახვისთანავე ათუ უმწეო. უმაქნისი
რომ არ ჩვენებოდა: აჩქარებულს არუღიად დაავიწყდა საკუთარი უილაჯობა
და ლამის გადმოვარდა. მხოლოდ სასწაულმა დაამაგრა ლოგინზე. უგერგი-
ლობისათვის თავი გალანდღვა დროც არ ჰქონდა. წელშიც არ იყო გამართუ-
ლი და სწრაფად შეაბრუნა თავი კარისაკენ — მოემზადა. მართლაც გაისმა
ნაბიჯის ხმა და ფარდა შეიკრა — ვარვარა შემოვიდა. აფორიაქებულ, შეუ-
კუთხულ ფიქრში დედებრმა ირწმუნა. ვარვარა ტანჩორას ჩამოსვლის სახარე-
ბლად შემოვიდა. მაგრამ მან, თითქოს ჯაბრზე, დედის გამოაჯავრებლად,
რაც თავის სიზმარზე ჩამოუვდო სიტყვა რა უნდა მოკითხო. ვარვარა ყო-
ველთვის ვარვარა იყო. დედებრი არ უსმენდა. მთელი სხეულით კარისაკენ
იღუტვოდა. აჰა, საცაა ჰაერი მოიტანს სხვა ნაბიჯება და სხვა ხმას... საცაა, სა-
ცაა. მაგრამ ნაბიჯი იგვიანებდა.

იგი დიდხანს აჯდა ასე. ხანდისხან ცნობა ეკარგებოდა. დაძაბულობისაგან
ოფანტებოდა და მაშინ ეჩვენებოდა, რომ კილაც სხვა ქალი შეენაცვლა, ვის-
თვისაც სულ ერთი იყო. ჩამოვიდოდა ტანჩორა თუ არა, ამიტომ არ ესმოდა
არაფერი — და კვლავ დაფინებით აიძულებდა თავს ესმინა. კამფეტით სახემო-
გამგლული ნინკა აქეთ-იქით დაბორილობდა და რაღაცას ბურღლუნებდა. სა-
ბლში ძაბედ დააბოტებდა ვარვარა. ცალკე ჭრილა იატაკი აღიზიანებდა და
დედაბერი ბრაზობდა, რომ ისინი იკავებდნენ მის სმენას და ყველაზე არსები-
თის მიყურადებას არ ანებებდნენ. შემდეგ ლუსია დაბრუნდა მთიდან და დე-
დას შეეკითხა, რამე ხომ არ გტკივაო. დედებრმა თავი გაუქნია, ძალზე მოე-
უწეა ლუსია წააუღიფო. მართლაც ძალე გავიდა და მეორე ოთახში, მიხეილის
საწოლზე წამოწვა — ალბათ მიუჩვეულობისაგან ფეხები დააწყდა და დასვე-
ლება გადაწყვიტა.

ბოლოს და ბოლოს დედებრმა დაქანცულობა იგრძნო, აღარც ჯდომა
შეეძლო და დაუსრულებელი მიყურადებით თავიც უსდებოდა. მას გაახსენ-
და, რომ სიხარულსაც და უბედურებასაც თოვლივით მოულოდნელად უყვარს

ვაზოჩენა, და თავს შეუწყრა — დიდი მოლოდინით თავადვე ხელს უშლიდა ტანჩოტას მოსვლას. ნათქვამია: ჭაჩალმა ჯერ არ მოიფხანა და თუ მოიფხანა — მოიგლიჯათ, რა მოხდა, თუ გამოჩენამდე ტანჩოტა მაღულად წახვდა და დაწოლილს დაიხსიან? მათ დედაბერს პრაფერი დაეკლდნენ, ამაგიეროდ პალინეილს მაისც ნახავდა: კხადლოც და-ხანავდა და მსოფლივსაც დაღვრიდა უკანასკნელ ცრემლს. არა, არ იბრუნა აჩქარება, მაისც ვერ წამოხტება, შესაგებებლად ვერ გაიქცევა და ფრთხილად ვერ გაშლის მსუბუქ ხელებს. ეს ხომ ასეა... იწყები და წოლილიყავი ბარემ, თუკი ძეტი აღარაფერი მაღვრის.

თავს დაუქრა და დაწვა. ახლა აღარაფერზე არ უნდა იფიქროს, უნდა გაგრძელდეს, მთელი სხეულთი მოეშვას და გამოითიშოს, მაღლი სიხალულისათვის სიმშვიდეში აოუფრთხილდეს თავს. საკუთარი სიძლიერე რომ აღარ შეეგრძნო, დედაბერა უფრო მოხერხებულად მოეწყობა საწოლში და შეეცადა სიჩუმეს მიხედვით — აღერდინა, მიმსდობ სარემეს, რომელიც საწოლიდან უბრალოდ იტაცებდა შემადგენლებულ სხეულს და შორეულად, შორეულად თავს უკან მოიხსნებდა.

მზე ჯერ სამხეობზე იდგა, ჯერ ისევ აცხებებდა ოქროცუოვილი ფეოი და დედაბერა გათბა. თანდათანობით ჩაყვრდა, ასოვდა და აღარც ახლოვდა თავი, იცოდა და აღარც იცოდა რა უნდა ამ მშვიდი, ნათელი დღის მიწურულს. დღეს უკვე პერანგდენედ ჩათვლიდა და ისევ ფიზილად: მზიოვიით, ახლა განაიკუთრებით კარგად უამოდა, რომ თვლებში და ყოველ წელს მზად იყო გამოსაფხიზლებლად. გულმა სხეულს დაუხანავა, მან იცოდა და-ჩაჯობა და მიაი ყურადღებდნენ ფეოტკეა აკავებდა ღრმა ძილისაგან, ამიტომ არ ირწმუნა დედაბერმა ტანჩოტას მოსვლა. ხსოვნამ უკარნახა, რომ თვლები დახუჭული ჰქონდა და სინამდვილეში ვერ დაინახავდა. მაგრამ ეს არც პიჭმოს ჰგავდა, მას ხომ არ ეძინა, ერთთავად ძილ-ფიზილობის ზღვარზე იდგა. არა, მისი დაძაბული გონებიდან გამოწრეტილმა ამაო მოლოდინმა მოუვლია ეს სიტუა. ნაწამები ხილვა და დედაბერა არ აღელვებულა. იქვე, მწუხრივით ნათელ თვლებში მან ხელახლა იფიქრა ტანჩოტაზე და მიხვდა — ეს სხივიანი, წეტარად-მოწყობილი ანგები თავისთავად იბადებოდა, თითქოს გაძნალებული ევლინებოდა სიიდანაც და კი არ აწამებდა, ამშვიდებდა მხოლოდ. აქაც იგივეა ებებდა — ოსს უნდა შეეყოვნებინა ტანჩოტა? — და მიაგნო. ალბათ ტანჩოტა მარტო არ წამოვიდა, ქმარიც გამოყვა, მისი წამოყვანა კი არა და არ შეიძლებოდა. ქმარი ხომ სამხედრო ჰყავს, ღწერთს კი არ ეყვარს სამხედროები — კინაღო დაინახა სადღაც და შეაყოვნა. ვერ გაერკვა, ის სამხედრო ტანჩოტასათვის უცხო რომ არ იყო და ორივე ერთად დედაბრისაკენ მიიქაროდნენ. შემდეგ ალბათ თვითონვე მიხვდა შეცდომას და გზა გაუხსნა. მაგრამ შეფერხებით ხომ შეფერხდნენ. არ ვეღარიფერა გამოასწორებდა, ტანჩოტა უდანამატლოა. ყოველთვის მისი ქმრის გამო მოხდა, თუმცა უკვე ახლოს არიან. საცაა მოვლენ კიდევ.

დედაბერა გულზე მოეშვა, თავისუფლად ამოისუნთქა და შექანდა, უფრო მაღლა აფრინდა საკუთარი უწონადობაში, გადაეცა უცხო პგეოები ანელად თუ შეადწევდნენ.

კარგა ხანია ტანჩოტა აღარ ენახა, მაგრამ რამდენი აღარ ახლოვდა. დროს წლებით კი არა, საკუთარი დედობრივი განცდებით ითვლდა — აამი, ბუთი თუ ათი წელი მისთვის ერთი იყო, მხოლოდ ერთს ნიშნავდა: დიდხანს, ყველა-

ზე დიდხანს ტანობდა არ ვნახა. უკვე მისი ჩამოსვლა შეშვეს კსტუმრის ლუ-
სა, ჩადილოეთიდან ილიამაც შეპოუროს, გამოვა, რომ აქვე იყო და ყოველ
თვე ნახულობდა. ტანობდა კი არა და არ ნახდა. ოდესღაც შეიძინა პოიწერა.
ქმარი ახალ ადგილზე გადაყავთ. გზად სოფელზე გამოვიდნენ. გზა უკიდურე-
ლად გზახაგო. მაშინ დედაბერა წერს: "ესე იქნებ იდგა, ქალწილისა და თვა-
ლით უნახავი სიძის დასახვედრად დაფაცუოდა. დაბზოდა, მაშინვე მოვი-
ტავდა იატაკს. მოულოდნელად რომ არ ჩამოსდგომოდნენ თავს. ათაგვარი
საქმელი გააშადა. ნადიასაც მალაზიიდან რომ ბოთლი ეცინო მოატანინა და
ბაღაშის ქვეშ დიდხანს უმაღავდა მიხედავს. მაშინ ბოლოს მაინც მიხედავს
ერეთს. ტანობდა არ ჩამოვიდა. მისი ქმარი მოთლაც სხვა ადგილას გადაყვა-
ნათ მაშინვე მოგვამ არა იქ. სადაც ელთდა. ამავე კეცში შეშვეს თავი
კეცვიდან. მხოლოდგარეთ დაუბრუნეს გადაყვანი და ტანობდა ისევ მოწერა.
ერთი თვის შეშველდა გეგუთოვით და აუცალბლად ჩამოვალთო. მაგრამ ამ-
ჯერად სიძეს ანც შევადუნდა მისცეს და არც არაად გადაყვანეს. დედაბერა
გულზე დაწვევითა ტანობდას უნახობამ და გაუხარდა ელთა. სადღაც უფრო
შორს. სხვა უნახე ბოლქმარაც ხალხში რომ არ გადაყარეს მისი ქალწილი.
აი. ასე იყო უკანაველ დღეებზე.

ტანობდა მაშინვე არ იწერებოდა. მაგრამ მისი ბარათები მაინც სხვებზე
ხშირად მოდიოდა, წეროდაც მოდიოდა დედაბერა უგზავნოდა. იმ იყო ერთა-
დერთი შეილა. დედის ახელზე რომ გზავნოდა წეროდა. და ლამაზი, ლურჯ-
წითელ კიდურებს კოხვერტის მიღებდა. დედაბერი სიამაყითა და მოლოდინ-
ით ითანგებოდა. ახლა შეიტყობდა. რა უნდოდა ტანობდას. მოთვინა უთქვა.
მაგრამ არ იტანობდა. დიდხანს ათვალურებდა წეროდა. ნახატს და შეტამბს
ავერდებოდა. მერე ფრთხილად. ხალზე ფრთხილად ხსნიდა და შეგნადან ქა-
ლადს იღებდა. თავად ეთხვა არ იცოდა. დღიდან საღამომდე ელოლიაე-
ბოდა. მისი აღუმალებით ტყებოდა ედილობდა გუმანით ჩაწვედომოდა და-
ფარულს და როდის-როდის წავითხვის ჭამიც მოაწევდა. სათითაოდ წაერთ-
ნებდა ნადიას. მიხედავს და საბლში წემოსთელ ყოველ კაცს. ეგონა ერთიდაი-
გივე წეროდას სხვადასხვა ხალხი სხვადასხვაგვარად წაუერთნებდა და წავით-
ხული სიტყვა-სიტყვით რომ დაემთხევოდა. მაშინდა მშვიდდებოდა. უფერფა-
სეს ბარათს ბაღაშქვეშ ამოიდებდა — სიხარულს იხანგრძლივებდა და ს-ზმა-
რშიც იხანგრძლივებდა შეილა.

ილიამა და ლუსიას მოწერილ წერილებზე ეპოდები უფლება არა ჰქონდა.
მხოლოდ ერთხელ ეკითხავდნენ. ხან სულაც არ წაუკითხავდნენ ხოლმე. ერ-
თი-ოთი სატყვით გადააცემდნენ შინაარსს. ეს იყო და ეს. დედაბერასაც რაღა
დარჩენოდა. ამ მცირედითაც ვნაყოფილდებოდა. იმასაც ხვდებოდა. ყველა წე-
რილს რომ არ ურევნებდნენ. კი არ უმაღავდნენ. უბრალოდ ავოწყდებოდათ.
სამბობი არაფერი იყო. იმეთს არაფერა იწერებოდნენ. დედაათვის აუცალე-
ბლად რომ უნდა გადაეკათ. ლუსია ერთთავად არიგებდა იმას და რხალს.
დედას გაუფრთხილდითო. ილია ნახქარევი ხუმრობით კითხულობდა. დედა
როგორ სუნთტავა, ან საქმეებ- როგორ მისდინო — შვილები მხოლოდ მოკი-
თხვას ჯერდებოდნენ და ამის მოყოლა მართლაც ჭირდა. ლუსია გოძელ, დაწ-
ვრილებით წერილებსაც გზავნიდა ხოლმე. განაყოფთრებით. თუ მოწერა შეა-
გვიანდებოდა, დედაზე ბევრს წერდა. რაღაც ამგვარს მოაწერდა ხოლმე: "ყუ-
რადლება მიაქციეთ. რომ დედამ ზამთარში თბილად ჩაიცვას" — თითქოს დე-

დამ უმისოდაც არ იცოდა, სიცოცხეში რომ თბილად ჩაცმა იყო საჭირო. ღვთის მადლით, ილია მაინც არ გზავნიდა რჩევა-დარიგებებს, განა ამას ველოდა დედაბერი? ის უნდოდა შეეტყო, თავად როგორ ცხოვრობდნენ, სიცოცხეში რას იცვანდნენ, რას ჰამდნენ, მათ ხომ არც პრობა ჰყავდათ. არც ჰყავდათ არც ღორი, დედაბერმა ბოლოს და ბოლოს ძლავს ირწმუნა, ქალაქში უმეტესობით რომ არ იხოვებოდნენ. მაგრამ ია მაინც ვერ გაეგო, საქონელი თუ არ ჰყავდათ, რადგან ჰამდნენ, ან უსაქონლოდ პაერთოდ როგორ შეიძლებოდა ცხოვრება. საკუთარ ყოფაზე ილია და ლუბია ისე ცოტას იწერებოდნენ, რომ წერილის წაკითხვის შემდეგ დედაბერი ნადიას კითხვებით აბეზრებდა თავს. თითქოს იგი უმაღლავდა რაღაცას, ან უყურადღებობით განორჩენოდა. ნადია კი იბნეოდა და არც იცოდა, რა ეპასუხა. წერილში სხვა არაფერი ეწერა და რა ეთქვა? თავად ხომ არ მოიგონებდა ილიას ამბებს, რომლიდანაც წელიწადში ერთხელ მოკლე-მოკლე, ზეღი-გულწოდენა ბარათები მოდიოდა, ილიასა და ლუბიას წერილების კითხვა წამება იყო და უმეტესად ეს წამება ნადიას ზვდებოდა ხოლმე წილად, მიხეილი თავიდან იშორებდა... „ისე... არაფერს იწერებიან“ და მოდიოდა, ნადილა რჩებოდა.

არც ტანჩორას წერილები აკმაყოფილებდა, მაგრამ მას ბევრს პატიობდა. ეს წერილები აპეციალურად დედაბრისთვის იყო განკუთვნილი, მათთვის ემზადებოდა ტანჩორა, წერდა, მოსთვის მიჰქონდა ფოტაში და რომ არ დაეარ-გულიყო, ტანჩორას ზეღით გამოყვანილი ღვდის სახელია და გვარის გვერდით კონვერტზე სერიოზულ ბეჭდებს არტყამდნენ. თავის სათბელს ტანჩორა სხვათა პირით კი არა, პირდაპირ ეუბნებოდა, თითქოს ეაუბრებოთ. მას არასოდეს მოუწერია „ღვდას გადაეცით“, იგი წერდა: „ჩემო დედიკო“ და ეს ალერსიანი და ეუფლი „ჩემო დედიკო“ შიშითა და სახარტლით თანგავდა დედაბერს. ადრე ასე არ უხმობდა ტანჩორა, არა კი არ დაავიწყდა — ამ სიტყვება რომელი ღვდა დაივიწყებს. უბრალოდ სხვაგვარად მიმართავდა და ამიტომაც, წაკითხვისას სხეული ებუტძგნებოდა, ალბათ ამ ალერსს იქ, შორეთში მიაგნო შვილმა. დედაბერი ჩუმად, მხოლოდ ტუჩებით იმეორებდა „ჩემო დედიკო!“ და ინგვარი ობოლი კვნეა ჩაესმოდა, ამგვარი ტკივილი, რომ გული უკვდებოდა, მაღულად ტიროდა. თავსვე უმაღლავდა ტირილია მიზნა, აღარც მახსოვს რაზე ვღვრი ცრემლსო. საკუთარ თავთან გამოტყდომა შიშთან შეგუებას ნიშნავდა, ეს კი უარვარი იყო, მაშინ გაუწყდებოდა ინედია ბაფი. დედაბერს სჯეროდა, იმედი ღმერთსგანაა მოვლენილი, იმედი მორცხვია, უზაკველი და აეთილი. ეშმაკაეული შიში კი მოსალადე და უხეში — ჰოდა, რად უნდა დაჰყოლოდა ეშმაკისეულს?

დედაბერსაც უცერად უნათლებოდა გული, მაუბუქად, ტუჩია კუთხეებით იმეორებდა იგივე სიტყვებს და მხოლოდ ტანჩორას ლბილი ხმით გამაჰვალუ-ლი ნადველია ჩაესმოდა. შემდეგ ეს სიტყვები უკვე უმისოდ, დედაბრის გარეშე, ტუჩების შეუტოვებლად მეორდებოდა — აწ ტანჩორას ხმით — ახლოს, ცხადლივ და მათლად, თუმცა კი დრო-ვამთან ერთად მკრთალდებოდა, ბოლოს მთლად ილუოდა. მაგრამ დედაბერს მაშინაც მათი ნაზი წადილითა და ძალით ხმობილი ნათელი სიხარული ჰქონდა გულში ჩაღვრილი. იგი ღიდხანა და ნეტარებით საუვედურობდა ხოლმე თავს, რომ ცოდვილივით, უცხო ტანჯვა მიაწერა შვილის ალერსს და საკუთარი სიყრუის გამო იტანჯებოდა.

აბა, სხვას ვიღას უნდა სცოდნოდა, ტანჩორა რომ დებზე ალერსიანი გაი-

ზარდა. დედაბერს არასოდეს დაუჩივლია ვარვარასა თუ ლუსიაზე — ანკა რა ჰქონდა დასაჩივლელი. მაგრამ ტანჩორა მაინც სხვაგვარად უყვარდა. ის მაინც ნაბოლარა იყო, ნებიერა, მის შემდეგ შვილი აღარ გასჩენია — ამიტომაც უფროსებზე მეტად ელოლიავენოდა, შემდეგ კი უჩვეულოდ ცხოვრებას მიუჩვეველი დიდხანს არ იწყვეტდა კალთიდან. ერთთავად ასე იყო: ერთი ძლიერს გაიძართავდა ფეხა — მეორე ჩნდებოდა და დედამაყვანის ეჭიდებოდა, წამოზრდილს კი იშორებდა — აჰა, გაფორმდეს მისი წამბაჯლი, ოღონდ თავ-პირი არ დაიღწო და არ იღნავლო, ამისი ტირილიც მეყოფათ. ტანჩორას არავინ შენაცვლებია, დედას შერჩა, მამულშივე კუდში დაადევდა და ეტიკტიკებოდა: დედილო, დედილო, ან ეს დედილო საიდან მოიგონა? სოფელში არც იცოდნენ ეს სიტყვა, ტანჩორამ თითქოს სხვებისაგან გადაიღო, ან ძილში ჩაესმა ვიღაცას ხმა. მეტე, წამოზრდალი. დანარჩენებივით იარც დედას ემახდა, მაგრამ ხუმრობით ხშირად იხსენებდა ბავშვობას და ანჯღრევდა: „დედილო, დედილო“, დედაბერსაც სიამოვნებდა მისი ანცობა და ყასიდად იშორებდა. ახლა კი ახალი მოიგონა „ჩემო დედიკო!“. „დედილოა“ შემდეგ რაღა აფრთხობდა, ამოდ რად იწამებდა თავს? ჯერ დაფიქრებულიყო.

არც ნაბოლარობა იყო მთავარი. განა ნაბოლარა შვილი არ შეიძლებოდა გულღვარძლიანი გამოსდგომოდა? ზედმეტი ყურადღებისა და სიყვარულის სანაცვლოდ ვინაშო თავ-ბედიც გაწყველინოს, განა იშვიათად ხდება ასე? ტანჩორა ხასიათით ეწყობოდა დედას, თუ ხასიათზე მიდგებოდა — დედის ხასიათი მეტწილად ლუსიას გამოჰყვა — ისიც დედასავე უყარება და ამაყი იყო, წყენას პოლად არავის ამატიებდა. რაე არ ჰქონდა პირზე შემწრალი და თუ გაიბუტებოდა, სამ ღღეს არ მოგხედავდა, გულს ვერაფრით მოუბრუნებდი. ახლა როგორი იყო, ეს კი აღარ იცოდა დედაბერმა, ალბათ მოლბა, მჭრელი ნაწაბურები წააცვდა, ისწავლა ადამიანებთან ურთიერთობა. მძიმე ხასიათით ცხოვრებაც მძიმეა — ნასწავლია, ამდენი უნდა ეამოდეს, ერთი შეხედვით არ ეტყობა, რომ ცხოვრება უჭირდეს, კითხვა კი არ პტრდა დედაბერა. ჰკითხავდა გიპააუხება „კარგად“ — ეგ არაა და ეგ. ყველგან იარ იშორებდნენ, მხოლოდ ვარვარა წუწუნებდა ერთთავად, ერბო-ერაქში უღარდელად და უშფოთველად რომ ეცხოვრა. საწუწუნო მაინც არ ელეოდა. ერთი ასხლი ედგათ შვილებს. მაგრამ ხასიათი სხვადასხვა დაჰყვათ, ვარვარა უკვე ქალიშვილობაში იყო შეაჟული, ლუსია და ბიჭები რომ ატირებდნენ ბოლნე, უბრალო რამეზე სცვიოდა ცრემლი, დოდრიალა იზრდებოდა და დოდრიალა დადგა. ყველა უბედურება მას უნდა დაატყდეს, თვითონაც მუდამ მზადაა თავის შესაშვერად.

ტანჩორა არც ერთ დან არა ჰგავდა, როგორღაც რბილი და მხიარული ადამიანური ხასიათით აწონასწორებდა ღებს. გაბრაზდებოდა და მაშინვე იყიწყებდა, ეწყინებოდა რამე, ზელადვე გულს მოიბრუნებდა. თუ იტირებდა... სწორედ მასზე იყო ნათქვამი: მზე პირს იბანსო. ერთთავად ხალხში ტრიალუადა, მოხუცებთან თუ ახალგაზრდებთან ერთნაირად პოულობდა საერთო ენას. კისკისი და გულ-სხმიერი სატბარი უყვარდა. თავს კი არ პრთობდა — უკელაფროს დროს და ადგილი ეკოდა. ახალგაზრდები იშვიათად თუ იკრიბებოდნენ ტანჩორას გარეშე; შინ თუ შეუოვნდებოდა, გოგოები მოაკითხავდნენ, განა თავის ჭკუაზე ატარებდა — არა, პირიქით, ემისოდ თავყრილობა მოიწყენდა ხოლმე, არავინ იყო, ატორღიალებული ბიჭებისთვის რომ ეპასუხა, თანაც ისე ეპასუხა, სხვებაც გახსნოდან დაბორკილი ენა, ერთიმეორეზე უკეთ

არ შეეძლო, ქალიშვილი იმსიშორეს ცხოვრობდა, მისვლით კი არა. ფიქრითაც ვერ წვდებოდა იქაურობას, მაგრამ ერთი რამ უხადი იყო. შეუძლებელია დედამ ამდენი ხანს გაუიღოს შვილის უნახაობა — თავადვე უნახა, ხალხისა და შვილის წინაშეც უნებრბულია. პოდა, რაღა დედას ამდენი ხნის განშორებაა თუ გაუძლო? განა რაიმე იღონა ტანჩორას სანახევად მოსვლა. თითოც არ გაუტოვებია ანკი რა ახრი ექნებოდა თითქმის ყველაფერში. ძლიერო, ეინშეს მაინც ურჩია. დედაბერს ლუსია არ ადარდებდა, იცოდა, არავის დაეჩაგვრინებოდა, აგრე ადვილად ევრავინ მოერეოდა. ვარვარას, პირიქით. ნებრბული აწყენინებდა, მაგრამ ვარვარა აქვე იყო, გვერდით. ილია ეაცია, არ დაივარგება და მხოლოდ ტანჩორა, ნასალადევი გადაგდებულ ლუსიასათვის, ყველაზე მეტად უტანჯავდა გულს და დღე და ღამ საშველს არ აძლევდა. ჭეჭრუტანიდან მაინც დაენახა, ერთხელ მოერა თვალი, მიხვდებოდა მაინც, რა დაემართა, როგორ ცხოვრობს, იმ გადაკარგულში, უცხო ადამიანებთან, უდედოდ. სახეზე უაიტყვოდ შეიღება ბევრის შეტყობა და მხოლოდ მაშინ მიხვდებოდა დედაბერი ღვთისათვის შეეცდრებინა თავისი ქალიშვილი თუ გახარებოდა. კიდევ იმიტომაც ეწადა სიკვდილია წინ ტანჩორას ხილვა, რომ ამდენი ხნის უნახაობის ცოდვა ნოეზანა აუღლადან. განწმენდილიყო და ნშვიდად, სიხარულითა და სუფთად წარმდგარიყო ღვთის სამსჯავროზე: მე, მონა ღვთისა ანა, უცოდველი გვახელი....

დღეს იწურებოდა უკანასკნელი ვადა: დაბინდებამდე უნდა ჩამოესწრო ტანჩორას.

დედაბერმა ირწმუნა, რომ ქალიშვილი უცილობლად ჩამოვიდოდა, მხოლოდ უნდა მოეთმინა და ხელი არ შეეშალა, რწმენამ იმედით აუვსო გული და ჩათვლიმა — ჯერ ფხიზლად, ყოველი ბგერის მოდარაჯედ თვლემდა, შემდეგ, როგორც ეს ყოველთვის ხდება ხოლმე, მეყსეულად წაერთვა ხსოვნა, ლოგინში ცოცხალი ადამიანის ნაცვლად ცარიელი ტომარა ჩატოვა და სად იყო ამ ხანში, რას აკეთებდა, არავინ უწყის.

ხმებმა მოაბრუნა, ჯერ კიდევ შორეთში ჩაესმა რაღაც ბგერები, იქიდან ვერ გაიგებდი რას ლაპარაკობდნენ. ყველაზე უწინ სმენა დაუბრუნდა დედაბერს, მაგრამ ეს მოუმაგრებელი სმენა მხოლოდ დანაწევრებულ, ყურყურის მსგავს, გაურკვეველ ბგერებს აკავებდა, თითქოს ვიღაც წყალში ყრიდო ქცეხს. უცვე ის აღარ იყო, რაც წინათ, წამიად ველარ ეღვიძებოდა, ახლა მას დრო და ძალა სჭირდებოდა ყოველივე ადამიანურის ხელახლა მოსაყრებად — სმენა, თვალები, მეხსიერება თითქოს ნაწილ-ნაწილ ეშლებოდა ძილში და ყოველი მათგანი თავისი მოვალეობის დავიწყებას ლამობდა.

მან თვალი გაახილა, მაგრამ ვერაფერი გაარჩია: ოთახში ბინდი იდგა, ლამესთან შერწყმული ბინდი. ფანჯრები მხოლოდ გაღმიდან, ქუჩიდან ნათობდნენ და ბინაში შუქი არ აღწევდა. ლუსიას უხეში, განრისხებული ხმა ვიღაცას ეუბნებოდა:

— როგორ არ გრცხვენიათ? დედა სულს დაფავს, ესენი კი მთლად გადაირიენ.

დედაბერს მაშინვე არ შეშინებია, მოესწრო დაენახა მაგიდაზე თავდახრილი მიხეილი, მეორე მხარეს კი ილია იჯდა. მას თითქოს რაღაც უნდოდა ეპასუხა ლუსიასათვის, შეარხა და დედაბერმა უფრო შეიგრძნო, ვიდრე დაინახა, რომ კაცები ჯერ არ გამოფხიზლებულიყვნენ, მისატყუებელ შხამში დარეცია-

ნებული ზუზებივით იავე საამელში დაფათურობდნენ. დედაბრძა ფერხთით ვარვარამ ევნესაა გული ამოაყოლა. ლუსია არ ჩანდა, ხმა მარჯვნიდან მოისმოდა. იქიდან, ახლაც საბატის ქვეშ თაღჩა იდგა.

და ანაზღად შიშმა შეზარა დედაბერი. საწოლზე წამოიწია და იკივლა. ბრძანებით, პასუხი გაეცემია მოთხოვნით იკივლა:

— ტანჩორა!

ვიდრე დედაბერი დაიხრებოდა, ვარვარამ გამოაცხადა:

— დედა გაიღვიძა.

— ტანჩორა! — ევლავ იხმო დედაბერმა და სძენას მისცა ყოველივე, რაც შერჩენოდა — სუნთქვაც კი.

— ჯერ არ ჩამოაულა, დედა, — ოთახში ჩამრთველმა გაიტყაყუნა. თითქოს ხელთათმანი ამოატრიალეს წაღმა პირიდანო, ჩამრთველთან ლუსია იდგა. — ტანჩორა ჯერ არ ჩამოაულა, — გაიმეორა მან. მიხვდა, დედაბერს არაფერი ესმოდა.

ისინი შუქზე სახეს იფარავდნენ და თვალი ჭკუტავდნენ. დედაბერა მოეჩვენა, რომ შვილები ამბართლეს ემაღლავდნენ. ანტომ პრიდებდნენ სახეს და არ დაუჯერა. თავის ქ-ეცინით მიაპყრო თვითთუულს მავედრებელი. მწარე დაბახულობით აღაყვანა მზერა და პული შეეჩუთა. თითქოს ფრიალო აღმართზე აიჭრა და ნაბიჯის წასადგმელად ძალი აღარ დაიტოვა. ტანჩორა არ ჩამოსულა, დედაბერი ამას თავიდანვე, გაღვიძებისთანავე უნდა მიმხედარიყო: ტანჩორას თანდასწრებით სხვა რამეზე ილაპარაკებდნენ. ალში გაეპარა დრო. იგი ისევ იქნევდა თავს, შვილებსა და საყუთარ თვალებს არ უჯერებდა, არც ხმა ამოღება შეეძლო — ბალიშზე განწირული მუდარით, უპოვარი ქალივით ეკახცახებდა თავი, ყელიდან კი არა და არ ეხანებოდა მოწოლილი ტკივილი და სიმწარე, რომ ტანჩორასაგან მონადენი ნათელი შუქი თუნდაც ერთ წვეთს ველარასოდეს შეიგრძნობდა. ფანჯარაში, როგორც უნიდან გაპოხილ სარკეში, ელექტრომუქით განათებული ოთახი არეკლებოდა. მინია იქით კი თავს უმცირესი ლაქაც არ ჩანდა. დედაბერი იდაყვს დაეყრდნო, წინ გადმოიხარა, ლანის გადმოვარდა საწოლიდან და მოუთმენლად, საბრალოდ ეკითხა:

— სად არიან? აად?

პასუხის მოლოდინში გახევდა. თვალები არავის გამოყოფდნენ. მთელ ოთახს ხედავდნენ ფართოდ გახელილნი, რომ პასუხის მომტანი არ გამოჩენილათ.

— რომ ვიცოდეთ ხომ არ დაგამალავდით, — მშვიდად მიუგო ლუსიამ. — დაგვიჯერე, არც ჩვენ ვიცით.

— ღმერთმანი, დედა, არ გვინახავს, — გულზე მიიღო ხელი ვარვარამ. — მე ხომ არ მოგატყუებ, არ გვინახავს.

— მოვა, — ყოჩაღად, თითქმის მხიარულად გამოეხმაურა ილია. მართლაც გაზარებული უყო. ახვამე რომ გადავიდა საუბარი, — დღეს თუ არა, ხვალ ჩამოვა — ჰო.

— გუშინაც ეგრე მეუბნებოდით, მაგრამ სად არი?

— მაგას კი ვერ გეტყვით. ჩამოვა და თვითონ გვიამბობა.

— გუშინაც ეგრე მეუბნებოდით, მაგრამ სად არი? — თითქოს ბოდავით, დაბნეულად გაიმეორა დედაბერმა და საყუთარ ხმა ველარ გაიგონა, რადგანაც პირველად გახშიანებული ეს სიტყვები პასუხისუპოვნელად უკან დაუბ-

რუნდა და თავისით დამნაშავე ექოდ გახშიანდა. რალად უნდოდა კითხვა? რისთვის? ახლა უკვე იცოდა: არა, აღარ ჩამოვა. მისთვის განკუთვნილი დრო ამოიწურა. ცდა აღარ ღირდა. არ ჩამოვიდა. ტანჩორა არ ჩამოვიდა. მაინც ვერ ნახა დედაბერმა.

იგი ბალიშზე გადაეხზო და ატირდა.

— აჰა, — ჩაიცინა ილიამ, — დაიწყო.

— დედიკო! დედიკო! — აფუსფუსდა ვარვარა.

მოულოდნელად დედაბერს რალაც ჩაუწყდა, რალაც გააკდა მოკლე კვნესით, ნახეთქი ბგერა ჯერ არც მიღებულიყო, გუშინდელ ბუბუნად გადაიქცა, ყმაწვილქალობიდან რომ შემორჩენოდა ხსოვნას და ლბილ, ხარების ხარივით უწყვეტ რეკვად გახშიანდა. დედაბერს იპე გაუწია იქით გულმა, რომ წინააღმდეგობის გაწევა არც უფიქრია, თავდაპირველად სულ ახლოს ეჩვენა, თითქოს ორიოდ ნაბიჯიღა რჩებოდა ზარამდე. მერე თანდათან გაშორდა, უფრო და უფრო გაიყოლა, მაგრამ ისევე ნათლად და აუფთად ისმოდა, რათა დედაბერს მისი რწმენა არ დაეკარგა და გზა არ აბნეოდა. ძლივსდა ახსოვდა, წამის წინ რალაც რომ ეტყინა და რალაც დაკარგულს მისტიროდა, ახლა ტკივილი დაუცხრა, მსუბუქი ხალისით მისდევდა ზარის ხმას და ნეტარი აღსასრულის სიახლოვეს შესტიროდა.

დედაბერი ტიროდა, სახეა არ იფარავდა და არც გვერდით მიწყობილ ხელებს არხევდა. ღია თვალებიდან იშვიათი, მუქი ცრემლი იჟურებოდა და ნელა მიგორავდა სახეზე. გახევებული ზუმად ტიროდა, ხმა არ დასცდენია. მხოლოდ ცრემლი მოგორავდა. სახეზე სიმშვიდე ეფინა და ეს ცრემლიანი სიმშვიდე თითქოს დასცინოდა ყველას და ყველაფერს. ეს ყოველივე იმდენად არაბუნებრივი და საშინელი შესახედავი იყო, რომ დედის გვერდით მჯდარი ვარვარა შეძრწუნდა, რალაცას მიხვდა, დედაბერა გადაეხზო და მთელი ძალით შეანჯღრია. ლუსიამაც მოიბრინა, დების ზურგს უკნიდან ილიამ გადმოიხედა, მიხეილმა წამოიწია და ისევ დაჯდა.

დედაბერმა დაეცნესა. ლუსიამ, როგორც იქნა დედას ააგლიჯა ვარვარა და მოხუცმა, თითქოს შევედრა, ხელი არ მახლოთო, კედლისკენ იბრუნა პირი. გონდაკარგული ვარვარა დედისაგან რომ მოერიდებინა ლუსია, საწოლზე ჩანოჯდა. დედაბერი გაერიდა, გვერდზე მიიწია და ხელისგულით შეიწმინდა მღუღარე ცრემლები.

— ასე ნუ გვაშინებ, დედა, — უთხრა ილიამ და მაგიდასთან დაბრუნდა, — ავი გითხარით, დღეს თუ არა, ხვალ ჩამოვა. დაველოდოთ.

— ეინ იცის, რატომ დაიგვიანა, — სიტყვა შეაშველა ლუსიამ და შუბლი შეიკმუხნა. თავადაც არ სჯეროდა ნათქვამი, მაგრამ დედის დასამშვიდებლად ამბობდა, — მართლაც დაველოდოთ, რა გვეჩქარება?

დედაბერს ესმოდა და არც ესმოდა, ხვდებოდა, მის გასამხნეველად რომ ამბობდნენ ამ სიტყვებს, იმასაც არკვევდა. მისი ხმა იყო, მხოლოდ სიტყვების აზრი აღარ აღწევდა გონებაამდე. სმენა არ აკავებდა, იგი იწვა, დაბინდული მზერით იცქირებოდა, მიგნით აალებული სიყარიელე სწვავდა და ახსოვდა — აქ მხოლოდღა იმისთვის იწვა, რომ ჯერ არ მომცვდარიყო. სხვა არაფერი აკავებდა. ახლა იმასდა ელოდა, როდის გაუნათლდებოდა სული. აქამდე მოლოდინითა და იმედით რომ სულდგმულობდა და დანაკარგს შეგუებული, ტანჯვისა და სიბრალულისაგან განწმენდილი მხოლოდ სული შერჩებოდა.

არა, წამიერი განთავისუფლება არ უნდა. რატომ? — მანასაშვილი თავისი ძირ-
ხედებითა, რა ხანია მოადგა ზუგდიდს.

შვილები ლაპარაკობდნენ და ლაპარაკობდნენ, უკონათ. დედა გულზე
მოეშვა და ჩვენი მათქვამმა შეუშატუტა. ტყუილია, დედა, — მანასაშვილი.
მაგრამ ტანჩოკას ხშირი მსვენები ჯერ-ჯეროდ უბიძგებდნენ და მანასაშვილით
მართლობიდან აბრუნებდა. უკონად ელექტროშუქმა გააღო და მანასაშვილი
შუქი გააბნებდა. რომელშიც ტანჩოკა ვერ ჩაეჭია და რომელსაც უნდა ველო-
რავითარი ელექტრობა ვერ მოაბრუნებდა. ისევ გაკოცხლდა ტანჩოკი, უნდა
იოტიმოდეო. ტყუილია, ატანს ალბერ შევალთ და ვასოფხიზლდა. ქვე შე-
ღებო დაინახა: აი ლუბია, ვასოფხი, მიხეილი... ტანჩოკა არ იყო მხოლოდ.
არც შეიძლება ყოფილიყო.

— რაღაც დაეძარბა, — თათქოს ვიღაცის ხათქვამი გაიძეოთ, დედაბერა
და გამეორებიათანავე შეკოთა, — რაღაც დაეძარბა, ხმაშიღა და დაეძინებოთ
წარმოთქვა ისევ. — მიმალავთ, მატყუებთ, ვიცო.

— რას ამბობ, დედა? — გაოცებული და მაწუწუნი ლუბია საწოლში
წამოდგა. — რას ამბობ? რას გიძალავთ? რა მატყუებთ?

— მატყუებთ, მატყუებთ. — დედაბერმა წამოდგომა დააბარა, აწოილდა,
თავსაფარო ჩამოუცურდა და მოკლე ნეჩხური ქალაქი თმა გამოუჩნდა. — ვიცო,
მატყუებთ, რაღაცას მიმალავთ, ხვალ და ხვალს, დაგუინით, ხვალ ალბერ იქ-
ნება. გგონიათ სულ გამოვიჩრბეტდი და აღარაფერი გესმის? — თმაცაწიწალ-
და აახეკანკალებული მართლაც პავდა შეწლილ. — რაღაც რა არ შემთი-
ვეოდა ტანჩოკა პრველი ჩამოფრინდებოდა ჩემთან. მე კი პავწევით ველო-
ბები, ველოდები.

— თუ შეიძლება დაწყნარდი, დედა, — უხვირ- ლუბიამ. — ფეკრობ რას
ამბობ? ვინ მატყუებთ? გესმის? არც ჩვენ ვიცით, ალბერ, შენი ტანჩოკა.

ლუბიას მბრძანებლურმა ხმამ ყველა გააჩევა და დედაბერიც შეჩერდა.
დამფრთხალი დადგმდა, დიად დარჩენილი ტუჩები ატანდა. ვერა და ვერ
მოშტყა.

— რაზე რა მოგვლოდა, იმ ქვეყნად აიკვდილი არ მელოდება, — საბუ-
ლოდ ამოიკვნესა მან.

— არ ვიცით, მოუვიდა რაზე, თუ არა.

დედაბერმა ხელები გამოაცალა ახელსა და იაფე საწოლში, თავის სარე-
ცელში ჩაესვენა. მისხლო სწრაფად ეწრიტებოდა და საბუც თვალდათვალ
გაუფრთხდა. სიჭუმეში გარევევით იამოდა ვარჯაა. მიამე, ქმეტირა სუნთ-
ქა.

— იქ, აადაც ტანჩოკა ცხოვრობს, ომი იყო?

დედაბერმა შიშით გახედა ლუბიას და მოაბუზა.

— კიევში? კიევი გერმანელებმა აიღეს, ჰო, ზუგდიდ მახოცა.

— მეც მაგას ვამბობ, — მწარე სინანულით თავი დაუქნია დედაბერმა
და აქვითინდა. — ეგრე როგორ შეიძლება? ხალხს რატო არ კითხა? განა
მე წავიდოდი? ვის დაემსგავსა ასეთი თავიანთაქვამა? მე კი ველოდი, იქიდან
როგორ გამოაღწევს ახლა? თვითონ გაყო ყულფში თავი, ხომ უნდა ეფიქრა?

— მოიცა, დედა, მოიცა, — შეაწყვეტირა ილიამ, — მთვარიდან ხომ არ
სამოვარდი, ომი რა ხანია დამთავრდა.

— სულ ერთია.

ვიცი, ჯობრზე ვამიყვით, ჩემი გამწარება უნდოდა. სიკვდილია წინ მაინც განამწარა, მშვიდად არ გამოშვა, იმიტომ მიაბრუნა ტანჯორა, რომ კიდევ ერთხელ მოეკლა ჩემთვის გულა.

— სიამულელებს ნუ იგონებ, დედა, ჯობრით რატომ უნდა ვამიყვითებინა. რას ამბობ?

— ჯობრით, ჯობრით, — დედაბერს ატული შეეხუთა. *ქვეყნებში მჭიდროდ იტაცა და ფრთხილად, დასამშვიდებლად შეირხა, — გგონხმ, მამყსსა მჭგინახავ?* არ გავხუმდები, აღარავისი ნეშინია. რა ხანია, ჩემს სიკვდილს ნატრობს. დავბერდი და ხელს ვუშლი. რაღაში გამოვადგები? ახლა მოსავლელი ვარ, ჰოდა ეგეც ბრახობს, რას არ იგონებს.

— გონს მოდი დედა. რას მიედ-მოედები? — მიხეილმა დედის საწოლისკენ წადგა ნაბიჯი.

ვარვარამ იკივლა:

— არ მიეკარო! დედას არ მიეკარო! უყურე ერთი ამას! ვინ მოგცა მაგდენის უფლება?

— მივედ-მოვედები? — გამომწვევად იკავლა დედაბერმა და დადუმდა, თითქოს საჩხუბრად იწვევდა მიხეილს. იგი კი შუა ოთახში იდგა და ქანაობდა, — არ გახსოვს, როგორ დამაფეთე?

— არაფერიც არ მახსოვს.

— ეგეთი მთვრალი მოვიდა ერთხელ, მკითხა: „წევხარ, დედა?“, „ვწევამეთქი, სიკვდილს ველოდები“, ჰოდა იცით, რას მეუბნება? „ახლა ჩვენთან სამოც წლამდე ცოცხლობენ, მეტის უფლება აღარა აქვთო“, „როგორ თუ არა აქვთ, ყოველთვის იქამდე ცოცხლობდა ადამიანი. ვიდრე სიკვდილი არ მიუკაცუნებდა, დროზე აღრე არავინ გაუგდიათ“, — „ცოცხლობდნენ, ახლა კი აღარ შეიძლება, მე თვითონ წაფიკითხე გაზეთშიო“.

— ეგ სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობაა ჩვენს ქვეყანაში, — მიხვდა ლუსია, — აღბათ ამაზე გეუბნებოდა.

— როგორ?

— როგორ... ყველა იმდენს ცოცხლობს, რამდენიც შეუძლია. ერთი მეტს, მეორე ნაკლებს და როცა დაიანგარიშეს, აღმოჩნდა, რომ ჩვენს ქვეყანაში ადამიანი საშუალოდ სამოც წელს ცოცხლობს. აი, შენ, მაგალითად, ოთხმოცდაათ წელს იცოცხლებ...

— რად მინდა შენი ოთხმოცდაათი წელი, რაში მჭირდება?

— მაგალითისათვის ვამბობ. შენ ოთხმოცდაათს იცოცხლებ, ვილაც სხვა კი ორმოცდაათს. ორივეზე სამოცი გამოვა, ჩვენ კი ახლა მთელს ქვეყანაში საშუალოდ სამოცი წელი გამოგვდის, გესმის?

— რატომ არ უნდა შესმოღეს? ეგზე რო ეთქვა, აღარ შევშინდებოდი. იქით მირთნება დავაფეთე. მოვეუყევი, იმანაც თითქოს არ დამიჯერა. „ნუ იგონებ, ბებერო“, მაგრამ ვხედავ, შეშინდა. შეშინდა, შეშინდა — რა დასამალია. ვსხედვართ და ვკანკალებთ. მერე ვუთხარი, „შენ ფეხზე დგეხარ, ეგორკასთან მიდო, ისიც ეთხულობს გაზეთება, იქნებ გაუგია რამე“. წავიდა, ეგორკასაგან ჩერიანად რას გააგებ? მირთნებას ეუბნება: თუ იცი, მაღაზიაში არეცხის საპონი რომ აღარ იშოვებო? ვიცით. ჰოდა, ახლა გვექნება, ახლა ეგეთი ბრახება გამოსცეს, დედაბრები სარეცხის საპნად უნდა გამოხარშონ, თორემ დიასახლისება სარეცხი ველარ გაურეცხიათო. მირთნება ეუბნება:

„შენ ჩემზე კბილებს ნუ იღესავ, შენი ნატალია კი არა ვარ, მოგითმინო“, ეგორკამ უფრო დააშინა: „არ გჯერა და იყავი, აბა, ნახავ, ეგრე თუ არ იქნება, აგე მეზობელ სოფელში გუშინ ყველა დედაბერი სარეცხია სამწუხრად გადაადნეს, ამ დღეებში აქაც მოვლენო“. პო. ამას ხო უნდა მოგონება? ისიც კარგი თხერია — სიმართლე ეთქვა. ასე ცოცხალ-მკვდარი დაგვტოვეს ეს უბედურები. მარონიხა შიშით სახლშიც აღარ მიდიოდა. ვის მოეწონება საწურზე ხტუნვა? მონათლულები ვართ, ღმერთი გვწამა.

— რას სჩადიან, რას სჩადიან? — ხელი ხელს შემოჰკრა ვარვარამ და ასლუკუნდა, — გაგონილა, ასე გაამწარო დედა? რა ხდება ამ ქვეყნად?

— ეგეთი რამე როდის გითხარი? — მიხეილი შეირბა და ხელისგულით შეიწმინდა ოფლიანი სახე, იგი ფეხზე ილიეს იდგა, ეტყობოდა, გული ერეოდა. გუშინ და დღეს შესამთლი არაყი ყელში აწვებოდა, იგი წამებით ყლაპავდა ნერწყვს, გულზე-დვას იკავებდა. წელში მოხრილიყო, ფეხს ინაცვლებდა წარამარა, უკვე აღარც ახსოვდა, თავად გამოშორდა მაგიდას, ზედ დაყრდნობა რომ შეიძლებოდა, თუ სხვებმა, ძალით გამოიყვანეს შუა ოთახში. დედა მოჩვენებასაგით ხან გამოჩნდებოდა, ხან ისევ ბინდი ეფარებოდა, თმაგაშლილი არასოდეს ენახა და ახლა ეშინოდა მისი, მაგრამ საკმარისი იყო დებისათვის შეეხედა, დამფრთხალი ოთახი ისევ ერთ ადგილზე ხევდებოდა, დედაც დამჯერედ ეშვებოდა საწოლში, მაგრამ შემდეგ ისევ სადღაც ქრებოდა, მაღლა-მაღლა მიფრინავდა, ოთახი კი ჭრიალ-ჭრიალით იწყებდა ბრუნვას. დედაბრის ნაამბობმა იგი გააოცა. მიხეილმა ვარვარას შეხედა, ოთახია ბრუნვა შეაჩერა და იკითხა: — ეგეთი რამე როდის გითხარი, დედა?

— აღარც ახსოვს, არაფერი ახსოვს. თქვა და დაავიწყდა, მე კი ლამის ჭკუიდან შევიშალე.

— მართლა არ ახსოვს.

— ეს რას ჰგავს, მიხეილ. — ლუსიამ ალერსიანად, შეპარვით დაუწყო და უცებ აუწია ხმას, — რაა ჰგავს? გეკითხები. შენ ქცევას რა შეიძლება დაერქვას? ეს ხომ თავის აგდებაა და მეტი არაფერი. უარესიც, ვინ მოგცა უფლება, ასე დასცინო დედას? ვინ? შენც რატომ იტანდი, დედა? რაო, დამცველი არავინ გყავს, მარტო ეგ არის შენი შვილი? მე ქალაქში ვცხოვრობ. არაფერი ვიცი და მგონია აქ ყველაფერი კარგადაა.

— მოუსმინე, დედა, მოუსმინე, — შეანჯღრია ვარვარამ, — ჩვენი ლუსია სიმართლეს ამბობს, ხედავ, როგორ გათავზედებულა? მავას ჰგონია, ჭკუაზე ვერავინ მოიყვანა, შენიათანებისათვის უაწაფლებიათ ჭკუა.

— ბოლოს და ბოლოს შეგეილო ვინმესთვის დაგებარებინა შენი ამბავი. მგონი, გეკუთვნოდა მშვიდი სუბერე, შენს გამაზნარავებას არავის ვაპატოებთ, განაყუთრებით კი შვილა. თუ არ სურს რომ მათთან იცხოვრო, არც არის საჭირო — რაწეს ვიღონებთ.

— რატომაც არა?! — უცებ აპილპილდა მიხეილი. — იქნებ რომელიმე თქვენგანმა წაიყვანოთ, ჰა? მიდიოთ, წაიყვანეთ, წამყვანა ეროხას ვაჩუქებ. აბა? — მან ზელი დედაბრისაგან გაიშვირა და ბოროტად, მწარედ ჩაიციხა. — რას უდგებართ? ეროხას ვაღლევი. აბა, ყველაზე მეტად ვის უყვარს დედა? წაიყვანეთ. რაა ფიქრობთ. მე ღვთის პირიდან გავარდნილი ვარ. თქვენ კი კარგები. ჰოდა, რომელი სჯობია? — მან ლუსიასგან გადადგა ნაბიჯი. — შენ? შენ წაიყვან დედას? შენ მოღველი? ეროხას კი გაყიდი — ფული შეგრჩება.

დედას ბევრი ხარჯი არ აჭირდება, ხომ ხედავ, თითქმის არაფერს ჭამს, ერთი ძროხა თავზეც გადაუვა. მას შენი სამართლიანობა სჭირდება. შენ ხომ ყველაზე სამართლიანი ხარ. ყველაფერი იცი, იცი, როგორ უნდა მოუძრაო დედას, რომ კარგად იგრძნოს თავი, სუფთა ზეწრებსაც დაუფენ ხოლმე, ლექციებს წაუკითხავ. მალე წაიყვანე. ემანდ ვინმემ არ მოგააწროს — რას უნდა გეცნოდეს?

— ჭკუიდან შეიშალე? — სული შეეხუთა ლუსიას, — საიდანაც ნადია გამოხტა და მიხვილს ეცა.

— ახლაც შეწყვიტე, შეწყვიტე! ნუ მარცხვენ, წადი აქედან. მიხვილმა ხელი ჰკრა:

— შენლა გვაკლდი.

— ნუ უსმენთ, ნუ უსმენთ! — ყვიროდა ნადია, — არ დაუჯეროთ!

მიხვილმა ისევ ჩაიციხა და იგრძნო, როგორ გამოცოცხლდა მტანჯველი პაჩუსი, სიხარულით დაიღმუვლა და საცეცხოდ შეიმართა.

— ცხადია, შევიშალე, დედა გიყვანს ხომ ვერ უცხოვრებს. არც შენ წაიყვან? — მხიარულად ჰკითხა ვარვარას, — ძროხაც დაგჭირდება, შენს ოჯახში არ მოიწყენა. გულაც არხეინად ექნება, ქალიშვილთნ არ ჯობია ყოფნა, ქალიშვილი არ დათვრება, არ გაწყენიებს. აბა? დამთანხმდი, დამთანხმდი რას დუმხარ?

— ადგილი სადა გვაქვს? — დაიბნა ვარვარა, — სონია ისევ ბავშვს ელოდება, წავიყვანდი, მაგრამ...

— ადგილი არა მაქვსო? ძროხის დააყენებელი ადგილი არა გაქვს?

— არა, ძროხის ადგილი მაქვს, ბოსელში.

— ძროხისათვის ადგილი აქვს, დედისათვის კი არა. დედამ ბოსელში ვერ მოათავსებს, აგე, — მან ლუსიაზე მიუთითა, — ხუთი ან ათი წლის შემდეგ ჩამოვა და აღშფოთდება, როგორ გაბედეთო, მეც ბანს მივცემ. არც მე დავუშვებ, რომ დედაჩემი ბოსელში უცხოვრობდეს, მეც მინდა ადამიანური პირობები ჰქონდეს, — იგი ილიას მიუბრუნდა, — შენ რალას ფიქრობ, ილია? იქნებ წაგეყვანა? შენს დედაკაცს ჩაუყვანე, მოუვლის, თორემ, შენ სულ მუშაობ და მუშაობ, გამოყრუვდა საცოდავი, ალერსიანი სიტყვაც ვერავისთვის უთქვამა. დედას კი, თავად ხედავ, ბევრი ლაპარაკი არ უყვარს, გამოადგება, დაისვენებს კიდევ.

— მთვრალი ხარ, — განერვიულდა ილია, — არც გესმის რაა აკეთებ — ჰო.

— ნუთუ ვერ ხვდები, ახლა დედის ადგილიდან დაივრა არ შეიძლება! — იყვირა ლუსიამ:

— მაშასადამე, არც ერთს არ გინდათ, არა? — მიხვილი ადგილზე შემოტრიალდა და შეშლილი მზერა მოავლო და-ძმას, — არც ერთს, არც ძროხა გჭირდებათ. მაშინ აქნებ ძროხის გარეშე წაიყვანოთ? მაინც არ გინდათ? გასაგებია, — მან ჰაერი დაიგროვა ფილტვებში და წაისისინა, — ჰოდა, გაეთრიეთ აქედან... ჩემი სალანძღავი სიტყვა აღარ გავიგონო, ნუ მიყეფთ. შენ კი, დედა, დაწეჭი და დაიბინე, იწეჭი, სადაც წევხარ. აქ უფრო უყვარხარ შვილებს.

იგი კარს ეცა.

მძიმედ დაცემულ, დაძაბულ და მწარე ღუმელში დედაბერმა ამოიკვნესა:

— ღმერთო, გამიშვი, წავალ, მომივლინე სიკვდილი, მზად ვარ წავე.

მიხეილი აბანოში შეეკრდა, აცახცახებული ხელით გამოიღო ღუმელი-დან ბოთლი, საქათმეში ჭიქა მოიძია, ზემოდან თითი დააჭირა და ჩამოასხა, ვიდრე არაყი არ დაიღვარა. მერე გაპაპინებული ჭიქიდან ნახევარი არაყი იატაკზე მოაქცია, ერთი ამოსუნთქვით გადაკრა და ილიას საწოლს გადაემხო.

10

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იმავე ღამეს, დაუხანებლად, დედაბერმა სიკვდილი განიზრახა.

ამ ქვეყნად ყველა ლოდინი ამოეწურა, სიკვდილია რჩებოდა მხოლოდ. ღვთის მადლით, შვილებიც აქ ჰყავდა, ბარემ ადამიანურად დაასაფლავებდნენ და გააცილებდნენ, მერე ხელმეორედ რომ არ დაჰჭირებოდათ ამ საზრუნავთან მობრუნება. მიხეილს კიდევ მოუწევდა დეპეშის გაგზავნა და ტანჩორაც ჩამოვა. დედაბერმა უკვე უმტკივნეულოდ გაიხსენა შვილი — შეგუბოდა უნახაობას. ამ ლოდინმა შეაყავა, თორემ რახანია დავიწყებული ექნებოდა საკუთარი არსებობა — და განთავისუფლებული, ხსოვნამიმქრალი მიევიწიებოდა უფალს. ტანჩორას ჩამოსვლით ეგებ უფრო სუფთა და ნათელი სიკვდილიც ღირსებოდა, ამია იმედად იცდიდა, მაგრამ ახლა გვიანია სულის ფორიაქი, ფორიაქი კი არა, მონანიებაა საჭირო და ამაღლება.

დედაბერი საწოლში იწვა და შინაურების ჩაჩუმებას ელოდა, კარგად იცოდა, მფრთხალი იყო სიკვდილი და ხმაურს ერიდებოდა. იმ საღამოს ადრინად დაწვნენ, მაგრამ ძილი ყველას გაკრთომოდა — ლოგინში წრიალებდნენ და ოხრავდნენ, არც ისე იოლი იყო ამ სიმწარის დავიწყება — ელექტროჩამრთველი ხომ არ ედგათ, ღილაკზე თითის დაჭერით აენტოთ და ჩაებნელებინათ ხსოვნა. მხოლოდ ნინკამ დაიძინა დაწოლისთანავე, თუმცა ისიც რატომღაც პირს აწკლავებდა — კამფეტი ჩარჩა. თუ იმდენი ჭამა, რომ ენა სასაზე ეწებებოდა.

დედაბერს ბევრჯერ უფიქრია სიკვდილზე და საკუთარი თავითაც იცნობდა. ამ ბოლო წლებში დამეგობრდნენ კიდევ, ზშირად ეააუბრებოდა, სიკვდილი კი, ადამე მის ფერხთით მოვალაუბებული, ზურჩულით მოთხრობილ გულია ხვაშიადს ისმენდა და თანაგრძნობით ოხრავდა. იმხანად შეთანხმდნენ, რომ ღამით წაიყვანდა. დედაბერი ჯერ სხვებივით, უშიშრად დაიძინებდა, სიკვდილი კი ჩუმად მიეახლებოდა. ამქვეყნიურ ხანმოკლე ძილს ახსნიდა და მარადიულ სიმშვიდეს უბოძებდა.

სიცრუეა, თითქოს ყველას ერთიდაიგივე სიკვდილი ევლინებოდეს — ჩონჩხადქცეული, მხარზეცელგადებული ბოროტი დედაბერი. ეს ზღაპრები ბავშვებისა და ბრიყვების დასაშინებლადაა მოგონილი. დედაბერს სწამდა, რომ ყველა ადამიანს საკუთარი სიკვდილი გაჩენის დღიდან თან დაჰყვებოდა, ტყუპისცალივით ჰგავდა მას და მზისპირზე ერთად მოსულნი, ერთადვე ჩავიდოდნენ სამარეში: წლებით მომლოდინე სიკვდილი ალერსით მიიღებდა თავის ცალს და აწ აღარავის დაანებებდა. როგორც ცხოვრებაუნახავი, ხვალისდელი დღის გამოუცნობი შიშით ალაღბედზე მოფათურე ადამიანი იბადება ერთხელ, სიკვდილი მხოლოდ ერთხელ კვდება და გამოუცდელივით, ხანდისხან, ტანჯვითა და წამებით აფრთხობს ხოლმე მიმავალ სულს.

თუმცა კი დედაბერმა გულისგულში იცოდა, რომ საკუთარი სიკვდილი არ გააწვალებდა. იმდენ ხანს უცქერდნენ სხვის სიცოცხლესა თუ სიკვდილს, ერთ-

მანუთის სატანჯველად აღარც ძალია შერჩენილათ და აღარც სურვილი. დედ-
ბერი ნებასად დაყვებოდა, ის კი, მეორე, დიდი ხნის ღოდან არ დაამადლიდა,
მიუხედავად, ეს ყოველივე მის უნებლოდ რომ მოხდა, სიკვდილი კი არ
გაუბოდა, უბრალოდ, შიში არ ჰქონდა მისი — ყმაწვილქალობაში საკუთარი
სიბუღელის განი. იგდებდა აბუჩად, ბურჟ და მერე კი მუდმივად და
სირცხვილიაგან ხსნად ებაებოდა. და თუ დრომდე არ უმხმარებოდა, მაშინ
გაუგდია და არც კაზე გამოკიდებდა, აპირებდა — კოცხლობდა, ვიდრე შეეძ-
ლო. ახლა კი ხმობას დრომაც მოაწია.

დედაბერს მხოლოდ ის ვერ აეხსნა, რად კვდებოდნენ პატარები. იმაზე დიდ
ცოდვად არაფერი ეკუთლებოდა, როცა მშობლები მიწას აბატებდნენ შვილს და
ეს ცოდვა, მზად იყო, ღმერთისათვის დაებრალებინა. პატარას სიკვდილიც პა-
ტარა და ჩუჩუტა ჰყავს, გაეთამაშება, შეშთხვევით შეეჩება და, თავადაც ვერ
ხვდება, რა ჩადინა. ღმერთი კი, ღმერთი სად იყო ამ დროს? ცოდვაა, დიდი
ცოდვა, როცა ახლადდაბადებული ბავშვი, ჯერ რომ ვერ გარკვეულა რა ჭირს,
რად ხედავს და რად შიამ, უდანაშაულოდ ისევე უკუნში უნდა შთაინთქას, თუ
არა და, რად ატყუებდნენ, — რად გააჩინეს? რად აჩვენეს მზის შუქი და აღა-
ნიანური შეგზინებები მიანიჭეს?

თავად ხუთი შვილი დაასაფლავა და გვერდიგვერდ ჩააწვინა მიწაში, ცალ-
ცალკე რომ არ მოწყენოდათ, ოთხი ავადმყოფობდა მაინც, მეხუთე კი, ბიჭუ-
ნა, სულ უმიზეზოდ გამოეცალა ხელიდან, საღამოს მხიარულად ჭყლოპინებდა,
მწვრილად დაიბინა, შუალამისას აი იკივლა და დედა გამოადვიდა. მან აკენადან
ამოიყვანა, ეგონა მოშიფდაო, იუბუ მისცა და თვითონაც ჩასთვლიმა. იგრძნო,
როგორ მოწყდა ბავშვი ძუძუს, ეროხანს კიდევ იჭდა, დაძინებას აცდიდა და
როცა წამოდგომა დააპირა, თითქოს ვიღაცამ უბოძგაო: სიცივემ გაუყინა ხელე-
ბი. გონს რომ მოეგო, გვიანლა იყო. ეგონა ბავშვი იუბუს ითხოვდა, მია კი
თუ რამე ხელში აცვანა და დედის მკერდზე სიკვდილი ეწადა. რისთვის, რა ცოდ-
ვებისათვის? ან რა ცოდვა უნდა ჰქონოდა, სიარული არ იცოდა და მხოლოდ
უყურებდა, სხვები როგორ დადიოდნენ, ლაპარაკი არ იცოდა და მხოლოდ
აღერსიანი თუ გამწყრალი ხმები ჩაესმოდა, ჭამა და ძილი იცოდა მხოლოდ,
ეგ იყო და ეგ, ისიც აქ, თავიანი ნებით არ უსწავლია, უფრო აღრე მიაცა ვილა-
ცამ, როცა სხვისი სურვილითა და ლოცვით იმართებოდა ადამიანურ ღივად.

დედაბერი განა პირველად ინუგეშებდა თავს: ღმერთმა მომცა და ღმერთ-
მაცე წამართვაო, მაგრამ ამჯერად ეს ანდაზაც არ შეელოდა. განა შეიძლებოდა
იმის წაყვანა, რასაც ჯერ გარკვევაც არ აცალე, მხოლოდ დაბირდი და შორი-
დან დაანახე? უფრო მეტიც — ფეხგამართული, ახლადთვალგახელილი პატარა
უკვე ხვდება, რომ იგი არსებობს, ფართოდ აჭყეტს თვალებს, რათა მეტი შეიგ-
რძნოს და გაიგოს, გაიზარდოს, ვილაც უბილავი კი ჯერ მოუმაგრებელ ფესვებს
წყვეტა და ფერხითი იგდებს, ცოდვაა, დიდი ცოდვა.

დანარჩენი სამი ვერც დამარხა დედაბერმა. ომმა წაართვა, მათი სიკვდი-
ლისა და საფლავია უნახობა სხვაგვარი სატანჯველით უწყურავდა გულს: ერთ-
თავად ეგონა, რომ სადღაც თვალი ვერ მიაღწევნა და დაკარგა, ახლაც არ ესმო-
და, რა უნდა გაეკეთებინა მათ შესანარჩუნებლად, მაგრამ ალბათ რაღაც უნდა
ეღონა და არა გულზელდაკრეფილი მჯდარიყო და ღვთის წყალობას დალოდე-
ბოდა. პოდა, მაიღო კიდევ — სამი შავი ქაღალდი, მხიარული, სიკოცხლით

საესე ბიჭები წავიდნენ, რაღა ბაჭებო, ეცემა უთქმოდათ უკვე და სამი ქალაღიღა დარჩა.

ჰო, იმევეყნად ბევრი ეგულებოდა მიახედი და არც გამტკიცებდნენ აკლდა. შვილებია გარდა იქ დედა, მამა, და-ძმები დახვდებოდნენ. მამისეული დიდი ოჯახიდან ხომ მხოლოდ თერთონ შეყოვნდა მზამხრამუნსეულისკენელი ამაც შარშანწინ გარდაეცვალა. ომის დროს იქნავე წავიდა მზამხრამუნსეული, თუმცა კი იმ წყევლი წლებისათვის უჩვეულო, საკუთარმა სიკვდილმა უწია: ჯარში გაიწვიეს, აგულ გახდა და ველარ გადაიტანა, მაღლი ეწია, შინ მთაწროს დებრუნება, ზაფხული იდგა მაშინ.

დედაბერმა ბერიცაცის სიკვდილი ბედისწერადავით მიიღო — უგ იყო და ეგ. უმისოდ რაზანია მიჩვეოდა ოჯახია გაძლოდა, არც ურთოდ ცხოვრობდნენ, უარესიც ხდება ხოლმე, მაგრამ ვერც კარგს ეტყოდი. არა, ქმარი არ სვამდა, ეგებ ჯობდა კიდევ დაეღია. ადამიანურ უხიავობასაც ეოთხა მოდებულის ქაფივით მოქაფვა სჭირდება და არაყი, ზონა და წონა თუ იცი, ბევრის საშველია: დალევ, იმღერებ, აგოყებ და გალღვები, იავე განაგრძობ ზარშვას. ქმარი კი ამ უხიავობას თვეობით იგროვებდა გულში და მერე დედაბერზე ანთხევდა. ერთთავად ჯაჯლანებდა, ვერაფრით ასიამოვნებდი. დედაბერს უკვირდა კიდევ, როგორ ჰყოფნიდა მოთმინება, წარამარა შენიშვნები აეტანა. ქმარი იჯაჯლანებდა, იჯაჯლანებდა და დადუმდებოდა, მერე თვეობით აღარ იღებდა ხმას. ღვთის მაღლით, შინ იშვიათად იყო, ხან სანადიროდ მიდიოდა, ხან გამო-მუშავებაზე, ომის დაწყებამდე კი მერემედ იდგა.

ბერიცაცის სიკვდილმა დედაბერი ყველაზე მეტად იმით გააოცა, რომ ომში იყო, სადაც სიკვდილი უკვე მკვლელობად ქცეულიყო და მაინც შინ მობრუნება შეიძლო, ოჯახურ სინშვიდესა და სიმყუდროვეში მიაბარა სული უფალს. დედაბერს ეს ფარულ ნიშნად ეჩვენა და წამსვე შეურიგდა ქმარს: „ღმერთო, მოგვიტევე ჩვენი შეცოდებანი...“ — ბერიცაცის აღსრულებისთანავე დადგა ლოცვად, არ უთქვამს, „მისი შეცოდებანი“, თავადაც შეეზიარა. და იმ წუთიდან მართალი იყო მისი ცრენლი თუ გლოვა. აკი მისი შვილების მამა იყო, მკვდრების, მოკლულების თუ ცოცხლებისა. ჰო, მისასვლელიც ბევრი ეგულებოდა და არც დამტირებელი აკლდა.

მიაყურადა. სადღაც ფანჯრების მიღმა ოწინარზე სათლი რაწყუნებდა, სახლში ტალღა-ტალღა იფრქვეოდა ადამიანთა ფშვინვა, მაგრამ ეძინათ თუ ფხიზლობდნენ, ვერ გაარკვევდი. არა, ჯერ აღრეა, მოცდა სჯობს.

დედაბერმა კარგად უწყოდა, როგორ მოკვდებოდა, ისე კარგად, თითქოს არაერთხელ გამოეცადოს. აი, საქმეც ეგ იყო, გამოუცდელად შეიგრძნობდა, ცხადლივ და თვალნათლივ ხედავდა ყოველივეს. ეგებ აღსასრულის მიახლოებისას ადამიანს საკუთარი სიციცხლის უკანასკნელ ზღვრამდე თვალის მიდევნების უნარსაც ანიჭება უფალი. აკი ყმაწვილობაში დასაწყისზე უამბობდნენ ხოლმე, ცხადია, უსამართლობა იქნებოდა, აღსასრულის შეუტყობლად წასვლა.

დედაბერი ჩვეულებისამებრ დაიძინებდა, ოღონდ უფრო ფხიზლად, ხსოვნაწაფრთმევლად — თითქოს კიბით დაეშვებოდა თავქვე და ყოველი საფეხურის ჩათაფებისას დარჩენილის მოსახილველად შედგებოდა. მერე, ცუდლიაძილში, როცა უკვე ყვითელი თივით მოფენილ მიწაზე ფეხს დააბიჯებდა, მის შესახვედრად მოპირდაპირე კიბეზე მისივე მსგავსი დედაბერი დაეშვებოდა და ხე-

ლებს გამოუწვდიდა. დღემდე განუცდელი შიშითა და სიბარულით დამუნჯებული დედაბერი ტუტუსით ფაიწევდა გამოწვდილი ხელებისაკენ და იმავ წამს ნათელი, უტყვი შუქით განათებული სუფთა და თვალუწვდენი სივრცე განიხვებოდა. სავალი შორი არ იქნება, წამისად მიუახლება დედაბერს, უკანასკნელი ბიჯის წადგმამდე მოესურვება გადააბიჯოს, ან შემოუაროს ზღვარს, მაგრამ ვერც ერთს შეიძლებს და ვერც მეორეს, შედგება და უცვლელად მდგომარეობს, დამნაშავესავეთ მისასალმებლად გაუწვდია ხელს, მსუბუქ, უნიჭიერ, უსაქლოთ აღსავსე შეხებას შეიგრძნობს და ნეტარება ჩაეღვრება სხეულში. იმავ წამს შორეთის სივრციდან ზარები აგუგუნდება.

ჯერ ხმამალლა, საზეიმოდ ჩამორეკს, როგორც შორეულ წარსულში, როცა ხალხს ნანატრი იმეცვიდრის დაბადებას აუწყებდნენ ხოლმე, შემდეგ ზედმეტი ბუბუნი დანელდება და თავზე წკრილათ გადაუვლის ამღერებული გუგუნი. დედაბერი ჯერეთ უცნობი ღელვით მიმოიხედავს და თვალს ველარ მიაწვდენს იმ მეორეს: მარტო იქნება.

აი, მაშინ, უშიშარი, მორჩილი და ბედნიერი გაუყვება ზართა გუგუნს. უკანმოუხედავად დაადგება გზას და ვილაც, ადგილზე დარჩენილი, მისივე თვალებით გააცილებს. მას კი მიღებული ზარის ბუბუნი გაიყოლებს.

მალე თვალებიც შთაინთქება და თივაში ჩაიკარგება. კიბეც გაქრება დრომდე, მიწა პირს შეიკრავს და ირიჟრაჟებს. ცოცხლებისათვის ირიჟრაჟებს.

არა და არა, სიკვდილის არ ეშინოდა, აკი ყველაფერს თავისი დრო და ადგილი აქვს. განა საკმარისად არ იცოცხლა? აღარც დასახარჯი ჰქონდა აღარაფერი. ამოიწურა — დაცარიელდა. ფსკერამდე გაილია და უკანასკნელ წვეთამდე დაიწრიტა. თუმცა, რა ნახა ცხოვრებაში? ერთთავად ბავშვებზე ზრუნავდა. აჭმევდა, ააძევდა, ურუცხავდა და იმარაგებდა. ოთხმოცი წელი არც ისე ცოტაა ერთი ადამიანისათვის, თანაც თუკი იქამდე გაიღევი, რომ გადასაგდებლად არავის დაენანები, მაგრამ ახლა, სიკვდილის ზღურბლს მიახლოვებული უკან იცქირებოდა და ვერაფრით ანსხვავებდა ცანკლილ წლებს — წოღბითი თქოს ერთმანეთს უბოძებდნენ და ერთნაირადვე სწრაფად ჩაიღებოდა: დღე იყო და ათჯერ მაინც აიღირებდა მზისაკენ თავს, რომ მზე დაენახა და უფრო აჩქარებულიყო — მნათობი ამოდიოდა და ჩადიოდა, მას კი საქმე არა და არ ელუოდა. ნიადაგ ერთი და იგივე საზრუნავი ჰქონდა: ბავშვები შელნაოდნენ, ააქონელი ბლადოდა, ბოსტანი ელოდა — და კიდევ მინდოდა, ტყე, კოლმეურნეობა — მუდმივი საზრუნავი. მას სულის მოსათქმელად და ამოსაუნთქად არაოდეს მოუცლია, რათა წამით მაინც შეეკავებინა სულში მიწისა და მზის სილამაზე. ერთთავად „ჩქარა, ჩქარას“ უმახოდა თავს, ხან ერთ საქმეს ეცემოდა, ხან მეორეს, მაგრამ რამდენიც არ უნდა ემუშავა, ბოლო მაინც არ უჩანდა. აი, ასე ჩაქროლა სიცოცხლემ, წელი წელს ჰგავდა და საზრუნავი საზრუნავს. დედაბერს ის დროც ახსოვდა, სახლს მხოლოდ მზის სხივი რომ ანათებდა, მერე ნავთია ლამპები გაჩნდა, ახლა აგერ, რა ხანია ელექტრობა ტკაცუნობს — ამას ხომ დრო სჭირდება, მაგრამ მზის სხივიც, ლამპაც და ელექტრობაც, ზოგი მეტად და ზოგი ნაკლებ უხანგრძლივებდა დღის სიმოკლეს. დიდ ოჯახში, სხვაგვარად შეუძლებელიცაა. და მხოლოდ ახლა, როცა ლოგინად ჩავარდა, როცა სიბერემ სძლია, წლებიც დადინჯდნენ და უთავბოლო, ზოზონა ზამთრებად

ექცნენ — უცქირე, დედაბერო, უცქირე და არ დაიჩვილო, წელი წელზე გრძელდება.

საკუთარ სიცოცხლეს არ უჩიოდა, არა, ანეი როგორ დაიჩვილებ იმაზე, რაც შენი საკუთარი იყო და სხვა არავისი, მხოლოდ შენ გეწერა, სხვას არავის? ალბათ ასეთი იყო მისი ზვედრა, ხელმეორედ ხომ ვერ შეიძლება ბედის ჩარხა. ადამიანი იმითომ ჰყოფნის ერთი სიცოცხლე, რომ ერთადერთი აქვს — ორი არ ეყოფოდა. დედაბერი კი უბრყვილოდ ცხოვრობდა: აჩენდა, შრომობდა, ახალი დღის რიურაქამდე ცოტა ხნით ლოგინში დაასვენებდა ნაჯაფ სხეულს, მერე იაფე ფეხზე წამოხტებოდა, ბერდებოდა — ტყეში დარგულ ხეავეთ საკუთარ ფესვებს არ გასცილებია და იგივეს აკეთებდა, რააც დედამისი თუ ბებიადაც. სხვები მოგზაურობდნენ, ქვეყანას ნახულობდნენ, ახალს ითვისებდნენ — იგი კი, თუ მოიცლიდა, ისმენდა, მონათხრობი ათქვებდა, მერე შვილები გაუჩნდა, არც ისინი მოგზაურობდნენ სხვაზე ნაკლებს, მაგრამ თავად არასოდეს მოფიქრებია სხვია გზას გაჰყოლოდა და მასაც რაღაც ენახა, ადამიანი საკუთარ კანს ვერ გადაიძრობ გველივით. არც არავისი შეშურებია, რაგინდ გერგილიანად არ უნდა ეცხოვრა იმ სხვას და რა ლამაზი სახეც არ უნდა ჰქონოდა — დედაბერი ისეთვის ეს იგივე იყო, რომ დედად სხვისი დედა სდომოდა, ან შვილად სხვისი შვილი. საკუთარ ცხოვრებაში პოულობდა მისთვის წილხვედრად სილამაზეს, მასაც ახაოდა სხვებისათვის წარმოუდგენელი ნათელი, ძვირფასი სიხარულები და ძვირფასი ნაღველიც არ მოჰკლებია, რომელიც დროთა დინებაში უფრო ძვირფასი და მისეული გამხდარა და ურომლისოდაც ყოველდღიურ შფოთსა და ფორიაქში კარგახანია დაეკარგებოდა თავი. იგი ყოველი ახალი უბედურებია შემდეგ ძველი ძვლებსაგან ხელახლა აკოწიწებდა სხეულს: უკვდავების წყალს იბკურებდა და საკუთარ თავს უბიაგებდა: მიდი, იცოცხლე, უშენოდ შენს ადგალა ვერავე დაიკავეს, უშენოდ შენად ვერავინ იქცევა: ვიდრე ხარ — იყავი, სხვაგვარად შეუძლებელია. მისი ცხოვრება ხან სიხარული იყო, ხან ტანჯვა, უფრო სწორად, ტანჯული სიხარული, ვერ გაერკვია, ადერწყმოდნენ და შორდებოდნენ ისინი ერთმანეთს და რა უფრო ესაჭიროებოდა, ორივეს ერთგვარად ზედებოდა, იაფე თავისივე თავის გამო, რათა გაგრძელებულიყო და მათი ფარული ალით გაციკროვნებულიყო.

დედაბერი იწვა და აყურადებდა — ისმენდა რა გულისყური სუნთქავდა ვარსკვლავების ანათორული შეუქით განათებული ბინა, სახლია ქვემოდან ესმოდას მიწის ყრუ და უეცარი ფშვინვა, მაღალ, ნათელი ცის შარი-შური, პერის ფაჩუნი — და ეს ყოველივე საკუთარი თავის მოსმენასა და შეგრძნებას უადვილებდა. საკუთარი თავისა, რომელსაც ლამა ან უსაარულობაში სხეული უნდა მიეტოვებინა სამუდამოდ.

და უეცრად განვლილი ცხოვრება ბედნიერი, ნეტარი და უზაკველი ეჩვენა. უზაკველი, როგორც სხვისი არავისი. განა ჩივილად ღირდა, რომ ბავშვებს შესწორა სიცოცხლე, განა ადამიანი მხოლოდ იმისათვის არ მოდიოდა ამ ქვეყნად, რომ მიწა ადამიანთაგან არ გაღარიბდეს და უჩველბავშვებოდ არ დაბერდეს.

მიხეილის სიტყვები გაახსენდა, პირმშოს შეტენისა რომ უთხრა: იმჯერად მიხეილი სასმელით არ იყო მთვრალი, მხოლოდ გაოცებისაგან ერეოდა გონი, რომ იგი, თავად ჯერ ბიჭი, მამა გახდა და პირველად დაიდო წილი ადამიანთა მოდგმის გაგრძელებაში. მან უთხრა:

— დედა, მე შენგან ვარ, ეს ჩემგან, მისგან ეს ახლა აღაშინი გაჩნდება. — და ნათელმხილველის ფარული ნადევლით დასძინა: — ასე მიდის ცხოვრობა.

იგი მხოლოდ მაშინ ჩასწვდა, რომ ასე მიუღწებოდა უოველუცე, მიუღწებოდა და ივლია უკუნიოთი უკუნიასამდე, ვიდრე ეს მაწა დასაბრუნებლად დაეწვდა ეს უზრალთ, მარად უცვლელი ტეშმარიტება არ გაიღუვა, ახალ და ახალ რგოლები აგებმება უსასრულოდ გრძელ გაჭვს, აი მაშინ, მანერუთუხუჭისპირა შეეჯახა საკუთარ თავს და პირველად მიხვდა, რომ იგივე მტყუნებელი მტყუნებელი გორც მოკვდავია უოველივე ამ მიწია და კიბა გარდა. აწორედ ამან აიიულა დედასთან მისულიყო და ეთქვა ეს, რაც დედას დიდი, დიდი ხანია გაეცნობიერებინა და ეგონა, შვილსაც უნდა სცოდნოდეს.

უეცრად დედაბერა მოეჩვენა, რომ აველ, ჩაყალბებულ ქოხში იწვა, და ვარსკვლავების ეს მომნუსხავი ხათება აედლებში, სახურავში დატანებულ პატარ-პატარა სარკმელებიდან იჭრებოდა: თითო სარკმელში თითო შვილის ხსოვნა იყო ჩაეტილი: ეს ლუსიაა, ეს ვარვარა, ილია, მიხეილა, ტანხოოა, მომალლოდ, კიდევ ერთი წყება, სულ ერთი ციდა, დაჭედებულა სარკმელები მოჩანდა, იქ ხელი არ მიუწვდებოდა, მიცვალბებულთა ხათვნიას იყო. დედაბერი უჩრდილოდ, მთვარეულავით დაბორიალობდა სარკმლიდან სარკმელთან, ვერღარ გაერკვია, რომელი გამოეღო, საიდან გაეხედა.

მთელი სიცოცხლე აქ არის ჩაეტილი, ამ სარკმელებში, გამოადე და იხილე, დედაბერო, რათი იყავ მდიდარი, შენს არყოფნაში რომელი მოგონებები ათრთოლებენ მდინარია ნაბიჯს თავდახრილ დაშვალ ბუჩქნარს, ტყის კორონზე არყია ხის ტოტებს ან ვის შეეფრქვევა სახეში და დღემდე განუცდელი, გაურკვეველი და ფორაქი წინათგრძნობით აღუვსებს ვულა ახლახანს ტყეში მაღალი ხიდან ლამია მიწას დაასცდა ჩიტი, მაგრამ ეს არ იყო შენი სიცოცხლე, არც მოგონებანი, ვიდაცის უკნო, არაშენეული ხსოვნა აშრიადიდა, ატურჩულდა გაურკვეველ, განბნეულ ბგერებად იქცა და ძილი დაუფრთხო.

დედაბერი შეირბა, დაბუყებული სხეული გამართა, გვერდზე ოთახიდან თითქოს გახსენებას ათხოვსო, ვილაც ექოსავით გამოეხმაურა და აწრიალდა დედამ გუშინათ ილიას წრიალს მიაბსგავაა — დღეს მას შინ ეძინა.

აჰა, ილიაც... ხანგრძლივი, დედური ხსოვნიდან რა ირჩიოა, რომ საწყენად არ დარჩეთ არც ერთს? დღეს გახსენებაც ჩემი, ნათელი და თანხვედრი უნდა იყოს, ნადველმა თუ ყალბმა იახილმა არ უნდა შეაშფოთოს ეს უკანასკნელი, გამოსათხოვარი ღამე. დროც მალე, მალე მოვა.

აი, ილიაც... ილია უცხადური იზრდებოდა: საკუთარი ბოსტანი დედლა და გადადულდა, ის კი მაინც სხვისაში მიივრებოდა, ხან შინ გამხმარი ყუაც არ ეშოვებოდათ და პირველ შემხვედრს გაუნაწილებდა უკანასკნელ ლუქმას. წინასწარ ვერაფრით მიხვდებოდი, რას იზამდა წუთის შემდეგ. ერთხელ, ზავშვობაში, წისქვილში წასაღებად გამზადებული პურიით დატვირთულ საზიდთან დააყენეს ღარაჯად, გამობრუნებაც ვერ მოასწრეს, ერთი ბათქა-ბუთქი ატყდა, ილია ისროდა, იმის ნაცვლად ურემზე მჭდარიყო და წნელით გაექშია ქათმები, ბელლის სახურავზე ამძვრალაყო და მიახლოებულ წვრილფეხს ტყვიას უშენდა, გოჭი და ორი ქათამი მოვლა. უარესიც ჩაუდენია, ერთხელ, კოლმეურნეობის შესამოწმებლად რაღაც კომისია ჩამოვიდა, ილია ორ ბიჭთან ერთად მაღლა მდინარეზე მზრალს ხნავდა, კომისიის გამოჩენისთანავე მთლად გაშიშვლდა

და ასე დედისობილა, სტვენა-ატვენათ გაბუნა სახლისა. ახლოს ეერავან მიეკარა, ხელცარიელნი დაბრუნდნენ უკან, შემდეგ კი აღბრუნდნენ თავიანთი მხარეს გვარაიანად, რადგან იგი დედაბერს ეცა. თითქონ მას ესწავლებიან, შვილისათვის სახნავში შიშველი აიარული.

თუმცა ახლა უმთავრესი სხვა გაახსენდა დედაბერს. თქვენთვის ილღაც გაიწვიეს, მაგრამ ბრძოლაში არ მოუწია: ღვთის მადლით, მადლიერად, ასწავლიდნენ, ომიც დაითავრდა. გაცილებიან ეს ამის შესახებ, ცხადია, არაფერი იცოდნენ.

ზამთრისპირის უთოვლო, ქარბანი დღე იდგა. შებნეული საზაღო ეზოში ელლოდათ, სამგზავრო ტომარაც ჩალაგებული იყო უკვე. ჰიშარი მოღებული გამოშვადობებდა რჩებოდათ. შიშით დაღუპული და მაინც ომში წასვლით გაამაყებული. უკვე სანახევროდ გაუცხოებული ილა დედას მოუახლოვდა. მან პირველი გადაახა და შვალდაც მაღალ დედის ლოცვა-აურობევას, უარი არ უთქვამს. დედაბერს ახლაც აარვად ახსოვდა, მაინც ხატობით კი არ აიტანა, წამიერად შემკრთალ და იმედით გაცისკროვნებულ თვალებში შეატყო თანხმობა და თანადგომა.

ამ გამოთხოვებას მეორე ხილვაც მოჰყვა — არულოდ განახევებული, მაგრამ დედის ხატონაში აღმათ გაიგოვებული.

შუა ზაფხულს ლუსია გემით მიემგზავრობოდა ქალაქში, ნაპირზე აღთიანად მივიდნენ. გემია გასვლამდე ეარგა ხნით აღრე და იქვე ჩამოსხდნენ, კოლოების წამალიც მოახსურეს, მაშინ იმდენი იყო, სულს ვერ მოითქვამდი. ლუსიას შუბრით და სიბრალულოთ გულნატენი მეგობრები შემოხვეოდნენ, ტანჩორაც იქვე ტრიალებდა, მხოლოდ დედაბერა იჯდა მარტო. გოგონების მოჩიხლოს, მიწაზე ჩაზრდილ მორზე და ნალექიანად, მოჩილიდ უთვალთვლებდა ეუნიულა თავზე როდია გამოჩნდებოდა მომავალი გემის მილი. ბოლოს და ბოლოს გემიც მოახლოვდა, მაგრამ ნახვალთვალა გოგონებმა დედაბერზე უწინ შენიშნეს, მაშინვე აჯაყანდნენ, აყვირდნენ, ლუსიას ანჭდრევდნენ, რაღაცას აბარებდნენ, ერთმანეთს აიტყვას აწყვეტინებდნენ. გათანგულ დედაბერი კი უზრროდ იჯდა.

ლუსიამ მეგობრებს აჩქარებით ჩამოართვა ხელი, ბოლოს დედას დაემშვიდობა, დედაბერმა ცხელი, დაბნეული ხელის შეხება აგრინო და მხარში უბიძგა — წადიო, თავად კი ხალხიანგან ოდნავ მოშორებით გადგა. ასე უფრო ადვილად დაინახავდა შვილი. ნალე ებეც ასწიეს, ბორბლები ამოძრავდა. გემი დაიძრა და ლუსიაც ნაპირა მოკალდა, გაცურა. ქალიშვილი გემია კარზე, რკინის თეთრ მოაჯირთან იდგა და მეგობრებს უწევდა ხელს — დედას რატომღაც ვერ ხედავდა, თუმცა კი დედაბერმა რამდენჯერმე დაუძახა. შემდეგ კი, ყურადღების მისაქცევად, გადარეულივით მოჰყვა სტუნვას და ხელების ქნევას.

ცალ მხარეს გადატვირთული გემი დაფერდდა, ლამის წყალს ამოხატა და მგზავრები მეორე გვერდზე გარეეს, უკვე ლუსიაც მოეფარა თვალს... დედაბერს ცრემლი მოუძალა. უგანასკნელადლა მოხედა ნაპირს და იმ წუთს, ლუსიამ წინ ჩამოფარებულ ყმაწვილს ხელი ჰკრა და გამწარებით, განწირულად დაუქნია თავადან ჩამოგლეჯილი თავსაფარი. შეშინებულ სახეზე ფერი გაერთობოდა, თვალებიც ცრემლით აევსო. დედაბერმა შვილიააენ გაიწია. მუხლებამდე წყალში შეტოპა, მაგრამ გემმა უკვე სიჩქარეს უმატა. მთელი ძალით

ადგაფუნდა, იმავე წამს თვალისმომჭრელად იფეთქა მზემ, წყლია ზედაპირი ააბრჭყვიალა და გემიც თითქოს სათამაშოდ იქცია.

მაშინ დედაბერს მოეჩვენა, რომ უკანასკნელად ხედავდა შვილს.

ანაზღად მოგონებები მოიახიზა და ხსოვნაში შორზე-შორი დღე გაუ-
ნათდა — ისიც მდინარისპირზე.

იგი იყო გადაიქარა, ზაფხულია შხაპუნა, ხანმოკლე თქემი შეწყდა, ისევ მზე აბრდღვიალდა, ორთქლი მოედო ცელებს, ხის ტოტებიდან ტკაცუნით ცვიოდა მსხვილი წვეთები, ქაფმოდებული წყლის ზედაპირზე ბუშტუკები და-
ლივლივებდა. ირგვლივ ყოველივე ბზინავდა, მკვეთრი, ცინცხალ სუნით საუნ-
თქავდა და ჩამონადენი წვეთების ტკაცუნი ჩიტების ყიფივს ეხმიანებოდა. წვიმით გაუივებულმა მიწამაც მკერდი გადაიშალა, მოშიშვლდა და მიუწვდენი, ნათელი და ცისფერი ცა ქვეშ დაქანცული ნეტარებით ამოიფშვინა.

დედაბერი კი არა — ქალიშვილია, ირგვლივ ყველაფერი უბრყვალო, უზაყ-
ველი და ჩორჩია. ნაწეიმარზე, ორთქლმოდებული მდინარის ნაპირს მოუყვება, ტერფებით წყალს მიაშხაპუნებს და უკან დარჩენილ ჭავლებში ლივლივით სკდებიან ბუშტუკები. დაბალი ნაპირი მტკი, სველი ქვიშითაა მოფენილი, შორს ეუნთული მოჩანს, სადაც კონცხა ტალღა ეხეთქება. ძლიერ, სუფთა და ცა-
რიელ ღვარში გარკვევით მოჩანს დინება, მიაი ფართე, სწორი ღარი.

იგი კი უგზო-უცვლოდ დააბოტება ამ წყალში, შემდეგ მაინც ნაპირზე გა-
მოდის, მკვრივ, შიშველ ფეხებს ქვიშაზე დგამს. ნაკვალევადან წვეთი მოწვე-
თავს დიდხანს, გაოცებული დასცქერია საკუთარი ტერფის მოხაზულობას, გრძელი ქვედაკაბა დაუსველდა და ტანზე ეკვროს. კაბის კალთებს ქამარში იჩუ-
რთავს, ეძებოდათ შედგაფუნდება წყალში და გულიც კი აწყდება რომ ვერაინ
ხედავს. იმ წუთას იმგვარად ნეტარა, ბედნიერ- ესაზებოდა ცხოვრება, ამ მშვე-
ნიერების საკუთარი თვალით ხილვა, მჩქეფარე და მხიარული, ყოველში თან-
ხედრალი მარადიული ცხოვრების შთაგულში ყოფნა, რომ თავბრუ ესხმოდა
და ტბილად, მღელვარედ ეკუმშებოდა გული.

ახლაც კი გული გაუყინა ამ დღის გახსენებამ: მართლაც ხომ იყო ამგვარი
დღე, ღმერთია მოწმე.

მან გააფიქრა: ნუთუ ეს მშვენიერება დღემდე ევლინებათ ხოლმე ადამიანებს,
ნუთუ იმ ხანში, მან რომ იცხოვრა, მშვენიერება ოდნავდაც არ დამკნარა და
გაფერმართალებულა? განა სოფლის ბოლოში, მდინარას გაღმა ნაპირზე რომ
გავიდეს ისევ ჩირუცვლელად დახედება ეს სილამაზე, იმავე სიცინცხალითა და
სიხარულით? რა არ შეიცვალა ამ მიწისპირზე — ნუთუ მხოლოდ ეს არის
უცვლელი?

გული შეეკუმშა, დახლვლიანდა, მაგრამ იქვე შეუწყრა თავა: როგორ შე-
ეძლო წამით მაინც მოესურვებინა, რომ ყოველივე მასთან ერთად დაბერებუ-
ლიყო და გამქრალყო.

დიდო ხნის წინათ, მაშინ ვარვარა პატარა ჰყავდა, ორღობეში მუხლებზე
დაჩოქილ შვილს გადააწყდა.

— აქ რას აკეთებ? — ჰკითხა დედამ.

— ცთხრი.

— რისთვისა?

— ქათამი ჩიჩქნიდა და ძაღლმა გააგდო, მე დავინახე, შენ არ გამაგდებ?

— არა.

— მაშინ ვიჯდები, ამოვთხარი.

დედას გულში გაეცინა და აღარაფერი უთქვამს, გაეცალა. მერე, მოგვიანებით ჰკითხა:

— იპოვე რამე?

— კი არაფერს ვეძებდი, ისე ვთხრიდი, რქენია ხარმა, ^{გამომავალი} მიდი, გააგდე და შენც ამოთხარე.

— რისთვის?

— ისე, ამოთხარე, მერე ნახავ.

— რას ვნახავ?

— რა ვიცი, რაღაცას ნახავ, საინტერესოა.

და ახლა, მრავალი-მრავალი წლის შემდეგ, დედაბერს ანაზღად მოესურვა, სადმე მინდორში მოედრიკა მუხლი და ვარვარასავით ამოეთხარა მიწა, ყურადღებით და აღელვებით დაკვირვებოდა, ნოფია ია, რაც აქამდე არავის შეენიშნა. იცინიან: ბებიად და შვილიშვილი ერთი ჭკუისა არიანო, თითქოს ერთს უკვე გამოეცალა ჭკუა, მეორეს კი ჯერ არ მომატებია. მართალია, მხოლოდ მოხუცებს და ბავშვებს შეუძლიათ შეიგნონ. ცხადად გაიოცონ საკუთარი არსებობა და გარემო.

ლამე მომწიფვრდა, გამეცვრდა, მაღი ნათელი, უკვი ციმციმი წენობიარა ფანჯრებში და კედლები მონუსხა. დედაბერს ახსოვდა, როგორ წრიალებდა და ლივლივებდა ამ დროს ცა, რა გამომწვევი ვნებითა და დაბნელებით ანთია ვარსკვლავები და იქვე, ახლოს მეფურად დააბიჯებს ახალი მთვარე. მიწაზე კი სინთმეა, მიმკვდარებული, გაუტოტებელი სიჩუმე, ყოველი ჩქამი ძილს აუჯრეფია, მის უძირო, მჩხიბავ რულს მოუწუხავს.

და შეერთა დედაბერი, მიხვდა: დრომ მოაწია. მოცდა აღარ ეგებოდა, ლამე განახევრდა. შვილებსაც გულთაბილთ ეიანათ უკვე, ველარავინ გაიგებდა და ვერც ხელა შეუშლიდა. ღვთია მადლით, მხიარული ლამე დაესწრო — არც ეს არი. ურიგო, გააცილებს.

დედაბერი მშვიდად, უშიშრად და უფორიაქოდ ემზადებოდა, მკერდიდან საბანი გადაიხადა, ალბათ ატედან დაიწყებოდა ევდომა. საწოლში დაიწყო და მოულოდნელად მიხვდა, რომ ზედმეტი აღარაფერი დარჩებოდა. მთლად გაღელვლიყო, საკუთარი უწონადობით გაოცება ანაზღად გაფანტუნდა გონებაში და იმავე წამს მიიწავლა. უკვე აღარ უკვირდა, მაღი სხეული ეაოდენ მაუბუქად რომ მინებდა მოძრაობას, იგი ხომ ჯერ აქ იყო, მასთან და ეამოდა, როგორ ანაწილებდა ფეთქვას მაცდური გული. მან ფეხები გაჭიმა და მოხერხებულად დააწყო — საცაა იპინიც გაუთანაბრდებიან სხეულს და აღარ დაიტანჯებიან დროზე ადრე რომ განუდგნენ. რამდენჯერ უნუგეზებია, რა თქვენი ბრალია, მევე დაგწყვიტეთ სირბილითო, მაგრამ ფეხები არ უჯერებდნენ. ახლა მაინც ირწმუნებენ და მიხვდებიან.

თვალემა ღია ჰქონდა და ძველებურად იკავებდა ლამია უსულოდ-ფერ-მიხდილ შეტქს — იმ ეკანასკნელს, რისი ხილვაც ეწერა. დე. ბნელმა გადაფაროს თვალში შეოჩენილი ბილვები. რათა იოლად მიიღოს წყვედიადი, ანაზღად მოსულმა აზრმა შემზარავად გაუთოშა აზრული, იგი, ვინაც ოთხმოცა წელი იცოცხლა და წვეთი მომავალიც აღარ დარჩენოდა, მხოლოდ წარსულში ჩაწრეტილიყო. ერთი წვეთი მომავალიც აღარ დარჩენოდა, მხოლოდ წარსულში ჩაწრეტილიყო მთელი ცხოვრება და წუთია შემდეგ აღარც ეს წარსული იქნებოდა და აღარც მომავალი. მის შემდეგ შვილები დარჩებოდნენ ამ ჭვეყნად. თვით დედაბერს კი არაფერი აღარ დარჩებოდა. საკუთარი თავი კი, მაინც სად გაილია მისი ცხოვრება? იგი ხომ ცოცხლობდა, ახსოვს, რომ ცოცხლობდა. ეს სულ ცოტა ხნის წინ იყო. ვის დარჩება ეს წლები, რომელიც მან, ამუშაოსავით ავად თუ კარგად ჩაათავა? ხო, ხელთათმანს ვერაფერ მოქსოვს — ეს ცხადია. გაიხსე-

ნებენ, თავს გადაიქნევენ და მორჩა — იყო და აღარ არის. მერე და მერე აღარც გაახსენდებათ. ასეც უნდა იყო. ის მაინც იცოდეს, რატომ და რისთვის ცხოვრობდა, მიწას ტყეობდა და თაყვით იგრიხებოდა, ნებისმიერ ტვირთს უძლებდა? რატომ? მხოლოდ საკუთარი თავისათვის თუ კიდევ რაიმე სიკეთეს ემსახურებოდა? ვის დასჭირდა, რისთვის, ვის გასათმინებლად? მისი ამქვეყნად მოყვანა? სხვა სიცოცხლეები ეს დასტოვა, მაგრამ მისი? გარდა ეს თუ ცუდი? ვინ ეტყვის? ვინ აუხვლს თვალს? მთელი მისი სიცოცხლე წვიმის იმ ერთ წვეთს თუ მაინც ჰგავს, გვალვიან მიწას რომ არწმუნებს ხოლმე?

გაურკვეველი, ბუნდოვანი პასუხებით შორეულ, ჩაშავებულ კუთხეში რაღაც გაჭრაილდა და დედაბერმა აზრი მოსხიბა: მოკვდა.

ანაზღად ახლა, აღსასრულის უამს მოეჩვენა, რომ აწინდელ ადამიანურ ცხოვრებამდეც ყოფილა ამ ქვეყნად. ვინ იყო, რა დაღოდავდა, დადიოდა თუ დაფრინავდა, აღარ ახსოვა, ვერ ხვდებოდა, მაგრამ გუჟანი კარნახობდა, რომ მიწას პირველად არ ხედავდა. ჩიტებიც ხომ ორჯერ იბადებიან: ჯერ კვერცხში, შემდეგ კვერცხიდან. ეგებ ამგვარი სასწაული ადამიანისთვისაცაა დასაშვები და ღმერთი მიუტევებს ამ ფიქრს. ეს დიდი-დიდი ხნის წინ იყო, ღამით მიწაზე ქარიშხალი ამოვარდა — ჭექა-ქუხილით დასერილი ციდან ღვართქაფი მოდიოდა, ირგვლივ ყოველივე გრგვინავდა, ზანზარებდა, ცა სკდებოდა და ნახეტქებიდან შხუილით ისხმებოდა წყალი. სხვა დროს აღარასოდეს განუცდია ამგვარი შიში. ეგებ ამ ჭექა-ქუხილმა მოკლა იგი, რადგანაც სხვა არაფერი ახსოვდა. არც მანამდე, არც შემდეგ, მხოლოდ ჭექა-ქუხილი, მაგრამ ეს მოგონებაც რაღაც აღრეული, არაამქვეყნიური ხსოვნის გამოძახილად გაუკრთა თვალწინ.

მან ფრთხილად ისახა პირჯვარი: დე ეპატიოს თუ სცოდა, განა ამ დაუბატიებელი გახსენებით ვიანამე განრისხება ეწადა, თავადვე ხომ არ იცოდა, რომელი უკუნიდან ამოუტივტივა ხოვნამ.

და თვალი დახუჭა დედაბერმა — წამისად, უკანასკნელი გამოსათხოვარი მზერის მოუვლებლად, ორივე თვალში აბოლქვილი, დაღრანჭული რგოლები შერჩა. თითქოს ვიღაცამ მუშკი უკმიაო ზიარების წინ. სხეული დაძაგრა და პირველი ღიტიწა შეხების, ნალვლიანი და რულის მომგვრელი ნეტარების მოლოდინში გაინაბა, აჰა, ადამიანიც იყო, იხილა მისი სამეფო, ამინ. იგი გრძნობდა, როგორ ებინდებოდა გონება, ხელები უბუჟდებოდა, თუ მხოლოდ ეჩვენებოდა, ეწადა მხოლოდ? შეპირებული რეკვით დაეკიდნენ ზარები დედამიწაზე.

წუთი წუთს მისდევდა — არაფერი შეცვლილა: ისევ ძველებურად ახსოვდა თავი: ვინ იყო, რისთვის. აიგვდილი რატომღაც იგვიანებდა, რაღაცას ელოდა.

დედაბერმა საკუთარ თავს მიაყურა — სხეული ფეთქას განაგრძობდა. შეყოვნებით გაოცებულმა დედაბერმა ჩუმად, უხმაუროდ ამოიკვნესა: აქა ვარ, აქ. ეგებ სიკვდილს ჰგონია, რომ ჯერ მზად არ არის — დე იცოდეს. ერთხელ ამოიკვნესა, საბრალო და მიმხმობი ბგერებით შეაკრთო ღამის სიჩუმე: ნუ შიშობ, მოდი, გელოდები.

გულმა ცუდი უგრძნო, იქნებ ისე გააწამა სიკვდილი, რომ აქამდე მოსვლის უნარიც აღარ შესწევს. რამდენ წელს დაატარებდა, დაატარებდა კი არა, დაატრევდა — ვის არ ჩაეხრებოდა მუხლი? ეგებ მართლაც გაუოჩნდა სიკვდილი, თავად კი ეღირსება? არა, არა, ეს შეუძლებელია. მხოლოდ ის არ კვდება, ვისაც დაბადება არ უწყია. სიკვდილი ხომ მხოლოდ იმისთვისაა მოვლენილი ამ ქვეყნად და ვალდებულია აღასრულოს თავისი ვალი.

დედაბერს უკვე სული ეხუთებოდა, წუხდა, წუთის წინ ირწმუნა, რომ განიწმინდა ყოველივესაგან, რაც ადამიანს ააუღდგმულებდა და აჰა, თავიდან იწყებოდა ყველაფერი.

იგი გონს მოეგო: უნდა დამშვიდდეს, გული დაიუნჯოს. ალბათ რაღაც შეეშალა.

სიკვდილი კი არ განუდგა, პირქით, თავად შეუშალა ხელი მისი სამუშაო რომ იტვირთა. მთელი ოთხმოცი წელი ელოდა სიკვდილი თავის უმაღლეს საათს, ათასჯერ მაინც ჰქონდა გაზომილ-აწონილი ყველაფერი, წვრილად იცოდა რას რა უნდა მოყოლოდა და განა შეიძლებოდა მის საქმეში ჩარევა. ეს იყო ალბათ მიზეზი.

დედაბერმა გადაწყვიტა დაეძინა. ღამე ძილისათვის მოუგონებელი ყოფილა მასწინ, ცნობა და თვალსისრინი რომ წაერთმევა, უფრო თამამად მიეახლება სიკვდილი, დედაბერსა და აღამიანებს შორის მტკიცე-ულ შემაკავშირებელ ძაფებს წამოკრეფს და აღსასრულის შესაგრძნობად, ეგებ გააღვიძოს კიდევ. შუალამე გადავიდა, მაგრამ ჯერ გვიანი არ არის, დილამდე მოესწრება.

და დედაბერი ლოგინში გაინაბა, რომ ათასჯერ და ათიათასჯერ ნაცად, ჩვეულებრივ აღამიანურ ძილს მინებებოდა, თვალები მაინც არ გაუხელია, მხოლოდ ქუთუთოები მოადუნა, შეამსუბუქა და შუქზე ფიქრი აუკრძალა. იგი ზურგიტფრთხილად დააწვა საწოლის ბადეს და აქანავდა, ტუჩები კი გაურკვეველ, წამღერებულ სიტყვებს ებუტბუტებოდნენ, იმის მსგავსად, ბავშვს რომ უნანავებენ ხოლმე. წამით მიუახლოვდა კიდევ რულს, მოეჩვენა, თითქოს თბილ, ნაცრისფერ ნაჭერში ახვევდნენ ფრთხილად, თავ-პირს უბურავდნენ. თავადაც ნეტარებით ნებდებოდა სახვევის რბილ, საამო სიატეს და მომნუსხველ შრიალს, მაგრამ უეცრად რაღაც გაწყდა, უკან მოაბრუნა და კვლავ უმოწყალოდ იხმო სიფხიზლეში.

ძილი არა და არ ეკარებოდა, დედაბერი მიზეზსაც მიხვდა: ამ დროისათვის ძილი იმდენად გამკვრივდა, ჩაიხისტა, რომ მჭისე და ყრუ შეიქმნა, მისგან მნე-ლია თავის დაღწევა, მაგრამ შელწევაც ჭირს, ამ ერთი საბრალო დედაბრის გამო უკან აღარ მობრუნდებოდა და ამაო იყო ცდა. სხვა რამ უნდა ედონა. ეგებ უნებოდ, უწადილოდ უნდა იწვეს, არაფერი დაიფინო — მაშინ ვინძლო თავისიანად მიიჩნიოს, უსაქმობით თავისთავად გათანგოს და შემთხვევით მოპკიდოს რული. კარგი იქნებოდა. არ უნდა აჩქარდეს და ისე მოაჩვენოს თავი, თითქოს უზღვავი დრო აქვს და ღამე ახლა იწყება.

შეეშადა: სუნთქვა და სხეული მოადუნა, აღელვებული მკერდი დაიმორჩილა და ხელები გადაიჯვარედინა. გაუმართლა, თითქმის წამიერად აიტაცა ლბილმა და ტკბილმა ტაღამ, ტაატიტ გაიყოლა ნეტარი მდუმარებისაკენ, თითქოს მიუახლოვდა კიდევ, სულ რამდენიმე წამილა რჩებოდა და უეცრად საღლაც სოფელში ურცხვად, ხმამაღლა გაფოთებით იყივლა მამალმა. ეს ისე უდროო დროს მოხდა, ისე მოულოდნელად, რომ დედაბერს შიშნარევი, განწირული კვნესა აღმოხდა და თვალიც აეხილა — იმავ წამს ისევ დახუჭა, მაგრამ უკვე მიხვდა, გვიანი იყო, ზედმეტი. რული გასხლტა, აწ გადარჩენა აღარ ეწერა. ხსნა რომც ყოფილიყო ახლოს, ახლა ვედარაფრით მოაბრუნებდა. პირველ მამალს მეორე აპყვა, მეორეს მესამე, მეოთხე:

ამაოდ ეწამა დედაბერი. იმედის ნატამალიც აღარ რჩებოდა.

უკვე ცხადლივ შეიგრძნობდა ყველაფერს, თვალი გაახილა და სირცხვილი წაეკიდა. იწვა ასე თავლაფდასხმული, ორგვლივ ყოველივეს გამოეთხოვა, უკანასკნელი სიტყვა დაადგო, მოგონებებით ინუგეშა თავი, წყვდიადი აიფარა თვა-ლზე, და — კვლავ მობრუნდა. ასე ვინ იქცევა? არა, დედაბერს სიკვდილის არ შეშინებია, თავს კი არ იტყუებდა. არც არასოდეს შინებია. თავად მოკვდა და ახლა რაღაში ეკითხებოდა ვისი ცხოვრებით, ვისი სუნთქვით აღიჭურვებოდა მიაი ცოდვილი სხეული, მხოლოდ მოძრაობის უნარიდა რომ შერჩე-ნოდა.

ღამე მიმქრალდა, ვარსკვლავთა შუქი ჩაინავლა, მკრთალი და საბრალო შეიქნა და უკვე დაეტყო, საით მოინაცვლა ცამ. მამლებმა დაიყივლეს და გაჩუმდნენ, მაგრამ მათ კვალად უკუნში რაღაც ატყაცუნდა. აჩქვიფდა — ღამემ ააჩქარა


სვლა. ამ დროს ვარსკვლავები მაღლა იწევნენ და დაქანცულნი, მკრთალად ბეუ-
ტავენ ციდან. ეს ყოველივე მისდაუნებურად, საკუთარი წადილისა თუ უწა-
დილობისაგან დამოუკიდებლად ჩაედგარა დედაბერს სულში. როგორც უადგი-
ლოდ მიტოვებულ, ცარიელ, ღია ჭურჭელში, იგი განდგომილი, უსუსური იწვა
და მისთვის ახლა ყოველივე სულ ერთი იყო.

დიდხანს იწვა ასე, რიჟრჟამდე, და როცა დილა დადგა და მთაწმინდის მომ-
ძლავრდა, თითქოს გონს მოეგოო, საბანი გადაიძრო, წამოჯდა, ზიზღით დახედა
საკუთარ ფეხებს, წინდები წამოიღვა და ჩუსტებში ჩაყო. დედაბერს ეს ყველა
ფერი გუშინ ესწავლა. მაგრამ დღევანდელი დილა გუშინდელს არ ჰგავდა, გუშ-
ინ შეჭხაროდა განთიადს, ეიმედებოდა და ტანჩორაზე ფიქრობდა. ნათქვამი
არ აუხდა. ღამეშიც უარი უთხრა ხანაზე და ძილი წაართვა — ეს სიკეთე მაინც
ემეტებოდა ყველასათვის: დედაბერს არც ეს მაღლი გასწვდა. ყველა გააბეზრა,
აღარავის აჭირდება და თვითონაც რად უნდა ელოდოდა თავს?

საწოლის საზურგეს ჩაჭიდებულმა დედაბერმა წამოდგომა სცადა. ფეხები მოე-
კეცა. მაგრამ არ შეებრალეხია: თუ სიკვდილი არ იატრევთ, ახლა აეთილი ინებეთ
და დამემორჩილეთ, თავა ნუ ისაწყლებთ, მაინც არ დაგიჭერებენ, ხელებზე დაკი-
დებულმა ფეხები გამართა და განწირული დაძაბულობით გადადგა ნაბიჯი —
წადით, თუ არ მოცდით — იარეთ, როგორც დადიან ყველა ცოცხალი ფეხები
და მუხლის ჩახრა არ გაბედოთ. წა-დი-თ! ძვლები აუჭრიალდა, აუკვნესდა, მაგ-
რამ დედაბერი არც ამას შეუჩერებია, იჭრიალეთ, რამდენიც გენებოთ, ოღონდ
იმოდრავეთ. საკმარისად დაგიჯერეთ, ახლა თქვენი ჭერია. მორებს ჩაჭიდებული
დედაბერი იატაკზე მიაფლატუნებდა ფეხებს, ვინმეს რომ დაენახა, იფიქრებდა
კედელზე მიცოცავსო — მთელი სხეულით მიკვროდა კედელს, გაფარჩხული ხე-
ლებით ეძებდა საყრდენს. ზღუბლზე ოთხით გადაფორთხდა, სხვაგვარად ვერ
შეძლებდა, წინკარში კიდევ ერთი ზღუბლი ელოდა, მოდაბლო, მაგრამ დე-
დაბერი წელში აღარ გამართულა — ასე დაოთხილი, ძალღივით გამოფოფხდა ქუ-
ჩაში, ახლა გინდა დაეყუფა გინდა იმუვლა. ძალა ელეოდა და ის ვაი-ვაგლა-
ხით, წვალებით ჩამოჯდა ზედა საფეხურზე.

მაღალი, ნათელი, მქისე დღე თენდებოდა. ცაზე, განსაკუთრებით იმ მხარეს დე-
დაბერს მზერა რომ სწვდებოდა, მზის ამოსვლამდე მრუმედ გამოიკვეთა ლურ-
ჯი ფერი და რიჟრჟის ამღვრეულობა შთანთქა. ადრეული დილა იდგა, მაგრამ
ტყე უკვე გამოფხიზლებულიყო ძილისაგან, იდგა მსუბუქად და ცინცხლად, სა-
თითაოდ ირჩეოდა ხეები, კენწეროთა სიმწვანეც კი არ ერწყმოდა ერთმანეთს,
მხოლოდ ღბილად ცოცხლად იხაზებოდნენ. ბელელს უკან, ქანდარიდან მძი-
მე ფრთების ფათქუნით ძირს ეშვებოდნენ ქათმები, სწრაფად შეიბერტყა-
ვდნენ ბუმბულს. იმავე წამს მიწას ემიზნებოდნენ და შემცივნებულებივით დარ-
ბოდნენ. მართლაც გრილოდა, მდინარიდან ღამით დაგუბებული სინესტე მოჰქო-
ნდა ნიადა, ბოსტანში ცივად ციმციმებდა ნაბი, მაგრამ დილა იცვლებოდა, სათა-
ვისოდ იძროდა თითქოს ახლახანს უძრავი, ზანტი, რუხი ჩანდა და უკვე
დღედ განათდა, ათამაშდა, მოუთმენელი ბავშვური მოლოდინით აცმუკდა,
ცას წვრილ-წვრილ ბოძებად შეუდგა მხიარული ზოლები — უეცრად, თვალდა-
თვალ ამოიწვერა მზე და ბედნიერად, ერთგულად გაანათა მიწა.

დედაბერი თავადაც ვერ მიმხვდარიყო, რისთვის გამოლოდა ქუჩაში. ეგებ იმ-
ედოვნებდა, რომ სადმე, გზად, დაძაბულობას ვერ გაუძლებდა, გული გაუსკდე-
ბოდა და ამით გამოასწორებდა საქმეს. მაგრამ არც ამან გაუმართლა: გამოაღწია.
იგი მარტო, გამზრალი, უწადილოდ გააქჟეროდა ბოსტანს, ტყეს — რასაც თვალი
მოიძიებდა — უმზერდა და ვერაფერს ხედავდა, ვეღარ აგნებდა. იგი მზიან და-
რში გარეთ გამოტანილ სანთელს ჰგავდა, იმ სანთელივით ისიც არავის სჭირდე-
ბოდა. თუმცა მზეს კი მინებდა დედაბერი: თხელი ღამის პერანგისამარა გამო-
ვიდა გარეთ, გაითოშა და აუხწი, ალივა მოღწეული სითბოც კი ეამებოდა. ხე-
ნომ არ იყო — ასე თუ ისე მაინც ადამიანია, სხეული კი თურმე ჭერ ისევ არჩე-

ვდა სიცივესა და სითბოს. და მაინც ეს დღე ზედმეტად ეჩვენებოდა, უცხოდ, თავიდანვე არ ეწადა მისი გათენება და უფროსოდა კიდევ: ღამით თუ არ აღი-
სეს სიკვდილი, მაშასადამე, კიდევ რაღაც დარჩენოდა გადასატანი.  ~~მეტი~~ ასე
არ დატოვებდნენ.

და იგი იჯდა, ელოდა.

წინკარში სათლი ახმაურდა — ნადია გამოვიდა. დედაბერს ~~მეტი~~ და
შეშინებულმა უკან დაიხია:

— დედა! — რძალი დედას ეძახდა, — აქ როგორ გაჩნდი?

დედაბერმა მიხედა და თავი დაუქნია: აქა ვარო.

— როგორ გამოხვედი?! ხომ გაიყინე, შინ შეგიყვან.

დედაბერმა უარის ნიშნად თავი გააქნია:

— აბა...

ნადია შინ შებრუნდა, მაგრამ ჯერ დედაბრის ლოგინს დახედა — მართლაც ცა-
რიელი იყო, — შემდეგ საკიდიდან დაბამბული ჯუბა ჩამოხსნა და დედაბერს გაუ-
ტანა.

— რამ მოგაფიქრა? — გონს ვერ მოსულიყო ნადია, — ყველას სძინავს, იქნებ
გავალვიძო?

— არა, — თქვა დედაბერმა, — წადი, მოწველე, აქ ვიჯდები.

ნადიამ ორჯერ თუ სამჯერ მოხედა დედაბერს — იჯდა!

მზე უკვე აშორდა ტყეს, კამკამა, მისთვის გამზადებულ სივრცეში ამოჰყო თავი
და აბლაც. გუშინ, გუშინწინ. ათი და ოცი წლისწინანდელივით ოდნავ მარჯვნივ
გადაფერდებულებო. ზამთრისპირის ძალმილეული მზე თვალს აღარ ჭრიდა. ბოს-
ტანში თითქოს უფრო იმატა ნამწვა, გაბრწყინებული, მიმზიდველად ლიკლიცე-
ბდა. სოფელი იღვიძებდა, სახურავზე ბოლი აცურდა, ორლობეში მძიმედ და
მაძლრად გამოიზლაზნა საქონელი, კარ-ჭიშკარი ახმაურდა, ისმოდა პირველი, დი-
ლით დავანებულ სიმუხდროვეში მკვეთრად გახმაინებული ბგერები.

და ამ ადრეულ, არასასტუმრო დროს, თითქოს მიწიდან ამოცვრაო, უეცრად
დედაბერს მირონიხა მოეკვლინა. მუდამ ფეხქვეშ მაცტერალმა მირონიხამ ღამის
პარმადიდან გადააგდო დედაბერი და გაოცებისაგან ხელი ხელს შემოჰკრა:

— შენა ხარ, ბებერო?

— მე, — უთხრა დედაბერმა, თითქოს მირონიხას არც მიმართავდა, მიმქრა-
ლი, სუსტი ხმა ჰქონდა: ჰკითხეს და უპასუხა.

— გამოფორობდი?

— გამოფორობდი.

— იქნებ მთაზეც წამომყვე, ბებერო? არ მოგვწყინდება.

— ვერ შევალე, აქაც ძლივს გამოვლოდდი.

— მე კი მოვრბოდი და ვფიქრობდი, ერთი ნადიას ვკითხავ, ჩემი ბებერი
როგორ არის-მეთქი. ეს კი ლოგინიდან წამომხტარა.

— არ მოგვკვდი, — თქვა დედაბერმა.

— გინოდა კი?

— მინდოდა.

— ჯერ ადრეა, ალბათ.

— რაღა ადრეა? — დედაბრის ხმაა დღეს პირველად დაეტყო გრინობა —
ნაწყენი იყო, — ბავშვები აქ არიან, დიდხანს ხომ არ დამიცდიან. სწორედ დრო-
ული იყო. არ გამოვიდა.

— ღვთის ნებაა, ბებერო, ყველაფერი ისე იქნება, როგორც ისურვებს.

— ვიფიქრე, მივფორობდები, დავენახვები სიკვდილს, თვითონ ველარ მპოუ-
ლობს, იქნებ ასე მაინც შემამჩნიოს-მეთქი.

— ზღაპრებს ნუ ყვები.

დედაბერს ეს სევდიანი საუბარი აღარ გაუგრძელებია. მირონიხა ღამით მას-
თან არ ყოფილა, ვერ გაუგებს. განა შესაძლებელია ვინმეს აუხსნას, რას განი-

ცდის ადამიანი სიკვდილის წინ, ან რას ფიქრობს შემდეგ, ოდეს აღსარებულს სიკვდილი მოატყუებს, ამიტომაც ჰკითხა:

— შეილება არაფერს გწერენ?

— გუშინ არ მკითხე? — გაოცდა მირონიხა.

— ის გუშინ იყო. დღეს იქნებ მოგწერეს, რა ვიცი?

— ჰო, მთელ ღამეს თვალი არ მოუხუჭავთ, რვეულს უკრუხუხუნებთ, ალბათ კი ვიცი, ამდენს რა წამაკითხება, — უბოროტოდ უთხრა მირონიხამ. თუმცა არც იმედი ეტყობოდა ხმაში, თავის თავს დასცინოდა, — დღეს რაღა მოეჩვენებოდათ?

— ადრე როგორ იყო, — თქვა დედაბერმა, — სადაც დაიბადებოდნენ, იქვე ცხოვრობდნენ, ახლა კი ადგილზე ვერ ეტევიან, დადიან, დადიან, რატო, რისთვის?

— ჩვენ რა გვესმია, ბებერო?

— იქნებ არც გვესმის, და მაინც, მე და შენ ორი უკანასკნელი უბებრესი ბებერი შემოვრჩით ამ ქვეყანას. მეტი აღარავინაა. ჩვენს შემდეგ ბებრებიც გადასვადრდებიან — მცოდნეები, ჭკვიანები და გაგებულები იქნებიან. რა ხდება ამქვეყნად? მე და შენ კი გზა აგვებნა. ახლა სხვა საუკუნე მოდის, არა საჩვენო.

— რა დაგეძარათა, ბებერო?

— ისე, არაფერი, აი დაიხსოვე ჩემი სიტყვა.

დადუმდნენ. მირონიხამ ამოიოხრა და წამოდგა:

— შენთან კარგია ყოფნა, ბებერო, მაგრამ უნდა წავიდე.

— ცოტაც შეიცადე.

— ძროხა კიდე არ გამოჩენილა, კაცები ამბობენ, მთაზე ვილაცის ორი ძროხა ბალახობსო. რა ჩარაა — უნდა მოვძებნო.

— მთაზე რა აგიყვანა, გოგო?

— მაინც წავალ. გასაგზავნი ვინ მყავს?

— დაეცეში.

— იქნება დავეცე კიდეც. რა მნიშვნელობა აქვს, სად ვიწეები. აქაც მარტო ვიქნები და იქაც. თუ ჩავწექი, წყლის მომწოდებელიც არავინ მყავს.

— თავად მიგეწერა.

— რა მივწერო? არ იციან, რომ სამოცდათხუთმეტმა მომიკაკუნა? არა, ბებერო, გინდა მიაწერე და გინდა არა... წერაც მე და შენ ერთნაირად გვებერნება. ისინი კი ალბათ, კარგად ცხოვრობენ, თუ არ ჩამოდიან და არც იწერებიან. ცუდად რომ იყვნენ, შემატყობინებდნენ.

— ჰო, შეგატყობინებდნენ.

— ეგრეა.

მირონიხამ ფეხი შეინაცვლა, უკვე ადგილზე ველარ ჩერდებოდა.

— იჯექი, ბებერო, გავიქცევი, იჯექი და არაფერზე იღარდო. როგორც კი დავბრუნდები, გნახავ. დავსხდეთ და ვიჭუჭუკოთ.

— არსად დაეცე.

გამოთხოვებისას დედაბერმა ხელი გაუწოდა, მირონიხა უცებ შეკრთა, უხერხულად ჩაქინდრა თავი და დედაბრის ხელი ლოყაზე მიიხუტა. დედაბერს ცრემლები წამოსცვივდა, წამოდგომა სცადა, მაგრამ მირონიხამ შეაჩერა და ჭიშკრისაქენ გაუტია. თავად ალბათ ეგონა, გამართული მიდიოდა, მიდიოდა კი არა, მირბოდა, სინამდვილეში კი ფეხის ყოველ გადადგმაზე იძაბებოდა. ემჩნეოდა, როგორ უშიშმდა ყოველი ნაბიჯი.

დედაბერმა ცრემლი შეიწმინდა და გაიფიქრა, ეგებ ამიტომაც არ მოკვდა ღამით, რომ მირონიხას, თავის ერთადერთ მეგობარს არ გამოთხოვებია, არ მოკვდა, რადგან ახლანდელი შეგრძნება არ ჰქონდა — ამ ქველისძველი, ერთგული მეგობრის ცხადი და ნათელი დასასრულის შეგრძნება.

დედაბერმა უკვე იცოდა: მეტად ველარ ნახავდნენ ერთმანეთს.

იძულებული იყო ერთი დღეც ეცოცხლა, ზედმეტი ერთი დღე.

შინ ნადიამ შეიყვანა, შეიყვანა კი არა, ხელში ატატებული შეისვენა: დედაბერს მუხლები აღარ ემოთჩილებოდა. იგი ისევ ლოგინში იწვა, სევდრანად, დამნაშავედ იცქირებოდა და აყურადებდა. უკვე წართმეოდა ყველა უფლება, ხედვა, ლაპარაკი თუ სუნთქვა, ყველაფერი მოძარულს ჰგავდა. გაუფრთხილებელ კტუმრებს ნადიამ აუწყა, რომ დედა სხვის დაუხმარებლად გასულიყო პარკულაში, მვილებმა ივიშვაშეს, ოთხრეს, გახარებულებმა გაიოცეს, — წუთი წუთს უმჯობესდებო, — შერე ნელ-ნელა მიმოიფანტნენ და დედაბერი ისევ მარტო დარჩა. წარამარა კი შემოყოფდნენ თავს კარის ღრიჭოში, ხან ლუსია შემოიხედავდა, ხან ილია, ხან ნადია, მაგრამ მხოლოდ შემოხედვას ჯერდებოდნენ და იმავე წამს გადიოდნენ. ილიამ იხუმრა. მაღე ალბათ საცეკვაოდ წამოდგება დედაჩვენი და ასლა დაგვრჩენია, ტაში დავუკრათო, ხუმრობა მოეწონათ, ლუსიამაც გაუღიმა, სოფელში ენის მოსაქავებლად გასულმა ვარვარამ კი ყველას აუწყა დედის გამოკეთების ამბავი. ილია უკვე შეხურებულიყო, მელოტი თავი გავარვარებოდა და თითქოს ანათებდა, თვალებიც მოულოდნელი, განწირული მხიარულებით უელავდა. ერთი სული ჰქონდა რაღაც ეკეთებინა, რაღაცაში მიეღო მონაწილეობა, მაგრამ საქმეს ვერ პოულობდა, ამიტომაც წარამარა შედიოდა დედასთან და ერთი და იგივეს ეკითხებოდა:

— წევხარ დედი? იწექი, იწექი, დაისვენე, ცეკვას თუ დააპირებ, აუცილებლად დაგვიძახე, შემოგხედავთ — ჰო. ვიცი, ვიცი, ცეკვას რომ აპირებ, უარს ნუ ამბობ.

დედაბერი მხოლოდ დამფრთხალი, მავედრებელი მზერით პასუხობდა.

ყველაზე გვიან, როცა დედაბერი მარტო დარჩა, მიხეილი ეწვია. იმავე ადგილას ჩამოჯდა, მაგიდასთან, გუშინ, ჩხუბის დაწყებამდე რომ იჯდა, პაპიროსს მოუკიდა და აჩქარებით, ხარბად ჩაისუნთქა ბოლი. სახეზე უჩვეულო, ავადმყოფურად შავი ფერი ედო, თვალები დასიებოდა. იგი ეწეოდა და მხრებზე დაწოლილი სიმძიმისაგან ოხვრით იოხებდა სულს. ჟამიჯამ დედას გახედავდა ხოლმე, თითქმის რაღაცას ელოდა. რაღაც ეიმედებოდა. ბოლმა დედაბრის საწოლთანაც მიაღწია, მან მკერდზე იტაცა ხელი და ლამის დააღრჩო მოძალებულმა ხველამ: მშრალი, დაძაბული ხიხინი ყელს უგლეჯდა, მიხეილმა სასწრაფოდ ჩააქრო პაპიროსი და გავიდა. სიტყვაც ვერ უთხრეს ერთმანეთს.

ცოტა გვიან, როცა ხველა დაუცხრა და ნინკა შემოვიდა, დედაბერი მაშინვე გამოეხმაურა, ხელი ასწია. მხრებზე მიეფერა გოგონას, თითქოს გათბა უსაყვარლესი ბავშვის სხეულიდან მონადენი ამ სასიამოვნო სითბოთი, თვალიც კი დახუჭა — ნეტარებით.

ნინკამ უცებ ჰკითხა:

— შენი დეიდა ლუსია მარტყუარაა და მეტი არაფერი?

— რატომ? — გონს მოეგო დედაბერი.

— მატყუარაა. ხო შემპირდა, კამფეტებს გიყიდო? შემპირდა. ყველამ გაიგო. თვითონ კი არ მიყიდა. ჰოდა, მატყუარაა.

— უთხარი, რო გიყიდოს.

— აბა კი. მეშინია. შენ უთხარი.

— რისი გეშინია? ხო არ გიკბენს?

— არ გიკბენს, მაგრამ მაინც მეშინია. შემომხედავს და მეშინია. ნუ მიყურებს.

— სისულელეებს ამბობ.

— მოდი, დავუძახებ და შენ უთხარი, — არ ეშვებოდა ნინკა.

— რად გინდა კამფეტები? ეგებ გუშინ პირი გამოიწვი, იმდენი წუწნე.

ნაწყენი ნინკა დედაბერს გაერიდა.

— შენც კი გეშინია, — გამოაჯავრა მან, — რომ არ გეშინოდეს, ეტყოდი. მშიშარა ხარ და მეტი არაფერი.

დედაბერს გაღიმება სურდა. მაგრამ ღიმილი არ გამოუვიდა, მხოლოდ ოდნავ შეერხა ტუჩები.

ალბათ მაინც ჩათვლიმა, რადგან არ გაუგია ლუსიას შემოსვლა, თვალი გაახილა — ლუსია იდგა, უყურებდა, რაღაცას ეძებდა. დედის თვალებს წააწყდა და ჰკითხა:

— თავს როგორ გრძნობ, დედა?

— არა მიშავს, — თქვა დედაბერმა, არ იცოდა რა ეპასუხა. სწრაფად გასცლოდა იმ ზღვარს, როცა კარგად თუ ცუდად გრძნობენ თავს, თუმცა სწრაფად, სიკოცხლეში ნაკლებ ერკვეოდა ამაში. უფრო ჯანმრთელობას, ან ავადმყოფობას არჩევდა, დაქანცულობას თუ ძალას, შეძლებასა თუ შეუცვლელობას.

— გუშინდელზე უკეთ ხარ? — ჩაეძია ლუსია.

— მიხეილს შეურიგდი, — უცრად სთხოვა დედაბერმა. — შეურიგდი. ერთმანეთს ნუ წაეკიდებით. ჩემი ბრალია: უდროოდროს ვუსაყვედურე. იმანაც ვედარ მოითმინა, ეწყინა. ახლა თვითონვე ნანობს.

— იმას ეწყინა და მე არა, — ჩაიციხა ლუსიამ, — საინტერესოა, ათასი საზიზღრობა გველაპარაკა და ახლა ისევ მე უნდა ვებოდიშო. რას იგონებ, დედა? თუ შეიძლება, ნუ იცავ, ახლა სულაც არ მსურს ამ საკითხის განხილვა, მეც გამაჩნია გრძნობები, რასაც პატივს ვცემ და მინდა, რომ სხვებმაც პატივი სცენ.

დედაბერი დაიბნა.

— მიხეილს კი არ ვამართლებ, — აუხსნა მან, — არა, არა, ის სხვაა, შენ კი ახვა. რაა იზამ? ააეთია თუ იაეთი, მაინც შენი ამაა. მეც როგორიც ვარ — დედა ვარ თქვენი — შენიც და იმისიც. ძალიან მინდა, რომ ტკბილად იყოთ, შეურიგდი. ლუსია, შემიბრაღე. არ, შერიგდებით და მეც გულზე მომეშვება. ახლა მხოლოდ ეძღა მავალებს.

— არ მოგბეზრდა ამაზე ლაპარაკი? უკვე ჯანმრთელი, ნორმალური ადამიანი ხარ, წამოდგომაც შეიძელი და მაინც ერთი და იგივეს გაიძახი. ნუთუ სხვა სალაპარაკო არა გაქვს?

ისევ ნინკა შემოებორიალდა — სრულიად უადგილოდ.

— წადი, გაისეირნე. გაისეირნე ცოტა ხანს, — უბიძგა დედაბერმა და მოიშორა, — წადი, მერე მოხვალ, დაგელოდები.

— შენი დეიდა ლუსია მატყუარაა და მეტი არაფერი, — ჭიუტად დაიყინა ნინკამ და ლუსიას ცერად გადახედა.

დედაბერს ახვა აღარაფერი დარჩენოდა, უნდა ეკითხა:

— რატომ?

— ხო შემპირდა, კამფეტებს გაყიდო? შემპირდა. ყველამ გაიგო. მაინც არ მიყიდა, მატყუარაა.

— ეს რას ჰგავს?! — გაოცდა ლუსია, — ასე რატომ მელაპარაკები?

— მე ბებიაა ველაპარაკები, შენ რატო გვისმენ?

— საინტერესოა, ვინ მოგცა უფლება „შენობით“ მელაპარაკო? შენი მეგობარი ვარ? განა არ იცი, უფროაებს რომ „თქვენობით“ უნდა მიმართო? არ გასწავლეს?

ბოდიში მოიხადე, — უკუჩქულა დედაბერმა.

— პო, — თქვა ნინკამ და აქშუტუნდა, სატირლად მოემზადა.

— ოღონდ ტირილი არ გაბედო, — დაასწრო ლუსიამ. — შენი ცრემლის არავის სჯერა, თურმე რა უზრდელი გოგო ყოფილხარ. არ მიყვარს უზრდელი ბავშვები. არც ის მიყვარს. ასე რომ მელაპარაკებიან. ხედავ, როგორ გათავხედებულა!

— მეტი აღარ იზამს. — ფრთხილად შეაშველა აიტყვა დედაბერმა.

— მოიცა, დედა, კარგად კი გაგზრდილია: მეტს აღარ იზამს და მორჩა. მითხრას, ასე რატომ იქცევა. მალე უარესს გეტყვით, აი ნახავთ, — ლუსია ნინკას მიუბრუნდა. — თუ ძალიან გინდა, რა თქმა უნდა, გაყიდი კამფეტებს, — უთხრა მან, — მაგრამ ეს საჩუქარი კი არ უქნება. არამედ გამოძალვა. იცი, რა არის გამოძალვა?

ნინკამ სასწრაფოდ დაუქნია თავი, თავისას მაინც მიიღწია — უყიდიან.

ლუსია გავიდა და ფრთაშესხმული ნინკა აედევნა. ალბათ გადაწყვიტა ჰიშკართან დადარაჯებოდა, ან მაღაზიაში გაყოლოდა და იქ ყველას დასანახად, ხელსაყრელ დროს გამომშვრალიყო ხალხიდან და ვიტრინისათვის ეტაკა თითქმის — დეიდა ლუსია, აი, ეს მიყიდე, ეს მიყვარს.

არსად დაიკარგება — არც დედას ჰგავს და არც მამას.

დედაბერი ისევ გაითანგა, საკუთარ თავში გაიბნა და როცა გამოფხიზლდა, ოთახი სანახევროდ მზით იყო სავსე. იგი შიშით და წადილით შესცქეროდა მზეს, სურდა მალე მიხლოვებოდა მის საწოლს. ასე ეგონა, რომ დღეს ოდეს წართმეული ჰქონდა სიცოცხლის უფლება, აიხსნებოდა იდუმალი, ის, რაც სიცოცხლეში არავინ უწყობდა. დედაბერი იატაკზე დაღვრილი მზის ფართო, თაგარა ლაქას უცქეროდა დაბნეული და იმედოვნებდა, რამე ნახატი ამოეცნო, ან ყოვლისმომცველი ხმა გაეგო. ჭერ არაფერი ჩანდა, მაგრამ მზე თანდათან უახლოვდებოდა დედაბერს, მარჯვნიდან აცოცდებოდა საწოლს, მდუმარე, გამჭოლ შუქში ძლივს დაოკებული, მზიარული, დრეკადი ძალა იგრძნობოდა და დედაბერს უცებ იმედი მიეცა, რომ მზე თოვლისაგან შეკოწიწებულ ჭინჭებში გახვეული, ფაშარი სათამაშოსავით გააღებოდა მის სხეულს. გათბება, მოიღერებდა და შეუმჩნევლად გაიღვება, გაიღვება. ხალხი მოვა და საწოლი ცარიელი დაუხვდებათ. იფიქრებენ, ისევ ეზოში გასულაო. დედაბერმა ასეც გაიფიქრა: ხალხი, საკუთარი და უცხო არ გაუცალკევებია.

მზე, როგორც იქნა, საწოლზე აფორთხდა, დედაბერმა ხელი შეუშვირა და მთელი სხეულისათვის შეიგროვა სითბო. თითქოს სითბოსთან ერთად სისუსტეც ჩაეღვარა სხეულში, მაგრამ არ შეშინებია, იმდენად ლბილი და ნეტარი იყო ეს უძლეურობა. ძილი არ უნდოდა მხოლოდ. დე, ცხადლივ იგრძნოს ყველაფერი.

შორიახლოს ვარვარა ვილაყას გაეხმაურა და უეცრად დედაბერს დავიწყებული ამოუტივტივდა გონებაში. სხეულიდან გაჭირვებით გამოიწურა ბგერები და ვარვარას უხმო, მაგრამ არავინ გამოპასუხებია: ძაბილი ძალზე უღონო იყო და შორს არ წასულა. დედაბერმა ხელახლა უხმო, ამჯერად ხმამაღლა. ვარვარამაც გაიგონა და მოვიდა:

— რაო, დედა?

— დაჯექი, — დედაბერმა საწოლზე მიუთითა. ვარვარა დაჯდა.

— რაო, დედა?

— მოიცა, — დედაბერმა ძალა მოიკრიბა, — მოვკვდები...

— ასე ნუ ლაპარაკობ, დედა.

— მოვკვდები, — გაიმეორა დედაბერმა და დასძინა, — შენ უნდა დამიტყუო.

— რაო?

— დამიტყუო. ესენი არ იზამენ. ახლა არც ბავშვის დარწმუნება იციან და არც დატირება — ყველაფერი დაივიწყეს. შენი იმედილა მაქვს. გასწავლი. ტირილი გეხერხება, მოთქმით უნდა იტყუო.

ვარვარა მიხვდა, სახეზე შიში აესახა.

— აი, მომისმინე, დედაჩემი ასე გავაცვილე, შენც დამიტყუე, არ შეგერცხვეს. ისინი არ იზამენ, — დედაბერმა ამოიოხრა, თვალი მილულა, შორეული, მივიწყებული სიტყვები მოიწესრიგა ხსოვნაში და წვრილი, გაბმული ხმით დაიწყო: — ჩემო ძვირფასო და ყელყარყარა დედა...

— დედააა! — ვარვარამ თავი გადაიქნია, თითქოს უარს ამბობდა და ატირდა.

— ნუ ღრიალებ, — შეაჩერა დედაბერმა, — მოისმინე, ჭერ ისწავლე. ახლა ტირილი არ მჭირდება. ჭერ აქა ვარ, ცრემლი ხვალისთვის შემოინახე. ვინმე შემოგვისწრებს და შეგვაწყვეტინებენ. მოდი, ჩუმად.

შეიკადა, ვიდრე ვარვარა დამშვიდდებოდა და ხელახლა დაიწყო:

— ჩემო ძვირფასო და ყელყარყარა დედა...

- ჩემო ძვირფასო და ყელყარყარა დედა, — მოთქმით გაიმეორა ვარვარამ.
- საით მიხვალ, ნეტავ?
- საით მიხვალ, ნეტავ?

დედაბერი ლოგინში წამოჯდა, დაამშვიდებლად მხარზე ხელი მოხვია ვარვარას, ხმა დაუჩინებელი, ძლიერი გაუხდა:

შორეულ გამოუცნობ მხარეს,
ყველამ რომ იარა, იმ გზით,
ღვთისმშობლის ეკლესიისაკენ,
ზარების მწუხარე რეკვისაკენ,
სულთათანისაკენ.

ღვთისმშობლის ეკლესიიდან კი
ჩვენს მშობელ, ნესტიან მიწაში
შენი გვარტომის მიუხედავ წინაპარს.

მზიანი, თბილი და ლაღი დღე მიღვრობდა, ჰაერში ის განსაკუთრებული, მწველი ზეგატი იდგა. ნათელი შემოდგომა დასაწყისში რომ იცის ხოლმე, ცალურჯი იყო, ღია-ლურჯი, მხოლოდ მდინარის გაღმა, სადაც საღამოობით მზე ჩადიოდა, ცის კიდურს კვამლიაფერი, ერთი შეხედვით უწყინარი ნაყში მოსდებოდა, მარცხნივ კი, თითქოს თვალით აატყობოდა წამოგზავნილი მალლა-მალლა მიიწევდა ეული, გამჭვირვალე ღრუბელი. თავს ზემოთ თეთრად ქათქათებდა ზეცა და ამ ღრმა, უკიდურესო სიმშვიდის ქვეშ მსუბუქად და მორჩილად განრთხმულიყო მზით გასხივოსნებული დედამიწა.

მიხეილი კარგა ხანია აბანოში იტანჯებოდა. იდაყვს დაყრდნობოდა და ერთიმეორის მოყოლებით ექაჩებოდა პაპიროსს. ილია გვერდით მიუჯდა, დაინტერესდა:

— დღეს არ გამოსულხარ?

მიხეილმა თავი გაიქნია.

— მე კი გადავხუხე უკვე. ისე, ხასიათზე მოსასვლელად. გაიგე, დედა ფეხზე წამოდგა.

— გავიგე.

— მალე იცეკვებს კიდევ. პო. იქნებ წამეყვანა? — მან გაიცინა და განაგრძო, — ხომ არ დაგველია ცოტა? აქვეა, შორს წასვლა არ დაგვჭირდება.

— არა, — უპასუხა მიხეილმა, — საკმარისია. გუშინ ვიგიჟეთ და გვეყო.

— პო. გუშინ ზედმეტი მოგივიდა, ყველას დაგვერიე, დედასაც ეჩხუბე.

— მე არ მიჩხუბია.

— ის კი ძალიან გაბრაზდა შენზე, — პო. განსაკუთრებით ტანჩორას გამო მზად იყო ეცემე. ეგრეთ. — ისევ გაიცინა და უცებ პკითხა, — მოიცა, როდის მოასწარი ტანჩორასათვის დეპეშის გაგზავნა? ეს დღეები ხომ აუღ შენთან ვიყავი, გვერდიდან არ მოგშორებივარ. როდის მოახერხე?

მიხეილმა ნამწვავი წკიბურტით მოისროლა, ერთხან უყურა აკრიახებულ ქათმებს, ფართხა-ფურთხით რომ წაესიენ პაპიროსს, მერე მმას თვალი გაუსწორა:

— დეპეშა არც გამიგზავნია. — უთხრა.

— როგორ თუ არ გაგიგზავნია?

— ასე.

— აკი გუშინ თქვი გავაგზავნეო? მაგის გამო იტყდა ის აურზაური. არ გაბსოვს?

— როგორ არ მახსოვს? მახსოვს. ეგრე რომ არ მეთქვა, იცი, რა მოუვიდოდა დედას? სჯობდა მომეტყუებინა, იქნებ აღარ დალოდებოდა მაინც.

— ჰო... ჰო, მაგრამ ტანჩოროს სადღაა?

— რა ვიცი.

— ჰო! აი ოინი!

— ოლონდ არ გამთქვა, ეგრე ეგონოთ, — აჩქარვით წაიხურა მისი კარები.

ჭიშკრიდან ლუსია მოდიოდა. მან თავი ჩაქინდრა. ახლა დაიწყება. ყველაფერს ერთად გაუხანებენ, ყველაფერს. ახლა აზრი არა აქვს მის შერცხვენას, მერე თავადვე შეაწუხებს სინდისი და ეს უფრო სასარგებლო იქნება, ლუსიას საყვედურების მოსწონება კი საზოგადოებას — ეშმაკსაც წაუღია ყველა! იაე-დაც გასაქცევად აქვს საქმე.

— ილია! — შორიდანვე დაიძახა ლუსიამ, დაძახებული და აღელვებული სახე ჰქონდა, თითქოს რაღაც მომხდარიყო. ის არ თქვა, რისიც მიხეილის ეშინოდა, — ილია, იცი დღეს გემი მიდის, მალე ჩამოდგება. მომდევნო კი მხოლოდ სამი დღის შემდეგ მოვა.

ილია დაბნეული წამოდგა.

— რა ვქნათ?

— შენ იცი. მე კი უნდა წავიდე. დარჩენა აღარ შემიძლია.

— უნდა წავიდეთ, — თავი დაუქნია ილიამ და მიხეილს გახედა, — დედა თითქოს გამოკეთდა.

— დაგეცადათ, — ფრთხილად შეაპარა მიხეილმა. არავინ უბასუხა.

ყველანი ერთად შევიდნენ შინ, მერე დედაბრის ოთახში და უეცრად გახევდნენ. ვარვარა დედისაკენ გადახრილიყო, თითქოს ზედ დამხობოდა, სლუკუნებდა, დედაბერს კი თვალები დაეხუჭა და რაღაც საზარელ, გულისგამგმირავ მელოდიას ჰღეროდა. სახეზე ნათელი ედგა. მათ ყური მიუგდეს და სიტყვებიც გაარჩიეს — ალერსიანი, უიმედო და თან, თითქოს პირაღმა ამოტრიალებული სიტყვები, ერთადერთი და უჩვეულო აზრი რომ ჰქონდა:

ჩემო ყელყარყარა, ძვირფასო დედა.

მაგ მზერით გაცვითე მინები სარკმლის —

ჯდომით გაცვითე სკამი,

გაცვითე მუხის იატაკი — სიარულით.

— რა ზღება? — ხმამაღლა და დაცინვით იკითხა ლუსიამ, — რა კონცერტი გაიმართავთ?

ვარვარა და დედაბერი ერთად დადუმდნენ. ვარვარა წამოხტა, დედაზე მიუთითა.

— აი, დედიკო...

— ვხედავ, რომ მამიკო არ არის, — გადაიხარხარა ილიამ.

— მოვკვდები, — საბრალოდ წაილულლულა დედაბერმა.

— დედა, თავი ნუ მოგვაბეზრე სიკვდილზე ლაპარაკით. რაც ჩამოვედით, სულ ერთიდაიგივეს გაიძახი. როგორ გგონია, გვსიამოვნებს? ბოლოს და ბოლოს ყველაფერს საზღვარი აქვს. ჯერ უნდა იცოცხო და იცოცხო, შენ კი რა-ღაცებს იგონებ. ასე ზომ არ შეიძლება?

— ას წლამდე, დედა, აუცილებლად, ჰო, — მხარი აუბა ილიამ.

დედაბერი სადღაც კედელს მისჩერებოდა და დუმდა.

— თითქოს გამოკეთდი უკვე, ჰოდა იცოცხლე, გაიხარე, ჩვენც ვაგვახარე და სიკვდილამდე თავს ნუ ისამარებ. ცოცხალი, ნორმალური ადამიანი ხარ, რაღა გინდა. — ლუსიამ ცოტა ხანს შეიცადა და აღერსიანი ხმით უთხრა, ჩვენ კი დღეს უნდა წავიდეთ. სხვა გზა არა გვაქვს, დედა.

— რას ამბობთ?! — იყვირა ვარვარამ.

დედაბერმა ურწმუნოდ, გაოგნებით გაიქნია თავი.

— ასეა საჭირო, დედა, — რბილად, მაგრამ დაჟინებით გაიმეორა ლუსიამ და გაილიმა, — დღეს გემია, მომდევნო კი სამი დღის შემდეგ მოვა. ამდენ ხანს ვერ გავჩერდებით.

— არა, არა, — ამოიკვნესა დედაბერმა.

— დღეს დედის დატოვება არ შეიძლება, — განერვიულდა ვარვარა, — მტრებივით ექცევით, დაფიქრდით, არ შეიძლება.

— ერთი დღე მაინც მოგეცადათ — სიტყვა შეაშველა მიხეილმა.

— დედა, ჩვენ ხომ თავისუფალი ხალხი არა ვართ რაც გვინდა, ის ვაკეთოთ? — ამშვიდებდა ლუსია, — ჩვენ ვმუშაობთ, სიამოვნებით ვიცხოვრებდით აქ თუნდაც ერთ კვირას, მაგრამ სამსახურში რა ვთქვა? შვებულებაში ხომ არა ვარ? გაგვიგე და ნუ გვიწყენ, ასეა საჭირო.

დედაბერი ატირდა, ხან ლუსიააყენ აბრუნებდა სახეს, ხან ილიასაყენ:

— მოვკვდები, მოვკვდები, აი, ნახაეთ, დღესვე მოვკვდები. ცოტაც მოიცადეთ, ცოტაც, მეტი არაფერი მინდა, ლუსია! შენც, ილია! მოიცადეთ, გეუბნებით, მოვკვდები, მართლა მოვკვდები.

— ისევ იმაზე ლაპარაკობ, ჩვენ სიცოცხლეზე გელაპარაკებით. შენ კი სიკვდილი დაგიყენია. არ მოკვდები, ამაზე ნულა ლაპარაკობ. კიდევ დიდხანს იცოცხლებ, ძალიან მიხარია რომ მოგინახულე, ახლა კი წასვლის დროა. ზაფხულში ისევ ჩამოვალთ, აუცილებლად ჩამოვალთ, პირობას გაძლევთ. ასე პაიპარად კი არა, დიდი ხნით.

— რატომ ზაფხულში! — ჩაერია ილია, — ზაფხულში კი არა, უფრო ადრეც ჩამოვალთ. დედა მუხლს გაიმართავს და იქნებ თვითონაც გვესტუმროს. ჩამოდი დედა, ცირკში წაგიყვანთ, ცირკის გვერდით გცხოვრობ. იქ ჯამბაზები არიან. ძალიან მოგეწონება.

— ერთი დღით ადრე წახვალთ თუ ერთი დღით გვიან, რა განსხვავებაა? — და-ძმის შეკავება სცადა მიხეილმა.

ლუსია წამოგნთო:

— შენთან ამ საკითხის განხილვას არ ვაპირებ. ალბათ შენზე უკეთ ვიცი, რა განსხვავებაა. იქნებ გუშინდელივით აპირებ, დედა გამატანო, მაგიტომ დავიცადო?

— არა, არ ვაპირებ.

— ამაზეც მადლობელი ვარ.

დაფაცურდნენ, აჩქარებით, უხერხულად ემზადებოდნენ. დედაბერი აღარ ტიროდა, თითქოს გახევდა, უსიციცხლო და მორჩილი გამომეტყველება დაეყონა სახეზე. რაღაცას ეუბნებოდნენ, ის კი ხმას ვეღარ იღებდა. ხოვანამიმკრალი, მარტოოდენ თვალებით შესცქეროდა ამ აურზაურს.

ნადიამ მოირბინა, უნდოდა წასვლის წინ მაგიდა გაეშალა, მაგრამ არ დაანებეს. ჯამბაზთვის არ ეცალათ. ილიამ მიხეილს წასჩურჩულა:

— იქნებ დავლიოთ? ერთი ჭიქა — ჰო.

— არა, — უთხრა მიხეილმა, — არ მინდა.

ვარვარას დანაპირები გაახსენდა და ხმამაღლა უთხრა ლუსიას:

— კაბა?

— რა?

— აქ რომ შეიკერე, ის კაბა. ავი შემპირდი, დაგიტოვებო. ლუსიამ ჩემოდნიდან კაბა ამოიღო და ზიზლით ეაროლა.

წასვლის წინ, მოულოდნელად ვარვარაც დაფაცურდა:

— თუ ეგრეა, მეც წავალ. ყველა მიდის და მე რაღა დამრჩენია. ერთად არ მოვიწყენთ მაინც.

— ვარვარა, — ძლივს გასაგონად ამოიკვნესა დედაბერმა.

— დედიკო, მეშინია, უჩემოდ სახლი არ გადაწვან, იმათი მარტო დატოვება არაფრით არ შეიძლება. რაღაცას მოიწყევენ.

— წადი, — ხელი ჩაიჭნია მიხეილმა, — ყველა წადით.

ერთმანეთს გამოეთხოვეს. ლუსიამ ლოყაზე აკოცა დედას, ილიამ ხელი ჩამოართვა. ვარვარა ატირდა:

— გამოგანმრთელდი, დედა, სიკვდილზე არც იფიქრო.

— ყოჩაღი დედა გვყევხარ.

— მალე ჩამოვალ, იქნებ იმ კვირასაც შევიძლო.

მიხეილი გასაცილებლად გაჰყვა. დედაბერს ესმოდა, როგორ გახშიანდა ნაბიჯები ფანჯრის მიღმა, ილიამ რაღაც თქვა და გაიცინა, შემდეგ ყველაფერი მიჩუმდა და დედაბერმა თვალი დახუჭა.

ნინკამ შეანჯღრია.

— აილე, ბებო, — შვილიშვილმა კამფეტი გაუწოდა. დედაბერმა ხელი აუკრა.

— ცუდები არიან, — ბებია შეიბრალა ნინკამ.

დედაბერს ტუჩები შეერხა — გაიღიმა თუ ჩაიჭირქილა.

მალე მიხეილი უკან მობრუნდა და გვერდით მიუჯდა:

— არა უშავს, დედა, — უთხრა დიდი ხნის დუმილის შემდეგ და ამოიოხრა: —

არა უშავს, ავითანთ, ვიცხოვროთ, როგორც გვიცხოვრია. ნუ მიბრახდები, სულელი ვარ, ეჰ, რა სულელი ვარ, — ამოიკვნესა მან და წამოდგა, — იწექი, დედა, იწექი და ნუ ინერვიულებ. ძალიანაც ნუ გამიბრახდები, სულელი ვარ.

დედაბერი უპასუხოდ უსმენდა და უკვე აღარ იცოდა, შეეძლო პასუხის გაცემა თუ არა. თანდათანობით თანგავდა ძილი, თვალები ეხუჭებოდა. შებინდებამდე კიდევ რამდენჯერმე გაახილა თვალი, მაგრამ მცირე ხნით, მხოლოდ იმისათვის, რომ გაეხსენებინა, სად იყო.

ღამით მოკვდა დედაბერი.

ფოთის ანგულისი

პირველი წვიმა

გადააშორა პირველმა წვიმამ
სასაფლაოს ეკვებს მტვერი ნადები,
ნანა უმღერა,
მიაძინა სახურავზე სევდა უძილო,
გააგრილა და გაანედლა ჩემი ფიქრები,
როგორც თივა ღია საბძელში.

მადლობა შენდა, ჟუჟუნა წვიმავ,
რომ აწკრილდი გვიმრის ფოთლებზე
და შეატოვე ჩემი გული, დადუნებული, —
შემოდგომიდან გამოყოლილ სუსხით და დარდით.
...რა ტკბილი არის მოგონებები,
როს სიხარული კაცს გაეცლება.

მომავლიან

ყველა გემი გადაიკარგა,
ტრაგიკულად დაიღუპა ყველა მათგანი.
მაგრამ მე მაინც მიმეღიან,
მიმეღიან ქალაქებში, რომლებმაც სული
დამიაგადეს ნოსტალგიის უჭკნობი სენით.

რას მიყურებთ,
ჩუმად ვქარგავ
იებჩანულ ჩემს საგალობლებს
და დასავლეთის ღრუბლებს ვართავ,
მუნამულ ღრუბლებს,
მსურს რომ ავიგო გემები და ფრთები შევისხა.

მეცხე კასოლასი

განმეორება

ამ შიშველ კონცხზე,
უთვალავი საუკუნეა,
ერთი და იგივე ტრაგედია
ჩაფრენილია
იგივე სახეებს,
იგივე ტანსაცმელს
და ხმებს იგივეს.
იგივე ყვირილით,
იგივე მოთქმით...
შიშის გარეშე,
შენწყალების,
განმმენდის გარეშე.
კიდევ:

ყველა მხარე, თუ ლამაზია, — ტრაგიკულია,
თავისუფლება — წყაროა სისხლის.

მე ვეკითხები ჩემს თავს

მე ვეკითხები ჩემს თავს ხანდახან, როცა ამ დაბალ სახლთან
ვდგავარ:
რამდენი ნგრევა და კატასტროფა, რა მკვლელობა და რა
ბოროტება
არ განუცდია აქაურობას, ყოველ ნაკიან წელს დამთხვეული.
და მაინც ისევ როგორ აშენდა კვლავ ეს სახლები,
ეს კვარტალები?
რა ვაჟკაცობა ჰქონდათ, რა რწმენა, ანდა რამ შობა და რამ
გაზარდა
ბერძნულ სახელით და ბერძნულ გვარით,
ეს აცვენილი ნაგიჟარები?
ვითლა იხდიან დღესასწაულებს,
ქორწილებს,
ანდა როგორ მღერიან
ბერძნები კვლავაც თავის სიმღერებს,
სიკვდილ-სიცოცხლეს, თავისუფლებას და სილამაზეს რომ
შეეხება.
როგორ არის რომ ისევ ბერძნულად ლაპარაკობენ ისევ
ბერძნები,
ასობით წელი ქედზე რომ ედგათ მონის უღელი გაუცვეთელი!
ოხ! ჩემო მიწავ, ჩემო სამშობლოვ, ფესვებო მძლავრო და
დატოტვილო, როდის იქნება, რომ ამოიყრი!



ლია ბარათი

ჩემო მეგობარო,
 დღეს სიკვდილი ტრაგედიადად როდი ითვლება,
 იგი ხომ ასე იოლი და
 ძველთაძველი ამბავი არის.
 ჩემო მეგობარო,
 ცხოვრებაა დღეს ტრაგედია,
 თუმცა მასაც გაუძლებს კაცი,
 ცოტაოდენი მოხერხება თუ გააჩნია.
 ისიც ხომ ასე იოლი და
 ძველთაძველი ამბავი არის.
 ჩემო მეგობარო,
 ტრაგედია დღეს გაძლებაა,
 იგი ხომ არც იოლია
 და არც ძველთაძველი ამბავი.
 ასე რომ, დიდი ხნის გაძლებას გისურვებ,
 „მრავალ ახალ წელს!“



ხრისა პროპოვაკი

* *

შენ რა, არ გძინავს?
 არც შენ?
 არა, რაღაც არ მეძინება. სიზმრებსა ვხედავ.
 რასა ხედავ?
 არ ვიცი, აზრი ვერ გამომაქვს!
 შენ რაღას ხედავ?
 შავი კატა ზედ ჩემს მკერდზე მშობიარობს, ვიცილებ.
 ის კი ბრწყინებით ჩამფრენია. ტყავიანად გადავიგლიჯე.
 კიდეც?
 კაცსა ვხედავ.
 მას განუწყვეტილად მოაქვს ჩემთვის წერილები. წერილები
 იმისაგან. ვხსნი. ცარიელი ქაღალდია. კაცი ხარხარებს:
 უბედური შემთხვევააო, მეუბნება. არა-მეთქი, ტყუი-მე-
 თქი, ვყვირი ხმამაღლა. ის პირს მიმუნავს. ტყუი-მეთქი.
 უბედური შემთხვევა არის. მან კედელთან მიმიმწყვდია და თი-
 თები ყელში ჩამასო.
 კიდეც?
 ზღვასა ვხედავ. ხლოროფორმის სუნი რომ უდის.
 უკაცრიელ კუნძულს ვხედავ.
 და მწვერვალზე აღმართულ ხის ჯვარს.

□



რომანი

თარგმნა თამარ აბრამიშვილმა

I

ფრიად იდუმალი ამბები მოხდა წარსულ ზაფხულს ნორვეგიის პატარა, ზღვისპირა ქალაქში. ერთ მშვენიერ დღეს, სრულიად მოულოდნელად, უცნაური კაცი გამოჩნდა, ვინმე ნაგელი: ენა ვერ იტყვის, ისე ააფორიაქა ამ კაცმა მთელი ქალაქი და მერე ანაზღად გაუჩინარდა. ერთხელ საიდუმლოებით მოცული ახალგაზრდა მანდილოსანიც კი ეწვია, არავინ იცოდა, რა საქმე ჰქონდა, მაგრამ ორიოდ საათის შემდეგ უკან გაემგზავრა. ჩანს, მეტხანს დაყოვნება აღარ შეეძლო. თუმცა ეს ამბავი ამით არ დაწყებულა.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ სალამოს ექვსი საათისთვის ნავსადგურს თბომავალი მოადგა. გემბანზე რამდენიმე მგზავრი გამოვიდა, ერთ მათგანს ყვითელი კოსტიუმი ეცვა, თავზე კი თეთრი ხავერდის ქუდი ეხურა, ეს უთუოდ 12 ივნისს მოხდა, რადგან იმ დღეს, ფრეკენ ჰელანის ნიშნობის აღსანიშნავად. სახლებზე ბაირაღები ფრიალებდა, ფრეკენ ჰელანის ნიშნობა კი სწორედ 12 ივნისს გამოცხადდა.

სასტუმრო „სენტრალის“ მებარგული სწრაფად ავიდა გემბანზე. ყვითელ კოსტიუმიანმა ბატონმა თავის ბარგზე მიუთითა, თავად კი ტრაპთან მდგარ ბოცმანს ბილეთი უჩვენა. მერე, ნაპირზე გადასვლის ნაცვლად, ბოლთის ცემას მოჰყვა. ეტყობოდა, ძალიან ღელავდა. თბომავალმა რომ მესამედ მიაყვირა, ყვითელკოსტიუმიან ბატონს მაშინლა მოაგონდა, რესტორნის დანახარჯი ჯერაც არ გაესტუმრებინა. ის-ის იყო გადასახდელად უნდა გაქცეულიყო, შენიშნა, თბომავალი ნაპირს უკვე მოსცილებოდა. ჯერ დაიბნა, მაგრამ მალევე მოეგო გონს, გემის მოაჯირს მიადგა, მებარგულს ხელი დაუქნია და გადასძახა:

— ბარგი სასტუმროში მიიტანეთ და ნომერი მომიმზადეთ!...

თბომავალი კი ამასობაში ფიორდის შუაგულისკენ მიიწევდა. ყვითელკოსტიუმიან კაცს იუჰან ნილსენ ნაგელი ერქვა.

მებარგულმა ბარგი ურიკას დაუდო. ბევრი არაფერი იყო — ორი მომცრო ჩემოდანი და ქურჭი, დიახ, ქურჭი, თუმცა გაგანია ზაფხული იდგა, კიდევ ჩანთა და ვიოლინო. არც ერთ ნაჭერს პატრონის მონოგრამა არ ჰქონდა.

მეორე დღეს, ასე ნაშუადღევ იქნებოდა, რომ იუპან ნაგელი ორცხენიანი ეტლით მიაღმა სასტუმროს. რა თქმა უნდა, შეეძლო ისევ თბომავალს გამოკ-ყოლოდა, და ეცმა რომ თქვას, ასე უფრო მოსახერხებელი იქნებოდა, მაგრამ რატომღაც ეტლი ირჩია, თან ბარგიც მოიყოლა: წინა კაპანზე ჩემოდანა იდო, გვერდით კი სამგზავრო ჩანთა, პალტო და რაღაც ქვეყნული პორტპლედო დაეღაგებინა. პორტპლედზე შემოჭერილ ღვეტიშკის ნიშნები იყო. ნ. ნ. იყო ამოტვიფრული.

ეტლიდან ჯერ ფეხი არ ჩამოედგა, რომ სასტუმროს პატრონს ჰკითხა, ნომერი თუ მომიზადეთო და, როგორც კი მეორე სართულზე აუძღვნენ, მაშინვე კედლების სისტე შეამოწმა, მეზობელი ნომრებიდან ხმაური ხომ არ გამოვაო. შემდეგ მოახლეს მიუბრუნდა და ჰკითხა:

— რა გქვიათ?

— სარა.

— სარა... — და უმაღლესი დასძინა, — წახემსება თუ შეიძლება თქვენთან? მაშ, სარა გქვიათ, არა? ერთი ეს მითხარით, უწინ აქ აფთიაქი ხომ არ ყოფილა?

— იყო, მაგრამ დიდი ხნის წინათ.

— აჰა, აჰა... მაშ, დიდი ხნის წინათო, არა? შემოვლდი თუ არა ფეხი დერეფანში, მაშინვე ვიფიქრე, აქ აფთიაქი იქნებოდა-ნეტქი. იმიტომ კი არა, რომ სუნი მეცა, არა, რაღაცნაირად ვიგრძენი... დიახ, დიახ.

დაბურებიას კრინტი არ დაუფრავს. სუფრის ბოლოში მჯდომმა ორმა ბატონმა, გასულ საღამოს მასთან ერთად რომ ჩამოვიდნენ თბომავალით, ერთ-მანეთს თვალი უყვეს და მის წუხანდელ ხელის მოცარვაზე წაიოხუნჯეს, მაგრამ ნაგელმა ყური წაუყრუა. სწრაფად იასუზმა, ჩაროზზე უარის ნიშნად თავი ფიქნა, სკამზე ჩიკორივით შემოტრიალდა. ზეზე წამოხტა, სხარტად მოუკიდა სიგარას, გარეთ გავარდა და გაქრა.

კარგა ხანს არ გამოჩენილა და სასტუმროში გვიან ღამით დაბრუნდა, სულ ორი-სამი წუთით ადრე, სანამ საათი სამს ჩამოკრავდა. სად იყო? მერე გაიგეს, რომ მეზობელ ქალაქში წასულიყო და იმოდენა გზა, რომელიც დილით ეტლით გამოიარა, ახლა ფეხით გაელია. ალბათ, რაღაც გადაუღებელი საქმე ჰქონდა. ოფლად იყო გაღვრილი, როცა სარამ კარი გაუღო, თუმცა მაინც გაუღიმა ქალიშვილს და საერთოდ, აშკარად საუცხოო გუნებაზე იყო.

— ღმერთო ჩემო, ეს რა ყელმოღერებული გოგონა ხართ! — შესძახა მან. — ფოსტა ხომ არ მოსულა ჩემს სახელზე? ნაგელს, იუპან ნაგელს? ოჰო, დამიხედეთ, ერთბაშად სამი ტელეგრამა! იცით, რა, სარა, თუ ხატრი გაქვთ, ერთი სათხოვარი შემისრულებთ: თავიდან მომაშორეთ აგერ ის სურათი, საშინელებაა, როცა ლოგინში წევხარ და სულ ეგ გეჩხირება თვალში. აბა, როდის ჰქონდა ნაპოლეონ მესამეს მწვანე წვერი?

სარა რომ გავიდა, ნაგელი შუა ოთახში ბოძივით დაერჭო, ქვადქცეული გეგონებოდათ, ისე უძრავად მიაშტერდა კედელს, მხოლოდ თავი სულ უფრო და უფრო ეხრებოდა გვერდზე. დიდხანს, ძალიან დიდხანს იდგა ასე.

ტანით ნაგელი საშუალოზე დაბალი იყო, შავგვრემანი სახე ჰქონდა, უცნაური, მძიმე გამოხედვა კოპწიად მოჩაზულ ქალღრ ბაგეებს არ ეხამებოდა. მხარბეჭიანი იყო, შესახედავად ოცდაჩევა-ოცდაათი წლისა, ყოველ შემთხვევაში, ოცდაათზე მეტს არ მისცემდით, თუმცა საფეთქლებზე უკვე შეჰპარვოდა ჭალარა.

უცნაურად, ერთი დაკრით გაიკრთა თავი ფიქრებს. ამ დროს ისე უცნაურად შეიკრა: თუმცა ოთახში მარტო იყო, კაცი იფიქრებდა, საგანგებოდ, სხვის დასანახავად მოიქცა ასეო. მერე შარვლის ჯიბიდან გასაღები, ზურგის ფული და კიდევ რაღაც უბადრუკ ბაფთაზე დაკიდებული მედალი ამოიღო. ამ იმგვარი, წყალწალეხულთა გადარჩენისთვის რომ იძლევიან. საფულე ბალიშქვეშ ამოსდო, დანარჩენი კი საწოლთან ნდგარ ტუმბოზე დააღაგა. ანდრეას ჯიბიდან ამოიღო საათი და წამლის შუშა. შუშას ზედ „შხამი“ ეწერა. საათი ჯერ ხელის გულზე დაიდო და მერეღა დადო ტუმბოზე, საწამლავის შუშა კი ისევ ჯიბეში იკრა. ამის შემდეგ თითიდან რკინის ბეჭედი წაიძრო და პირი დაიბანა; სარკისკენ არც გაუხედია, თმა ისე გადაიყარა ხელით უკან.

ნაგელი უკვე ლოგინში იწვა, რომ უცნაურად მოაგონდა, ბეჭედი პირსაბანზე დავიწყებოდა: წამოვარდა და იაე სასწრაფოდ წამოიყვანა თითზე, თითქოს ამ ორგროშიანი რკინის ბეჭდის გარეშე გაძლება არ შეუძლიათ. ბოლოს, როგორც იქნა, სამივე ტელეგრამა გახსნა. მაგრამ ჯერ ერთიც არ ჩაეკითხა, ყრუ, ხანმოკლე სიცილი წასკდა. იწვა ასე მარტო და იცინოდა. ძალიან ლამაზი კბილები ჰქონდა. მერე უცნაურად მოსხიპა სიცილი და სამივე ტელეგრამა გულგრილად მიაგდო. ტელეგრამები კი ფრიალ მნიშვნელოვანი გახლდათ. საქმე, არც მეტი არც ნაკლები, სამოცდაორი ათას კრონს ეხებოდა, რომელსაც მამულის საფასურად აძლევდნენ. უფრო მეტიც, სთავაზობდნენ: მთელ თანხას მთლიანად და შეუფერხებლად გადაგიბდი, თუ საქმე დაუყოვნებლივ მოგვარდებაო. ამ საქმიან და მშრალ ტელეგრამებში არაფერი იყო სასაცილო. ქალაქებს ხელს არავინ აწერდა. ცოტა ხნის შემდეგ ნაგელს უკვე ეძინა. სანთლის ჩაქრობა დავიწყებოდა და შუქი მკერდსა და სუფთად გაპარსულ ნიკაპს უნათებდა. მაგიდაზე დაყრილ, გახსნილ ტელეგრამებსაც სინათლის ათ-ნათი ადგა.

მეორე დილას იუჰან ნაგელმა ხელზე მოსამსახურე ბიჭი გაგზავნა ფოსტაში და იმანაც გაზეთების მთელი დასტა ამოუტანა, მათ შორის უცხოურიც ერია. წერილები კი არ მიუღია. ვიოლინოს ყუთი ნაგელმა, თითქოს ისევ განგებ, რომ ყურადღება მიიქციოსო, შუა ოთახში მაგიდაზე დადო, მაგრამ ყუთი ერთხელაც არ გაუხსნია და არც საკრავისთვის უხლია ხელი.

მთელი დილა უქმად გაატარა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ წერილები დაწერა და კიდევ ბოლთის ცემით წიგნს კითხულობდა. მერე ქუჩაში გავიდა და მეზობელ დუქანში წყვილი ხელთათმანი შეიძინა, ხოლო როცა ბაზარში შემთხვევით შეეხეტა, წითური ლეკვი იყიდა ათ კრონად, რომელიც იქვე აჩუქა სასტუმროს პატრონს და რომელსაც, ყველას თავის შესაქცევად, თუმცა ლეკვი ძუკნა გამოდგა, იაკობსენი დაარქვა.

ასე რომ, მთელი დღე არაფერი უკეთებია. ქალაქში საქმე არ ჰქონდა, არც არავინ მოუწახულებია, არც რომელიმე დაწესებულებაში შეუდგამს ფეხი და, საერთოდ, ეტყობოდა, კაციშვილს არ იცნობდა. სასტუმროში, ცოტა არ იყოს, უკვარდათ, ასე გულგრილად რომ ეკრებოდა ყველაფერს, საკუთარ საქმესაც კი. სამივე ტელეგრამა კვლავინდებურად გახსნილი ეყარა მაგიდაზე — რაც მიიღო, მას მერე ხელიც არ უხლია. ჯიქურად დასმულ კითხვაზე თავის არიდებაც ემარჯვებოდა. სასტუმროს პატრონმა ორგზის სცადა გამოეწვლია, ვინ იყო, ან რისთვის ჩამობრძანებულიყო, მაგრამ ნაგელმა ორივეჯერ სიტყვა ბანზე აუგდო. იმ დღეს მის კიდევ ერთ უცნაურ გამოხდომაზე გავარდა ხმა. თუმცა ქალაქში არავის იცნობდა, სასაფლაოს კომპარტან ერთი

იქაური ყმაწვილი ქალის წინ გაჩერდა, მდებალი სალაში უძღვნა და ყაყაჩო-სავით გააწითლა. ამის მერე თავხედმა უცნობმა, ისე, რომ ერთი სიტყვითაც არ აუხსნია ეს უცნაური საქციელი, თემწარაზე გადაუხვია. პატრონის კარ-მი-დამოს ჩაუარა და ტყეს მისცა თავი. მერეც ამ გზაზე სეირნობდა ხოლმე და სასტუმროში ყოველთვის ისე გვიან ბრუნდებოდა, მხოლოდ მისი გულსთვის უხდებოდათ უკვე ჩარაზული კარის გაღება.

მესამე დღეს, დილით, ის იყო ნაგელი თავისი ნომრიდან გამოდიოდა, რომ სასტუმროს პატრონმა შეაჩერა, თავაზიანად მიესალმა და მუსაიფი გაუბა. ისინი ერთად გავიდნენ ვერანდაზე, პირისპირ ჩამოსხდნენ და პატრონმა სიტყვა ჩა-მოაგდო ერთ ყუთ ახალ თევზზე, რომელიც მეორე ქალაქში უნდა გაეგზავნა.

— იქნებ მირჩიოთ, როგორ უფრო სჯობს ამ ყუთის გაგზავნა?

ნაგელმა ყუთს დახედა, გაიღიმა და თავი გააქნია.

— ვაი რომ, მაგის არაფერი გამეგება.

— სამწუხაროა. მე კი მეგონა, რადგან ბევრს მოგზაურობთ, გეცოდინებოდათ...

— თქ, არა, რას ბრძანებთ, პირიქით, იშვიათად ვმოგზაურობ.

დუმილია.

— თქვენ, ალბათ, ისა... სხვა საქმეს მისდევთ. კომერსანტი ბრძანდებით?

— არა, კომერსანტი არა ვარ.

— გამოდის, ჩვენს ქალაქში საქმას გულისთვის არ ჩამოსულხართ?

ნაგელს პასუხი არ გაუცია. სიგარას მოუკიდა, ნება-ნება აბოლებდა და ცას შესცქეროდა. პატრონი უთვალთვალედა.

— ხომ არ დაგვიკრავდით როდისმე? ვიოლინო გქონიათ, დავინახე, — კვლავ სცადა საუბრის გაბმა პატრონმა.

— არა, დიდი ხანია აღარ ვუკრავ, — გულგრილად მიუგო ნაგელმა.

ამის თქმა იყო, უსიტყვოდ ადგა და წავიდა, თუმცა უმაღლ შემობრუნდა და სასტუმროს პატრონს უთხრა:

— იცით, რა. როცა გენებოთ, მაშინ წარმომიდგინეთ ანგარიში, ჩემთვის სულ ერთია როდის გადავიხდი.

— გმადლობთ, რა საჩქაროა, — მიუგო პატრონმა. — თუ დიდხანს აპირებთ დარჩენას, შეღავათს მოგცემთ. მე ხომ არ ვიცი, კიდევ რამდენ ხანს და-ყოვნდებით.

ნაგელი უეცრად გამოცოცხლდა, სახე უმიზეზოდ შეეფაქლა და სხაპა-სხუპით მიუგო:

— დიახ, შეიძლება ცოტა ხანს შევეყოვნდე, ვხახოთ, როგორ იქნება საქმე.

A propos, იქნებ, თქვენთვის ჯერაც არ მითქვამს, რომ მე აგრონომი ვარ. სოფელში ვცხოვრობ. ახლა კი მოგზაურობიდან ვბრუნდები და შეიძლება, მართლაც, ცოტა ხანს შევრჩე თქვენსა. ისიც შეიძლება, რომ დამავიწყდა და ჯერაც არ მითქვამს, რა მქვია... მე ნაგელს მეძახიან, იუპან ნილსენ ნაგელს.

ამ სიტყვებთან ერთად მივიდა და ხელი გულთანად ჩამოართვა. სახეზე ირონიის ნატამალიც არ ეტყობოდა.

— შეგვიძლია უკეთესი, უფრო მყუდრო ოთახი შემოგთავაზოთ. თქვენი ნომერი ხომ ზედ კიბის თავზეა, ეს კი ყოველთვის ვერაა სასიამოვნო.

— არა, დიდად გმადლობთ, ნუ სწუხდებით. მშვენიერი ოთახი მაქვს.

— განა არ შეიძლება, მართლაც, წაშოყრა ფეხი და წაქცეულიყო? მით უმეტეს, ისე უცნაურად ეგდო თურმე — გუბეში პირქვე ჩამხობილი, თუ არა ვცდები.

— დიახ, და თავით ფეხამდე ტალახში იყო ამოსვრილი, მაგრამ ეს მაინც არაფერს ნიშნავს. იქნებ არ სურდა, სულთმობრძაობის ტანჯვა დაენახა ვინმეს მის სახეზე.

გოგონას

— რამე ბარათი ზომ არ დაუტოვებია?

— ტყეში მიწავალი, ეტყობა, რაღაცას წერდა; თუმცა, როცა იმ ადგილას დასერილობდა, ხშირად წერდა ხოლმე რაღაცას, პოდა, ამიტომაც ფიქრობს ზოგი, ფანქრის გასათლელად რომ გახსნა დანა, მაშინ წაიბოძო და დაცემისას ჯერ ერთი მაჯა გადაეჭრა, მერე მეორეო, თანაც ორივე ზუსტად მაჯაზე! ჰა-ჰა-ჰა! რაღაც წერილის მსგავსი მაინც დატოვა, ხელში ჰქონია ჩაბლუჭული, შიგ ეწერა: „დაე, ფოლადიც ისეთივე მსახვრალი იყოს, როგორც შენი საბოლოოდ ნათქვამი „არა“.

— რა სისულელეა! დანა ბლაგვი იყო?

— დიახ, ბლაგვი გახლდათ.

— რატომ წინდაწინ არ ალესა?

— იმიტომ, რომ სხვისი იყო.

— ვისი იყო?

პატრონი აუოვნებს, მაგრამ მერე მაინც უპასუხებს:

— ფრეკენ ჰელანის დანა იყო.

— ფრეკენ ჰელანის? — კითხვას აგებებს ნაგელი და დუმილის შემდეგ ისევ ეკითხება: — ფრეკენ ჰელანი ვინ არის?

— დაგნი ჰელანი ჩვენი პასტორის ქალიშვილია.

— ჰოო! საინტერესოა, ვინ იფიქრებდა! რაო, იმ ბიჭს მართლა ასე ძლიერ უყვარდა?

— უყვარდა რომელია! თუმცა მართლაც ის ბიჭი კი არა, მასზე ყველა შეყვარებულია.

ნაგელი ჩაფიქრდება და აღიარებს ეკითხება. ახლა პატრონი არღვევს დუმილს:

— რაც გიამბეთ, საიდუმლოა და ძალიან გთხოვთ...

— დიახ, დიახ, რა თქმა უნდა, — აწყვეტინებს ნაგელი, — არხეინად ბრძანდებოდეთ.

მალე ამ საუბრის შემდეგ, როცა ნაგელმა სისაუზმოდ გასწია, სასტუმროს პატრონი უკვე შუა სამზარეულოში დაიდგარიყო და ტრიახობდა, — მაინც მოვახერხე და იმ ყვითელ ვაჟბატონს, აი, მეშვიდე ნომრიდან რომაა, გესაუბრეო. ავრონომია, — ამცნო იქ მყოფთ, — ეს-ესაა საზღვარგარეთიდან დაბრუნდა და ამბობს, რამდენიმე თვეს დაფრჩები აქო. ისე კი, უფალმა უწყის, რა კაცია!

იმავს საღამოს ისე მოხდა, რომ ნაგელმა მაიცა გაიცნო. ვაჟიანურებული, უნდოი საუბარი, რომელიც მათ შორის გაიბა, სულ ცოტა სამ საათს მაინც გაგრძელდა. აი, როგორ მოხდა ეს.

იუპან ნაგელი სასტუმროს კაფეში იჯდა და გაზუთებს ათწლიანობა, როცა მაიცა დარბაზში შევიდა. ყველა ადგილი დაკავებული იყო. ერთ-ერთ მაგიდას ჩაკუტებული გლეხის ქალი მისჯდომოდა, მზრებზე. მაგ-წითელი ძაფისგან ნაქსოვი შალი მოესხა: ეტყობოდა, მაიცას აქ კარგად იცნობდნენ და თუმცა ყველას თავაზიანად დაუკრა თავი, იქ მყოფნი შეძახილებითა და სიცოცხლე-კიჟინით შეეგებნენ. გლეხის ქალმა სკამიდანაც წამოიწია, აქაოდა, შენთან ერთად უნდა ჩამოვუარო.

— სხვა დროს იყოს, სხვა დროს. — ბურტყუნებს მაიცა და მიპატი-ეებას თავს არიდებს. იგი პირდაპირ სასტუმროს პატრონთან მიდის, ხელში ქუდს აცოდვილებს და ეუბნება:

— ნახშირი ზვეით, სამხარეულოში ავზიდე. დღეს, ალბათ, სხვა სამუშაო აღარ იქნება, არა?

— რა თქმა უნდა, არა. დღეს რაღა სამუშაო უნდა იყოს?

— რა თქმა უნდა, არა, — ინეტრებს მაიცა და დამტრთხალი იხევს უკან. საოცრად გონჯი იყო. მართალია, ცისფერი, თვინიერი თვალები ჰქონდა, მაგრამ გულისამრევი წინა კბილები შემზარავად გამოჩნდოდა პირიდან. განსაკუთრებით მისი დახლავნილი სიარული — ძველი დამაგების შედეგი — იწვევდა უამრur გრანობას. თმანი ბლამად გამოვლიდა ქალაქი, წვერი ჭერაც შავი ჰქონდა, მაგრამ ისე მუჩნერი, ვანი მოუჩანდა. უწინ ეს კაცი მეზღვაური იყო, ახლა კი ნათესავთან ცხოვრობდა. რომელსაც ნახშირის პატარა საეაქრო ჰქონდა გახანილი ნავადგურთან. მაიცას თითქმის არაადროს, ან იქნებ, სავრთოდ არასოდეს გაუსწორებია თვალი მოსაუბრისთვის.

ნაცრისფერ, საზაფხულო კოსტუმში გამოწყობილი ვიღაც ბატონი, რომელიც ერთ-ერთ მაგიდას უზის, მაიცას ეძახის, დაეინებოთ იხმობს თავისთან და ლუდის ბოთლზე უთათებს.

— აბა, აქ მოდიოთ და ეს ერთი ჭიქა ბაიების რყე გადაჰქარიოთ! თანაც მინდა ვნახო, როგორი იქნებით უწვეროდ.

კრძალვით თავდახრილი მაიცა, რომელიც ქუდა ისევ ხელში ატრიალებდა, იმ მაგიდისკენ მიემართება. ააიდინაც შეეხმიანენ. ნაგელს რომ ჩაუვლის, თავს უკრავს და უხმოდ აცმაცუნებს ტუჩებს. მაიცა ნაცრისფრად გამოწყობილი ბატონის წინ ჩერდება და ბუტბუტებს:

— გეთაყვათ, აგრე ნუ გაჰყვიროთ, ბატონო რწმუნებულო, ხომ ხედავთ, აქ უცხონიც არიან.

— ღმერთო ჩემო, მე მხოლოდ ლუდით მინდა გაგიმასპინძლდეთ, თქვენ კი ხმამაღლა ლაპარაკისთვის მლანძლავთ.

— თქვენ ისე ვერ გამიგეთ. გთხოვთ, მომიტევოთ. მაგრამ არ მინდა, უცხო ხალხის წინ ისევ ძველი თინები განმეორდეს. არც ლუდის დალევა შემიძლია, ახლა არ შემიძლია.

— თქო, ესეც ახალი ამბავი! ლუდის დალევა არ შემიძლიაო? მაშ, არ შეგიძლიათ, ჰა?

— არა, მადლობას მოგახსენებთ, მაგრამ ახლა — არა.

— ახლა არ მომახსენებთ მადლობას? მაშ, როდისღა მომახსენებთ? ჰა-ჰა-ჰა! თქვენ ხომ პასტორის შვილი ხართ, დაუკვირდით მაინც რას ლაპარაკობთ.

— თქვენ ისე ვერ გამიგეთ, მაგრამ რას იზამ...

— კარგით ერთი, თავს ნუ იგდებთ. რა დაგემართათ?

რწმუნებული ძალით სვამს მაიცას სკამზე, ისიც ცოტა ხანს მორჩილად ზის, მაგრამ მერე ისევ ზეზე წამოხტება.

— არა, გამიშვით, — სთხოვს იგი, — არ შემიძლია დაღევა. ღმერთმანი, არ ვიცი, მაგრამ სულ ველარ ვიტან სასმელს. მოხედვას ვერ მოვასწრებ ხოლმე, რომ უკვე მთვრალი ვარ, გაღეშილი მთვრალი.

რწმუნებული დგება, ჩაცივებით უყურებს მაიცას, ხელში ვიტანს აჩეჩებს და უბრძანებს:

— დალიეთ!

დუმილია. მაიცა თავს მალლა იღებს, შუბლიდან თმას იყრის და დიდხანს ხმას არ იღებს.

— კეთილი, მხოლოდ იმიტომ, რომ გასიამოვნოთ. სულ რამდენიმე ყლუბს... — დასძენს იგი, — მხოლოდ ტუჩს შევახებ, რომ პატივი მქონდეს, ჭიქა მოგიჭახუნოთ.

— ბოლომდე დასცალეთ! — დაჰკივას რწმუნებული და პირს გვერდზე აბრუნებს, რომ სიცილი არ წასკდეს.

— არა, ბოლომდე არ შემიძლია, არასგზით არ შემიძლია! რატომ უნდა ვსვა ლუდი, თუკი ჩემი შიგნეული ვერ ეგუება? ნუ მიჯავრდებით, ამის გულისთვის წარბს ნუ შეიკრავთ! კარგი, რაკი ასე დაგიყინიათ, ბოლომდე დავცლი. იმედი მაქვს, თავში არ ამივარდება. პირდაპირ სასაცილოა, მაგრამ სულ ვერ ვიტან მაგარ სასმელებს. თქვენ გაგიმარჯოთ!

— ბოლომდე, ბოლომდე დასცალეთ! — კვლავ დაჰკივინებს რწმუნებული, — წვეთი არ დარჩეს! აი, ასე, აი, ეს მესმის! აბა, ახლა დაჯექით და დაილმიჯეთ. ჯერ კბილების კრაჭუნით დაიწყეთ, მერე კი წვერს შეგვრევით და ერთი ათი წლით გაგაქაბუკებთ. ოღონდ ჯერ კბილები დააკრაჭუნეთ!

— არა, მაგას არ ვიზამ; ამ უცხო ხალხში არ შემიძლია. ეგ არ უნდა მომთხოვოთ. მართლა არ ვიზამ, — ამბობს მაიცა და წასასვლელად იზიდება. — არცა მცალია, — დასძენს იგი.

— არა მცალიაო? აი, უბედურება! ჰა-ჰა-ჰა! რა გაეწყობა, უბედურებაა და ეგ არის. მაშ, არ გცალიათ?

— დიახ, ახლა არა მცალია.

— ყური მიგდეთ, რას იზამთ, თუ გეტყვით, რომ უკვე დიდი ხანია განზრახული მაქვს, ამ ძონძის ნაცვლად, ახალი სერთუკი გიყიდოთ. მომეცით ერთი, მოვსინჯო. დიახ, არაფრად ვარგა. აი, ნახეთ! თითის დაკარებისთანავე იხვეა, — რწმუნებულმა სერთუკის ნახვრეტში გაჰყო თითი, — ხომ ხედავთ, ისეა გაცრეცილი, თავისით იშლება. არა, შეხედეთ, ერთი შეხედეთ!

— თავი დამანებეთ, იწამეთ ღმერთი! რა დაგიშავეთ! ნუ მიხევთ სერთუკს!

— აკი გეუბნებოდით, ბვალ ასალს გაჩუქებთ-მეთქი. ამის პირობას... მაცალეთ, დავთვალო, — ერთი, ორი, სამი, ოთხი... შვიდი — შვიდი კაცის წინაშე გაძლევთ! რა მოგდით დღეს? გაიბერა, ბრაზობს! მზადაა ყველა გაგვსრისოს. დიახ, დიახ, მზადაა! მერედა, რატომ? მხოლოდ იმიტომ, რომ გავბედე და მის სერთუკს შევეხე.

— მომიტევეთ. სულაც არ ვბრაზობ. ხომ იცით, ყველანაირად ვცდილობ გაამოთ, მაგრამ...

— ჰოდა, მაამეთ და აგერ აქ დაჯექით.

მაიცა შუბლიდან ჭაღარა თმის ნაწკებს იწევს და ჯდება.

— აი, ბარაქალა! ახლა კი ერთხელ კიდევ მასიამოვნეთ და კბილები დააკრაჭუნეთ.

— არა, მაგას არ ვიზამ.

— მაშ, არ იზამთ? ჰო თუ არა?

— ღმერთო მწყალობელო, რა დაგიშავეთ? თავი დაგანებეთ, გვედრებით! მომეშვით! მე რატომ უნდა ვიქცე ყველას მასხარად? აგერ, ის უცხო ბატონიც, ვხედავ, ჩვენკენ იყურება. თვალს არ გვაცილებს და, ალბათ, ისიც ერთობა, ჩამოხვედით თუ არა ქალაქში რწმუნებულის ადგილზე, ექიმმა სტენერსენმა ჩემი აბუჩად აგდება გასწავლათ. ახლა კი თქვენ აძლევთ მაგალითს, აგერ, იმ ბატონს. ყველა ერთი-მეორესგან სწავლობთ...

— აბა, როგორაა საქმე, ჰო თუ არა?

— არა! გეყურებათ, არა! — ყვირის ზეზე წამომხტარი მაიცა, მაგრამ თითქოს ასეთი თავზებელაღებული საქციელის შეეშინდაო, კვლავ სკამზე ენარცხება და ლულულულებს: — ეგეც არ იყოს, მერწმუნეთ, უკვე აღარც შემიძლია კბილების კრაჭუნი.

— არ შემიძლიაო? ჰა-ჰა-ჰა! შეგიძლიათ და აგრე! საუცხოოდ აკრაჭუნებთ კბილებს!

— ღმერთს გეფიცებით, არ შემიძლია!

— ჰა-ჰა-ჰა! მაშინ კარგად აკრაჭუნებდით!

— ჰო, მაგრამ, მაშინ მთვრალი ვიყავი, აღარაფერი მახსოვს, თვალწინ ყველაფერი მიტრიალებდა. მერე ორი დღე ვიავადმყოფე.

— რაც მართალია, მართალია, — ეუბნება რწმუნებული, — მაგაში არ გედავებით, მართლაც, მთვრალი იყავით. ოღონდ, ნება მიბოძეთ, გკითხოთ, რატომ ლაყბობთ ამაზე უცხო ხალხთან? მე ეგ თქვენთვის არ მითხოვია.

ამ დროს პატრონი კაფედან გადის. მაიცა ღუმს. რწმუნებული უყურებს და ეუბნება:

— აბა, ჰა, რაო, კიდევ დიდხანს გვალოდინებთ? ახალი სერთუკი გახსოვდეთ.

— მახსოვს, — ეუბნება მაიცა, — მაგრამ დალევა აღარ მინდა და არც შემიძლია, ასეც იცოდეთ!

— კიდევ შეგიძლიათ და კიდევაც გინდათ! გესმით, რას გეუბნებით? კიდევ შეგიძლიათ და კიდევაც გინდათ-მეთქი. თუ უარს იტყვით, საკუთარი ხელით ჩაგასხამთ ლუდს ხახაში...

ამ სიტყვებით რწმუნებული მაიცას ჭიქას იღებს და სკამიდან დგება.

— გააღეთ ხახა! ჩქარა!

— ღმერთი მოწამეა, დალევა არ მინდა! — ყვირის მღელვარებისგან გადაფითრებული მაიცა. — ამქვეყნად ვერავითარი ძალა მაიძულებს დავლიო. უნდა მაპატიოთ, მაგრამ ლუდისგან ცუდადა ვხდები. შემიბრალეთ, გვედრებით! მაგას ისევ... მაგას ისევ კბილების კრაჭუნი მირჩევნია.

— ჰოო, ეგ უკვე სხვა საქმეა. ეშმაკმა დალახვროს, თქვენ თუ ყაბულსა ხართ, მშრალზე აკრაჭუნოთ კბილები, ეგ სხვა საქმეა!

— დიახ, მირჩევნია ისე ვაკრაჭუნო, ლუდის გარეშე...

და აი, მთვრალების ხორხოცში მაიცა იწყებს შემზარავად კბილების კრა-

ჭუნს. ნაგელი, როგორც ეტყობა, ისევ გაზეთს ეთხულობს. უძრავად უზის თავის მაგიდას ფანჯარასთან.

— მაგრად, მაგრად! — ღრიალებს რწმუნებული. — მაგრად აკრაჭუნეთ, თორემ არ გვესმის.

მაიცა გაგვიმული ზის, თითქოს გადმოვარდნის ეშინიას. სკამს ჩაფრენია და ისე გულმოდგინედ აკრაჭუნებს კბილებს, რომ დამაბულობისგან თავი ურაცრაცებს.

კაფე ხარხარებს. გლეხის ქალი ისე ჩაბუირობულა, თვალებიდან ცრემლები სცვივა, სიცილისგან იკრუნჩხება და აღტაცების გამოსაჩატავად ორჯერ იატაკზეც კი აფურთხებს.

— ღმერთო დიდებულო, ეს რა ვნახე... მოვკვდი სიცილით! — კვნესის იგი, — რა ხუმარაა რწმუნებული...

— მორჩა! ამაზე ხმამაღლა არ შემოძლია, — ამბობს მაიცა, — ღმერთმანი, მართლა არ შემოძლია! დამიჯერეთ, ძალა გამომეღია.

— ეგ არ გაგივათ, არა... ცოტა შეისვენეთ და მერე ისევ გაუტოვით. კბილების კრაჭუნი კიდევ მოგიწევთ. მერე კი გაგვრეცთ. აბა, ერთი ლუდი დალიეთ. დალიეთ, დალიეთ, აი, თქვენი ჭიქა.

მაიცა თავს აქნევს და ღუმს. მაშინ რწმუნებული საფულეს იღებს, მაგიდაზე ოცდახუთ ერეს დებს და ეუბნება.

— ადრე ამას ათ ერედ აკეთებდით, მაგრამ შე ოცდახუთიც არ მენანება. ხედავთ, ჰონორარი მოგიმატეთ. აგერ!

— ჩამომეხსენით, მეტი აღარ შემოძლია.

— არ შეგიძლიათ? უარს ამბობთ?

— ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! ბოლოს და ბოლოს გეყოთ ჩემი აბუჩად აგდება. ახალი აერთუვის გულისთვისაც კი აღარ მსურს თქვენი გართობა მეც ხომ ადამიანი ვარ. რა გინდათ ჩემგან?

— აბა, მაშ, აი, რას გეტყვით: აგერ, ჩემს სიგარას თქვენს ჭიქაში ვაფერფლებ, შემდეგ ვიღებ, აი, ამ დამწვარ და ერთ ახალ ასანთს და ყველაფერს შიგ ვყრი... ახლა კი სიტყვას გაძლევთ, თქვენ მაინც დალევთ ამ ჭიქას — ბოლომდე, სულ დაცლით, გასაგებია? წვეთს არ დატოვებთ!

მაიცა წამოვარდება. თავით-ფეხამდე აცახცახებს. ჭალარა თმის ნაწკები ისევ სახეზე ჩამოეშლება, ჭიქურ შესცქერის თვალებში რწმუნებულს. გადის რამდენიმე წამი.

— ჰო, კარგი, ეყო! ეყო! — იძახის გლეხის ქალი, — ჰა-ჰა-ჰა! ღმერთო, შენ მიშველე!

— მაშ, არ იზამთ? უარზე ხართ? — ეკითხება რწმუნებული.

მაიცა წარმოუდგენელ ძალას ატანს თავს, რომ ხმა გაიღოს, მაგრამ არ ძალუძს. ყველა მას შესცქერის.

აი, ამ ღროს ნაგელი ანაზღად დგება, მშვიდად დებს გაზეთს მაგიდაზე და ღინჯად კვეთს დარბაზს. ხმას არ იღებს, მაგრამ მაინც ყველას ყურადღებას იპყრობს. იგი მაიცას გვერდით დგება, მხარზე ხელს ადებს და მჭახე ხმით ეუბნება:

— თქვენ თუ მაგ ჭიქას აიღებთ და ამ ძაღლის ლეკვს სახეში შეასხამთ, ათ კრონს მოგცემთ და პასუხსაც მთლიანად მე ვაგებ.

ნაგელი რწმუნებულზე უთითებს, თითი ლამისაა სახეში ატაკოს და იმეორებს:

— აჲ, ამ ძაღლის ლეკვზე გეუბნებით..

კაფეში სრული სიჩუმე ისადგურებს. მაიცა დაფეთებული შესცქერის ხან ერთს, ხან მეორეს და ბურტყუნებს:

— კი მაგრამ... არა... კი მაგრამ...

სხვას ვერას ამბობს, მაგრამ ამ სიტყვებს, თითქოს ეკითხებაო, ხმის კანკალით ისევ და ისევ იმეორებს. ყველა დუმს. გაოგნებული რწმუნებული ერთი ნაბიჯით უკან იხევს, სკამის ზურგს ეჭიდება, სახე ჭაღალდივით გაფითრებულია და თუმცა პირი ღია აქვს, კრინტსაც არ ძრავს.

— ვიმეორებ, — ხმამაღლა, დამარცვლით განაგრძობს ნაგელი, — ათ კრონს მოგცემთ, თუ თქვენს ჭიქას ამ ძაღლის ლეკვს სახეში შეასხამთ. აგერ, ფული ხელთა მაქვს. შიშიც ნურაფრის გექნებათ.

ნაგელი, მართლაც, უწვდის მაიცას ათ კრონს, მაგრამ მაიცა ძალზე უცნაურად იქცევა. უხმოდ მიეშურება კაფეს შორეული კუთხისკენ, ჩლახუნით კვეთს დარბაზს და იატაკზე ჯდება. მოკრუნჩხული და თავჩალუნული, დაფეთებული აცეცებს თვალებს.

ამ დროს კაფეს კარი იღება და დარბაზში სასტუმროს პატრონი შემოდის. იგი დახლზე რაღაცას ფათურობს და მუშტრებს ყურადღებას არ აქცევს და მხოლოდ მაშინ, როცა რწმუნებული არაადამიანური ღმუილით, მუშტებშემართული გიჟივით მივარდება ნაგელს, პატრონი თავს იღებს და კითხულობს:

— ბოლოს და ბოლოს გამაგებინეთ რა ხდება?

მაგრამ მისთვის არავის სცალია. გაშმაგებული რწმუნებული ორჯერ ზედიზედ ესხმის თავს ნაგელს, მაგრამ ორჯერვე მის მუშტებს აწყდება. დარტყმას ვერასგზით ახერხებს. საკუთარი უძლურებისგან თავგზააბნეული უაზროდ იქნევს ხელებს, თითქოს უნდა ყველა და ყველაფერი მოსპოსო. ბოლოს გვერდულად იხევს მაგიდისკენ, სკამს წამოედება და მუხლებზე ეცემა. სუნთქვა ეკვრის, ამოა ბოლმისგან ადამიანის სახე არ ადევს, ახლა კიდევ ხელები მთლად დაიჩეჩება ნაგელის რკინის მუშტებზე, რომლებიც ყველგან უხვდებოდნენ მის უაზრო დარტყმებს. კაფეში აურზაურია, გლეხის ქალი და მისი თანამგზავრი კარებს მიაწყდნენ, დანარჩენები კი ყვირიან, ერთმანეთს ლაპარაკს არ აცლიან და მოჩხუბართა გაშველებას ცდილობენ. ბოლოს რწმუნებული ფეხზე წამოდგომას ახერხებს, ნაგელს წინ აესვეტება; სასაცილოდ გაავებული, აღშფოთების გამოსახატავად სიტყვებს ვერ პოულობს და გაჰკიცხს:

— წყეულიმც იყავ! ეშმაკმა წაგიღოს!.. სალახანავ!

ნაგელი შესცქერის, იღიმება. მიდის მაგიდასთან, იღებს შლაპას და თავის დაკვრით უწვდის რწმუნებულს. რწმუნებული შლაპას ხელიდან გლეჯს, აშკარად ეტყობა, განზრახული აქვს სახეში ესროლოს შეურაცხყოფელს, მაგრამ რატომღაც გადაიფიქრებს; ერთი მოქნევით იფხატავს თავზე, მერე უკმეხად აქცევს ზურგს და კაფედან გადის. შლაპა მთლად დაჭეჭილია და საერთოდ რწმუნებული ფრიად სასაცილოდ გამოიყურება.

ამ დროს პატრონი ნაგელს მივარდება, სახელოზე ეჭიდება და ეკითხება:

— რა ხდება? გამაგებინეთ, რა ამბავია?

— კეთილ ინებეთ და ჩემს სახელოს მოეშვით, — პასუხის ნაცვლად ეუბნება ნაგელი, — არსად გაქცევას არ ვაპირებ და არც არაფერი მომხდარა.

უბრალოდ იმ კაცს, აბლახან აქედან რომ გავარდა. შეურაცხყოფა მივაყენე, იგი კი ცდილობდა თავი დაეცვა. სავსებით ბუნებრივი საქციელია, ასე რომ, ყველაფერი რიგზეა.

მაგრამ პატრონი კვლავ ბრაზობს, ფეხსაც კი აბარტყუნებს.

— მე აქ სცენების გამართვის უფლებას არავის მივცემ, ამას არ დავუშვებ! ჩხუბი თუ გნებავთ, ქუჩაში მიბრძანდით! მსგავსი რამე მჭიდროდ განმეორდეს, გასაგებია! ღმერთმანი, ყველანი ჭკუას გადასტყნის!

— ისეთი, მართლაც, არაფერი მომხდარა! — ჩაერია რამდენიმე მუშტარი, — ჩვენ მოწმენი ვართ!

და რამეთუ წესიერი ხალხი ყოველთვის ძლიერის მხარეზეა, ულაპარაკოდ ემხრობიან ნაგელს, ერთმანეთს სიტყვას პირში სტაცებენ და სასტუმროს პატრონს მოუთხრობენ რა როგორ მოხდა. ნაგელი მხრებს იჩეჩავს, მაიცასთან მიდის და ჭიქურ ეკითხება ჭალარა, ჩია მასხარას:

— მაინც რად გერგებათ რწმუნებული, რომ თავს ნებას აძლევს ასე აბუჩად აკიგდოთ?

— რას ბრძანებთ! — მიუგებს მაიცა, — არაფრად არ მერგება. ეგ კი იყო, რომ ერთხელ ბაზარში ათ ერედ ვიცეკვე მაგისტვის. უბრალოდ გასაქანს არ მაძლევს:

— მაშ, თქვენ ხალხის თავშესაქცევად, ფულისთვის ცეკვავთ?

— დიახ, ხანდახან, მაგრამ ხშირად არა, მხოლოდ, თუ უსიკვდილოდ მჭირდება ათი ერე და სხვა გზით ვერ მიშოვნია.

— რად გინდათ ფული?

— როგორ თუ რად? ბევრი რამისთვის. ჯერ ერთი, მე ხომ ბეჩავი ვარ, არაფერში ვეარგოვარ და ხშირად მიჭირს ხოლმე, როცა მეზღვაური ვიყავი და თავის რჩენა შენეძლო, გაცილებით კარგად ვცხოვრობდი. მერე კი ანძიდან ჩამოვვარდი, დავიმტვერი. ხერხემალი გავიტეხე და მას უკან ვაინაჩრობით გაშაქვს თავი. ბიძაჩემი მარჩებს და საერთოდ, მისი ხელის შემწყურე ვარ. მაგრამ მე არაფერს ვუჩივი, რაც მჭირდება, ყველაფერი მაქვს, ზედმეტად კი. იმიტომ, რომ ბიძაჩემი ცოტაოდენი ნახშირით ვაჭრობს. თავადაც რაღაც შემაქვს ოჯახში, განსაკუთრებით ახლა. ზაფხულში, როცა ნახშირს თითქმის აღარავენ ყიდულობს. ღმერთმანი, სრულ სიმართლეს მოგახსენებთ. აი, სწორედ ასეთ დღეებში ეს ათ ერეიანი მონეტები ძალიან მადგება, ამ ფულით ცოტა რაღაცას ვყიდულობ და შინ მიმაქვს. რაც შეეხება რწმუნებულს, ჩემი ცეკვა სწორედ იმიტომ ართობა, რომ ხეიბრობის გამო ადამიანურად ვერ ვცნეკვავ.

— მაშ, ბიძათქვენი წინააღმდეგი არ არის, ფულის გულისთვის ბაზარში იცეკვოთ?

— არა, არა, რას ბრძანებთ, ეგ არ იფიქროთ! ხშირად მეუბნება ხოლმე: „არ მჭირდება ეგ შენი მასხარას გროშები!“ დიახ, როცა კი ათ ერეს მიეუტან, მასხარას გროშებს ეძახის და მლანძღავს, რომ ხალხის სასაცილოდ გავიხადე თავი...

— კეთილი, ეგ ჯერ ერთი. მეორეც რაღაა?

— მაპატიეთ, რა ბრძანებთ?..

— მეორეც რაღაა-მეთქი?

— ვერ მიგიხვდით.

— თქვენ თქვით, რომ, ჯერ ერთი, ბეჩავი ხართ, მეორეც კი, რა?

- თუ ასე ვთქვი, გთხოვთ, მომიტევოთ.
- მაშ, გამოდის, მხოლოდ ბეჩავი ხართ და სხვა არაფერი.
- გულწრფელად გხოვთ, მაპატიოთ.
- მამათქვენი პასტორი იყო?
- დიახ, პასტორი.
- დუმბილია.



— ყური მიგდეთ, — ეუბნება ნაგელი, — თუ არსად გეჩქარებათ, მოდით, ჩემს ნომერში ავიდეთ. თანახმა ხართ? ეწვეით? ჩინებულია. წამობრძანდით, გხოვთ, მე აქ, ზემოთა ვცხოვრობ. მოხარული ვიქნები, თუ მეწვევით.

იქ მყოფთა გასაოცრად, ნაგელი და მაიცა მეორე სართულზე ავიდნენ და მთელი საღამო ერთად გაატარეს.

III

მაიცა სკამზე ჩამოჯდა, სიგარო აიღო და მოუკიდა.

- ხომ არ დაღევდით? — შეეკითხა ნაგელი.
- არა, არა ვსვამ. სპირტიანი სასმელისგან თავებრუ მესხმის და თვალი მე-რევა, — მიუგო სტუმარმა.

- შამპანური თუ დაგიღევიათ ოდესმე? რაღა თქმა უნდა, დაგიღევიათ.
- დიახ, დიდი-დიდი ხნის წინათ, ჩემი მშობლების ვერცხლის ქორ-წილზე.

— მოგეწონათ?

— დიახ, მახსოვს ძალიან გემრიელი იყო.

ნაგელმა დარეკა და შამპანურის მოტანა უბრძანა.

შამპანურს წრუპავენ და აბოლებენ. ნაგელი მაიცას ყურადღებით აცქერ-დება და უცბად ეუბნება:

— ერთი ეს მითხარით... რაღაც მინდა გკითხოთ, შეიძლება სასაცილოდაც გეჩვენოთ. დათანხმდებოდით, რა თქმა უნდა, ფულის გულისთვის, მაშად ჩაგ-წერონ, იმ ბავშვის დაბადებია ნოწმოებაში. რომლის მამაც თქვენ არ ხართ? ეს აზრი თავში ისე მომივიდა, განსაზღვრული არაფერი მაქვს მხედველობაში.

მაიცა თვალდაჭყეტილი უყურებდა და დუმდა.

— მცირე გასამრჯელოს გულისთვის, ასე ორმოცდაათი კრონის, ანდა იყოს თუნდაც ორასი, თანხას მნიშვნელობა არა აქვს.

მაიცამ თავი გააქნია და დიდხანს იყო გაჩუმებული.

— არა, — თქვა ბოლოს.

— მართლა არ გინდათ? ფულს ხელდით ჩავითვლიდით.

— სულერთია! არა, ამას ვერ ვიზამ. მაგ სამსახურს ვერ გაგიწევთ.

— კაცმა თქვას, ვითომდა რატომ?

— მეტს ნუღარა მთხოვთ, თავი დამანებეთ. მეც ხომ ადამიანი ვარ.

— დიახ, იქნებ, ეს, მართლაც მეტისმეტია, რა ვალდებული ხართ, ასეთი სამსახური გაუწიოთ ვინმეს? მაგრამ მე კიდევ ერთი კითხვა მინდა დაგისვათ. დათანხმდებოდით... თუ შეგიძლიათ, ხუთ კრონად, რა თქმა უნდა, ზურგზე გაზეთ ანდა ქალაქის პარკმიკრულმა გაიაროთ ქალაქში?... აქედან, სასტუმრო-დან რომ გახვალთ, ჯერ ბაზრა. მოედნისკენ გაეშურებით, მერე კი სანაპიროს-კენ. თანახმა ხართ გააკეთოთ? ხუთ კრონად?

მაიცამ მოტყუვად ჩაჰკიდა თავი და უნებურად გაიშეორა: „ხუთი კრონი“. მაგრამ პასუხი არ გაუცია.

— დიახ, ხუთ კრონად, ანდა — ათად. ათ კრონად იზამდეთ?

მაიცამ შებლიდან თმა გადაიყარა.

— ვერ გამიგია, ამ ჩამოსულებმა ასე წინდაწინ საიდან იცით, როდემე, რომ მე აქ ყველას მასხარა ვარ?

— როგორც ხედავთ, შემიძლია ფული ახლავე მოგიტყუალოთ, — განაგრძო ნაგელმა, — ყველაფერი თქვენზეა დამოკიდებული.

მაიცა თვალს ვერ აცილებს ასიგნაციებს, დაბნეული დასცქერის ფულს, გამშრალ ტუჩებს ილოკავს და თავს ველარ იოკებს...

— მე...

— მაპატიეთ, — სიტყვას სტაცებს ნაგელი, — მაპატიეთ, რომ გაწყვეტი-
ნებთ, — იმეორებს იგი, რომ სტუმარს ლაპარაკის საშუალება არ მისცეს, —
რა გვარი ხართ? მართალია, არ მახსოვს, მაგრამ, მგონი, არ გითქვამთ რა გვა-
რისა ხართ.

— ჩემი გვარი გრეგორდია.

— ოჰო, გრეგორდი? ერთი მითხარით, აი, ის გრეგორდი, ელდგოლდის ყრი-
ლობის დელეგატი, ნათესავად ხომ არ მოგხვდებათ?

— დიახ, ნათესავები ვართ.

— მაშ, ასე, რაზე ვსაუბრობდით? ჰო, ესე იგი, თქვენ გრეგორდი ხართ, არა? და რაღა თქმა უნდა, უარს იტყვით, ასეთი გზით იშოვით ათი კრონი.

— დიახ, — ყოყმანით ბურტყუნებს მაიცა.

— ახლა კი ყური მიგდეთ, — სიტყვებს ტკეპნის ნაგელი, — მე სიხარუ-
ლით მოგცემთ ამ ათ კრონს იმიტომ, რომ უარი მითხარით. ამ ათი კრონის
გარდა, მე გიდევ ათ კრონს მოგცემთ, თუ სიამოვნებას მომანიჭებთ და ფულს
აიღებთ. ნუ წამოხტებით, გეთაყვა, იოლი სამსახურია და არაფრად მილირს.
ამჟამად ფული ბევრი მაქვს, იმდენი, რომ ასეთი წერილმანი არ შემაწუხებს. —
საფულედან ფული ამოიღო და დასძინა: — აიღეთ, გეთაყვა, დიდად გამაზა-
რებთ.

მაგრამ მაიცა ჩუმად ზის, თითქოს სიხარულისგან ენა წაერთვას, ცრემ-
ლებს ძლივს იკავებს, თვალებს ახამხამებს და სლუკუნებს:

— თქვენ, ალბათ, ორმოცის, ან დაახლოებით მაგ ხნის ბჭნებით? — ეკით-
ხება ნაგელი.

— ორმოცდასამი წლისა ვარ, ორმოცდამეოთხეში გადავდექი.

— ახლა ეს ფული ჭიბეში ჩაიდეთ. აი, ასე... მართლა, რა გვარია
რწმუნებული, აი, ქვევით, კაფეში რომ ვემუსაიფებოდით?

— არ ვიცი, ყველა რწმუნებულს ეძახის. ოლქის მოსამართლის კანცე-
ლარიის რწმუნებულია.

— თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს, ჯობს ის მითხრათ...

— მაპატიეთ! — მაიცა თავს ველარ იკავებს, მისი გული ისე სავსეა მად-
ლიერებით, სურს აუცილებლად გამოთქვას და რაღაც გაუგებარს ტიტინებს
ბავშვივით. — მაპატიეთ და მომიტევეთ, — ამბობს იგი და მერე დიდხანს ველარ
ახერხებს ხმის ამოღებას.

— რისი თქმა გნებავთ?

— გმადლობთ... გმადლობთ მთელის... გულითადად...

დუმბილია.

— დიახ, დიახ, კმარა ამაზე.

— არა, არ კმარა! — იძახის მაიცა, — გთხოვთ, მომიტევოთ, მაგრამ აბა, როგორ ამბობთ, კმარაო?! თქვენ გეგონათ, მე მხოლოდ ჭიუტობის გამო არ აგისრულებთ თხოვნა, რომ მე ძალღივით კუდის ქიცინი მიხარჯა, მაგრამ ზენა-არს ვფიცავ... როგორ ამბობთ, კმარაო, როცა თქვენ აღზარდეთ, ისევე მოგებეჭდო-ლება დაგრიჰათ, თითქოს მე მხოლოდ ფასის მომატება მინდოდა, რომ ხუთი კრონი გასამრჯელოდ მეცოტავა?.. აი, ეს მინდოდა მეთქვა.

— კეთილი, კეთილი... თქვენი გვარიშვილობისა და აღზრდის კაცმა ტა-კიმასხარად არ უნდა გაიხადოს თავი. იცით, რა გავიფიქრე... თქვენ ხომ ყველა-ფერი იცით, თუ რამ ქალაქში ხდება? საქმე ის არის, რომ განზრახული მაქვს, ერთხანს დავრჩე. ზაფხული აქ მინდა გავატარო. აბა, რას მეტყვით? აქაური ხართ?

— დიახ, აქ დავიბადე, მამაჩემი პასტორად იყო აქ და მას შემდეგ, რაც დავხეიბრდი — აგერ უკვე ოცდაათი წელია — ისევ აქ ვცხოვრობ.

— მგონი, ნახშირი დაგაქვთ?

— დიახ, სახლებში დამაქვს ნახშირი, მაგრამ სცდებით, თუ გგონიათ, ტა-რება მიჭირს. უკვე დიდიხანია შევეგუე ამ სამუშაოს და სულაც არა მვნებს. მხოლოდ კიბეზე კი ფრთხილად უნდა ავიდე ხოლმე. თუმცა წარსულ ზამთარს მაინც დავეცი და ისე დავიმტვერი, რომ კარგა ხანს ჯოხით დავდიოდი.

— რას ბრძანებთ? როგორ მოხდა?

— ნახშირი მიმქონდა ბანკში, კიბე კი იქ ცოტა მოლიპული იყო. ზურგზე საკმაოდ მძიმე ტომარა მქონდა მოგდებული. შუა კიბეზე ვიყავი, რომ ზევით კონსული ანდერსენი დავინახე, რომელიც ის იყო ქვევით ჩამოდიოდა. არა, გა-მატარეო არ უთქვამს, ეს ხომ ისედაც იგულისხმებოდა, ასეც ვაპირებდი, მაგ-რამ ისე ბედუკულმართად შევბრუნდი, ფეხი დამიცდა, მარჯვენა მხარზე დავეცი და კიბიდან დავგორდი. „რა მოგივიდათ? — გადმომახა კონსულმა; — არ კვნესით. მაშ, არ დამტვრეულხართ?“ „არა, — ვუპასუხე მე, — მგონი, გა-დავრჩი“. მაგრამ ხუთი წუთიც არ იყო გასული, ორჯერ ზედიზედ დავკარგე გონი; ახლა კიდევ ძველმა სატკივარმაც გამიხსენა და მაშინვე მუცელი შემი-შუბდა. სიტყვამ მოიტანა, კონსულმა გულუხვად დამასაჩუქრა, თუმცა მისი ბრალი სულაც არ იყო.

— სხვა არაფერი დაგშავებიათ? თავი არ დაგირტყამთ?

— დიახ, თავი ცოტათი გავიტეხე.

— რაო, კონსული სულ გეხმარებოდათ ავადმყოფობის დროს?

— მერედა როგორ! რაც კი აუცილებელი იყო, ყველაფერს მიგზავნიდა, ერთი დღეც არ დავვიწყებდით, მაგრამ ყველაზე საოცარი აი, რა იყო: იმ დღეს, როცა, როგორც იქნა, ადგომა შევძელი და მადლობის გადასახდელად გავეშურე მასთან, უბრძანა, ბაირალი გამოეკიდათ. წარმოვიდგენიათ, თუმ-ცა იმ დღეს ფრეკენ ფრედერიკის დაბადების დღე იყო, მხოლოდ და მხო-ლოდ ჩემ პატივსაცემად ბრძანა, ბაირალი აღემართათ.

— ფრეკენ ფრედერიკი ვინდაა?

— მისი ქალიშვილია.

— აჰა, ძალიან გულის ამაჩუყებლად მოქცეულა. ჰო, მართლა, ხომ არ

იცით, ამ რამდენიმე დღის წინ მთელ ქალაქში რატომ იყო გამოკიდებული ბაირალები?

— რამდენიმე დღის წინ? მაგალტ, გავიხსენო... ალბათ, ერთი კვირის უკან იქნებოდა... ხომ ასეა? ბაირალები ფრეკენ ჰელანის, დაგნი ჰელანის ნიშნობის აღსანიშნავად იყო გამოკიდებული. ასე ზეიმობენ ხელმეფე ჰენრი ქალიშვილები ნიშნობას, მერე თხოვლებიან და მიემგზავრებიან. გზაზე მუხრან-მეგობრები, შეიძლება ითქვას, ქვეყნის ყველა კუთხეში მყავს და მერწმუნეთ, მათ შორის ერთიც არ მეგულება, კვლავ შეხვედრა რომ არ მიხდოდეს. ისინი ჩემს თვალწინ იზრდებოდნენ, თამაშობდნენ, სკოლაში მიდიოდნენ, იღებდნენ პირველ ზიარებას, ქალიშვილდებოდნენ... დაგნი ოცდასამი წლისაა და მთელი ქალაქის ნებიერაა. პოი, რა ლამაზია! ლეიტენანტ ჰანსენზეა დანიშნული. მან დიდი, დიდი ხნის წინათ, აი, ეს ქუდი მაჩუქა.

— ფრეკენ ჰელანი ქერაა?

— დიახ, ქერაა და ისეთი ლამაზია, რომ ყველა მას შესტრფის.

— ეტყობა, სწორედ ფრეკენ ჰელანს შევხვდი პასტორის სახლთან. წითელი ქოლგა უჭირავს ხოლმე?

— დიახ. წითელი ქოლგა მხოლოდ მასა აქვს. თუ იმ ქალიშვილს, თქვენ რომ შემოგხვდათ, სქელი, ქერა ნაწნავი ჰქონდა, მაშინ ნამდვილად ისაა. სხვა მისდარი არავინაა. მაგრამ თქვენ, ალბათ, ჯერ არ გისაუბრიათ მასთან?

— არა, წარმოიდგინეთ, ვესაუბრე, — და ჩაფიქრებულმა თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკაო, — მაშ, ეს ფრეკენ ჰელანი იყო!...

— მაგრამ, ალბათ, სულ ორიოდ სიტყვა უთხარით, დიდხანს ჯერ არ გისაუბრიათ, არა? ეგ კიდევ წინა გაქვთ. როცა რამე სასაცილოდ ეჩვენება, გულიანად კისკისებს ხოლმე. ხშირად სრულიად უმიზეზოდ იცინის, მხოლოდ იმიტომ, რომ მხიარულ გუნებაზეა. თუ მასთან საუბარი მოგიწევთ, აუცილებლად მიაქციეთ ყურადღება, როგორი გულისყურით გისმენთ, რასაც არ უნდა უყვებოდეთ, სულერთია, არასოდეს შეგაწყვეტინებთ სიტყვას და მხოლოდ მაშინ გიბასუხებთ, როცა გაჩუმდებით... იგი ლაპარაკობს და სიმორცხვის სიწითლე უღებავს სახეს. ხშირად შემიმჩნევია, როცა ვინმესთან საუბრობდა და მეც იქ ვიყავი. ღმერთო ჩემო, როგორ ლამაზდება ამ დროს! მაგრამ მე, რა თქმა უნდა, არ ვითვლები. ჩემთან შინაურულად ლაყბობს, ყოველგვარი მორცხვობის გარეშე. შემოძლია, ქუჩაში თამამად მივიდე მასთან. კიდევ რომ ეჩქარებოდეს, მაინც ყოველთვის შეჩერდება და ხელს გამომიწვდის. იქნებ, ჩემი არ გჯერათ, მაგრამ ოდესმე თქვენი თვალით დაინახავთ და დარწმუნდებით.

— რატომაც არა, სიამოვნებით გიჯერებთ. მაშ, ფრეკენ ჰელანი თქვენი ახლობელია?

— უბრალოდ, ყოველთვის კეთილად მეპყრობა ხოლმე, მეტი არაფერი. ხანდახან პასტორის ლეკვში შეპატაუვებიან. მე მგონი, დაუპატიუებლადაც რომ შევიარო, მაშინაც სასურველი სტუმარი ვიქნები. როცა ავად ვიყავი, ფრეკენ დაგნი წიგნებს მაძლევდა საკითხავად და კი არ მიგზავნიდა, თავად მოჰქონდა.

— რა წიგნები იყო?

— თქვენ გაინტერესებთ რა წიგნებზე მიმიწვდება ხელი?

— არა, ამჯერად მცდარად გაიგეთ ჩემი ნათქვამი. თქვენ გამჭრიახი ხართ, მაგრამ ვიმეორებ, რომ შეცდით. საერთოდ კი საინტერესო კაცია ხართ. მე მინ-

დოდა გამეგო. რა წიგნები აქვს ფრეკენ ჰელანს, რა კითხულობს? მაინტერესებს ეიცოდე.

— მახსოვს, ერთხელ გამბორგის „გლეხი სტუდენტები“ და კიდევ ორი სხვა წიგნი მომიტანა, ერთ-ერთი, მგონი, ტურგენევის „რუდინი“ იყო, მეორედ კი ხმამაღლა მიკითხავდა გამბორგის „შეურიგებელთა“ ^{გერმანიის} ^{გერმანიის} ^{გერმანიის}

— ეგ წიგნები თავად ფრეკენ ჰელანისაა?

— არა, მამამისისაა, ზედ მისი სახელი ეწერა.

— მართლა, თქვენ თქვით, როცა კონსულ ანდერსენთან მადლობის გადასახდელად წახვედით...

— მიხდოდა, დახმარებისთვის მადლობა შეთქვა.

— დიახ, მეც მაგას ვამბობ. რაო, ბაირალები თქვენს მისვლამდე იყო გამოკიდული?

— დიახ, კონსულმა თავად მითხრა, რომ ჩემს პატივსაცემად გამოკიდა.

— გასაგებია, ან, იქნებ, მაინც ფრეკენ ფრედერიკის დღეობის გამო გამოკიდეს?

— მერე რა, შეიძლება, სავსებით შესაძლებელია. აგრეც იყო, არც ესაა ურიგო. პირდაპირ სამარცხვინო იქნებოდა, ქალიშვილის დღეობისთვის ბაირა-ლი არ გამოეკიდა.

— რა თქმა უნდა, თქვენ მართალი ხართ... სჯობს სხვა რამეზე ვიმუშაოთ. რამდენი წლისაა ბიძათქვენნი?

— ასე, სამოცდაათის იქნება, ალბათ. არა, აშკარად გადავაცარბე, მაგრამ სამოცს კი ნამდვილად არის გადაცილებული. რა თქმა უნდა, უკვე მოხუცია, მაგრამ თავის ხანთან შედარებით ჭარმაგად გამოიყურება. თუ დასჭირდა, უსათ-ვალოდაც წაიკითხავს.

— რა გვარია?

— ისიც გრეგორდია. ჩვენ, ორივენი, გრეგორდები ვართ.

— ბიძათქვენს საკუთარი სახლი აქვს თუ ქირაობს?

— სადაც ვცხოვრობთ, ის ოთახი დაქირავებული აქვს, ნახშირის საწყობი კი საკუთარია. თღონდ არ გეგონოთ, გადახდა გვიჭირდეს, თუ ეს გაქვთ მხედ-ველობაში. ვალს ნახშირით ვისტუმრებთ, ხან კი ქირის ანგარიშში ვმუშაობ ხოლმე.

— მაგრამ ბიძათქვენს, ალბათ, ნახშირი არ დააქვს?

— არა, ესეც ჩემს კისერზეა. ბიძაჩემი ნახშირს ფენს და სავაჭრო საქმე-ებს უძღვება, მე კი დამაქვა. ჩემთვის უბრიანია, მე ხომ უფრო ღონიერი ვარ.

— გასაგებია. საჭმლის გასაკეთებლად, ალბათ, ქალი გყავთ დაქირავებული? დუმილია.

— მომიტევეთ. — ამბობს მაიცა, — და გთხოვთ, ნუ გაჯავრდებით, მაგრამ თუ ნებას მომცემთ, უმჯობესია, წავიდე. ალბათ, იმიტომ მაჯოვნებთ, რომ წაამოთ. ვერ წარმომიდგენია, თქვენთვის მართლა საინტერესო იყოს ჩემს საქ-მეებზე საუბარი, ან, იქნებ, ჩემთვის გაუგებარი მიზეზის გამო მომიწვიეთ. მა-შინ კიდევ არა უშავს რა. მაგრამ მე თუ ახლა წავედი, თქვენ არ გეგონოთ, ვინმე მაწყენინებს. ქუჩაში ბოროტი ხალხი არ შემხვდება, რწმუნებული შუ-რის საძიებლად არ მყარაულობს კართან. იქნება, თქვენ ამის გეშინიათ? კიდევ

რომ მელოდებოდეს, ავს არას შემამთხვევს, ნამდვილად არ შემამთხვევს, დარწმუნებული ვარ.

— დიდად გამახარებთ, თუ ცოტა ხანს კიდევ დარჩებით, ~~ოღონდ~~ არ გეგონოთ, მხოლოდ იმიტომ, რომ თამბაქოსთვის ორიოდე კრონი მოგეცით, ვალდებული ხართ, თქვენ თავზე რამე მიამბოთ. როგორც გენებთ, ~~მისე~~ მოიქცით.

— დავრჩები, დავრჩები! — შესძახა მაიცამ, — ღმერთმა დაგლოცოთ! ბედნიერი ვარ, რომ ჩემთან ყოფნა ცოტაოდენ სიამეს მაინც განიჭებთ, მე ხომ ჩემი თავისაც მერცხვინება და ჩემი ჩაცმულობისაც. რომ მცოდნოდა, ასეთი შეხვედრა მელოდა, შემეძლო, უფრო რიგიანად ჩამეცვა. ახლა ბიძაჩემის ძველი სერთუკი მაცვია. მართლაც, მთლად გაცვდა, თითის მიკარებისთანავე ირღვევა. ახლა კიდევ რწმუნებულმა გაგლიჯა და... იმედი მაქვს, მაპატიებთ. მზარეულ ქალს კი რაც შეეხება, სულაც არა გვყავს, საჭმელსაც ჩვენ თვითონ ვიმზადებთ და სარეცხსაც ჩვენვე ვრეცხავთ, მაგრამ ეს სულაც არ გვეძნელება, თანაც ყველაფერი უაღრესად გავიოლეოთ. თუ, მაგალითად, დილით ყავა ავიდუღეთ, სალამოს, რაც მოგვრჩება, ცივადვე ესვამთ. სადილს ერთბაშად რამდენიმე დღისთვის ვიმზადებთ, რაც მოგვხვდება იმისგან, ჩვენს დღეში მყოფი კაცი უკეთესს ვერც ინატრებს. გარდა ამისა, სარეცხიც ჩემს კისერზეა. როცა სხვა სამუშაო არაფერია, გულსაც კი ვაყოლებ ხოლმე.

ამ დროს ქვემოთ ზარმა დარეკა. მერე კიბეებზე ნაბიჯების ხმაც მოისმა — მდგმურები ჩადიოდნენ სავახშმოდ.

— ვახშმად რეკავენ, — თქვა მაიცამ.

— დიახ, — კვერი დაუკრა ნაგელმა, მაგრამ ადგილიდან არ დაძრულა და არც მოუთმენლობა დასტყობია. პირიქით, უფრო მარჯვედ მოკალათდა სავარძელში და ჰკითხა:

— იქნებ, კარლსენსაც იცნობდით, აი, ამ ცოტა ხნის წინათ რომ მკვდარი იპოვეს ტყეში? სევდიანი ამბავია, არა?

— დიახ, ძალიან. კარლსენს კარგად ვიცნობდი. საუცხოო, კეთილშობილი ადამიანი იყო. აი, რა მოთხრა ერთხელ: ერთ კვირა დღეს მისას დამიძახეს, მას აქეთ ბარემ წელიწადი იქნება. დიახ, ასეა, შარშან მაისში იყო. წერილის წაღება მოხოვა. „კარგით, წავიღებ-მეთქი, ვუთხარი, — მაგრამ ისეთი ჯლანი მაცვია, ხალხში გარევა სირცხვილია, თუ ნებას მომცემთ, ჯერ სახლში შევირბენ და ვთხოვ, ამ შემთხვევისთვის უფრო რიგიანი ფეხსაცმელი მომცენ-მეთქი“. — „არა, საჭირო არაა, — მიპასუხა, — ამას არავითარი მნაშენელობა არა აქვს, თუ ფეხი არ დაგმსველდებათ“. წარმოგიდგენიათ, წუხდა, ფეხი არ დამსველებოდა! ხელში კრონიანი შემომამჩეჩა და წერილი მომცა. უკვე გამოსული ვიყავი, როცა უცბად კარი მოათრიალა და გამომიღგა, ისეთი გახარებული სახე ჰქონდა, შევჩერდი და შევხედე: თვალი ცრემლითა ჰქონდა სავსე. მომეხვია, მაგრად ჩამიკრა გულში, დიახ, მართლა ჩამიკრა, პატიოსან სიტყვას გაძლევთ, და მითხრა: „აბა, წადით, ჩემო კარგო, და წერილი წაიღეთ. იცოდეთ, არ დაგივიწყებთ. როცა პასტორი გავხდები და სამწყსოს ჩამაბარებენ, წამოგიყვანთ და ჩემთან გაცხოვრებთ. აბა, მშვიდობით იყავით და ღმერთი იყოს თქვენი შემწე!“.

სამწუხაროდ, სამწყსოს მიღება არ დასცალდა, მაგრამ ცოცხალი რომ დარჩენილიყო, სიტყვას არ გასტეხდა.

— წერილი წაიღეთ?

— დიახ.

- ფრეკენ ჰელანს წერილი გაუზარდა?
- საიდან იცით, რომ წერილი ფრეკენ ჰელანის იყო?
- როგორ თუ საიდან? თქვენ თვითონ არ თქვით ახლაბან?
- მე? მე ვთქვი? ტყუილია!
- როგორ თუ ტყუილია! თქვენ გნებავთ თქვათ, რომ ვერაფერი?
- არა, მაპატიეთ, იქნებ, მართალიც ხართ, მაგრამ არ უნდა შეთქვა. უნებურად წამომცდა. არა, ნუთუ მართლა ვთქვი?
- მერე რა მოხდა? განა კარლსენმა აგიკრძალათ ამაზე ლაპარაკი?
- არა, იმას არ აუკრძალია.
- მაშ, ფრეკენმა?
- დიახ.
- კეთილი, ჩემი იმედი გქონდეთ; არავის ვეტყვი. მაგრამ თქვენ ხვდებით, რატომ მოიკლა თავი?
- არა. ეს რა უბედურება მოხდა!
- არ იცით, როდის კრძალავენ?
- ხვალ, შუადღისას.
- ამ ამბავზე აღარ ულაპარაკიათ, ცოტა ხანს ჩუმად ისხდნენ. სარამ კარში თავი შემოყო და შეახსენა, ვახშამი უკვე მზადააო. ბოლოს ნაგელმა დაარღვია სიჩუმე.
- ასე, მაშ, ფრეკენ ჰელანი დანიშნულია, არა? საქმრო რა კაცია?
- საქმრო ლეიტენანტი ჰანსენია — მხნე ოფიცერი და, მართლაც, საუცხოო ადამიანი. მის ხელში ფრეკენ ჰელანს არაფერი გაუჭირდება.
- მდიდარია?
- მამამისია ძალიან მდიდარი.
- კომერსანტია?
- არა, გემთმეპატრონეა. აქედან შორს არ დგანან. მართალია, დიდი სახლი არა აქვთ, მაგრამ არცა სჭირდებათ; ვაჟი რომ ცოლს შეირთავს, მოხუცები მარტო დარჩებიან. ქალიშვილიც ჰყავთ, მაგრამ გამოთხოვილია და ინგლისში ცხოვრობს.
- როგორ გგონიათ, მოხუც ჰანსენს ბევრი ფული აქვს?
- მე გგონი, მილიონზე ნაკლები არ ექნება, მაგრამ დანამდვილებით არა-ვინ იცის.
- დუმილია.
- დიახ, — თქვა უცბად ნაგელმა. — ეს სოფელი უსამართლოა. ამ ფულიდან რომ ცოტაოდენი თქვენ მოგცათ, გრეგორდ!
- ღმერთმა დამიფაროს, რად მინდა! კაცი იმას უნდა დასჯერდე, რაც გაბადია.
- მაგას ყასიდად ამბობენ ხოლმე. ახლა კი, აი, რა მინდა გკითხოთ, რადგან ნახშირს ეზიდებით, ალბათ, სხვა სამუშაოსთვის ველარ იცლით? ცხადია, ასე იქნება, მაგრამ, ყური მოგკარი, პატრონსა ჰკითხეთ: სხვა სამუშაო ხომ არაფერი გაქვთ ჩემთვისო, ასე არ იყო?
- არა, — უთხრა მაიკამ და თავი გააქნია.
- როგორ თუ არა? ქვევით კაფეში თქვენ არა თქვით, რომ სამზარეულოში ნახშირი მიიტანეთ და პატრონსა ჰკითხეთ, სხვა ხომ არაფერია გასაკეთებელიო?

— ჰო, მართალია, მაგრამ გუნებაში ხხვა რამე მქონდა. თქვენ ამას ურად-
ლება მიაქციეთ?... უბრალოდ, იმედი მქონდა, ნახშირის ფულს მაშინვე მივი-
ღებდი, მაგრამ თხოვნა ვერ გავუბედე. აი, ამიტომ ვკითხე, სხვა საშუალო ხომ
არ გაქვთ-მეთქი. სწორედ ახლა ძალიან ხელმოკლედა ვართ და იმედი გვქონდა,
ნახშირის ფულს ავიღებდით.

— რამდენი გინდათ, გასაჭირს რომ თავი დააღწიოთ? ^{მარტო უნდა} ^{განგებულმა.}

— ღმერთი გიშველით, რას ბრძანებთ, რას ბრძანებთ! — შესძახა მაიცამ, —
მაგას ნურც იტყვი, თქვენ ისედაც უსაზღვროდ დაგვეხმარეთ. სულ ექვს კრო-
ნზე იყო ლაპარაკი. ახლა კი აგერ ვზივარ და თქვენი წყალობით, ოცი კრო-
ნი მიდევს ჭიბეში. ღმერთმა ააწილად გიმაგიეროთ. საქმე ისაა, მედუქნის
ვალა დაგვედო — კარტოფილის და კიდევ რიდაც-რიდაცების. მედუქნემ ან-
გარიში გამოგვიგზავნა და მე და ბიძაჩემი თავს ვიმტვრევდით, როგორ გვე-
შოვა ფული. ახლა კი ყველაფერი რიგზეა. ამაღამ შეგვიძლია მშვიდად დავიძი-
ნოთ და ხვალიც უზრუნველად გავიღვიძებთ.

დუმბილია.

— აბა, ახლა კი, მგონი, უმჯობესია შამპანური გამოვცალოთ და დღეის-
თვის ვიკმაროთ. — თქვა ნაგელმა და წამოდგა, — თქვენ გაგიმარჯოთ! ვიმე-
დოვნებ, ერთმანეთს კიდევ შევხვდებით. — მართლა, მართლა, პირობა უნ-
და მომცეთ, რომ აუცილებლად მომინახულებთ. როგორც ხედავთ, მე აქ, მეშ-
ვიდე ნომერში ვცხოვრობ. მადლობას მოგახსენებთ დღევანდელი საღამოსთვის!
— ნაგელმა ეს სიტყვები გულწრფელა კილოთი თქვა და მაიცას ხელი ჩამო-
ართვა. მერე სტუმარი სასტუმროს კარამდე მიაცილა, ზავერდის ქუდი მოუხა-
და და კვლავ მდაბლად დაუკრა თავი. მაიცამ თავის კანტურით დაიხია უკან,
სასტუმროს ზღურბლს გადააბიჯა და ჩლაბუნით აუყვა ქუჩას. კრინტი ვერ
დაეძრა. თუმცა სულ ცდილობდა, რაღაცა ეთქვა.

ნაგელი სასადილოში შევიდა და თავაზიანად მოუხადა ბოდიში სარას ვახ-
შამზე დაგვიანებისათვის.

IV

დილას იუპან ნაგელი კარზე კაკუნმა გამოაღვიძა — სარამ გაზეთები შემო-
უტანა. პაიპარად გადაავლო თვალი და იატაკზე დაყარა. ცნობა იმის შესახებ,
რომ გლადსტონი გაციების გამო ორი დღე ლოგინა იყო მიჯაჭვული, მაგრამ
ახლა გამოკეთდა, ორჯერ წაიკითხა და გადაიხარხარა. თავქვეშ ხელამოდებული
იწვა და ფიქრობდა. დრო და დრო ხმამაღლა კი ელაპარკებოდა საკუთარ
თავს.

დიახ, ტყეში გახსნილი ჯაყვით სეირნობა სახიფათოა, თურმე რა იოლად
შეიძლება კაცმა წაიბოროდიეო და მარცხიანად დაეცე. აგერ, ასე არ დაემართა
კარლსენს! თუმცა რა, ჭიბეში საწამლავეიანად ხეტილიც სახიფათოა. ერთიც
ენახოთ და ფეხი დაგიცდა. მაშინვე ზღართანს მოადენ, შუშა ჩანატუქდება, ნამ-
სხვრევზე კანს შეაჭრი და შხამი სისხლში გადავა. მოკლედ, რა გზასაც არ უნდა
დაადგე, ყველგან ხიფათი გელის. ნუთუ მართლა ასეა? თუმცა, არის ერთი
სრულიად უხიფათო გზა — ის, რომელსაც გლადსტონი ადგას, პირდაპირ
თვალწინ მიდგას ამ ეიროშმაკა მეურნის სახე, ამ გზას როცა მიყვება. რა წინ-
დახედულია, როგორ ეშინია, არ წაბოროდიდეს. როგორ ეხმარება ბედს, რომ

უკუღმა არ დაუტრიალდეს. აგერ, გაციებაშაც გაუარა. დიახ, ეგ კი მოიყრება ღრმა სიბერემდე და სიკვდილამდე საღ-საღამათი დარჩება.

პასტორო კარლსენ, რატომ წარგე ცხვირი გუბეში? ნუთუ ვერასდროს ვერ-ვინ მიხვდება, განგებ ჰქმენ ასე, რომ სიკვდილის შიშით მოგვრილი ღმეჭა დაგემალა, თუ სულთმობრძაობის კრუნჩხვამ დაგრია ხელში? შენ შენს ბოლო უამი თავად ირჩიე იმ ბავშვივით, სიბნელისა რომ ეშინა? ღმერთ-მზისით, სა-დილობა რომ გადავიდა, მიწაზე დაეცო ხელში ჩაბლუჯული გამოსათხოვარი ბა-რათით. საბრალო, საბრალო კარლსენ!

კაცმა რომ თქვას, რაღა ტყე ირჩიე შენი ბრწყინვალე განზრახვის შესას-რულებლად? რაო, ასე ძალიან გიყვარდა ტყე? მინდორზე, გზაზე, ზღვაზე მე-ტად? „ტყეში დაეხეტებოდა მთელი დღე ბიჭუნა, უღრან ტყეში დაეხეტებოდა, ტრა-ლა-ლა...“, აი, თუნდაც ვარდალის ტყე ავიღოთ, გლევიკისკენ მიმავალ გზა-ზე რომაა, წევხარ, თვლებ და ყველაფერს ივიწყებ, მალლა იყურები და, ჰა-ჰა-ჰა, ისე ჩაციებით შესცქერი ცას, რომ ლამისაა გაიგო, როგორ ჩურჩულებენ და განგვსჯიან ჩვენ, მიწიერ ცოდვილთ, ზემოურები: „ესეც თუ აქ ამოვიდა, — სისინებს განსვენებული დედილო, — აქაურობას გავეცლები“. და ამ საკითხს სახელმწიფო მნიშვნელობას ანიჭებს. ჰა-ჰა-ჰა! ვიცინი პასუხად და ვეუბნები. „ჩუ, ხელს ნუ მიშლი, ოღონდ ნუ მიშლი!“ ამას ისე გავყვორი, რომ ორი პა-ტარა მდებრი ანგლოსის, სვაეა ბიორნსონისა და ღრმად პატივცემულ იაირას ასულის ყურადღებას ვიპყრობ. ჰა-ჰა-ჰა-ჰა!

კაცმა რომ თქვას, რა ეშმაკს ვუწევარ აქ და ვიცინი? ნუთუ თავკერძაო-ბამ დამბალა? მხოლოდ ბავშვებს და კიდევ ნორჩ ქალწულებს უნდა ჰქონდეთ სიცილის უფლება, მეტს არავის, სიცილი ატავიზმის ნიშანია, მაიმუნებისგან გამოყოფილი, ყელიდან ამოხეთქილი უხამსი, უსიარცხვილო ხმები. სიცილი წამსკდება ხოლმე, როცა ილღიაში მიღრტინებენ, რა მითხრა მეყასბე პაუგემ თავად რომ გამაყრუებლად როხროხებდა და, სიტყვამ მოიტანა, ამით თავიც კი მოჰქონდა! მითხრა: კაცი არ შეგულება გრძნობის ხუთ ორგანოს რომ ფლობ-დეს და რომელიც...

ახლა რა მშვენიერი იყო მისი პატარა გოგონა! იმ დღეს, ქუჩაში რომ შე-მომხვდა, წვიმა ასხამდა, ხელში ტურტელი ეჭირა, მიდიოდა და ტიროდა, იმა-ტომ რომ ფული, რომლითაც რესტორაციაში შზა სადილი უნდა ეყიდა, დაჰკარ-გვოდა. ოჰ, განსვენებულ დედილო, ხედავდი კი მაქედან, ზეციდან, რომ ერთი შილინგიც არ მებადა გოგონას სანუგეშებლად, რომ მე პირდაპირ თმას ვიგ-ლეჯდი, მაგრამ ერთი გროშიც კი არ გამაჩნდა. ამ დროს, ანაზღად, ქუჩაში ორ-კესტრმა ჩაიარა, ლამაზმა მონაზონმა კი გამომხედა და თვალთა ელვარებით დამაბრმავა, მერე მორჩილად გაუყვა გზას, დაბლა დაეხარა სახედველნი, თვალ-თა გაელვებისთვის თუ კიცხავდა თავს. მაგრამ ამ დროს ვილაყ წვეროსანმა პა-ტონმა, რბილი ფეტრის ქუდი რომ ეხურა, ხელი მტაცა, თორემ ეტლის ქვეშ მოვეყვებოდი. დიახ, ღმერთი მოწამეა, კინალამ დავიღუპე...

გესმის!... ერთი... ორი... სამი, რა ნელა რეკავს... ოთხი, ხუთი, ექვსი... შვიდი... რვა... ნუთუ რვა საათია? ცხრა... ათი... უკვე ათია! უნდა ავდგე! ნეტავ, სად რეკავს საათი? შეუძლებელია, ქვევით კაფეში რეკდეს, მაგრამ ამას რა მნიშ-ვნელობა აქვს, რა მნიშვნელობა აქვს. ახლა რა უაზრო აყალმაყალი ავტებე გუშინ კაფეში! მაიცა მთლად კანკალებდა, სწორედ სულზე წავესარჩლე. ბო-ლოს ნამდვილად იმით გათავდებოდა საქმე, ნამწვიან-ასანთიან ლუდს

დალევდა. მერედა რაო? შენ გეკითხები ერთი, ცნობისმოყვარე რეგვენო: მერედა რაო? რა ეშმაკად ვჩიო ცხვირს ყოველთვის სხვის საქმეში? და საერთოდ, რა ეშმაკად ჩამოვეხეტე? იქნებ, მსოფლიო კატაკლიზმი, რაღაც გლადსტონის გაციების მსგავსი რამ მოხდა? ჰა-ჰა-ჰა! უფალი ღმერთი გიშველოს, ჩემო ბიჭუნა, თუ ყველაფერს გულწრფელად აღიარებ და როგორც არის ესე იტყვი: შენ უკვე შინ ბრუნდებოდი, რომ ამ მიყრუებულმა ქალაქმა ახალი დღის აგაფორიაქა — თუმცა ძალზე პატარა და უსახურია — მოფრიალე ბაირალეების შემყურე, ისეთმა მწიწკნავმა, გაურკვეველმა სიხარულმა აგიტაცა, რომ მზად იყავ, გეტირა. A propos იმ დღეს 12 ივნისი იყო და ბაირალეები ფრეკენ პელანის ნიშნობის აღსანიშნავად გამოეკიდათ. ორი დღის შემდეგ კი ტყეში შევხვდი.

ბედი არ გინდა! მაინცდამაინც იმ საღამოს შევეყარე, როცა ისე აფორიაქებული ვიყავი, ზეირიანად არც კი მესმოდა, რას ვჩადიოდი. რომ მახსენდება, სირცხვილისგან ლამის მიწა გამისკდეს და თან ჩამიტანოს.

— საღამო მშვიდობისა, ფრეკენ, მე ჩამოსული ვარ, სასეირნოდ გამოვედი და გზა ველარ გამიგნია.

მაიცა მართალია, სახეზე უმაღლესი წამოანათებს ხოლმე და საუბრისას უფრო წითლდება.

— თქვენ სად მიბრძანდებით? — მეკითხება და შემომცქერის.

ქუდს ვიხდი, თავშიშველი ვდგავარ მის წინაშე და ამასობაში ვიგონებ კიდევ, რა პასუხი გავცე:

— მითხარით, გეთაყვა, რა მანძილია აქედან ქალაქამდე, ოლონდ, გთხოვთ, ზუსტად მიპასუხოთ.

— არ ვიცი, — ამბობს იგი, — აქედან არ ვიცი, მაგრამ პასტორის სახლიდან ზუსტად მეოთხედი მილია — პირველივე სახლია გზის პირას.

მიბრუნდება და წასვლას აპირებს.

— გმადლობთ, — ვეუბნები მე, — მაგრამ თუ პასტორის სახლისკენ გზა ტყეზე გადის, თქვენ კი იქ, ან უფრო შორს მიბრძანდებით, ნება მიბოძეთ, ვაგაცილოთ. მზე უკვე ჩავიდა, ქოლგას წამოგიღებთ, თავს არ შეგაწყენთ, თუ არ გეამებათ, კრინტსაც არ დავძრავ, ოლონდ, ნება მომეცით, გვერდზე გამოგყვით და ჩიტების ჭიკჭიკს ვუსმინო. ნუ, ნუ წახვალთ, სად გეჩქარებათ! რატომ გარბიხართ! — მაგრამ რადგანაც კვლავაც მირბოდა და ყურს არ მიგდებდა, გავეკიდე, რომ პატიება მეთხოვა.

— ეშმაკმა წამიღოს, თუ თქვენ ნათელ სახეს ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება არ მოეხდინოს!

ამის თქმა იყო და ისე სულდაუთქმელად მოჰკურცხლა, სულ მალე თვალთახედვიდან დამეკარგა. მირბოდა და თან სქელი ნაწნავი ხელით ეჭირა. არასოდეს მსგავსი არაფერი მინახავს.

აი, როგორ მოხდა ყველაფერი. მე მისი წყენინება არ მინდოდა, ცუდი არაფერი მედო გუნებაში. ნაძლევს ჩამოვალ, თავით-ფეხამდე თავის ლეიტენანტზეა შეყვარებული. ძალად მითმასნება აზრად არ მომსვლია. რას იზამ, ჩინებულია, ყველაფერი ჩინებულად მოეწყო; ვინ იცის, მისმა ლეიტენანტმა დუელშიც კი გამომიწვიოს. ჰა-ჰა-ჰა! ოლქის მოსამართლის კანცელარიის რწმუნებულს შეუთანხმდება და ერთად გამომიწვევენ.

საინტერესოა, აჩუქებს თუ არა რწმუნებული მაიცას ახალ სერთუკს. ერთ-

ორ დღეს მოვიცდით, მაგრამ თუ დანაპირებს ორი დღის შემდეგაც არ შეასრულებს, მაშინ შეხსენება მოგვიწევს. წერტილი. ნაგელი.

აქ ერთი ღარიბი ქალი ვნახე. გვერდით რომ ჩავუარე, ისეთი კრძალვით შემომხედდა, თითქოს რაღაც უნდოდა ეთხოვა, მაგრამ ვერ კი გაბედა მისი თვლების დავიწყებას ველარ ვახერხებ, თუმცა თმა მთლად გათეთრებია. ოღონდ ამ ქალს არ შეეხვედროდი და, უკვე ოთხჯერ წამოვედი სხვაგან, მაგრამ მოხუცი კი არ არის, ხანს როდი შეუმოსავს მხცით. წარბი ჯერაც მწვე, სწამს, შემზარავად შავი აქვს, წარბებქვევიდან კი თვალები კრთიან. წინსაფრის ქვეშ თითქმის ყოველთვის კალთა აქვს ამოფარებული. ეტყობა, სწორედ ამისი რცხენია. გვერდზე რომ ჩამიარა, თვალი გავაყოლე და დავინახე, ბაზრისკენ შეუხვია, კალათიდან ორიოდუე კვერცხი ამოიღო, იქვე შეუვაჭრებლად გაყიდა, მერე კალთა კვლავ წინსაფარს ამოაფარა და შინისკენ გაეშურა. ქვევით, ერთ პატარა ქოხში ცხოვრობს, სანაპიროზე. ერთსართულიანი, შეუღებავი ხუნულაა. ერთხელ ფანჯარაში დავინახე. სარკმელზე ფარდები არ უფარია, მხოლოდ ქოთნები უდგას რაფაზე, თეთრი ყვავილები ჰყვავიან შიგ. მოშორებით იდგა ოთახში და თვალი გამომაყოლა. ღმერთმა უწყის, რა ქალია. მაგრამ ძალიან კოპწია ხელები კი აქვს. მე შენი გაკითხვა ძალმიძს, ჭალარა ქალწულო, მაგრამ მინდა სხვაგვარად დაგეხმარო.

თუმც ვიცი, რატომაც შემძრეს ასე ძალუმაღ შენმა თვალებმა. თვალი მოგკარ თუ არა, მაშინვე ვიცოდით. მაინც რა უცნაურია, რომ ჭაბუკობის სიყვარული ასე დიდხანს გაჰყვება ხოლმე ადამიანს და ისევ და ისევ ახსენებს თავს. მაგრამ შენ ხომ მისი კურთხეული სახე არა გაქვს და გაცილებით უხნესიცა ხარ. მერე ტელეგრაფისტს გაჰყვა ცოლად და კაბელვოგში გადავიდა. ვერ ველირსე მის სიყვარულს. ვერც ვერასოდეს ველირსებოდი, რა გაეწყობა... საათმა თერთმეტის ნახევარი ჩამორეკა... ღიახ, რა გაეწყობა, მაგრამ, რომ იცოდე, ამ თორმეტი წლის მანძილზე რა დაუცხრომლად ვფიქრობდი შენზე: არასოდეს მაგიწყდებოდი... ჰა, ჰა! ეს უკვე ჩემი ბედშაობის ბრალია, და არა მისი. ის არაფერ შუაშია. სხვებს ერთი წელი თუ ახსოვთ და მორჩა, მე კი მთელი ათი წელია ვიტანჯები.

მე დავეხმარები კვერცხების გამყიდველ, ჭალარა ქალწულს, ცუღს მივცემ და კიდევ რამენაირად გავუმართავ ხელს — იმ თვალებისთვის დავეხმარები... ფული თავზესაყარად მექნება, ოღონდ კი დასტური მივცე და მამულის საფასური, სამოცდაორი ათასი კრონი, ჩემს ჯიბეში გაჩნდება! ჰა-ჰა-ჰა! ამის საბუთად საკმარისია მაგიდას დავხედო, ზედ სამი უმნიშვნელოვანესი ტელეგრაფი აგდია... მაგრამ ეს ყველაფერი ჩირადაც არ ღირს! კაცი რომ აგრონომი და კაპიტალისტი ხარ, ცხელ გულზე არაფერს სჩადიხარ, ამ დროს, როგორც იტყვიან, ასჯერ უნდა გაზომო და ერთხელ გადასჭრა. ასეც იქცევი — დინჯად სწონი ყველაფერს და ეჭვიც კი არავის ეპარება, რომ ეს ყველაფერი თვალთმაქცობაა და თანაც უხეირო. პოი, ადამიანო, შენი სახელი — ვირია! საკმარისია სატყუარა დაგიქნიონ და ყველგან გაჰყვები. ჩემი ჟილეტის ჯიბიდან, აგერ, იქ რომ ჰკიდია, სააფთიაქო ბოთლის ყელი მოჩანს, საწამლავია — წყალბადციან-მქავა. ისე, გასართობად დავათრევ ჯიბით და ვაუკაცობა არ მყოფნის, გამოვიყენო. მაშ, რაღას ცინახავ, ან რატომ ვიშოვე? ესეც თაღლითობაა, მოდური დეკადენტური ჯამბაზობა, თავის რეკლამა და სნობიზმია... ფუჰ!.. როგორი ნაზი და ვიწროა მისი მომხიბლავი ხელი!..

ანდა ავიღოთ. თუნდაც ერთი შეხედვით ისეთი უწყინარი რამ, ჩემი მე-
დალი რომაა, წყალწაღებულთა გადარჩენისთვის. მე იგი ნამუსიანად მიშოვი-
მგონი, ასე ამბობენ ხოლმე. რა აღარ მოგიწევს კაცს, წყალწაღებულთა გადარ-
ჩენაც კი. მაგრამ, ღმერთმა ხომ იცის, მე ამაში ღვაწლი არ მიმიძღვის. თავად
განსაჯეთ, ღრმად პატივცემულო ქალბატონებო და ბატონებო! გემზავნის მოა-
ჯირთან ყმაწვილი კაცი ღვას, ტირის, მხრები უცახცახებს ~~რაც~~ ^{რაც} გემზავნის მოა-
რაკები, თვალარეული მიყურებს და ქვევით, სალონში ჩაბდის. უკან მივსდევ.
მაგრამ იგი უკვე თავის კაიუტაშია ჩაკეტილი. ვიღებ მგზავრთა სიას, ვპოულობ
მის გვარს და ვიგებ, რომ ბილეთი ჰამბურგამდე აქვს. ასე გადის პირველი
სალამო. მას უკან თვალს აღარ ვაცილებ, ყოვლად მოულოდნელ ადგილებში
წავასწრებ ხოლმე და სახეში ჩავცქერი. რატომ? ღრმად პატივცემულო ქალ-
ბატონებო და ბატონებო, თავად განსაჯეთ! ვხედავ, რომ ცრემლს ვერ იკავებს,
საშინლად იტანჯება და შეშლილი თვალებით დიდხანს, ჩაციებით ჩაჰყურებს
წყალს. ჩემი საქმეა? რა თქმა უნდა, არა, და ამიტომაც თავად განსაჯეთ, ნუ
გერიდებათ! გადის რამდენიმე დღე, ამოვარდება ქარი, ზღვა ბოზოქრობს.
ლამით, დაახლოებით ორ საათზე, ჩემი მფარველობის ქვეშ მყოფი ჰაბუკი გემ-
ბანის კიჩოზე გამოდის. მე, რა თქმა უნდა, უკვე იქა ვარ, მიმალული ვწევარ
და ვუთვალთვალე. მთვარის შუქზე სახე ქალაღლივით გასთეთრებულია. მერე რა
ხდება? აქეთ-იქით იყურება, ხელებს იწვდის, მოაჯირს გადაევლება და პირდა-
პირ ფეხებით ეშვება წყალში. და მაინც თავს ვერ იკავებს და ყვირის. თავის
საქციელს ნანობს, თუ უკანასკნელ წუთს შიშმა დარია ხელი? არადა, რაღას
ღრიალებს? დიდად პატივცემული ქალბატონები და ბატონები, ჩემს ადგილას
თქვენ როგორ მოიქცეოდით? ამის გადაწყვეტა თქვენთვის მომინდვია. იქ-
ნებ, კიდევ დაგეფასებინათ იმ უბედურის კეთილშობილური განზრახვა, თუმ-
ცა კი ბოლო წუთს შედრკა, და სამალავში დარჩენილიყავით. მე კი, პირიქით,
რაღაც მივაძახე ბოგურაზე მდგარ კაპიტანს და ისე ფათაფუთით გადავევლე
მოაჯირს, რომ თავდაყირა მივეფრინავ ქვევით, შეშლილივით ვფართხალებ, აქეთ-
იქით ვაწყდები და მესმის, გემზე ვიღაც მგრგვინავი ხმით აცხადებს განგაშს.
უეცრად ხელით მის თითებგაფშეკილ, ქვასავით გამაგრებულ ხელს ვზმანავ.
ფეხებს ჯერ კიდევ უნიათოდ ადგაფუნებს. ქეჩოში ვავლებ ხელს, იგი უფრო
და უფრო მძიმდება, რაღაცნაირად მთელი ტანით დუნდება, აღარ იძვრის, მაგ-
რამ საბოლოოდ ერთ ქიმუნჯს მაინც მთავაზობს რომ თავიდან მომიშოროს.
ზვირთი აღმა-დაღმა გვისვრის, მერე ვეება ტალღა თავზე გვასკდება და შუბლე-
ბით ისე ვეხეტქებით ერთმანეთს, რომ თვალთ მიზნელდება. აბა, რა უნდა შექნა?
კბილებს ვაკრაჭუნებ, უღვთოდ ვიგინები, მაგრამ ჩემი გვრიტი მანამდე მყავს
მაგრად ჩაბლუჯული, სანამ ნავი არ მოგვეშველა. მე გადავარჩინე ის ყმაწვი-
ლი, გადავარჩინე უხეშად და უბოდიშოდ, მაგრამ, იქნებ დათვური სამსახური
გავუწიე? მერე რა? თავად განსაჯეთ, ღრმად პატივცემულო ქალბატონებო და
ბატონებო, ეგ საქმე თქვენ მოგანდეთ. და თუ ღმერთი გწამთ, ნუ მელოლია-
ვებით. მიმიფუროთხებია. მაგრამ, აბა, ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რომ ამ ყმაწ-
ვილი კაცისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ქალაქ ჰამბურგს არ ჩასულიყო.
აი, ოინი თუ გინდათ, ეგ არის. იქნებ, იქ იმისთანა ვინმეს უნდა შეხვედროდა,
იმ კაცის დანახვას სიკვდილი ერჩია. მაგრამ ეს მედალი თავგანწირვისთვის
მომცეს და მეც კი არ მიმიგდია, ჯიბით დავატარებ. განაჩენის გამოტანისას
ესეც სათვალავში უნდა ჩააგდოთ. როგორც გენებოთ ისე განსაჯეთ, ეშმაკმა

დალაზვროს, მე რაში მენადვლება?! მერწმუნეთ, იმდენად სულერთია, რომ იმ თვითმკვლელის სახელიც კი დამავიწყდა, თუმცა, ეჭვი არაა, დღესაც ცოცხალია. მაინც რატომ მოიქცა ასე? იქნებ, უიმედოდ იყო შეყვარებული, იქნებ, მართლაც, ქალის გულისთვის, ვინ იცის? ჩემთვის კი ეს ყველაფერი მართლა სულერთია. წერტილი!..

ოჰ, ქალებო, ქალებო! მაგალითისთვის, თუნდაც კამა ავდილოთ, კოპწია დანიელი კამა. ღმერთი გფარვიდეს! მტრედევით ნაზია, პირდაპირ დნება სინაზისგან, თანაც რა ერთგულია. მაგრამ, ამასთან ერთად, კაცს უკანასკნელ შილინგს დასცინცლავს, ლამის სამოწყალოდ გაუხდის საქმეს. ცულლუტურად გადახრის ხოლმე თავს და ჩურჩულებს: ჰო, სიმონსენ, ჰო, აბა, გთხოვ, გენაცვალე! ღირთმა ხელი მოგიმართოს, კამა! ერთგულების ხატი იყავი და ეშმაკსაც წაუღიხარ, ბარი-ბარში ვართ...

აბა, კმარა, ადგომის დროა.

არა, ასეთებს სათოფეზე არ უნდა გაეკარო! „შვილო ჩემო, ქალის სიყვარულს უფრთხოდეს!..“ — როგორც დიდმა პოეტმა თქვა, თუ რა თქვა კიდევ ამდაგვარი?

კარლსენი უნებისყოფო კაცი იყო, იდეალისტი, დიდმა გრძნობებმა, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, სუსტმა ნერვებმა იმსხვერპლა, რაც თავის მხრივ, ცუდ კვებასა და სუფთა ჰაერზე ფიზიკური შრომის უკმარისობას ნიშნავს... ჰა-ჰა-ჰა! სუფთა ჰაერზე მუშაობა!.. „დაე, შენი მახვილი ისეთივე მსახვრალი იყოს, როგორც შენგან უკანასკნელად ნათქვამი „არა!“ მაინც შეირცხვინა თავი დიდი პოეტისგან ნასესხები ციტატით. ვთქვათ და დროზე შევხვედროდი, კარლსენს, თუნდაც უკანასკნელ დღეს, თუნდაც სიკვდილამდე ნახევარი საათით ადრე და ჩემთვის ეთქვა, სიკვდილის წინ დაწერილ ბარათში ციტატის მოყვანას ვაპირებო, მაშინ დაახლოებით ამას ვეტყვოდი: „აბა, ერთი აქეთ მომხედეთ, მე ჯერ კიდევ ჩემი ხუთივე გრძნობის ბატონ-პატრონი ვარ და როგორც კაცობრიობის ნაწილი, დაინტერესებული ვარ, უკანასკნელი უამი დიდ პოეტთა ციტატებით არ შეიბღალოთ. იცით კია, რას ნიშნავს დიდი პოეტი? დიდი პოეტი ისეთი კაცია, ვისაც სირცხვილი დაუკარგავს, ვინც საერთოდ არ იცის, რა ხილია სირცხვილი. ყველა სხვა სულელი, როცა საკუთარ თავთან მართლ დარჩება ხოლმე, ხანდახან მაინც წითლდება, აი, დიდ პოეტს კი ასეთი რამ არასოდეს ემართება. აბა, აქეთ მომხედეთ, თუ მაინცდამაინც ციტატის მოყვანა გსურთ, მაშინ ვინმე გეოგრაფისგან აიღეთ, და თავლაფს ნუ ისჩამთ, ვიქტორ ჰიუგო!.. მითხარით, კიდევ შეგჩნათ იუმორის გრძნობა? ერთხელ ბარონი ლედენი ვიქტორ ჰიუგოს ესაუბრებოდა: „თქვენის აზრით, ვინ არის საფრანგეთის პირველი პოეტი?“ — ჰკითხა ენამწარე ბარონმა. ვიქტორ ჰიუგომ ცალი ყბით ჩაიციხა, ბაგე ჩაიკენიჭა და როდის როდის მიუგო: „მეორე — ალფრედ დე მიუსეა“. ჰა-ჰა-ჰა! ან იქნებ, იუმორის გრძნობა დაკარგეთ? თქვენ თუ იცით, რა ჯნა ვიქტორ ჰიუგომ 1870 წელს. მან წერილობით მიმართა დედამიწის ზურგზე მცხოვრებ ხალხებს და გერმანელებს სასტიკად აუკრძალა პარიზის ალყა და იერიში: „მე იქ ძმისწულები და მრავალი მოკეთე მყავს. მე არ მსურს რომელიმე მათგანი ყუმბარის ნამსხვრევმა დაჭრას!“.

მართლა, რა იქნა ჩემი ფეხსაცმელები? სად დაიკარგა სარა ჩემი ფეხსაცმელებიანად? საცაა თერთმეტი გახდება და ჯერაც არ შემოუტანიათ.

მაშ, გეოგრაფის ციტატა მოვიყვანოთ...

ჰო, მართლა, რა მადის აღმძვრელი ტანი აქვს სარას. სიარულისას თეძოებს ნასუჭი ჭაკივით მიაქნევს. პირდაპირ ნახვადა ღირს! ნეტა, გათხოვილი თუ იყო? ყოველ შემთხვევაში, ბარძაყზე რომ ხელი შეავლო, არა მგონია. დიდი წივილ-კივილი ატეხოს. ალბათ, ადვილი დასაყოლიებელი იქნება.

ოდესღაც ერთი ქორწილის მოწმე შევიქენი და, ასე ვთქვათ, გულზე იდევ იმ ქორწილზე. ჰოდა, ღრმად პატივცემულო ქალბატონებო და ქალბატონებო, ეს ამბავი კვირა საღამოს, შვეციის ერთ-ერთ რკინიგზის სადგურზე. უფრო სწორად, კუნგსბაჰის სადგურზე მოხდა. დაბეჭითებით გათხოვთ, დაიხსოვთ, რომ სწორედ კვირა საღამოს მოხდა. მე გოგონას დიდმა, თეთრმა ხელებმა გამაოცა. ბიჭი კი კადეტის კეწკეწა მუნდირში გამოწყვებული უწვერულვაში ღლაპი იყო. გოგონაც სულ ნორჩი იყო, ორივე, ასე ვთქვათ, მთლად ბალები იყვნენ. გეტებორკიდან მოდიოდნენ. გაზეთს ამოფარებული ვუთვალთვალედი. მე აშკარად ვბორკავდი მათ და მთელი გზა შეცბუნებული უცქერდნენ ერთმანეთს. გოგონას აღზნებისგან თვალები უბრწყინავდა და ერთ ადგილზე ცქმუტავდა. ორთქლმავალმა დაიკივლა, მატარებელი კუნგსბაჰში შედიოდა. ბიჭმა გოგონას ხელი ჩაავლო, ისიც უმაღ მიუხვდა და ვაგონი დადგა თუ არა, ბაქანზე ჩაბტნენ. გოგონა კისრისტეხით გაქანდა კარისკენ, რომელსაც „ქალებისთვის“ ეწერა. ბიჭიც ფეხდაფეხ მიჰყვა. ღმერთო ჩემო, აერია! ისიც იმ კარში შევარდა, „ქალებისთვის“ რომ ეწერა და მაშინვე მოხურა. ამ დროს ეკლესიის ზარებმა დაიგუგუნა — კვირაძალი იყო — ასე ზარების კურთხევაში ისხდნენ იქ, ჩაკეტილები. გავიდა სამი წუთი, მერე ოთხი, მერე ხუთი... რა დაემართათ? ისინი იქ სხედან, ზარების რეკვა კი ქალაქს დასტრიალებს თავს და ერთმა ღმერთმა უწყის, მოუსწრებენ კია მატარებელს! ბოლოს ბიჭმა კარი გამოაღო და გამოიხედა. თავშიშველი იყო, უკან გოგონა ედგა და ქუდს ახურავდა. ბიჭმა მიხედა და გაუღიმა. მერე კიბეზე ჩამოირბინა, გოგონაც უკან მოსდევდა და თან გზადაგზა კაბას ისწორებდა. ვაგონში ამოხტნენ და კვლავ თავთავიანთ ადგილებზე დასხდნენ. ყურადღება არავის მიუქცევია, არავის, ჩემს გარდა. გოგონას ოქროს ედგა თვალებში, როცა ამომხედა და შემომღიმა. სუნთქვაშეკრულს პატარა მკერდი უფეთქავდა. ორიოდ წუთის შემდეგ უკვე ეძინათ. — დაეძინათ, თითქოს სადღაც გადაეშვინნო, ისე ბედნიერად იყვნენ დაღლილნი.

აბა, ახლა რას მიბრძანებთ? ღრმად პატივცემულო ბატონებო და ქალბატონებო, მე დავამთავრე. ოღონდ იმ მომხიბლავ ლორწეტიან მანდილოსანს როდი მივმართავ. კაცის გახამებული საყულო რომ უკეთია, აგერ იმ წიგნის ჭიას კი არ ვეკითხები-მეთქი, არამედ ორ-სამ კაცს თქვენს შორის, ვისაც თავის ბუნებაში ყველაფერი ადამიანური არ ჩაუხშვია და საზოგადო სასარგებლო მოღვაწეობას არ ეწევა. აუღრბელად მომიტევეთ, თუკი ვინმე გავანაწყენე. განსაკუთრებით იმ პატივცემულ ლორწეტიან წიგნის ჭიასთან ვიზდი ბოდიშს. აგერ, შეხედეთ, ახლა დგება. აკი ვთქვი — დგება! თუ გინდათ, ხატზე დავიფიცებთ, ან კარის გაჯახუნებასა და წასვლას აპირებს, ან არა და, ციტატას მოიყვანს. და თუ ციტატას მოიყვანს, მხოლოდ იმიტომ რომ მიწასთან გამასწოროს. და თუ მიწასთან გასწორებას მიპირებს, მაშინ დაახლოებით ამას იტყვის: „ჰმ, — იტყვის იგი, — პირველად ვხედავ კაცს, რომელსაც ცხოვრებაზე ისეთი პირუტყვეული შეხედულება აქვს, როგორც ამ ბატონს. და ამას იგი ცხოვრებას ეძახის? ისღა დამრჩენია, ვიფიქრო, რომ ხსენებულ ბატონს არასოდეს გაუგია, რა საუცხოოდ თქვა ამ თემაზე ერთ-ერთმა თანამედროვე

დიდმა მოაზროვნემ. ცხოვრება, — თქვა მან, — დაუცხრომელი ომია დემონებთან, რომელნიც ჩვენს გულსა და ტვინში ბუდობენ...”

მაშ, ცხოვრება დაუცხრომელი ომი ყოფილა დემონებთან. დიახ, ჩვენ გულსა და ტვინშიო. სწორია! დიდად პატივცემულო ქალბატონებო და ბატონებო! ერთხელ ნორვეგიელს, სახელად პერს, საფოსტო კარგუტის მეეტლეს, მავანი დიდი პოეტი მიჰყავდა. მიდიან, მიდიან და ანაზღაფს, მიჰყავდა მეეტლეს, არც აცია, არც აცხელა და პკითხა: „უკაცრავად კი ვარ, ჩემო ბატონო, მაგრამ რას ნიშნავს შეთხზვა?“ დიდი პოეტი ჩარბს იკენეტს, რაც ძალი და ღონე აქვს იგვიმება და ეუბნება: „შეთხზვა, ჩემო კარგო, იმას ნიშნავს, რომ მარად და მარად განსაჯო თავი შენი“. ამ პასუხმა ფოსტის მეეტლე პერი სულით-ხორცამდე შეძრა...

თერთმეტი საათია. ფეხსაცმელები... რა იქნა ჩემი ფეხსაცმელები?... მაგრამ ამის გულისთვის კაცი ყველას და ყველაფერს წინ აღუდგეს...

ფერმკრთალი, ტანადი შაოსანი მანდილოსანი, უტკბესი ღიმილით, — მას ჩემთვის მხოლოდ კეთილი სურს, — სახელოზე ხელს მავლებს, რომ შემაჩეროს და მეუბნება: „თქვენ რომ ძალგიძდეთ და ისეთივე საზოგადოებრივი მოძრაობა გამოიწვიოთ, როგორც იმ დიდმა პოეტმა, მაშინ გექნებოდათ უფლება მისი განსჯისა“.

— საიდან სადაო! — ვიცინი პასუხად, — წამლად ერთ პოეტსაც არ ვიცნობ, სიტყვაც კი არ მითქვამს არც ერთისთვის. მე აგრონომი ვარ, ქალბატონო, და ჩემი ღლე და მოსწრება ნეხვსა და მარცვალში ვიქეჩები. სიკვდილ-სიცოცხლესა და საუკუნო განსვენებაზე კი არა, ქალბატონო, ქოლგაზეც კი ვერ გამოვთქვამ ლექსს.

— რა გაეწყობა, მაშ, სხვა რომელიმე დიდი ადამიანი ავიღოთ. თქვენ ღმერთმა უწყის, რა წარმოდგენისა ხართ საკუთარ თავზე და ყველა დიდი ადამიანი სათრევად გაგიხდიათ, მაგრამ დიდი ადამიანები დიდებად დარჩებიან და მთელი თქვენი სიცოცხლის მანძილზე ურყევად იდგებიან კვარცხლბეკზე. ამაში თავადაც დარწმუნდებით.

— ქალბატონო, — ვუპასუხებ და თავაზიანად ვუხრი თავს, — რა უეცრობა და უბადრუკი ინტელექტი ჟონავს თქვენს სიტყვებში. თუმცა, მომიტევეთ, რომ ამას პირში გეუბნებით. კაცი რომ იყოთ, ნაძლევს ჩამოვიდოდი, მემარცხენეებს ეკუთვნის-მეთქი. განა მე ქვე ვამზობ დიდ ადამიანებს? მაგრამ კაცის დიდებას იმის მიხედვით არ ვზომავ, რა გამოხმაურებას პოეებს მისი მოღვაწეობა საზოგადოებაში. მე მას საკუთარი ციკქნა ტვინითა და ნამუსით განვსჯი. მე მას, ასე ვთქვათ, იმ გემოს მიხედვით ვაფასებ, რომელსაც მისი მოღვაწეობა მიტოვებს პირში. სულაც არა ვარ თავგერძა, უბრალოდ, ეს სისხლში გამჭდარი, სუბიექტური ლოგიკის გამოვლენაა. ვითომ ასე საჭიროა საზოგადოებრივი მოძრაობის გამოწვევა მხოლოდ იმიტომ, კინგო იქნება პეივოგის ოლქის დედაქალაქი თუ ლანსტადი. საქმე ის კი არ არის, ვეჭილთა, ჟურნალისტთა ანდა გალილეელ მეტევეზეთა წრეში სენსაცია მოახდინო, არც ის, რომ ნაპოლეონ petit-ზე მეცნიერული ტრაქტატი გამოსცე. მთავარია გავლენა გქონდეს ხელისუფლებაზე, აღზარდო იგი, ზემოქმედება მოახდინო რჩეულებზე, მათზე, ვინც საჭესთან დგას, ამა ქვეყნის მეუფეებზე — კაი-ფებზე, პოლატე პონტოელებზე და კეისრებზე. რა აზრი აქვს ბრბოზე გავლენას, თუ მაინც ჯვართ გაცმენ? მართალია, ბრბო შეიძლება ისე აზავდეს, კბი-

ლევით ძალაუფლების ნამცეცხი ჩამოიციცქნოს, შეიძლება ხელში დანა მისცე და უბრძანო, ჰკლას და ჩეხოს. შეიძლება თხის არვესავით წინ გაიყუდო, რათა კენჭის ყრის დროს ზმის უმრავლესობა მიიღო, მაგრამ ქვემოთი გადარჯვება, სულიერ საგანძურთა დაპყრობა, კაცობრიობის თუნდაც ერთი ადამიანი წინ წაწევა — არა, ბრბოს ეს არ ძალუძს. მოცალეობის უამს დიდ ადამიანებზე სწავლობ თემაა სასაუბროდ, მაგრამ ზელისუფალნი, ყველა, ვინც კი ბრბოზე ძალა დგას, ვისაც დღეს სადავეები უბყრია ზელთ, მხოლოდ გონების დაძაბვის შემდეგ მიხვდებიან, ვინ არის ის, ვისაც დიდ ადამიანს ვეძახით. ჰოდა, გამოდის, დიდი ადამიანები მხოლოდ ბრბოს გასართობად აუ გამოდგებიან. მათ მხოლოდ ვექილები, მასწავლებლები, ჟურნალისტები და კიდევ, იქნებ, ბრაზილიის მეფე ასჯამდეს ზოტბას...

— იცით რა... გამჭირდავად მეუბნება ჩემი მოსაუბრე! — თავმჯდომარე მაგიდაზე აკაკუნებს, ცდილობს სიჩუმე ჩამოაგდოს, მაგრამ მანდილოსანი არ ცხრება და განაგრძობს: — მაშ, რადგან არც ერთ დიდ ადამიანს არ ინდობთ, დამისახელეთ რამდენიმე ანდა ის ერთადერთი, რომელსაც რაღაც ფასი კიდევ შერჩენია თქვენს თვალში. საინტერესოა მაინც გაგვეგო...

— სიამოვნებით ვიქმოდით მაგას, — მივუგებ მე, — მაგრამ მაშინ ზომ სიტყვაზე დამიჭერთ. საკმარისია დავასახელო ერთი ან ორი ანდა თუნდაც ათი სახელი და თქვენ მტკიცებას მოჰყვებით, რომ მე უბრალოდ ზემოხაენებულთა გარდა არავის ვიცნობ. და საერთოდ, რატომ უნდა ჩამოვთვალო? მე რომ თქვენს არჩევანზე ლევ ტოლსტოი, ქრისტე და იმანუილ კანტი მომეგდო, თქვენც კი ჩაფიქრდებოდით, სანამ ყველაზე დიდს გამოარჩევდით. უფრო, ალბათ, იტყოდით, სამივე თავისებურად დიდიაო, და, აი, მაშინ კი მთელი ლიბერალური, მოწინავე ბეჭდვითი სიტყვა კვერს დაგიკრავდათ.

— თქვენის აზრით, მაინც რომელი უფრო დიდია? — სიტყვას მართმევს მანდილოსანი.

— ჩემის აზრით, ქალბატონო, ყველაზე დიდი ის არ არის, ვინც უფრო დიდ საზოგადოებრივ მოძრაობას გამოიწვევს. თუმცა ახლაც, ისევ როგორც უწინ, ასეთი კაცი ყველაზე მეტს გაყვირის. მაგრამ გული მეტბნება: ყველაზე დიდი ის არის, ვინც ყველაზე ღრმა კვალსა ტოვებს, ვინც ყველაზე მეტ აზრს ანიჭებს ჩვენს ცხოვრებასო. თუ გინდათ იცოდეთ, თავი და თავი მასშტაბია. დიდი ტერორისტი უდიდესია კაცთა შორის. იგი, ასე ვთქვათ, ბერკეტია, რომელსაც ქვეყნის გადამბრუნება ძალუძს...

— მაგრამ იმ სამიდან, მაინც ქრისტი, არა?

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, ქრისტე—სასწრაფოდ ვუკრავ კვერს. —
ცამდე მართალი ხართ, ქალბატონო! მოხარული ვარ, რომ ამაში მაინც მივაღ-
წიეთ ერთსულოვნებას... მაგრამ მე, საერთოდ, ჩირადაც არ ვავდებ არც საზო-
გადოებრივი მოძრაობის გამოწვევის ნიჭს და არც ქადაგების ენას. ეს ყველა-
ფერი ცრუსიტყვაობის ნიჭია, გაცვეთილი სიტყვების ბანქოს ქალაქადგენს
არევის წმინდა წყლის მექანიკური უნარია. ვინ არის მოქადაგე, პროფესიული
მოქადაგე? კაცი, რომელიც ისეთივე უპრეცედენტო როლს ასრულებს საზოგა-
დოებაში, როგორც ვთქვამთ, გადამყიდველი. იგი ერთგვარად კომივილიაჟერია და
რაც უფრო მეტ საქონელს გაასაღებს, მით უფრო იზრდება მისი საქვეყნო
დიდება. ჰა-ჰა-ჰა! აი, ასეა საქმე! რაც უფრო თავბუდია, მით უფრო მოგებასაა.
რა აზრი აქვს ფაუსტური მსოფლმხედველობა უქადაგო ჩემს კარგ მეზობელ

ულე ნურდისტუნს! ნუთუ ეს მომავალ თაობას აზროვნებას შეუცვლის?

— მაშ, როგორ იცხოვროს თავად ულე ნურდისტუნმა, თუ მას არავინ...

— ჯანაბას წასულა ნურდისტუენი! — ვყვირი მე. ულე ნურდისტუენს ამქვეყნად არაფერი არ ესაქმება, დაბადებიდან ასე უაზროდ ჩერჩეტი უწერია, სანამ წვეთი არ დაეცემა. მაშასადამე, რაც უფრო ჩვენი გაფშეკს ფეხს, მით უკეთესი. ულე ნურდისტუენი მხოლოდ იმიტომ არსებობს, რომ მიწა გააპოხიეროს. იგი სწორედ ის ჯარისკაცია, რომელიც ცხენზე ამხედრებულმა ნაპოლეონმა გადათქერა. აი, თუ გინდათ იცოდეთ, ვინ არის ულე ნურდისტუენი! ულე ნურდისტუენი, ეშმაკმა დალაზვროს, არა თუ რისიმე ჯამი, საწყისიც კი არაფრისაა. ცხოვრების წიგნში მძიმესაც კი არ აღნიშნავს და მხოლოდ ქალაქზე დაღვენთილი უაზრო ლაქაა!.. აი ვინ არის ულე ნურდისტუენი!...

— გაჩუმდით, გაჩუმდით, თუ ღმერთი გწამთ! — შეშინებული შემევედრა შაოსანი მანდილოსანი და მოსამართლეს გადახედა, გაგდებას ხომ არ უპირებო.

— კეთილი, — მივუგებ, — ჰა-ჰა-ჰა! კეთილი, გავჩუმდები... — მაგრამ უეცრად თვალში მისი მომხიბლავი ბაგენი მხვდება და ვეუბნები: — ქალბატონო, მაპატიეთ, რომ ნაირ-ნაირი სისულელით შეგაწყინეთ თავი და ამდებანს ვეუბნები. ნებას მომცემთ, ოდესმე მადლობა გადაგიხადოთ სიკეთისათვის? ქალბატონო, როცა იცინით, არაჩვეულებრივად მომხიბლავი ბაგე გაქვთ. მშვიდობით.

იგი თმის ძირამდე წითლდება და შინ მეპატიჟება. დიახ, დიახ, შინ მიწვევს—იქ, სადაც ცხოვრობს. ჰა-ჰა-ჰა! ცხოვრობს კი ამა და ამ ქუჩაზე, ამა და ამ სახლში. ნებავს, უფრო საფუძვლიანად განსაჯოს ჩემთან ერთად ეს საკითხები. იგი არ მეთანხმება და უნდა აზრი გამიზიაროს. თუ ხვალ საღამოს ვესტუმრები. მარტო დამხვდება. აბა, რას ვიტყვი, მივალ, ხვალ საღამოს? გმადლობთ. მაშ, ნახვამდის.

მოკლედ რომ ვთქვათ, გამოირკვა, რომ თურმე ხალხური ორნამენტებით ამოჭარბული პალინგდალური ლუნლულა საბანი უნდოდა ერეკნებინა ჩემთვის. „რადაც ძალიან ჩამოცხა. ჰო, მზე კაშკაშებს...“

ნაგელმა საწოლიდან ისკუპა, ფარდები გასწია და ფანჯარაში გაიხედა. ბაზრის მოედანი მზეს გაეჩახჩახებინა, მშვენიერი ამინდი იდგა. დარეკა. გადაწყვიტა. სარას დაუდევრობით ესარგებლა და მისჩოჩებოდა. ენახოთ ერთი, რის მაქნისი არიან აქაური გოგონები, ასეთი ვნებიანი თვალები რომ აქვთ. უფრო მოსალოდნელია, რომ იმედი გაუცრუვდეს.

უსიტყვოდ შემოხვია წელზე ხელი.

— თავი დამანებეთ! — ჩაიბურტყუნა გაბრაზებულმა სარამ და ხელი ჰკრა.

მაშინ ნაგელმა ცივად ჰკითხა:

— აქამდე რატომ არ მომიტანეთ ფეხსაცმელები?

— ოჰ, ფეხსაცმელებზე კი ბოდიშს ვიხდი, — მიუგო სარამ, — დღეს სარეცხი და აუარება სხვა საქმეცა გვაქვს.

ნაგელი შუადღემდე სახლში იჯდა. მერე სასაფლაოსკენ გასწია, რომ კარ-

ლსენის დაკრძალვას დასწრებოდა. როგორც ყოველთვის, ახლაც ყვითელი კოსტუმი ეცვა.

▼



ეროვნული

სასაფლაოზე ჯერ არავინ იყო. ნაგელი გათხრილ საფლავთან მივიდა და შიგ ჩაიხედა. სამარეში ორი თეთრი ყვავილი ეგდო. „ვინ ჩააგდო და რატომ? სადღაც უკვე მინახავს ასეთი ყვავილები“, — გაიფიქრა და უცბად გაახსენდა, რომ გაუპარსავი იყო. საათს დახედა, მოვასწრებ თუ არაო და ჩქარი ნაბიჯით დაბრუნდა ქალაქში. ბაზრის მოედანზე რწმუნებულს გადაეყარა. ნაგელმა ჯიქურ შეხედა და პირდაპირ მისკენ გასწია. არც ერთს არ გაუღია ხმა, არც მისამებრიან ერთმანეთს. ნაგელი საპარიკმახეროში შედიოდა, როცა სამგლოვიარო ზარმა ჩამორეკა.

არ ჩქარობდა, ხმა არ გაუცია არავისთვის, უჩუმრად ათვალიერებდა ეედელზე დაკიდებულ სურათებს. მთელ კედლებს დაუარა და დიდხანს აკვირდებოდა ყველა სურათს. ბოლოს რიგმაც მოუწია, ნაგელი დაჯდა და სავარძლის ზურგს გადააწვა.

როცა ახლად წვერგაპარსული ქუჩაში გამოვიდა, კვლავ დაინახა რწმუნებული, რომელიც, ეტყობა, უკან მობრუნებულიყო და ახლა აშკარად ვიღაცას ელოდებოდა. მარცხენა ხელში ხელჯობი ეჭირა, მაგრამ მოჰკრა თუ არა თვალი ნაგელს, მარჯვენა ხელში გადაიტანა და აქეთ-იქით დაიქნია. ნელა უახლოვდებოდნენ ერთმანეთს. „პირველად რომ შეეხვდი, ჯობი არ ჰქონდა, — გაიფიქრა ნაგელმა, — ახალი არ არის, ე. ი. კი არ იყიდა, ვიღაცისგან ითხოვა. ესპანური ბამბუკია“.

ერთმანეთს რომ გაუსწორდნენ, რწმუნებული შედგა. ნაგელიც შედგა. თითქმის ერთდროულად გაჩერდნენ. ნაგელმა, თითქოს კეფის მოფხანას აპირებოდა, ზავერდის ქუდი ოდნავ ჩამოიფხატა შუბლზე და მერე ისევ გაისწორა. რწმუნებულმა კი ხელჯობი მაგრად დაჰკრა ფილაქანს და ზედ ჩამოეყრდნო. ასე უხმოდ იდგნენ რამდენიმე წუთს. უცბად რწმუნებული წელში გაიმართა, უკმებად აქცია ზურგი ნაგელს და თავისი გზით წავიდა. ნაგელმა თვალი გააყოლა, სანამ რწმუნებულმა სადღაქოსთან კუთხეში არ შეუხვია.

ეს უტყუი სცენა რამდენიმე მაყურებლის წინ გათამაშდა, მათ შორის იყო, მაგალითად, ლატარიის ბილეთების გამყიდველი, შორიანლოს კი თაბაშირის ფიგურებით მოვაჭრე იჯდა. ისიც აღევნებდა თვალს ამ უცნაურ შეხვედრას. ნაგელმა მასში კაფეს ერთ-ერთი იმ მუშტართაგანი შეიცნო. რომლებიც რწმუნებულთან მისი გუშინდელი შეხლა-შემოხლის მოწმენი იყვნენ და მერე სასტუმროს პატრონთან შელაპარაკების დროს ნაგელის მხარე დაიჭირეს.

როცა ნაგელი სასაფლაოზე მეორედ მივიდა, პასტორი უკვე გამოსათხოვარ სიტყვას ამბობდა. აუარება ხალხს მოეყარა თავი. ნაგელი საფლავთან არ მისულა. ახლად დადგმულ დიდ მარმარილოს ფილაზე ჩამოჯდა, რომელსაც ეწერა: „ვილგელმინა მეექ. დაიბადა 1873 წ. 20 მაისს, გარდაიცვალა 1891 წ. 16 თებერვალს“. სულ ეს იყო, რაც აღენიშნათ. ფილა ეს-ესაა სახელოსნოდან მოეტანათ, საფლავის ბორცვიც, რომელზედაც ფილა იდო, ახლადდატკეპნილი ჩანდა.

ნაგელმა თითით მოიხმო ვიღაც ბოჭუნა.

— იმ კაცს ხედავ, აი, იმას, ყავისფერ სერთუკიანს?

— კეპიანი ქუდი რომ ახურავს? ეგ ხომ მაიცაა.

— გაიქცეო და დაუძახე.

ბიჭი გაიქცა.

როცა მაიცა მოვიდა, ნაგელი წამოხტა, ხელი გაუწოდა და უთხრა:

— გამარჯობა, ჩემო კარგო. მოხარული ვარ, რომ ისევ გნახეთ! შეპირებული სერთუკი მიიღეთ?

— სერთუკი? არა, ჯერ არა, მაგრამ, ალბათ, მალე მივიღებ, — მიუვო მაიცამ. — პო, მართლა, გუშინ წესიერად მადლობაც ვერ გადაგიხადეთ... დიდი მადლობა ყველაფრისთვის. აი, ხედავთ, კარლსენს ვაცილებთ. ეჰ, რა გაეწყობა, ყველანი ღვთის ხელთა ვართ.

ორივენი ახლად დადგმულ საფლავის ქვაზე ისხდნენ და ჩუმად მუსაიფობდნენ. ნაგელმა ჯიბიდან ფანქარი ამოიღო და გაბრიალებულ მარმარილოზე რაღაც წააწერა.

— აქ ვინ არის დაკრძალული? — იკითხა მან.

— ვილგელმინა მეექვი. ჩვენ მას უბრალოდ მინა მეექვს ვეძახდით. ჯერ კიდევ ბავშვი იყო, მგონი, ოცი წლისაც არ იქნებოდა.

— დიახ, წარწერის მიხედვით თვრამეტისაც არ ყოფილა. რაო, ისიც საუცხოო ადამიანი იყო?

— ისეთი უცნაური კილოთი ამბობთ მაგას, მაგრამ...

— უბრალოდ შევნიშნე, რომ ჩვეულებად გაქვთ, ვინც არ უნდა იყოს, ყველა შეაქოთ. საკვირველი თვისებაა...

— თქვენ რომ მინა მეექვი გცნობოდათ, დარწმუნებული ვარ, დამეთანხმებოდით. იშვიათი სულის ადამიანი იყო. თუკი ღმერთს მართლა მიყავს ვინმე ანგელოზად, მაშინ ისიც ანგელოზი იქნება.

— დანიშნული იყო?

— დანიშნული? არა, რას ბრძანებთ, ყოველ შემთხვევაში, რამდენადაც ვიცი... არა, არა, დანიშნული არ ყოფილა. იგი მუდამ ააღვთო წიგნს კითხულობდა და ხანდახან შუა ქუჩაშიც კი ხმამაღლა საუბრობდა ღმერთთან. ამ დროს ბაღში ჩერდებოდა და თაყვანისცემით ჩუმად უგდებდა ყურს. მინა მეექვი ჩვენთან ყველას უყვარდა.

ნაგელმა ფანქარი ჯიბეში ჩაიღო. ფილაზე რაღაც ლექსი ეწერა. თეთრ მარმარილოზე ფანქრით ნაწერი სტრიქონები უსიამოვნოდ ატყუებდა.

— ყველა აინტერესებთ, — უთხრა მაიცამ, — იქ რომ ვიდექი და პასტორს ვუხმენდი, შევამჩნიე, დამსწრეთა ნახევარს გულისყური თქვენსკენა ჰქონდა.

— ჩემსკენ?

— დიახ, ბევრი ერთმანეთს ჩურჩულით ეკითხებოდა, ვინ არისო. აი, ახლა კი ყველა ჩვენ გვიყურებს.

— მოთხარით, ვინ არის ის ბანოვანი, შლიაპაზე დიდი შავი ფრთა რომ უკეთია?

— თეთრტარიანი ქოლგა რომ უჭირავს? ეგ ფრედერიკა ანდერსენია, ფრეკენ ფრედერიკა. გუშინ გაიმბობდით მაგაზე. გვერდით კი, აი ის, აქეთ რომ იყურება, პოლიცმეისტერის ქალიშვილი, ფრეკენ ულსენია — გუდრუნ ულსენი. დიახ, ყველას ვიცნობ. დაგნი პელანიც აქ არის. დღეს შავი კაბა აცვია. და მართალი ითქვას, ყველა სხვა კაბაზე უფრო უხდება. დაინახეთ? თუმცა

დღეს ყველას შავი აცვია — როგორც წესი და როგია კიდევ. ა. მე კა თქვენ-
თან ვზივარ და უაზროდ ვუბელობ. აგერ იმ სათვალღიან ბატონს ხედავთ? ლუკ-
ჩი თხელი პალტო აცვია. ეგ ექიმის სტენერსონია, ილქის ექიმის არა. მხო-
ლოდ კერძო პრაქტიკა აქვს. გასულ წელს ცოლი შეირთო. ცოლი აგერ იქით.
ცოტა განზე დგას. არ ვიცი, ხედავთ თუ არა მანდელანის ქუჩაში მდებარე
შავგვრემანი ქალია. აბრეშუმის კანტიანი პალტო აცვია. დამსწრე ექიმის
მეუღლე. ხშირად ავადმყოფობს და ამიტომ თბილად იცვამს ხოლმე. აგერ,
რწმუნებულიც...

— ფრეკენ ჰელანის საქმროს ზომ ვერ მაჩვენებთ? — უთხრა ნაგელმა.

— არა, ლეიტენანტი ჰანსენი აქ არ არის. უკვე ჩამდენიშე დღეა სანაოსნოდაა წასული. დაინიშნა თუ არა, ზღვაში გავიდა.

ცოტა ხანს იყუჩეს და მერე ნაგელმა ჰკითხა:

— სამარეში თრი ყვავილი იღო, თრი თეთრი ყვავილი. არ იცოთ ვინ
დადო?

— არა... — მიუგო მაიცამ... — თუმცა რახან მკითხეთ... რადიო თვითონ შემეკითხეთ... ისე კი, მართალი გითხრათ, მეჩოთირება ამაზე ლაპარაკი, იქნებ, რომ მეთხოვა, კუბოზე დაედოთ და სამარეში ჩაყრა აღარ დამჭირებოდა. მაგრამ ორი ღერი ყვავილი, სადაც არ უნდა დადო, მაინც ორი საცოდავი ყვავილია და მეტი არაფერი. ამიტომ დღეს სამ საათზე ავდექი, უფრო სწორად, ღამის სამ საათზე და სასაფლაოზე წამოვედი. სამარეში ჩავხტი და ჩემი ხელით დავდე ორი ყვავილი. იქვე, სამარეშივე, ორჯერ ხმამალლა გამოვეთხოვე განსვენებულს. ამან ისე იმოქმედა ჩემზე, რომ ტყეში გავიქეცი და მწუხარებისგან თვალზე ხელაფარებული დიდხანს ვიდექი. უცნაური გრძნობა გებადება ადამიანს, როცა ვინმეს სამუდამოდ ეთხოვები. იენს კარლსენს ხამ. თუმცა ყველაფრით მთელი თავით მაღლა იდგა ჩემზე, მაინც ჩემს კარგ მეგობრად ვთვლიდი.

— გამოდის ყვავილები თქვენგან ყოფილა?

— დიახ, ჩემგან. მაგრამ, ღმერთთა მოწამე, იმითომ არ გამოცხადებია, რომ მერე მეტრებახა. ანდა რა სატრებახოა? გუშინ საღამოს თქვენგან რომ წამოვედი, მაშინ ვიყიდე. თქვენი მოცემული ფული რომ მივეუბნე, გახარებულმა ბიძაჩემმა ნახევარკრონიანი მაჩუქა. ისე აუჩუყდა გული, კინაღამ წამაქცია. მადლობის გადასახდელად უნდა, რომ მოვიდეს. დიახ, დიახ, აუცილებლად მოვკიდევ, ეჭვი არ მეპარება. ჰოდა, ნახევარკრონიანი რომ მივიღე, გამახსენდა, დაკრძალვისთვის ყვავილები არა მქონდა და მაშინვე სანაპიროსკენ დავეშვი...

— Ե՛րեւոյն քաղաքը:

— დიას. ერთ ქალთან მივდიოდი, იჭითა ცხოვრობს.

— ერთსართულიან პატარა სახლში?

— ၂၇၁၆.

— ქალბრა თმა აქვს?

— დიახ, სულ გათეთრებულია. იცით რომელია? კაპიტნის ქალიშვილია. ძალიან უჭირს. ჭერ არაფრით არ უნდოდა ფულის აღება. მაგრამ მე მაინც დავუდე სკამზე ნახევარკრონიანი, თუმცა სულ იმეორებდა: „არ გინდათ, არ გინდათ“. ძალიან მორიდებულია და ამ რიდისთვის ბევრი ჭირიც გადახდენია.

— ကံ ဒိဒ္ဓက?

— შარტა გუდუ.

- მარტა გუდუ.
- ნაგელმა უბის წიგნაკი ამოიღო, გვარი ჩაიწერა და ჰკითხა:
- გათხოვილია? ქვრივია?
- არა. დიდი ხნის წინათ, სანამ მამამისს გემები დაჰყავდა, ერთად ცუ-
რავდნენ, მერე კი, როცა მამა გარდაეცვალა, აქ დასახლდა.
- ნუთუ ნათესავი არავინა ჰყავს?
- მართალი გითხრათ, არ ვიცი. ალბათ, არა ჰყავს.
- რითი ირჩენს თავს?
- ღმერთმა უწყის. ეგ არავინ იცის. ალბათ, ხანდახან საქველმოქმედო
საზოგადოებრიდან ცოტაოდენ დახმარებას იღებს.
- ყური მიგდეთ, თქვენ ხომ ყოფილხართ იმასთან, აი, მარტა გუდეს-
თან. მითხარით, როგორ აქვს მოწყობილი ოთახი?
- აბა, რა გითხრათ, ამისთანა ქოხ-მახში როგორ უნდა იყოს მოწყობილი
ოთახი? საწოლი, მაგიდა და ორი სკამი. თუმცა არა, სკამი, მგონი, სამი უნდა
იყოს, იმიტომ რომ კუთხეში საწოლთანაც დგას სკამი, უფრო სწორად, სავარ-
ძელი, ზედ წითელი პლუში აქვს გადაკრული, მაგრამ ისეთი ძველია, კედელ-
თანაა მიდგმული. სულ ეს არის.
- მართლა? მაშ, სულ ეგ არის? ნუთუ კედელზე საათი არ ჰქვია ან ძვე-
ლი სურათი ანდა რაღაც ამდაგვარი?
- არა. რატომ შეკითხებით?
- აბა, ის წითელპლუშიანი სავარძელი, წაქცევაზე რომაა და კედელთან
მიუდგამთ, როგორია? ძალიან ძველია? მთლად დაფეხვილია? დაჯდომა არ
შეიძლება? მაშინ რატომღა დგას საწოლთან?... მითხარით, როგორი ზურგი
აქვს? მაღალი?
- დიახ, მგონი, მაღალი უნდა ჰქონდეს. ზუსტად არ მაჩსოვს.
- საფლავთან ერთხმად წამოიწყეს ფსალმუნის გალობა. დაკრძალვა დამ-
თავრდა. უკანასკნელი საგალობელი რომ ჩაათავეს, მკვდრული სიჩუმე ჩამო-
ვარდა. მერე ხალხმა დაშლა დაიწყო. უმეტესობა ალაყაფის კარისკენ გაემარ-
თა. ბევრი ჯერ კიდევ ჯგუფ-ჯგუფად იდგა და ხმადაბლა საუბრობდა. ბილიკ-
ზე, ნაგელისა და მაიცას გვერდით, ყმაწვილ-ქალებისა და კაცების კრებულ-
მა ჩაიარა. ქალები აშკარად გაკვირვებით ათვალიერებდნენ ორივეს და ცნო-
ბისმოყვარეობისგან თვალები უბრწყინავდათ. დაგნი პელანი გაწითლდა, პირ-
დაპირ იყურებოდა და გვერდზე გახედვას ვერ ბედავდა, არც რწმუნებულს მო-
უტრიალებია თავი და გადაქარბებული ყურადღებით ესაუბრებოდა თანმხლებ
მანდილოსანს. როცა კრებული ფილაზე ჩამომსხდარ კაცებს გაუსწორდა, ექიმი
სტენერსენი შედგა და მაიცა იხმო. მაიცა უმაღლ წამოხტა და ექიმთან მიირ-
ბინა, ნაგელი კი მარტო დარჩა.
- თუ შეიძლება, სთხოვეთ იმ ბატონს, — მოესმა ნაგელს და მეტი ველა-
რაფერი გაარჩია, მაგრამ შემდეგ ექიმმა საკმაოდ ხმაბლად წარმოთქვა მისი
სახელი. მაშინ ნაგელი ადგა, ხავერდის კეპი მოუხადა და თავი დაუქრა.
- ექიმმა მოუბოდიშა. ერთ-ერთმა მანდილოსანმა, ფრეკენ მეექმა, რომელ-
საც ახლახან მიჰყვებოდა, უსიამოვნო დავალება დააკისრა. მან მთხოვა გადმოგ-
ცეთ, მეტი სიფრთხილით მოეკიდოთ ამ სამარის ქვას. ფილა ეს-ესაა დადეს.
ცემენტი ჯერ არ გამშრალა, მიწა კი ფხვიერია, ძველი შეიძლება უსწორ-მას-
წოროდ დაჯდეს და გვერდზე გადაიბრიცოს. ამას განსვენებულის და გთხოვთ.

ნაგელმა ათასი ბადიში მოიხადა. ძალიან ნაწიბს, რომ ასეთი უყურადღებობა გამოიჩინა. მისი მხრით ეს მიუტყეველური დაუდევრობაა. შესანიშნავად ესმის ფრეკენ მეექვსის შეშფოთება და მან ექიმს მადლობა გადაუხადა.

ისინი ბილიკს დაადგნენ და წინწასულ კრებულს საუბრით მიჰყვნენ, სასაფლაოს ჭიშკართან მაიცა გამოეთხოვათ და წავიდა. ექიმს და წაველს მართონი დარჩნენ. ახლალა გაეცნენ ერთმანეთს.

— მაშ, ერთხანს დარჩებით? — ჰკითხა ექიმმა.

— დიან, — მიუგო ნაგელმა, — კაცმა ზაფხულში სუფთა პაერზე ცხოვრების ჩვეულებას არ უნდა უღალატო, რომ დაიხვეწო, ზამთრისთვის ძალღონე მოიკრიბო და მერე ისევ შეუდგე მუშაობას. კობწია ქალაქია.

— საიდანა ხართ? სულ ვაყურადებ თქვენს კილოს და ვერა და ვერ მივხვდარვარ, რომელი კუთხიდან უნდა იყოთ.

— წარმოშობით ფირმანკენიდან ვარ — კვენი, მაგრამ ყველგან მიცხოვრია, ხან იქ, ხან აქ.

— ამჟამად უცხოეთიდან მოდიხართ?

— მხოლოდ და მხოლოდ პელსინგსფორსიდან.

ჯერ უმნიშვნელო რამეებზე მასლაათობდნენ, მაგრამ მალე სერიოზულ საკითხებზე ჩამოაგდეს სიტყვა — არჩევნებზე, მოუსავლიანობაზე რუსეთში, ლიტერატურასა და კარლსენას სიკვდილზე.

— როგორ გგონიათ, დღეს თვითმკვლელი დავკრძალებო? — ჰკითხა ნაგელმა.

ექიმს აზრ შეუძლია და არც სურვილი აქვს, უბასუხოს. ეს მისი საქმე არ არის. ზოგი რას ამბობს და ზოგი რას თუმცა, რატომაც არ უნდა მოეცლა თავი? ყველა თეოლოგმა თავი უნდა მოიკლას.

— ვითომ და რატომ?

— რატომ და იმიტომ, რომ თავისი ცხოვრება უკვე მოჭამეს. იმიტომ რომ ჩვენს საუკუნეს თეოლოგები აღარ სჭირდება. ხალხმა თავისი ჭკუით დაიწყო ფიქრი და რელიგიური გრძნობაც სულ უფრო და უფრო ქრება.

„მემარცხენეა“, — ფიქრობს ნაგელი. რას მოიგებს კაცობრიობა ყველა სიმბოლო, მთელი პოეზია რომ მოისპოს. გარდა ამისა, ჯერ კიდევ საკითხაყია. მართლა იქნება თუ არა ყველა თეოლოგი ჩვენს დროში ზედმეტი, მით უმეტეს, რომ რელიგიური გრძნობა სულაც არ სუსტდება.

— რა თქმა უნდა, მდაბიო ფენას არა ვგულისხმობ, თუმცა იქაც სულ უფრო და უფრო... რაც შეეხება განათლებულ ხალხს, იქ კი ნამდვილად ქრება ეს გრძნობა. თუმცა, არ ღირს ამაზე კამათი. ჩვენი აზრი ძალიან მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან, — მკვახედ მოჭრა ექიმმა.

დიან, იგი თავისუფლად მოაზროვნე კაცია და იმდენჯერ შედავებთან ამგვარად, რომ სათვალავიც კი აერია. მაგრამ გგონიათ, რწმენა შეერყა? აგერ, თორმეტი წელია თავის შეხედულებას ერთი მისხლითაც არ ღალატობს. იგი ექიმია და იმიტომ თავისი პაციენტების გონებიდან ნელ-ნელა დევნის სულის ცრურწმენას... არა, არა, დიდიხანია უკუაგდო ყოველგვარი ცრურწმენა... რა აზრისა ხართ არჩევნებზე?

— არჩევნებზე? — ნაგელმა გადაიხარხარა, — იმედი მაქვს, ყველაფერი რიგზე იქნება.

— რა თქმა უნდა, მეც ვიმედოვნებ! — სიტყვა ჩამოართვა ექიმმა.

თუ მთავრობამ, რომელსაც ასეთი დემოკრატიული პროგრამა აქვს, ხმის უმრავლესობა არ მიიღო, თავლაფის დასხმა იქნება და სხვა არაფერი.

ექიმი „მემარცხენე“ იყო და მას აქეთ, რაც ცოტა გაერკვირა ხდებოდა, რადიკალი გახდა. მას ბუსკერუდის ოლქი აფიქრებს და არც სმოლენენის ოლქის იმედად შეიძლება ყოფნა. უბედურება იმაშია, „მემარცხენეებს“ ფულა აკლიათ. წესით შეძლებულმა ხალხმა, ისეთებმა, როგორც მანკინი ხართ, მხარი უნდა დაგვიჭიროს. მით უმეტეს ახლა, როცა, მართლაც, ექვემდებარება ბედობალი უნდა გადაწყდეს.

— მე ვარ შეძლებული? — დაეკოთხა ნაგელი, — ვაი, რომ მაგას ვერ დავიკვები.

— მილიონერი, ალბათ, არა ხართ, მაგრამ ვილაც მეუბნებოდა — მდიდარი, რომ თქვენი მამული სამოცდათარი ათას კრონადაა შეფასებული.

— ჰა-ჰა-ჰა! რა სასაცილოა! ამ დღეებში დედის მზრიდან, მართლაც, მივიღე ცოტაოდენი შემკვიდრეობა — სულ რამდენიმე ათასი კრონია, არაფერი მამული არ არსებობს, მისტიფიკაციაა.

ამასობაში ექიმის სახლს მიაღწენ. ყვითლად შეღებილი, აივანშემოვლებული, ორსართულიანი შენობა იყო. საღებავი აქა-იქ ახეთქოდა, საწვიმარი ღარები ჩაყანგებულიყო, მეორე სართულის ერთ-ერთ ფანჯარას მინა ჩასტეხოდა და ევრც ფარდები მოიწონებდნენ თავს სისუფთავით. მოუვლელმა სახლმა უაიმოვნოდ გააკვირვა ნაგელი და მაშინვე წასვლა მოუწოდა, მაგრამ ექიმმა შეაჩერა.

— ჩვენსა ხომ არ შემოივლიდით? არა? მაშ, ვიმედოვნებ სხვა დროს გიხილავთ ჩემს ოჯახში. მე და ჩემი მეუღლე მოხარულნი ვიქნებით თქვენი სტუმრობისა. იქნებ, მაინც შემოგველოთ, რომ მეუღლეს გაცნობოდით.

— თქვენი მეუღლე, ალბათ, ჯერაც არ დაბრუნებულა დაკრძალვიდან.

— დიახ, მართალი ხართ. სასაფლაოდან მგობრებთან ერთად წამოვიდა. მაშ, სხვა დროს გვეწვიეთ, როცა გზა აქეთ გექნებათ.

ნაგელმა სასტუმროსკენ გასწია. ის-ის იყო უნდა შესულიყო, რომ რაღაც გაახსენდა. თითები გაატკაცუნა, გაეცინა და რატომღაც ხმამაღლა თქვა: „საინტერესოა ერთი, ის ლექსი თუ ისევ იქაა“. სასტუმროს ზურგი აქცია, ისევ სასაფლაოზე მივიდა და მინა მეექვსის საფლავი მოძებნა. მართალია, იმ არე-მარეზე არავინ ჩანდა, მაგრამ ლექსი ვილაცას წაეშალა. ფანქრით ნაწერისგან კვადრიც კი არ დარჩენილიყო.

VI

მეორე დღეს ნაგელს ხალისიან და ნათელ გუნებაზე გამოეღვიძა. ლოგინშივე დადგა ასეთ გუნებაზე. უეცრად მოეჩვენა, რომ მისი ოთახის ჭერი მაღლა-მაღლა წავიდა, სადღაც უსასრულობაში დაინთქა და ახლა თავზე კრიალა ცის თალი დასცქეროდა. ცხადად იგრძნო, როგორ მიელამუნა თბილი ნიაფი, თითქოს მწვანე მინდორზე ყოფილიყო წამოწოლილი. ოთახში ბუზები ბზუოდნენ. ზაფხულის თბილი დილა იდგა.

უცბად გადაიცვა, სასტუმროდან უზმოდ გამოვიდა და ქალაქში სასეირნოდ გასწია. საათმა თერთმეტი დარეკა.

თითქმის ყველა სახლიდან როიალის ხმა გამოდიოდა. ნაირ-ნაირი მელო-

დღეები იღვრებოდა ღია ფანჯრებიდან. ვაჭარები კარტაღში და
რომელიდაც გულჩვილი ძაღლი ყმუილით ებასუჩებოდა. ნათელმა, უშიშვნი
სიზარულმა მოიყვანა ნაგელი, თავისთვის ჩუმ-ჩუმად აღიღინდა და რომე-
ლიდაც ბერიკაცს გვერდით ჩაუარა, მისი სალმით ისარგებლა და ბუდში მილინ-
გი ჩაუდო.

დიდ, თუთრად შეღებილ სახლს რომ გაუსწორდა, ხედვას შეაჩერა. მარჯვენა ხელის საგდულზე ფანჯარა ყურთამდე იღებდა და ვიწრო თეთრი ხელი საგდულს ბუდეში სვამს. ფარდა ირხევა, ხელი საგდულზე იყინება და ნაგელი ხვდება, რომ ფარდის იქიდან ვილაც უთვალთვალეს. იგი ჩერდება, მალა იხედება და დიდხანს ელის, მაგრამ ფანჯარაში არავინა ჩანს. მაშინ იგი კარზე მიკრულ დაფას უყურებს და კითხულობს: „ფ. მ. ანდერსენი. დანიის საკონსულო“.

ნაგელმა გზა განაგრძო, მაგრამ ერთხელ კიდევ მოიხედა და ფანჯარაში ფრეკენ ფედერიკას მოგრძო, არისტოკრატიული სახე დაინახა, რომელმაც გაოცებული თვალი მიაპყრო. ნაგელი კვლავ შედგა და მათი თვალები ერთმანეთს შეხვდა. ქალიშვილის ღაწვებს თანდათან ალმური შემოენთო, მაგრამ თითქოს ეჯიბრებაო, ფრეკენ ფრედერიკამ ოდნავ წამოიწია სახელოები, რაფას გადმოეყუდა და დიდხანს იყო ასე გაუნძრევლი. ბოლოს ისევ ნაგელმა გადაწყვიტა, ბოლო მოეღო ამისთვის და გზა განაგრძო. თავში ერთი უცნაური აზრი მოუვიდა: ნეტა ყმაწვილი ბანოვანი დაჩოქილი ხომ არ იდგა ფანჯარასთანო. „თუ ასე იყო, — მსჯელობდა თავისთვის, — მაშინ კონსულის სახლი ძალიან დაბალკერიანი ყოფილა. იმიტომ, რომ ფანჯარა სულ ექვსი ფუტის სიმაღლეზე თუ იქნება, ზედა ჩარჩოდან სახურავამდე კი ერთი ფუტიც არ იქნება“. და მაშინვე გაეცინა თავის სულელურ გამოთვლაზე, — რა ეშმაკად აიკვიატა კონსულ ანდერსენის სახლი!

ქვევით, ნავსადგურში, მუშაობა დედა და გადმოდიდა. ნავსადგომ-
თან დაფუსფუსებდნენ მტვირთავები, საბაჟოს მოხელეები, მეთევზეები, ყვე-
ლა საქმით იყო გართული. ჯაჭვს ახრავუნებდა ჯალამბარი, ზღვაში გაასვლ-
ლად გამზადებული ორი თბომავალი ერთდროულად აყვირდა. კაშკაშა მზე
სარკესავით ალაპლაპებდა ზღვის ზედაპირს და გეგონებოდათ, ზღვა კი არა,
თბომავლებითა და ნაგებით მოჭედული უხარმაზარი ბაჯაღლო დიასკოაო. რე-
იდზე მდგარი სამანქიანი ვეებერთელა გემიდან არღნის ზმა ისმოდა და როცა
ჯალამბარის გრუხუნო და თბომავალთა კივილი ერთი წუთით შეწყდებოდა ხოლ-
მე, სევდიანი მელოდია, თითქო ქალწულის გაუბედავი ზმა არისო, კრძალვით
ავსებდა სიჩუმეს. სამანქიანი ხომალდის გემბანზე ეკიპაჟი ქეიფობდა და გაან-
ცებული მეზღვაურები თავქუდმოგლეჯილი ცეკვავდნენ პოლკას ნალვლიანი
სიმღერის ნოტივზე.

უცხად პატარა, ნამცეცა გოგონა მოხვდა თვალში. პატარას გულზე კატა აეზუტებინა და იდგა. კატას უკანა თათები მიწაზე დასთრევდა, მაგრამ მოთმონებით იტანდა ყველაფერს და ხელიდან დასხლტომას არ ცდილობდა. ნაგელი ლოყაზე მიეფერა გოგონას.

— შენც კაცია? — ჰკითხა მან.

— დიან, ორი, ოთხი, ექვსი, შვიდი.

— ოჰო, შენ თვლაც გცოდნია!

— დიან. შვიდი, რვა, თერთმეტი, ორი, ოთხი, ექვსი, შვიდი.

ნაგელმა ისევ განაგრძო გზა. იმ მხარეს, სადაც პასტორის კარმიდამო იყო.

თითქოს მზემ გადარიათ, თეთრი მტრადი ცაში აიჭრა და ზედა კენჭვროებს მიეფარა შორეთში გაელვებულ ვერცხლის ისარაჲ მგავდა. ვაისმა სროლის ყრუ, მკვახე ხმა და ყურეს გადაღმა, ტყის თავზე მოცისფრო ბოლოს ქვედა იფარდა.

უკანასკნელ ნავმისადგომს რომ მიადგო: ერთი-ორჯერ უკან წაიხრჩო ნაპირზე გაიარ-გამოიარა, მერე რატომღაც გორაკზე აძვრა და ტყეში შევიდა. ნახევარ საათს მუხლი არ ჩაუკეცია. სულ უფრო და უფრო ღრუბლივით ტყეში და ბოლოს ერთ ვიწრო ბილიკზე შედგა. სიჩუმემ გააოცა. ჩქამი არსაიდან ისმოდა. ჩიტებიც კი არ ჭიკჭიკებდნენ, ცაზე ღრუბლის ნაგლეჯიც კი არსად ჩანდა. ცოტა გვერდზე გადაუხვია, მშრალი ადგილი მოძებნა და ზურგზე გაიშორა. მარჯვნივ პასტორის კარ-მიდამო იყო. მარცხნივ — ქალაქი, ზევით ლურჯი ცის უკადვგანთ თუქანე გადაშლილიყო.

მაჰ, ზეტა ერთი ცაში ამიყვანა და ვარსკვლავებში მახეტიალა! ყუდიანი კონეტებისგან მობერილ ნიავს შუბლს მივუშვერდი რა პაღარაა დედამიწა და რა საბრალოა ადამიანი! რა ფასი აქვს მთელ ნორვეგიას თავისი ორი მილიონი ვლუხითა და სამიწათმოქმედო სანკიანად, ამის გულისთვის განა ღირს კაცად გაჩენა? ჭიბან-წუგვეტით, სულ მუჯლუგუნითა და ვაინაჩრობით უნდა იკვლიო გზა, რომ ბოლოს გაქრე, გაქრე! ნაგელმა თავზე ხელი იტაცა. ბოლოს და ბოლოს ყველაფერი ამით დამთავრდება, რომ თავისი ნებით წავა ცხოვრებ-ბედან. თვითონ დაუსვამს წერტილს. ეყოფა კი სულის სიმტკიცე? აი შედრკე-ბა? დიახ, ღმერთი მოწამეა, უკანასკნელ წუთს უკან არ დაიხვეს და უცბად უსახლუროდ ბედნიურად იგრობო თავი. რომ ასეთი მარტივი გამოსავალი ჰქონ-და შემოწახულო. აღელვებისგან თვალზე ცრემლი მოადგა და სუნთქვა შეეყრა... და თითქოს კვლავ მოაპობდა ცის რკვანეს, ღილინით ისროდა ვერცხლის ანკესს, და ნავი მისი იყო სუთნელივით ხისაგან გათლილი, წიბებზე ქაქათის ფრთათაგან და აფრად ჰქონდა მცხრალი მოვარე ცის კამადონზე.

სიხარული შემოგზნებოდა და აცაბცახობდა. ამქვევხად ყველაფერი გადა-აფრქვდა მზის მცხუნვარე სპივებს მიეფიცხა: სიჩუმემ დაიბრუნა. თითქოს არაფერი არღვევდა ჯადოსნური წუთებში სიხარულს. მზალოდ სადღაც მალ-ღიდან ამოდდა მელოდირი, მოსაღბუნე ხმა, თითქოს ქარმა დაუბნოთი — ეს სამყაროს მანქანა გუგუნებდა, ღმერთი ატრიალებდა ზედის ჩარხს. ტყე გაო-რიბდა, ფოთოლს არ არბევდა, ჩქამს არ იღებდა. ნაგელს კვლავ წაღევს სი-ხარულმა, მუხტივით მოკუნტა და ააცაბცახა. უცბად ყოვცამ დაუძახა და — ბატონოო, გაეხმაურა. ადაყვზე წამოიწია და მოხედ-მოიხედა. არავინ ჩანდა. ისევ გააგონა — „ბატონოო!“ და მოაუფრა, მაგრამ არავინ გამოეხმაურა. უც-ნაური იყო, ამკარად გაიგონა. ვადაცან სახელით იხმო უმაღლ დაეხსნა ამზე ფიქრს აქნებ. მოეჩვენა კიდევ, ყოველ შემთხვევაში, უფლებას არავის მისცემს. მყუდროება დაურღვიოს. რაღაც უცნაური შეგრძნება ჰქონდა — სხეულის ყველა უჯრედი, ყველა ნერვი ნეტარებით უთრთოდა, სახლი სამდერით მიჰქ-როდა ძარღვებში; გრძნობდა, რომ განუყოფელი ნაწილი იყო ბუნებისა, ყვე-ლაფრის, რაც გარს ეხვია — მზის, მთების, ყოველი ხის, ყოველი ჩირვვის; ბაღახის თათოფეული ღერო მისი მეორე „მე“ იყო.

დიდხანს იწვა ასე და მარტოობით ნეტარებდა. უცბად ფეხის ხმა გაიგონა. ამჯერად ნამდვილად გაიგონა, არ მოსჩვენებია. თავი წამოწია და დაინახა, რომ ქალაქიდან მომავალ ბილიკს ვიღაც კაცი მოუყევებოდა. კაცს ილღიში მთელი პური ამოეჩარა და თოყაბმული ძროხა მოჰყავდა. ქურთუკი მკლავზე გადაე-

კიდა და სახედან ოფლს წარა-მარა იწმენდდა — მართლაც, ძალიან ცხელოდა, მაგრამ ყელზე მაინც ორფად შემოეხვია სქელი, წითელი ყელსახვევი. ნაგელი გატვრენილი იწვა და გლესს უთვალთვალებდა. აჰა, და დასტკბით! აგერ, ჰეშ-მარიტი ნორვეგიელი, ძირძველი სოფლელი! ჰა-ჰა! ამ მხარის მკვიდრი, მიწის მარილი, ილღიაში ამოჩრილი პურითა და უკან მოჩანჩაღე ძროხით. აი, სერი! ჰა-ჰა-ჰა-ჰა-ჰა! ჰოი, ნორვეგიელი ვიკინგო, რა იქნებოდნენ ურთულესი მაინც შემოგეხსნა ყელსახვევი და ღვთის შეწვევით, ეგ ტილები გამოგებერტყა! მაგრამ მაშინ ხომ თავს დაიღუპავდი. მოგხვდებოდა თუ არა სუფთა ჰაერი, მაშინვე მოკვდებოდი. გაზეთები ყველა გვერდს მოგიძღვნიდნენ და შენს უდროო სიკვდილს დაიტირებდნენ. და შემდგომში კვლავაც რომ ასეთი სავალალო ამბავი არ განმეორებულყო, ლიბერალთა დებუტატი ვეტლე ვეტლესენა სტორტინგში შეიტანდა ეროვნული პარაზიტების უმკაცრესად დაცვის კანონ-პროექტს.

ნაგელს თავში სარკასტული სახეები უტრიალებდა. წამოხტა და გაღიზიანებული და გუნებაწამხდარი უკან გაბრუნდა. არადა, მაინც ყოველთვის მართალი აღმოჩნდება ხოლმე! საცა არ უნდა გაიხედო ტილების, აყროლებული ყველისა და ლუთერიან კათეხიზმოს გარდა ვერაფერს დაინახავ. ახლა ქალაქელები ავიდოთ — პატარა ვაჭრუკანები, ჩრჩილით ნაჭამ სახლებში ჩაყუყულან, პირიდან ლუკმას იბრობენ, წლიდან-წლამდე მწვანე საპნით, სპილენძის სავარცხლითა და თევზით ვაჭრობენ და მხოლოდ არყითა და არჩევნებით იქცევენ თავს. ხოლო ღამე, როცა მეხი გრგვინავს და ელვა იკლავება. შიშისგან მოკუნტულები ცახცახებენ ლოგინში და ჩიფჩიფით ამბობენ ლოცვას იუჰან არენდტის კრებულიდან. მიჩვენეთ თუნდაც ერთი გამოჩაყლისი, მითხარით, შეიძლება კი არსებობდეს? გვიძღვენით თუნდაც ერთი შემაზრზენი ავკაცობა, ტლუცოდვა, უნდილ, უნიათო ცოდვაზე კი არ გეუბნებით, არა, მე გელაპარაკებით აღვირახსნილ ავხორცობაზე, თმას რომ ყალყზე დაგიყენებს, სისხლის მორევში აცურებულ ბოროტებაზე, ჯოჯოხეთის შემზარავი სილამაზით გათარანებულ მეფურ ცოდვაზე! ღმერთო, რა არარაობაა ყველაფერი! რა აზრისა ხართ არჩევნებზე? ბუსკერუდის ოლქი მაფიქრებს...

მაგრამ, როცა ნაგელმა კვლავ ნავსადგურზე, საქმიანი ფაცა-ფუცის შუაგულში ამოაყუთ თავი, გუნება თანდათან გამოუკეთდა, თავისთვის აღიღინდა კიდეც. რა დარია! მართლაც, იშვიათი, პირდაპირ ჩინებული, ნამდვილი ივნისის კაშკაშა დღე გათენდა. მთელი ქალაქი მზის სხივებში იყო გახვეული და ზღაპრულად ბრწყინავდა.

და სანამ სასტუმრომდე მივიდოდა, ცუდმა გუნებამ გადაუარა, გულიდან ღვარძლი გადაეყარა და კვლავ დაუდგა თვალწინ ნავი სურნელოვან ხისაგან გათლილი, აბრეშუმის ცისფერი იალქნით დამშვენებული.

მთელი დღე გახალისებული იყო. სადამოხანს ისევ გამოვიდა სასეირნოდ, ისევ დაეშვა ზღვისკენ და კვლავ ალტაცებაში მოყავდა უამრავ რამეს. მზე ჩადიოდა. თვალის მომჭრელი დღის სინათლე დაბინდულიყო და ნაზ ფერებად დაღვრილიყო ზღვის ზედაპირზე; მყუდროებას მხოლოდ გემიდან წამოსული ხმები არღვევდა და ისიც ნელ-ნელა ცხრებოდა. ნაგელმა შენიშნა, რომ ნავსადგურში აქა-იქ ბაირადები გამოკიდეს, ქალაქშიდაც ბევრ სახლზე აფრიადლა ბაირადი და ამის მერე პორტშიც შეწყდა მუშაობა.

ნაგელს სულ არ მიუტკცევია ამისთვის ყურადღება. ისევ წავიდა ტყეში,

დიდხანს იხეტილა, ბოლოს პასტორის კარმიდამოსთან ამოყო თავი, ეზოში-
დაც გადაიხედა, მერე ისევ ტყეში შებრუნდა, გაუვალ ბუჩქნარში გააღწია და
ლოდზე ჩამოჯდა. ტყეში უკვე ბნელოდა. თავით ხელს დაეყრდნო და მუხლზე
თითები აათამაშა. დიდხანს, ძალიან დიდხანს იჯდა; იქნება მთელ საათსაც და,
როცა წამოდგა, მზე ჩასულიყო და ქალაქს ცისფერი ბინდი შემოუჭვეოდა.

ტყიდან რომ გამოვიდა, სახტად დარჩა. გორაკებზე გადმოიწეწა და გაგე-
ხედა, კოცონები ბრიალებდა — ერთი ოცი მაინც იქნებოდა და პატარ-პატარა
მზეებივით კაშკაშებდნენ. ნავებს ფუთფუთი გაჰქონდათ ყურეში, ბენგალურ
შუშხუნებს ანთებდნენ და წითელი და მწვანე ნაპერწკლები ბუნჯგალ-ბუნჯგალ
ცვიოდა. იმ ნავიდან, სადაც ოთხი მენიჩბე იჯდა და მღეროდა, რაკეტებიც კი
აუშვეს. სანაპიროზე ზღვა ხალხი გამოფენილიყო. ვინ სეირნობდა, ვინ ჯგუფ-
ჯგუფად იდგა, ნავსადგური ხომ მთლად გადაშავებულიყო ხალხისგან.

გაოცებულმა ნაგელმა თავი ვერ შეიკავა და შეძახილი აღმოხდა. პირვე-
ლივე შემხვედრი გააჩერა და ჰკითხა, ეს კოცონები და ბაირალები რას ნიშნავ-
სო? მან ნაგელს შეხედა, გადააფურთხა, ისევ შეხედა და მიუგო, რომ ღღეს
ივანობა იყო, ოცდასამი ივნისი — ივანე კუპალას დღეობის წინაღღე. მაშ
ივანობაა! რა თქმა უნდა, ასეც არის, ღღეს, მართლაც, ოცდასამი ივნი-
სია. არა, ბედი არ გინდა? ყველაფერთან ერთად ღღეს ივანობა! ერთ
სიხარულს მეორე ერთვის, ხვალ ივანე კუპალას დღეობაა, აი, სეირი! ნაგელი
სიამოვნებისაგან ხელებს იფშვნეტს და თვითონაც ნავსადგურისკენ მიეშურე-
ბა. თან გულში სულ იმეორებს, რომ ღღეს საოცრად ბედნიერი ღღე გაუ-
თენდა.

შორიდანვე დაინახა დაგნი ჰელანის სისხლივით წითელი ქოლგა. ხოლო
როცა მიუახლოვდა და შენიშნა, რომ ჰაბუკების ჯგუფში, რომელთა შორის
დაგნი ჰელანი იდგა, ექიმი სტენერსენიც ერია, ადგა და პირდაპირ მივიდა. ნა-
გელმა კები მოუხადა, ხელი ჩამოართვა და რატომღაც კიდევ დიდხანს იდგა
ქუდმოხდილი. ექიმმა იგი საზოგადოებას გააცნო. ფრუ სტენერსენმაც გაუწო-
და ხელი და ნაგელი მის გვერდით ჩამოჯდა. ქალი საოცრად ფერმიხდილი იყო,
მიწისფერი პირისკანი ავადმყოფურ იერს აძლევდა, ძალიან ახალგაზრდა კი ჩან-
და, ოცისა ძლივს იქნებოდა. წელიწადის ამ დროისთვის შეუფერებლად თბილ
მოსასხამში იფუთნებოდა.

ნაგელმა ქუდი დაიხურა და ყველას გასაგონად თქვა:

— გთხოვთ, მომიტევოთ, რომ თქვენს საზოგადოებაში ასე დაუპატიჟებ...

— რას ბრძანებთ, ამით მხოლოდ გვასიამოვნეთ, — თავაზიანად შეაწყვე-

ტინა სიტყვა ფრუ სტენერსენმა. — რამეს ხომ არ გვიმღერებდით?

— ვაი, რომ არ შემიძლია. სრულიად მოკლებული ვარ მუსიკალურ ნიჭს.

— პირიქით, კარგ დროს მოხვედით, — უთხრა ექიმმა სტენერსენმა, —

სწორედ თქვენზე ვლაპარაკობდით. თქვენ ხომ უკრავთ ვიოლინოზე?

— არა, — მიუგო ნაგელმა. თავი გადააქნია და გაუღიმა. — არა, არ ვუკ-

რავ... — და უეცრად, სრულიად უმიზეზოდ ადგილიდან წამოხტება და თვალ-
გაბრწყინებული იწყებს ლაპარაკს:

— ღღეს ისეთი ბედნიერი ვარ. დილიდანვე, თვალი გავაღე თუ არა, ვი-
გრძენი, რომ ბედნიერი ვარ, აგერ უკვე ათი საათია მოხიბლულობით დავდი-
ვარ. წარმოგიდგენიათ, პირდაპირ აკვიატებული მაქვს ხილვა: ვითომ სურნე-
ლოვანი ხის ნავით მივაპობ ტალღებს, და აბრეშუმის ცისფერი იალქანი მცხრალ

მთვარეს ჰგავს. განა საოცარი არ არის? ხის სურნელს ძალიანაც რომ მინდო-
დეს, ვერ აგოწერთ, თუნდაც ამისთვის საჭირო სიტყვები ვიპოვო... აბა, წარმო-
იდგინეთ, ამ ნავში ვზივარ და ანკესს ვისვრი, ვერცხლის ანკესს... მომიტევეთ,
საყვარელო ბანოვანებო, მაგრამ თქვენის აზრით... ღმერთმანი, არ ვიცი, რო-
გორ გამოვხატო.

მანდილოსნები ჩუმად იყვნენ, უხერხულად იშმუშნებოდნენ ღმერთმა-
ნეთს შესტყუროდნენ, თითქოს ეკითხებოდნენ, როგორ მოვიქცეთ. ბოლოს
ვიღაცამ გაიცინა და მაშინ ყველამ დაუნდობლად გადაიხარხარა.

ნაგელმა თვალი მოავლო მათ. თვალები უგინგიზებდა, აშკარად ეტყობოდა,
ჩერაც ცისფერიალქნიან ნავზე ფიქრობდა. სახე დამშვიდებული ჰქონდა, მაგრამ
ხელები უთრთოდა. ექიმმა მის გამოსახსნელად თქვა:

— გასაგებია. თავისებური პალუცინაციაა, რომელიც...

— არა, გთხოვთ მომიტევეთ, — შეაწყვეტინა ნაგელმა. — თუმცა, დაე,
აგრე იყოს, რატომაც არა? მთავარი ხომ ის არ არის, რას დავარქმევთ. მთელი
ღღე თვალშია ვოცნებობდი, მაგრამ პალუცინაცია იყო ეს თუ სხვა რამ,
ღმერთმანი, არ ვიცი. დილიდანვე დაიწყო, ჯერ კიდევ ვიწექი, როცა ბუზის
ბზუილი გავიგონე, ეს გაღვიძების მერე პირველი გააზრებული აღქმა იყო.
მერე დავინახე, როგორ ანათებდა მზის სხივი შტორის ნახვრეტში და მაშინვე
ნათელი, ხალისიანი გრძნობა დამებადა — თითქოს გულში გამიზაფხულდა.
წარმოიდგინეთ ნორჩი ბალახის ჩუმი შრიალი და რომ ეს ხმა გულს ისარივით
განგეწონება... პალუცინაციაო, ამბობთ. დიახ, დიახ, ალბათ, არ ვიცი. მაგ-
რამ, გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ, რომ ამ დილით ყველაფერს განსაკუთრე-
ბით მძაფრად აღვიწვამდი, რომ ბუზის ბზუილი სწორედ მაშინ მომესმა, როცა
საჭირო იყო, შტორის ნახვრეტშიც ზუსტად ისე ანათებდა მზის სხივი, როგორც
იმ დროს იყო საჭირო. მოკლედ, ასე შემდეგ და ასე შემდეგ... მერე კი როცა
ავდექი და ქუჩაში გამოვედი, პირველყოვლისა, ერთ-ერთი სახლის სარკმელ-
ში მომხიბლავი ბანოვანი დავინახე. — ამ დროს ფრეკენ ანდერსენს შეხედა,
რომელმაც თვალები დახარა. — მერე გემები დავინახე, მერე პატარა გოგონა
კატიტ ხელში და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. ამის მერე უკვე ტყეში მოვხვდი
და როცა ზურგზე გაშოთილი ვიწექი იქ და ცაა შევცქეროდი, ხავი და ცის-
ფერი იალქანი მომეჩვენა.

მანდილოსნებმა კვლავ გაიცინეს. ეტყობა, ექიმსაც გადაედო მათი მხიარუ-
ლება და უკვე ღიმილით ჰკითხა:

— მაშ, ვერცხლის ანკესით თევზაობდით?

— დიახ, ვერცხლის ანკესით.

— ჰა-ჰა-ჰა!

უცბად დაგნი პელანი ყაყაჩოსავით გაწითლდა და თქვა:

— აი, მე კი შესანიშნავად მესმის, რომ, მართლაც, შეიძლება ასეთი რამ
მოგელანდოს. თვალწინ მიდგას ის ნავიც, ცისფერი იალქანიც, მცხრალ მთვა-
რეს რომ ჰგავს... წყალზე მოციმციმე ვერცხლის ანკესიც. მე მგონი, ძალიან
ლამაზია...

მეტი ველარაფერი თქვა. ენა დაება და გაჩუმდა.

ნაგელი მაშინვე შეეშველა.

— ხომ მართალია? მეც ჩემს თავს ვუთხარი, ეს წინასწარმეტყველური
ხილვაა-მეთქი. დიახ, განგების ნიშანია. დაე, ამ ნიშანმა მიგახვედროს, რომ

მღვრიე წყალში თევზაობა არ შეიძლება, ანკარა წყალი უნდა იყოს, მხოლოდ ანკარა!.. აი, თქვენ მკითხეთ, ექიმო, ვუკრავ თუ არა ვიოლინოზე. არა, არ ვუკრავ, არ ვიცი დაკვრა. ვიოლინოს ბუდე თან დამაქვს, მაგრამ შიგსაკრავი არ დევს. ვაი, რომ ჭუჭყიანი თეთრეულით გატენილი ბუდეა მხოლოდ. ასე მეგონა, თუ ჩემს ბარგშორის ჩემოდნებს გარდა ვიოლინოსაც დაინახავდნენ, ეს შთაბეჭდილებას მოახდენდა და, აი, მეც ბუდე შევიძინე. იქნებ, ჩემს ბუდეშიც უდიდესი აზრი შეგექმნათ ახლა, მაგრამ აბა რა გაეწყობა. თუმცა მერაზმით, გულწრფელად ვწუხვარ... არა, სულ ვერცხლის ანკესის ბრალია.

გაკვირვებულ მანდილოსნებს აღარ ეცინებოდათ. ექიმმა, ოლქის სასამართლოს რწმუნებულმა რეინერტმა და ადიუნქტმა გაოცებისგან, როგორც იტყვიან, პირები დაადეს და გაქვავებულები იდგნენ. ყველა ნაგელს მიშტერებოდა, ექიმი აშკარად დაბნეული იყო, — რა დაემართა ამ უცნაურ, ღმერთმა უწყის, საიდან მოსულ ვაჟბატონს? ნაგელი კი არხეინად იჯდა თავისთვის და, ეტყობოდა, ხმის ამოდებას აღარ აპირებდა. უხერხულ სიჩუმეს თითქოს ბოლო აღარ უჩანდა, მაგრამ ამ დროს ფრუ სტენერსენი წამოეშველათ. იგი ნამდვილი თავაზიანობის განსახიერება იყო, პირდაპირ დედაშვილური მზრუნველობით ევლებოდა თავს ყველას და ყურადღებით ადევნებდა თვალს, რომ ვინმეს გულს არ დაკლებოდა. ეგ კი არა, განგებ იკრავდა წარბს, შუბლს იჭმუხვნიდა და საერთოდ ცდილობდა, როგორმე უფრო ხნიერი გამოჩენილიყო, რომ მის სიტყვებს მეტი ფასი დასდებოდა.

— თქვენ უცხოეთიდან ჩამოხვედით, ბატონო ნაგელ?

— დიახ, ქალბატონო.

— ჰელსინგფორსიდან, მგონი ასე მითხრა ჩემმა მეუღლემ.

— დიახ, ჰელსინგფორსიდან. ესე იგი, ახლა პირდაპირ ჰელსინგფორსიდან მოვდივარ. მე აგრონომი ვარ და იქ ლექციათა მცირე კურსი მოვისმინე. დუმილია.

— ქალაქი როგორ მოგეწონათ? — ისევ ჰკითხა ფრუ სტენერსონმა.

— ჰელსინგფორსი?

— არა, ჩვენი ქალაქი.

— ოჰ, მშვენიერი ქალაქია, მომხიბლავი ადგილია. წასვლა აღარ მინდა აქედან, მართლა არ მინდა. ჰა-ჰა! ნუ შეშინდებით, გეთაყვა, ბოლოს და ბოლოს შეიძლება მაინც წავიდე, ვნახოთ, საქმე როგორ დატრიალდება... *A propos*, — დასძინა მან და ისევ წამოხტა ადგილიდან, — ხელი თუ შეგიშალებთ, გთხოვთ, მაპატიოთ. იცით, ძალიან მსიამოვნებს ასე, თქვენს გვერდით ჯდომა. მე, კაცმა რომ თქვას, თითქმის არავინ გამაჩნია და, შეიძლება ითქვას, დროს ვერავისთან ვატარებ: ყველასთვის უცხო ვარ, ამიტომ საკუთარ თავთან ლაპარაკს დავეჩვიე. დიდად დამავალებთ, თუ უბრალოდ მიმივიწყებთ და ისე ისაუბრებთ, თითქოს აქ არც ვიყო.

— მიუხედავად ამისა, თქვენ უკვე მოასწარიტ და ცვლილება შემოიტანეთ ჩვენ ცხოვრებაში, — ღვარძლიანად შენიშნა რწმუნებულმა რეინერტმა.

— ოჰ, მართლა. ბატონო რწმუნებულო, თქვენ ცალკე უნდა მოგიხადოთ ბოდიში მზად ვარ, ნებისმიერად დაგაკმაყოფილოთ, ოღონდ ახლა ნუ, კარგით? ამჟამად არ ღირს.

— დიახ, რა თქმა უნდა, ახლა მაგის დრო და ადგილი არ არის, — დაუდასტურა რეინერტმა.

— გარდა მაგისა, დღეს ისე გახარებული ვარ, — თქვა ნაგელმა და განსაკუთრებით გულთბილად გაიღიმა. ღიმილმა მთელი სახე გაუცისკროვნა და უეცრად პატარა ბიჭს დაემსგავსა: — რა საოცარი საღამოა, მაღლე! ვარსკვლავებიც დასხდებიან ცაზე. გორაკებზე კოცონები გიზგიზებს. ზღვიდან სიმღერა ისმის, ყური უგდეთ. მგონი, ურიგოდ არ მღერიან. მართალია, სიმღერის ბევრი არაფერი გამეგება, მაგრამ განა მშვენიერი არ არის? ამან უფრო მეტი გამაზსენა ხმელთაშუა ზღვაზე, ტუნისის ნაპირებთან. ჩვენი გემით ერთი ასი კაცი მაინც მოდიოდა. ყველანი გუნდის მომღერლები იყვნენ და სარდინიიდან მოცურავდნენ. მე, რა თქმა უნდა, განზე მეჭირა თავი, მით უმეტეს, რომ სიმღერაც არ მეხერხება, უბრალოდ, გემბანზე ვიჯექი ჩემთვის და ყურს ვუგდებდი, როგორ მღეროდა გუნდი სალონში. მთელი ღამე მღეროდნენ. არასოდეს დამავიწყდება ჩახუთულ, სამხრეთულ ღამეში მოსმენილი ის სიმღერები. ფრთხილად მივხურე სალონის ყველა კარი, შიგ დავამწყვდიე მათი სიმღერა და უკვე მეჩვენებოდა, თითქოს ზღვის სკნელიდან ამოდიოდა ხმათა გუგუნნი და ჩვენს გემს მარადისობისკენ მიუძღოდა. წარმოიდგინეთ ამღერებული ზღვა, ნეპტუნის გუნდი.

ნაგელის გვერდით მჯდარმა ფრეკენ ანდერსენმა ვერ მოითმინა და წამოიძახა:

— ღმერთო! ალბათ, რა კარგი იყო!

— ერთხელ კიდევ უფრო მშვენიერი სიმღერა მოვისმინე, მაგრამ უკვე სიზმარში. სიზმარიც დიდი, დიდი ხნის წინათ ვნახე, როცა ჯერ კიდევ პატარა ვიყავი. უფროსებს ასეთი საუცხოო სიზმრები არ ესიზმრებათ.

— ნუთუ არ ესიზმრებათ? — ჩაეკითხა ფრეკენ ანდერსენი.

— არა, შეიძლება ცოტას ვაჭარბებ, მაგრამ... ახლაც ცხადად მახსოვს ბოლო სიზმარი: ჩემს წინ უკიდევანო ჭაობია გადაჭიმული... თუმცა, მომიტევეთ, გაუთავებლად ვცუბდობ და გაიძულებთ ყური დამიგდოთ. ალბათ, თავი მოგაბეზრეთ, მერწმუნეთ, ყოველთვის ამდენს არ ვლაპარაკობ.

ამ დროს დაგნა ჰელანი ისევ ჩაერია საუბარში.

— დარწმუნებული ვარ, საუბარს ყველას თქვენი მოსმენა ურჩევნია. — მერე ფრუ სტენერსენისკენ დაიხარა და წასჩურჩულა:

— გეთაყვა, დაიყოლიე, რომ განაგრძოს, ძალიან გთხოვ, რამე ილონე, ყური დაუგდე ერთი, რა ხმა აქვს!

— სიამოვნებით განვაგრძობ, — ღიმილით თქვა ნაგელმა, — ღმერთმა უწყის, რა დამემართა, მაგრამ დღეს რაღაც განსაკუთრებით მინდა ლაპარაკი. თუმცა ამ სიზმარში ისეთი არაფერი იყო. მაშასადამე, ჩემს წინ უზარმაზარი ჭაობია გადაჭიმული, მართალია, ერთი ხეც არსადა ჩანდა, მაგრამ იქაურობა გველივით დაკლაქნილ ფესვებს დაეფარა. და ამ უცნაურ ფესვთა შორის შეშლილი დაძრწოდა. ახლაც თვალწინ მიდგას — გადატეტილი სახე, შავი წვერი, მაგრამ ისე მოკლე და მეჩხერი, რომ კანი უჩანს. აქეთ-იქით იხედება და დაჭყეტილი თვალები ტანჯვით აქვს სავსე. მე ლოდს უკან ვიწექი ჩასაფრებული და იქიდან დავუძახე. მაშინვე ჩემი ქვისკენ მოიხედა. ოდნავადაც არ გაკვირვებია, რომ ვილაყამ დაუძახა. თითქოს მშვენივრად იცოდა, სადაც ვიწექი, თუმცა ქვა მფარავდა და არ ვჩანდი. თვალს არ აცილებდა ჩემს სამალავს, მე კი ვფიქრობდი: მაინც ვერ მიპოვის, თუ არადა, უკიდურეს შემთხვევაში, უკან გახტომას ყოველთვის მოვასწრებ-მეთქი. და თუმცა ამ ჩაცხიებული მზერისგან

თავს ცუდად ვგრძნობდი, კიდევ დავუძახე, რომ გამეხელებინა. კბილებდაღრ-
ტენილი წამოვიდა ჩემსკენ, რომ ყელში მცემოდა, მაგრამ რამდენიმე ნაბიჯის
შემდეგ ფეხის განძრევა აღარ შეეძლო — ერთმანეთზე დახვავებული ფეხები
გზას უღობავდნენ, მიწისკენ ეზიდებოდნენ და მიჯაჭვულიყრდნით ერთ ად-
გილზე. ისევ დავუძახე, ზედიზედ ვუყვილე მრავალჯერ და, ისიც გაავეებული
მივარდა ფეხებს, ცდილობდა გზა გაეკაფა, ბლუჯაბლუჯა-ჭკუიჭკუი და აქეთ-
იქით ისროდა, ქანცს იწყვეტდა მუშაობით, ოღონდ კიბეებსა და მხრებს მომწვდო-
მოდა, მაგრამ ამაოდ. მაშინ უძლურებისგან დაიგმინა და მე ცხადოდ გავიგე
მისი გმინვა. თვალებში ენით უთქმელი ტანჯვა ეწერა. როცა გული დავიმშვი-
დე, ვერაფრით მომწვდება-მეთქი, წამოვდექი, წინ ავეტუხე. ქუდის ქნევა და-
ვიწყე და თან უწინდელზე მეტად ვახელებდი: ჰეი, შენ-მეთქი! — ვუყიოდო.
ფეხსა ვცემდი და ისევ ვუყიოდო. მერე ცოტა კიდევ მივიწიე და ის უბედური
რომ მთლად გადამერია და საბოლოოდ შემეშალა ჭკუიდან, თითს ვიშვერდი
მისკენ და შიგ ყურში ჩავჭყიოდო ისევ და ისევ: „ჰეი, შენ, ჰეი, შენ!“ მერე
ცოტათი უკან გავიქეცი — დაე, მიხვდეს, რა ახლოს ვიდექი-მეთქი. მაგრამ ჯერ
კიდევ არ ყრიდა ფარ-ხმალს, ისევ ებრძოდა ფეხებს; ტკივილებისგან გავეშე-
ბული ისევ ცდილობდა აქეთ-იქით მიმოეფანტა. დაღადრული და სისხლით
მოთხვრილი ფეხის წვერებზე შედგა, თვალებში მიყურებდა და ღრიალებდა!
ოფლი ღვართქაფად ასკდებოდა, სახე არაადამიანური ტანჯვით ჰქონდა დაღ-
მეჭილი, რადგან ვერ მოახერხა და ვერ მომწვდა. მე კი, მე მხოლოდ ერთი
სურვილი მწვავდა — კიდევ უფრო გამეანჩხლებინა. ისევ მივუხტი, ცხვირწინ
თითები გავუტკაცუნე და უმგვანი ღმეჭით ჩავიჭირე: „ჰი-ჰი-ჰი!“ მერე
ფეხი ვესროლე, შიგ ტუჩში გავარტყი და კინალამ წავაქციე, მაგრამ მან მხო-
ლოდ სისხლი გადმოაფურთხა, პირი ხელის გულით მოიწმინდა და ისევ დაე-
რია ფეხებს. მაშინ კი მთლად გავთამამდი — ხელი გავიწოდე, რომ შუბლზე
წკიპურტი მეკრა. მაშინვე უკან გადმოხტომა დავაპირე, მაგრამ დამასწრო და
ხელი მტაცა. ოჰ, ღმერთო ჩემო, რა საზარელი იყო! გაანჩხლებული მომე-
ტია და მარწუხივით ჩამაფრინდა ხელში. მე დავიყვირე და უკან მივაწყდი, ის
კი ხელჩაკიდებული მორჩილად მომყვა. გამოვალწიეთ ჭაობიდან. ახლა, როცა
ხელჩაკიდებული მომყვებოდა, ფეხები აღარ უხერგავდნენ გზას. იმ ლოდ-
თან მივედით, თავიდან სადაც დავიძალე. იგი უეცრად მუხლებზე დაეცა და
ჩემს ნაკვალევს დაუწყო კოცნა. გასისხლიანებული და გაწამებული ჩემს წინ
ტალახში ეგდო და სიკეთისთვის მადლობას მწირავდა. მლოცავდა და ღმერთს
ვევდრებოდა, სიკეთის წილ სამაგიერო მოეგო ჩემთვის. ფართოდ გაღებული
თვალები ვედრებით უბრწყინავდა, ჩემთვის ლოცულობდა და, ხელებს ან ფე-
ხებს კი არა, ნაკვალევს კოცნიდა ჩემსას, მხოლოდ ნაკვალევს! „მიწას რატომ
კოცნი?“ — ვკითხე მე. მან მიპასუხა: „პირიდან სისხლი მდის და არ მინდა
ფეხსაცმელები დაგისვარო“. გესმით, ფეხსაცმელები არ სურდა დაესვარა! მა-
შინ კვლავ შევეკითხე: „რატომ მიხდი მადლობას, როცა მხოლოდ ავი გიქენ და
გტანჯე?“ — „იმიტომ გიხდი მადლობას, — მითხრა მან, — რომ კიდევ უფრო
მეტად არ დამტანჯე, რომ კეთილად მომეპყარ და უფრო ძალიან არ მაწამე.“
„ქარგი, — მივუგე მე, — მაშ, რატომღა მიყვიროდი რაღაცებს და კბი-
ლებსაც კი მიღრტენდი, რომ ჩამფრენოდი?“ — „სულაც არ მინდოდა, რომ
ჩამფრენოდი. პირი გავადე, რომ შემწეობა მეთხოვა შენთვის, მაგრამ სიტყვა
ვერ დავძარ და შენ ვერ გამიგე. ხოლო ვყვიროდი აუტანელი ტანჯვისაგან.“
„იტანჯებოდი და იმიტომ ყვიროდი?“ — ისევ შევეკითხე. — „ჰო...“ შე-

შლილს შევხედე. ჯერ ისევ სისხლს აფურთხებდა, მაგრამ კვლავ ჩემთვის ლოცულობდა. და ანაზღად მივხვდი, რომ სადღაც ნანახი მყავდა. უკვე ვიცნობდი და რომ არც ისე მოხუცი იყო — ჭალარა თმა, გაქუცული, მეჩხერი წვერი... ეს მაიცა იყო.

— მაიცა? მაიცა იყო? — ჩაეკითხა ფრუ სტენერსონი.

— დიახ, ის იყო, — მიუგო ნაგელმა.

— უჰ! პირდაპირ გულს შემომეყარა.

— მე კი ვიცოდი! — წამოსცდა უცბად დაგნი პელანს. — მაშინ მივხვდი, როცა თქვით, მუხლებზე დაეცა და ნაკვალევს კოცნიდაო. ღმერთმანი, მაშინვე მივხვდი. თქვენ მას კარგად იცნობთ?

— არა, სულ ორჯერ თუ შევხვდი... მაგრამ, იცით რა, მგონი, ყველას საბოლოოდ გაგიფუჭეთ გუნება. ქალბატონო, თქვენ ფერი სულ დაკარგეთ. ღმერთო ჩემო, ეს ხომ მხოლოდ სიზმარი ბუო!

— დიახ, მართლაცდა, რას ჰგავს, — სიტყვა ჩამოართვა ექიმმა, — ჯანდაბამდის გზა ჰქონია მაიცას. ისევე უქნია, მთელი ნორვეგიის ფესვები დაუკოცნია, ჩვენ რა... აგერ ფრეკენ ანდერსენიც ტირის. ჰა-ჰა-ჰა!

— ფიქრადაც არ მომსვლია ტირილი. — თქვა ფრეკენ ანდერსენმა. — საიდან მოიგონეთ? მაგრამ, სიმართლე გითხრათ, სიზმარმა ჩემზე იმოქმედა. თუმცა, მგონი, თქვენზედაც.

— ჩემზე? — შეიცხადა ექიმმა. — რა თქმა უნდა, არა! იოტის თღუნადაც კი! ჰა-ჰა-ჰა! ღმერთმანი, ყველანი ჰკუთას გადაცდით. უმჯობესია, გავიაროთ. აბა, ადექით, ადექით, იეტა, მენ არ შეგცივდა?

— არა, სულ არა, ცოტა ხანს კიდევ ვისხდეთ, — მიუგო ცოლმა. მაგრამ ექიმს გინდა თუ არა სეირნობა ნებავდა. მან კვლავ განაცხადა, აცივდა და თუ საზოგადოებას არ სურს, მაშინ მარტო გავივლი, რადგან გაუნძრევლად ჯდომა აღარ შემიძლიაო. ნაგელი წამოდგა და გააჰყვა.

სანაპიროზე აიარ-ჩაიარეს ხალხში ძლივს მიიკვლევდნენ გზას. აქეთურ-იქითურზე ლაყბობდნენ და ნაცნობებს ესალმებოდნენ. ასე სეირნობდნენ, და ახლოებით ნახევარ საათს, სანამ ფრუ სტენერსენმა არ იხმო ორივე.

— ჩქარა მოდით აქ! რომ იცოდეთ, რა გადაწყვეტით! ხვალ საღამოს ყველანი ჩვენსა მოვიყრიით თავს. რაც შეიძლება, ბევრ ხალხს მოვიწვევთ. ბატონო ნაგელ, თქვენც აუკილებლად უნდა მოხვიდეთ. ოღონდ გაფრთხილებთ, ჩვენ წესადა გვაქვს: ხალხი რაც უფრო ბევრია, საქმელი მით უფრო ცოტაა.

— სამაგიეროდ, მით უფრო მეტი ერიაშულია, — მხიარულად შეაწყვეტინა ექიმმა. — ეს ცნობილია. იცი რა, იეტა, ურიგო აზრი არ მოგსვლია. ასეთი კარგი იდეები იშვიათად მოგდის ხოლმე. — ექიმს მაშინვე გუნება გამოუკეთდა. ხვალინდელი მხიარულების მოლოდინმა სახე გაუბადრა. — ოღონდ, იცოდეთ, არ დაიგვიანოთ, და იმედი ვიქონიოთ, რომ ხვალ ავადმყოფთან არ დამიძახებენ.

— ჰო, მაგრამ, ამ კოსტუმით ხომ ვერ მოვალ, — თქვა ნაგელმა. — სხვა კი არა მაქვს.

ყველას გაეცინა. ფრუ სტენერსენმა კი შესძახა:

— ყოველგვარი ცერემონიის გარეშე მობრძანდით, ძალიან კარგს იზამთ. უკან გზობას ნაგელი დაგნი პელანის გვერდით მოხვდა. განგებ არ უქნია, როგორღაც თავისთავად გამოვიდა, მაგრამ არც დაგნის უცდია თავის არიდება.

დაგნიმ უთხრა, ხვალინდელი საღამოს მოლოდინი წინასწარ მახარებს, რადგან ექიმთან მუდამ მყოფობა და სისადავეა, სტენერსონები შესანიშნავი ხალხია და მათთან ყოველთვის მხიარულებათ. ამ დროს ნაგელმა შეაწყვეტინა და ხმადაბლა ჰკითხა:

— ფრეკენ, გახსოვთ, იმ დღეს ტყეში რომ სულელურად მოვიქცეო? შეიძლება იმედი ვიქონიო, რომ მაპატიეთ?

ისე ცხარედ ეჩურჩულებოდა, ისე ღელავდა, რომ ქალი იძულებული იყო პასუხი გაეცა:

— დიახ, ახლა უკეთ მესმის თქვენი იმდღევანდელი საქციელი. ეტყობა, მართლაც, სხვებს არა ჰგავხართ.

— გმადლობთ, — წაიჩურჩულა ნაგელმა, — ჩემს სიცოცხლეში ასეთი მადლიერი არავისი ვყოფილვარ. მაგრამ, რატომ გგონიათ, თითქოს სხვებს არა ვგავდე? იცით, ფრეკენ, რომ მთელი საღამო მხოლოდ იმას ვცდილობდი, ჩემზე შექმნილი ცუდი მთაბეჭდილება გამექარწყლებინა თქვენთვის. ყოველი სიტყვა მხოლოდ თქვენი ყურისთვის იყო განკუთვნილი. აბა, რას მეტყვით? ოღონდ, გთხოვთ, არ დაივიწყოთ — მე ძალიან დამნაშავე ვარ თქვენს წინაშე და რამე უნდა მეღონა. მართალია, მთელი დღე რაღაც განსაკუთრებულ გუნებაზე ვარ. მაგრამ თავი მაინც იმაზე ცუდად მოგაჩვენეთ, ვიდრე ნამდვილად ვარ. ეს კი იმიტომ გავაკეთე, მინდოდა დამერწმუნებინეთ, თითქოს ხანდახან მართლა არ შემიძლია თავს მოვერიო, თითქოს საერთოდ უცნაური ვარ. იმედი მქონდა, ასე უფრო იოლად მაპატიებდით. ამიტომაც გამოვხტი ჩემი სიზმრებით არამყიფე მოამბესავით და ჩემი ნებით ავაგდე თავი სასაცილოდ, თორემ, აბა, რა ძალა მედგა, როცა ვოლინოს ბუდეზე მოვყევი და საკუთარი ახირება თავად ვაღიარე.

— მაპატიეთ, — სასწრაფოდ შეაწყვეტინა დაგნიმ, — რატომ მეუბნებით მაგას და თავიდან აფუჭებთ ყველაფერს?

— არა, არაფერს ვაფუჭებ. უკეთ გამიგებთ, თუ კი გულწრფელად გამოგიტყდებით, რომ იმ დღეს ტყეში ერთი წუთით მართლა შემიპყრო ცუდმა აზრებმა და რადგან გამეჭვდით, ისე მომინდა თქვენი შეშინება, თავი ვერ შევიკავე, და უკან გამოგდევენ. მაშინ ხომ ჯერ არ გიცნობდით. აი, ახლა კი, როცა გეუბნებით, მეც ისეთივე ვარ, როგორც ყველა-მეთქი, ამასაც გამიგებთ. ეს კომედიაც იმიტომ გავითამაშე და ყველა გავაოცე, რომ თქვენთვის იმდენად მაინც მომეღბო გული, რომ ყური გეთხოვებინათ. ასეც მოხდა. თქვენ მომისმინეთ და ყველაფერი გამიგეთ.

— არა, გულწრფელად უნდა ვაღიარო, მთლად ვერ გაგიგეთ. რაც არის, არის. თავის მტკრევას არ დავიწყებ...

— არც არის საჭირო, რისი გულიათვის! ოღონდ გამოტყდით, ხვალინდელი წვეულება მხოლოდ იმიტომ იმართება, რომ, ყველას აზრით, მე ერთი უცნაური, ახირებული ვინმე ვარ და ჩემგან კაცი ნაირ-ნაირ გამოხდომას უნდა ელოდოს. ვაითუ იმედი გაგიცრუოთ, გამორიცხული არ არის, რომ მთელ საღამოს კრინტსაც არ დავძრავ, იქნებ, არც კი მოვიდეთ. ღმერთმა უწყის, ხვალ რა იქნება.

— არა, აუცილებლად უნდა მოხვიდეთ.

— აუცილებლად? — ჩაეკითხა ნაგელი და შეხედა.

დაგნის აღარაფერი უთქვამს. ჩუმად მიაბიჯებდნენ გვერდი-გვერდ. ასე მი-

ადგნენ პასტორის კარ-მიდამოსკენ მიმავალ გზას. ფრეკენ პელანი შედგა, უცბად გადიკისკინა და უთხრა:

— არა, ჩემს სიცოცხლეში ასეთი არაფერი მსმენია!.. — და თავი გადააქნია.

იდგნენ და უკან ჩამორჩენილებს ელოდნენ. ნაგელს სურდა სახლამდე მიეცილებინა. ის იყო უნდა ეთხოვა კიდევ, რომ დაგნი შებრუნდეს და ადიუნქტს უხმო:

— ჩქარა, ჩქარა წამოდი! — და ცოცხლად დაუქნია ხელი, რომ აეჩქარებინა.

VII

მეორე დღეს, ზუსტად 6 საათზე ნაგელი ექიმთან მივიდა. ეგონა, ძალიან ადრე მოვედიო, მაგრამ მთელ საზოგადოებას, წუხელ რომ გაიცნო, უკვე მოეყარა თავი. სტუმართა შორის მხოლოდ ორს არ იცნობდა — ვექილსა და ვილაც ქერა სტუდენტს. ორ მაგიდასთან კონიაკსა და ზელტერის წყალს სვამდნენ, მესამე მაგიდას მანდილოსნები, რწმუნებული რეინერტი და სწორედ ის სტუდენტი შემოსხდომოდნენ და გაცხოველებით მუსაიფობდნენ. ადიუნქტს, რომელიც სიტყვაძუნწი კაცი იყო და ჩვეულებრივ კრინტს არ ძრავდა, უკვე ბლომად ეყლურწა, კიბორჩხალასავით გაწითლებული, გუნებაზე დამდგარიყო და ახლა, რაც მოხვდებოდა, ყველაფერზე ხმამაღლა მსჯელობდა... თუნდაც სერბია ავიღოთ, სადაც მოსახლეობის ოთხმოცი პროცენტი სრულიად უწიგნურია, განა იქ უკეთ აქვთ საქმე? — და თუმცა არავინ შედავებია, ყველას მრისხანედ გადახედა.

დიასახლისმა ნაგელი მოიხმო და გვერდით მოისვა. რას დალევს?

— ახლა სწორედ ქრისტიანიაზე ვსაუბრობდით, — უთხრა მან. აბა, რამ აფიქრებინა ნაგელს მათ პატარა ქალაქში დასახლება, როცა არჩევანი მის ხელთ იყო და თვით ქრისტიანიაში შეეძლო ეცხოვრა!

ნაგელი შეეპასუხა, უთხრა, რომ სულაც არ თვლიდა ამ აზრს უცნაურად, უბრალოდ მოესურვა, რაღაც არდადეგების მსგავსი მოეწყო და ცოტა ხანს სოფლურ ადგილას ეცხოვრა. რაც შეეხება ქრისტიანობას, სულ რომ აჩუქონ, ახლა არაფრის გულისთვის არ ისურვებდა იქ ყოფნას. არა, ქრისტიანიაში ყოფნას ყველაფერი ურჩევნია.

— მაგას რას ბრძანებთ, ნუთუ მართლმ? ქრისტიანია ხომ დედაქალაქია! რომ აღარაფერი ვთქვათ გამოფენებზე, კონცერტებზე, თეატრებსა და კიდევ ვინ მოთვლის რაზე, ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი და ცნობილი ადამიანები სულ იქ იყრიან თავს.

— ახლა რამდენი უცხოელები არიან! — დაურთო ფრეკენ ანდერსენმა. — რომელი ქვეყნიდან, ვინ გინდა, რომ არ იყვნენ ჩამოსულები: მსახიობები, მომღერლები, მუსიკოსები, მხატვრები.

დაგნი პელანი ჩუმად იჯდა და მხოლოდ სხვებს უსმენდა.

იქნებ, ასეც არის, დაეთანხმა ნაგელი, მაგრამ როცა ქრისტიანობას უხსენებენ, არც კი იცის, რატომ, ყოველთვის გრენდსენის რაიონის ერთი კუთხე ახსენდება და გასამზეურებლად გამოფენილი ტანსაცმლის შმორის სუნი სცემს. მართლა, არ იფიქროთ, რომ იგონებდეს. იმ წუთში თვალწინ დაუდგება ხოლმე

გაფუჟული, პროვინციული ქალაქი, რომელსაც ორი ეკლესიის, ორი გაზეთის, ერთი სასტუმროსა და ბაკის გარდა, სადაც დიდიან-პატარაანა ყველა წყლის ასაღებად დადის, სულს იქით არაფერი აბადია და მიუზღუდად ამისა, რატომ-ღაც ამქვეყნად ყველაზე დიდი ადამიანებითაა დასახლებული. უფრო კუდამ-პარტავან ხალხს სხვაგან არსად შეხვედრია და ღმერთო ჩემო, უმძღვერ უნატრია, როცა იქ ცხოვრობდა, ნეტა აქედან წამიყვანათ! გიგლიშვილი

რწმუნებულს ვერაფრით გაეგო, როგორ შეიძლებოდა, ასე შეგძლებოდა ადამიანს ვინმე ცალკე პირი კი არა, მთელი ქალაქი — ქვეყნის დედაქალაქი. ქრისტიანიაზე ახლა ვედარავინ იტყვის, მიყრუებული ქალაქიო, და მსოფლიოს დედაქალაქთა შორის ღირსეული ადგილი უჭირავს. ვერც კაფე „გრანდს“ უსაყვედურებს რამეს კაცი.

თავდაპირველად ნაგელი არ შეპასუხებია კაფე „გრანდზე“, მაგრამ მერე შუბლი შეიკრა და ყველას გასაგონად თქვა:

— „გრანდი“, მართლაც, უნიკალური დაწესებულებაა.

— მგონი, მაგას ირონიით უნდა ამბობდეთ?

— სულაც არა. „გრანდი“ ცნობილი ადგილია, სადაც მხოლოდ დიდზე დიდი ადამიანები იკრიბებიან: მხატვრები? — მსოფლიოში საუკეთესო; სტუდენტები? — ვინც ყველაზე დიდ იმედს იძლევა; რედაქტორები? — უბრწყინვალესი; ქალები? — უტურფესი; პოეტები გნებავთ? — უდიდესი. ჰა-ჰა! დიდიდან ღამემდე სხედან და იქ ერთმანეთს ეფხორებიან, გენიოსებად ნათლავენ და ამით უზომოდ ბედნიერად გრძნობენ თავს. ჩემი თვალით მინახავს, რა ზეიმი შეუდგებათ ხოლმე, თუკი როგორმე სხვისი ყურადღება მიიპყრეს.

ნაგელის ნათქვამმა ყველა გაადიზიანა. რწმუნებული ფრეკენ ჰელანისკენ დაიხარა და საკმაოდ ხმამაღლა უთხრა:

— ჩემს სიცოცხლეში არ შევხვედრივარ ამისთანა მედიდურ ბატონს!

დაგნი ჰელანმა თავი აიღო და სწრაფად შეავლო თვალი ნაგელს. მან, ეჭვი არ არის, გაიგონა რწმუნებულის ნათქვამი, მაგრამ, როგორც ჩანს, ყური წაუყრუა, უფრო მეტიც, სტუდენტს ჭიქაზე ჭიქა მიუჭახუნა და სრულიად გულგრილად სხვა რამეზე გაუბა საუბარი. ამისთანა ამპარტავნობამ დაგნისაც გუნება აუმღვრია. ღმერთმა უწყის, რას ფიქრობს მათზე, რომ თავს ნებას აძლევს და ასეთი უტიფარი ლაყბობით უმასპინძლდებათ. ნეტა, რა ჰგონია თავი, ეს რა განდიდების კვიატითაა შეპყრობილი! და როცა რწმუნებულმა ჰკითხა, თქვენ რა აზრისა ხართო, დაგნიმ განგებ ხმამაღლა უპასუხა:

— ჩემი აზრი გაინტერესებთ? ინებეთ: ჩემთვის ქრისტიანია საკმაოდ კარგია.

ამ სიტყვების მერეც, რომელიც თითქოს საგანგებოდ ნაგელის ყურისთვის იყო ნათქვამი, იგი კვლავ უშფოთველად იჯდა; მხოლოდ ყურადღებით შეხედა ქალს, თითქოს ცდილობდა გაეგო, ნეტა რა ვაწყენინეო. ერთ წუთს, შეიძლება მეტხანსაც, მზერა არ მოუშორებია. თვალებს ჭუტავდა, ეტყობოდა, ღრმად ჩაფიქრებულიყო და სევდიანი სახე ჰქონდა.

ამ დროს ადიუნქტი ჩაერიათ საუბარში და გაცხარებულმა იკითხა ვინ თქვა, ქრისტიანია ბელგრადზე პატარაო. და საერთოდ, განაცხადა მან, ქრისტიანია არც ერთ საშუალო სიდიდის დედაქალაქს არ ჩამოუვარდება.

ყველამ გადაიხარხარა. ლოყებანთებული და ხმალივით შემართული ადიუნქტი, მართლაც, სასაცილო საყურებელი იყო. ყველაზე მეტს ტანმორჩილი,

ჩასუქებული ვეჭილი პანსენი იცინოდა. მელოტი თავი უბრიალებდა, თქროს ჩარჩოიანი სათვალე უხტოდა, მუხლზე ხელს იცემდა და ლამის დამხვრჩალიყო.

— საშუალო სიდიდის! საშუალო სიდიდის! — წამოიყვილებდა ხოლმე დროდადრო. — ქრისტიანია იმავე სიდიდის სხვა დედაქალაქებზე პატარა არ არის! იმავე სიდიდის!.. პატარა არ არის! ოჰ, ღმერთო ჩემო!.. თქვენ გაგიმარჯოთ!

ნაგელმა ისევ სტუდენტ ეიენტან გააბა საუბარი. დიან, ყმაწვილობაში ნაგელიც ძალიან გატაცებული იყო მუსიკით — განსაკუთრებით ვაგნერით, მაგრამ წლებმა თავისი გაიტანა. თუმცა, მხოლოდ ნოტების კითხვა ისწავლა და კიდევ რაღაც ხმებს აღებინებდა ინსტრუმენტს, ეგ იყო და ეგ.

— როიალზე უკრავდით? — შეეკითხა სტუდენტი.

თვითონ როიალზე უკრავდა.

— არა, ღმერთმა დამიფაროს! — ვიოლინოზე. მაგრამ, როგორც გითხარი, ბევრი ვერაფრით დავიტრაბახებდი და მალე ხელიც ჩავიჭნიე.

ნაგელს თვალში უნებურად ფრეკენ ანდერსენი მოხვდა. იგი კუთხეში ღუმელთან მოკალათებულიყო და აგერ, უკვე თხუთმეტი წუთის განმავლობაში რწმუნებულთან მასლაათობდა. უცბად, სულ ერთი წამით თვალებით ერთმანეთს წააწყდნენ, მაგრამ ქალი გაჩუმდა და სკამზე უხერხულად შეიშმუშნა.

დაგნი მოშორებით იჯდა და ხელისგულზე გაზეთს იცემდა. გრძელ, თეთრ თითებზე ბეჭდები არ ესხა. ნაგელი შეფარვით უჭვრეტდა. ღმერთო, რა ლამაზი იყო ამ საღამოს! ლამფის შუქი თავზე ადგებოდა და კედლის მუქ ფონზე ხშირი, ქერა თმა კადევ უფრო ბაცი მოუჩანდა. მართალია, როცა აი, ასე იჯდა, ცოტა სიმსუქნისკენ ეტყობოდა მიდრეკილება. მაგრამ ფეხზე წამოდგებოდა თუ არა, ეს შთაბეჭდილება მაშინვე ქარწყლდებოდა. მსუბუქად, კოხტად დაჰქონდა ტანი. გეგონებოდათ, მიწაზე ფეხს არ აკარებსო.

ნაგელი წამოდგა და მიეახლა.

ქალმა მუქი ლურჯი თვალები შეანათა და ნაგელს უნებურად წამოსცდა:

— ღმერთო, რა ლამაზი ხარო!

ასეთმა გულახდილობამ დაგნი საბოლოოდ დააბნია. რაღაცის თქმა სურდა, მაგრამ ვერ მოახერხა და ბოლოს ესლა წაიჩურჩულა:

— ცოტათი მაინც შეიკავეთ თავი!

მერე როიალთან მივიდა და ნოტები გადაფურცლა. ლოყებზე ცეცხლი ეკიდა.

ექიმს ერთი სული ჰქონდა, სანამ პოლიტიკაზე დაიწყებდა ლაპარაკს და უცბად მიმართა ნაგელს:

— წაიკითხეთ დღევანდელი გაზეთები? დალახვროს ეშმაკმა, „მორგენ-ბლადმა“ ბოლო ხანებში სულმთლად აიღო თავზე ხელი! ეს უკვე ქუჩური გინებაა და არა ცივილიზებული ხალხის ენა.

ექიმს არავინ შედავებია და ისიც გაჩუმდა. ვეჭილმა პანსენმა კარგად იცოდა, რაც სჭირდებოდა სახლის პატრონს და ამიტომ განგებ მშვიდად შენიშნა:

— სამართლიანობა მოითხოვს ვადიაროთ, რომ ორივე მხარეა დამნაშავე.

— ოჰო, ამასაც მოვესწარიო!.. — შესძახა ექიმმა და წამოხტა. — რაო, იქნებ, იმის თქმა გინდა, რომ...

ამ დროს სტუმრები სუფრასთან მიიწვიეს. საზოგადოება სასადილო ოთა-

ხისკენ გაემართა, მაგრამ ექიმი არ გაჩუმებულა და კამათი ვახშამზედაც გგრძელდა. ნაგელი, რომელიც დიასახლისისა და პოლიციის უფროსის ქალიშვილის — ფრეკენ ულსენის შუა იჯდა, კამათში არ ჩარეულა. როცა სუფრიდან წამოიშალნენ, ევროპის პოლიტიკაზე ლაპარაკი ჯერაც არ გათავებინათ. უკვე გამოეთქვათ აზრი მეფეზე, კონსტანზე, პარნელზე და ბოლშევიკებზე. როცა ბალკანურ საკითხზე დაიწყეს მსჯელობა, ადიუნქტმა დიდი ხნის შემდეგ ისევ სერბიას დაესხა თავს. სწორედ ახლახან წავიკითხე, რომ აუტანელი მდგომარეობაა და სკოლებიც მთლად ხელმიშვებული აქვთო...

— მაგრამ ერთი რამ კი ღრმა სიხარულით მავსებს, — თქვა ექიმმა და თვალი მოუწყლიანდა, — ის, რომ გლადსტონი ჯერაც ცოცხალია. ბატონებო, შევაფასოთ ჭიქები და შევსვათ ჭეშმარიტი დემოკრატიის, ჩვენი თანამედროვის და მომავლის კაცის, დიდი გლადსტონის სადღეგრძელო!

— მოითმინეთ, გეთაყვა, ჩვენც გვინდა შემოგიერთდეთ! — შესძახა ფრუ სტენერსონმა და ჭიქები შეავსო, თან მეტისმეტი გულმოდგინებისგან ღვინო დაღვარა. აკანკალებული ხელით ჩამოატარა ლანგარი და მანდილოსნებს სასმელი მიართვა.

ყველამ დალია.

— არა, მაშ, ყოჩაღი არ არის! — განაგრძო ექიმმა და ენა გააწყლაბუნა. — მართალია, ბოლო ხანებში ცოტა გაცივდა საცოდავი და ავიდ გახდა, მაგრამ იმედი ვიქონიოთ, რომ მალე გამომრთელდება. ახლანდელი პოლიტიკოსებიდან ისე არავინ დამენანებოდა დასაკარგავად, როგორც გლადსტონი. ღმერთო ჩემო, როცა ამ კაცზე ვფიქრობ, გიგანტური შუქურასავით მესახება ხოლმე თვალი, რომელიც მთელ მსოფლიოს უჩვენებს გზას... რა უგულისყუროდ იყურებით, ბატონო ნაგელ, თქვენ რა, ჩემს აზრს არ იზიარებთ?

— მაპატიეთ, რაზედა ბრძანებთ? მაგას რა ლაპარაკი უნდა, სავსებით გეთანხმებით.

— რა თქმა უნდა, ბისმარკსაც პატივს ვცემ, მაგრამ გლადსტონი...

ექიმს კვლავ არავინ შედავებია. ყველამ იცოდა, რომ სხვანაირად ვეღარ გააჩერებდნენ. ბოლოს საუბარი მთლად მიინავლა და ექიმი იძულებული იყო, დროის მოსაკლავად საზოგადოებისთვის ბანქოს თამაში შეეთავაზებინა. ვის უნდა თამაში? მაგრამ ამ დროს ფრუ სტენერსონმა ყველას გასაგონად დაიძახა:

— არა, ყველას უნდა მოგიყვეთ! იცით, რა მითხრა ეიენმა? თურმე ბატონი ნაგელი ყოველთვის ასეთი დიდი აზრის როდი ბრძანებულა გლადსტონზე, როგორც ახლაა. ერთხელ ეიენს, თუ არ ვცდები, მუშათა კავშირში მოუსმენია ბატონი ნაგელისთვის და, აი, იქ გლადსტონი მთლად გაუცამტვერებია. კარგი რამ კი ყოფილხართ, ბატონო ნაგელ, ვერაფერს იტყვი! ნუთუ მართალია? არა, არა, გაჩუმება არ გამოგივათ, გვიპასუხეთ, გვიპასუხეთ!

ფრუ სტენერსონმა ეს ყველაფერი გულკეთილი ღიმილით უთხრა, ხუმრობით თითქმის კი დაუქნია და კვლავ მოითხოვა, გამოტეხილად ეთქვა, მართალი იყო ეს თუ არა.

ნაგელი შეცბა და უპასუხა:

— გტყობა, რაღაც გაუგებრობაა.

— სულ მოსპეთ-მეთქი გლადსტონი, ამის მტკიცებას არ დავიწყებ, — თქვა სტუდენტმა ეიენმა, — მაგრამ მაგრად კი გაამაოთრახეთ. ისიც მახსოვს, რომ თქვით, გლადსტონი ფარისეველიაო.

— ფარისეველიო! გლადსტონია ფარისეველი? — შესძახა ეჭიმმა.

— თქვენ რა, მოვრალი იყავით?

ნაგელმა გაიცინა.

— არა, მოვრალი არ ვიყავი. თუმცა, იქნებ, ვიყავი კიდევ ~~მოვრალი~~ ^{ღმერთმანი}, არ მახსოვს, ალბათ, ვიყავი.

— ვფიცავ, სხვაგვარად არ იქნებოდა! — ზარ-ზეიმით ~~წამოძახა~~ ^{წამოძახა} ეჭიმმა.

ნაგელს ახსნა დაეზარა და საუბარს არ აყვა. მაშინ ~~დაწინა~~ ^{დაწინა} ~~ქელანმა~~ ^{ქელანმა} ფრუ სტენერსენს წასჩურჩულა:

— აიძულეთ ილაპარაკოს. მაგის მოსმენა ერთ რამედა ღირს.

— მაინც რა გქონდათ მაშინ მხედველობაში? ჰკითხა ფრუ სტენერსენმა. — ისე მკვანედ გაგვიკრიტიკებიათ, რომ ეტყობა, საკუთარი, სხვებისგან განსხვავებული აზრი გაქვთ მასზე. ძალიან გთხოვთ, გაგვაგებინოთ. ამით დიდ სიამოვნებაა მოგვანიჭებთ, თორემ ყველა ბანქოს ჩაუჯდება და ისეთი მოწყენილობა იქნება...

— რა გაეწყობა, თუ ეს გაგართობთ, მაშინ, რა თქმა უნდა, სხვა საქმეა. ბატონი ბრძანდებით.

რისი თქმა უნდოდა? ზაზი გაუსვა იმას, როგორ როლს თამაშობდა ამ საზოგადოებაში? ასე იყო თუ ისე, ტუჩი დამცინავმა ღიმილმა დაუბრია.

ნაგელმა იმით დაიწყო, რომ თქვა, არ მახსოვს, რომელ შემთხვევაზე ლაპარაკობს ეიენიო... ვინმე თქვენგანს თუ უნახავს გლადსტონი და თუ მოუხმენია როგორ გამოდიოდა სიტყვით? უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენს, როცა ტრიბუნაზე დგას: კეთილშობილებისა და სამართლიანობის განსახიერებაა. გეგონება, ყველა-ყველა და ეს კაცი რომ სუფთა სინდისის პატრონია, უეჭველიაო; აბა, ასეთი კაცი ცუდს როგორ ჩაიდენს, როგორ შეცოდებს ღვთის წინაშე! თვითონ ისე ღრმად სჯერა საკუთარი სათნოებისა, რომ იგივეს ელის მსმენელებშიაც. ეჭვიც არ ეპარება, რომ ყოველი მათგანი სათნოების ზატია...

— და განა ჩინებული თვისება არ არის? ეს მხოლოდ მის სამართლიან და ჰუმანურ ბუნებაზე მეტყველებს, — შეაწყვეტინა ეჭიმმა, — ამაზე უცნაური მსჯელობა თავის დღეში არ გამოიგია.

— ცამდე მართალი ხართ. მეც მხოლოდ იმიტომ ეთქვი, რომ ზაზი გამესვა იმ ჩინებული თვისებისთვის, რომელიც მის პიროვნებას ახასიათებს. ჰა-ჰა-ჰა! ახლა კი ერთ ამბავს მოგიყვებით, რომელიც ამ წუთში გამახსენდა. თუმცა მოყოლაც არ დამჭირდება, საკმარისი იქნება, თუ კერის გვარს დავასახელებ. არ ვიცი, ყველას გახსოვთ თუ არა, რომ მინისტრად-ქოფნისას გლადსტონი მოლაღატე კერის დასმენების გამოყენებას არ თაკილობდა. სიტყვამ მოიტანა და სწორედ გლადსტონმა უშველა კერის აფრიკაში გაქცევა, რომ ფენიების შურისძიებისგან ეხსნა. მაგრამ ახლა ეს არაფერ შუაშია, ეს სულ სხვა ამბავია. მართალი გითხრათ, არც მე მიმიქცევია ამ წვრილმანისთვის ყურადღება. ვინ იცის, რა ხრიკიანობის გამოჩენა აღარ უხდებათ ზოგჯერ მინისტრებს! ჯერ, სანამ ჩვენს ნათქვამს მივუბრუნდებოდეთ, უნდა ვაღიაროთ, რომ გლადსტონი ტრიბუნაზე სიტყვის თქმის დროს უმწიკვლო სინდისის პატრონია. აი, თქვენ რომ გლადსტონი ტრიბუნაზე განახიოთ, როცა სიტყვას ამბობს, თქვენს ყურადღებას მის გამომეტყველებაზე გავამახვილებდი. საკუთარი კრისტალური სინდისის გრძნობით ისეა გამსჭვალული, რომ იგი კიაფობს მის თვალეში, ედერს ხმაში, თავს იჩენს მიმოხვრაში. ოჰ, რა გაუთავებლად, რა დიდხანს მოლიკლიკებს

მისი სიტყვა! მჭევრმეტყველების ნაკადული ზომ არასოდეს ეშრატება! ერთი განახათ, რა მარჯვედ მოარგებს ხოლმე გასაღებს დარბაზში მჯდომ ყოველ კაცს. ერთი-ორი სიტყვა ბაყალს, ორიოდ კონს. ახლა რა ურყევად ეღერს ყოველი მისი სიტყვა, თითქოს თითოთი თითო კრონად აფასებდეს. მართლაც, თავშესაქცევი სეირია! გლადსტონი — შეუვალ უფროსადამცველი რაინდი, მხოლოდ იმისთვის იბრძვის, რაც უკვე დაპყრობილია. აზრად არასოდეს მოუვა ვინმეს შეცდომა აპატიოს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, როცა იცის, სიმართლე ჩემს მხარეზეაო, დაუნდობელი ხდება; ყველანაირად უსვამს ხაზს თავის პოზიციის სიმტკიცეს, ამას პირდაპირ ცხვირში ჩრის თავის მსმენელებს და არაფერს ითაკილებს, ოღონდ კი მოწინააღმდეგენი შეარცხვენოს. მისი მორალი ყველაზე საღი და ყველაზე ურყევეია. აბა, რა, იგი ზომ ქრისტიანობის, ჰუმანიზმისა და ცივილიზაციის სახელით გამოდის! მისთვის რომ ვინმეს რამდენიმე ათასი ფუნტი სტერლინგი შეეთავაზებინა, ოღონდ კი უდანაშაულოდ მსჯავრდადებული ქალი ეშაფოტისგან დაიხსენიო, მაშინვე გადაარჩენდა, აღშფოთებული უარყოფდა საზღაურს და ამ საქციელს დამსახურებადაც არ ჩაუთვლიდა თავს, არავითარ შემთხვევაში არ ჩაუთვლიდა, მორჩა და გათავდა! აი, რა კაცია! ეს დაუღალავი მებრძოლი ამ ჩვენს ცოდვილ დედამიწაზე მხოლოდ კეთილი საქმისთვის იღწვის და მუდამდღე მზადაა სიმართლიანობის, სიმართლისა და ღმერთისთვის იბრძოლოს. ახლა რა ომი აღარ მოუგია! ორჯერ ორი ოთხია, სიმართლემ გაიმარჯვა, იდიდოს, ღმერთო, შენი სახელი!.. თუმცა ორჯერ ორი ოთხია, რა არის, გლადსტონს უფრო მეტიც შეუძლია დაამტკიცოს; ერთხელ, როცა ბიუჯეტზე დაობდნენ, თავად მოვისმინე, როგორ ამტკიცებდა: — თუ ჩვიდმეტს ოცდასამზე გავამრავლებთ, სამას ოთხმოცდათერთმეტს მივიღებთო და ბრწყინვალე, ჭეშმარიტად უდიდესი გამარჯვებაც მოიპოვა; ისევ მართალი გამოდგა და ეს სიმართლე უციალებდა თვლებში, რეკავდა ხმაში და თვალშეუდგამს ხდიდა მის ფიგურას. აი, მაშინ აღვილიდან წამოვიწიე, რომ კარგად შემეთვალისწინებინა ეს კაცი. მესმოდა, რომ სიმართლე მის მხარეზე იყო, მაგრამ მაინც წამოვიწიე და აი, ვდგავარ და იმ სამას ოთხმოცდათერთმეტზე ვფიქრობ; რა თქმა უნდა, ვიცი, ჯამი სწორია, მაგრამ მაინც ვამბობ გულში: „არა, მოიცა, ჩვიდმეტჯერ ოცდასამი სამას ოთხმოცდაჩვიდმეტი იქნება!“ მშვენივრად ვიცი — სინამდვილეში სამას ოთხმოცდათერთმეტია, მაგრამ ყველას ჯიბრზე მაინც ჩემს სიტყვაზე ვდგავარ. ოთხმოცდაჩვიდმეტი-მეთქი, ვიმეორებ, მხოლოდ იმიტომ, რომ ამ კაცს, ამ პროფესიონალ სიმართლის დამცველს და მე, ერთი აზრი არ გვქონდეს. რაღაც ხმა ჩამძახის: „აღუდექი, აღუდექი ამ გაცვეთილ სიმართლეს!“ მეც, დაუძლეველი შინაგანი ძალით წაქეზებული, აღვუდექი და „ოთხმოცდაჩვიდმეტი“ დავიჩემე, რომ სიმართლეზე საკუთარი აზრი მქონოდა, რომ ამ კაცისთვის, რომელიც ასე ურყევად იდგა სიმართლის საგუშაგოზე, ნება არ მიმეცა, გაეიაფებინა, შეეგინებინა და დაემცირებინა იგი.

— ეშმაკმა წამიღოს, თუ ჩემს დღეში ამისთანა აბდაუბდა მომესმინოს! — შესძახა ექიმმა. — მაშ, იმიტომ ხართ აღშფოთებული, რომ გლადსტონი ყოველთვის მართალია?

ნაგვლმა გაიღიმა — მართლა თუ განზრახ, ვერ გაარჩევდი — და განაგრძო:

— სულაც არა. არც აღშფოთებული ვარ და არც სასოწარმკვეთია. რა თქმა უნდა, იმის იმედად ვერ ვიქნები, გამიგებთ-მეთქი, თუმცა სულ ერთია...

საქმე ისაა, რომ გლადსტონი სამართლისა და სიმართლის რაღაც მოხეტიალე ქადაგად იქცა და თავიც გაცვეთილი ჭეშმარიტებითა აქვს გამოტენილი. ორჯერ-ორი ოთხია, — მისთვის ეს ყველაზე დიდი ამქვეყნიური სიბრძნეა. ვინმეს შეუძლია უარყოს, რომ ორჯერ-ორი ოთხია? რა თქმა უნდა, არა. ამას მხოლოდ იმიტომ ვამბობ, რომ გლადსტონი, მართლაც, ყოველთვის მართალია. მაგრამ მთავარი ის არის, ისეთი ჩვეულებრივი ჭეშმარიტებით ვაქცევს, რომელიც ვერაფრით გვაოცებს, კიდევ ძალგვიძს აღვიქვათ საერთოდ ჭეშმარიტება? ხომ არ დავკარგეთ თანდათანობით ამის უნარი? აი, რა არის მთავარი... გლადსტონი კი მუდამ აბსოლუტურად მართალია, ისეთი უმწიკვლო სინდისი აქვს, რომ ფიქრადაც არ მოუვა თავიანი ნებით აიღოს ხელი კაცობრიობის ქველმოქმედებაზე. მუდამ გზაშია, იგი ყველგანაა, ყველას ყური გამოუჭედა თავისი ბრძნული შეგონებებით, იმდენი ირბინა ბირმინგემსა და გლაზგოს შორის, რომ სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულების მქონე საცობის მეფაბრიკე და ილბლიანი ვეჭილიც კი მოარიგა ერთმანეთში, თავგამოდებით იცავს თავის მრწამსს და ბებერ ერთგულ ფილტვებს აწამებს, რომ მისი ესოდენ ძვირფასი სიტყვებიდან ერთიც არ აცდეს ყურს. წარმოდგენის ბოლოს კი, მას მერე, რაც საზოგადოება აღფრთოვანებას გამოხატავს, ხოლო გლადსტონი თავს დაუკრავს, შინისკენ მიეშურება, წვება, გულზე ხელს დაიკრებს, ლოცულობს და ისე უღარდელად იძინებს, რომ ეჭვადაც არა აქვს, არცა სცხვენია, ბირმინგემი და გლაზგო რომ მოაპირთავა. არადა ახლა კაცმა რომ თქვას, რითი მოაპირთავა? მან მხოლოდ ერთი რამ იცის — ვალი მოიხადა კაცობრიობისა და საკუთარი თავის წინაშე და ამიტომ ნეტარი კაცის ძილით იძინებს. აბა, ცოდვით სულს როგორ დაიმძიმებს და თავს როგორ ეტყვის: „დღეს ისე კარგად ვერ გაართვი საქმეს თავი, გული გაუწყალე იმ ორ ფეიქარს, პირველ რიგში რომ იჯდა და ერთმა დაამთქნარა კიდევ“. დიახ, ამას გულშიც არ გაივლებს, რადგან დარწმუნებული არაა, რომ მართალია, ტყუილის თქმა კი არ ნებავეს, რადგან სიცრუე, დიდი ცოდვაა, გლადსტონს კი არ სურს შესცოდოს. აი, რას ეტყვის იგი თავს: „მომეჩვენა, თითქოს ერთმა კაცმა დაამთქნარა, საოცარია, მაგრამ ასე კი მომეჩვენა. თუმცა, ალბათ, შევცდი. ძნელი დასაჯებელია იქ ვინმეს დაემთქნარებინა“. ჰა-ჰა-ჰა!.. არ მახსოვს, ქრისტიანიაში ესა ვთქვი, თუ კიდევ სხვა რამ, ამას მნიშვნელობა არცა აქვს, ყოველ შემთხვევაში, გამოგიტყდებით, გლადსტონი ჩემთვის არასოდეს ყოფილა უმაღლესი სულიერი ავტორიტეტი.

— საბრალო, საბრალო გლადსტონი! — შესძახა რწმუნებულმა რეინერტმა. ნაგელს პასუხი არ გაუცია.

— არა, ქრისტიანიაში ეგ არ ვითქვამთ, — უთხრა სტუდენტმა ეიენმა, — თქვენ გლადსტონს თავს დაესხით ირლანდიელებთან და პარნელიუსთან მისი დამოკიდებულების გამო, და სხვათაშორის, შენიშნეთ, რომ სულაც არ მიგაჩნიათ დიდი ჭკუის კაცად. მშვენივრად მახსოვს, სწორედ ასე თქვით. და კიდევ — მას დიდი ძალა აქვს, იქნებ, სასარგებლოც, მაგრამ ფრიად ორდინარულიო...

— დიახ, მახსოვს, მახსოვს, და ამიტომ სიტყვაც ჩამომართვეს. ჰა-ჰა-ჰა! კეთილი, მაგაზედაც მოვაწერ ხელს. რატომაც არა, უარესი რაღა იქნება? მაგრამ გვედრებით, შემეწყალეთ!

მაშინ ექიმმა სტენერსონმა ჰკითხა:

— ერთი ეს მითხარით, თქვენ მემარჯვენე ხართ?

გაოცებულმა ნაგელმა შეხედა, მერე გადაიხარხარა და უთხრა:

— თქვენ როგორ გგონიათ?

ამ დროს ექიმის მისაღების კარზე ზარის ხმა გაისმა. ფრუ სტენერსენი ტახტიდან წამოხტა. რა თქმა უნდა, ასეც იცოდა, ახლა ექიმს, სამწუხაროდ, წასვლა მოუწევს, მაგრამ სტუმრებმა ფიქრადაც არ გაივლინ და მალევე, არავითარ შემთხვევაში, შუალამეზე აღრე არავის გაუშვებს. ფრუ სტენერსენი ახლავე თავის ადგილზე დაჯდეს, ანა ყავას მოხარშავს — ჯერ ხომ მხოლოდ ათი საათია.

— ბატონო რწმუნებულო, თქვენ არაფერს სვამთ!

არა, პირიქით — სხვებს არ ჩამოარჩება.

— შევთანხმდით. არავინ მიდის. ყველანი ჩემთან რჩებით. დაგნი, დღეს ასე ჩუმად რატომ ხარ?

არა, დღეს ჩვეულებრივზე მეტად არა დუმს.

ექიმი კაბინეტიდან სასტუმრო ოთახში შემობრუნდა. იძულებულია ბოდიში მოიხადოს, მაგრამ ვაი, რომ წასვლა მოუწევს: სერიოზული შემთხვევაა — სისხლის დენა. თუმცა, შორს არაა, ორ-სამ საათში მობრუნდება და იმედოვნებს, მთელი საზოგადოება ისევ აქ დახვდება. ნახვამდის! ნახვამდის, ეიეტა.

და ექიმი სწრაფად გავიდა. ერთი წუთის შემდეგ ყველამ დაინახა — ვილაც კაცის თანხლებით ლამის სირბილით მიეშურებოდა ნავსადგურისკენ.

— ახლა მოდით, რამე მოვიგონოთ... რომ იცოდეთ, როგორ მიჭირს ხანდახან მარტო დარჩენა, როცა ქმარი მიდის, განსაკუთრებით ზამთარში. რატომღაც ყოველთვის მეშინია: ვაითუ აღარ დაბრუნდეს-მეთქი.

— როგორც ვხედავ, შვილები არ გყავთ? — ჰკითხა ნაგელმა.

— დიახ, არ გვყავს... ახლა თანდათან ვეგუები ამ გაუთავებელ ღამეებს, მაგრამ პირველად პირდაპირ საშინელება იყო. გამოგიტყდებით, ხანდახან ისე შემეშინებოდა ხოლმე... სიბნელის მეშინია, თან ქმარზედაც ვწუხდი. რა ვქნა, სიბნელის მეშინია... ისეთი შიში ამიტანდა ხოლმე, რომ მოახლის ოთახში მივრბოდი და იქ ვწევბოდი... დაგნი, ახლა შენი ჯერია, რამე მოგვიყუევი. რაზე ჩაფიქრებულხარ? შენი ლეიტენანტი გენატრება?

დაგნი გაწითლდა, გაიცინა და უპასუხა:

— რა თქმა უნდა მენატრება. აბა, რა საკვირველია! შენ უმჯობესია იკითხო, რაზე ფიქრობს რწმუნებული რეინერტი, რომ ამ საღამოს კრინტიც არ დაუძრავს.

რწმუნებულმა იუარა: პირიქით, ძალიან საამური საუბარი ჰქონდა გაბმული ფრეკენ ულსენთან და ფრეკენ ანდერსენთან. გარდა ამისა, დიდი ყურადღებითა და ინტერესით უსმენდა, როგორ აყალიბებდნენ თავიანთ პოლიტიკურ მრწამსს სხვა სტუმრები. ერთი სიტყვით...

— ფრეკენ ჰელანის საქმრო ისევ ზღვაშია, — აუხსნა ნაგელს ფრუ სტენერსენმა. — იგი ფლოტის ოფიცერია და ახლა მისი გემი მალტაში მიდის, თუ არ ვცდები. მალტაში, არა?

— დიახ, — დაუდასტურა დაგნი.

— ფლოტის ოფიცრები სწრაფად ინიშნებიან, სამი კვირით ჩამოდიან ხოლმე შინ, მშობლებთან და აი, ერთ მშვენიერ დღეს... აჰ, რა ხალხია ბატონი ლეიტენანტები...

— ოღონდაც, რომ მამაცი ხალხია! — სიტყვა ჩამოართვა ნაგელმა, — მზე-

დაკრული ჭაბუკები, გულდია და გუნებაშეიარულნი. ფორმაც რომ თვალწარმტაცი აქვთ. ახლა რა მოხდენილად ატარებენ!.. აღფრთოვანებული ვარ ფლოტის ოფიცრებით.

ამ დროს ფრეკენ ჰელანი სტუდენტ ეიენს მიუბრუნდა და ღიმილით უთხრა:

— ბატონი ნაგელი ამას აქ ამბობს, მაგრამ რა თქვა ^{ნაგელმა} ~~ამ~~ ^{ნაგელმა} ~~ამ~~ ქრისტიანიაში?

ყველამ გადაიხარხარა, გვარიანად შემთვრალმა ვეჩილმა ჰანსენმა კი დაიყვირა:

— დიახ, დიახ, რას ამბობდა ამაზე ქრისტიანიაში? სწორედ ქრისტიანიაში! რა თქვა იქ ბატონმა ნაგელმა? ჰა-ჰა-ჰა! ღმერთო ჩემო! თქვენ გაგიმარჯოთ!

ნაგელმა ჭიქა მიუჭახუნა და დალია. მართლა, მართლა, იგი ყოველთვის აღტაცებული იყო ფლოტის ოფიცრებით. უფრო მეტიც, ღმერთს რომ ქალად გაეჩინა, ან ფლოტის ოფიცერზე დაინიშნებოდა, ან არადა შინაბერად დაჯდებოდა.

ისევ გადაიხარხარა ყველამ. აღფრთოვანებულმა ვეჩილმა, რაც მაგიდაზე ჭიქები იდგა, ყველას მიუჭახუნა და მარტომ გადაკრა. ამ დროს დაგნიმ თქვა:

— კი მაგრამ, აკი ამბობენ, ყველა ლეიტენანტი ცოტა გონებაჩლუნგიაო. გამოდის, თქვენ ასე არ ფიქრობთ?

რა სისულელეა! თუმცა ქალი რომ იყოს, ჰკვიან ქმარს მაინც ლამაზ ქმარს ამჯობინებდა. უეჭველად! მით უმეტეს, თუ ყმაწვილი ქალი იქნებოდა. ვის რაში არგია უტანო თავი? მართალია, შეიძლება თქვან, უთავო ტანი ვილას არგიაო, მაგრამ, ეშმაკმა წაიღოს, განსხვავება მაინც არის. შექსპირის მშობლებმა წერა-კითხვა არ იცოდნენ, თავად შექსპირიც არ იყო მაინცდამაინც ამ საქმეში გაწაფული, რასაც, სხვათა შორის, მისთვის ხელი არ შეუშლია, რომ ისტორიული პიროვნება გამხდარიყო. მოკლედ, რაც უნდა იყოს, ქალიშვილ ქალს უმაღლ მახინჯი მეცნიერი მოყირჭდება, ვიდრე ლამაზი სულელი. დიახ, თვითონ რომ ყმაწვილი ქალი იყოს და არჩევანზე მიდგეს საქმე, ულაპარაკოდ ლამაზ ჭაბუკს აირჩევდა. ხოლო იმას, თუ რა აზრისა იქნებოდა მისი ქმარი, ნორვეგიულ პოლიტიკაზე, ნიცშეს ფილოსოფიაზე და წმიდა სამებაზე, ისეთსავე ყურადღებას მიაქცევდა, როგორც შარშანდელ თოვლს.

— ნახეთ, აი, ეს ლეიტენანტია, ფრეკენ ჰელანის საქმრო, — უთხრა ფრუ სტენერსონმა და ნაგელს ალბომი გაუწოდა.

დაგნი წამოხტა:

— არა, არ გინდა! — წამოსცდა უცებ, მაგრამ მაშინვე შეიკავა თავი და დაჯდა. — ცუდი სურათია, — ცოტა ხნის შემდეგ თქვა მან, — სინამდვილეში გაცილებით უკეთესია.

ნაგელმა სურათზე წვერშეკრეჭილი, ლამაზი ჭაბუკი დაინახა. თუმცა ხალვათად მისჯდომოდა მაგიდას, მაინც თვალში მოგხვდებოდათ, როგორ სანაქებოდ იყო ბეჭდამართული, ხელი ხმლის ვადაზე დაედო, ოდნავ შეთხელებული თმა შუაზე ჰქონდა გაყოფილი და საერთოდ ჩნგლისელს უფრო ჩამოჰგავდა.

— დიახ, მართალია, — დაუდასტურა ფრუ სტენერსონმა, — სინამდვილეში გაცილებით ლამაზია. გათხოვებამდე მე თვითონ ცოტათი შეყვარებული ვიყავი მასზე, მაგრამ ახლა ერთი ამ ყმაწვილს დახედეთ, გვერდით რომ უზის. ეს ახალგაზრდა თეოლოგია, გვარად კარლსენი. ახლახან დაიღუპა, სულ რამ-

დენიმე დღის უკან. ისეთი სევდიანი ამბავია. რა ბრძანეთ? დიახ, დიახ, გუშინ-წინ დავკრძალებო.

სურათიდან ნაგელს ავადმყოფური სახის, ლოყებჩაცვენილი ჭაბუკი უმზერდა. თხელი ტუჩები ისე მაგრად მოეკუმა, დახატულს უგავდა. შავი, დიდი თვალები, საოცრად მაღალი და ნათელი შუბლი, მაგრამ უჩვეულოდ მკერდი და ქალივით ვიწრო მხრები ჰქონდა.

აი, თურმე როგორი იყო კარლსენი. ნაგელმა გაიფიქრა, რომ ამ სახეს საოცრად უხდებოდა თეოლოგია და თხელი მკვდრისფერი ხელები. ის იყო უნდა ეთქვა, ჭაბუკს სახეზე განწირულების ბეჭედი აზისო, შენიშნა, რწმუნებული დაგნის მიუჭდა და გაცხოველებული საუბარი გაუბა. ნაგელი გაჩუმდა, რომ ხელი არ შეეშალა მათთვის და ალბომის ფურცელა დაიწყო.

— რადგან ბრალი დამდეთ, მთელ საღამოს სიტყვა არ გითქვამთო, — უთხრა რწმუნებულმა, — ნება მომეცით, ერთი შემთხვევა გიამბოთ, რომელიც იმპერატორის ბოლო ვიზიტის დროს მოხდა. ნამდვილი ამბავია და სწორედ ახლახან გამახსენდა.

დაგნიმ შეაწყვეტინა და ხმადაბლა ჰკითხა:

— რას სჩადიოდით მთელი საღამო, აგერ, იქ, კუთხეში? სჯობს ამაზე გაცეთ პასუხი. იმიტომ გისაყვედურეთ, ჩუმად ხართ-მეთქი, რომ შემეჩერებინეთ. თქვენ, რა თქმა უნდა, იჯექით და ენამწარობდით. მე ყველაფერს ვხედავდი. არ არის კარგი, რომ ყველას ბაძავთ და დასცინით. მართალია, პოზიორია, ერთთავად ნექზე წამოცმულ რკინის ბეჭედს ეფოფინება, ხან ხელს ასწევს და ყურებით სტკბება, ხან წმენდს, მაგრამ შეიძლება ამას უნებურად, ფიქრში გართული აკეთებდეს. ყოველ შემთხვევაში, არც ისე სასაცილოა, როგორც თქვენ გამოაჯაერეთ. თუმცა, ისე მედიდურად უჭირავს თავი, მაგაზე ახია! მაგრამ შენ, გუდრუნ, ძალიან აშკარად კისკისებდი. ვშიშობ შეამჩნია, რომ დასცინოდი.

გუდრუნი დაგნისთან მივიდა, თავი იმართლა და ირწმუნებოდა — ყველაფერი რწმუნებულის ბრალია, ისე სასაცილოდ აჯაერებდა ნაგელს, რომ თავის შეკავება შეუძლებელი იყო. ახლა რა კილოთი განაცხადა: „გლადსტონის სილიადე მე — მე — არასოდეს მიზიდავდა...“

— ჩუ, ცოტა ჩუმად, გუდრუნ, გაიგონა. დიახ, დიახ, გაიგონა, მოიხედა კიდეც. შენ ეს მითხარი, თუ შეამჩნიე... სიტყვა როცა გააწყვეტინეს, არ გაბრაზებულა, რაღაც სევდიანადაც კი გვიყურებდა. იცი, სინდისიც კი მქეჯნის, რომ ვზივართ და მასზე ვჭორაობთ. აბა, რაც არის, არის! სჯობს, იმპერატორის ვიზიტზე გვიამბოთ.

რწმუნებულმაც დაიწყო და რადგან საჩუმათო არაფერი ხდებოდა, სავსებით უცოდველი ამბავი იყო ქალსა და თაიგულზე, სულ უფრო და უფრო უწევდა ხმას და ბოლოს მთელი საზოგადოების ყურადღება მიიქცია. ყვებოდა ძალიან გულმოდგინედ, ძალიან დაწვრილებით და მის მონაყოლს ბოლო აღარ უჩანდა. როცა, როგორც იქნა, გაათავა, ფრეკენ ანდერსენმა იკითხა:

— ბატონო ნაგელ, გახსოვთ, გუშინ საღამოს ამღერებულ გემზე რომ მოგვიყევით?..

ნაგელმა უცბად დახურა ალბომი და ირგვლივ დაბნეულად მოავლო თვალი. კომედიას თამაშობდა, თუ მართლა რაღაცის შეეშინდა? ნაგელმა წყნარად მიუგო: შეიძლება ზოგიერთი დეტალი მთლად ზუსტად ვერ გადმოსცა,

მაგრამ ეს ამბავი არ მოუგონია და მართლა გადახდა თავს ხმელთაშუა ზღვაში.

— უფალო შემიწყალე, მაგაში ეჭვიც არ მეპარება, ბატონო ნაგელმა, ღიმილით შეაწყვეტინა ქალმა, — მაგრამ თუ გახსოვთ, რა მიპასუხეთ, როცა აღფრთოვანება გამოვთქვი? თქვენ თქვით, რომ მხოლოდ ერთხელ ჩემს მშვენიერ უფრო მშვენიერი სიმღერა და ისიც ძილში.

— დიახ, მახსოვს, — თავი დაუქნია ნაგელმა.

— იქნებ, მოგვითხროთ ეგ სიზმარი? გთხოვთ. თქვენ ისე საოცრად ყვე-
ბით. ყველანი ძალიან გთხოვთ.

მაგრამ ნაგელმა იუარა. ბოდიშს იხდის, მაგრამ ამ სიზმრის მოყოლა შეუ-
ძლებელია. მას არც თავი აქვს, არც ბოლო და მხოლოდ სიზმარში წამიერად
გაელვებული ხატიაო. არა, არა, ამის გადმოცემა სიტყვებით შეუძლებელია.
ალბათ, ყველას განუცდია თითქმის მოუხელთებელი გრძნობა, რომელიც წამიე-
რად განმსჭვალავს ხოლმე მთელ არსებას და ანაზღუფლად ქრება. როგორი
უაზრო იყო ეს სიზმარი, იქიდანაც ჩანს, რომ ყველაფერი თეთრ ტყეში ხდე-
ბოდა და ტყეში ვერცხლის ხეები იდგა.

ვერცხლის? ვერცხლის ტყე იყო? შერე რა მოხდა?

— არა, — ნაგელმა თავი გააქნია.

სიანოვნებით აუსრულებს ყველა სურვილს ფრეკენ ანდერსენს, დაე, გა-
მოსცადოს, მაგრამ ამ სიზმრის მოყოლა მის ძალას აღემატება და უნდა ერ-
წმუნოს.

— მაშინ სხვა რამ გვიაზებთ, ყველა გთხოვთ.

არა, არ გამოუვა. დღეს არ გამოუვა. ბოდიშს იხდის.

ერთმანეთს კიდევ ორიოდ ლიტონი სიტყვა უთხრეს, რაღაც უმნიშვნელო
კითხვს და უპასუხეს. — სრული სისულელე, რომ უფეროდ დაგნიმ პკითხა:

— თქვენ თქვით, ფრეკენ ანდერსენს ყველაფერს ავუსრულებო. მაინც
რას?

ყველამ გაიცინა და დაგნიც აპყვა. ცოტა ხნის დუმილის შემდეგ ნაგელმა
მიუგო:

— აი, თქვენი გულისთვის ძალიან ცუდი საქმე შემიძლია ჩავიდინო.

— ძალიან ცუდი? მაინც რა? მაგალითად, ვინმეს მოკლავდით?

— თუნდაც ეგ იყოს. შემიძლია ესკიმოსი მოგვლა და მისი ტყავეისგან ბი-
უვაკი გაგიკეთოთ.

— რა საშინელებაა! ფრეკენ ანდერსენის გულისთვის რაღას იზამდით?
რაღაც წარმოუდგენლად მშვენიერს?

— დიახ, ალბათ. ზუსტად არ ვიცი. *A propos* ესკიმოსზე სადღაც წავიკით-
ხე. თორემ, ვინ იცის, იქნებ იფიქროთ, მე მოვიგონე.
დუმილია.

— რა კარგები ხართ, — თქვა ნაგელმა, — სულ იმას ცდილობთ, ყურად-
ღება არ მომაკლდეს, სიანოვნებით ისმენთ ჩემს ლაყბობას. და ასე მხოლოდ
იმიტომ იქცევით, რომ ჩამოსული ვარ.

ვექილმა მალულად დახედა საათს.

— მხედველობაში იქონიეთ, — განაცხადა ფრუ სტენერსენმა, — სანამ
ჩემი ქმარი არ დაბრუნდება, ფეხს ვერაფერს გაადგამს. ეს სასტიკად აკრძალუ-
ლია. თლონდ ნუ წახეილთ და რაც გინდათ, პქენით.

ყავა შემოიტანეს და საზოგადოება თვალში საცემად გამხიარულდა. ჩა-

სუბიექტული ვეჭილი, რომელიც ამ ხნის განმავლობაში სულ რაღაცაზე ეკამათებოდა სტუდენტს, ანაზღად მსუბუქად წამოხტა, რომ იტყვიან, ჩიტყვით წამოფრინდა და ტაში დაჰკრა, სტუდენტი კი როიალთან მივიდა და ხელის გასა-ვარჯიშებლად რამდენიმე აკორდი აიღო.

— პო, მართლა! — წამოიძახა დიასახლისმა, — როგორ დაგვავეწყდა, რომ უკრავთ! კეთილ ინებეთ და გაისარჩეთ. საუცხოოა!

უარს არც ამბობს, მხოლოდ მისი რეპერტუარი, სამწუხაროდ, ღარიბია. თუ საზოგადოებას შოპენის ანდა ლანერის ვალსის საწინააღმდეგო არაფერი აქვს, სიამოვნებით...

ნაგელმა მხურვალედ დაუკრა ტაში პიანისტს.

— როცა ამგვარ მუსიკას ისმენ, — უთხრა დაგნის და მისკენ გადიხარა, — გინდა საკრავიდან მოშორებით, მაგალითად, მეორე ოთახში გახვიდე და ხელიხელჩაკიდებული იჯდე სატრფოსთან ერთად. ხომ მართალია? არ ვიცი რატომ, მაგრამ ყოველთვის ასე წარმომიდგება ხოლმე.

დაგნიმ ყურადღებით შეხედა. რაო, ნუთუ მართლა ამბობს? მაგრამ ნაგელის სახეზე ირონიის კვალიც არ ჩანდა და თვითონაც იგივე ბანალური სიტყვებით მიუგო:

— ოღონდ სინათლე ოდნავ უნდა ანათებდეს, არა? სავარძლები დაბალი და რბილი იყოს, თანაც გარეთ უნდა ბნელოდეს და წვიმა მოდიოდეს.

ამ საღამოს დაგნი საოცრად ტურფა იყო. ნათელ სახეზე მოკიაფე მუქ ლურჯ თვალებს არ შეიძლებოდა კაცის გული არ შეეძრა. ქალი, თუმცა კბილები თეთრად უელავსო ვერ იტყოდი, სულ უბრალო რამეზეც კი ბევრს და სიამოვნებით იცინოდა. ბავშვივით აბურცული ბაგე სიწითლით უმაღლეს თვალს იტაცებდა. მაგრამ ყველაზე საოცარი მაინც ის იყო, რომ, როცა კი ლაპარაკს იწყებდა, სახე წამიერად შეეფაკლებოდა ხოლმე.

— არა, როგორ მოგწონთ? — შესძახა ექიმის ცოლმა. — ადიუნქტი მაინც გაიპარა. თუმცა, რა გამიკვირდეს, როდის იყო, მაგის ნდობა შეიძლებოდა? არასოდეს ღალატობს თავს. ბატონო რწმუნებულს, იმედი მაქვს, სანამ წახვიდოდეთ, თქვენ მაინც მისურვებთ ღამე მშვიდობისას.

ადიუნქტი, როგორც იცოდა ხოლმე, ჩუმად გაიპარა სამზარეულოში და უკანა კარი გასხლტა. დაღევის მერე თავს ცუდათ გრძნობდა, გაფითრებულიყო და ეძინებოდა. უკან აღარ დაბრუნებულა. ნაგელმა რომ გაიგო, ადიუნქტი წავიდაო, სულმთლად შეიცვალა. გულში გაივლო: ახლა კი, ალბათ, გავბედავ და დაგნის ადიუნქტის მაგივრად გაცილებას შევთავაზებო. სთხოვა კიდევ მაშინვე, ხოლო თვალებით, სახით, მორჩილად დახრილი თავით ევედრებოდა უარი არ ეთქვა:

— ძალიან, ძალიან კარგად მოვიქცევი, — დასძინა ბოლოს.

დაგნიმ გადაიკისკისა და უპასუხა:

— კეთილი. რადგან მაგას მპირდებით, მადლობა მომიხსენებია, თანახმა ვარ.

ნაგელი ახლა ექიმის მოსვლას უნდა დალოდებოდა და მერე წასვლაც შეიძლებოდა. წინასწარ ტკბებოდა ტყეში გასეირნებით. ამიტომ კიდევ უფრო გახალისდა, მხარი აუბა ყოველგვარ საუბარს, სუყველა აცინა და საერთოდ არაჩვეულებრივად თავაზიანი გახდა. ბედნიერი და აღფრთოვანებული, მაშინვე შეპირდა ფრუ სტენერსენს, თქვენ ბალს მივხედავო — რაც არ უნდა იყოს, მაინც სპეციალისტია — და ნიადაგის გამოკვლევაც კი იკისრა ბალის იმ ნაწილში, სადაც წითელი მოცხარის ბუჩქები რატომღაც ხმებოდა. დიახ, დიახ, იგი აუცილებლად მოსპობს იმ ჭიას, ფოთლებს რომ ჭამს, თუნდაც ამისთვის შელოცვაც დასჭირდეს.

რამ, მაშ ჯაღოქრობაც სცოდნია?

მოცალეობის ქამს ყველაფერში სცადა თავი, ცოტ-ცოტა ჯაღოქრობაც იცის. აი მაგალითად, ეს ბეჭედი, ხელზე რომ უკეთია, ერთი უსახური, რკინის ბეჭედი, სამაგიეროდ, მაგიური ძალა აქვს. მაგრამ შესახედავად არ იტყვის, რომ ასეთია.

შემთხვევით, ეს ბეჭედი ღამის ათ საათზე რომ დაეკარგოს, თუ შეუძლებელია ვერ იპოვა, საზარელი უბედურება დაატყდება თავს. ბეჭედი რომ მოხუცმა ბერძენმა, პირველმა გაქარმა მისცა, რომელსაც ერთ დროს თავისი გაუწია სამსახური. გარდა ამისა, ბეჭედში საერთოდ ერთი საპალნე თამბაქო მისცა.

მართლა სჯერა რომ ბეჭედი მაგიურია?

ცოტა სჯერა. მართალს ამბობს. ერთხელ განკურნა კიდევ. დიახ, ასეთი რამეც მოხდა.

ზღვის მხრიდან ძაღლის ყეფა მოესმათ. ფრუ სტენერსენმა საათს დახედა. დიახ, ეტყობა ექიმი ბრუნდება, ეს მათი ძაღლი ყეფს. რა კარგად გამოვიდა, ჯერ ხომ მხოლოდ თორმეტი საათია! მან დარეკა და ბრძანა, ყავა შემოეტანათ.

— მაშ, ეგ ბეჭედი უბრალო არ არის, ბატონო ნაგელ? თქვენ მტკიცედა ხართ დარწმუნებული, რომ მაგიურია? — ჰკითხა ქალმა.

დიახ, ასე თუ ისე მტკიცედა სწამს. საქმე ის არის, რომ საფუძვლიანი მიზეზი აქვს, მაინცდამაინც ეჭვი არ ეპარებოდეს მის ძალაში. ბოლოს და ბოლოს განა სულერთი არ არის რისი გწამს, თუ შენ თვითონ გულში ღრმად გწამს, რომ ნამდვილად ასეა და არა სხვაგვარად. ბეჭედმა იგი ნევროზისგან განკურნა, ძლიერი და ჯანსაღი გახადა.

ფრუ სტენერსენმა ჯერ გაიცინა, მერე კი ცხარედ შეედავა. არა, ნამდვილად ვერ იტანს, როცა ასეთ აზღაუბრას ისმენს, — ბოდიშს იხდის, მაგრამ სხვა სახელს ვერ დაარქმევს, — საერთოდ დარწმუნებულია, რომ თავად ბატონ ნაგელს არ სჯერა თავისი ნათქვამის. აბა, მდაბიო ხალხს რაღა მოეკითხება, თუ ამას განათლებული კაცი იტყვის? ასე, ვინ იცის, სადამდე მივალთ! მაშინ ექიმებმა გულა-ნაბადი უნდა აიკრან, ისე გამოდის.

ნაგელი თავს იცავდა. ბოლოს და ბოლოს შეიძლება ერთმაც უშველოს ადამიანს და მეორემაც. ყველაფერი ხომ მაინც ავადმყოფის ნებისყოფაზე, მის რწმენასა და ბუნებაზეა დამოკიდებული. არა, გულა-ნაბადი რატომ უნდა აიკრან, ექიმებს თავიანთი მიმდევრები, საკუთარი მრევლი ჰყავთ: მათთან განათლებული ხალხი მიდის. განათლებული ხალხი წამლებით მკურნალობს, ცრუმორწმუნე მდაბიონი კი სენს რკინის ბეჭდებით, ადამიანის დამწვარი ძვლებითა და საფლავის მიწით უმკლავდებიან. განა ცოტაა იმის მაგალითი, როცა ავადმყოფი ერთ ჭიქა სუფთა წყალს განუკურნია, განუკურნია იმიტომ, რომ ჩააგონეს, თითქოს საოცარი ძალის წამალი მისცეს. ახლა რა მონაცემები გვაქვს, თუნდაც მორფინისტებზე? ამ დროს კაცი ისეთ საოცარ მოვლენათა წინაშე დგება, რომ თუ დოქტორინერი არ არის, ეშმაკეულს ირწმუნებს და სამედიცინო მეცნიერების ავტორიტეტში ეჭვს შეიტანს. ოღონდ მის სიტყვებს ისე ნუ გაიგებენ, თითქოს ამ საკითხში კომპეტენტურად თვლიდეს თავს, იგი ხომ სპეციალისტი არ არის და მედიცინისაც არაფერი ესმის. თავი და თავი კი ის არის, რომ სულ არ უნდა ახლა ვინმეს გუნება გაუფუჭოს. დაე, ფრუ სტენერსენმა და სხვებმაც მიუტევონ.

იგი წამდაუწუმ საათზე იხედებოდა და უკვე სეროუქს იკრავდა.

შუა საუბარში იყვნენ, როცა სასტუმრო ოთახში ექიმი შემოვიდა. გაღიზიანებული იყო და ცუდ გუნებაზე იდგა. სტუმრებს ნაძალადევი ხალხით მიესალმა და მადლობა გადაუხადა, რომ ჯერაც არ დაშლილიყვნენ. ადიუნქტაუ ლაპარაკიც არ ღირს, რაც მთავარია, დანარჩენები აქ არიან! დიახ, ძნელია ამქვეყნად ცხოვრება, ყველაფერი კბილით უნდა გაიტანო...

და როგორც იცოდა ხოლმე, მოყვა, რა შეემთხვა ავადმყოფთან. ცუდ გუ-

ნებაზე იმითომ დგას. რომ პაციენტებმა საბოლოოდ გაუცრუეს იმედი. არა, ამას თავადაც არ ელოდა — ნამდვილი სულელებივით, ნამდვილი ვირებივით ირჯებოდნენ. მისი ნება რომ იყოს, ყველას ციხეში უკრავდა თავს. უნდა გენახათ ერთი, რა თქმა უნდა! წარმოიდგინეთ, ცოლი ავად, სიმამრი და ვაჟიც ავად არიან. ოთახში სიმყრალისაგან სულს ვერ მოიხიქვამ! მიუხედავად ამისა, დანარჩენები ისე არიან, უკეთესს ვერ იხატებ, ყველას დასაწყისი ლოყები აქვს, ბავშვები ხომ ავ თვალს არ ენახებებიან. მთავარი სიტყვაა, მიუწვდომელია! არა, ნამდვილად ვეღარაფერი გაუგია! წევს ბერიკაცი, დიასახლისის მამა და აი, ასეთი უზარმაზარი ღია ჭრილობა აქვს, ეს ამბავი რომ დამართნია, ვილაღ შემლოცველ დედაბერთან უფრენიათ კაცი და იმ დედაბერს, მართლაც, შეუჩერებია სისხლის დენა; კი, ბატონო, რაც მართალია მართალია! მაგრამ აღარ იკითხავთ, როგორ? აღმაშფოთებელი ამბავია, ავკაცობაა! ენა ვერ იტყვის ისე ყარს ჭრილობა, კაცი შეიძლება დაიხრჩო. რაც მთავარია, მოხედვას ვერ მოასწრებ და განგრენა დაიწყება! ამ საღამოს მე რომ არ მივსულიყავი, უფალმა უწყის, რა მოუვიდოდა ბერიკაცს! არა, მართლა აუცილებელია, ლაგამი ამოვდოთ და გაცილებით მკაცრი კანონი შემოვიღოთ ექიმბაშების წინააღმდეგ... კეთილი, ასე იყო თუ ისე, სისხლის დენა შევუჩერე. ამ დროს შემობრძანდა დიასახლისის ვაჟი, მოზრდილი, აყლაყუდა ბიჭი, ამასწინათ სახეზე ეგზემა ჰქონდა მოღებული და მაშინვე მივეცი ორი მალამო; თან გარკვევით ავუხსენი: „მუწუკებზე ჯერ ყვითელი მალამო წაისუ და ერთი საათის მერე მოიწმინდე, ერთი საათის მერე, გაიგე? შემდეგ კი თეთრი — თუთიის მალამო წაისვი და დილაამდენუ მოიწმინდე“. მგონი, ყველაფერი გასაგებად ვუთხარი. ახლა არ იკითხავთ, რას შვრება? რა თქმა უნდა, ყველაფერი აურიია. თეთრ მალამოს ერთი საათით ისვამს, ყვითელს კი, რომელიც საშინლად წვავს — მთელი დღე-ღამით და ამ წამებას ორ კვირას უძლებს! მაგრამ ყველაზე საოცრება ის არის. რომ განიკურნა, მიუხედავად ასეთი სიბრყვითისა! დიან, თითქოს ეგზემა არცა ჰქონია! აღამიანი კი არა — ხარია, კამეჩია. მაგისტანას გინდ უმკურნალე, გინდ არა, მაინც გამომრთელდება! დღეს გავსინჯე ის ბეყვირათი და სახეზე ეგზემის კვალიც ვერ ვუნახე. როგორც ამბობენ, სულელებს ბედი სწყალობთ! კაცმა ასე შეიძლება თავი დაიმახინჯო, მაგრამ იმას რა, თითქოს ბუზიც არ აფრენია... ჰო, იმ დოცლაპიას დედაც ავად: გამოფიტვა, სრული უღონობა, თავბრუს ხვევა, ნევროზი, ყურების შუილი, უმადობა. აბაზანები-მეთქი, — ვეუბნები, — აბაზანები და წყლის გადავლება. ეშმაკმა წაგიღოთ, ნუ გენანებათ წყალი! გარდა ამისა, დაკალოთ დეკეული, ცოტა ხორცი შეჭამეთ, გააღეთ ფანჯარა, შემოუშვით სუფთა ჰაერი, თქვენც ხშირად გადით გარეთ, აი, ეგ იუჰან არენდტეს ქადაგების წიგნი კი ლუმელში შეუძახეთ-მეთქი, და ასე შემდეგ. „მაგრამ მთავარია — აბაზანები და წყლის გადავლება, ისევ და ისევ აბაზანები, უამისოდ ჩემი წამლები ვერ გიშველით“. დეკეულის თავი არ ჰქონდათ, რა გაეწყობა, შეიძლება ასეც იყო. აბაზანის მიღება კი გაბედა; დაიბანა, ცოტა ჭუჭყი ჩამოირეცხა, სამაგიეროდ, ისე გაითოშა, რომ შეამცივნა და სისუფთავისაგან სულ კბილს კბილზე აცემინებდა. და, რა თქმა უნდა, ამის შემდეგ წყალზე უარი თქვა! თურმე სისუფთავის ატანის თავი აღარა აქვს! იცით, რა ხდება მერე? საღდაც მოულობს რაღაც განსაკუთრებულ ძეწკვს მაგნიტური ჯვრით, თუ რა ვიცი, რას ეძახიან ამგვარ რამეებს, რომელიც სახსრების ტეხას შველის და ყელზე იკიდებს. ვთხოვე, ძეწკვი მაჩვენე-მეთქი. ვხედავ, ჩვეულებრივი თუთიის ფურცელი, კიდევ რაღაც ნაჭერი, ორი მოზრდილი და ორი მომცროსი კაუჭია, სულ ეს არის. რა ეშმაკად გინდათ ეგ საძაგლობა-მეთქი, ვეკითხები. თურმე, ნუ იტყვით, უკვე მიუცია შვება, მართლა უკეთ გრძნობს თავს, თავის ტკივილმაც გაცილებით უკლო და ტანიც რაღაცნაირად შეუთბა. აბა, რას იტყვით? მე რომ ნაფოტი ამელო, დამეფუტრებინა და მიმეცა, ღმერთმანი, ისიც ზუსტად ასევე უშველიდა. მაგრამ, აბა, სცადე და უთხარი! ახლავე გადაადგეთ ეს საძაგლობა, თორემ თქვენს მკურნალობაზე ბელს ავიღებ, უბრალოდ ზედ აღარ დაგხედავთ-მეთქი, და რა გგონიათ, რა ენა? მაგრამ ჩაბლუჯა თავისი ფირფიტა, გამოდის, მე უნდა მოვუსვა! ჰა-ჰა-ჰა, სხვა რა

გზა მაქვს, უნდა მოვუსვია! ღმერთო ჩემო, აი, სადამდე მივიდა! არა, ექიმი კი არა, ექიმბაში უნდა იყო.

ექიმი ვერა და ვერ დამშვიდებულა, მაგრამ მაინც ჯდება და ყავას სვამს. მისი ცოლი ნაგელს გადახედავს და სიცილით ამბობს:

— აი, ბატონი ნაგელიც ზუსტად იმ ქალივით მოიქცეოდა. შენს მოსვლამდე სწორედ მაგაზე ვსაუბრობდით. ბატონ ნაგელს შენი მეცნიერებების შესახებ სწამს.

— ოჰო, მაშ, არ სწამს? — დამცინავად კითხულობს ექიმი. — რა გეწყობა! ბატონ ნაგელს უფლება აქვს, როგორც უნდა ისე იფიქროს.

გაბრაზებული, შეურაცხყოფილი ექიმი, განაწყენებული საშინელ პაციენტებზე, რომლებიც მის რჩევას ყურად არ იღებენ, ჩუმად სვამდა ყავას. ისიც აღიზიანებდა, ყველა რომ ირგვლივ შემოსხდომოდა და შესცქეროდა, „რალაქ ქენით, გაინძერით“, — თქვა მან. ყავამ მხნეობა დაუბრუნა, დაგნის გამოელაპარაკა, გაეცინა მენავეზე, მის წასაყვანად რომ გამოგზავნეს, მაგრამ მერე კვლავ გაიხსენა ის ნაირ-ნაირი უსიამოვნებანი, რომლებიც ექიმს ყოველ ნაბიჯზე ხვდებოდა და ისევ გაფიცდა. არა, მაინც რა სულელურია იმ მაღამოების ამბავი, პირდაპირ ვერაფრით ამოუგდია თავიდან. ცრუმორწმუნეობასა და უბირობას ირგვლივ საზღვარი არა აქვს. ყველაფერი ერთი ერთმანეთს ემატება. ადამიანები კი არა, სახედრები არიან. საერთოდ ხალხში საშინელი უვიცობა და სიბნელე მეფობს!

— ჰო, მაგრამ ის ჭაბუკი რომ მაინც გამომრთელდა?

ექიმი მზად იყო ამ სიტყვებისათვის პირდაპირ გაეგლიჯა დაგნი. გაცეცხლებული გაიმართა წელში. დიახ, გამომრთელდა, მართალია. მერედა რაო, ამის გამო ხალხის უბირობას და გონებადახშულობას არაფერი დაკლებია. დიახ, ის ჭაბუკი გამომრთელდა, მართალია, გამომრთელდა, მაგრამ სახე რომ მთლად დასწვოდა, მაშინ? აბა, რა აზრი აქვს იმ ვირის წასარჩლებას?

ექიმს ყველაზე მეტად ის აცოფებდა, რომ, თუმცა გლეხუჭამ ყველაფერი აურია, მაინც გამომრთელდა, და ახლა შეურაცხყოფილს, მუდამ წყნარი თვალები ავად უელავდა სათვალეში.

სანამ ყავას ზედ მაგარი ტოდიც არ დააყოლა გული ვერ დაიმშვიდა, რომ თუთიის ფირფიტაზე გაცვალეს და ასე გააწბილეს. მერე უცბად თქვა:

— ჰო, მართლა, იეტა, იმ მენავეს, ჩემს წასაყვანად რომ მოვიდა, ხუთი კრონი მივეცი. ჰა-ჰა-ჰა, რა კარგი ვინმეა, ჩემს დღეში ამისთანა არავინ მინახავს, ტანზე ისეთი ძონძმანძი აცვია, უკანალი უჩანს, სამაგიეროდ, დევივით ღონიერია და თანაც, რომ იცოდე, რა უდარდელია! ნამდვილი ქაჯია! მთელი გზა მღეროდა. დარწმუნებულია, თუ ეტიფელდია მწვერვალზე აძვრება, ანკესით ცას მისწვდება. ოღონდ თითის წვერებზე უნდა შედგეთ-მეთქი. აი, ეგ კი ვეღარ მოვიფიქრეო. ჩემი ნათქვამი სრულიად სერიოზულად მიიღო და ფიცი-მტკიცი დაიწყო, ჩემზე უკეთ თითის წვერებზე ვერავინ შედგებაო. ჰა-ჰა-ჰა! არა, ამისთანა თუ გაგიგიათ! რა სასაცილო ბიჭი იყო!

ბოლოს ფრეკენ ანდერსენი შინ წასასვლელად წამოდგა და მაშინ დანარჩენებიც აიშალნენ. გამოთხოვებისას ნაგელი ისე მხურვალედ, ისე გულწრფელად უხდიდა მასპინძლებს მადლობას, რომ სავსებით მოინადირა ექიმის გული, რომელიც ბოლო თხუთმეტ წუთს, ცოტა არ იყოს, ცივად ექცეოდა... მალე გვეწვიეთ ისევ! მოითმინეთ, თქვენ, მგონი, სიგარა გაგიტავდათ! აიღეთ, გეთაყვა, გზაში მოსწიეთ! და ნაგელი აიძულა სიგარისთვის უკან მიბრუნებულიყო.

ამასობაში დაგნის ჩაეცვა და პარმალზე ელოდა.

VIII

თეთრი ლამიები

საოცარი ღამე იდგა. კანტიკუნტად შემხვედრ გამვლელებს სიხარულისგან სახე უბრწყინავდათ. ვილაც კაცი სასაფლაოზე შეყოვნებულიყო, ურიკას შოა-

გორებდა ბილიკზე და თავისთვის ჩუმად ლილინებდა. ჩქამი არსადან ისმოდა, მხოლოდ ეს ლილინი არღვევდა მყუდროებას. იმ გორაკიდან, სადაც ექიმის სახლი იდგა, ქალაქი რაღაც არნახულ, უზარმაზარ ობობას ჰგავდა. ზღაპრული ურჩხულივით განრთხმულიყო მუცელზე, ოთხივე კუთხიდან გაწვდინა თათები, რქები და საცეცები. დროდადრო ეს ურჩხული რომელიმე ფაქტს შეარხევდა ხოლმე ანდა ჭანგს შემალავდა — აი ისე, როგორც ახლა ექიმის მუცელზე, სადაც პატარა ორთქლის კატერი უხმოდ მისრიალებდა — ეს კატერი მრუმე ზედაპირზე ნათელ ხნულს ავლებდა.

ნაგელის სიგარის ბოლი ცისფერი ღრუბელივით აღიოდა ზევით. ტყისა და ბაღების სუნით დამტკბარმა ღრმად ჩაისუნთქა ჰაერი და ყოვლისმომცველმა სიმშვიდემ შეიპყრო. რაღაც განსაკუთრებულმა, წყნარმა სიხარულმა ისე გამსჭვალა, თვალზე ცრემლი მოადგა და სული ძლივს მოითქვა. გვერდით მიუვებოდა დაგნის; ქალს ჯერ ხმა არ გაეცა მისთვის. როცა სასაფლაოს ჩაუარეს, ნაგელმა სიჩუმე დაარღვია და ექიმში შეაქო, მაგრამ დაგნის პასუხი არ გაუცია. ახლა კი ღამის მყუდროებამ და სილამაზემ ისეთი ვნებით გაიტაცა, ისე შესძრა სულით-ხორცამდე, რომ სუნთქვა გაუხშირდა და თვალები დაენამა. რა კარგია თეთრი ღამეები!

— ერთი ამ გორაკებს გადახედეთ, რა კარგადაა ჩანს! — თქვა მან ხმამაღლა. — რაღაც ძალიან გახარებული ვარ, ფრეკენ! გთხოვთ, თუ შეგიძლიათ, მოწყალე შექმნეთ, იმიტომ რომ ასეთ საღამოს ყველანაირი სისულელე შემოიძლია ჩაეიდინო. ერთი ამ ფიქრებს, ამ ლოდებს, ჩირგვებს ანდა ამ ღვიის ბუჩქებს შეხედეთ; ისე აღგებათ შუქი, გეგონება ადამიანები სხედანო. რა ნათელი და კრიალი ღამეა! ასეთი ღამე გულს არ ამძიმებს უცნაური წინათგრძნობით, გაურკვეველ შიშს არ აღვიძებს. ასე არ არის? ნუ, ნუ გამიჯავრდებით! სულში თითქოს ანგელოსები მიგალობენ. ხომ არ გაშინებთ?

ქალი შედგა და ნაგელმა ამიტომ ჰკითხა, ხომ არ გაშინებო. დაგნიმ ღიმილით ახედა ცას ლურჯი თვალებით, მერე ისევ სერიოზული სახე მიიღო და უთხრა:

— თქვენზე ვფიქრობდი, რა გაცია-მეთქი.

დაგნი ისევ ერთ ადგილზე იდგა და ცას შეჰყურებდა. მერე მთელი გზა აკანკალებული, წრფელი ხმით ლაპარაკობდა, თითქოს კიდევ ეშინია რაღაცის და კიდევ უხარიაო.

აი, სწორედ ამ დროს წამოიწყეს საუბარი და, თუმცა ძალიან ნელა მიდიოდნენ, სანამ ტყეს გაივლიდნენ, არ შეუწყვეტიათ. საუბარი იყო აბნეულ-დაბნეული, იგი ემორჩილებოდა მათი გუნების ცვალებადობას და იმ მღელვარებას, რომელიც ორივეს მორევდა.

— ჩემზე ფიქრობდით? მართლა? მაგრამ მე თქვენზე უფრო ხშირად, გაცილებით ხშირად ვიფიქრია. სანამ აქ ჩამოვიდოდი, მანამდე ვიცოდი თქვენს შესახებ. ჯერ კიდევ გემზე, სრულიად შემთხვევით გავიგე თქვენი სახელი, ჩემი თანდასწრებით საუბრობდნენ რაღაცაზე და თანაც ჩვენ ამ ქალაქში თორმეტ ივნისს ჩამოვედით, თორმეტ ივნისს...

— რას ბრძანებთ, სწორედ თორმეტ ივნისს?

— დიახ, და მთელ ქალაქში ბაირადები გამოეკიდათ; ამ პატარა ქალაქმა ისე მომხიბლა, რომ ნაპირზე გადმოსვლა გადაწყვიტე და ჩამოვედი თუ არა, ისევ თქვენ გახსენეს.

ქალმა გაიღიმა და ჰკითხა:

— რა თქმა უნდა, მაიცამ მახსენა, არა?

— არა. გავიგე, რომ ყველას, ყველას უყვარხართ და ყველა აღტაცებულია თქვენით. — და ნაგელს უეცრად სემინარიელი კარლსენი გაახსენდა, რომელმაც მისი გულისთვის თავიც კი მოიკლა.

— მითხარით, თქვენ მართლა ფიქრობთ იმას, რაც ფლოტის ოფიცრებზე თქვით?

— დიახ. რატომ შეკითხებით?

— თუ ასეა, ჩვენ ერთი აზრის ვყოფილვართ.

— ვითომ რატომ არ უნდა ვფიქრობდე ამას? დიახ, აღტაცებული ვარ და ყოველთვის აღტაცებული ვიყავი ფლოტის ოფიცრებით; მე მათი ცხოვრება, ფორმა, მათი სიხალისე და სიმამაცე მიზიდავს. უმეტესობა, მართლაც, რომ გამორჩევით საამო ხალხია.

— მოდით, ახლა თქვენზე ვილაპარაკოთ. რა მოხდა თქვენსა და რწმუნებულ რეინერტს შორის?

— არაფერი. თქვენ ამბობთ, რომ ჩემსა და რეინერტს შორის მოხდა რამე?

— გუშინ რაღაცას უბოდიშებდით, დღეს კი მთელი საღამოს განმავლობაში ხმა არ გაგიციათ. თქვენ რა, ჩვეულებად გაქვთ, ჯერ შეურაცხყოთ ადამიანი და მერე ბოდიში მოუხადოთ?

ნაგელმა გაიცინა და გზას დააშტერდა.

— მართალი გითხრათ, სულ ტყუილად მივაყენე რეინერტს შეურაცხყოფა. მაგრამ ეჭვი არ მეპარება, თუ მოვახერხე და ავუხსენი, ყველაფერი მოგვარდება. ცოტა ფიცხი ვარ და უკმეხად ვიქცევი ხოლმე. უსიამოვნება იმაზე მოგვივიდა, რომ კარში შემოსვლისას უნებლიეთ დამეჩახა, როგორც ხედავთ, თითქმის არაფერი მომხდარა, უბრალოდ უყურადღებობა გამოიჩინა. მე კი მაშინვე სულელივით მივევარდი და უკანასკნელი სიტყვებით გავთათხე, ლუდის კათხას მუქარით ვუქნევდი ცხვირწინ და ბოლოს შლაპაც მოვუთელე. ამის მერე, როგორც კარგად აღზრდილ კაცს შეეფერება, ადგა და წავიდა. სხვანაირად ვერ მოიქცეოდა. მერე ვინანე, რომ გავფიცხდი და გადავწყვიტე, რამენაირად გამომესყიდა დანაშაული. სიმართლე გითხრათ, კაცმა შეიძლება მეც მაპატიოს, იმ დღეს რაღაც უსიამოვნება შემემთხვა და ძალიან ცუდ გუნებაზე ვიდექი. მაგრამ, აბა, ვინ რა იცოდა. ამისთანა რამეს ხომ სხვას არ მოუყვები და მეც ვარჩიე, ბრალი ჩემს თავზე ამეღო.

ნაგელი დაუფიქრებლად, სრულიად გულწრფელად ლაპარაკობდა, თითქოს უნდა, რაც შეიძლება მიუყვარძოებელი იყოსო. გამომეტყველებაც ისეთი ჰქონდა, ეჭვს ვერ შეიტანდი. მაგრამ უეცრად დაგნი ისევ შედგა, გაოცებულმა პირდაპირ თვალებში შეხედა ნაგელს და უთხრა:

— არა, მოითმინეთ... მასე რომ არ ყოფილა? მე სულ სხვა გავიგე.

— მაიცა ტყუის! — შეჰყვირა ნაგელმა და ჭარხალივით გაწითლდა.

— მაიცა? ეგ ამბავი მაიცასაგან არ გამიგია. ცილს რატომ სწამებთ თავს? ერთმა ბერიკაცმა მიაშპო, თაბაშირის ქანდაკებებით ვაჭრობს ბაზარზე. თავად იყო ყველაფრის მოწმე.

დუმილია.

— პირდაპირ არ მესმის, ცილს რატომ სწამებთ ყოველთვის თავს? — თვალმოუცილებლად განაგრძო ქალმა. — ეს ამბავი დღეს შევიტყვე და ძალიან გამიხარდა. ამით იმის თქმა მინდა, რომ შესანიშნავად მოიქეცით, შესანიშნავად... და

ძალიანაც გიხდებათ ასეთი საქციელი! გულწრფელად გითხრათ, დღეს დილით რომ ეგ ამბავი არ გამეგო, ალბათ, თქვენთან წამოსვლას ვერ გავბედავდი.

დუმილია.

მერე ნაგელი პკითხავს:

— ახლა აღფრთოვანებული ხართ ჩემით, არა?

— მართალი გითხრათ, არ ვიცი, — მიუგო დაგნიმ.

— დიახ, დიახ, რაღა თქმა უნდა, აღფრთოვანებული ხართ... მისმინეთ, —

განაგრძო მან, — ეს მხოლოდ და მხოლოდ კომედიია. ისეთი გულმართალი ხართ, რომ თქვენი მოტყუება არ შემიძლია და ამიტომ ყველაფერს გეტყვით. უტიხად გაუსწორა დაგნის თვალი და ნირშეუცვლელად განუმარტა, რატომ სწამებდა თავის თავს ცილს:

— როდესაც რწმუნებულთან შეხლა-შემოხლას ჩემებურად ვყვები, როცა ოდნავ ვამახინჯებ ფაქტებს და ცოტა ცილსაც კი ვწამებ თავს, ამას არსებითად, — არსებითად! — გამორჩენისთვის ვაკეთებ, უბრალოდ ვცდილობ, ამ საქმიდან რაც შეიძლება მეტი სარგებელი ვნახო. როგორც ხედავთ, საეცებით გულახდილი ვარ. ეჭვი არ მეპარებოდა, ვინმე აუცილებლად მოგიყვებოდათ, რაც მოხდა და რადგანაც უკვე მოვასწარი საქმოდ ცუდად გამეცნო თქვენთვის თავი, ახლა ასეთი მოულოდნელი საქციელით გაცილებით მოვიგებ თქვენს თვალში, დიახ, გაცილებით მეტს, ვიდრე თავიდანვე რომ სიმართლე მეთქვა. ახლა თქვენ თვალში უსაზღვროდ გავიზარდე, გეჩვენებათ, რომ დიდსულოვანი კაცი ვარ. მაგრამ ასეთი შთაბეჭდილება ისეთი მოუქნელი, მდაბალი სიცრუის მეოხებით შეგიქმენით, რომ როცა ამას მიხვდებით, სულის სიღრმემდე აღშფოთდებით, ამიტომაც ვარჩიე გულახდილად მეთქვა ყველაფერი: კიდევ იმიტომ, რომ თქვენ პატიოსნური დამოკიდებულების ღირსი ხართ, თუმცა ამით მხოლოდ იმას მივადწევ, რომ გადამეკარგებით, გადამეკარგებით, რომ იტყვიან, ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქით, სამწუხაროდ.

ქალი ჩაცივებით დააცქერდა. ცდილობდა გაეგო, რა კაცი იყო, რას ნიშნავდა მისი სიტყვები. ჩანდა, გაფაციცებით ფიქრობდა და ცდილობდა, საკუთარი აზრი შეექმნა ნაგელზე. რომელი ერთი დაიჯეროს? რაში სჭირდება ასეთი გულწრფელობა? უცბად ისევ შედგა, ხელი ხელს შემოჰკრა და გადაიკისკისა:

— არა, თქვენიანთან თავხედს ვერ არ შევხვედრივარ. გინახავთ ამისთანა? დადის და სერიოზული სახით, ვინ იცის, რას ალბა ყვება საკუთარ თავზე მხოლოდ იმიტომ, რომ სახელი გაუტყდეს. მაგრამ ამ გზით ვერაფერს მიაღწევთ! ასეთი აბდა-უბდა ვერ არ გამიგია! აბა, საიდან უნდა გცოდნოდეთ დანამდვილებით, რომ ადრე თუ გვიან გავიგებდი, რაც მართლა მოხდა? ახლა რას მეტყვით? არა, სჯობს არაფერი მითხრათ, თორემ ისევ იცრუებთ. თქ, რა ცუდად იქცევით, ჰა-ჰა-ჰა... ერთი მითხარით, თუ წინდაწინვე გაითვალისწინეთ, ასე და ასე მოხდებაო და, მართლაც, ისე მოახერხეთ ყველაფერი, როგორც გინდოდათ, ესე იგი, იმას მიაღწიეთ, რასაც ელტვოდით, მაშინ რაღას აცამტვერებთ ისევ ყველაფერს და თქვენი სიტყვებით რომ ვთქვათ, სიცრუეში მიტყდებით? წუხელაც დაახლოებით ასე მოიქეცით. თქვენი ვერა გამიგია რა, თუ ყველაფერს წინასწარვე ასე კარგად ითვალისწინებთ, მაშინ რატომ ვერ ამჩნევთ, რომ თქვენ თავს თქვენვე ამტყავნებთ.

მაგრამ ნაგელი არ ტყდებოდა. ერთ წუთს დაფიქრდა და მერე მიუგო:

— სცდებით. არც ეგ მრჩება მხედველობიდან. ახლავე თავად დარწმუნდე-

ბით. როდესაც საკუთარ თავს მევე ვამჯღავნებ, — აი, როგორც ახლაა, როცა გვერდით მოგყვებით და არაფერს გიმალავთ, — კაცმა რომ თქვას, არაფერს ვკარგავ, ყოველ შემთხვევაში. ძალიან ცოტას. ჯერ ერთი, ვისაც ჩემს ზრახვებს ვანდობ, იმან შეიძლება არც დამიჯეროს. აი თქვენ, მაგალითად, ახლა არ მიჯერებთ. ამას კი რა მოსდევს? ამას ორმაგი მოგება მოსდევს. დიახ, დიახ, მე კოლოსალურად ვიგებ. ჩემი რეპუტაცია ზეგვივით იზრდება და უაღრესად მწვერვალისათვის ყველას ზევიდან დავცქერა. მეორეც, კიდევ რომ დამეჭრობებოდათ. მაინც მოგებულნი დავრჩებოდით. თავს აქნევთ? სულ ტყუილად. მერწმუნეთ, არაერთხელ მიცდია ეს ფანდი და ყოველთვის მომიგია. თუნდაც გერწმუნათ ჩემი აღსარება, სულერთია, ასეთი გულახდილობა მაინც გაგაოცებდათ. გულში იტყოდით: მართალია, მომატყუა, მაგრამ სამაგიეროდ, თვითონვე გამოტყდა, მითუმეტეს, რომ ძალას არავინ ატანდა. მის თავხედობას ვერაფერს გაუგებ, შიშით არაფრის ეშინია და თავისი გულახდილობით მთლად თავგზა ამიბნია. მოკლედ რომ ვთქვათ, ვიპყრობ თქვენს ყურადღებას, გიღვიძებთ ცნობისმოყვარეობას, თქვენ უკვე გულისყურით მაკვირდებით, ვერაფერი გაგიგიათ. სულ ერთი წუთის წინ თქვენ თვითონ არ მითხარით, თქვენი ვერაფერი გამიგიაო. ეს კი იმიტომ თქვით, რომ ცდილობდით მიხვედრილიყავით, რა კაცი ვარ. მართლაც ეს რად ღირს! დიახ, მართლაც ესეც კი საღბუნად ედება ჩემს თავმოყვარეობას. ასე რომ, გჯერათ თუ არ გჯერათ, სულერთია, მაინც მოგებულნი ვარ.

დუმბილია.

— მაშ, თქვენ გინდათ დამარწმუნოთ, რომ მთელი ეს ეშმაკური მიეთმოეთი წინასწარ მოიფიქრეთ? გაითვალისწინეთ ყოველგვარი მოულოდნელობა, მიიღეთ აუცილებელი ზომები? ჰა-ჰა-ჰა! ახლა, რაც არ უნდა მითხრათ, ველარ გამაყვირებთ. არა, თქვენგან უკვე ყველაფერია მოსალოდნელი. კარგით, კმარა ამაზე! უფრო დიდი ტყუილზე აღარ გამაყვირებდა. დიახ, ენაზე ჭავლი არ გეკიდებათ!

მაგრამ ნაგელი გაჩიუტდა. არწმუნებდა, თქვენი სიტყვების მერე ჩემი თავმოყვარეობა უზომოდ გაიზრდება, პირდაპირ თვალუწვდენელ მწვერვალზე ამიტაცებსო. აბა, როგორ არ უთხრას მადლობა, ხი-ხი-ხი, რაც უნდოდა, სწორედ იმას მიაღწია. მაგრამ ღმერთმანი, ქალი მეტისმეტად თავაზიანი და დიდსულოვანია...

— კეთილი, კეთილი, — შეაწყვეტინა დაგნიმ, — ამაზე ნულარ ვილაპარაკებთ.

მაგრამ ახლა ნაგელი შედგა შუა გზაზე.

— მე კი ისევ გიმეორებთ, ვტყუოდით-მეთქი, უთხრა და თვალი თვალში გაუყარა.

ერთ წუთს ასე იდგნენ და ერთმანეთს უცქერდნენ. დაგნის გული აუტყვრდა და ოდნავ გაფითრდა კიდევ. ასერიგად რატომ ცდილობდა, ქალს ცუდი ჰგონებოდა? სხვა ყველაფერს ისე სიამოვნებით, ისე იოლად უთმობდა, ამაზე კი გაჩიუტდა და აღარ გადათქვა. რაღაც კვიათი სიგიჟე სჭირს!

— ვერ გამიგია, ასე რატომ იწიშვლებთ სულს ჩემს წინაშე! — შეწუხებულმა შესძახა მან. — აკი დამპირდით, კარგად მოვიქცევიო.

მართლა გამწარდა. ასეთ უჯიათობასა და სიკერპეს წინასწარობიდან გამოჰყავდა და თავგზას უკარგავდა. ნაგელი აშკარად ცდილობდა, დაებნია და

ქალი შეურაცხოფილად გრძნობდა თავს. გაღიზიანებული ხელის გულზე ქოლგას იცემდა.

კაცს ძალიან უბედური სახე ჰქონდა. მაშინვე მოჰყვა უსუსურად თავის მართლებას, რაღაც გაუგებარს ამბობდა. ბოლოს და ბოლოს, დაგნამ ისევ გადაიკისკისა და აგრძნობინა, სერიოზულ კაცად არ ვთვლიო. უბრალოდ აუტანელია, ეტყობა, ყოველთვის ასეთი იყო და ასეთად დარჩება. რა თქმა უნდა, ნაგელს ეს ყველაფერი სიცილად არ ჰყოფნის, ოღონდ ამაზე ნულარაფერს ვიტყვით, ნულარაფერს.

დუმილია.

— გახსოვთ, — უთხრა ნაგელმა, — ამ ადგილას გნახეთ პირველად. არასოდეს დამავიწყდება, რა საოცრად გავდიოთ ფერიას, როცა გამეჩქეცით. დიახ, ფერიად, ხილვად მეჩვენეთ... ახლა კი ერთი ამბავი მინდა მოგიყვებ, თავს რომ გადამხდა, უფრო სწორად, ამბავი კი არა — თავგადასავალი. თანაც ძალიან სწრაფად შეიძლება ამის მოყოლა. ერთხელ ჩემს ოთახში ვიჯექი, ერთ პატარა ქალაქში, ოღონდ ნორვეგიაში არა, თუმცა რა მნიშვნელობა აქვს სად, — მოკლედ, შემოდგომის ერთ თბილ საღამოს ჩემს ოთახში ვიჯექი; ეს რვა წლია უკან, ათას რვაას ოთხმოცდასამ წელს მოხდა. კარისკენ ზურგშექცევით ვიჯექი და წიგნს ვკითხულობდი.

— ოთახში სინათლე გენტოთ?

— დიახ, გარეთ კი ბნელოდა. ვიჯექი და ვკითხულობდი. უეცრად მომესმა, რომ ვიღაც ამოდის, აშკარად გავიგე ჯერ ნაბიჯების ხმა კიბეზე, მერე კარზე კაკუნი. შემობრძანდით-მეთქი. არავინ შემოდის. ვალებ კარს — არავინაა. კარს უკანაც არავინ იყო! ვრეკავ ზარს, შემოდის მოახლე. კიბეზე ვინმე ამოდითა? არა, არავინ ამოსულა. კეთილი, ძილი ნებისა! მოახლე გადის.

კვლავ ვიღებ წიგნს... და ამ დროს რაღაც სუსტმა ნიავმა, სიომ დამქროლა, თითქოს ადამიანის სუნთქვა მომელამუნაო და ჩურჩული ჩამესმა: „გასწი!“ უკან ვიხედები — არავინაა. ისევ ვკითხულობ, მაგრამ გაღიზიანებული ვარ და ვამბობ: ეშმაკმა დალაზვროს-მეთქი, და უეცრად ვხედავ, რომ გვერდით ჩია, გაფითრებული კაცი მიდგას, ჟღალი წვერი და ხეშეშა, ჯაგარივით თმა აქვს. ხელმარცხნივ მიდგას და თვალს მიკრავს. მეც პასუხად რატომღაც თვალი ჩავუქარი. ადრე არსად გვინახავს ერთმანეთი, მაგრამ ახლა რატომღაც თვალს ვუქრავთ. მე წიგნს ვხურავ, კაცი კი ამასობაში კარისკენ მიდის და ქრება. თვალს ვადევნებ და ვხედავ, როგორ ქრება უეცრად. ფეხზე წამოვხტი და მეც კართან მივედი. ამ დროს ისევ მესმის ჩურჩული: „გასწი!“ რაც არის, არის. ვიცვამ სერთუკს, ფეხსაცმელს და ქუჩაში გავდივარ. „კარგი იყო მომეწია“, — ვფიქრობ და უკან ვბრუნდები. ვიღებ სიგარაა და ვაბოლებ. მერე ჩამდენიმე სიგარას ჯიბეში ვიღებ, თუმცა, ღმერთმა უწყის, რატომ ვაკეთებ ამას, მაგრამ მაინც ასე ვიქცევი და ისევ გავდივარ ქუჩაში.

ისეთი უკუნი იდგა, თვალთან თითქოს ვერ მიიტანდი. ვერაფერს ვხედავდი, მაგრამ ვგრძნობდი, კაცი იქ იყო, ვიცოდი, რომ გვერდით მომდევდა. მინდოდა, შევხებოდი და ხელებს ვიქნევდი, ხანდახან შევდგებოდი ხოლმე, გადაწყვეტილი მქონდა, თუ არ მეტყვის, რა ამბავია, ამის იქით ფეხს აღარ გავადგამ-მეთქი, მაგრამ ვერა და ვერ ვიპოვე. მიუხედავად იმისა, რომ ბნელოდა, თვალის ჩაკვრაც კი ვცადე, თავს აქეთ-იქით ვატრიალებდი, მაგრამ მაინც არაფერი გამოვიდა. „აგრე იყოს, — ვთქვი ხმამაღლა, — მაგრამ არ გეგონოს, შენი გუ-

ლისთვის მოვდიოდე; უბრალოდ გასეირნება მომინდა; იცოდე, რომ მხოლოდ-
დამხოლოდ სასეირნოდ გამოვედი“. განგებ ხმამაღლა ვლაპარაკობდი, რომ
გაეგონა, რამდენიმე საათს მუხლი არ ჩამიკეცია, ქალაქი უკან მოვბრუნე და
ტყეში შევედი — სველი ტოტები სახეში მცემდა. „კეთილი, კეთილი ბოლოს
და ვითომ დროის გასაგებად, საათი ამოვიღე, — ახლა კი შინ წავალ“. მაგრამ
სულაც არ წავსულვარ შინ, რატომღაც არ შემეძლო უკან წავსვლა, რატომღაც
ძალა დაუთოვებლად წინ მერყეებოდა. „თუმცა, რა, ისეთი კარგი დარია, —
ვთქვი მაშინ, — ვითომ რატომ არ უნდა ვისეირნო მთელი ღამე და, თუ მომინ-
და, მეორესაც ზედ მივაყოლებ, დროს მეტი რა მაქვს!“ მე კიდევ ერთი სიგარა
გავაბოლე. ჩია კაცუნა გვერდიდან არ მცვილდებოდა. ისე ახლოს იყო, ზედ მა-
სუნთქებდა. ფეხჩაუდგმელად მივდიოდი, ხანდახან მიმართულებას ვიცვლიდი
ხოლმე, მაგრამ ერთხელაც არ მიქცევია პირი უკან, ქალაქისკენ. ფეხები მტეხ-
და, შარვალი მუხლამდე დამისველდა, სახე მიხურდა, იმიტომ რომ სველი ტო-
ტები განუწყვეტლივ მცემდა და მცემდა სახეზე. „იქნებ, ვინმეს უცნაური ერგე-
ნოს, ასე გვიან რომ ვსეირნობ აქ, — ვთქვი მე, — მაგრამ უღრან ტყეში ღამე
ხეტიალი ბავშვობიდანვე მიყვარდა და ჩვეულებად გადამექცა“. კბილს კბილზე
ვაჭერდი და ისევ მივდიოდი. ქალაქიდან კოშკის სართის რეკვა შემომესმა. შუ-
ალამე ჩამორეკა: ერთი, ორი, სამი, ოთხი... დავითვალე, როგორ ჩამორეკა თორ-
მეტჯერ. ნაცნობმა ხმებმა მხნეობა დამიბრუნა, მაგრამ მეწყინა, რომ მიუხე-
დავად ამდენი ხნის ხეტიალისა, კვლავ ასე ახლოს ვიყავით ქალაქთან. მოკლედ,
კოშკის საათმა შუალამე ჩამორეკა და მიწყდა თუ არა მისი გუგუნო, კაცუნა
ისევ ჩემს წინ აღმოჩნდა — დვას, მიყურებს და თავისთვის ქირჭილებს. ღმერ-
თო, ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება, იან თვალნათლივ ვხედავდი —
წინა ორი კბილი აკლდა, ხელები ზურგს უკან ეჭირა...

— კი მაგრამ, იმ საბნელეში როგორ დაინახეთ?

— თვითონ ანათებდა, რატაც უცნაური შუქით ანათებდა, რომელიც თით-
ქოს, სადღაც მის უკან იყო, ზურგიდან სცემდა და კაცუნა ღამის გამჭვირვალე
მოჩანდა. ტანსაცმელიც კი ისე ნათლად დავინახე, თითქოს დღე იყო, — დამენ-
ძილი და შალიან მოკლე შარვალი ეცვა. ყველაფერი თვალის დახამხამებაში
შევამჩნიე. მისმა შესახედაობამ ისე გამოგნა, ძალაუვნებურად თვალი მოვჭუტე
და ერთი ნაბიჯით უკან დავიხიე. როცა თვალი ისევ გავახილე, კაცუნა აღარ
იყო...

— აჰ!

— მოითმინეთ, ჯერ სადა ხართ! თურმე რატაც კოშკს მივდგომივარ, რო-
მელსაც გზა გადაეღობა ჩემთვის. პირდაპირ ზედ მივდგომოდი და სულ უფრო
და უფრო ცხადად ვხედავდი — შავი, რვაკუთხოვანი კოშკი იყო, სურათებზე
თუ გინახავთ, ათენში რომ „ქართა კოშკია“, ზუსტად იმასა ჰგავდა. აქამდე არა-
სოდეს მსმენოდა ტყეში თუ კოშკი იდგა, მაგრამ თურმე ყოფილა: თვალწინ
მედგა. ამ დროს კვლავ გავიგონე: „მომყე!“ შევედი. ჩემს უკან კარი არ მო-
ხურულა და ამან ოდნავ დამამშვიდა. კოშკში, თაღებქვეშ ისევ დავინახე ჩემი
მეგზური; მოპირდაპირე კედელთან ღამფა ენთო და უკვე შემეძლო, კარგად
შემეთვალყურებინა. კოშკის შორეული კუთხიდან დაიძრა ჩემსკენ, გეგონებო-
დათ, აქედან ფეხი არ მოუცვლიათ, წინ ამეტუზა, ჩუმად ქირჭილებდა და თვალს
არ მაცილებდა. თვალებში ჩავხედე და მომეჩვენა, რაც ამ თვალებს ქვეყნად
საშინელება უნახავთ, ყველაფერი დავინახე-მეთქი. ისევ ჩამიკრა თვალი, მაგ-

რამ მე აღარ გავეპასუხე და როცა უფრო ახლოს მოსვლა დაიპირა, უკან-უკან წავედი. უეცრად ზურგს უკან მსუბუქი ფეხის ხმა მომესმა, მივიხედე და ვილაც ასული დავინახე.

ვუცქერ და ცქერა მიხარია: წითური თმა და შავი თვალები აქვს, ტანთ ძველმანები აცვია და ქვის იატაკზე ფეხშიშველა დაიარება. მისი შიშველი მკლავები სითეთრით მაოცებენ.

ერთ წუთს ქვავდება, თითქოს ორივე შეგვათვალისწინებოდნენ, მერე მდბლად მიხრის თავს და ჩია კაცუნასთან მიდის. უსიტყვოდ უხსნის ლაბადას, ისე აფათურებს შიგ ხელს, თითქოს რაღაცას ეძებსო, მერე სარჩულში შედებულ პატარა, მაგრამ კაშკაშა ფარანს იღებს და თითზე იკიდებს. ფანარი ისე ანათებს, რომ კედელთან მიდგმულ ლამფის შუქს სრულებით ახშობს. სანამ გოგონა ჩხრეკას მოათავებდეს, ჩია კაცუნა წყნარად დგას და ისევ იღიმება. „ლამე მშვიდობისა“, — ეუბნება ქალიშვილი და თითით კარისკენ უთითებს, და ჩემი თანამგზავრიც, ეს საზარელი, საოცარი არსება, რომელიც ცხოველს უფრო ჰგავს, ვიდრე ადამიანს, გადის. მარტო ვრჩები ახლად გაცნობილ ასულთან ერთად.

ქალიშვილი მომიახლოვდა, კვლავ თავყვანი მცა და ხმისაუწყევლად, უღამოდ მკითხა:

— საიდან მოხვედი?

— ქალაქიდან, მზეთუნახავო, — მივუგე მე, — პირდაპირ ქალაქიდან მოვედი.

— უცნობო, მიუტევე მამაჩემს და ნურას გვაწყენ, — მითხრა მან უეცრად, — იგი ავადაა, ჰკუთხე მცდარია; შენ ხომ ნახე მისი თვალები?

— დიახ, ვნახე, — მივუგე მე, — და მათი მომნუსხველი ძალაც ვიგრძენი. სწორედ მაგ თვალებმა მომიყვანეს აქ.

— სად შეხვდი? — მკითხა ასულმა.

ჩემთან, შინ-მეთქი, ჩემთვის ვიჯექი და ვკითხულობდი, როცა ოთახში შემოვიდა.

მან მხოლოდ თავი გადააქნია და თვალები დახარა.

— მაგრამ შენ ეგ ნუ შეგაწუხებს, მშვენიერო ბავშვო, — განვაგრძე მე, — სიამოვნებით გამოვისეირნე, მნიშვნელოვანს არაფერს მოვცდენივარ და მიხარია, რომ შენ შეგხვდი. შემომხედე, მხიარული და კმაყოფილი ვარ ყველაფრით, შენც გაიღიმე.

მაგრამ არ გაუღიმიო და მხოლოდ მითხრა:

— ფეხთ გავიხადე. ლამე აქედან მაინც ვერ წახვალ, ტანსაცმელს გაგიშრობ.

ზედ დავიხედე. მართლაც, თავით ფეხამდე სველი ვიყავი. ფეხსაცმელი ღრუბელივით წყლით გამჟღენთოდა. როგორც მიბრძანა, ისე მოვიქეცი, ფეხსაცმელი გავიხადე და გადავეცი. მაგრამ, როგორც კი ფეხთ გავიხადე, სინათლე ჩააქრო და მითხრა:

— წავიდეთ!

— მოიცა, — ვუთხარი და შევაჩერე, — თუ აქ არ ვწევები, ფეხთ რატომღა გამახდევინე?

— ეგ შენ არ უნდა იცოდე, — მომიგო.

მაინც არ მითხრა არაფერი. ბნელ ოთახში შემეყვანა. რაღაც უცნაური ხმები მომესმა, თითქოს ვილაც გვენოსავდა და მაშინვე ნაზმა ხელმა პირი დამიხშო, ასულმა კი ხმამაღლა წარმოთქვა:

— ეს მე ვარ, მამა. უცხო კაცი წავიდა. წავიდა.

მაგრამ კვლავ შემომესმა ქსუტუნები — გონჯი შეშლილი ისევ გვეხოსავდა. ხელი არ გაუშვია, სანამ კიბეზე ავდიოდით. მაგრამ არც ერთს ხმა არ დაგვიძრავს, რომელიღაც სხვა სადგომში შევედით. ისე ბნელოდა, თვალთნ თითს ვერ მიიტანდი. არაფერი არღვევდა ყოვლის ნომცველ ღამეულ წყვედიდან: არც შემთხვევით შემოჭრილი სინათლის სხივი, არც შორეთში მოკრულ ცეცხლი.

— ჩუმათ, — ჩამჩურჩულა, — აი, ჩემი საწოლი.

ხელის ცეცებით მივაგენი.

ყველაფერი გავიძრე და მივაწოდე.

— ღამე მშვიდობისა. — მითხრა ქალწულმა.

არ მინდოდა გამეშვა. ჩემთან დარჩი-მეთქი, ვთხოვდი:

— მოიცა, ნუ წახვალ. უკვე ვიცი, ქვევით რატომაც გამახდევინე ფეხსაცმელი. ძალიან, ძალიან ჩუმად ვიჯდები. დარჩი, მამაშენს არ გაუგია, აქ რომ ამოვდები.

მაგრამ არ დარჩა.

— ღამე მშვიდობისა! — მითხრა ისევ და წავიდა.

დუმილია. დაგნი ქარხალივით გაწითლებულიყო, სუთნქვაგახშირებულს ნესტოები უთრთოდა.

— წავიდა? — სულწასულად იკითხა ქალმა.

ისევ დუმილია.

— და აი, იმ წუთიდან ის ღამე ჯადოსნურ ზღაპრად გადაიქცა. რაც მაგონდება, ყველაფერს თითქოს ვარდისფერი შუქით განათებულსა ვხედავ. წარმოიდგინეთ ის საოცარი ღამე... მარტო ვიყავი, უკუნეთი შავი, მძიმე ხავერდით შემომსაღებოდა გარს, ძალიან დავიღალე, მუხლები მიცახცახებდა, თანაც გაღიზიანებული და გაოგნებული ვიყავი. წყევულმა შეშლილმა ამისთანა ცვარში რამდენიმე საათს მათრია, საქონელივით მომერეკებოდა და მხოლოდ მზერითა და ჩურჩულით მაქეზებდა: „გასწი! გასწი!“ მეორედ ფანარს წავართმევ და დრუნჩს დავუჩეჩქვავ! ბრაზი სულ უფრო და უფრო მერეოდა, ბოლოს გაცოფებულმა მოვუკიდე სიგარას და საწოლში ჩავწექი. ვიწექი და სიბნელეში მოკიაფე სიგარას ვუყურებდი. მალე შემოსასვლელი კარის ჯახუნი მომესმა, მერე ყველაფერი მიწყნარდა.

ათიოდე წუთი გავიდა. არ დაივიწყოთ, რომ მე ჩემთვის ვწევარ საწოლში, მაგრამ ილი სულ არ მეკარება. ვწევარ და სიგარას ვეწევ. უეცრად ოთახს გუგუნები ავადებს, თითქოს ტერში ერთდროულად ახადეს ყველა სარკველიო. იდაყვს ვეყრდნობი, მივიწყებული სიგარა ქრება, ჩავცქერი უკუნეთს, მაგრამ ვერაფერს ვარჩევ. მაშინ ისევ ვწვები და ვაყურადებ, მეჩვენება, თითქოს შორეული მუსიკა მეამბის, საოცარი ათასხმოვანი გუნდის სიმღერა. არ ვიცი საიდან, მგონი, კედლის გადაღმრიდან უნდა ისმოდეს, ან, იქნებ, მალლიდან, ზესკნელიდან მოდის... ათასხმოვანი გუნდის წყნარი სიმღერა, იგი არ ქრება, პირიქით, სულ უფრო ახლოვდება, ახლოვდება და ბოლოს ზვავივით ასკდება თავს კოშკის სახურავს და მე. ისევ წამოვიწიე იდაყვზე და ისეთ რამეს განვიცდი, რომ ახლაც იმ ღამის მარტო გახსენებაც კი სულით ხორცამდე მძრავს და რალაც ზებუნებრივი ბედნიერებით მავსებს. თითქოს პაწაწკინტელა, ნათელ არსებათა დასი შეფრქვევა თავზე. ესენი პატარა ანგელოზები არიან. საიდანღაც მალლიდან მოფრინავენ თვალისმომჭრელად ქათქათა პაწიები, სხივთა კონებად ეშვებ-

ბიან ციდან გუნდი და გუნდი პაწაწკინტელა ანგელოსებისა. ისინი ავსებენ კოშკის თაღებს. ალბათ, მილიონზე ნაკლები არ იქნებიან, ფართობით უვლიან კოშკის იატაკსა და ჭერს და სულ გალობენ და გალობენ, გალობენ შიშვლები და თოვლივით თეთრნი. სუნთქვა მეკვრის, ანგელოსები ზავს ღამრიღებენ, მესმის მათი გალობა, მეზებიან ქუთუთოებზე, მასხდებიან ღამრზე და მათი სუნთქვისგან ოთახი არნახული სურნელით ივსება.

მხარეთქოზე ვარ წამოწოლილი, ვიწვდი ხელს და მაშინ რამდენიმე პაწია ანგელოსი ხელზე მასკუბდება, სხედან ჩემს ხელის გულზე და ნამცეცა ვარსკვლავებს ჰგვანან — შვიდი ვარსკვლავის მოციმციმე თანავარსკვლავედს. ვიბრები მათკენ, თვალებში ჩავცქერი და ვხედავ, ბრმები არიან. მაშინ იმ შვიდ ანგელოსს ვუშვებ და სხვა შვიდს ვიჭერ, მაგრამ მათაც არა აქვთ თვალის ჩინი. ყველანი უსინათლონი იყვნენ — კოშკში პაწია ბრმა ანგელოსთა ღასი რიალებდა და გალობდა.

უძრავად ვიწეჭი, ამის მნახველს სუნთქვა შემეკრა, მათმა უსინათლო თვალებმა სევდით გამიმსჭვალეს სული.

გავიდა ერთი წუთი. მე ვწევარ და ვუსმენ. უცბად შორიდან მიიმე, მკვახე ხმა ისმის და ყურში რალაცნაირად მკვეთრად მხვდება. ხმა კიდევ დიდხანს გუგუნებს პაერში — ქალაქის საათმა ისევ დარეკა — ღამის პირველი საათია!

ანახდად შეწყდა ანგელოსთა გალობა. ვხედავდი, როგორ შეჯგუფდნენ პაწია ანგელოსები, კერში აფრინდენ და თაღებს სხივთა ნათელი მოპფინეს. ერთმანეთს აწვებოდნენ, რომ იქაურობისთვის რაც შეიძლება ჰჭარა დაეღწიათ თავი. დაწალიკებით მიფრინავდნენ და თან სულ მე მიცქერდნენ. აი, ერთიღა დარჩა. სახამ გაქრებოდა, ისიც შემობრუნდა და კვლავ შემომხედა უჩინო თვალებით.

სულ ბოლო, რაც დამახსოვდა ეს ის ანგელოსი იყო, რომელიც შემობრუნდა და შემომხედა. თუმცა ბრმა იყო. მერე ისევ წყვედიადმა მოიცვა ყველაფერი. ბალიშზე გადავწეჭი და დავიძინე...

უკვე დიდი ხნის გათენებული იყო, როცა გამეღვიძა. თაღებიან ოთახში უწინდებურად მარტო ვიყავი. ტანსაცმელი ჩემს წინ, პირდაპირ იატაკზე ეწყო, ხელით მოვსინჯე, ჯერ კიდევ ნოტიო იყო, მაგრამ მაინც ჩავიცვი. უეცრად კარი გაიღო და ისევ გამოჩნდა ის ასული, წინა ღამე, რომ ვნახე.

იგი სულ ახლოს მოდის ჩემთან და მაშინლა ვეკითხები:

— საიდან მოდიხარ? ღამე სად იყავი. ღამაზო?

— იქ, ზევით, — მომიგო და კოშკის სახურავზე მიმითითა.

— განა არ გეძინა?

— არა, არ მეძინა. მე მთელი ღამე არ მეძინა.

— მაშ, ღამე მუსიკა ხომ არ გაგიგონია? — ვკითხე. — მე სამოთხისებური მუსიკა მესმოდა.

მე ვუკრავდი და ვმღეროდიო.

— შენ? მითხარი, პატარავ, მართლს ამბობ?

— დიახ, მე ვიყავი.

მერე ხელი გამომიწოდა და მითხრა:

— ახლა კი წავიდეთ. გზაზე გაგიყვან.

კოშკიდან გამოვედი და ხელჩაკიდებულნი ტყეში შევედი. ოქროსფერ

თმას მზე უნათებდა და შავი, წყვდიადივით შავი თვალები ჰქონდა. მოვეხ-
ვიე, ორჯერ ევამბორე შუბლზე და მერე მის წინ მუხლი მოვიყარე. აკანკალე-
ბული ხელით შეიხსნა შავი ბაბთა და მაჯაზე შემომახვია. ტიროდა და, ეტ-
ყობოდა, ძალიან ღელავდა.

— რატომ ტირიხარ? — ვკითხე მე. — დამტოვე, თუ რამე გაწყენინე.
მაგრამ პასუხი არ გაუცია და მხოლოდ მკითხა:

— ხედავ ქალაქს?

ვერა, ვერ ვხედავ-მეთქი. შენ?

— ადექი, წავიდეთ, — მითხრა მან და ისევ წამიყვანა. მე კვლავ შევ-
დექი, გულში ჩავიკარ და ვუთხარი:

— ისე მიყვარხარ! შენ ისეთი ბედნიერება მომანიჭე!

ჩემს მკლავებში მომწყვდებული თავით ფეხამდე ცახცახებდა, მაგრამ მა-
ინც მითხრა:

— მე უნდა გავბრუნდე. ალბათ, ახლა უკვე ხედავ ქალაქს.

— რა თქმა უნდა, — ვუპასუხე, — შენც ხომ ხედავ?

ვერაო, მომიგო.

რატომ-მეთქი?

მაშინ ოდნავ უკუდგა, დიდი თვალები მომაპყრო და ისე მდებლად დამიკრა
თავი, თითქოს მეთხოვებოდა. რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, ისევ შემობრუნდა
და კვლავ შემომხედა.

„მხოლოდ მაშინ დავინახე, რომ ისიც ბრმა იყო...“

თორმეტი საათი გავიდა, მაგრამ არ მახსოვს, რას ვაკეთებდი და ვერა-
ფერს გეტყვით. გონება რაღაცნაირად დამეხშო და არ ვიცი, სად დაიკარგ-
ნენ ის საათები. მახსოვს, შუბლში ხელს ვიცემდი და ვამბობდი: „თორმეტი
საათი გავიდა. ისინი უბრალოდ აქვე, კოშკში არიან დამალულები. მიიმაღლნენ
და უნდა მოვეძებნო“. მაგრამ მაინც ვერ ვიპოვე.

ისევ მოვიდა საღამო, შემოდგომის ბნელი, თბილი საღამო. ხელში წივნი
მიჭირავს და ჩემს ოთახში ვზივარ. ფეხზე ვიხედები — ფეხსაცმელები ჯერ
ისევ ნოტიო მაქვს, ხელს დავყურებ და ვხედავ, მაჯაზე შავი ბაბთა მაქვს შემოხ-
ვეული. მაშ, ყველაფერი მართლა მომხდარა.

ვრეკავ, მოახლეს ვუხმობ და როცა შემოდის, ვეკითხები: აქ, ახლო-მახ-
ლო, ტყეში შავი რვაკუთხოვანი კოშკი ხომ არ დგას-მეთქი. მოახლე თავს მიქ-
ნევს და მეუბნება:

— დიახ, ამ ტყეში კოშკი დგას.

— ცხოვრობს შიგ ვინმე?

— ერთი უცნაური, ავადმყოფი კაცი ცხოვრობს, ჭკუაზეა შეშლილი, ჩვენ-
ში „ფარნიან კაცს“ უძახიან, ქალიშვილი ჰყავს. ისიც კოშკში ცხოვრობს მა-
მასთან. სხვა, მათ გარდა იქ არავინ არის.

— კეთილი, ძილი ნებისა.

მეც ვწვეები და ვიძინებ.

მეორე დღეს გამთენიას მივდივარ ტყეში, ისევ იმ ბილიკს მივყვები, ვხე-
დავ იმავე ხეებს, ეპოულობ კოშკს, კართან მივრბივარ და უფეროდ გულის ძგე-
რა მიჩერდება. ბრმა ასული მიწაზე გდია — დამტვრეული, დამახინჩებული,
უსულო. იგი პირდაღებული წევს და წითურ თმას მზე უნათებს. ზევით, სახუ-
რავზე კი ისევ ფრიალებს საწვიმარ ღარს გამოდებული კაბის ნაფლეთი. დამ-

სხვრეული კრამიტით მოფენილ ბილიკზე წინ და უკან დაძრწის ჩია კაცუნა—მამამსი. ჩაცეებით დაყურებს უსულო სხეულს, მღელვარებისგან მკერდი უბორგავს და ხშირად ღმუის. სხვა ვერაფერი გაუწყვია, მხოლოდ გარს უტრიალებს ცხედარს, თვალს არ აცილებს და ხმაშალდა ყმუის. და როცა შეშლილმა ანაზდად შემომხედა, საზარელმა შიშმა ამიტანა და უკანმოუხედავად გავკურცხლე ქალაქისკენ. ამის მეტად აღარ მინახავს.

გარეშე
გადაწყვეტილი

აი, რა გადამხდა თავს.

დიდხანს აღარ გაუღიათ ხმა. დაგნის ბილიკისთვის დაეშტერებინა თვალი და ისე მიდიოდა, მიდიოდა ძალიან ნელა.

ბოლოს ესა თქვა.

— ღმერთო ჩემო, რა უცნაური ამბავია.

მერე ისევ სიჩუმე ჩამოვარდა და ნაგელი რამდენჯერმე შეეცადა დუმილი დაერღვია. ლაპარაკობდა იმაზე, თუ რა საოცრად გარინდებულიყო ტყე, რა საოცარი სიწყნარე იდგა.

— გრძნობთ, რომ ამ ადგილას აი, ზუსტად ამ ადგილას, ჰაერი ნაირნაირი სურნეღითაა გაყდენთილი? მოდით, ცოტა ხანს ჩამოვსხდეთ, ძალიანა გთხოვთ!

კვლავინდებურად მიწყნარებული და ჩაფიქრებული დაგნი უსიტყვოდ დაჯდა. ნაგელიც მის პირდაპირ ჩამოჯდა.

თავს ვალდებულად თვლიდა, კვლავ გაემხიარულებინა ქალი. კაცმა რომ თქვას, ეს ამბავი არც თუ ისე სევდიანია, პირიქით, თავშესაქცევაც კია. და საერთოდ, სისუფლელა და მეტი არაფერი! აი, ინდოეთში სხვა საქმეა. ინდოეთში ისეთი ამბები ხდება, რომ მოსმენისას სუნთქვა გეკვრის და შიშისგან ძარღვებში სისხლი გეყინება. ინდური ზღაპრები საერთოდ ორგევარია. ერთნი არა-ამქვეყნიური სილამაზის, მაგრამ სავსებით ამქვეყნიურ სურვილთა სამყაროში მიგვიძღვნიან — ეს ზღაპრები აღმასას გამოქვაბულებზე, მთაში გახვეწილ უფლისწულებზე, ზღვის გაღმითელ მზეთუნახავებზე, ჰაერისა და მიწის სულებზე, მარგალიტის სასახლეებზე, ფროთოსან რაშებზე, ბაჯაღლო ოქროსა და ვერცხლის ტყეებზე მოგვითხრობენ. მეორე სახის ზღაპრები კი უპირატესობას მისტიკას ანიჭებენ. ისინი გამოგზნებელ, არაჩვეულებრივ და აუხსნელ საგნებზე ყვებიან. საერთოდ, აღმოსავლეთის ხალხს გერვინ შეედრება წარმოუდგენელი კოლიზიების შეთხზვის ნიჭში. მათი აღგზნებული ფანტაზიის ნაშობი მსმენელს თავზარს სცემს. ისინი ხომ სიცოცხლის პირველივე დღიდანვე ზღაპრულ სამყაროში ცხოვრობენ და ამიტომაც ისევე იოლად ყვებიან ღრუბლებში მცხოვრებ მუნჯ მბრძანებელზე, რომელიც თავის უსაზღვრო ძალას იმაზე ხარჯავს, რომ ვარსკვლავებს კბილებითა ტკვერს, როგორც მიუვალ მთებში მდგარ ციხე-დარბაზში მცხოვრებ ფერიაზე. მაგრამ ამის მიზეზი მხოლოდ ისაა, რომ ის ხალხი სხვა მზის ქვეშ ცხოვრობს და როსტბიფის ნაცვლად, ხილს შეექცევა.

— განა ჩვენ კი არა გვაქვს მშვენიერი ზღაპრები? — ჰკითხა დაგნი.

გვაქვს, შესანიშნავი ზღაპრები გვაქვს, მაგრამ სხვანაირი. ჩვენ ის უღმერთოდ მწველი და თვალისმომკრელი მზე არ დაგვნათის. ჩვენი ზღაპრები მოგვითხრობენ პტლდრეზე, ტყის ავ პულებზე, რომლებიც მიწაზე დალოდავენ, ანდა სულაც შიგ მიძვრებიან. ეს ზღაპრები ლატაკი ფანტაზიის ნაშობნი არიან და ზანთრის ბნელ ღამეებში, ზის ქოხებში, მზრჩოლავი. ღამფის შუქზე არიან ჩასახულნი. „ათას ერთი ღამის“ ზღაპრები თუ წაუკითხავს ოდესმე? აი გუდბრანის ველის ზღაპრებში სევდიანი გლეხური პოეზია და უნდოლი ფანტაზიაა.

ეს სხვა საქმეა, ეს ჩვენი ზღაპრებია, ჩვენი სულის ხატია. ისინი უშფოთველნი და მახვილგონივრულნი არიან. მათი მოსმენისას შიშისგან კი არ ვკრთით—ვიცინით. ჩვენი ზღაპრების გმირი მშვენიერი უფლისწული კი არა, ვირეშმა მნათეა. არ ეთანხმება? დიახ, რა თქმა უნდა, ნურღანური ზღაპრები. მაგრამ განა იგივე არ არის? რა გამოვძერწეთ, მაგალითად, ზღვის ველური, მისტიური სილამაზისგან. თუნდაც ვიკინგთა ნავი ავიდოთ. აღმოსავლეთის ნავსა—მახ, ზღაპრულ ხომალდად, სულელების ხომალდად აქცევდა. ოდესმე თუ უნახავს ასეთი ნავი? შეხედავ თუ არა, მაშინვე გამოიცნობ რა სქესს ეკუთვნის, ლეკვებით მუცელგამოტენილ უზარმაზარ ძუს მიაგავს, კიჩო ბრტყელი აქვს, იმიტომ, რომ ხანდახან უკანა თათებზე ჯდება, ცხვირი გიგანტური რქასავით მაღლა აქვს აშვერილს, რომ ოთხივე კუთხის ქარს შეერკინოს. არა, ჩვენ ძალიან შორს ვცხოვრობთ, ჩრდილოეთით. მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, აგრონომის ძალზე არაკომპეტენტური აზრია გეოგრაფიულ ფაქტზე.

ეტყობა, დაგნის მობეზრდა მისი ლაყბობა, ლურჯ თვალებში დაცინვა გაუკრთა და ჰკითხა:

— რომელი საათია?

— რომელი საათია? — დაბნეულად ჩაკითხა ნაგელმა. — ალბათ, დაახლოებით პირველი იქნება. ჯერ გვიან არ არის და საერთოდ რა მნიშვნელობა აქვს.

სიჩუმეა.

— მოგწონთ ტოლსტოი? — ჰკითხა ქალმა.

— მე ტოლსტოი კი არა, — სხარტად მიუგო ნაგელმა და მაშინვე ჩაეჭიდა ახალ თემას, — „ანა კარენინა“, „ომი და მშვიდობა“ და ...

მაგრამ ქალმა ღიმილით შეაწყვეტინა:

— მარადიულ მშვიდობაზე რაღას იტყვით?

კითხვა მიზანს მოხვდა. ნაგელს ნირი წაუხდა და დაიბნა.

— მაგით რა გინდათ თქვათ? გასაგებია, საშინლად მოგაბეზრეთ თავი.

— მერწმუნეთ, უცბად მომივიდა თავში აზრად. — მიუგო ქალმა და გაწითლდა. — ნუ გეწყინებათ. საქმე ისაა, საქველმოქმედო ბაზრის მოწყობას ვაპირებთ სახელმწიფოს თავდაცვის ფონდის სასარგებლოდ. მხოლოდ ამიტომ დაგისვით ასეთი კითხვა.

სიჩუმეა. უცბად ნაგელი თავს მაღლა იღებს და თვალებგაბრწყინებული შეჰყურებს.

— ისე ბედნიერი ვარ დღეს.. მინდა, თქვენც იცოდეთ. ალბათ, ამიტომაც ვლაყბობ ამდენს. ყველაფერს შევხარი. მიხარია, რომ თქვენთან ერთად ვსეირნობ. ეს ღამეც მახარებს. ასე მგონია, რაც კი აქამდე ღამე მინახავს, ყველა ღამეზე მშვენიერია—მეტეჰი. არ ვიცი, რა მომდის. თითქოს მეც ამ ტყის, ამ მიწის, ფიჭვის ტოტის ან ქვის ნაწილი ვარ. დიახ, დაე, თუნდაც ქვის იყოს, მაგრამ ქვის, რომელიც იმ ნაზი სურნელითა და მყუდროებითაა გაედენთილი, გარს რომ გვარტყია. იქით გახედეთ — უკვე თენდება, ხედავთ იმ ვერცხლისფერ ზოლს?

ორივე პორიზონტზე გაწოლილ ვერცხლისფერ ზოლს შეჰყურებდა.

დღეს მეც კარგ გუნებაზე ვარ, — თქვა დაგნიმ.

და ეს კითხვის პასუხად კი არა, ისე, თავისთავად, სრულიად უშუალოდ თქვა, თითქოს ამის თქმა უხარიაო. ნაგელმა გამომცდელად ჩახედა სახეში

და თვალეზზე ისევ მოადგა ცრემლი. ფიცხად, არეულ-დარეულად ალაპარაკდა ივანობა ღამეზე, ქარზე, ხეთა კენწეროებს რომ არხევს და გუგუნებს, უთხრა, რომ ამ განთიადმა გარდაქმნა იგი, სულ სხვანაირი ძალა შეაბერა. გრუნდვიგი მღერის: „განთიადმა შეღება ცა და ღამე მიიღია“. თუ ყბედობით მოლალა, მაშინ ტოტიტა და ჩალის ღეროთი ფოკუსს უჩვენებს და ქალი დაინახავს, რომ ჩალის ღერო ტოტზე მაგარია. მზადაა, რასაც კი ისურვებს, ყველაფერი გააკეთოს მისთვის. ერთი ამას შეხედეთ... ნება მომეცით, თქვენი ყურადღება მივაპყრო ერთ წვრილმანს, რომელმაც, მიუხედავად ამისა, შეაბეჭდილება მოახდინა ჩემზე... იმ განმარტოებით მდგარ ღვიის ბუჩქს შეხედეთ, თაყვანის საცემად დახრილა ჩვენს წინ და ვხედავ, რომ სიკეთითაა სავსე. ახლა ობობას შეხედეთ, ქსოვს და ქსოვს თავის აბლაბუდას ფიჭვიდან ფიჭვზე. აბლაბუდა — ჩინური ხელსაქმის იშვიათი ნაწარმი; მზე, წყლის უწვრილეს ცვართაგან შეთხზული. ხომ არ გცივათ? დარწმუნებული ვარ, ჩვენს ირგვლივ ახლა თბილი, პირმცინარე ელფები ცეკვავენ. მაგრამ თუ გცივათ, კოცონს დივანებზე... იცით, უეცრად ერთი აზრი დამებადა თავში: კარლსენი აქ, ახლომახლო ხომ არ უნახავთ?

რა მოხდა, შური იძია, ქალმა რომ დასცინა? მისგან ყველაფერია მოსალოდნელი.

დაგნი აფეთქდა და მკვახედ მიუგო:

— თავი გაანებეთ, გთხოვთ. ასე როგორ შეიძლება!

— მომიტევეთ! — საჩქაროდ მიუგო ნაგელმა. — ამბობენ, თქვენზე იყო შეყვარებულიო. მე ისე კარგად მესმის ეს...

— ჩემზე იყო შეყვარებული? ის კი აღარ უთქვამთ, რომ ჩემი გულისთვის, ჩემივე ჯაყვით მოიკლა თავი? კმარა, წასვლის დროა.

ქალი ადგა. იგი ოდნავ სევდიანად, მაგრამ დარცხვენისა და თვალთმაქცობის გარეშე ლაპარაკობდა. ნაგელი ძალიან გაოცებული იყო. მაშასადამე, ქალმა იცოდა, რომ ერთ-ერთ ტრფიალს თავი მოაკვლევინა, მაგრამ ამ ამბავს ძალიან უბრალოდ უყურებდა, სასაცილოდ არ მიაჩნდა, მაგრამ არც თავის სასარგებლოდ იყენებდა. უბრალოდ თვლიდა, რომ საწყენი ამბავი მოხდა, ეს იყო და ეს. მის გრძელ ქერა ნაწნავს კაბის საყელო მოეჭუჭნა, ღამის სიგრილისგან ლოყები შეფაქლოდა. მიდიოდა და ოდნავ მიაჩნებდა თემოებს.

ტყე გამოლიეს და თვალწინ ტრიალი მინდორი გადაეშალათ. საიდანღაც ძაღლის ყეფა ისმოდა და ნაგელმა თქვა:

— აგერ პასტორის კარ-მიდამოც. რა მყუდროა ულრანი ტყით გარშემორტყმული თეთრი შენობები, ბაღი, ძაღლის ხუხულა, ბაირადის იელი, როგორ გგონიათ, ფრეკენ, გული არ დაგწყდებათ, როცა აქედან წახვალთ, მინდოდა, მეთქვა, როცა გათხოვდებით-მეთქი? თუმცა, გააჩნია, სად იცხოვრებთ.

— ჯერ არ მიფიქრია ამაზე, — მიუგო ქალმა და მერე დასძინა: — ვინ იცის, წინ რა გველის?

— თქვენ ბედნიერება გელით.

სიჩუმე ჩამოვარდა. დაგნი მიდიოდა და ეტყობოდა, ნაგელის სიტყვებზე ფიქრობდა.

— ყური მიგდეთ, — უცბად თქვა მან, — ნუ გაგიკვირდებათ, რომ გვიანობამდე ვსეირნობ თქვენთან ერთად. ჩვენთან ეს მიღებულია. ჩვენ ხომ გლე-

ხები, ასე ვთქვათ, ბუნების შვილები ვართ. მე და ადიუნქტს ხშირად გვიხე-
ტიალია ტყეში და გათენებამდის გვისაუბრია.

— თქვენ და ადიუნქტს? მე მგონი, მაგ კაცს ბევრ ვერაფერზე ესაუბრები.

— დიახ, რა თქმა უნდა, უფრო მე ვლაპარაკობ ხოლმე, ესე იგი, ნაირნაირ
კითხვებს ვუსვამ, ის კი მპასუხობს... შინ რომ მიხვალთ, ~~მას მინახავს~~

— ახლა? — შეეკითხა ნაგელი. — მივალ თუ არა, ~~დაწვნი და დაქინებ.~~
მკვდარივით დამეძინება და შუადღემდე თვალს არ გაუახელ. სიზმარსაც არ ენა-
ხავ. თქვენ რაღას იზამთ?

— განა არაფერზე ფიქრობთ ხოლმე? დაძინებამდე არასოდეს გიფიქრიათ
დიდხანს სხვადასხვა რამეზე? მართლა უმაღვე იძინებთ?

— იმავე წუთს. თითქოს სადღაც ჩავეშვით. თქვენ არა?

— ყური უგდეთ, პირველი ჩიტი გალობს. არა, ახლა, ალბათ, გაცილებით
გვიანია. მაჩვენეთ, თქვენს საათს დავხედავ. ღმერთო ჩემო, უკვე მეოთხე სა-
ათია, მალე ოთხი იქნება! ამ ცოტა ხნის წინ რატომ მითხარით, ჯერ პირველი
საათიო?

— მაპატიეთ!

ქალმა მშვიდად შეხედა და უპასუხა:

— არ უნდა მოგეტყუებინეთ. მე მაინც ვისეირნებდი თქვენთან ერთად,
ამას სავსებით გულწრფელად ვამბობ. იმედი მაქვს, ცუდად არ ჩამომართმევთ.
უბრალოდ, აქ ძალიან ცოტა გასართობი მაქვს, ამიტომ, რაც მომხვდება, ორივე
ხელს ჩაეჭიდებ ხოლმე. რაც აქ გადმოვედით, მას შემდეგ მივეჩვიე ასეთ ცხოვ-
რებას და არა მგონია, ვინმემ დამძრახოს. თუმცა, იქნებ, ვცდებოდე კი-
დეც... ჩემთვის სულერთია. ყოველ შემთხვევაში, მამა არაა წინააღმდეგი,
მე კი მხოლოდ მის აზრს ვაფასებ. მოდიოთ, ცოტა კიდევ გავიაროთ.

პასტორის სახლს გვერდით ჩაუარეს და ისევ შევიდნენ ტყეში. ჩიტები
უკვე თავგადაკლული ჭიკჭიკებდნენ, აღმოსავლეთით გაწოლილი ვერცხლის ზო-
ლი კი სულ უფრო და უფრო ფართოვდებოდა.

საუბარი ნელ-ნელა მიიბჟუტა და მხოლოდ უმნიშვნელო ამბების გარშე-
მოლა ტრიალებდა.

უკან მობრუნდნენ და ჭიშკართან შედგნენ.

— მოვდივარ, მოვდივარ! — გაეხმიანა დაგნი ძალს, რომელიც ჯაჭვზე
იწყვეტდა.

— გმადლობთ, რომ გამომაცილეთ, ბატონო ნაგელ, საუცხოო საღამო იყო.
ახლა, როცა ჩემს საქმროს წერილს მიეწერ, უკვე ვიცი, რასაც მოვუყვები.
მიეწერ, რომ თქვენ ისეთი კაცი ხართ, რომელიც არავის არაფერში არ ეთან-
ხმება. პირდაპირ თვალწინ მიდგას, როგორ ჩაფიქრდება წერილზე, როგორ გა-
უყვირდება! ასეთი ხასიათი მისთვის გაუგებარია. არა, ამას ნამდვილად ვერ
წარმოიდგენს. თვითონ საოცრად კეთილია. ღმერთო ჩემო, რა კეთილია! წი-
ნააღმდეგობას არაფერში გაგიწევთ! გული მწყდება, თქვენს აქ ყოფნაში რომ
ვერ გაიცნობთ, ძილი ნებისა.

ნაგელმაც მიუგო:

— ძილი ნებისა, ძილი ნებისა, — და სანამ ქალი შინ არ შევიდა, თვალი
არ მოუცილებია.

ნაგელმა ქუდი მოიხადა და სანამ ტყეს გაივლიდა, ფიქრში გართულს,
ხელში ეჭირა. ხშირად შედგებოდა ხოლმე, გზას თვალს მოწყვეტდა, ერთ წუთს

პირდაპირ იყურებოდა უძრავად მდგარი, მერე ისევ ნება-ნება მიჰყვებოდა გზას. ღმერთო, რა ხმა აქვს! რა ხმა აქვს! რაღაც საოცრებაა, ხმა კი არა, სალამურია!

თარგმანი
ზინზინოვსკი

IX

მეორე დღე, გვიანი დილა.

ნაგელი ის იყო ადგა და უზმოდ გავიდა გარეთ, ქალაქის ქვემო უბნისკენ დაუყვა ქუჩას და ბოლოს ნავსადგურთან ამოჰყო თავი. ეს ადგილი ხალისიანი ჩოჩქოლით იზიდავდა, ამინდიც საუცხოო იდგა. უცბად ვიღაც გამვლელი შეაჩერა და საოლქო სასამართლოს კანცელარია სად არისო, ჰკითხა. გზა მიაწავლეს თუ არა, შებრუნდა და მაშინვე იქით გასწია.

კანცელარიის კარზე დააკაკუნა და შევიდა. ოთახში ორი ბატონი იჯდა, და რაღაცას წერდა. ნაგელმა გვერდზე ჩაუარა მათ და რწმუნებულ რეინერტს თხოვა: თქვენთან პირისპირ მაქვს სალაპარაკო და რამდენიმე წუთი დამითმეთ, დიდხანს არ გაგაცდენთო. რწმუნებული უხალისოდ ადგა და მეზობელ ოთახში გაიყვანა.

მაშინ ნაგელმა უთხრა:

— მომიტევეთ, რომ კიდევ ერთხელ ვუბრუნდები ამ საქმეს. ალბათ, ხედვებით, მაიცას ამბავი მაქვს მხედველობაში. დიდ ბოდიშს ვიხდი თქვენს წინაშე.

— მას შემდეგ, რაც ივანობა ღამეს სახალხოდ მომიბოდიშეთ, ამ ინცინდენტს დამთავრებულად ვთვლი.

— კეთილი და პატიოსანი, — მიუგო ნაგელმა, — მაგრამ უბედურება ის არის, ბატონო რწმუნებულო, რომ საქმის ასე მოტრიალება ხელს არ მძლევს. ჩემს თავზე არ გეუბნებით, პირადად მე არაფერზე გედავებით — მაიცაზე მოგახსენებთ. იმედი მაქვს, დამეთანხმებით, რომ მაიცაც უნდა დააკმაყოფილოს ვინმემ და ეს ვინმე სწორედ თქვენ უნდა იყოთ.

— რაო, ხომ არ გინდათ, რაღაც უწყინარი ხუმრობის გამო, იმ ჭკუანაკლულს ბოდიში მოვუხადო? ასეა, არა? იქნებ ჯობდეს, საკუთარი საქმისთვის მიგეხედათ და არ...

— დიახ, დიახ, დიახ, დიახ, ეგ ძველი სიმღერაა! მაგრამ, მოდით, საკითხის არსს დავუბრუნდეთ. თქვენ მაიცას სერთუკი დაუხიეთ და სანაცვლოდ ახალს შეპირდით. ხომ გახსოვთ?

— აი, რას გეტყვით: შინ წუ გგონიათ თავი, აქ სასამართლოა, თქვენ კი დგახართ და ღმერთმა უწყის, რას არ როშავთ კერძო საქმეზე, რომელიც, ეგეც არ იყოს, თქვენ სულაც არ გეკითხებათ. აქ მე ვარ უფროსი. კანცელარიაზე გავლა არ დაგჭირდებათ, ქუჩაში გასვლა აქედანაც შეიძლება.

და რწმუნებულმა პატარა კარი გამოაღო.

— მადლობა მომიხსენებია, მაგრამ, ხუმრობა იქით იყოს და, თქვენ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოთ მაიცას შეპირებული სერთუკი. მშვენივრად იცით, რომ მაიცას სერთუკი სჭირდება და თქვენი დანაპირები დაიჭერა.

რწმუნებულმა კარი ყურთამდე გაუხსნა ნაგელს და უთხრა:

— გთხოვთ!

— მაიცას წესიერი კაცი ჰგონიხართ და არ უნდა მოატყუოთ.

პასუხად რწმუნებულმა კანცელარიის კარი შეაღო და იქ მჯდომ ორ მოხე-

ლეს უხმო. მაშინ ნაგელმა ქუდი აიღო და აჩქარებული ნაბიჯით გამოვიდა, კრინტი აღარ დაუძრავს.

რა სულელურად აეწყო ყველაფერი! სულ ტყუილად მოკიდა ამ საქმეს ხელი, სჯობდა არაფერი ეთქვა. ნაგელი შინისკენ გაეშურა, ისაუზმა, გაზეთები წაიკითხა და ლექვ იაკობსენს გაეთამაშა.

ნასადილევს ნაგელმა თავისი ოთახის ფანჯრიდან მარცხ-დაინახა. ზურგზე ნახშირის ტომარა მოეგდო და ნავსადგურიდან მომავალ აღმართს მოუყვებოდა. ტომრის სიმძიმეს ისე გაეკრა მიწასთან, რომ ოთხად მოკაკული, საკუთარ ფეხებსაც ველარ ხედავდა. ძლივს მიჩოჩავდა და საერთოდ ისე უცნაურად დადიოდა, რომ ლაგებშია შარვალის მთლად ჩამოფლეთოდა. ნაგელი მის სანახევად გამოვიდა და ზუსტად ფოსტასთან შეხვდა, სადაც მაიცამ სულის მოსაოქმელად ტომარა მოიხსნა.

ორივემ ერთნაირად მდებალი სალამი უძღვნა ერთმანეთს. მაიცა წელში გასწორდა და მარცხენა მხარე ჩამოუვარდა. მოულოდნელად ნაგელი სწორედ ამ მხარეში ჩაატრინდა და საშინლად აღგზნებულმა, ხელშეუშვებლად ჰკითხა:

— სადმე წამოგცდათ, ფული რომ მოგეცით? ვინმეს უთხარით?

მაიცა დაიბნა და წაილულლულა:

— არა, არავის, კაციშვილსთვის არ მითქვამს.

— გაფრთხილებთ, — განაგრძო მღელვარებისგან გაფითრებულმა ნაგელმა, — ვინმესთან ერთი სიტყვაც რომ დაგცდეთ იმ ორიოდე შილინგზე, მოგკლავთ, დიახ. უბრალოდ ავდგები და მოგკლავთ, ღმერთია მოწამე! გამიგეთ? ბიძათქვენსაც უთხარით, ენას კბილა დააჭიროს!

გაოგნებული მაიცა პირდაღებული იდგა. ძლივძლივობით მოახერხა ხმის ამოღება და აბნეულ-დაბნეულად წაიბურტყუნა: არავის ეტყვის, პირობას იქლევ, რომ არავის ეტყვის.

ნაგელმა კი, თითქოს თავისი სიფიცხის გასამართლებლად, საჩქაროდ დაუმატა:

— ეს რა ქალაქია! ნამდვილი სოროა, კრაზანების ბუდე! ყველა თვალდაჭყეტილი შემომყურებს, ყოველ ნაბიჯს უთვალთვალევენ, პირდაპირ ფეხი ველარსად გამოდგამს! მაგრამ ნებას არავის მივცემ ასე მიჭვრიტინონ! ეშმაკსაც წაუღია ეს ხალხი! მე უკვე გაგაფრთხილეთ. აი, რას გეტყვით კიდევ: მე მგონია, და საფუძველიც მაქვს რომ ვიფიქრო, ეს თქვენი ფრეკენ ჰელანი, პასტორის კარმიდამოდან, დიდი ეშმაკი ვინმეა. თქვენ ვერც კი გაიგებთ, ისე თვალსა და ხელშია მოგატყუებთ და ყველაფერს დაგცინცლავთ. მაგრამ მე ვერ ავიტან მაგისტანა ცნობისმოყვარეობას. ვერასგზით ვერ მოვითმენ! სხვათაშორის, გუშინ მთელი სალამო მასთან გავატარე. დიდი პრანჭია ვინმეა, თუმცა, ახლა ეგ არაფერ შუაშია. კვლავ მინდა გთხოვოთ, არაფერი თქვათ იმ უმნიშვნელო შემწეობაზე, რომელიც გაგიწიეთ. ძალიან კარგია, რომ ახლა შეგხვდით, — განაგრძო ნაგელმა, — კიდევ ერთ რამეზე მინდა მოგელაპარაკოთ. თუ გახსოვთ, ორი დღის უკან სასაფლაოზე ერთად ვისხედით საფლავის ქვაზე.

— დიახ.

— მე მაშინ საფლავის ქვაზე ლექსი წავაწერე. ვალიარებ, საბაგელო, უხამსი ლექსი იყო, მაგრამ ეგ არ არის მთავარი. მოკლედ, ლექსი წავაწერე და, როცა წამოვედი, არ წამიშლია, რამდენიმე წუთის შემდეგ კი უკან მიბრუნებულს, იქ აღარ დამხვდა, ვილიცას წაეშალა. თქვენ ჰქენით?

მაიცამ თვალები დახარა და მიუგო:

— დიახ.

სიჩუმე ჩამოვარდა.

მაიცა საშინლად აღელდა, რომ ასეთ თავხედურ საქციელზე წაასწრეს. უხერხულობისგან ენადაბმული ცდილობდა აეხსნა, რატომ გადაწყვიტა თვითონ მოეგვარებინა ეს საქმე.

— ისე მინდოდა ამეცილებინა... საქმე ისაა, რომ თქვენ არ იცნობდით მინა მეექვსე, თორემ ამის უფლებას თავს არასოდეს მისცემდით, იმ ლექსს არ წაუწერდით. მაშინვე ვიფიქრე: დამნაშავე არ არის, იგი ამ ქალაქში უცხო კაცია, მე კი აქაური ვარ და სულ იოლად შემძლია ამ საქმის გამოსწორება. განა ასე არ უნდა მოვექცეულიყავი? ლექსი წავშალე. არავის წაუკითხავს.

— საიდან იცით, რომ წაკითხვა ვერავინ მოასწრო?

— კაციშვილს არ წაუკითხავს, დარწმუნებული ვარ. თქვენ და ექიმი სტენერსენი სასაფლაოს კარამდე მიგაცილეთ თუ არა, მყისვე დავბრუნდი და წავშალე. ისე მალე მივბრუნდი, რომ...

ნაგელმა შეხედა, მერე ხელი გაუწოდა და მაგრად ჩამოართვა, თვალი თვალში გაუყარეს ერთმანეთს. ნაგელს ტუჩები უთრთოდა.

— მშვიდობით, — უთხრა მან. — ჰო, მართლა, სერთუკი მიიღეთ?

— ჰმ... მე მაინც დარწმუნებული ვარ, როცა დამჭირდება, მივიღებ. სამი კვირის მერე...

ამ დროს გვერდით ჭადარა ქალმა ჩაუარათ — მარტა გუდემ, კვერცხით მოვაჭრემ. ქალათა, როგორც ყოველთვის, წინსაფრისთვის ამოეფარებინა და შავი თვალები ძირს დაეხარა. მაიცა მიესალმა, მერე ნაგელიც, მაგრამ ქალმა ოდნავ დაუკრა თავი და გამალებულმა განაგრძო გზა. ბაზრისკენ გაეშურა, მაშინვე გაყიდა ორი-სამი კვერცხი, რამდენიმე შილინგი აიღო და ისევ საჩქაროდ გასწია სახლისკენ. ქალს მწვანე კაბა ეცვა. ნაგელს თვალთახედვიდან არ გაუშვია.

— მაშ, სერთუკი მხოლოდ სამი კვირის შემდეგ დავჭირდებათ. მაინც რა იქნება სამი კვირის მერე?

— საქველმოქმედო ბაზარი, დიდი საღამო ეწყობა, განა არ გაგიგიათ? მეც ვიღებ მონაწილეობას ცოცხალ სურათებში, ფრეკენ დაგნიმ მიმიწვია.

— აჰა, — დაფიქრებულმა თქვა ნაგელმა. — რა გაეწყობა, ამ დღეებში მიიღებთ სერთუკა, დარწმუნებული ვარ. და თანაც ნახმარს კი არა, ახალს, როგორც პირობა იყო, რწმუნებულმა დღეს თვითონ მითხრა ეს. კაცმა რომ თქვას, ურიგო ადამიანი არ არის... მაგრამ დაიხსომეთ, არავითარ შემთხვევაში არ უნდა გადაუხადოთ მადლობა! და აი, კიდევ რა: მისი თანდასწრებით არასოდეს სიტყვაც არ დასძრათ ამ სერთუკზე. თქვენი მადლობა არა სჭირდება, გაიგეთ?... ასე თქვა, ძალიან მეწყინებო. ალბათ, თვითონაც ხედებით, იმ ამბავს თუ გაახსენებთ, ფრიად უტაქტო საქციელი გამოგივათ, — ხომ იცით, მაშინ მთვრალი იყო და სასტუმროდან დაქმუჭნილი შლაპით წავიდა.

— დიახ.

— ბიძათქვენსაც ნუ ეტყვით, საიდან გაქვთ ახალი სერთუკი. კაცმა-სულიერმა არ უნდა იცოდეს! ამას დაუინებით მოითხოვს რწმუნებული. თავადაც ვესმით, რომ არ უნდა ქალაქში იფიქრონ, თითქოს მას არაფრად უღირდეს კაცის შეურაცხყოფა და მერე სერთუკის ჩუქებით დანაშაულის გამოსყიდვა.

— დიახ, მესმის.

— ყური მიგდეთ, ეს მხოლოდ ახლა მომივიდა თავში: ურიკით რატომ არ ეზიდებით ნახშირს?

— ურიკის ხმარება არასდროებით არ შემოიღია ჩემი ხეობის გამო. მძიმე ტომრების ზიდვა შემოიღია, თუ უცბად არ მოვიგდებ ზურგზე, მაგრამ საკმარისია ურიკას ხელი მოვკიდო და გავაგორო, დაძაბულობისგან ისე მეცლება ღონე, რომ მაშინვე ვვარდები, ცხვირ-პირს ვიმტვრევ და სამინელი ტკივილი მეწყება. ტომრებს კი უფრო იოლად ვერევი.

— თუ ასეა, მაგას რა სჯობია. ამ დღეებში რამენაირად შემომიარეთ. არ დაგავიწყდეთ, მეშვიდე ოთახია. ნუ მოგერიდებათ.

ეს უთხრა, მაიცას ხელში ასიგნაცია ჩაუდო და ჩქარი ნაბიჯით დაადგა გზას ქვევით, სანაპიროსკენ. ამ ხნის განმავლობაში მწვანე კაბა მხედველობიდან არ გაუშვია და ახლა კვალდაკვალ მიყვებოდა.

მარტა გუდეს პატარა სახლს რომ მიაღწა, შედგა და აქეთ-იქით გაიხედა. თვალს არავინ ადევნებდა. დააკაკუნა, მაგრამ ხმა არავინ გასცა. უკვე ორჯერ იყო აქ, არც მაშინ გამოხმაურებია ვინმე კაკუნზე. ამჯერად კი თავისი თვალთ დაინახა, რომ ბაზრიდან ქალი შინ დაბრუნდა. უნახავად წასვლა არ უნდოდა, ამიტომ მტკიცედ შეალო კარი და შევიდა.

ქალი შუა ოთახში იდგა და უყურებდა. დაბნეულობისგან ადამიანის ფერი აღარ ედო და მთლად სასომიხდილმა ხელებიც კი გაასავსავა.

— გთხოვთ მაბატოთ, ფრეკენ, რომ ასე ჩაგაცივდით, — უთხრა ნაგელმა და უღრმესი პატივისცემით დაუკრა თავი, — დიდად დაგიმადლებდით, თუ ნებას მომცემთ, გესაუბროთ. ნუ ღელავთ, დიდხანს არ შეგაყოვნებთ. საქმე, რისთვისაც გაწუხებთ, სულ რამდენიმე წუთში შეიძლება მოგვარდეს. უკვე არაერთხელ ვცადე მენახეთ, მაგრამ, ვაი, რომ ამოდ. მხოლოდ დღეს გამიღიმა ბედმა და შინ შეგისწარი. ჩემი გვარი ნაგელი გახლავთ. მე ჩამოსული ვარ და სასტუმრო „სენტრალში“ ვცხოვრობ.

ქალს ჯერ კიდევ ვერ მოეხერხებინა ხმის ამოღება, მაგრამ სკამი მიუწია, თვითონ კი სამზარეულოს კართან გაჩერდა. ძალზე დარცხვენილი იყო და სულ წინსაფარს აცოდვილებდა.

ოთახი ზუსტად ისეთი იყო, როგორც ნაგელს წარმოედგინა: მაგიდა, ორი სკამი და საწოლი — ეს იყო და ეს. ფანჯრის რაფაზე რამდენიმე ქოთან იდგა, შიგ თეთრი ყვავილები ხარობდა. მაგრამ ფანჯრებს ფარდა არ ეფარა და იატაკიც დიდი სისუფთავით ვერ დაიკვეხიდა. ნაგელმა დანჯღრეული, მაღალ-ზურგიანი სავარძელიც დაინახა, რომელიც საწოლის გვერდით, კუთხეში იდგა. წითელ პლუშგადაკრულ სავარძელს ორი ფეხილა შერჩენოდა და კედელთან მიედგათ. ძალიან უბადრუკი ჩანდა.

— ნეტა კი თქვენი დამშვიდება მომახერხებინა ფრეკენ, — კვლავ მიმართა ნაგელმა. — მერწმუნეთ, ჩემს დანახვაზე ყველას ასე როდი ეცემა თავზარი, ჰა-ჰა-ჰა-ჰა! აქ, ქალაქში, უკვე სხვებიც მოგინახულე. ნუ გეგონებათ. მხოლოდ თქვენ შემოგეჭვრით ასე უბოდიშოდ. ერთი სახლიდან მეორეში დავდივარ და ვცდილობ, არავინ გამომრჩეს. თუმცა, ალბათ, თქვენ უკვე გაიგეთ ეს ამბავი, არა? მაგრამ მაინც, როგორც ვთქვი, ისეა. ჩემი პროფესია მაძულებს ასე მოვიქცე. მე ხომ კოლექციონერი ვარ, ანტიკვარულ ნივთებს ვაგროვებ — ვყიდულობ ძველებურ საგნებს და ვიხდი იმდენს, რამდენიც ნამდვილად ღირს.

ოღონდ, ძალიან გთხოვთ, ნუ შეშინდებით, ფრეკენ. ჩუმად არაფერს წავიღებ. ქურდი არა ვარ. ჰა-ჰა-ჰა! ეგ ზნე საერთოდ არა მჭირს. ნუ შეშფოთდებით! თუ პატრონთან რიგიან-პირიანი მოლაპარაკების შემდეგ ამა თუ იმ ნივთის ყიდვა ვერ მოხერხდება, უკან ვიხევ.

— კი, მაგრამ, შე არავითარი ძველი ნივთები არა მაქვს, — როგორც იქნა ამოთქვა ქალმა; აშკარად დიდ სასოწარკვეთილებაში იყო ჩავარდნილი.

— ყოველთვის ასე ამბობენ ხოლმე, — მიუგო ნაგელმა. — მე, რა თქმა უნდა, მესმის, რომ ზოგი ნივთი ადამიანს ძალიან გიყვარს და შელევა გიმძიმს, ნივთი, რომელსაც მთელი სიცოცხლე შესჩვევიხარ, რომელიც მემკვიდრეობით მიგიღია მშობლებისგან, ანდა სულაც წინაპართაგან. მეორეს მხრივ კი, ეს ძველი ნივთები დგას და დგას, კაცს აღარაფერში არგია; მაშ, ტყუილად რატომ უნდა დახაფროს სახლში ადგილი, რატომ უნდა იქცეს მკვდარ კაპიტალად, როცა ამ უსარგებლო ოჯახურ რელიქვიებს ხშირად კაი გვარიანი თანხის შემოტანა შეუძლია? რაღა აზრი აქვს მათ შენახვას, სანამ მთლად არ დაიშლებიან და სხვენზე არ უკრავენ თავს? ვითომ დროზე რატომ არ უნდა გაყიდო კაცმა? ზოგი ბრაზობს ხოლმე, როცა შევდივარ — აქაოდა, სახლში ძველმანებს არ ვინახავთო. რას იზამ? — კეთილი და პატიოსანი, თავის საქმისა ყველამ უკეთ იცის! მეც თავს ვუკრავ და მივდივარ. აქ უკვე ველარაფერს გააწყობ. ზოგი, პირიქით, დაირცხვენს ხოლმე. რცხენიათ ისეთი უვარგისი ნივთის ჩვენება, როგორიცაა, მაგალითად, ძრომომწვარი ტაფა. იმათ ხომ ამ საქმის არა გაეგებათ რა. ასე, უმეტეს შემთხვევაში, მიამიტი ხალხი იქცევა, რომლებიც აზრზე არ არიან, როგორ გავრცელდა ჩვენს დროს კოლექციონერო-მანია. მე შემთხვევით არ მითქვამს „მანია“, თავადაც კარგად მესმის, რომ კოლექციის შეგროვების ჟინი წმინდა წყლის მანიაა, მიყვარს, როცა ყველაფერს თავის სახელს ვუწოდებ ხოლმე. თუმცა, ეს მხოლოდ ჩემი საქმეა და სხვას არ ეხება. ისე კი, აი, რის თქმა მინდოდა: სასაცილო და თანაც სისულელეა, როცა კაცს ანტიკვარული ნივთების ჩვენების რცხენია. როგორღა გამოიყურება ხოლმე ყორღანებში ნაპოვნი ბეჭდები და იარაღი? მაგრამ განა ამიტომ ფასი ეკარგებათ? ხომ მართალია, ფრეკენ? ნეტა კი ჩემი ძროხის ზანზალაკების კოლექცია განახათ! მაგალითად, უბრალო რკინის — ყურადღება მიაქციეთ — უბრალო რკინის ზანზალაკი მაქვს, რომელსაც ინდიელთა ერთი ტომი თაყვანსა სცემდა, როგორც ღვთაებას. აბა, წარმოიდგინეთ, ვინ იცის, რამდენ წელს ეკიდა ეს ზანზალაკი ძელზე ვიგვამში, თაყვანს სცემდნენ და მსხვერპლსა სწირავდნენ. დიახ, წარმოგიდგენიათ! მგონი, ცოტა არ იყოს, გადევუხვიე ჩემი ვიზიტის მიზანს, მაგრამ, დავიწყებ თუ არა ჩემს ზანზალაკებზე ლაპარაკს, ველარ ვჩერდები.

— მე, ღმერთმანი, არაფერი მაქვს ძველებური, — ისევ გაიმეორა მარტამ.

— თუ ნებას მომცემთ, — დინჯად, მცოდნე კაცის იერით დაიწყო ნაგელმა, — თუ ნებას მომცემთ, იმ სავარძელს შევათვალიერებ. მე მხოლოდ გთხოვთ. რა თქმა უნდა, იგულისხმება, რომ თქვენს უნებართვოდ ადგილიდან ფეხს არ მოვიცვლი. სხვათაშორის, შემოვედი თუ არა, ეგ სავარძელი თვალში მომხვდა.

მთლად თავგზადაკარგულმა მარტამ მიუგო:

— აი ეს... ინებეთ... მაგრამ ფეხები მოემტვრა...

— მართალია, ფეხები მომტვრეული აქვს! მერედა, რაო? რა მნიშვნელობა აქვს ამას? მით უკეთესი, მით უკეთესი! მითხარით, თუ შეიძლება, საიდან გაქვთ ეს სავარძელი?

ნაგელს უკვე ჩაებლუჯა სავარძელი, წალმა-უკულმა ატრიალებდა და ყოველი მხრიდან გულმოდგინედ ათვალიერებდა. სავარძელს ვარაყი არ ჰქონდა, საზურგე წითელი ხიგან გამოჭრილი გვირგვინის მაგვარი რაღაცეით შეწყვეტილი, ზურგი მთლად დანით იყო დაჩოქნილი, საჯდომის ხის ჩარჩოზეც მრავალჯერ დაჭრის ნიშნები ჰქონდა — კვალი იმისა, რომ მასზე თამბაქოს სჭრიდნენ.

— სავარძელი საიდანღაც უცხოეთიდან ჩამოიტანეს, მაგრამ, მართალი გითხრათ, არ ვიცი — საიდან. ოდესღაც პაპაჩემმა ჩამდენიმე ასეთი სავარძელი ჩამოიტანა, მაგრამ ახლა ესლა შემორჩა. პაპაჩემი მეზღვაური იყო.

— აჰა! მამათქვენიც მეზღვაური იყო?

— დიახ.

— თქვენც მამასთან ერთად ხომ არ დაცურავდით? მაპატიეთ, რომ გეკითხებით.

— ოჰ, დიახ. დიდი ხნის წინათ ერთად დაცურავდით.

— მართლა? ალბათ, რა საინტერესო იყო! მრავალი ქვეყანა მოგივლიათ, როგორც იტყვიან, ზღვები, ოკეანეები გადაგისერავთ! წარმოგიდგენიათ! მერე ისევ აქ დასახლდით? დიახ, გული ყოველთვის სამშობლოსკენ მოგიწევს — სტუმრად ყოფნა კარგია, მაგრამ შინ ყველას სჯობია... A propos შემთხვევით ხომ არ იცით, სად იყიდა პაპათქვენმა ეს სავარძლები? უნდა მოგახსენოთ, ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, ცოტა რამ მაინც ვიცოდე იმ ნივთებისა, რომელთაც ვაგროვებ. ასე ვთქვათ, მათი ბიოგრაფია.

— არა, არ ვიცი, სად იყიდა. იმდენი ხნის წინ იყო... პოლანდიაში ხომ არ იყიდა? არა, ღმერთმანი, არ ვიცი.

გაკვირვებულმა ნაგელმა შენიშნა, რომ ქალი სულ უფრო და უფრო გამოცოცხლდა. სანამ იგი სავარძელზე ჩადოქრობდა და თითქოს თვალს ველარ სწყვეტდა, მარტა უკვე შუა ოთახში გამოსულიყო და თითქმის გვერდით ამოდგომოდა. ნაგელი შეუსვენებლივ ლაპარაკობდა. ნაირნაირ შენიშვნებს აფრქვევდა სავარძლის მორთულობაზე და პირდაპირ აღტაცებაში მოვიდა. როცა ზურგზე ხეში ერთი-ერთმანეთში ჩასმული ორი ფირფიტა აღმოაჩინა. ძალიან მარტივად და უგემოვნოდ. თანაც ბავშვურად გაუწაფავი ხელით იყო შესრულებული. სავარძელი ძალიან ძველი იყო და ნაგელი დიდი სიფრთხილით ეპყრობოდა.

— დიახ, — ბოლოს და ბოლოს უთხრა ქალმა, — თუ თქვენ მართლა... იმის თქმა მინდა: თუ მართლა ცოტაოდენ სიაშოვნებას მაინც მოგანიჭებთ, მაშინ წაიღეთ ეს სავარძელი, სიაშოვნებით მოგცემთ. თუ გნებავთ, მე თვითონ მოვიტან საატუმროში. მე არა მჭირდება.

და ქალმა უცბად გადიკისკისა. ეცინებოდა, რომ ნაგელი ასე ესწრაფოდა ამ დაჭიანებული სავარძლის დაპატრონებას.

— მაგას ხომ მთელი ერთი ფეხილა შერჩა, — დასძინა მან.

ნაგელმა ქალს შეხედა. თმა კი გათეთრებოდა, მაგრამ, სამაგიეროდ, მშვენიერი კბილები და ახალგაზრდული, გადამდები სიცილი ჰქონდა. სიცილის დროს თვალები უუუუუნებდა. ეს რა შავი თვალები აქვს ამ შინაბერას! მაგრამ სახე ნაგელს უშფოთველი ჰქონდა.

— მოხარული ვარ, — მშრალად თქვა მან, — რომ სავარძელს შევლიეთ და დამითმეთ. ახლა მოდით, ფასზე მოვრიგდეთ. არა, მომიტევეთ, მაგრამ მოთმინება იქონიეთ და ნება მიბოძეთ, პირველმა მე შევაფასო, ახე ვიქცევი ხოლმე ყოველთვის. ნივთს ვაფასებ, რაღაც თანხას ვთავაზობ პატრონს და მორჩა! თქვენ, ვინ იცის, სად გაუტოოთ, ეცდებით, რაც შეიძლება მეტად გამტყუოთ, რატომაც არა? თქვენ, ალბათ, შემესიტყვებით, რომ ძნელად შეიძლება დაგდოთ, ბრალი. კეთილი, მზად ვარ დაგეთანხმოთ, მაგრამ მე ხომ, ვინ იცის, რა ჯურის ხალხთან არა მქონია საქმე, ამიტომ ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, თავად დავაწესო თანხა. ვის-ვის და მე ფასი არ შემეშლება. ჩემთვის ეს პრინციპული საკითხია. თქვენ რომ ნება მოგცეთ, ხელს რა შეგიშლით, მაგალითად, სავარძელში სამასი კრონი მოითხოვოთ? ამას მით უფრო იოლად იზამთ, რომ, როგორც იცით, საქმე, მართლაც, ძალიან ძვირფას და იშვიათ ნივთს ეხება. მაგრამ ეს ზღაპრული ფასია და მაგას ჩემი ჯიბე ვერ გაუძლებს; პირდაპირ გეუბნებით, რომ ტყუილი იმედი არ გქონდეთ. სულაც არ მინდა, გავკოტრდე. გითხრათ ხომ არა ვარ, ამ სავარძელში სამასი კრონი მოგითვალათ. მოკლედ რომ მოვჭრაოთ, ორასს ვიძლევი და არც ერთი შილინგით მეტს. მე ყოველთვის მზად ვარ ნამდვილი ფასი გადავიხადო, მაგრამ მეტი — არავითარ შემთხვევაში!

ქალს კრინტი არ დაუძრავს, მხოლოდ უცქერდა და გაოცებისგან თვალები ფართოდ გაეხილა. ბოლოს და ბოლოს გადაწყვიტა, ხურობსო და ისევ გადიკისკისა, მაგრამ ხმადაბლა და დაბნეულად.

ამ დროს ნაგელმა მშვიდად ამოიღო ჯიბიდან ორი წითელი ასიგნაცია და რამდენჯერმე ჰაერში გააფრიალა, თან სავარძელს თვალს არ აცილებდა.

— არ უარვყოფ, — თქვა მან, — რომ ვინმე სხვა კოლექციონერს იქნებ მეტიც მოეცა. მინდა ბოლომდე პატიოსანი ვიყო და ამიტომ არ დავმალავ, რომ სხვას მოსალოდნელია, ცოტა მეტსაც გამოჩვენოთ. მაგრამ მე უკვე გითხარით ჩემი ფასი — ორასი კრონი. კიდევ ვიმეორებ, რომ ერთი შილინგით მეტის მოცემაც კი არ შემიძლია. როგორც გენებოთ, ისე მოიქეცით, თქვენი საქმეა, მაგრამ ჯერ ყველაფერი კარგად ასწონ-დასწონეთ, არც ორასი კრონი ყრია ქუჩაში.

— არა, — უთხრა ქალმა და დარცხვენილს სახე ღიმილმა გაუნათა, — ეგ ფული თქვენთვის შეინახეთ.

— ჩემთვის შევინახო! ვითომ და რაო? იქნებ ამიხსნათ, რას უწუნებთ ჩემს ფულს? ხომ არ გგონიათ, თვითონ ვჭრიდე? თუ ეჭვი გეპარებათ, ნაქურდალი არ იყოს? ჰა-ჰა-ჰა, ასეა თუ?

ქალი აღარ იცინოდა. როგორც ეტყობოდა, კაცი სერიოზულად ლაპარაკობდა და ისიც შეეცადა, ყველაფერი კარგად მოეფიქრებინა. რა საქმე აქვს ამ შეშლილს მასთან, რა უნდა? ისეთი თვალები აქვს, ალბათ, ყველაფერი შეუძლია ჩაიდინოს. ღმერთმა უწყის, იქნებ, რაღაც ფარული განზრახვა აქვს? ხაფანგს ხომ არ უგებს? რაღა მაინცდამაინც მათ მიადგა თავის ფულიანად? ბოლოს ქალმა, ეტყობოდა, რაღაც გადაწყვეტილება მიიღო და უთხრა:

— რაზან ასე დაგიჩემებიათ, მაშინ ერთი ან ორი კრონი მომეცით ამ სავარძელში და დიდი მადლობელიც დაგიჩემებოთ, მაგრამ მეტს კი არ ავიღებ.

ნაგელს სახეზე უსაზღვრო გაოცება გამოეხატა. მან ერთი ნაბიჯი გადადგა ქალისკენ, შეხედა და მერე ხარხარი ატეხა:

— კი მაგრამ... თუ ფიქრობთ მაინც... რაც კოლექციონერობა დავიწყე, ამისთანა რამეს პირველად გადავეყარე! თუმცა, რა თქმა უნდა, მესმის, რომ ხუმრობთ.

— არა, არ ვხუმრობ. ამისთანა არაფერი გამიგია! რაც გითხარით, იმაზე მეტს არ ავიღებ, საერთოდ არ მინდა არაფერი. თუ გნებავთ, მუქთად წაიღეთ ეგ სავარძელი.

ეროვნული
მუზეუმი

ნაგელი თავშეუკავებლად ხარხარებდა.

— გიმეორებთ, მე მესმის ხუმრობა და ღირსეულადაც ვაფასებ ხოლმე. თქვენი ოხუნჯობით ხომ პიოდაპირ აღტაცებული ვარ, დიახ, ეშმაკმა დალაზვროს, აღტაცებული ვარ. კარგ ოხუნჯობაზე სიცილი არ მომწყინდება. მაგრამ, მე მგონი, ახლა უკვე დროა მოვრიგდეთ, არა? როგორ ფიქრობთ, სანამ ისევ წაგიხდებოდეთ გუნება, ხომ არ გაგვეთავებინა საქმე? თორემ, ვაითუ ისევ კედელთან მიდგათ სავარძელი და ხუთასი მოითხოვოთ.

— თქვენი იყოს ეგ სავარძელი... მე... რა გაქვთ გუნებაში? ერთმანეთს თვალს არ აცილებდნენ.

— თქვენ სცდებით, თუ გგონიათ, სავარძლის ხელსაყრელ ფასად შეძენის გარდა სხვა რამ მაქვს გუნებაში, — უთხრა ნაგელმა.

— ღმერთო ჩემო, პოდა, წაიღეთ, წაიღეთ!

— დიდად გმადლობთ, რომ მზად ხართ, სამსახური გამიწიოთ, მაგრამ ჩვენ, კოლექციონერებს, ჯერ კიდევ მთლად არ დაგვიკარგავს სინდისი, თუმცა ყოველთვის არ გვყოფნის ხოლმე. სწორედ ეს სინდისი მიშლის ხელს, ასე ვთქვათ, მიჯანყდება და ნებას არ მაძლევს, ძვირფასი ნივთი თითქმის მუქთად შევიძინო. ჩემი კოლექცია ჩემს თვალში — მისი პატრონის თვალში — ფასს დაკარგავდა, რომ შიგ ასეთი უბატიოსნო გზით შეძენილი ნივთი შერეულიყო. ჰა-ჰა-ჰა! მართლაც, სასაცილოა, ყველაფერი უკუღმა გამოგვდის. იმის მაგივრად, რომ ჩემი ინტერესი დავიცვა, იძულებული ვარ, თქვენას ვიცავდე. რა გაეწყობა, თავად მაიძულეთ.

მაგრამ ქალი არ ნებდებოდა, ნაგელმა ვერაფერს მიაღწია, იგი მაინც მტკიცედ იდგა თავის სიტყვაზე: დაე, ერთ ან ორ კრონად წაიღოს, მეტად არ მისცემს, თუ არადა, სულაც ნუ ახლებს ხელს. რადგან ქალის სიჯიუტე ვერაფრით გატეხა, მდგომარეობიდან რომ გამოსულიყო, ნაგელმა ბოლოს და ბოლოს თქვა:

— კარგი, დღეისთვის კმარა, სხვა დროისთვის გადავდოთ, ოღონდ, პირობა მომეცით, რომ უჩემოდ არავის მიუიღოთ, შევთანხმდით? ცოტა მეტი გადახდაც რომ მომიწიოს, ამ სავარძელს ხელიდან არ გავუშვებ. ყოველ შემთხვევაში, იმდენს მაინც მოგცემთ, რასაც სხვა გადაიხდის: რაც არ უნდა იყოს, პირველი მე მოვედი.

როცა ნაგელი კვლავ გამოვიდა ქუჩაში, აღელვებული თითქმის გარბოდა. რა ჯიუტია ეს ქალი, თან როგორი ღარიბი და ურწმუნოა! „ნახე, რა საწოლი აქვს?“ თავია თავს დაეკითხა ნაგელი. ზეწარზე რომ არაფერი ვთქვათ, ერთი ბლუჯა თივაც კი არ ეგო; მხოლოდ ორი ქვედატანი ჰქონდა დაფენილი და იმასაც, ეტყობა, როცა ცივა, დღისით ზედ იცვამს ხოლმე. თან ისე ეშინია, ბნელ საქმეში არ გავებვიოთ, რომ ასეთ ხელსაყრელ წინადადებაზე უარს ამბობს. ეშმაკმა დალაზვროს! ნაგელს ვინღა ეკითხება ამ ამბავს? დიახ, კაცმა რომ თქვას, მართლაც, ვინ ეკითხება? მაგრამ ეს რა ქალია! ნამდვილი ქაჯია, არა? სავარძ-

ლის ფანის მოსამატებლად რომ ვინმე მიუგზავნოს, ესეც, ალბათ, საეჭვოდ მოეჩვენება. სულელია, პირწავარდნილი სულელია! ბედი არ გინდა? განა იმისთვის ჩაეჩარა, რომ ასე მოცარვოდა ხელი!

იმდენად იყო განაწყენებული, ვერც კი შენიშნა, როგორ ამოიყვანა თავი სასტუმროსთან. გაოგნებული შედგა, მერე უცხად შეტრიალდა უკან და ქვევით, ი. ჰანსენის სამკერვალო სახელოსნოსკენ დაუყვა ქუჩას. მწკრივს სამკერვალოში შევიდა, ოსტატი გვერდზე გაიხმო და როცა პირისპირ დარჩნენ, მხოლოდ მაშინ დაუკვეთა ასეთი და ასეთი სერთუკი, თან სთხოვა, დაკვეთა არავისთვის გაემხილა. როგორც კი სერთუკი მზად იქნება, დაუყოვნებლივ გაუგზავნონ მაიცას, ესე იგი, გრეგორდს, მოკლედ, აი იმ გვერდმოქცეულ მენახშირეს, რომელიც...

— როგორ, სერთუკი მაიცასია?

— მერედა რაო? ბალიან ცნობისმოყვარე ხართ! გინდათ, ყველაფერი გამოიწვლიოთ, არა?

— არა, ზომის ამბავია.

— აჰა! კეთილი, მაშ, იცოდეთ, რომ ეს სერთუკი მაიცასთვისაა დაკვეთილი. კაცმა რომ თქვას, მაიცას შეუძლია თვითონვე შემოიაროს, რომ ზომები აუღოთ, რატომაც არა. მაგრამ ხმა კრინტა. შევთანხმდით? მზად როდისღა იქნება? ორი დღის შემდეგ? საუცხოოა.

ნაგელმა მაშინვე გადაიხადა ფული, გამოეთხოვა და გამოვიდა. სიამოვნებისგან ხელებს იფშენებდა, წყენა გაუქრა, მიდიოდა და მიიმღეროდა. დიახ, დიახ, მიუხედავად ყველაფრისა, მიუხედავად ყველაფრისა!.. დამაცათ ერთი სასტუმროში მისვლისთანავე, თავპირისმტკრევით ავარდა კიბეზე, ოთახში შევიდა და დარეკა, მოუთმენლობისგან ხელები უცახცახებდა და კარი გაიღო თუ არა, მიაყვირა:

— დებეშის ბლანკები, სარა!

ვიოლინოს ბუდე გახსნილი იყო და სარამ შემოსვლისთანავე გაოცებულმა დაინახა, რომ ამ ბუდეში, რომელსაც მუდამ ასე სათუთად ეპყრობოდა, ვიოლინო კი არა, ჭუჭყიანი თეთრეული, რიდაც ქაღალდები და საწერი მოწყობილობა ელაგა. სარგადაყლაპულივით იდგა შუა ოთახში და ბუდეს შეპყურებდა.

— დებეშის ბლანკები! — კიდევ უფრო აუწია ხმას ნაგელმა, — მე მგონი, დებეშის ბლანკები გთხოვეთ.

ბოლოს, როცა დებეშის ბლანკები შემოუტანეს, ერთ-ერთ მათგანზე თავის ნაცნობს მისწერა ქრისტიანიაში, რომ თხოვს, ანონიმურად გამოუგზავნოს ორასი კრონი მარტა გუდეს, რომელიც აქ, ამ ქალაქში ცხოვრობს. ორასი კრონი, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე. საიდუმლოდ შეინახე, იუჰან ნაგელი.

არა, ასე არ გამოვა! კარგად რომ დაფიქრდა, მიხვდა, მისი გეგმა არაფრად ვარგოდა. უკეთესი არ იქნება, თუ დაწვრილებით აუხსნის რაშია საქმე და წერილს ფულსაც დაურთავა, რათა დარწმუნებული იყოს, რომ მის დავალებას აასრულებენ? დებეშა დაანაკუწა და მაშინვე დაწვა, მერე ფათიფუთით შეუდგა წერილის წერას. დიახ, ასე აჯობებს, სულ ერთი ბეწო წერილიც კი უფრო დამაჯერებელია, ვიდრე დებეშა. აი, ასე კი, მგონი, გამოვა. დაიცადოს, აჩვენებს სეირს, ჯერ სად არის...

მაგრამ, როცა კონვერტში ფული ჩადო და დაბეჭდა, ისევ ჩაფიქრდა: „ქა-

ლი შეიძლება კვლავ დაეჭვდეს, ორასი კრონი დამრგვალებული თანხაა, თანაც ზუსტად იმდენია, ახლახან რომ ცხვირწინ უფრიალებდა. არა, არც ასე ივარგებს!“ ჯიბიდან ქალაღდის ათკრონიანი ამოიღო, კონვერტი გახსნა და შიგ ჩადო, ამგვარად, კიდევ ათი კრონი მიუმატა და საერთო თანხა შეცვალა. მერე ისევ დაბეჭდა წერილი და გააგზავნა.

ერთი საათის მერეც ამ ჩანაფიქრს უტრიალებდა ფეხქვეშაში იყო. ეს ჩინებული წერილი ქალს პირდაპირ ციდან ჩამოუვარდებოდა იდუმალებით მოცული ხელით გამოგზავნილი. ნეტა, რას იტყვის, ფულს რომ მიიღებს? მაგრამ, როცა ხელმეორედაც დაუსვა ეს კითხვა თავს და შეეცადა წარმოედგინა, როგორ მოიქცეოდა ქალი ამ დროს, ისევ დაცა სულით: გეგმა ძალიან თავხედური მოეჩვენა. ერთი სიტყვით, სულელური, არაფრისმაქნისი გეგმაა. რა თქმა უნდა, ქალი ჭკვიანურს არაფერს იტყვის და ყველა სულელზე სულელურად მოიქცევა. წერილს რომ მიიღებს, ვერაფერს მიხვდება, ვინმეს თხოვს, დაეხმაროს და გაარკვიოს, რაშია საქმე. ფოსტაში წერილს თვალსაჩინო ადგილზე გამოდებს, რომ ყველამ კარგად დაათვალიეროს, ფოსტის მოხელეს მაშინვე უკან მიაჩეჩებს ფულს, გაიპრანჭება და იუარებს!... „არა, არა, დაიტოვეთ ეგ ფული!“ მოხელე კი შუბლში ხელს შემოიკრავს და განაცხადებს: „დამაცათ ერთი, მგონი ვიპოვე!“ თავის დავთრებს გადაქეჩავს და აღმოაჩენს, რომ რამდენიმე დღის წინ აქედან გაგზავნილ იქნა ზუსტად იმდენივე თანხა, თანაც იგივე ასიგნაციებით — ორასი ათი კრონი — ქრისტიანიაში ამა და ამ მისამართით. გამგზავნელი კი აღმოჩნდება ვინმე იუჰან ნაგელი, ჩამოსული, რომელიც დროებით სასტუმრო „სენტრალში“ ცხოვრობს... დიხ, ფოსტის მოხელეებს ისეთი გრძელი ცხვირი აქვთ, ყველაფერს გაყნოსავენ ხოლმე.

ნაგელმა ისევ დარეკა და შიკრიკს უბრძანა, სასწრაფოდ უკან დაებრუნებინა წერილი.

მთელი დღე იაე ნერვიულობდა, რომ ბოლოს და ბოლოს ყველაფერი მოგებოდა. კაცმა რომ თქვას, ჯანდაბამდის გზა ჰქონია მთელ ამ ამბავს! განა მიაი ააქმეა, რომ ამერიკის რომელიღაც შორეულ რაიონში უფალი ღმერთი მატარებლებს ერთმანეთს აჯახებს და ხალხი იღუპება? სულაც არ ეკითხება! ასევე არ ეკითხება აქ მცხოვრები ზნეკეთილი ქალწული მარტა გუდე.

ორი დღე სასტუმროდან არ გასულა.

X

შაბათ საღამოს ნაგელთან მაიკა შევიდა. ბედნიერებისგან ბრწყინავდა. ახალი სერთუკი ეცვა.

— რწმუნებული შემხვდა, — თქვა მან, — წარბიც არ შეუხრია. ეგ კი არაა, მეიოხა კიდევ, ახალი სერთუკი საიდან გაქვსო? აი, რა ეშმაკურად გამომცადა.

— თქვენ რაღა მიუგეტ?

— გავიცინე და ვუთხარი, არ გეტყვით, გთხოვთ მაპატიოთ, მაგრამ არავის არ ვეტყვი-მეთქი და გამოვეთხოვე. კარგად მოვახერხე... იცით, აგერ უკვე ოცდაათი წელია, ახალი სერთუკი არ მცმია: გამოვიფთვალე... ჰო, მე თქვენთვის ჯერაც არ გადამიხდია მადლობა იმ ფულისთვის, ბოლოს რომ მომეცით. ჩემნაირი ხეიბარი კაცისთვის მეტისმეტია, სად წავიღო იმდენი ფული? პირდაპირ

თავბრუ მესხმის, იმდენი სიკეთე მიყავით: ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს სახ-
სრებში დავიწალე და შოგნით ყველაფერი მიჩქროლავს. ჰა-ჰა-ჰა! მაგრამ ღმერ-
თი მოწყალეა, არ მიმატოვებს. მე ხომ ბავშვივით ვარ. არა, მე მტკიცედ ვიცი-
დი, რომ ბოლოს და ბოლოს აუცილებლად მივიღებდი ამ სერტუკს. ჰა-ჰა-ჰა! გეუბნე-
ბოდით? ამბობენ, ვინც მორცდის — მოიგებსო. მე ჯერ არ მოიგე, მაგრამ მოცდია
ამაოდ. ლეიტენანტი პანაენი ერთხელ ორ შალის პერანგს შემიწავდა. ჰა-ჰა-ჰა! ღმერ-
ბიც მას აღარ სჭირდება. მან შემდეგ ორი წელი გავიღე. ჰა-ჰა-ჰა! დანაპირებს
მაინც მივიღებ, ამაში ისე ვარ დარწმუნებული, თუნდაც ზედ მცმია უკვე. ყო-
ველთვის ასეა ხოლმე, ადრე თუ გვიან ხალხს თავიანთი დანაპირები აგონდება
და რაც მჭირდება, ყველაფერს მაიღებენ. თქვენ არ გეჩვენებათ, რომ მას შემ-
დეგ, რაც რიგიანად მაცვია, სხვა კაცი გავხდი?

— დიდი ხანია ჩემთან აღარ ყოფილხართ.

— ახლავე აგიზნაით. ახალ სერტუკს ველოდებოდი მტკიცედ გადაწყვეი-
ტე, ძველი სერტუკით აღარ მოვსულიყავი თქვენთან. იცით რა, ცოტა ახირე-
ბული კაცი ვარ, არ მსიამოვნებს საზოგადოებაში დახეული სერტუკით გარევა.
ღმერთმა უწყის, რატომ, მაგრამ საკუთარი თავის პატივისცემას ვკარგავ. თავ-
მოყვარეობას მილახავს. მომიტევეთ კი, რომ საკუთარ თავმოყვარეობაზე ისე
ვლაპარაკობ, თითქოს ისეთი რამ იყოს, რასაც აუცილებლად უნდა გავწიოს
ანგარიში. სულაც არა, გარწმუნებთ, საიდან სადაო!.. და მაინც, დროდადრო
უცბად გამიჩნდება ხოლმე ეს გრძნობა.

— ღვინოა ხომ არ დაღვედით? არა, მაშ. იქნებ, სიგარო მაინც მოგე-
წიათ?

ნაგელმა ღარევა და ბრძანა, ღვინო და სიგარები მოეტანათ. მაშინვე
სმა დაიწყო და ბევრსაც სვამდა, მაიცა კი მხოლოდ ეწეოდა. ჭერში იყურებოდა
და ლაპარაკობდა და ლაპარაკობდა, თითქოს არასდროს გაჩუქდებოდა.

— ყური მიგდეთ, — უთხრა უეცრად ნაგელმა, — იქნებ, პერანგების
საქმე ვერა გაქვთ კარგად? მაპატიეთ, ამას რომ გეკითხებით.

— მიწა გამისკდეს, თუ მაგრტომ შეხსენებინოს ის ორი პერანგი, — საჩქა-
როდ უბასუხა მაიცამ.

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა! ასე რამ გაგაფიცხათ? თუ წინააღმდეგი
არა ხართ, ნება მომეცით, შევხედო, რა გაცვიათ სერტუკებში.

— სიამოვნებით გაჩვენებთ, დიახ, დიახ, ინებეთ, ნახეთ! როგორც ხედავთ,
უკანა მხარე მშვენიერადაა შენახული, არც წინა მხარეა ურიგო...

— არა, მოითმინეთ, მე მგონი, წინაღონ გაცილებით უარესია.

— მე მეტი არც მინდა! — შეჰყვირა მაიცამ. — არა, ახალი პერანგი
არ მჭირდება, მართლა არ მჭირდება. მეტსაც გეტყვით, ასეთი პერანგიც კი მე-
ტია ჩემთვის. იცით, ვინ მომცა? ექიმმა სტენერსენმა, დიახ, თავად ექიმმა სტე-
ნერსენმა. თანაც, მე მგონი, ცოლის ფარულად, თუმცა მისი მეუღლე სიკეთის
განსახიერებაა, ეს პერანგი საშობაოდ მივიღე.

— საშობაოდ?

— თქვენ თვლით, რომ მას უკან ძალიან დიდი ხანი გავიდა? ჰო, მაგრამ
მე ხომ სულელი არა ვარ, ასეთი პერანგი დავხიო! ვცდილობ, არ ვაიციროს.
ტყუილუბრად რომ არ გაცვდეს, ღამე ვიხდი და შიშველი ვიძინებ. ასე
გაცილებით დიდხანს გამიძლებს და საზოგადოებაშიც თავისუფლად გამოვჩნ-
დები; არ შემრცხვება, რიგიანი პერანგი არა მაქვს-მეთქი. ახლა კიდევ, აგერ,

ცოცხალ სურათებს დგამენ. მეც უნდა მივიღო მონაწილეობა, ასე რომ, სწორედ დროზე მაქვს ხეირიანი პერანგი, ხალხში თამამად გავერევი. ფრეკენ დავნის კვლავინდებურად დაუჩემებია, გინდა თუ არა, შენც უნდა მირიო მონაწილეობაო. ეკლესიასთან შევხვდი გუშინ. თქვენზე მელაპარაკა...

— მაშინ მე შარვალს გაჩუქებთ... თქვენი ნახვა სტენჰიუსს იმად, კაცმა ჯიბეს გაიკრას ხელი. რწმუნებულმა თუ სერთუკმა მთავართან მე შარვალს გიყიდიო და არც წავაგებ. ოღონდ იგივე პირობით — კრინტი არავისთან დაძრათ.

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა!

— ნება მომეცით, ერთი ჭიქა დაგისხათ. არა, არ გაძალებთ, როგორც გენებოთ. აი, მე კი დღეს დაღვეა მინდა, რატომღაც ვნერვიულობ და ნალვლიანად ვარ. ნებას მომცემთ, ერთი მოურიდებელი კითხვა მოგცეთ? იცით, მეტსახელს რომ გეძახიან? პირს უკან ყველა მაიცას გეძახით. იცით?

— დიახ, რა თქმა უნდა, ვიცი. პირველად ძალიან მიმძიმდა და ღმერთს შემწეობას ვევედრებოდი. ერთხელ მთელი კვირადღე ტყეში ვიხეტიალე, სამგზის დავეცი მუხლებზე, სადაც შედარებით მშრალი ადგილი იყო — მაშინ აღრე გაზაფხული იდგა და თოვლი ის-ის იყო დნებოდა — და ვილოცე. მაგრამ ეს დიდი დიდი ხნის წინათ მოხდა, მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა და ახლა სხვანაირად აღარც არავინ გეძახის. უკვე აღარ განვიცდი. რატომ გაინტერესებთ, ვიცი თუ არა, ეს ამბავი? განა მე ძალმიძს, რამე შევცვალო?

— ის კი იცით, რატომ შეგერქვათ ეგ სულელური მეტსახელი?

— დიახ, ეგეც ვიცი. ძალიან დიდი ხნის წინ მოხდა, ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ხეიბარი შევიქნებოდი. მაგრამ ყველაფერი საუცხოოდ მახსოვს. ეს ამბავი სალამო ხანს, უფრო სწორად, ღამით, ბერბიჭების ქეიფზე მოხდა. ყურადღება თუ მიგიქცევიათ, ქვევით, სანაპიროსკენ როცა მიდიხართ, ხელმარჯნივ ყვითელი სახლი დგას, საბაჟოსთან. იმ დროს სახლი თეთრად იყო შეღებილი და იქ ფოგტი ცხოვრობდა. სენერსენს ეძახდნენ, უცოლო კაცი იყო და ქეიფი უყვარდა. გაზაფხულის ერთ სალამოს სანაპიროზე სეირნობიდან ვბრუნდებოდი და თან გემებს ვათვალიერებდი. როცა ფოგტის სახლს გავუსწორდი, გავიგონე, სტუმრები ყავდა — ხმაური და სიცილი მომესმა. ფანჯარას რომ ჩავუარე, დამინახეს და სარკმელზე მომიკაკუნეს. სახლში ექიმი კოლბიუ, კაპიტანი უილიამ პრანტე, საბაჟოს მოხელე ფოლკედალი და კიდევ რამდენიმე კაცი დამიხვდა. ახლა აქ არც ერთი აღარ არის — ზოგი მოკვდა, ზოგი წავადა. შვიდი თუ რვა სტუმარი იყო, ყველა უგრანობლად გაღეშილი. სკამები სულ დაელეწათ, ისე, ტყუილუბრალოდ, მხოლოდ თავის გასართობად და ფოგტის გასამხიარულებლად. ჭიქებიც ზედ მიეყოლებინათ, ასე რომ, პირდაპირ ბოთლიდან მოგვიწია სმამ. მალე მეც პირუტყვივით დავთვერი და მაშინ კი ნამდვილი მეორედ მოსვლა დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ ფანჯრებზე შტორები აწეული იყო, სტუმრებმა ტანთ გააძრეს და ოთახში დედიშობილა დახტოდნენ, ხოლო როცა მე უარი ვთქვი და არ ავყევი, დამიჭირეს და ძალით უნდოდით გავეშვივლებინე. რაც ძალი და ღონე მქონდა ვიგერიებდი, ვცდილობდი, როგორმე ხელიდან დავსხლტომოდი; შავ ღღეში ვიყავი, მაპატიეთ-მეთქი ვევედრებოდი, ხელს ვართმევდი და ისევ პატიებასა ვთხოვდი...

— რატომ თხოვდით პატიებას?

— ვფიქრობდი, ვაითუ, რამე ზედმეტი წამომცდა, ვაწყენინე და ასე იმი-

ტომ დამესიენ-მეთქი. ხელეზუ ვეპოტიხებოდა და იქნებ შემიბრალონ-მეთქი, პატიებას ვეხვეწებოდო. მაგრამ არაფერმა მაშველა, მაინც გამაშინველეს. ახლა კიდევ ექიმმა ჯიბეში წერილი მიპოვა და ხმამაღლა დაიწყო კითხვა. მაშინ კი ცოტა გამოვფხიზლდი, იმიტომ რომ წერილი დედაჩემისა იყო, საბოლოოდ რომ ვიყავი წაუღლი, მაშინ მომწერა. მოკლედ რომ ვთქვათ, ექიმს ტიკტორა ვუწოდებ, იმიტომ რომ ყველამ იცოდა, ბევრსა სვამდა... თქვენს წამლებს ტიკტორა ხართ-მეთქი! — დავუყვირე. გაცოფებული მომეპარდა, მაგრამ დიხარჩენებმა გააკავეს. არა, ჯობს. როგორც წესი და რიგია, ისე ვაყლურწოთო! — წამოიძახა ფოგტმა, თითქოს ისედაც უგრძნობი მთვრალი არ ვიყავი. თუ რამ ღვინო იყო ჩარჩენილი ბოთლებში, ყველა პირში ჩამასხეს. მერე ორმა მათგანმა, ახლა აღარ მახსოვს, ვინ და ვინ იყო, ოთახში წყლით სავსე აბაზანა შემოათრია, პირდაპირ იატაკზე დადგეს და მოვხათლოთო. ჩემზე თქვეს. ამ ახალმა გასართობმა ყველა ალტაცებაში წოიყვანა და წარმოუდგენელი ყაყასი ატეხეს. მერე წყლის წაბილწვა მოუვიდათ აზრად; რაღას არ აკეთებდნენ — აფურთხებდნენ, არაყსაც ასხამდნენ, მერე საწოლ ოთახში გაიქცნენ. ღამის ქოთანს მოათრიეს და რაც შიგ იყო, ისიც აბაზანაში მოაპირქვავეს, მერე ღუმელიდან ორი აქანდაზი ნაცარი გამოიღეს და ისიც შიგ ჩაყარეს, რომ წყალა რაც შეიძლება გაეზინდურებინათ. ახლა უკვე ყველაფერი მზად იყო ჩემი ნათლობისთვის. „რაღა მაინცდამაინც მე მნათლავთ“, — შევტირე ფოგტს და მუხლებში ჩავუვარდი. „ყველანი მონათლულნი ვართ უკვე. — მიპასუხა მან. — ჩვენც ზუსტიად ასე მოგვნათლეს“. დავუჯერე, იმიტომ, რომ ქალაქში ლაპარაკობდნენ, ყველას, ვისთანაც კი მეგობრობს, ასეთი წესით ნათლავსო. „მოდო აქ, რომ ნათლობის წესი შევასრულოთ“, მიბრძანა ფოგტმა. მაგრამ ჩემი ნებით არ მივსულვარ, ადგილიდან ფეხი არ მოვიცვალე, პირიქით, კარის სახელურს ჩავებლაუჭე. „აბა, გაინძერი, ცოცხლად! მაიკა, მე შენ გიჩვენებ, სეირს! მაიკა, მაიკა! ახლავე მოდი-მეთქი!“. სწორედ ასე თქვა, „მოიცადე“ კი არა, „მაიკა“, იმიტომ რომ გუდბრანსდალედან იყო. იქ კი ყველა ასე ამბობს. მე კვლავ არ მოვიცვალე ფეხი. მაშინ კაპიტანმა პრანტემ ღრიალი მორთო: „მაიკა, მაიკა, სწორედ ის არის, რაც გვინდოდა! „მაიკას“ დავარქმევთ! დიახ, ახლავე მოვნათლავთ და „მაიკას“ დავარქმევთ“. ყველამ თქვა, რომ ეს სახელი ზედგამოჭრილი იყო ჩემზე. მაშინ ორმა სტუმარმა ხელი დამავლო და ფოგტთან მიმათრია. ფოგტთან შედარებით წიწილასავით ვიყავი, ხელი მტაცა და პირდაპირ აბაზანაში ჩამაგდო. თავი დაღეჭილ წუმბესა და ჭაქის ნატეხებში ჩამაყოფინა, მერე ამომათრია და რაღაც ლოცვასავით წაიკითხა. ახლა ნათლიებს ჯერი დადგა — წესი ასეთი იყო, რომ ყოველ მათგანს რიგრიგობით უნდა ავეგდე ჰაერში, რაც შეიძლება მაღლა, მერე როცა ეს მობეზრდათ, ორ ჯგუფად გაიყვნენ და ამბუროთავენ — აქაოდა, ცოტა უნდა შევაშროთო. ააე ითანამეს, ხანამ, ესეც არ მობეზრდათ. და როცა ფოგტმა დაიყვირა: „სდექ“, თავი დამანებეს. მერე ყველა რიგ-რიგობით მართმევდა ხელს და მაიკას მიწოდებდა. ამის შემდეგ მაინც ერთხელ კიდევ მაბანავე: ექიმმა კოლბიუმ მთელი ხალით მომისროლა აბაზანაში. მაგრად დავარტყი გვერდი და შიგ რაღაცამ გაიტკაცუნა. შური იძია, „ტიკტორა“ რომ დავუძახე... იმ ღამის მერე მომეკერა ეს მეტსახელი. მეორე დღეს მთელმა ქალაქმა იცოდა, რომ ფოგტთან ვიყავი და მომნათლეს.

— თქვენ თქვით, გვერდი დავარტყიო, არა? თავი არ დავირტყამთ, თავი?

პაუზა.

— თქვენ უკვე მეორეჯერ მეკითხებით, თავი ხომ არ მაქვს დარტყმული და, როგორც ეტყობა, ტყუილ-უბრალოდ არ მეკითხებით, მაგრამ მე მაშინ თავი არ დამიკრავს და ტვინის შერყევა არა მქონია, თუ თქვენ გესმის, მაშინვე იხედავთ. ისე მაგრად დავასკდი აბაზანას, ნეკნი გამიტყდა, მაგრამ უკვე დიდიხანია შემიხორცდა. ექიმი კოლბიუ მმკურნალობდა უფასოდ და ამ მოტეხილობას ჩემი ჯანმრთელობა არ შეურყევია.

სანამ მაიკა ყვებოდა, ნაგელი სულ სვამდა, მერე დარეკა, კიდევ მოითხოვა ღვინო და როცა შემოუტანეს, ისევ დაიწყო სმა. უცბად მაიკას უთხრა:

— როგორ გგონიათ, — რატომღაც ამ წუთს მომივიდა თავში აზრად, რომ თქვენთვის მეკითხა, — როგორ გგონიათ, მე კარგად ვიცნობ ადამიანებს? მასეთი თვალებით ნუ მიყურებთ. ისე, ამხანაგურად გეკითხებით. არ გიფიქრიათ, რომ, როცა ვინმეს ველაპარაკები, ხუთი თითივით ვიცო, რა ეაყცა?

მაიკა გაოგნებული უყურებდა. არ იცოდა, რა პასუხი გაეცა. მაშინ ნაგელმა ისევ განაგრძო:

— მომიტევეთ. ჯერ კიდევ მაშინ, როცა პატივი მქონდა, ჩემთან პირველად მეხილეთ, უხერხულ მდგომარეობაში ჩაგადგეთ ფრიად სულელური შეკითხვებით. ალბათ, გახსოვთ, საკმაოდ დიდი თანხა შემოგთავაზეთ, რომ სხვისი ბავშვის მამად გამოგეცხადებინათ თავი, ჰა-ჰა-ჰა. მაგრამ მაშინ ასეთი უცნაური წინადადებით იმითომ მოგმართეთ, რომ არ გიცნობდით, ახლა კი ისევ შეგაწრიალეთ ჩემი კითხვებით, თუმცა უკვე კარგად გიცნობთ და დიდად გაფასებთ. იცით რა, დღეს იმითომ ვიქცევი ასე, რომ ვნერვიულობ, თანაც მთვრალი ვარ. თქვენ, რა თქმა უნდა, უკვე დიდი ხანია შენიშნეთ, რომ დავთვერი. რას არ შეამჩნევდით! რატომ ისაწყლებთ თავს?.. მოითმინეთ, რა უნდა მეთქვას? ჰო, ეს, მართლაც, ძალიან მაინტერესებს. თქვენის აზრით, რა ზომამდე შემიძლია ადამიანის სულში ჩავიხედო. ჰა-ჰა, იმის თქმა მინდა, რომ მე, მაგალითად, თანამოსაუბრის სულ უმცირეს ინტონაციასაც კი ვამჩნევ. ამისთანა რამეზე ძალიან ყურმახვილი ვარ. როცა ვინმეს ვესაუბრები, სულ არ მჭირდება მაინცდამაინც თვალებში ვუყურო, რომ ნათქვამს მივუხედე. თუ სურს, თავისი აზრი თავს მომახვიოს, ანდა ყალბი ხმით ლაპარაკობს, მაშინვე ყურში მხვდება. ხმა — სახიფათო აპარატი. ოღონდ სწორად გამიგეთ, მე მხედველობაში ხმის ფიზიკური ქლეჩა როდის მაქვს, საქმე ისაა, რომ არ არის, მაღალია იგი თუ დაბალი, წკრიალაა თუ ყრუ, ხმის ტემბრზე როდის ვლაპარაკობ, არა, მე მინდა ვიცოდეს ხმის მიღმა მიმალული საიდუმლო სამყარო, რომელიც ამ ხმას წარმოშობს. თუმცა, ჯანდაბამდის გზა მქონია მაგ სულიერ ფარულ სამყაროს! ბოლოს და ბოლოს, ყველაფრია მიღმა იმალება რაღაც ფარული სამყარო. მიმიფურთხებია ყველაფრისთვის!

ნაგელმა ისევ დალია.

— თქვენ მთლად გაილურსეთ. მე ბაჭი-ბუჭი ავტეხე. აქაოდა, ყველას ხუთი თითივით ვიცნობ-მეთქი, და ახლა თითის განძრევიააც კი გეშინიათ. მაგრამ გთხოვთ, ეს სულელური მიეთ-მოეთი თავიდან ამოიგდეთ. ჰა-ჰა-ჰა, კარგია, ღმერთმანი, კარგია! ჰო, რა მინდოდა მეთქვა? გადამავიწყდა. არა უშავს, ავდგები და სხვა რამეს ვიტყვი, ისეთ რამეს, რაც ჩემთვის სულერთია; იქამდე

ვილაპარაკებ, სანან არ გავიხსენებ. ღმერთო ჩემო, რას ვჩივებ! როგორი ქალია ფრეკენ ჰელანი? მინდა ვიცოდე, რა აზრისა ხართ მასზე. ჩემი აზრი კი ასეთია: ფრეკენ ჰელანი ისე უსაზღვროდ კვლავია, რომ ბედნიერი ქალი იქნებოდა, თუ სხვებიც, და მათ შორის მეც — რაც მეტი ხალხი იქნება, მით უკეთესი — მისი გულისთვის თავს მოიკლავდნენ. ასეთი გახუჭუჭი ჩემი ზნეობა. მომხიბვლელი ქალია, დიახ, უდავოდ მომხიბვლელია, და მისი სიკეთე ტკბილ-წვევით ტკივილს განიცდი, როცა ფეხითა გქელავს; ერთი სიტყვით, ვერ შეგპირდებით, ის დღე არასოდეს დადგება, როცა ვთხოვ, ეგ პატარა სამსახური მეც გამოვიღო-მეთქი. თუმცა ჯერჯერობით საფრთხე არ მელის, რა მეჩქარება, დრო ბევრი მაქვს... ღმერთო ჩემო, ვინ იცის, დღევანდელი ჩემი ლაყბობით როგორ დაგაფეთეთ! რამე ხომ არ გაწყენინეთ პირადად თქვენ-მეთქი, მინდა გითხრა?

— თქვენ რომ იცოდეთ, რა კეთილად მოგიხსენიათ ფრეკენ ჰელანმა! გუშინ შევხვდი, დიდხანს მესაუბრა...

— ერთი ეს მითხარით — მაპატიეთ, რომ კვლავ გაწყვეტინებთ სიტყვას-იქნებ, თქვენც გაქვთ ამისი ნიჭი და ფრეკენ ჰელანის ხმაში, თვით ბგერის გარდა, ოდნავ მაინც სხვა რამეც გხვდებათ ყურში? ახლა კი, ალბათ ცხადად შენიშნეთ, რომ, ღმერთმა უწყის, რას აღარ ებოდავ! მაგრამ მოხარული ვიქნებოდი, თქვენც რომ ცოტათი მაინც ერკვეოდეთ ხალხში, მაშინ მოგილოცავდით და გეტყოდით: ჩვენ ორნი ვართ, ორივენი მიუწვდომელ მწვერვალზე ვდგავართ. იმიტომ, რომ ყველას მოხარშულს ვიცნობთ. მოდიოთ გავერთიანდეთ, კავშირი შევკრათ და ჩვენს ცოდნას ერთმანეთის საწინააღმდეგოდ ნურასოდეს გამოვიყენებთ — ერთმანეთის საწინააღმდეგოდ! გაიგეთ? — სხვაგვარად რომ ვთქვათ, აი, მე, მაგალითად, ჩემს ცოდნას თქვენს წინააღმდეგ არასოდეს გამოვიყენებ, თუნდაც, რომ ხუთი თითივით გიცნობდეთ. აგერ, ისევ შეშფოთდით და კვლავ დამფრთხალი მიყურებთ! ჩემი ტრაბახი ნუ გეჩოთირებათ, ზომ ხედავთ, მთვრალი ვარ... აი, ახლა სრულიად მოულოდნელად გამახსენდა, მაშინ რომ მინდოდა მეთქვა, როცა ფრეკენ ჰელანზე ვლაპარაკობდით, რომელიც მე სულაც არ მენალვლება. ნეტა რამ მაფიქრებინა, აზრს რომ გიზიარებთ ფრეკენ ჰელანზე, როცა თქვენ ჩემთვის არაფერი გიკითხავთ! ეხედავ, საბოლოოდ გაგიფუჭეთ გუნება; გახსოვთ, როგორ იყავით გახარებული, როცა ერთი საათის უკან ამ ოთახის ზღურბლს ვადმოაბიჯეთ? ყველაფერი ღვინის ბრალია — ზედმეტი მომივიდა და ვინ იცის, რას აღარ ვლაყბობ... მაცალეთ, მაცალეთ, ემანდ ისევ არ დამავიწყდეს, რისი თქმაც მინდოდა: როცა ბერბიჭების ქეიფზე მიაშვებო ფოტოტან, ზომ გახსოვთ, აი იმაზე, როგორ მოგნათლეს, უცნაური კია, მაგრამ თავში აზრად მომივიდა, მეც მოვაწყო ასეთი ქეიფი, მოვაწყო, რაღაც არ უნდა დამიჯდეს, და რამდენიმე სტუმარი მოვიწვიო. არვის ეგონოს, ვინმემ ამაზე ხელი ამაღლებინოს. აუცილებლად ვიქეიფებთ და თქვენც უნდა მოხვიდეთ, დარწმუნებული ვარ, არ დამალალატებთ. დამშვიდებული იყავით, აქ არავინ მოგნათლავთ, ყველა უდიდესი პატივისცემითა და მოწიწებით მოგეპყრობათ, ეგ მე მომანდეთ, და საერთოდ, არც მაგიდებსა და სკამებს დავამტვრევთ. ძალიან მინდა, რამდენიმე მეგობარს მოვუყარო თავი ჩემსა, და რაც უფრო მალე იქნება, მით უკეთესია, ვთქვათ, ამ კვირის ბოლოს. აბა, რას იტყვით?

ნაგელმა ისევ დალია, დალია ზედაზედ, ორი სავსე ჭიქა. მაიცას ხმა არ

ვაუცია. აშკარა იყო, პირველმა ბავშვურმა სიბარულმა უკვე გაუარა და ახლა ნაგელის ლაყბობას მხოლოდ თავაზიანობის გამო ისმენდა. დაღეფაზე მტკიცე უარი თქვა.

— რაღაც საოცრად სიტყვაძვირი გახდით, — უთხრა ნაგელმა. — პირდაპირ სასაცილოა, მაგრამ ამ წუთს ისეთი სახე გაქვთ, თითქოს რაღაცა გიწყო-ნათ, რაღაც სიტყვა თუ ნართაული. დიხს, საოცარი კია, მაგრამ, სამტყულოდ ნაწყენი ხართ! შევნიშნე, თითქოს ეს-ესაა შეკრთით კიდევ უფრო მეტად ნებაა. როდესმე თუ წარმოგიდგენიათ, რას უნდა განიცდიდეს ფული ფულის მჭრელი, როცა, ერთ მშვენიერ დღეს, გამომძიებელი მხარზე ხელს დაადებს და უსიტყვოდ ჩახედავს თვალებში? ანა, რა მოგიხერხოთ? სულ უფრო და უფრო მოწყენილი და გულჩახვეული ხდებით. დღეს მთლად აღარაფრად მივარვა ნერვები ვიცი, რომ ძალიან გაგაწამეთ, მაგრამ ვერ გავჩუმდები, სიმთვრალეში ყოველთვის ასე მემართება. თან არც თქვენი წასვლა შეიძლება, თორემ აქაურ მოახლე სარასთან მომიწევს კიდევ ერთ საათს ლაქლაქი, ეს კი უწყესობაში ჩამომერთმევა, თუ აღარაფერს ვიტყვით იმაზე, რომ უბრალოდ მოსაწყენია. ნებას მომცემთ, ერთი პატარა ამბავი გაიგებოთ? სრულად უმნიშვნელო ამბავია, მაგრამ, იქნებ, ცოტა მაინც გაგართოთ, თანაც გაიგებთ, როგორ კარგად ვერკვევი ადამიანებში. პა-პა-პა, ახლავს დარწმუნებით, რომ თუკი ვინმეს არაფერი გაეგება ადამიანის ბუნებისა, ეს ნფ ვარ, იქნებ, ამ აღმოჩენამ ოდნავ გაგამხნევოთ. მოკლედ რომ ვთქვათ, ერთხელ როგორღაც ლონდონში ჩავედი და იქ ერთ მომხიბლავ ქალიშვილს გავეცანი, რომლიც მამასთან რაღაც საქმეები მქონდა. ერთმანეთი თვალში მოგვივიდა, სამი კვირის მანძილზე ყოველდღე ვხვდებოდით და ძალიან დავმეგობრდით. ერთხელ, სადილის შემდეგ, გადმოვი-ტა, ჩემთვის ლონდონი დაეთვალაერებინა, დიდხანს, უბრალოდ ქალაქში, დავათვალიერეთ რამდენიმე მუზეუმში, სურათების გაღერება, ვნახეთ ძეგლები, მოვიარეთ პარკები, ბოლოს მოსალამთვდა კიდევ, ჩვენ კი სახლში დაბრუნებას ჯერ არ ვაპირებდით. ამასობაში დროს თავისი გაჰქონდა და ბუნებრივი მოთხოვნილება ვიგრძენი. საშინელ დღეში ჩავვარდი, თუმცა, სხვათა შორის, არ შეიძლება კაცი ამ დღეში არ ჩავარდე, როცა სერიოზობა ნახევარი დღე გრძელდება. რა უნდა მექნა? შეუძრწევლად ვერ ჩამოვრჩებოდი, ნებართვის თხოვნა კი არ მინდოდა. მოკლედ რომ ვთქვათ, ბოლოს და ბოლოს თავი ვეღარ შევიკავე, პირდაპირ სიარულისას გავუშვი და, რაღა თქმა უნდა, შარვალი მთლად დამის-ველდა. ეშმაკმა დალაზვროს, ერთი მითხარით, მაშ, რა მექნა?! საბედნიეროდ პალტო თითქმის კოჭებამდე მწვდებოდა და იმედი მქონდა, რომ ჩემს თავის მოჭრას დავფარავდი. მაგრამ, ჩემდა საუბედუროდ, ერთ გაკამკამებულ ქუჩაზე გავედით, სადაც საშეპარლამოც იყო და აქ—ვაი მე, ბედშავს!—ჩემი მანდილოსანი შედგა და შემთავაზა, შევიდეთ და ცოტა შევნაყრდეთო. მთელი სურვილი სავსებით გასაგები იყო, ჩვენ ხომ მთელი ნახევარი დღე ვისვირნეთ, დავიღალღეთ და მოგვშივდა კიდევ, მაგრამ, რაღა თქმა უნდა, იძულებული ვიყავი, უარი მეთქვა. ყვედრებით შემომხედა, აშკარა იყო თვლიდა, რომ კარგად არ ვიტყუოდი და მთხოვა ანებსა, რატომ ვლარობდი შესვლაში. «არაფრით, — ვუთხარი მე, — მიზეზი გინდათ გაიგოთ? ინებეთ, მოგახსენებთ: ფული არა მაქვს თან. ერთი პენი რა არის, ისიც კი არ გამაჩნია». მიზეზი საპატიოა, ამაზე კაცი ვერაფერს იტყვი. ფული იმასაც არ აღმოაჩნდა, ჩემს ბედზე არც იმას პქონდა არც ერთი პენი! ვდგავართ, ერთმანეთს შევცურებთ და ჩვენს გამოუვალ მდგომა-

რეობაზე ვიცინით. მაგრამ იგი მაინც პოულობს გამოსავალს, ჩვენს პირდაპირ მდგარ სახლს შეჰყურებს და ამბობს: „ერთ წუთს აქ მომიცადეთ, ამ სახლში, მეორე სართულზე, ჩემი მეგობარი ცხოვრობს, იმას დავესესხები“. ამ სიტყვებზე ჩემი მანდილოსანი გარბის, საკმაოდ დიდხანს არ ბრუნდება და ამასობაში საშინლად ვიტანჯები. ღმერთო, როგორ დავიხსნა თავი, ფულიანი რომ მობრუნდება? საშაქარლამო გაეჩახჩახებინათ და ხალხით იქნა შესაღწევი. მალევე გადავცდებოდი თუ არა, მაშინვე გარეთ მისროდნენ, ეს კი არაფერია შემთხვევაში ხელს არ მაძლევდა. გადავწყვიტე, კბილი-კბილს დამეჭირა, გამბედაობა მომეკრიბა და მეთხოვა, პირადად ჩემთვის დაედო პატივი, მარტო შესულიყო საშაქარლამოში და ნება მოეცა, გარეთ დავლოდებოდი. კიდევ რამდენიმე წუთი გავიდა და ბოლოს იაიკ გამოჩნდა. გამხიარულებული იყო, უფრო მეტიც, პირდაპირ ბედნიერი სახე ჰქონდა. მითხრა, მეგობარი შინ არ დამიხვდა, მაგრამ ამას მნიშვნელობა არა აქვს, კაცმა რომ თქვას, მშვენიერად შემიძლია კიდევ ცოტა ხანს მოვიტმინო, მაინც თბუთმეტიოდე წუთში უკვე შინ ვიქნები და ვივახშმებო. მერე ბოდიში მომიხადა, რომ მაცდევინა, მაგრამ იმაზე უფრო მე მიხაროდა. მიუხედავად იმისა, რომ მთლად სველი ვიყავი და სეირნობა წანებად მექცა. ახლა კი ყველაზე ააყურადლებო რამ უნდა გითხრათ, იქნებ, თქვენ უკვე მიხვდით, რაც მოხდა? დიახ. რა თქმა უნდა, მიხვდით, დარწმუნებული ვარ, მაგრამ მაინც ბოლომდე მიწა მოგიყვებ. მხოლოდ წელს მივხვდი, რა სულელი ვიყავი მაშინ. ყველაფერი თავიდან გავიხსენე, ყოველ წვრილმანში ღრმა აზრი მოვიხსრიე და თანდათან მოვიაზრე, რომ ჩემი მანდილოსანი სულაც არ ასულა კიბეზე, არც უფიქრია იმ რაღაც მეორე სართულზე ასვლა. ახლა ჩემთვის ცხადია, რომ შევიდა თუ არა სადარბაზოში, სათადარიგო კარი გააღო და ეზოში გაილაღა, მერე კი, ჩემთვის ესეც აშკარაა, იმავე გზითა და იმავე კარით, ჩუმად და შეუმჩნეველად დაბრუნდა. ეს რაღას ამტკიცებს? კაცმა რომ თქვას, არაფერს, მაგრამ დამეთანხმეთ, მაინც უცნაურია, რომ მეორე სართულზე ასვლის მაგიერ, ეზოში გავიდა. ხომ მართალია? ჰა-ჰა-ჰა, თქვენ, რა თქმა უნდა, მშვენიერად ხედებით ყველაფერს, სახეზე გატყობთ, მე კი ამას მხოლოდ ახლა, ათას რვაას ოთხმოცდათერთმეტ წელს, ესე იგი, სამი წლის შემდეგ მივხვდი! ვამედოვნებ, ეჭვი მაინც არ შეგეპარებათ, თითქოსდა მე განგებ მოვაწყე ყველაფერი, განზრახ გავჭიმე ჩვენი სეირნობა, რათა ჩემი თანამგზავრი ამ საშინლ დღეში ჩამეგდო, რომ მუხეუმში თვალი ვერ მოეწყვიტე რაღაც გაქვავებულ ცხოველებსა თუ აფთრის ფიტულს, თანაც ერთი ნაბიჯით არ გცილდებოდი გოგონას და თვალს არ ვაშორებდი, რომ შეუმჩნეველად არ განმარტობებულიყო. თქვენ, რაღა თქმა უნდა, ამაში ეჭვი არ გეპარებათ, თუმცა, შეიძლება ვინმე ისეთი მზაკვარი გამოდგეს, რომ ყაბულს იქნება გაეწამოს და სველი შარვალითაც კი იაროს, ოღონდ იშვიათი პიროვნება მიიღოს და მომხიბლავი ყმაწვილი ქალიც ასეთსავე შავ დღეში ჩააგდოს. მაგრამ, როგორც უკვე მოგახსენეთ, მე მხოლოდ წელს გავერკვიე ყველაფერში, მხოლოდ სამი წლის შემდეგ, რაც ეს ამბავი მოხდა. ჰა-ჰა-ჰა, აბა, ამაზე რას იტყვით?

დუმბილია, ნაგელმა დალია და ისევ წამოიწყო:

— თქვენ, იქნებ, მკითხოთ, რა შუაშია ეს ამბავი თქვენთან, ჩემთან და ბერბიჭების ქეიფთან? რა თქმა უნდა, ჩემო კარგო, სულაც არაფერ შუაშია. მაგრამ მაინც აზრად მომივიდა, ეს ამბავი მეამბნა თქვენთვის, იმის დასამტკიცებლად, რომ წმინდა წყლის შტერი ვარ კაცის სულის გამოცნობაში. ოჰ, აღანი-

ნის სული! რას იტყოდით თქვენ ადამიანის სულზე, თუ გაიგებდით, მაგალითად, რომ ერთ დილას, რამდენიმე დღის უკან, ჩემი თავი — დიახ, ჩემი თავი, აუ-
ჰან ნილსენ ნაგელი, — დავიჭირე იმაზე, რომ აგერ იქ, ბორცვზე ბოლთას
ვცემ კონსულ ანდერსენის სახლის წინ, და გუნებაში ვვარაუდობ, რომ მაღლე
ჭერი ექნება სასტუმრო ოთახს-მეთქი! აბა, როგორია? აი, რა არის, ეგ თქვენი
კაცის სული, თუ ნებას მომცემთ, ასე გამოვთქვით ერთი ბეჭედი... მაგალითად,
რჩება მხედველობიდან, მისთვის ყველაფერს თავისი ფასი აქვს... მაგალითად,
რა შთაბეჭდილებას მოახდენდა თქვენზე ასეთი რამ: ვთქვათ, სტუმრობიდან ან
სეირნობიდან შინ ბრუნდებით, ჩვეულ გზას მიყვებით და უცბად კუთხეში
მაგან კაცს ხედავთ, რომელიც დგას და გიყურებთ; დიახ, თავსაც კი აბრუნებს,
რომ თვალი გამოგაყოლოთ, დაჟინებით შემოგცქერით და დუმს, ახლა ისიც წარ-
მოიდგინეთ, რომ თავით ფეხამდე შავი აცვია და ამიტომ მხოლოდ მის სახესა
და თვალებს ხედავთ. მაშინ რას იზამთ? ეჰ, რა აღარ ხდება კაცის სულში! და-
ვუშვათ ერთხელ, საღამოს, საზოგადოებაში ხვდებით და იქ თორმეტობედ
კაცს მოუყრია თავი, მეცამეტე კი — ეს შეიძლება ვინმე ტელეგრაფისტი ქალი
იყოს, თუნდ კანტორის მოხელე ან კაპიტანი, მოკლედ, ვინმე ჩვეულებრივი.
სავსებით უმნიშვნელო პიროვნება — ჰოდა, აი, ეს მეცამეტე ზის თავისთვის
კუთხეში, საუბარში არ ერევა და საერთოდ არაფრით იქცევს ყურადღებას.
მაგრამ მას მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს, არა მარტო პირადად, არამედ, რო-
გორც ფაქტორსაც, რომელიც ზეგავლენას ახდენს თავმოყრილ საზოგადოება-
ზე. ყველაფერი ამ კაცია — ტანსაცმელი, დუმილი, გამოთავყვანებული თვა-
ლები, უნდოდ რომ გადარბიან ერთი სახიდან მეორეზე, მთელი მისი არარა-
ობა — ჯიქურ მოქმედებს იქ მყოფთა გუნებაზე. ჩუმადაა და მისი სინთზე
ყველას აუგემურებს, ცუდად მოქმედებს ყველაზე, უნიათობის ნოტა შემოაქვს,
ხელს უშლის სხვა სტუმრებს, რომ გახალისდნენ, იმაზე ხმამაღლა ილაპარაკონ,
ვიდრე ლაპარაკობენ. განა მართალი არა ვარ? ამ მეცამეტეს ამ გზით იმ საღამოს
ყველაზე მნიშვნელოვან კაცად შეუძლია იქცეს. როგორც უკვე მოგახსენეთ,
მე ადამიანებში ვერ ვერკვევი, მაგრამ მაინც ხშირად ვაკვირდები და ვერთობი,
როგორ წარმოუდგენლად მნიშვნელოვანია ხოლმე წვრილმანი რამ. ერთხელ
მოწმე ვიყავი, ერთი საცოდავი ინჟინერი, რომელსაც მთელ საღამოა ხნაც
არ გაუღია... მაგრამ ეს სულ სხვა ამბავია, პირველთან არავითარი კავშირი აქვს,
თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ ორივე მეხსიერებაში ჩამრჩა და ერ-
თად გამახსენდა. ახლა კი რითაც დავიწყე, იმას ვუბრუნდები. ვინ იცის, იქ-
ნებ, თქვენმა დუმილმა თავისი დაღი დაასვა ჩემს ნალაპარაკებს, დიახ, გარდა
იმისა, რომ მედროვესავით დავთვერი, იქნებ, თქვენი სახის გამომეტყველებამ,
მაგ შიშისა და მიაშიტობის ნარევმაც, თქვენს თვალებში რომ დავინახე, ვინ
იცის, იქნებ, სწორედ მაგან წამაქეზა, რომ სულ უფრო და უფრო ღრმად შევ-
ტოპე? ან რა გასაკვირია! თქვენ ისმენთ, რასაც მე ვლაპარაკობ — მე, სავ-
სებით მთვრალი კაცი, და ჩემს ნალაყბევეში რაღაც გწყინთ — მე განგებ
ვხმარობ იგივე სიტყვას „გწყინთ“ — და ამიტომ კიდევ უფრო მეშლება ლაპარა-
კის საღერდელი და მინდა, ორი ათეული სიტყვა კიდევ მოგახალოთ პირში.
ეს მხოლოდ იმის სამაგალითოდ მოვიყვანე, თუ როგორი მნიშვნელობა აქვს
წვრილმანს. ტუჩს ნუ აუბზუებთ წვრილმანს, ჩემო კარგო! თუ ღმერთი გწამთ,
ნუ დაივიწყებთ, რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს წვრილმანს... მობრძანდით!

სარა იყო. შეატყობინა, ვახშამი მზადააო. მაიცა მაშინვე წამოხტა. ნაგელი

უკვე ისე დამთვრალიყო, შეუძლებელი იყო კაცს არ შეგეშჩნია, ენა ებ-
მოდა, საკუთარ თავს თვითონვე ედავებოდა ყოველ სიტყვაზე და სულ უფრო
მეტ აბდაუბდას ჩმახვდა. დაიბული გამოხედვა და დაბერილი საფეთქლები
მოწმობდა, გაფანტული აზრებისთვის თავი ველარ მოეყარა.

— დიახ, — თქვა მან, — სულაც არ მიკვირს, ჩემი დღევანდელი ყბედო-
ბის მოსმენის შემდეგ, მზად ხართ, პირველივე ხელსაყრელ შემთხვევით ისარ-
გებლოთ და რაც შეიძლება ჩქარა გამეცალოთ. მე კი ბეჭდით ვაძლევთ მინ-
დოდა თქვენი აზრი შემეტყო — თქვენ ხომ პასუხიც არ გაგიციათ, როცა ფრე-
კენ ჰელანზე გკითხეთ; არ მითხარით, რას ფიქრობთ მასზე. ჩემთვის იგი იშვია-
თი, მიუწვდომელი არსებაა, მშვენიერებისა და სიწმინდის განსახიერებაა. წარ-
მოიდგინეთ თეთრი, ქათქათა, ფუმფულა ღრმა თოვლი — ისიც ამ თოვლივით
სპეტაკია, დიახ. ამ სახით შეჩვენება ხოლმე, როცა მასზე ვფიქრობ. თუ თქვენ
ჩემი ნათქვამიდან სხვა შთაბეჭდილება დაგრჩათ, შემცდარხართ... ნება მომე-
ცით, სანამ აქა ხართ, ეს უკანასკნელი ჭიქა შევსვა. კარგად იყავით!.. ახლახან
ერთი აზრი დამებადა. თუ მოთმინება გეყოფათ და ერთ-ორ წუთს კიდევ შე-
მომწირავთ, დიდად დამივალეხთ. აი, რაშია საქმე, — თლონდ ახლო მოიწით, აქ
თხელი კედლებია, — ჰო, საქმე ის არის, რომ უიმედოდ ვარ შეყვარებული ფრე-
კენ ჰელანზე. აჰა, როგორც იქნა, ამოვთქვი! ორიოდე მშრალი, უბადრუკი
სიტყვაა, მაგრამ ღმერთმა ხომ იცის, როგორ გაგიუებით მიყვარს, როგორ ვიტან-
ჯები მისი გულისთვის. თუმცა, ეს უკვე სხვა ჯურის საუბარია, მიყვარს, ვიტან-
ჯები, ყველაფერი სწორია, მაგრამ საქმეს არ ეხება. ჰოდა, ასე! ვიმედოვნებ,
ჩემს გულახდილობას ბოროტად არ გამოიყენებთ, სათანადო მოწიწებით მოეპ-
ყრობით ჩემს გრძნობას და რაც აქ გაიგეთ, საიდუმლოდ შეინახავთ. მპირდე-
ბით? გმადლობთ, ჩემო კეთილო! თქვენ მკითხავთ, აბა საიდანა ვარ შეყვარე-
ბული, როცა ცოტა ხნის უკან, საშინელი პრანჭიაა-მეთქი, ვამბობდი. პირველ
ყოვლისა, შეიძლება ჭკუას კარგავდე კეკლუცისთვის — კეკლუცობა გრძნო-
ბას არ აციებს. თუმცა, რა საჭიროა ამაზე შევჩერდე, როცა არსი ახვა რამე-
შია. ჰო, რას მიმტკიცებდით თქვენ, ცნობთ ადამიანებს თუ არა? თუ ცნობთ,
მაშინ გაიგებთ, რასაც ახლა ვიტყვი: მე სულაც არ ვფიქრობ, არ ძალმიძს ვი-
ფიქრო, რომ ფრეკენ ჰელანი მართლა კეკლუცია. ამას ისე ვამბობ, ტყუილად.
პირიქით, გამორჩეულად ბუნებრივად იქცევა. ჯერ მარტო მისი სიცილი რად
ღირს! რა თავისუფლად და ხალისით იცინის ხოლმე, მიუხედავად იმისა, რომ
კბილების სითეთრით ვერ დაიკვეხის. და მაინც, შემძლია ყველგან ვთქვა,
ფრეკენ ჰელანი კეკლუცია-მეთქი და არც კი შემრცხვება. მაგრამ არა იმი-
ტომ, რომ რამე ვაწვო და შური ვიძიო, არამედ თავია გასამაგრებლად, სიამა-
ყის გამო, იმიტომ რომ ხელს არ მიმიწვდება, იმიტომ რომ იგი დასცინია ჩემს
მცდელობას, რამენაირად თავი მოვაწონო, იმიტომ რომ დანიშნულია, უკვე
სხვას მისცა სიტყვა, ჩემთვის კი დაკარგულია სამუდამოდ. აჰა და დასტკბით!
ეგეც, თქვენი ნებართვით, ადამიანის სულის ახალი, ძნელად მოსახელთებელი
მხარეა. შემძლია ქუჩაში ფრეკენ ჰელანთან მივიდე და სხვების თანდასწრე-
ბით სრულიად სერიოზულად ვუთხრა, — მხოლოდ იმიტომ, რომ დავამ-
ცირო, უსიამოვნება მივაყენო, — ჰოდა, შემძლია ავხედ-დავხედო და ვუთხრა:
„ოჰ, დილა მშვენიერებისა, ფრეკენ ჰელან! მომილოცავს, დღეს სუფთა პერანგი
ჩავიცვამთ!“ ოდესმე ამისთანა რამე თუ გსმენიათ? პირდაპირ რაღაც ნაბოდ-
ვარია! მაგრამ მე მართლა შემძლია ასე ვუთხრა. მერე რაღას ვიზამდი — ეს

უკვე სხვა საკითხია: შინ გავიქცეოდი, რომ ცხვირსახოცში თავჩარგულს მეტირა თუ რამდენიმე წვეთს დავლევდი იმ შუშიდან, რომელიც ყოველთვის თან დამაქვს ჟილეტის ჯიბეში, — ამაზე ნურაფერს ვიტყვით. ასევე შემეძლო ეკლესიაში შევსულიყავი კვირა დილას, როცა მამამისი, პასტორი ჰელანი, ღვთის სიტყვას ქადაგებს, არხეინად გამეკვლია გზა პირველ რიგამდე, ფრეკენ ჰელანის წინ დავმდგარიყავი და ხმამაღლა მეტყვა: „ნებას მომცემთ, გიჩქმიტოთ?“ აბა, როგორია? და ამ სიტყვების თქმისას, გუნებაში არაფერიც არ შექნებოდა; ისე, ტყუილად ვეტყოდი, რომ გამეწითლებინა, მაგრამ მაინც ვეტყოდი: „ნება მომეცით, გიჩქმიტოთ“. მერე კი მუხლებში ჩავუვარდებოდი და შევევედრებოდი, გავებედნიერებინე და პირში მოეფურთხებინა ჩემთვის... აგერ, თქვენ ისევ დაფრთხით, თუმცა, მეც გეთანხმებით, რომ უკადრისად ვლაპარაკობ, მით უმეტეს, პასტორის ქალიშვილზე ველაპარაკები პასტორის ვაჟიშვილს. მაპატიეთ, მეგობარო, მაგრამ ეს სიბოროტით არ მომდის, არა, სულაც არ მომდის სიბოროტით, არამედ, მხოლოდ იმიტომ, რომ გაღეშილი მთვრალი ვარ... ყური მიგდეთ: ერთ ყმაწვილ კაცს ვიცნობდი, რომელმაც ერთხელ გაზის ფარანი მოიპარა, ფარანი შეძველმანეს მიჰყიდა, ფული კი დაამღერა. ღმერთმანი, ნაღდი სიმართლეა, იმ ყმაწვილს კარგად ვიცნობდი, განსვენებულ პასტორ ნერამის ნათესავია. მაგრამ რა შუაშია აქ ფრეკენ ჰელანი? დიახ, ცამდე მართალი ხართ! თქვენ ხმას არ იღებთ, მაგრამ, მშვენიერად ვხედავ, ეს კითხვა ენის წვერზე გადგათ, გინდათ, შემეკითხოთ, და საესებით სამართლიანადაც. რაც შეეხება ფრეკენ ჰელანს, იგი ჩემთვის სამუდამოდ დაკარგულია და ამის გამო იმაა შესაბრალო არაფერი სჭირს, საბრალო მე ვარ. აგერ ჩემს წინ სრულიად უხიზელი დგახართ, ხუთი თითივით იცნობთ ადამიანის ბუნებას და ამიტომ გამიგებთ, თუ ერთ მშვენიერ დღეს ავდგები და ქალაქში ხმას გავავრცელებ, თითქოს ფრეკენ ჰელანი კალთაში მეჭდა, სამ ღამეს ზედიზედ შეპირებულ ადგილას პაემანზე მოდიოდა ტყეში, მერე კი საჩუქრებს იღებდა ჩემგან. ხომ გამიგეთ, არა? თქვენ ხომ ჯოჯოხეთურად ერკვევით ადამიანებში, ჩემო კარგო. დიახ, დიახ, მშვენიერად ერკვევით. გთხოვთ, ნუ უარყოფთ... როდისმე თუ დაგმართნიათ ასეთი რამ: მიდინართ ქუჩაში და ისე ხართ გართული ფიქრებში, სრულიად უმწიკვლო ფიქრებში, რომ ვერ ამჩნევთ, თუ ვინმე გიყურებთ; არადა, ყველა განვლელ-გამომვლელი თვალდატყეპილი შემოგცქერით, თავით ფეხამდე გათვალიერებთ. უფრო უსიამოვნო მდგომარეობა ძნელი წარმოსადგენია. მაშინვე კოსტუმის სწორებასა და ბერტყვას მიჰყოფთ ხელს, ჩუმად, ქურდულად იხედებით ქვევით, შარვალს ხომ არაფერი მოუვიდაო, თავხარდაცემული იხდით შლაბას — იქნებ, ფასის იარლიყი აქვს ზედ მიკრულიო, თუმცა ძველი შლაბა გახურავთ. მაგრამ ამაოდ დაშვრებით და იძულებული ხართ შეეგუოთ, რომ ყველას, თერძი იქნება თუ ვილაც ლეიტენანტი, უფლება აქვს რამდენიც უნდა იმდენი გათვალიეროთ... ახლა, ჩემო კარგო, თუ ამ დროს ასე იტანჯებით, რაღა იქნება, დაკითხვაზე რომ გამოგიძახონ?.. თქვენ ისევ შეკრთით? მაშ, არა, შემეშალა? რაა ვიფიქრებდი! მე კი, თითქოს, აშკარად დავინახე, რომ ოდნავ შეკრთით... მაშ, თქვენ დაკითხვაზე გიძახებენ, დგახართ ეშმაკივით გაქნილი გამომძიებლის წინ, საჯაროდ გიწყობენ ჯვარედინ დაკითხვას, მიხვეულ-მოხვეული გზით რატომ თორმეტჯერ არ უბრუნდებიან ერთი და იგივეს... რა ნეტარებაა, როცა გარეშე კაცად ესწრები და თვალყურს აღევნებ ყველაფერ ამას, შენთვის ზიზარ და უსმენი!.. თქვენც მეთანხმებით, არა?..

ვცადოთ და კარგად გამოვწუროთ ეს ბოთლი, იქნებ, ერთ-ორ წვეთს კიდევ გამოვრჩეთ.

ნაგელმა ბოთლში ჩარჩენილი ღვინო დაისხა, სულმოუთქმელად დალია და განაგრძო:

— პო, მართლა, ბოდიში უნდა მოგიხადოთ, რომ ერთი საგნიდან მეორეზე ვხტები. ნაწილობრივ იმიტომ მეფანტება ასე აზრები, რომ მთავარი ვარ, მაგრამ მხოლოდ ამის ბრალი არაა — საერთოდ მაქვს ეგ ნაკლი. თავი და თავი კი ის არის, რომ უბრალო აგრონომი ვარ — ნების აკადემიის მოწაფე, მოაზროვნე, რომელსაც აზროვნება ვერ უსწავლია. კეთილი, მოდიო, სპეციალურ თემებს ნუ შევეხებით — თქვენ არ გაინტერესებთ, მე კი სულაც გულს მირევს. იცით რა, როცა ასე ეულად ვზივარ, ვინ იცის, რაზე აღარ ვფიქრობ ხოლმე და თავს ვამოწმებ. ხშირად იმ ზომამდეც კი მივდივარ, საკუთარ თავს ხმამაღლა ვეძახი რომფორს, დიახ, გულზე თითს ვიდებ და რომფორს ვუწოდებ. რას იტყვით, თუ შეიტყობთ, რომ ერთხელ ჩემთვის ზღარბის გამოსახულებიანი ბეჭედი შეგუკვეთე?.. ამ დროს არ შემიძლია ერთი კაცი არ გავიხსენო, რომელსაც ერთ-ერთი გერმანული უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ფრიად გონებაგახსნილ და ყველასგან პატივცემულ სტუდენტად ვიცნობდი. მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, ცუდ გზას დაადგა: ორ წელიწადში გალოთდა და რომანების წერა დაიწყო. გაცნობისას თუ ვინმე ჰკითხავდა, ვინ ბრძანდებითო, ყოველთვის პასუხობდა, ფაქტი ვარო. „ფაქტი ვარ“ — იტყოდა ხოლმე და ამპარტავნულად აიბზუებდა ტუჩს... აი, თქვენ ერთ მოაზროვნე კაცზე ლაპარაკობდით, რომელმაც აზროვნება ვერ ისწავლა. ან, იქნებ, მე თვითონა ვთქვი? მაპატიეთ, უბრალოდ გალესილი ვარ. მაგრამ ეგ არაფერი, ყურადღებას ნუ მიაქცევთ. პირველ ყოვლისა, ნება მომეცით, იმ მოაზროვნეზე მოგახსენოთ, რომელმაც აზროვნება არ იცის. როგორც მიგიბვდით, თქვენ ია კაცი ჭკუაში არ მოგდით. დიახ, დიახ, თქვენ იაე გამკილავედ ახსენეთ ის კაცი, რომ სწორედ ასეთი შთაბეჭდილება შემექმნა. მაგრამ ის კაცი მაინც ღირსია იმისა, რომ ყველა გარემოება შევაჯამოთ და ისე განვსაჯოთ. პირველ ყოვლისა, დიდი სულელი რამ არის. დიახ, დიახ, არ უარვყოფ, რომ სულელი იყო, მუდამდღე გრძელ წითელ ჰალსტუხს ატარებდა და სისულელისგან სულ იცინოდა. დიახ, ისეთი სულელი იყო, იჭდა და სულ წიგნს ჩაჰკირკიტებდა, უფრო სწორად, თუ ვინმე შეივლიდა, ყველას ასე დახვდებოდა ხოლმე, თუმცა კითხვას არცა ფიქრობდა. იმის გულისთვის, რომ ღილკილოში გასაყრელი ვარდის ფული გადაენარჩუნებინა, წინდებს არ იცვამდა და ფეხსაცმელში პირდაპირ შიშველ ფეხს წაყოფდა ხოლმე. დიახ, ასეთი კაცი გახლდათ. მაგრამ ეს რა არის, უკეთესს გეტყვით: ვილაც ხელოსნების კოხტა, მოკრძალებული ქალიშვილების სურათები ჰქონდა შინ, მაგრამ ზედ სულ ცნობილი, სახელგანთქმული გვარები დააწერა, რომ ხალხს ეფიქრა, ეს რა წარჩინებული ნაცნობები ჰყოლიაო. ერთ სურათს დიდი ასოებით „ფრენკენ სტანგი“ წააწერა, რომ ყველას ჰგონებოდა, ქალიშვილი მინისტრის ნათესავიაო, თუმც, ბევრი-ბევრი, ლი ან ზაუჩი თუ იქნებოდა. ჰა-ჰა-ჰა! გინახავთ სადმე ასეთი ყოყლოჩინა? იმ ყეყეჩს ეგონა, ყველაა აინტერესებდა მისი პიროვნება და ყველა მასზე ჭორობდა. „ჩემზე იმდენი ჭორი დადის“, — იტყოდა ხოლმე. ჰა-ჰა-ჰა, თქვენც გგონიათ, რომ ხალხს მასზე ჭორობის მეტი დარდი არ ჰქონდა? ერთ მშვენიერ დღეს ორი სიგარის ბოლებით შევიდა ოქ-

რომჭედლის ფარდულში. ერთი სიგარა ხელში ეჭირა, მეორე პირში გაერტო და ორივე ხრჩოლავდა. იქნებ, მართლაც, ვერ შენიშნა, რომ ერთდროულად ორ სიგარას მოუკიდა და, როგორც ეს ეკადრება იმ მოაზროვნეს, რომელმაც აზროვნება ვერ ისწავლა, მაგრამ არც...

— ჩემი წასვლის დროა, — როგორც იქნა ამოღერღა მისი წიგნი და წაგელი ფეხზე წამოვარდა.

— მიდიხართ? — ჰკითხა მან. — მართლა მანებებთ თავს? დიახ, ეს ამბავი, ალბათ, მართლაც ძალიან გაჭიანურებულია, მით უმეტეს, თუ ამ კაცზე მისი საქციელის მიხედვით ვიმსჯელებთ. რა გაეწყობა, მოდით, სხვა დროისთვის გადავდოთ. მაშ, თქვენ ახლა აუცილებლად გინდათ წახვიდეთ? ყური მიგდეთ: დღევანდელი საღამოსთვის თქვენი უსაზღვროდ მაღლობელი ვარ, გესმით? რა უღმერთოდ დავთვერი! საინტერესოა ერთი, რას ვგავარ? აიღეთ საკუთარი ნეკი, ლუბის ქვეშ შედეთ და დახედეთ! რაო? ოჰ, ყველაფერი სახეზე გაწერიათ, ბატონო გრეგორე, მშვენივრად მესმის თქვენი, უღმერთოდ ჭკვიანი ხართ და თქვენს თვალეში ჩახედვა ჩემთვის პირდაპირ დღესასწაულია — რაღაც მეტისმეტად უმანკოდ იყურებით. წასვლამდე ერთი სიგარა კიდევ მოსწიეთ. კვლავ როდის მინახულებთ? ჰო, მართლა, ეშმაკმა დალახვროს, კინაღამ დამაციწყდა, თქვენ ხომ ბერბიჭების ქეიფზე უნდა მეწვიოთ, გიგიეთ! ნუ გეშინიათ, თითსაც ვერავინ დაგაკარებთ... არა, უნდა გითხრათ: სულ რამდენიმე კაცი მეყოლება; თავს მოვიყრიტ, რომ საღამო ტკბილად გავატაროთ. სიგარას მოვწევთ, თითო ჭიქა ღვინოს დავლევთ, ვილაყბებთ, სამშობლოს სადღეგრძელოდ ცხრაჯერ ცხრაგზის დავტყეავთ „ვაშას“, — ხომ უნდა ვაამოთ ექიმ სტენერსენს, არა? ჰოდა, აი ასეც იქნება. შარვალს კი, ეშმაკმა წამიღოს, აუცილებლად მიიღებთ! მაგრამ, რა თქმა უნდა, იგივე პირობით. გმაღლობთ, რომ ჩემს მიმართ ამდენი მოთმინება გამოიჩინეთ. ნება მომეცით, ხელი ჩამოგართვათ. მოუკიდეთ სიგარას, ჩემო კარგო!.. ყური მიგდეთ, ერთს კიდევ გეტყვით: რამე სათხოვარი ხომ არ გაქვთ ჩემთან? თუ გაქვთ — სიამოვნებით. მაშ, როგორც გენებოთ... ღამე მშვიდობისა, ღამე მშვიდობისა.

XI

დადგა 29 ივლისი. ორშაბათი იყო.

ამ დღეს რამდენიმე საოცარი ამბავი მოხდა. პირველყოვლისა, ვილაც უცნობი ქალი გამოჩნდა ქალაქში, პირბადიანი მანდილოსანი, იგი პირდაპირ სასტუმროსკენ გაემართა, რამდენიმე საათი დაჰყო იქ და ისევ გაუჩინარდა...

იქვე ნაგელმა დილაადრიანვე, თვალი გაახილა თუ არა, მხიარული სტვენა და ღიღანი მორთო. ჩაცმის დროსაც, თითქოს რაღაც ენით უთქმელად ახარებდა, სულ მხიარულ შელოდებებს უსტვენდა. წინა დღეს — შაბათ საღამოს რომ მაიცა ჰყავდა სტუმრად და ბევრი დალია, ეს იმ დღის მეორე დღე იყო — ნაგელს ხმა თითქმის არ გაუღია. მთელი დღე ოთახში ბოლთას სცემდა და ერთთავად წყალს სვამდა. მაგრამ ორშაბათ დილას, როცა სასტუმროდან გამოვიდა, ისევ რაღაცას ღიღინებდა და ეტყობოდა, ჩინებულ გუნებაზე იდგა. ისე იყო გახალისებული, კიბესთან მდგარ ვილაც ქალს გამოელაპარაკა და რამდენიმე შილინგი აჩუქა.

— ხომ ვერ მეტყვით, სად ქირავდება ვიოლინო? — ჰკითხა მან. — იქნებ იცით, ვინ უკრავს ქალაქში ვიოლინოზე?

— არა, არ ვიცი, — მიუგო ქალმა და შეცბუნებულმა ახედა.

და მიუხედავად იმისა, რომ ქალმა არ იცოდა, მაინც აჩუქა ჩამდენიმე შილინგი და აჩქარებით განაგრძო გზა. დაგნი ჰელანის წითელ ქოლგას შორიდანვე მოჰკრა თვალი — ქალი ის-ის იყო რომელიღაც დუქნიდან გამოდიოდა — და შესახვედრად გაეშურა. დაგნი მარტო იყო. ნაგელმა მდებარეობა დაუტოვა თავი და მიესალმა. დაგნი, როგორც ყოველთვის, გაწითლდა და დაეცა, როგორც დასაფარავად ქოლგას ამოაფარა სახე.

ჯერ იმლამინდელ ტყეში სეირნობაზე ჩამოაგდეს სიტყვა. დაგნი მაშინ გაუფრთხილებლად მოიქცა, რომ იმდენხანს იაეირნა, იმიტომ რომ, თუმცა ძალიან თბილოდა, ცოტა გაცივდა. კაცმა რომ თქვას, ახლაც ვერ ვრძნობდა მთლად კარგად თავს. ქალმა ეს ისე გულუბრყვილოდ და ნდობით უამბო, თითქოს ნაგელი ძველი მეგობარი ყოფილიყო.

— პირობა უნდა მომცეთ, იმლამინდელ სეირნობაზე არ ინანებთ, — უთხრა ნაგელმა ისე, რომ არაფერი განუმარტავს.

— რას ბრძანებთ, სულაც არ ვნანობ, — მიუგო გაოცებულმა დაგნიმ. — საიდან დაასკვენიოთ! პირიქით, შესანიშნავი ღამე იყო. თუმცა, ღმერთმა ხომ იცის, როგორ მეშინოდა იმ თქვენი ფარნიანი კაცისა. მესიზმრა კიდევ — საშინელი სიზმარი იყო!

ახლა ცოტა ფარნიან კაცზე ისაუბრეს. ნაგელი ენაშტევრობდა და სხვათა შორის აღიარა, რომ ხანდახან თვითონაც იპყრობდა ხოლმე გაურკვეველი შიში. ხშირად კიბეზე ისე ვერ აღის, თუ ყოველ ნაბიჯზე უკან არ მიიხედა. ეჩვენება, თითქოს უკნიდან ვიღაც ეპარება. რას ნიშნავს ეს? მითხარით, რას ნიშნავს? დიახ, ეს მისტიკაა, ამოუხსნელი რამ, სადაც ჩვენს უბადრუკ „ყოვლის მცოდნე“ მეცნიერებას ჯერაც ვერ შეუღწევია, იმიტომ რომ თვითონ ძალზე მარტივი და უბეშია. მაშ რა არის — იდუმალ ძალთა ბიძგი, სიცოცხლის შეუცნობელ იმპულსთა ზემოქმედება?

— იცით, ახლა დაუძლეველი სურვილი მაქვს ამ ქუჩიდან გადავუხვიო — იმიტომ, რომ აგერ ის სახლები, იქით ხელმარცხნივ რომ ყორეა და ოლქის მოსამართლის ბაღში დარგული სამი მსხლის ხე უსიამოვნოდ მოქმედებს, მთრგუნავს რაღაცნაირად. როცა მარტო დავდივარ, ამ ქუჩაზე გავლას ყოველთვის თავს ვარიდებ და, თუნდაც გზა გამიგრძელდეს, მაინც გვერდს ავუვლი ხოლმე. მითხარით, რას ნიშნავს ეს?

დაგნიმ გადიკისკისა.

— არ ვიცი, მაგრამ ექიმი სტენერსენი ამას გადაჭარბებულ ნერვულობასა და ცრურწმენას უწოდებდა.

— ცამდე მართალი ხართ. სწორედ ასე დაუძახებდა. მაგრამ, ღმერთო ჩემო, რა ამპარტავნული სიბრყველა! აი წარმოიდგინეთ, რომ ერთხელ საღამოს რომელიმე უცხო ქალაქში ჩახვედით. ვთქვათ, ამ ქალაქში — რატომაც არა? და მეორე დღეს პირველად გახვედით სასეირნოდ, რომ გაერკვეთ სად რა არის. ჰოდა, აი, ზოგი ქუჩა თუ სახლი გაურკვეველ, მაგრამ მძაფრ სიძულვილს გიღვიძებთ, ზოგი კი, პირიქით, სიამოვნებას და სიხარულს გგვრით. რას უწოდებთ ამას, გადაჭარბებულ ნერვულობას? ახლა დავუშვათ, რომ რკინის ნერვები გაქვთ და არც კი იცით, რა ხილია ნევრასტენია. მაშ ასე, მიდიხართ ქუჩაზე, წინ ვინ აღარ გხვდებათ, მაგრამ სრულიად გულგრილად უვლით გვერდს და თქვენს გზას განაგრძობთ. და აი სწორედ იმ დროს, როცა სანაპიროზე დაეშ-

ვით და დანგრევის პირზე მისულ ერთსართულიან სახლს ჩაუარეთ, სახლს, რომელსაც ფანჯრებზე ფარდები არ აფარია, რაფაზე კი თეთრფეხიანი ქონები დგას, წინ მავანი კაცი შემოგეყარათ, რომელმაც თქვენი ყურადღება მიიპყრო. თქვენ იმას შეაკცქვრიოთ. ის კი თქვენ შემოგყურებოდა, თქვენ თქვას, ისეთი არაფერი აქვს, ყურადღება მიაქციოთ, გარდა იმისა, რომ მისი ყურადღება აცვია და მხრებში ოდნავ იხრება. და აი, თუმცა ამ კაცს პირველად ხედავთ, თავში უცნაური აზრი მოგდით, რომ მას აღმათ იუჰანესი ჰქვია. დიახ, იუჰანესი და არა სხვა რამ. მაინც რატომ გადაწყვიტეთ, რომ იუჰანესი ჰქვია? ვერაფრით აგიხსნიათ, მაგრამ მისი თვალები, მოძრაობა, ნაბიჯების ხმა, ყველაფერი ამკარად გიმტკიცებთ, რომ ასეა. მაგრამ არა იმიტომ, რომ ადრე ვინმეს იცნობდით, რომელიც ამ კაცს ჰგავდა და იუჰანესი ერქვა. არა, საჭმე ამაში არ არის, მით უმეტეს, რომ არავის იცნობთ იმისთანას, ოდნავ მაინც ჩამოჰგავდეს ამ კაცს. მოკლედ, შეცბუნებული დგახართ. ვერ გაგიგიათ რატომ შეგიპყროთ უცნაურმა მისტიკურმა გრძნობამ.

— ჩვენს ქალაქში შეხვდით ამგვარ კაცს?

— არა, არა, — სხარტად მიუგო ნაგელმა. — ეს ისე, ქალაქი, ერთსართულიანი დაბალი სახლიც და ის კაციც მხოლოდ მაგალითობის მოვიყვანე. მაგრამ მაინც უცნაურია. არა? სხვა უცნაური ამბებიც ხდება. წარმოიდგინეთ, რომ უცხო ქალაქა ესტუმრეთ და უცხო სახლში შედიხართ. ეთქვათ სასტუმროში, სადაც ჯერ ღვნი არ დავადგამთ. უცრად თქვენთვის ამკარა ხდება, რომ ადრე, იქნებ დიდი ხნის წინათაც, ამ სახლში აფთიაქი უნდა ყოფილიყო. საიდან იცით, რომ ასეა? ამაზე თითქოს არაფერი მიახიზნებს, არც საიტყვა გადაუკრავს ვინმეს, წამლების სუნი არ დგას. არა, ნამდვილად არ დგას, კედლებზე თაბების კვალიც კი არ ჩანს, არც დაბლისკენ მიმავალი რაღაცა გაქეჩილი. მიუხედავად ამისა, ექვიც არ გეპარებათ, რომ ამ სახლში თდესდაც აფთიაქი იყო. ჰოდა, წარმოიდგინეთ, თუმცა არ შემცდარხართ, რაღაც იდუმალი ცოდნა ნათელივით მოგეფინათ და მისი წყალობით იმას ჩამწვდით, რაც სხვისთვის ფარულია. ან იქნებ თქვენ ასე არასოდეს მოგსვლიათ.

— ასეთ რამეზე ადრე რაღაც არასოდეს მიფიქრია, მაგრამ აილა რომ მელაპარაკებით, მგონია, მეც დამმართნია-მეთქი რაღაც მაგდაგვარი. ყოველშემთხვევაში, ბშირად შემიპყრობს ბოლმე უნებლიე შიში, განსაკუთრებით სიბნელეში, მაგრამ შეიძლება ეს ის არ არის.

— ღმერთმა უწყის, ის არის თუ არა, ვინ იცის, რა საოცარი, უცნაური და მშვენიერი რამ აღარ ხდება ამ ჩვენს ცოდვილ დედამიწაზე. ზოგჯერ სრულიად გაურკვეველი წინათგრძნობა გვაწუხებს, უნებლიე შიში შეგვიპყრობს და თავზარდაცემულნი ვძრწით. წარმოიდგინეთ, რომ გარეთ ეუნაპეტო ღამეა და გესმით, როგორ მოიპარება ვიღაც თქვენი სახლის კედლის გასწვრივ. არ გძინავთ, მაგიდას უზიხართ, ჩაბუხს ეწევით და ხუთივე გრძნობა გამახვილებული გაქვთ. თავში ნაირ-ნაირი გეგმები მოგდით, ათასნაირად ზომავთ და წონით მათ და თქვენი გონება მხოლოდ ამითაა დაკავებული. უცრად, სრულიად გარკვევით გესმით, რომ ტროტუარზე, თქვენ სახლთან კედელ-კედელ ვიღაც მოიპარება. ან, იქნებ, ტროტუარზე კი არა, სულაც ოთახში, აგერ, იქ, ღუმელთანაა, თითქოს ხედავთ ვიღაც ვიღაცის ჩრდილს იმ კუთხეში. მიშინ მაგიდის ნათურას შუქფარსა ხსნიო, რომ სინათლე იმძლავროს, მიდიხართ ღუმელთან, ჩრდილია წინ ჩერდებით და ვიღაც საშუალო ტანის უცხო კაცი ხედავთ, რომელ-

საც ყელზე შალის ზოლიანი ყელსახვევი ახვევია, ლურჯი, ჩატეტილი ტუჩები აქვს და ნორვეგიულ ბანქოს ქალაქზე დახატულ ჯვრის ვალეტსა აკავს. დავუშვათ, თქვენს გულში შიშს ცნობისმოყვარეობამ სძლია და რმის იმედად, რომ თქვენი მზერა თვალთახედვიდან გააქრობს, სტუმარს წინ აესვეტეთ. უცნობი აინუნშიდაც არ აგდებს, ადგილიდან არ ეძვრის, თუმცა ისე ახლოს უდგანართ, ხედავთ, როგორ ახამხამებს თვალეზს და მისი ყველა მოქმედებით, რომ ისიც ისეთივე ხორციელია, როგორიც თქვენ. გადაწყვეტთ, არ დაკარგოთ სულის სიმშვიდე, არ დაარღვიოთ შინ გამეფებული მყუდროება და თუმცა აღრე თვალითაც არ გინახავთ, საკმაოდ კეთილმოსურნედ ეკითხებით: „შემთხვევით თქვენ ჰომანი ზომ არ ხართ, ბერნტ ჰომანი?“ და რადგან უცნობი ხმას არ გცემთ, გადაწყვეტთ ჰომანი უწოდოთ და კვლავ მიმართავთ: „დალახვრთს ეშმაკმა, ვითომ რატომ არ შეიძლება იყოთ ბერნტ ჰომანი?“ ხიბლითი შესცქერით უცნობს, მაგრამ იგი კვლავინდებურად უძრავად დგას და უკვე აღარ იცით, როგორ მოიქცეთ. რატომღაც უკან იხევთ ერთი ნაბიჯით, ყალიონის ტარს უმიზნებთ და ეუბნებით „ბახ“, მაგრამ უცნობს არც კი ეცივნება. ბრაზმორეული ახლა მუჯლუგუნით უმასპინძლებით, მას კი, თუმცა გვერდით გიდგათ, ისეთი სახე აქვს, თითქოს სულაც არვინ შეხებიო. უცნობი ძირს არ ეცემა, ჯიბეში ხელებჩაწყობილი მხარგაშლილი ჯიუტადა დგას და ისე გიჟურებთ, თითქოს გეუბნებათ: „აბა, ახლა რაღას იზამთ?“ თქვენს მუჯლუგუნს აშკარად არაფრად აგდებს. „ახლა რას ვიზამ?“ — ღრიალებთ გაცოფებული და მთელი ძალღონით გულის კოვზთან ურტყამთ. მაშინ კი, აი, რა ხდება: თქვენი დარტყმისგან უცნობი დემეტერიზებაა იწყებს, თქვენი თვალით ხედავთ, თანდათანობით როგორ უჭრება ტანის კონტურები, ნელ-ნელა იღვება, ბოლოს მხოლოდ მუცელია ჩანს და მეგრე ისიც ქრება. მაგრამ სანამ ეს ღამეული სტუმარი ღუმელთან იდგა, ჯიბიდან ხელი არ ამოუღია და გამომწვევი სახით თვალდაჭყეტილი ისე შემოგცქეროდათ, თითქოს გეუბნებოდათ: „აბა, ახლა რაღას იზამთ?“ დაგნიმ ისევ გადიგისცია.

— რა უცნაური ამბავი აღარ გადაგხდებათ ხოლმე თავს. მეგრე? მეგრე რა მოხდა?

— მეგრე, როცა კვლავ მიუჯდებით მაგიდას და თქვენ საფიქრალს დაუბრუნდებით, ამჩნევთ, რომ კედელზე დარტყმისგან ხელი მთლად დასისხლიანებული გაქვით... კაცმა რომ თქვას, აი, რა მინდა ვთქვა: მეორე დღეს, როცა თქვენს თავგადასავალს ნაცნობებს უამბობთ, გარწმუნებენ, ყველაფერი დაგსიზმრებიაო. ჰა-ჰა! დაფინებით გიმტკიცებენ, გეძინაო, როცა ღმერთი და ყველა წმინდანი მოწმეა, იმ ღამეს თვალზე არ მოგიხუჭავთ. მხოლოდ ანბანურ სიბრძნეს ძალუფს, ამას ძილი უწოდოს — თქვენ ხომ სრულიად საღ გონებაზე იდუქით ღუმელთან, ყალიონს ეწეოდით და ცდილობდით, იდუმალ სტუმართან საუბარი გაგებათ. აი, მაშინ უკვე ექიმი მოყავთ, ჩინებული სპეციალისტი, ამ გაფუფულო ქედმაღლური მეცნიერების ტიპური წარმომადგენელი. „ნერვების ბრაღია, — ამბობს და ამპარტავნულად პრუწავს ტუჩს — მხოლოდ ნერვების“. ღმერთო, კაცი კი არა, კაცუნაა! კეთილი, მაშ, ნერვების ბრაღი ყოფილა. ექიმს წარმოუდგენია, თითქოს ეს ისეთი რამ იყოს, რაც შეიძლება გაიზომოს, აიწონოს და ხელის გულზე დაიდოს; აი, მოშლილი ნერვები, აგერაა, დასტკბით ყურებით! ხეზეულად გიწერთ რკინასა და ქინაქინს და ჰგონია, რომ ახლა ყველაფერი რიგზეა. ასე ხდება ხოლმე. ახლა თავად იფიქრეთ, რა სიბრიყვე, რა

განუკითხავი უფიქრობაა, როცა ამ თავიანთი გაზომვებითა და ჭიხაჭინი ისეთ სფეროში მიძვრებიან. სადაც ყველაზე ძლიერ და გამჭრიახ გონებასაც კი კარგად გაუწყვია.

— საცაა დილი ამწყდებოდა, — უთხრა დაგნიმ.

— დილი ამწყდება?



განუკითხვა

ქალმა დიმიტრის ნიუთითა სეროტუის დილზე, რომელსაც მანამდე ჰქონდა ეკიდა.

— მოაწყვით, თორემ დაგეკარგებათ.

ნაგელმა მორჩილად ამოიღო ჯიბიდან ჯაყვა და ძაფი გადაჭრა. ჯაყვას რომ იღებდა, ჯიბიდან რამდენიმე სპილენძის მონეტა და გაქონილ ბაფთაზე ჩანობ-მული მედალი ამოუვარდა. მუის დაიხარა და ყველაფერი აკრიფა. დავნი ყურადღებით ადევნებდა თვალს.

— ეგ რა არის, მედალია? — ჰკითხა მან, — როგორ ეპყრობით, რა დღეშია ბაფთა! რისთვის მიიღეთ?

— ასეთ მედალს წყალში ჩავარდნილთა ხსენების იძლევიან. ოცონდ, გთხოვთ, ნუ იფიქრებთ, თითქოს რითიმე დამემსახურებინოს — ეს ისე, წმინდა წყლის თაღლითობაა.

დაგნიმ შეხედა. ნაგელმა მშვიდად, ალაღ-მართალი კაცივით გაუსწორა თვალი, თითქოს ტყუილის თქმა აზრადაც არა ჰქონიაო. მედალი ჯერაც ხელში ეჭირა.

— აგერ, ისევ დაიწყეთ თქვენებური, — უთხრა ქალმა, — თუ ღირსი არ ხართ, მაშ, რაღას შეგინახიათ და თან ატარებთ?

— ვიყიდე! — შესძახა ნაგელმა და გადაიხარხარა. — მე ვარ მისი პატრონ-პატრონი, მე მეკუთვნის, როგორც აი, ეს დანა ან აგერ, ეს დილი. რატომ უნდა გადაეგდო?

— როგორ მოგივიდათ თავში აზრად მედლია ყიდვა?

— რა თქმა უნდა, სიცოცხლე, არ უარყოფ, მაგრამ ხანდახან რას აღარ ჩაიდენ კაცი ერთხელ, მახსოვს, მთელა დღე მეკეთა გულზე, თავს ვიწონებდი და სიამოვნებით გადავკარ კიდევ, როცა ჩემს პატივსაცემად სადღეგრძელო დალიეს, ჰა-ჰა-ჰა! ბოლოს და ბოლოს, ყველა ტყუილს ერთი ფასი აქვს.

— აი, გვარი კი წაშლილია ზედ, — თქვა დაგნიმ.

ნაგელს სახე ეცვალა და მედლის გამოსართმევად ხელი გაიწოდა.

— წაშლილია? შეუძლებელია! მომეცით, დავხედო. ჰო, აი, რა მოხდებოდა: ხურდასთან ერთად დავათრევ ხოლმე ჯიბით, ჰოდა, გაიკაწრა.

დაგნიმ დაეჭვებით შეხედა. მაშინ ნაგელმა უცბად მხიარულად გაატკაცუნა თითები და შესძახა:

— ღმერთო ჩემო, რა გულმავიწყი ვარ! ცამდე მართალი ხართ — გვარი წაშლილია, ეს როგორ დამავიწყდა! ჰა-ჰა-ჰა! ცამდე მართალი ხართ, მე თვითონ ამოვფხიკე. მედალზე ხომ იმის გვარი ეწერა, ვინც დააჯილდოვეს და არა ჩემი. ვიყიდე თუ არა, პირველ ყოვლისა, პატრონის გვარი მოვსპე. უმორჩილესად გთხოვთ, მაპატიოთ, რომ მაშინვე არ გითხარი. სულაც არ ვაპირებდი თქვენს მოტყუებას. უბრალოდ სხვა რამეზე ვფიქრობდი: მინდოდა გამეგო, რატომ გიშლიდათ ნერვებს ჩემი სეროტუის დილი. ვთქვით და აწყვეტილიყო, მერე რა მოხდა? ხომ არ არის ეს ილუსტრაცია ჩვენი საუბრისა ნერვებისა და მეცნიერებაზე?

დუმბილია.

— თქვენ მე ყოველთვის რაღაც ააგანგებო გულახდილობით მელაპარაკებით, — უთხრა ქალმა და კითხვაზე პასუხი არ გაუცია — ოღონდ, ვერ გამიგია, რას ელტვით. იმეთი უცნაური აზრები გაქვთ: ახლა ანაწი მამტაცივბდით, ამჟღევნად ყველაფერი სიკრუთა და კეთილშობილები სანმინდე და დიდება არ არსებობს. მართლა გულწრფელად გგონიათ, რომ მინდოდა, არა აქვს, ორიოდ კრონად იყიდი მედალს თუ ღირსეულად დაიმსახურებ?

ნაგელი დუმბია. მაშინ დაგნიმ ისევ დაიწყო ლაპარაკი დინჯად და სერიოზულად:

— არ მესმის თქვენი. ხანდახან თქვენ მსჯელობას რომ ვისმენ, ჩემს თავს ვეკითხები ხოლმე: სრულ ჭკუაზე თუა ნეტაი? მაპატიეთ, ამას რომ გეუბნებით! ყოველ შეხვედრაზე სულ უფრო და უფრო მიფორიაქებთ სულს და მაშფოთებთ. მთელი აზრები ამირიეთ. რაზეც არ უნდა ჩამოვარდეს სიტყვა ყველაფერს თავდაპირა აყენებით. რატომ? ვერ არასოდეს შემხვედრია კაცი, ასე რომ ეწინააღმდეგებოდეს ყველა ჩემს შეხედულებას. მითხარით, რამდენად გულწრფელადა გწამთ თქვენი ნათქვამის? რას ფიქრობთ გულის სიღრმეში?

ქალი ისე გულთბილად და სერიოზულად ლაპარაკობდა, ნაგელი შეცბა.

— მე რომ ღმერთი მწამდეს. — მიუგო მან, — ღმერთი, რომელიც ჩემთვის დიდებული და წმინდათა-წმინდა იქნებოდა. იმის სახელს შემოგფიცავდით, მართლა იმას გეუბნებით, რასაც ვფიქრობ. მაშინაც კი, როცა გზა-კვალს ვიბნევთ, ღრმად ვარ დარწმუნებული, ასე სჯობია, ამას წინათ მითხარით, საპირისპირო ხატი ხართ იმისა, რასაც სხვები ფიქრობენო. დიახ, გეთანხმებით, მართლაც, საპირისპირო ხატი ვარ, თუმცა, თავად არ მესმის, რატომ ხდება ასე. ყველა ეს საკითხი იმდენად აშკარა და ნათელია ჩემთვის, ისე ცხადად ვხედავ მათ ურთიერთკავშირს, ვერ გამიგია, რატომ ჩემსათვის არ ფიქრობენ სხვებიც. აი, რას ვფიქრობ გულის სიღრმეში, ფრეკენ, ნეტა შემეძლოს იაე მოვახერხო, რომ თქვენ ყოველთვის გერწმუნათ ჩემი — აწ და მარადის!

— აწ და მარადის? არა ამას ვერ შეგპირდებით.

— ჩემთვის კი ამას უზომოდ დიდი მნიშვნელობა აქვს, — თქვა ნაგელმა. ტყეში მაღაოდნენ უკვე. ისე ახლო-ახლოს მიაბიჯებდნენ, იდაყვებით ეხებოდნენ ერთმანეთს. ირგვლივ ისეთი სიჩუმე იდგა, ჩურჩულით ლაპარაკიც კი კმაროდა. ტყეში ჩიტები ჰიკვიცებდნენ.

უეცრად ნაგელი შედგა და დაგნიც უხებლიედ გაჩერდა.

— როგორ შენატრებოდით ეს დღეები! არა, არა, ოღონდ ნუ შეშფოთდებით. ამაში ცუდი არაფერია. ვიცი, იმედი არ არის და, მერწმუნეთ, არც არაფრის იმედი მაქვს, არაფრის! იქნებ, ვერც კი მიმიხედით, ამით არ უნდა დამეწყოს, უბრალოდ წამოძვდა — ვთქვი ის, რისი თქმაც არ მინდოდა.

ნაგელი გაჩუმდა და მაშინ დაგნიმ უთხრა:

— რა უცნაური ხართ დღეს!

და გზის გაგრძელება დააპირა.

მაგრამ ნაგელმა კვლავ შეაჩერა:

— საყვარელო ფრეკენ, მთითმინეთ, სულ ოდნავ მაინც შემიწყნარეთ დღეს. ლაპარაკს კუფრობი, მეშინია, არ შემაწყვეტინოთ და არ მითხრათ: გამშორდით! არადა, ბევრი უძილო ღამე გამიტარებია ამაზე ფიქრში.

ქალი სულ უფრო გაოცებულად უყურებდა, მერე კი უთხრა:

— რას ნიშნავს ეს?

— რას ნიშნავს? ნებას მაძლევთ, გითხრათ? ეს იმას ნიშნავს... ეს იმას ნიშნავს, რომ მე თქვენ მიყვარხართ, ფრეკენ ჰელან და, კაცმა რომ თქვას, ვერ გამიგია, რატომ გაოცდით! მე ჩვეულებრივი ხორციელი კაცი ვარ, პოლა, შეგხვდით და ჭკუა დავკარგე! რა არის აქ საკვირველი? ^{მეცხედრები} იქნებ, არ უნდა გამოგტყდომოდით?

— დიახ, არ უნდა გეთქვათ.

— პო მაგრამ, როგორ შევიკავო თავი? სიყვარულისგან ცილიც კი დაგწამეთ, პრანჭია-მეთქი. ვთქვი: ვცდილობდი, გამეჩიაქებინეთ ჩემს თავალში მხოლოდ იმიტომ, თავი მენუგეშებინა და საბოლოოდ არ წარმცვეთოდა სასო, რადგან ვიცი, ხელი არ მომიწვდება თქვენამდე. დღეს მეხუთეჯერ შეგხვდით, მაგრამ აქამდე არაფრით გამიცია თავი. თუმცა, რაც ახლა გითხარით, პირველივე შეხვედრისას შემეძლო მეთქვა. დღეს კი ჩემი დღეობაცაა, ოცდაცხრა წელი შემისრულდა და დილიდანვე ისეთ ხალისიას გუნებაზე ვიდექი, რომ სულ რაღაცას ვლიღინებდი. ვფიქრობდი — იქნებ სასაცილოა, ამისთანა სისულელეებს რომ აყვება კაცი. მაგრამ მაინც ვფიქრობდი: თუ დღეს შეხვდები და ყველაფერში გამოუტყდები, ურიგო არ იქნება, იმიტომ რომ დღეს შენი დღეობაა. ეტყვი, რომ დღეს შენი დღესასწაულია და მაშინ იქნება უფრო იოლად მოგიტევოს — ამ დღის გულისთვის, გედიბებათ? რა თქმა უნდა, სასაცილოა, ვიცი. მაგრამ ახლა უკვე გვიანია უკანდახევა. მეც, როგორც ყველა, ჩემს წილ ხარკს გიხდით.

— რა საწყენია, რომ მაინცდამაინც დღეს მოხდა ყველაფერი. წელს ბედუქულმართი დაბადების დღე გაგიტენდათ, მეტს ვერაფერს გეტყვით.

— რა თქმა უნდა, ვერაფერს... ღმერთო, ეს რა ძალა გაქვთ! მშვენიერად მესმის, რომ თქვენი გულისთვის კაცმა შეიძლება ყველაფერი ჩაიღიროს. ახლაც კი, როცა ჩემთვის უსიხარულო განაჩენი გამოძიებნით, თქვენი ხმა მუსიკასავით ისმოდა. რა უცნაური გრძნობაა, თითქოს რაღაც გამეფურჩქნა სულში. პირდაპირ საკვირველია! იცით, ღამიანობით თქვენი სახლის გარშემო დავძრწოდი იმის ამეღად, იქნებ, სარკმელში მის ჩრდილს მაინც მოგვრია-მეთქი თავალი; აი აქ, ტყეში, ღმერთა მუხლმოყრილი ვავედრებდი თქვენს თავს და ამას მე ჩავდიოდი, მე, თუმცა ხეირიანად არც კი მწამს ღმერთი. ხედავთ, აგერ იმ ვერხვს? საგანგებოდ გაგაჩერეთ ამ ადგილას, იმიტომ რომ მუხლმოყრილსა და მთლად სასოწარკვეთილს, არაერთი ღამე გამიტარებია ამ ვერხვის ქვეშ: გამოფიტული და განადგურებული ვიყავი, რადგან არ შემეძლო თქვენზე არ მეფიქრა. ყოველ საღამოს აქ ვასურვებდით მშვიდობის ღამეს, მუხლმოყრილი ვიდექ და ქარსა და ვარსკვლავებს ევედრებოდი, ჩემი საღამო გადმოეცათ თქვენთვის. არ შეიძლება ეს ძილში არ გეგრძნოთ...

— რატომ მეუბნებით ამას? განა არ იცით, რომ მე...

— დიახ, დიახ, — შეაწყვეტინა უსაზღვროდ აღელვებულმა, — ვიცი,

რისი თქმაც გინდათ: რომ უკვე დიდი ხანია სხვას მიეცით პირობა და მე უნამუსოდ ვიქცევი, რომ ახლა, როცა უკვე ყველაფერი გადაჭრილია, არ გასვენებთ. ნუთუ გკონიათ, არ მესმოდეს? მაშ, რაღად გითხარით ეს ყველაფერი? მოგახსენებთ: მინდოდა გამეოცებინეთ, შთაბეჭდილება მომეხდინა თქვენზე, შეიძულებინეთ კიდევ ერთხელ აგეწონ-დაგეწონათ ყველაფერი, ღმერთმა ხომ

იცის, სრულ სამართლეს ვლპარაკობ, ახლა ტყუილის თქმას ვერც შევძლებდი. ვიცი, რომ დაწინდული ხართ, საქმრო გყავთ, რომელიც გაყვართ და მე არაფრის იმედი არ უნდა მქონდეს. დიახ, ასეა და, მიუხედავად ამისა, ვცდილობ, გავლენა მოვახდინო თქვენზე, იმედზე უარის თქმის ღონე არ შემწევს. აბა, ერთი კარგად ჩაუკვირდით ამ სიტყვებს: „ალბათ არაფრის იმედი არ მაქვს“, — მაშინ, იქნებ, უფრო უკეთ გამოგოთ. ახლახანს გიგანტური არაფრის იმედი არ მაქვს-მეთქი, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს სიცრუეა. ასე მხოლოდ იმიტომ ვითხარით, რომ დამემშვიდებინეთ და დრო მომეგო, მოკლედ, ერთბაშად რომ არ დამეფრთხეთ. სანატრელო, ჩემო სანატრელო, ღმერთმა უწყის, რაა არ ვბოდივ, არა? იმია თქმა სულაც არ მანდა, თითქოს იმედის საბაბი მოგეცეთ ჩემთვის, ეგეც არ იყოს, სულაც არ ვარ ისეთი თავდაჯერებული, წარმოვიდგინო, თითქოს ძალა შემწევდეს, ვინმე განვდევნო თქვენი გულიდან. გეფიცებით, ერთხელაც არ მომსვლია აზრად. მაგრამ სასოწარკვეთის წუთებში ჩემს გულში ვამბობდი: დიახაც, იგი დაწინდულია და მალე წავა აქედან. ღმერთმა ხელი მოუმართოს! მაგრამ ჯერ ხომ მთლად დაკარგული არაა ჩემთვის — ჯერ კიდევ აქაა, ჯერ არ გათხოვილა, არ მომკვდარა... ვინ იცის! თუ თავზე ხელი ავიღე, მაშინ, იქნებ, ჯერაც არ იყოს გვიან! თქვენ ჩემი მოუშორებელი საფიქრალი იყავით; ყველაფერში, რაც გარს მეხვია, თქვენ სახეს ვხედავდი და ყველა ცისფერ ელფს დაგნის ვეძახდი. ამ რამდენიმე კვირაა მანაილზე, რაც აქ ვარ, ერთი დღეც არ ყოფილა, რომ სულ თქვენზე არ მეფიქრა. როცა არ უნდა გამოვსულიყავი სასტუმროდან, კარს გამოვადებდი და კიბუა ჩამოვათავებდი თუ არა, უმაღ იმედი განმიწონიდა გულს, იქნებ, ახლა ვნახო-მეთქი და სულ თქვენთან შეხვედრას ვცდილობდი. უკვე აღარაფერი მესმის და ველარც თავს ვიმორჩილებ. მერწმუნეთ, თუ ახლა გული გადაგიშალეთ, არ გეგონოთ, რომ არაფრად მიღირს. დიდი ვერაფერი სასიხარულოა, როცა ხედები, ყველა შენი მცდელობა სულ ამოა და მაინც ვერ გითქვამს უარი ამ მცდელობაზე. პოდა, ასე უკანასკნელ ძალ-ღონეს იკრებ და მაინც იბრძვი, თუმც იცი, რომ განწირული ხარ, გამოსავალი არსაითაა. როცა ღამე იწილი არ გეკარება, რას აღარ მისწვდება ხოლმე კაცის ფიქრის სარკმელთან ზიხარ, ხელში წიგნი გიჭირავს, მაგრამ ვერ კითხულობ. კბილს კბილზე აჭერ და თავს აიძულებ, რომ სამი სტრიქონი ჩაიკითხო. მაგრამ მერე ველარ აგრძელებ, ბოლოს და ბოლოს, წიგნს ხურავ და სახეზე ხელებს იფარებ; გული ღამის ბუდიდან ამოგივარდეს, უხმოდ ჭურჩულებ იდუმალ სააღერსო სიტყვება, გაუთავებლად იმეორებ ერთი და იმავე სახელს და გუნებაში კოცნი მას. რუკავს ორი, სამი, ოთხი, ექვსი საათი. მაშინ გადაჭრის, რომ ბოლო მოუღო ამას და როგორც კი შემთხვევა ჩაგივარდება, გაბედო, თავზეხელაღებული ნაბიჯი გადადგა და ყველაფერში გამოუტყდე... გამბედაობა რომ მყოფნიდეს კიდევ რაღაც გთხოვოთ, მაშინ გაჩუმებას შეგვედრებოდით. მიყვარხართ... თქვენ კი გაჩუმდით, გაჩუმდით! მაჩუქეთ სამი წუთი.

გაოგნებული ქალი უხმოდ უსმენდა. კვლავ გაუნძრევლად იდგა.

— არა, ალბათ, თქვენ მაინც ჭკუაზე შეცდით! — წარმოთქვა ბოლოა და თავი გადააქნია. იდგა სევდიანი, გაფითრებული და როცა კვლავ წამოიწყო ლპარაკი, ლურჯ თვალებში ყინული ჩაიყენა.

— თქვენ იცით, რომ უკვე დაწინდული ვარ, გახსოვთ, ახსენებთ კიდევ ამას და მაინც...

— რა თქმა უნდა, ვიცო! განა შემიძლია დავივიწყო მისი სახე, მისი მუნ-
დირი! დიახ, საამო შესახედავია და ნაკლი ვერაფერში მიპოვია, მაგრამ მაინც
მინდა, რომ მოკვდეს ან გაქრეს. „ნურაფრის იმედი ნუ გექნება“. სულ ამას
ვუჩიჩინებდი თავს, მაგრამ რა გამოვიდა? ამიტომ ვცდილობ, დავივიწყო, რომ
ეს შეუძლებელია და თავს ვინუგეშებ: „იქნებ, ჯერ კიდევ გვიან არაა, ხომ
შეიძლება რამე მოხდეს, ჯერ კიდევ არის იმედი...“ ხომ მართლაც კიდევ
იმედი?

— არა, არა! — შეჰყვირა ქალმა. — რა დღეში მაგდებთ? რა გინდათ
ჩემგან? რა განგიზრახავთ? ხომ არ გგონიათ, რომ მე უნდა.. ღმერთო, მოდიტ
ამაზე ნულარ ვილაპარაკებთ, გთხოვთ. და წადით! ახლა თქვენ ყველაფერი
წახდინეთ — წახდინეთ რამდენიმე სულელური სიტყვით, ახლა ჩვენ სა-
უბრებს ბოლო მოეღო და კვლავ აღარ უნდა შევხვდეთ ერთმანეთს. ეს რა-
ტომ ჰქენით? მე რომ მცოდნოდა წინასწარ! დიახ, დიახ, ახლა სიტყვა აღარ
დასძრათ ამაზე, გთხოვთ, ორივეს გულისთვის — ჩემი და თქვენი გულისთვი-
საც. თქვენ თვითონ მშვენიერად გესმით, რომ მე ვერაფერი ვერ ვიქნები
თქვენთვის, ეგ როგორ წარმოიდგინეთ! ასე აღარ შეიძლება. წადით სახლში და
ეცადეთ, ბედს შეურიგდეთ. ღმერთო ჩემო, გულწრფელად ვწუხვარ თქვენ-
ზედაც, მაგრამ სხვანაირად ვერ მოვიქცევი.

— მაშ, ისე გამოდის, სამუდამოდ უნდა გამოვეთხოვოთ ახლა ერთმანეთს?
ნუთუ დღეს უკანასკნელად გხედავთ? არა, გესმით, არა! პირობას გაძლევთ,
კარგად მოვიქცევი, რაზედაც გნებავთ იმაზე ვილაპარაკებ, ოღონდ ამაზე არა-
ფერს ვიტყვი, სიტყვას არ დავძრავ არასოდეს, და მაშინ ნებას დამრთავთ,
გნახოთ ხოლმე, ხომ? თუ ძალიან წყნარად მოვიქცევი? ხომ შეიძლება ისეც
მოხდეს, სხვამ ყველამ თავი მოგაბეზროთ; ოღონდაც ნუ მეტყვით, რომ დღეს
უკანასკნელად გხედავთ, უკანასკნელად, ისევ თავს იქნევთ, ოჰ, რა ტურფა
თავი გაქვთ. — მაშ, არაფერი, არაფერი შეიძლება. დაე, ნუ მომცემთ ნახვის
უფლებას, ოღონდ ახლა მომატყუეთ და პოოზა მითხარით, თორემ დღეს ისე-
თი სევდიანი ვიქნები, ისეთი აუტანელი სევდა შემომაწვება. დღეს დილით კი
სიხარულისგან მემღერებოდა... ნეტავ, კიდევ მაინც გნახავდეთ!

— არა, ამას ნუ მომთხოვთ, ვერ შეგპირდებით. ან რა აზრი აქვს? ახლა
კი წადით, გთხოვთ, წადით აქედან! იქნებ, კიდევ შევხვდეთ ერთმანეთს, ვინ
იცის, სავსებით შეიძლება ასეც მოხდეს. ახლა კი წადით, გესმით, წადით აქე-
დან! — მოუთმენლად შეჰყვირა დაგნიმ. — ღმერთმანი, ამით დიდ შვებას
მომგვრით.

დუმილი, ნაგელი იდგა და თვალს არ აცილებდა, სუნთქვა უჭირდა. ბოლოს
თავს მოერიდა და თავი დაუქრა. და უეცრად ქუდი ძირს დაახეთქა, ხელი სტაცა
ხელზე, რომელიც ქალს მისთვის არ გაუწვდია და მძლავრად მოუჭირა. დაგ-
ნიმ შეჰკივლა, ნაგელმა მაშინვე უშვა ხელი, თავხარი დაეცა, რომ რაღაც ატ-
კინა. იდგა და უყურებდა, როგორ შორდებოდა ქალი. კიდევ რამდენიმე ნაბი-
ჯი და მოსახვევა მიეფარება. სახე წამოუჭარხლდა, დაუნდობლად ჩაიკვნიტა
ტუჩი და მოუნდა წასულიყო, ზურგი შეექცია მისთვის, ბრაზი აღრჩობდა.
ბოლოს და ბოლოს, მაინც ვაჟკაცია. კარგი, ძალიან კარგი, მშვიდობით!...

მოულოდნელად ქალი შემობრუნდა და შორიდან უთხრა:

— კიდევ ამას გთხოვთ, ნულარ უტრიალებთ ჩვენს სახლს გარშემო. გე-
ნაცვალე, გევედრებით, ნუ იზამთ! მაშ, ამ ბოლო ხანებში თქვენ გიყვფდათ

ხოლმე ღამე ძალდი. ერთხელ მამამ გამოსვლაჲ კი მოინდომა, რომ ენახა, ვინ იყო. აღარ მოხვდეთ ხოლმე, გესმით. მე იმედი მაქვს, თქვენ არ ისურვებთ, რომ ჩვენ, ორივენი გავუბედურდეთ.

აი, სულ ეს თქვა, მაგრამ მისი ხმის გავონებაზე ნაგელს სიბრანემ უმაღლესად და თავი გადააქნია.

— აკი დღეს ჩემი დღეობაა, — თქვა და სახეზე ხელდაუწყო ნაჩანჩაღდა.

ქალმა თვალი გააყოლა. მერე უცბად გადაწყვიტა, მისკენ გამოიქცა და ხელი დაუჭირა:

— მაპატიეთ, მე არაფერი ძალმიძს, არ შემძლია რამე ვიყო თქვენთვის. მაგრამ, ვინ იცის, შეიძლება კიდევ შევხვდეთ ერთმანეთს. თქვენ არ გგონიათ? ახლა კი უნდა წავიდე.

დაგნი მიბრუნდა და განშორდა.

(გაგრძელება იქნება შემდეგ ნომერში)

უცხოური იუმორი

ანკიტის შევსება

საავტოროდში თავგატეხილი პაციენტი მიიყვანეს. ექთანმა ანკიტის შევსება დაიწყო.

- სახელი და გვარი?
- ბობ სტივენსი.
- ცოლიანი?
- არა, ავარიაში მოვეყვი.

დარაჯი

— გაითვალისწინეთ გარემოება, რომ მთელ ღამეს ერთ ადგილას მოგიწევთ ჯდომა, ეს კი მცტისმეტად ძნელია, — გააფრთხილა სპეციალისტმა მადლობის გამგემ მთხოვნელი, რომელიც ღამის დარაჯად უნდა მიეღო.

— ნუ წუხართ, ბატონო, შეჩვეული ვარ, ახლაბანს გამოუვდი ციხიდან.

მკვლევარები

— სადაც ჩვენ ვიყავით, ისე ციოდა, სანთელი გაიყინა და ვერ ჩავაქრეთ, — თქვა არქტიკის მკვლევარმა.

— ეგ რა არის, — მიუგო მეორემ. — სადაც ჩვენ ვიყავით, იქ პირიდან სიტყვები ყინულის პატარა ნატეხების სახით გვეციოდა და

ვადნობდით, რომ გაგვეგო, რაზე ვლაპარაკობდით.

კაცობაშია

მასწავლებელი: — ფრანკ, რა არის კაცი-ქამია?

ფრანკი: — არ ვიცი.

მასწავლებელი: — ვთქვათ, შექამე დედაშენი და მამაშენი, რა იქნები მაშინ?

ფრანკი: — ობოლი, ბატონო მასწავლებელო.

სცენა და ცხოვრება

— დღეს თქვენ ძალიან ცუდად ითამაშეთ, — უსაფუძვლო რეჟისორმა მსახიობ ქალს, — სცენა, რომელშიც ქმარი გტოვებთ, მეტად ეფუარული გამოვიდა, გამომეტყველება აკლდა.

— შესაძლოა, მაგრამ მე დიდი უბედურება შემემთხვა.

— რა მოხდა?

— ქმარმა მიმატოვა.

შეგრძელება

— იცი, ნენსი საავტომობილო კატასტროფაში მოხვდა. სახე ძალიან დაუსაბიჩრდა, მაგრამ დასტაქარი ირწმუნება, პლასტიკური ობიექტის შემდეგ კვლავ აღუდგენთ ძველ გარეგნობას.

— საბრალო... ნუთუ ოპერაცია აუცილებელია?

(გაგრძ. 239 გვ.)



მონოგრაფია

გერმანულიდან თარგმნა ვლადიმერ ზარიძემ

ქ დიდხანს დავრჩები. ამ აღგილას, ზღვასა და ტყეს შუა ჩემ-
თვის სასიამოვნო მოწყენილობა სუფევს. ყველაფერი წყნარია
და უძრავი, მხოლოდ თეთრი ღრუბლები მიიზლახნებიან. ქარი კი სადღაც შორს
დახეტიალობს და არ ძალუძს ხეებისა და ზღვის ახმაურება. აქ ყოველივე იშ-
ვიათი სიმარტოვითაა გარემოცული და ეს სიმარტოვე ყოველთვის იგრძნობა,
მაშინაც კი, როცა ირგვლივ ხალხმრავლობაა, ოტელში ისვენებ ანდა სკვერში
სეირნობ. აქაური ორკესტრი ყველაზე ხშირად შეედურსა და დანიურ მელანქო-
ლიურ მელოდოებს უკრავს, თვით მხიარულ პასაჟებსაც კი მოთენთილობისა და
სისუსტის ელფერი დაკრავს. მაგრამ აი, მელოდია წყდება, მუსიკოსებიც მდუმარ-
ედ ეშვებიან ტალავრის საფეხურებზე და თავიანთი საკრავებიანად მძიმედ
და სევდიანად უჩინარდებიან ხეივნებში.

მე ვწერ ამ სტრიქონებს, როდესაც ნავი ნაპირის გასწვრივ მიმაქანებს.

მწვანეში ჩაფლულ ნაპირზე სიწყნარეს დაუვანებია. მოჩანს ბალებით შემ-
კული სააგარაკო სახლები. ბალებში, წყლის გასწვრივ, გრძელი სკამებია ჩარი-
გებული, სახლებს უკან ვიწრო, თეთრა გზა მიიკლავნება. გზის გადაღმა კი
ტყეა. ტყე გაჭიმულია მთელს ამ მხარეზე. ხოლო იქ, სადაც იგი ოდნავ აიმაღ-
ლებს და წყდება, მზე დგას. მისი ჩამავალი სხივები აცისკროვნებენ ვიწრო,
შორს გადაჭიმულ ყვითელ კუნძულს. მენავე ამბობს, იქამდე ორი საათის სავა-
ლიაო. ო, რა სასიამოვნოებით მოვიწახულებდი ერთხელ მაინც იმ კუნძულს, მაგ-
რამ თითქოს მიჯაჭვული ვარ აქაურობას, ამ პატარა კურორტის ტყვედქმნილი
გავხდი. ჩემი სანაპირო და ტერასა მაინც ყველაფერს შირჩევნია.

წიფლის ძირში ვწევარ. ისეთი ზვატა დგას, რომ ხეთა ტოტები ძალაგამოც-
ლილები მიწისკენ დახრილან. დროდადრო მესმის ტყის ბილიკზე მიმავალი ხალ-
ხის ნაბიჯების ხმა. გაუჩინრეველად ვწევარ და არ ძალმიძს მათი დანახვა. მზერას
სიმაღლეები მტაცებენ. მესმის ბავშვების მხიარული სიცილიც, მაგრამ სამარო-
სებური სიჩუმე ახშობს ყოველგვარ ხმაურს. თვალს რომ გავახელ, ასე მგონია,

გრძელი ღამის ბურანიდან გამოვერკვიე. ისე გამოვესხლტი საკუთარ თავს და ირგვლივ სიჩუმეში გავიფანტე, ვითარცა ნაწილი ბუნებისა.

მომაჯადოებელი სიჩუმე გაქრა. აღარ დაბრუნდება ის ღრუ კანკალსთან და არც წიფლებთან. თითქოს ერთბაშად შეცვლილიყო ყველაფერი. წყნარად და მზიარულად ეღერს ორკესტრი. გამკლელ-გამომკლელნი მსუბუქი საუბრობენ; ბავშვები იცინიან და გნასობენ. თვით საყვარელი ზღვაც, აგრე წყნარი რომ მეჩვენებოდა, ღამიანობით ხმაურით ეხეთქება ნაპირს. ჩემს ცხოვრებაში კვლავ შემოიჭრა ხმაური. აჲ, იოლად არასოდეს გამოვემგზავრებულვარ სახლიდან; ჯერ ერთი, რომ მოუმთავრებელი არაფერი დამიტოვებია, სადოქტორო შრომაც დავიცავი, ხელოვანის ილუზია, მთელი ახალგაზრდობა რომ მსდევდა თან, საბოლოოდ დავასამარე, ზოლო ფროილიან ეენი მესაათის მეუღლე გახდა.

ამდენად, წილად მხვდა იშვიათი ბედნიერება ისე წამოვესულიყავი სახლიდან, რომ არც სატრფო დამეტოვებინა და არც რაიმე ილუზია გამომეყოლოდა. იმის შეგრძნება, რომ ჩემი ცხოვრების ეს მონაკვეთი უკვე წარსულად შემეძლო ჩამეთვალა, სიმშვიდესა და მხნეობას მმატებდა. და აი, კვლავ გათავდა ყოველივე, რადგან ფრაუ ფრიდერიკე გამოჩნდა.

გვიან საღამოს ჩემს ტერასაზე ვარ; მაგიდაზე კრაქი დავიდგი და წერას შევუდექი. უკვე დროა ყველაფერი ნათლად წარმოვიდგინო. ვიწერ საუბარს, იმ ავბედითი საათიდან შვიდი წლის შემდეგ რომ მქონდა მასთან.

ეს იყო ზღვის სანაპიროზე, შუადღისას. მე სკამზე ვიჯექი. დროდადრო ხალხი ჩამივლიდა წინ, ნავთსაყუდელის ხიდზე ქალი იდგა პატარა ბიჭთან ერთად. იგი საკმაოდ შორს იყო ჩემგან და არ შემეძლო მისი სახე გამერჩია. მაინცდამაინც არაფრით მომხვედრია თვალში. მხოლოდ ის ვიცოდი, რომ ქალი იქ დიდ ხანს იდგა, როცა მან ბოლოს ხიდი მიატოვა და სულ უფრო ახლოს მოვიდა ჩემთან. ბიჭუნასათვის ხელი ჩაეკიდა. ახლალა დავინახე, რომ ახალგაზრდა და ტანადი იყო. მისი სახე მეცნაურა. ათ ნაბიჯზე თუ იქნებოდა ჩემგან, როცა მეცსეულად წამოვდექი და მის შესახვედრად გავემართე. ქალმა გაიღიმა და მე უკვე ვიცოდი ვინც იყო.

— დიახ, მე ვარ. — თქვა და ხელი გამომიწოდა.

— მაშინვე გიცანით, — ვუთხარი.

— იმედია ძალიან არ გაგჭირვებიათ, — მომიგო, — კაცმა რომ თქვას, არც თქვენ გამოაყურებით 'შეცვლილად.

— შვიდი წელი.... — ვთქვი მე.

თავი დამიქნია.

— შვიდი წელი...

ორივენი ეღუშდით. ძალიან ღამაში იყო. აი, სახეზე ღიმილმა გადაურბინა და მიუბრუნდა ბიჭუნას, რომლისთვისაც აქამდე არ გაეშვა ხელი.

— ჩამოართვი ხელი ბატონს.

პატარამ ხელი გამომიწოდა, მაგრამ არ შემოუხედავს.

— ჩემი ბიჭია, — მითხრა ქალმა.

ღამაში, შავგვრემანი, ნათელთვალემა ყმაწვილი იყო.

— მაინც რა ბედნიერებაა, როცა ადამიანები კვლავ შეხვდებიან ცხოვრებაში ერთმანეთს, — დაიწყო მან. — ვერც კი ვიფიქრებდი.

წვდა იმდროინდელი ხალხი, ჩემი თანაკლასელები, მასწავლებლები, ფრიდერიკეს ქმარიც. მე ის სხვაგვარი დავინახე, ვიდრე მაშინ, ბოლო წუთს რომ წარმომიდგა თვალწინ. მე ის დავინახე წყნარი, ოდნავ სახედალოდ სკოლის შემდეგ. ქუჩაში, ბიჭებს წინ რომ ჩაგვივლიდა და შეგობრულად მოგვესალმებოდა ხოლმე. ანდა ჩემსა და ფრიდერიკეს შუა, უმეტესად გარეუბნულად უჭდა მაგიდას. მე ის ისეთივე დავინახე, როგორც არაერთხელ დავინახე ჩემი სარკმლიდან, როცა ბაღში მწვანედ შეღებილ მაგიდასთან მოწაფეთა დავალებებს ასწორებდა. გამახსენდა, როგორ მოვიდა ბაღში ფრიდერიკე, ნასადილვეს ქმარს ყავა მოუტანა და თანაც ჩემს სარკმელს ღიმილნარევი მზერა ესროლა, რომლის მნიშვნელობა მაშინ ვერ გავიგე... იმ ბოლო წუთამდე. ახლა ისიც ვიცი, რომ ხშირად გამიხსენებია ყოველივე. მაგრამ რაიმე ცოცხალი კი არა, არამედ რაღაც სურათის მსგავსი, წყნარად და უძრავად რომ ჰკიდია კედელზე.

ჩვენ დღეს ერთად ვისხედით ნაპირზე და ერთმანეთს უცხოებით ველაპარაკებოდით. ბიჭუნა სილაში ერთობოდა ჩვენს ფერხთით. თითქოსდა არაფერი გვაწუხებდა: ვისხედით ჩვეულებრივ იმ ადამიანებით, ერთმანეთისათვის არაფერს რომ არ წარმოადგენენ და შემთხვევას მცირე ხნით ერთად შეუყრია. ვსაუბრობდით ამინდზე, ამ მხარეზე, ხალხზე, მუსიკაზე, ახალ წიგნებზე. სანამ მის გვერდით ვიყავი, თავს კარგად ვგრძნობდი, მაგრამ როგორც კი აღვა და წავიდა, უცერად ყოველივე აუტანელი შეიქნა ჩემთვის. შემეძლო შევხშიანებოდი. დამიტოვე-მეთქი რამე, მაგრამ ის აღბათ, ვერც გამიგებდა ამას. ხოლო როცა კარგად ჩავუფიქრებდი, მაშინვე გავიფიქრებ: სხვა რაღა მოლოდინი უნდა მქონოდა? ფრიდერიკე რომ პირველი შეხვედრისთანავე აგრე ალერსიანად გამოემართა ჩემკენ, ცხადია, ჩემი დანახვით გამოწვეულ განცვიფრებას უნდა მიეწეროს. შესაძლოა ეს უცხო მხარეში ძველი ნაცნობის ხელახლა ნახვის სასიამოვნო შეგრძნებამაც გამოიწვია, მაგრამ მას ჩემსავით საკმაოდ დრო ჰქონდა იმისათვის, რომ ყველაფერი გაეხსენებინა, ხოლო ის, რაც, შესაძლოა, დავიწყებულიც იგონა, ხელახლა ძალუძმად წარმოჩინდა: განუხომელია ტანჯვა, რაც მან ჩემი გულისათვის განიცადა და, ვინ იცის, ეგუბ დღესაც განიცდის. ამჟამად, ქმართან დარჩენილა. ოთხი წლის ბიჭუნა ამისი ცოცხალი საბუთია, მაგრამ ხომ შეიძლება შეუბრუნდეს და არ აპატიო, აპატიო და არ დაივიწყო! ანდა გავცლოდი აქაურობას, ჩვენთვის, ორივესთვის ასე აჯობებდა.

უჩვეულო მწუხარე მშვენიერებით მოსილი დგას ჩემ წინ მთელი ის წელიწადი და ყველზეფერს ახლებურად განვიცდი. მახსენდება ყველა წვრილმანი. შემოდგომის დილა მახსენდება, როცა მაძაჩემთან ერთად ჩავედი პატარა ქალაქში, სადაც ბოლო საგიმნაზიო წელი უნდა გამეტარებინა. ახლაც გარკვევით ვხედავ შუა პარკში მაღალი ხეებით გარშემორტყმულ სკოლის შენობას, მახსენდება, როგორ ვმუშაობდი უმფოთველად დიდ, ლამაზ ოთახში, როგორ მეგობრულად ვსაუბრობდი მასწავლებელთან ჩემს მომავალზე, რასაც ფრიდერიკე ღიმილით მიუგდებდა ხოლმე ყურს. მახსენდება, კოლეგებთან ერთად რომ მიგუცვებოდი სოფლის გზაშარას და ყველა უმნიშვნელო მოგონება ისე ღრმად იჭრება ჩემს სულში, თითქოს ისინი ჩემი სიჭაბუკის სარკე ყოფილიყოს. სინამდვილეში კი ყველა ის დღე დავიწყების ბურუსში ჩაინთქმებოდა, მაშინდელი ბოლო საათის იდუმალი ანარეკლი რომ არა. ერთი კი ყველაზე საოცარია: სანამ ფრიდერიკე

ჩემს მახლობლად მეგულების, ის დღეები უფრო ახლოს მეჩვენება, ვიდრე წლებადელი მაისის დღეები, როცა მიყვარდა ერთი გოგონა, ივნისში მესაათეს რომ მისთხოვდა.

დღეს დილაადრიან ჩემს სარკმელს მივაშურე და ტერასას გასაყვადე. დავინახე, ფრიდერიკე შვილთან ერთად მაგიდას მისჯდომოდა, ესტუმრებოდა. მისი მოსულიყვნენ სასაუზმოდ. ჩემი სარკმელი პირდაპირ უყურებდა მათ. მაგიდას და მეც ჩავსახე, დილა მშვიდობისა-მეთქი. ქალმა ამოიხედა.

— რა აღრე ამდგარხართ? — თქვა მან, — ხომ არ დაგვეწვეოდი?

სულ მალე მეც მათთან ერთად ვსაუზმობდი. შესანიშნავი დილა იყო, გრილი და მზიანი. ჩვენ კვლავ უმნიშვნელო რამეებზე ვმასლათობდით, როგორც ბოლო შეხვედრისას, მაგრამ ახლა ყველაფერი სხვაგვარად ედებოდა. ჩვენი საუბრის მიღმა მოგონება დევოდა, ტყეს მივაშურეთ. ფრიდერიკემ წამოიწყო საუბარი საკუთარ თავსა და სახლზე:

— ჩვენთან არაფერი შეცვლილა, ჩვენი ბაღი დამშვენდა მხოლოდ, რაც ბიჭი შეგვეძინა, ჩემი ქმარი ლამისაა გადაჰყვას ამ ბაღს. მერმისს საკუთარი ორანჟერეაც გვექნება.

ქალი საუბარს განაგრძობდა.

— უკვე ორი წელია, თეატრი გვაქვს, მთელი ზამთარი აღდგომამდე წარმოდგენებს მართავენ. კვირაში ორ-სამჯერ მაინც დავდივარ, მეტწილად დედასთან ერთად.

— მეც დავდივარ თეატრში, — წამოიყვირა პატარამ, ფრიდერიკეს ხელს რომ ჩასჭიდებოდა.

— რა თქმა უნდა, შენც, — დაუყვავა შვილს, მერე მომიბრუნდა და ამიხსნა: — კვირაობით, ნასადილევს ბავშვებისთვისაც მართავენ ხოლმე წარმოდგენებს. მაშინ კი მიმყავს ბიჭი. მეც საკმაოდ ვერთობი.

რას ვიზამდი, ცოტა რამ მეც უნდა მომეთხრო. ქალი ნაკლებად მეკითხებოდა ჩემს პროფესიაზე და საერთოდ, თავს არიდებდა სხვა სერიოზულ თემებზე საუბარს. უფრო მეტად ის აინტერესებდა, როგორ ვატარებდი თავისუფალ დროს და სიამოვნებით ისმენდა ჩემს მონათხრობს იმის შესახებ, თუ რით იქცევდა თავს დიდი ქალაქის საზოგადოება.

საუბარი მხიარულად წარიმართა, ჩვენი მაშინდელი საერთო მოგონება ერთი სიტყვითაც არ გვიხსენებია, მაგრამ თქმა არ უნდა, ეს მოგონება მიწყვიტვანაგრძობდა ქალში არსებობას, ისევე, როგორც ჩემში. რამდენიმე საათს ვისეირნეთ და თავს თითქმის ბედნიერად ვგრძნობდი. ბიჭუნა ხანდახან ჩვენს შუა მოდიოდა და ჩვენი ხელები მის კულულებზე ხედებოდა ერთმანეთს, მაგრამ ამას თითქოს ვერ ვამჩნევდით და სრულიად თავისუფლად განვაგრძობდით საუბარს.

როცა მარტო დავრჩი, კარგი განწყობილება სწრაფად გამიქრა. რამეთუ კვლავ ვიგრაენი, რომ ფრიდერიკეზე არაფერი ვაცოდით, ვერაფრით გამეგო, რატომ არ მტანჯავდა ეს ეჭვის განცდა მთელი ჩვენი საუბრის განმავლობაში და უჩვეულოდაც კი მეჩვენებოდა, რომ თავად ფრიდერიკეს არც კი ჩაუთვლია საჭიროდ ამის თაობაზე ლაპარაკის დაწყება. თუ ვივარაუდებდი, რომ ფრიდერიკესა და მის ქმარს შორის მთელი ეს ხანი მაშინდელ ამბავზე კრიტიკა არ დაძრულა, თვითონ ქალს მაინც არ შეეძლო ამის დავიწყება. ჩემს მაშინდელ

უტყვ გამოთხოვებას რაღაც სერიოზული უნდა მოჰყოლოდა. რატომ არჩია ქალმა დუმილი? იქნებ ელოდა, რომ თვითონ მე წამოვიწყებდი დაუბარს? მე რაღა მაკავებდა? იქნებ იგივე შიში, რომელმაც ფრიდერიკეს ყოველგვარი შეკითხვის სურვილი მოუსპო? ეგებ ორთავე განვიცდიდით შიშს ამის წინაშე? — სავსებით შესაძლებელია. და მაინც მოსახდენი უნდა გეჩვენებოდა აქამდე ჩვენს შორის რჩება რაღაც, რაც გვთიშავს ერთმანეთისაგან. ხოლო იმის შეგნება, რომ ჩვენ რაღაც გვთიშავს, ყველაზე მეტად მტანჯავს.

ნასადილევს ტყეში იმავე გზებზე დავეხეტებოდი, დილით მასთან ერთად რომ მივუყვებოდი. მომენატრა ქალი, რომელიც უზომოდ მიყვარდა. მას შემდეგ, რაც ფრიდერიკე ამაოდ ვძებნე ყველგან, მისი სახლის წინ გავიარე. სარკმელთან იდგა. შევჩხმიანე, ხომ არ ჩამოხვიდოდით-მეთქი. მომეჩვენა, ცივად მიპასუხა:

— დაღლილი ვარ. ძილი ნებისა! — და სარკმელი მოხურა.

ჩემს მოგონებაში ფრიდერიკე ორი სხვადასხვა სახით წარმომიდგება. უმეტესად თვალწინ მიდგას ფერმკრთალი, ნაზი ქალი, თეთრი ხალათში, ბაღში რომ ზის და დედასავით მიაღერებს ლოყებზე. აქ მხოლოდ ასეთ ფრიდერიკეს რომ შევხვედროდი, ჩემს მყუდროებას არაფერი დაარღვევდა და მეც ვიწვებოდი ნასადილევს წიფლების ჩრდილში, როგორც ჩემი აქ ყოფნის პირველ დღეებში.

მაგრამ მე იგი წარმომიდგება სრულიად სხვაგვარად, ისეთი, როგორიც მხოლოდ ერთხელ ვიხილე და ეს მოხდა იმ ბოლო წუთებში, რომელიც პატარა ქალაქში გავატარე.

იმ დღეს სიმწიფის ატესტატი ავიღე. ჩვეულებისამებრ, ამჯერადაც მასწავლებელთან და მის ცოლთან ერთად ვისადილე, და რადგან არ მინდოდა სადგურამდე ვინმეს გავეცილებინე სუფრიდან ადგომისთანავე გამოვეთხოვეთ ერთმანეთს. ამას ჩემთვის სრულებითაც არ აუჩუყებია გული. ჩემოდანი ფეხებთან დავიდე და ბოლომდე გაღებული სარკმლიდან გავხედე მწვანეში ჩაფლულ ბაღს და ღრუბლის ქულებს. ბორცვებს ზემოთ რომ გაქვავებულიყვნენ, ვიგრძენი როგორ შემომეპარა განშორების მთელი სიმძიმე, უეცრად კარი გაიღო და ფრიდერიკე შემოვიდა. სწრაფად წამოვდექი. ის მომიახლოვდა, მაგიდას მიეყრდნო, ხელებით მაგიდის კიდეს მოეჭიდა და გულისყურით შემომხედა. მერე ძალიან წყნარად თქვა:

— მაშ. დღეს?

მე მხოლოდ თავი დავუქნიე და ახლავ ვიგრძენი, როგორ მიმძიმდა აქედან წასვლა. ქალი მცირე ხნით იატაკს ჩააშტერდა და იყუჩა. მერე თავი აიღო, მომიახლოვდა, ორივე ხელი თმაში რბილად შემიცურა, როგორც ადრე სჩვეოდა ხოლმე, მაგრამ ვიცოდი, რომ ამ წუთში მისი ეს მოქმედება სულ სხვა რამეს გამოხატავდა. მალე მისი ხელები ნელა ჩამოსრიალდა ჩემს ლოყებზე და ქალის დაუსრულებელმა მზერამ დაივანა ჩემს სახეზე. მერმე თავი გააქნია, თითქოს რაღაცას ვერ მიხვდაო. სახეზე ტკივალის აღბეჭდოდა.

— მაშ დღეს მიდიხარ? — მკითხა წყნარად.

— დიახ, — მივუგე.

— სამუდამოდ? — წამოიძახა.

— ო, არა, — ვუპასუხე.

— თქ, ამოიგმინა მან და ტუჩები აუთრთოლდა, — სამუდამოდ! თუნ-
დაც რომ ოდესმე კიდევ გვინახულო... ორი-სამი წლის შემდეგ... დღეს შენ სა-
მუდამოდ გვტოვებ!

მან ეს ისეთი სინაზით წარმოთქვა, დედობრივისა რომ აღარაფერი ეტყო-
ბოდა. ძარღვებში სისხლი გამეყინა მან უცებ მაკოცა. ჯერ გავერდებოდა ხომ
არასოდეს მოქცეულა-მეთქი ასე, მაგრამ როცა მისი ტუჩები ჩემს ტუჩებზე
შეეწება, მაშინლა მივხვდი რას ნიშნავდა ყოველივე ეს. დაბნეულიც ვიყავი და
ბედნიერიც, მზად ვიყავი მეტირა. ქალმა კისერზე შემომაჭდო ხელები. უღონოდ
მივეკვენე დივანზე, თითქოადა ქალმა შემოტევა და მორჩილებული. ფრიდერიკე
ჩემს ფერხთით დაეცა მუხლებზე, თავისკენ მიმიზიდა და თავი ჩემს ხელებში
ჩარგო. მე მის სახელს ეჩურჩულებდი, მათცებდა ამ სახელის მშვენიერება.
ქალის თმის სურნელი თავებრუს მახვევდა... ამ დროს — ვიფიქრე, ალბათ, სა-
შინელებისაგან გავქვავდები-მეთქი. — ჩაურაზავი კარი წყნარად გაიღო და
ჩემს წინ ფრიდერიკეს ქმარი აღიმართა. მინდოდა მეყვირა, მაგრამ ხმა ჩამიწყდა,
მზერა გავუშტერე. მაგრამ ვერ აღვიქვი მისი სახის გამომეტყველებაში თუ შე-
იცვალა რამე, მერე. იმავე წუთში, კაცი კვლავ გაქრა და კარი მიიხურა. ვცდი-
ლობ წამოვდგე. გავათავისუფლო ხელები, სადაც ფრიდერიკეს თავი ჩაურგავს.
მინდა ვთქვა რამე, გაჭირვებით ამოვღერდავ მის სახელს, მაგრამ აი, ქალი წა-
მოხტება, სიკვდილივით გაფითრებული და მბრძანებლურად ჩამჩურჩულებს:
„იყუჩე!“ ერთხანს გარინდებული მოაშტერდება კარს, თითქოს აყურადებდეს რას-
მე. შემდეგ კარს გამოაღებს და დრიქოში გაიჭვრიტება. მე ცოცხალ-მკვდარი
ვდგავარ. ფრიდერიკე ყურთამდე გამოაღებს კარს, ხელს მომკიდებს და წაი-
ჩურჩულებს: „წადი, ჩქარა წადი!“ გარეთ მიბიძგებს ქალი. მე ქუდულად
გავიბრუნე პატარა დერეფანს, კიბესთან ერთხელ კიდევ მოვიხედავ უკან და ვხე-
დავ კართან მდგარ ქალს, სახეზე შიში რომ აღბეჭდვია და ხელით მანიშნებს:
წადი. წადიო. მეც ვეცლები იქაურობას.

გიეტრი სიზმარივით ვიხსენებ ყველაფერს, ამას რომ მოჰყვა. სიკვდილის
შიშით გათანგული მივიჩქაროდი სადგურისაკენ. მატარებელში მთელი ღამე
თვალი არ მომიხუტავს. შინ რომ მივედი, დარწმუნებული ვიყავი, ჩემმა მშობ-
ლებმა უკვე ყველაფერი იცოდნენ და ურიად გაოცებული დავრჩი, როცა მათ
სიხარულით მიმიღეს. ძლიერ აფორიაქებულმა მრავალი დღე გავლიე, რაღაც
საშინელს მოველოდი. კარზე ზარის დარეკვისას, ყოველი წერილის მიღებისას
კანკალი ამიტყდებოდა ხოლმე. ბოლოს ახალმა ამბავმა ცოტა დამაწყნარა.
ღია ბარათი მივიღე სკოლის მეგობრისაგან, რომელიც იმ ქალაქში ცხოვრობდა.
იქაურ ამბებს მატყობინებდა და მხიარულ სალაშს მითვლიდა. ასე, რომ არა-
ფერი საშინელი არ მომხდარა, ბოლოს და ბოლოს ეს შემთხვევა არ გახმაურე-
ბულა და სკანდალის სახე არ მიუღია. უნდა მეფიქრა, რომ ცოლ-ქმარს შორის
ყოველივემ წყნარად ჩაიარა. კაცმა ქალს ყველაფერი აპატიო და ქალმაც მოი-
ნანია დანაშაული.

ამისდა მიუხედავად, ეს თავგადასავალი რაღაც სევდიან, ბნელ მოგონებად
შემორჩა ჩემს მეხსიერებას. საკუთარი თავი კი მეჩვენებოდა იმ კაცად, რომელ-
მაც უდანაშაულოდ დაარღვია ერთი ოჯახის მყუდროება. მაგრამ თანდათან ეს
შეგრძნება გაქრა და მხოლოდ მოგვიანებით, როცა ახალი განცდების წყალობით
უფრო ღრმად ჩავუყვირდი წარსულს, უამიდანებამზე ფრიდერიკეს გამო სა-
ოცარი სევდა შემომაწვებოდა ხოლმე, რაც იმით გამოწვეულ ტკივილს უფრო

ჰგავდა, რომ შესანიშნავი ოცნება არ განხორციელდა. მაგრამ ამ სევდამაც გაი-
არა და ბოლოს მოხდა ის, რომ ახალგაზრდა ქალი სრულიად მიმავრწყდა. ახლა
კი უცებ განახლდა ყველაფერი, რასაც იმ შემთხვევაში განცდიდა, როცა კვალი
დააჩნია და უფრო გამძაფრდა, ვიდრე მაშინ, რადგან მე მიყვარს ფრიდერიკე.

დღეს ჩემთვის ყველაფერი ცხადი შეიქნა, რაც ჯერ ჰქონდა მხოლოდ დღეებში
გამოცანად რჩებოდა. გვიან საღამოს მარტო ჩვენ ორნი ვისხედით პლაჟზე. ბი-
ჭუნას უკვე ეძინა. შუადღე უკვე მოტანებული იყო, როცა სრულიად უწყინ-
რად ვთხოვე ფრიდერიკეს მოსულიყო. ზღვის ღამეულ სიმშვენიერზე ვლაპარა-
კობდი. რა დიდებული იქნება-მეთქი მიძინებული ნაპირიდან კუნაპეტრი სიბნე-
ლის ცქერა. მას არაფერი უთქვამს, მაგრამ ვიცოდი მოვიდოდა და აჶ, ახლა უკვე
პლაჟზე ვისხედით, გაყუჩებულნი. ჩვენი ხელები ერთმანეთს გადაჭდობოდა და
ვგრძნობდი, ფრიდერიკე ჩემი გახდებოდა, როცა კი მოვისურვებდი. „რა საჭი-
როა წარსულის გახსენება?“ — ვფიქრობდი და ვიცოდი, რომ ქალიც ამასვე
იფიქრებდა ჩვენი პირველი შეხვედრიდან მოყოლებული. განა ჩვენ კვლავ
იგივენი ვართ, რაღაც ვიყავით მაშინ? ახლა ხომ ასე თავისუფლად, ასე მსუ-
ბუქად ვგრძნობთ თავს, მოგონებანი თავს დაგვფარფატებენ შორეული ზაფხუ-
ლის ჩიტებივით. იქნებ ფრიდერიკემ სხვაც კიდევ ბევრი რამ განიცადა ამ შვიდი
წლის მანძილზე? რა ჩემი საქმეა? ახლა ჩვენ დღევანდელი ადამიანები ვართ და
ერთმანეთს ვესწრაფვით. ვინ იცის, გუშინ ის უბედურიც იყო, ანდა ქარაფ-
შუტაც. დღეს კი ჩემს გვერდით მდუმარედ ზის ზღვის პირას, ხელზე მიაღერ-
ებს და ჩემს მკლავებში ეოფნას მიელტვის.

მძიმე ნაბიჯით მივაცილე სახლამდე. საიდანაც არც თუ დიდი მანძილი
გვაშორებდა. ქუჩაში ხეების გრძელი, შავი ჩრდილები განრთხმულიყო.

— მოდი, ხვალ დილით იალქნიანი ნავით ვისეირნოთ. — შევთავაზე.

— სიამოვნებით, — მიპასუხა.

— შვიდ საათზე ხიდთან დაგელოდებით!

— საითკენ წავალთ?

— კუნძულს გადაღმა... შეუქურა რომ ღვას, ხომ ხედავთ?

— აგერ ის წითელი შუქი, ხომ? შორს ხომ არ არის?

— ერთი საათის სავალია, უკან მალევე დავბრუნდებით.

— ღამე ნებისა! — მითხრა და წინკარში გაუჩინარდა.

წავედი. „რამდენიმე დღეში ალბათ კვლავ დამივიწყებ, — გავიფიქრე, —
მაგრამ ხვალ საუცხოო დღე მელისა“.

ხიდთან მასზე ადრე მივედი. პატარა ნავი იცდიდა. მოხუც იანსენს აფრა
უკვე გაეშალა და საჭესთან მჯდარი ჩიბუხს აბოლებდა. ნავში ჩავხტი და ტალ-
ლების რწყევას აეყევი. მოლოდინის წუთებს დილის ნექტარივით დავეწაფე. ქუჩა,
დავინებით რომ ვუმხერდი, კვლავ ცარიელი იყო. თხუთმეტობდე წუთის შემდეგ
ფრიდერიკეც გამოჩნდა. უკვე შორიდანვე შევნიშნე. ასე მეჩვენა, თითქოს
ჩვეულებრივზე უფრო სწრაფად მოდიოდა. ხიდს რომ მიუახლოვდა, წამოვდე-
ქი, ახლალა შევიძლო დავენახე. ღიმილით მომესალმა. ბოლოს, როგორც იქნა,
ხიდს გამოსცდა, ნავში რომ ჩდებოდა, ხელი შევაშველე. იანსენმა ბავირო მოხ-
ხსნა და ნავი გასრიალდა. ჩვენ ძალიან ახლოს ვისხედით ერთმანეთთან. ქალი
ჩემს მკლავს ეკვროდა. სულ თეთრებში გამოწყობილიყო და თვრამეტი წლის
გოგონასავით გამოიყურებოდა.

— რა შეიძლება ნახოს კაცმა იმ კუნძულზე? — მკითხა.

უნებლიეთ გამეცინა.

ის წამოწითლდა და თქვა:

— ყოველ შემთხვევაში შუქურას მაინც ვნახავთ.

— იქნებ მონასტერსაც! — დავუმატე მე.

— რა ხნისაა კუნძულზე მონასტერი? — ვკითხე მენაქველს. მას გერმანულის არაფერი გაეგებოდა. ასე, რომ, ამ პატარა ცდის მერე შეგვეძლო უფრო განმარტოებით გვეგრძნო თავი ვიდრე აქამდე.

— იმის იქითაც კუნძულია? — მკითხა ფრიდერიკემ და მზერა კუნძულს გადალმა მიმართა.

— არა, — ვუთხარი, — იქ თვითონ შვედეთია, მატერიკი.

— ალბათ იქაურობა მშვენიერი იქნება, — თქვა მან.

— დიახ, — მიეუგე, — ოღონდ კი კაცს დარჩენა შეეძლოს...

დიდი ხნით... სამუდამოდ.

ახლა მას რომ ეთქვა, მოდი, ერთად წავიდეთო, რომელიმე უცხო ქვეყანაში და უკან ნულარ დავბრუნდებითო, სიამოვნებით დავთანხმდებოდი. ნავით სრიალი, სუფთა ჰაერი, ნათელი ცა ჩვენ ზემოთ და ირგვლივ ლიკლიცა წყალი, — ეს ყველაფერი რაღაც საზეიმო გასეირნებას მაგონებდა. ჩვენი თავი მეფურ წყვილად წარმომედგინა, ხოლო ჩვენი ამქვეყნიური ყოფიერების ყველა აღრინდელი დრო-ჟამი დავიწყებულად.

მალე კუნძულზე პატარ-პატარა სახლები გავარჩიეთ. თანდათან მკვეთრად გამოიკვეთა გორაკზე მდგარი მონასტერი. ეს გორაკი თანდათან მალღებოდა და მთელ კუნძულს გასდევდა, ჩვენი ნავი ნაპირისაკენ მიქროდა. შორიახლო მოჩანდა მეთევზეთა პატარა ნავეები. ზოგიერთი მათგანი, უნიჩბოდ, უსიცოცხლოდ ირწეოდა. ფრიდერიკე მეტწილად კუნძულს გასცქეროდა, მაგრამ მისი მზერა არ აღიქვამდა მას. ერთი საათიც არ გასულა, რომ ნავთსაყუდელს მივადექით, გარს ფიცრული ხიდი რომ ერტყა და პატარა ტბორს წააგავდა.

ხიდზე რამდენიმე ბავშვა იდგა. ნავიდან გადმოვდით და ნაპირს მძიმედ გავუყევით. ბავშვები უკან გამოგვეყვნენ, მაგრამ მალე ისინიც თვალს მიეფარნენ. წინ გადაგვეშალა მთელი სოფელი — უწესრიგოდ გაფანტული, დიდი-დიდი ოციოდე სახლი. სანაპიროზე თითქმის სველ, ყავისფერ სილაში ვეფლობოდიო. იქ, სადაც მზე უხვად ეცემოდა, ბადეები გაეკიდათ გასაშრობად, აქა-იქ ქალები ჩაცუცქულავყვნენ სახლების წინ და ბადეებს კემსავდნენ. ასი ნაბიჯი გავიარეთ და სულ მარტონი დავრჩით ვიწრო გზაზე, ქოხებიდან დაწყებული კუნძულის ბოლომდე რომ გრძელდებოდა, — იქ კი შუქურა იდგა: ხელმარცხნივ, გაპარტახებული ხოდაბუნების გადასწვრივ იწვა ზღვა, ხელმარჯვნივ, ბორცვი აომართულიყო, რომლის ფერდობზედაც მონასტრისაკენ მიმავალი ბილიკი შეენიშნებოდა. მწველი მზე და სიჩუმე მკომედ დასწოლოდა ირგვლივ ყველაფერს. მე და ფრიდერიკეს ამ ხნის მანძილზე სიტყვა არ დაგვცდენია, არც მჭონდა ამის მოთხოვნილება, ამ ქალთან ერთად ხეტიალი ამ დიდ სიჩუმეში განუზომელ სიამოვნებას მგვრიდა. ფრიდერიკემ პირველმა დაარღვია სიჩუმე.

— რვა დღის წინათ... — თქვა მან.

— რაო?

— მე არაფერი ვიცოდი... ისიც კი არ ვიცოდი, საით გავემგზავრებოდი. არაფერი ვუპასუხე.

— რა გარგია აქ! — წამოიძახა უცებ და ხელი მომკადა/ გულმა მისკენ გამიწია. სიამოვნებით მოვიმწყვდივდი მკლავებში და დავუკოცნიდი თვალებს.

ზნიცელაძე

— ნუთუ? — ვკითხე წყნარად.

უცებ გაჩუმდა და უფრო სერიოზული გახდა.

ამასობაში მივადწიეთ პატარა სახლამდე, რომელიც ზედ შუქურაზე იყო მიშენებული. აქ გზა წყდება — ახლა უკან უნდა დავბრუნებულიყავით. ვიწრო და თითქმის ციცაბო ბილიკი უნდა გავველო. შევყოყმანდი.

— წამოდით, — მითხრა მან.

ბილიკს დავადექით და მონასტერი, რომელსაც თანდათან ვუახლოვდებოდით, თვალიდან აღარ დაგვიკარგავს. ძალიან ცხელია. ფრიდერიკეს კისერზე მოვხვიე ხელი. ახლა მას ძალზე ახლოს უნდა ევლო ჩემთან, თუ არ უნდოდა რომ ძირს დაცურებულიყო. მის ცხელ ლაწვებს ხელით ვეხებოდი.

— კაცმა რომ თქვას, ამდენ ხანს რატომ არაფერი ისმოდა თქვენგან? — მკითხა უცებ, — სხვა თუ არაფერი, მე მაინც... — იქვე დასძინა და მზერა გამიშტერა.

— რატომ? — გავიმეორე ცალკეად.

— დიახ!

— კი მაგრამ, განა შემეძლო?

— აი, თურმე რატომ, — თქვა ბოლოს, — განა შეურაცხყოფილი დარჩით? ისე გაოცებული ვიყავი, ვერაფრის თქმა ვერ მოვახერხე.

— აბა, მაინც რა იფიქრეთ?

— რა ვიფიქრე? თუ მეტი არაფერი გახსოვთ?

— რა თქმა უნდა, მახსოვს, მაგრამ ახლა ამაზე რატომ ლაპარაკობთ?

— მე დიდი ხანია მინდოდა მეკითხა თქვენთვის, — თქვა ქალმა.

— მაშინ განაგრძეთ, — მივუგე ადევლებულმა.

— თქვენ ეს, ცხადია, ჩემს განწყობას მიაწერეთ. რაღა თქმა უნდა! — დაუშატა სწრაფად, რადგან შეამჩნია, რომ არ ვეთანხმებოდი, — მაგრამ უნდა გითხრათ, რომ ცდებით, მე იმ წელს უფრო მეტი განვიცადე, ვიდრე შეიძლება ადამიანმა წარმოიდგინოს.

— რომელ წელს?

— განა... მაშინ, როცა თქვენ ჩვენგან... რატომ მეკითხებით ამას? თავიდან მე თვითონ.. მაგრამ რატომ გიყვებით ყოველივე ამას?

ხელზე მაგრად მოვეუჭირე ხელი.

— განაგრძეთ, ძალიან გთხოვთ, მე ხომ მიყვარხართ...

— მეც მიყვარხარ... — წამოიძახა უცებ. მერე აიღო ჩემი ორთავე ხელი და გრძნობით დაკოცნა. — სამუდამოდ, სამუდამოდ.

— ძალიან გთხოვ განაგრძო თხრობა, — ვუთხარი, — და ყველაფერი, ყველაფერი მიაშმო.

ის ლაპარაკობდა, როცა მზეჩადვრილი ველით განვაგრძობდით გზას.

— თავიდან ჩემს თავს ვუთხარი, ის ბავშვია, დედაშვილურად მიყვარს-მეთქი, მაგრამ როგორც კი თქვენი გამგზავრების საათი მოახლოვდა...

ერთხანს სიტყვა გაუწყდა, შემდეგ კვლავ განაგრძო.

— და ბოლოს, ეს საათიც დადგა. არ მინდოდა შენთან ამოვსულყავი. მე თვითონ არ ვიცო, რამ ამომიყვანა, ხოლო შენთან რომ გაგჩნდი, არც კაცის სურვილი მქონია. მაგრამ...

— მერე, მერე... — ვთქვი მე.

— მერე უცებ გითხარი, ჩქარა წადი-მეთქი. ალბათ, იფიქრე, ეს ყოველივე კომედია იყო, ასე არაა?

— არ მესმის შენი.

— ამას დიდი ხანია ვფიქრობდი. მინდოდა მომეწერა კიდევ შენთვის, მაგრამ რისთვის?... მოკლედ, წასასვლელად იმიტომ აგაჩქარე, რომ შიშმა ამიტანა...

— ვიცი!

— თუ იცოდი, აქამდე რატომ არაფერს იტყობინებოდი? — უცებ წამოიძახა ქალმა.

— შენ რატომღა შეშინდი? — ვკითხე და თანდათან ყველაფერს მივუხვდი.

— იმიტომ, რომ ვიფიქრე, ვინმე იქნება-მეთქი შორიახლოს.

— მართლა ასე იფიქრე? კი მაგრამ, რატომ?

— კიბეზე ნაბიჯების ხმა გავიგონე, ნამდვილად ასე იყო. ვიფიქრე, ქმარი დაბრუნდა-მეთქი და შიშმა შემიპყრო... რა საშინელება იქნებოდა, მას რომ... ოჰ, ღმერთო ჩემო, ამის გაფიქრებაც არ მინდა, მაგრამ იქ არავინ ყოფილა. არავინ. ის მხოლოდ ღამე დაბრუნდა შინ, როცა შენ უკვე კარგა ხნის წასული იყავი.

როცა ის ყვებოდა, ვიგრძენი, მკერდში რაღაც გამეყინა, ხოლო როცა გაჩუმდა, ისე შევხედე. თითქოს ვალდებული ვიყავი მეკითხა: „ვინ ხარ?“ უნებლიეთ ნავთსაყუდელს გავხედე. საიდანაც ჩვენი ნავის აფრა გამოკრთოდა და გავიფიქრე: რა დიდი დრო გასულა მას შემდეგ, რაც ამ კუნაულზე გადმოვსხედით-მეთქი. მე ხომ კუნაულზე გადმოვედი საყვარელ ქალთან ერთად, ახლა კი ჩემს გვერდით უცნობი არსება მოდის. დანა პირს არ მიხსნიდა. ის ამას ვერც კი ამჩნევდა, მკლავზე დამეკიდა და ნაზ სიჩუმედ მიიღო ჩემი უბრობა. მე კი ვფიქრობდი მის ქმარზე. მაშ, მას! ფრიდერიკისათვის არასოდეს არაფერი უთქვამს! ქალმა არ იცის და არც არასოდეს იცოდა, რომ მისმა ქმარმა იგი ჩემს ფერხთით მწოლიარე იხილა. კაცი მაშინვე გაუჩინარდა კარებში და მხოლოდ გვიან, ძალიან გვიან დაბრუნდა შინ. დაბრუნდა და ცოლისთვის არაფერი უთქვამს. წლების განმავლობაში ცხოვრობდა მის გვერდით და სიტყვითაც არ გაუცია თავი. კაცმა ცოლს აპატიო და ქალმა კი ეს არ იცოდა!

მონასტერა მივუახლოვდით. ათი ნაბიჯილა გვაშორებდა მას. აქედან (კიცაბო გზა ეშვებოდა, რომელიც რამდენიმე წუთში სოფელში მიგვიყვანდა. ამ გზას დავადექი. ფრიდერიკე მომყვა.

— ზელი მომეცი, თორემ ფეხი მიცურდება, — მითხრა. ზელი გავუწოდე ისე, რომ მისკენ არც გამიხედავს.

— რა გემართება? — მეკითხა.

პასუხის გაცემა არ შემეძლო, მხოლოდ მძლავრად მოვუჭირე ხელი ხელზე, რამაც, ჩანს, დაამშვიდა იგი.

— სამწუხაროა, ჩვენ შეგვეძლო მონასტრის დათვალიერება-მეთქი, — ვუთხარი. ესეც იმიტომ, რომ უნდა მეთქვა რამე.

გაიცინა.

— მონასტერს ჩვენ ისე ჩავუარეთ, არც კი მიგვიქცევია.

— გნებავთ დავბრუნდეთ? — შევთავაზე.

— ო, არა, მიხარია, რომ მალე კვლავ ნავში ვიჯდები. ერთხელ კიდევ სიამოვნებით გავიარებდი იალქნიანი ნავით, მხოლოდ თქვენთან ერთად, იმ მოხუცის გარეშე.

— მე იალქნების არაფერი გამეგება.

— ოჰ, — აღმოხდა მას და შეჩერდა. თითქოს ისეთი რამ გაახსენდა, რისი თქმის სურვილიც არ ჰქონია. არაფერი მიკითხავს. მალე ხიდზე გავედით, ნავი მზად იყო და გველოდა. ბავშვები, რომლებიც მოსვლისას მოგვესალმნენ, ისევ იქ დაგვიხვდნენ. დიდრონი, ცისფერი თვალებით მოგვჩერებოდნენ. აფრა გავშალეთ და კუნძული დავტოვეთ. ზღვა უფრო დაწყნარებულიყო. თვალები რომ დაგეხუჭა, ვერც იგრძნობდი თუ მოძრაობდო.

— ჩემს ფერხთით უნდა დაწვეთ — მითხრა ფრიდერიკემ. მე ნავის ფსკერზე გავწექი და თავი ქალის კალთაზე დავდე. კიდევ კარგი მისი სახისათვის არ უნდა მეცქირა. ის ლაპარაკობდა და მე რაღაც შორეული ხმა ჩამესმოდა. ყველაფერს ჩავწვდი და ერთდროულად შემეძლო კიდევ გავყოლოდი ჩემს ფიქრებს.

მისი სიახლოვე ძრწოლას მგვრიდა.

— დღეს საღამოს ერთად გადავსერავთ ზღვას, — თქვა მან, ასე მეგონა მოჩვენებასავით რაღაც დაფარფატებდა მის ირგვლივ.

— დღეს საღამოს ზღვაზე, კანჯოთი... — ნელა გაიმეორა ქალმა. — ნიჩბების მოსმა ხომ იცი?

— დიახ! — მივუგე.

სულს მიწეწავდა ის დიდსულოვანი პატიება, რომელიც უტყვად შემოხვეოდა ქალს და რის შესახებაც მან არაფერი იცოდა.

ქალი საუბარს განაგრძობდა.

— ჩვენ გადავსერავთ ზღვას და ვიქნებით სულ მარტონი. რატომ არაფერს ამბობ? — მკითხა უცებ.

— ბედნიერი ვარ, — მივუგე.

შეშაძრწუნა ბრმა ბედისწერამ, წლების მანძილზე თან რომ სდევდა ქალს ისე, რომ თვითონ არაფერი იცოდა.

ნავი მისრიალებდა.

ერთხანს ვიფიქრე, ყველაფერი მეთქვა და აღუმალების ბურუსი გამეფანტა. შემდეგ ის ჩემთვის ისეთივე გახდებოდა, როგორც სხვა ქალები და ცისურვები მასთან სიახლოვეს, მაგრამ არ მქონდა ამის უფლება. ნაპირს მივადექით. ნავიდან ამოვხტი და გადმოსვლაში მივეხმარე.

— ბიჭი ალბათ კარგახანია მელის. ჩქარა უნდა წავიდე. ახლა კი მარტო უნდა გამიშვათ.

პლაჟი გამოცოცხლებულიყო. შევნიშნე, რამდენიმე კაცი გვიმზერდა.

— დღეს საღამოს, — თქვა მან, — ცხრა საათზე ვიქნები... რა გემართება?

— ძალიან ბედნიერი ვარ, — მავუგე.

— დღეს საღამოს ცხრა საათზე პლაჟზე ვიქნები, ვიქნები შენთან. ნახვამდის! — და აჩქარებით გაუყვა გზას.

— ნახვამდის, — დავადევნე ადგილიდან ფეხმოკლებულად.

...მას ვერასოდეს ვიხილავ. როცა ამ სტრიქონებს ვწერ, უკვე ძალიან შორსა ვარ — ყოველი წამი აღიდებს მანძილს ჩვენს შორის. ამას ვწერ მატარებლის კუბეში, რომელიც ერთი საათია, რაც კოპენჰაგენიდან გამოვიდა. ზუსტად ცხრა საათია. ახლა ის პლაჟზე დგას და მელის. როცა თვალებს ვხუჭავ, ჩემს წინ დგას სახება. მაგრამ ეს როდია ქალი, რომელიც ნახევრად ბნელ ნაპირზე ბოლთას სცემს, — ეს ჩრდილი დასრიალებს წინ და უკან...



უცხოური იუმორი

ახადველოგაჟი იმონიეთ...

კინოსახიობ ქალს არ მოეწონა ფოტოსტუდიაში დამზადებული თავისი პორტრეტი და ფოტოგრაფს უსაყვედურა:

— წინათ გადაღებული სურათი გაცილებით უკეთესი იყო:

— მართალი ბრძანდებით, — მიუგო ფოტოგრაფმა. — მაგრამ მხედველობაში უნდა იქონიოთ, რომ მე მაშინ რვა წლით ახალგაზრდა ვიყავი.

მეიმის რჩევა

ქალბატონი დიუბონი, რომლის წონამ 80 კილოგრამს მიაღწია, ექიმთან მივიდა.

— უნდა იფარჯიშოთ. — უთხრა ექიმმა.

— რა მოძრაობები გავაყუთო?

— თავის უბრალო მოძრაობა — ჯერ მარცხნიდან მარჯვნივ და მერე მარჯვნიდან მარცხნივ:

— რამდენჯერ?

— ყოველთვის, როცა კი რაიმე საჭმელს შემოგთავაზებენ.

გულწრფელი საუბარი

ერთხელ ჰაინრიხ ჰაინეს ახალგაზრდა მკვლევარი ეწვია. სტუმარმა, ცხადია, იცოდა, რომ

ჰაინე ებრაელი იყო და სხვათაშორის უთხრა:

— იცით, კუნძულ ტაიტზე მოგზაურობის დროს ჩემზე განსაკუთრებით რამ მოახდინა შთაბეჭდილება?

— რამ? — პკითხა პოეტმა.

— იმან, რომ იქ არც ებრაელებია და არც ებრაელები.

— მაგრამ მაგ მდგომარეობის გამოსწორება საცხებით შესაძლებელია. — მიუგო მშვიდად ჰაინემ. — ხომ შეიძლება მე და თქვენ ერთად მოვხვდეთ იმ კუნძულზე!

უმძრახი შეუპარავულები

გეოლოგებმა ფოსტა მიიღეს.

ახალგაზრდა გეოლოგმა კონვერტიდან სუფთა ფურცელი ამოიღო.

— ეს რა არის? — შეეკითხა ამხანაგი.

— წერილია საცოლისაგან.

— მაგრამ, რატომ არაუფრო არ წერია?

— ჩვენ ხომ უმძრახად ვართ.

კომპეტენტური აზრი

შვეიცარიის „გამძლე ქმრების საზოგადოების“ წევრებს, ვისაც თცდახუთ წლისაზე მეტი ქორწინების სტაჟი აქვთ, კითხვით მიმართეს უცხოელ მამაკაცებმა:

— რომელი ქალები უფრო ერთგულნი არიან: ქერა, წაგვერებიანი თუ წითური?

— ქაღარა. — მიუგეს ერთხმად.

(გაგრძ. 254 გვ.)

დევიდ ჰერბერტ ლორენსი

მომხიბვლელი ქალი



მოთხრობა

ინგლისურიდან თარგმნა ხსმათ ლეკიაშვილმა

ინგლისელ მწერალსა და პოეტს დევიდ ჰერბერტ ლორენსს (1885-1930) „ახალი რელიგიის“ გადაგებას მიაწერენ. მისი მოძღვრების თანახმად, ადამიანის მოქმედებები განმსაზღვრელია არა სოციალური გარემო, არამედ პრიმიტიული, პირველადი ინსტინქტები. კაპიტალიზმის მორალურ და ფიზიკურ უღელს მხოლოდ მაშინ დაადწეეს ადამიანი თავს, როდესაც შესძლეს ამ ინსტინქტების თავისუფლად გამოხატვას. მწერალი ვმობს ინტელექტს და იგი ადამიანური გრძნობების მეტრუჟად მიაჩნია.

გთავაზობთ ლორენსის ერთ-ერთი საუკეთესო მოთხრობის „მომხიბვლელი ქალი“ თარგმანს. ამ ნაწარმოებში ოსტატურად არის წარმოდგენილი სახე მეტად ლამაზი, ძალაუფლების მოყვარული ქალისა, რომელიც საკუთარ პატივმოყვარეობას სწირავს ადამიანების სიცოცხლეს და არც საკუთარ შეილებს ინდობს.

სამოცდათორმეტი წლის პოლინ ოტენბოროს ნახევრად ბნელ ოთახში რომ გენახათ, ოცდაათზე მეტის არ იქნებაო, იფიქრებდით: მართლაც რომ მშვენივრად შენახული ქალი იყო, თან არც მომხიბლათა აკლდა. მის ტან-ფეხზეც ზეალი დაგრჩებოდათ. ისეთი წერწეტა და აშოლტილი იყო, ეტრუსკი ქალის აღნაგობასაც გაახუნებდა. საოცრად უხდებოდა შარგალიტივით ჩაწიკწიკებული კბილები.

ზეერი ქალი ინატრებდა მისის ოტენბოროს ლამაზნაკვთებიან სახეს, გადატყეცილ კანს. ოდნავ კეხიანი ცხვირი შეენოდა. დანახვისთანავე მოგხიბლავდათ მისი დიდი, ნაცრისფერი თვალები. მხოლოდ ისინი თუ ამეღავნებდნენ ქალის ხნოვანებას. დამჩიმებული, მოცისფრო ქუთუთოები სტკიოდა მუდმივი დაჭიმულობისაგან: ძალა უნდა დაეტანებინა, თვალებს ეშმაკურად რომ ეციმციმათ. საფეთქლებთან მზის სხივისებრი, წვრილი ნაოჭები დაგროვებოდა. დაღლილობის უამს კანი უღუნდებოდა და ნაოჭებიც ინწანსვე გეცემოდათ თვალში, შემდეგ კი კვლავ აჭიმავდა წარბებს და გამოხედვაც ლეთნარდოს ქალებივით ნათელი და პირდაპირი გაუხდებოდა ხოლმე.

მისი მანლის შვილი სესილი აღბათ ერთადერთი ადამიანი იყო, რომელიც ხედავდა იმ პაწია იდუმალ ძაფს. პოლინის ნაოჭებსა და ნებოსვლას შორის რომ გადებულებოდა სიდად. მხოლოდ სესილი ამხევედა ქალს მწუხარე, დაღლილ, მობერებულ გამოხედვას. ზოგჯერ საათობით არ სცილდებოდა პოლინა ეგზენიანი გამომეტყველება. მაგრამ თავისი ვაჟის რობერტის სახეზე დაბრუნებისთანავე, მღრას უკაცრავად! ის პატარა, საიდუმლო და მშვენიერი მოზლილი, მწუხარე თვალები ეშმაკურად აუციმციმდებოდა, წარბები ეშვილდებოდა და თქვენ წინაშე ჭეშმარიტად მომხიბლავი ქალი იდგა, მშვენიერებით გასხავოსნებულის.

თითქოს მართლაც ფლობდა სიყვარულის შენარჩუნების საიდუმლოს, აუთვილისამებრ იმოსებოდა ახალგაზრდულ მშვენებით, მაგრამ ფრთხილობდა, ყველაგათვის როდი იწუხებდა თავს. საღამოობით თავის ვაჟს — რობერტს, ზოგჯერ სერ ვილფრედ ნაიბსა და კვირაობით შემოხვევით ნენოვლილ სტუმრებს ანებივრებდა. მაგრამ ანათაც მხოლოდ მაშინ გაუღიძებდა ბედი, როცა რობერტი იყო შინ. მათთვის ყოველთვის იმ უცვლელ, მომხიბლივ ქალად რჩებოდა, ასაკი რომ ვერაფერს აკლებდა. გულლია, კეთილი და ამაკე დროს ოდნავ ეშმაკური ღიმილით მონა ღიზს ემსგავსებოდა, რაღაც რომ იცის და გულმოდგინედ ფარავს. პოლინმა ნახე პეტრე იცოდა, სულაც არ სჭირდებოდა ზედმეტი თავდაჯერებულობის გამოვლენა. საყვარლად, კეკლუცად იცინოდა, ყოველთვის გულლია თეინიერებით გამოირჩეოდა მასი ღიმილი, სათნოებითაც იყო აღსავსე და ბიწიერებითაც.

მხოლოდ სესილითან არ სჭირდებოდა ხიბლის წარმოჩენა. ახალგაზრდა ქალს თითქოს არაფერი აინტერესებდა ამქვეყნად. თანაც საკმაოდ ულამაზოც გახლდათ. უარესადაც გეტყვით: რობერტი უყვარდა ეკ. საბრალო სესილი, ლაპარაკადაც არ ღიზს.

პოლინი და რობერტი უბრალოდ სიზს ეძახდნენ. ტანსრული ახალგაზრდა ქალი იყო, მუქი კანი და პატუა ცხვირი ჰქონდა. ძალიან იშვიათად იღებდა ხმას და მაშინაც კატასავით კრუტუნებდა იგი დეიდა პოლინის ქმრის — როლანდის ძმისშვილი იყო. მამამისი — ღარიბი მღვდელი და როლანდი ცოცხლეტში აღარ ეწერენ და ამიტომ ბოლო ხუთი წლის მანძილზე მას პოლინი მეუღლეობდა.

პოლინი, რობერტი და სესილი დედოფალ ანასდროინდელ პატარა მაგრამ საკმაოდ კოხტა სახლში ცხოვრობდნენ ქალაქიდან ოცდახუთი მილის დაშორებით. სახლი განმარტობით იდგა მინდორში და თვალისმიმტაცი ბაღჩა-ბაღებით იყო გარშემორტყმული ეს იდეალური ადგილი იყო სამოცდათორმეტა წლის პოლინისათვის.

როდესაც პატარა ბაღში მურყნებით დაჩრდილულ მდინარეს ქანარები აადგაფუნებდნენ, მისი გულიც თითქოს ნეტარი თრთოლვით ივსებოდა და საგულედან ამოვარდნას ღაწობდა: დიახ, ასეთი ქალი იყო!

რობერტი ორი წლით იყო სესილზე უფროსი. ყოველდღე დადიოდა ქალაქში — იგი ვეჭილი გახლდათ და თავისდა სავალალოდ, წლიურად მხოლოდ ას ფუნტს გამოდიოდა. ვერაფრით ვერ გადააჭარბა ამ თანხას, ის კი არა, სულ იმის შიში ჰქონდა, გამაგირი არ დაძიკლონო, მაგრამ ეს არაფერი. პოლინს საკმარისად ჰქონდა ფული. მაგრამ არასოდეს იფიწყებდა, რომ ეს მისი საკუთრება.

იყო და რაც არ უნდა ხალისით გაეჩუქებინა, ყოველთვის იგრძნობდა, რომ სასიხარულო, მაგრამ დაუმსახურებელ იღვენა გასცემდა. საჩუქარი სწორედ მაშინ ფაქობს, როცა არაფრით დაგინსახურებიაო, იტყობა ხოლმე პოლინი.

სესილის არ იყო, რობერტიც დიდი გერაფერი შვილი გახლდათ შესახედავად, ისიც ძალიან იშვიათად ლაპარაკობდა. საშუალო სიმაღლის, მხარბეჭიან, სავსად მოსულ რობერტს მსუქანს ვერ ეტყობოდა. მსოფლიო ხატიებისფერი, სუფთად გაპარსული სახე უთანთამებდა. ზოგჯერ იტალიელ მღვდელსაც მოგაგონებდათ. ისეთი მშვიდი და იდუმალებით მოცული გამომეტყველება ჰქონდა. ნაცრისფერი თვალებით დედას ჩამოჰგავდა, მაგრამ შიგრიდი და კრძალვა ჩასდგომოდა. ადრე იყო პოლინის თამამი და პირდაპირი გამოხედვა? მხოლოდ სიზიმ იტყობდა, რომ მორცხვი და გაუბედავი იყო რობერტი, ხვდებოდა, რა უხერხულად გრძნობდა კაცი თავს, გალიაში გამოძწყვდეულ ჩიტივით. თავად რობერტს კი ფარ-ხმალი დაეყარა და არც კი ცდილობდა რაიმე შეეცვალა: თავის ოთახს მიჰაწურებდა და სამართლია შესწავლით იქცევდა თავს. ინტერესებდა ძველი, საიდუმლოებით მოცული ყველა პროცესი. მხოლოდ დედამისმა იცოდა, რომ ახალგაზრდა კაცს მთელი კოლექცია ჰქონდა უძველესი მექსიკური ლეგალური საქმიანი ქაღალდებისა. კოლექციაში შედიოდა სხვადასხვა სასამართლო ოქმების აღწერა. მეჩვიდმეტე საუკუნის მექსიკის საეკლესიო და საერო კანონთა კრებული. ასეთი საბუთების შესწავლა მას შემდეგ დაიწყო, რაც შემთხვევით გადააწყდა. ორი ინგლისელი მეზღვაურის სისხლის სამართლის საქმეს: მეხიკოში 1620 წ. მოეკლათ ვიღაც. მერე კი ხელში ჩაუვარდა ქაღალდი, რომელიც ბრალს დებდა ვინმე დონ მიგელ ესტრადას ოახაკას წმინდა ტაირის მონაზვნის შეცდენაში... რობერტმაც გულმოდგინედ განაგრძო მსგავსი ქაღალდების შეგროვება.

დედა-შვილი საღამოობით დიდი სიამოვნებით იჩხრიკებოდა ამ ძველ ქაღალდებში. მომხიბლავმა ქალმა ცოტა ესპანურიც იცოდა, ისედაც თითქოს რაღაცით ჩამოჰგავდა ესპანელს, როდესაც მუქ-ყავისფერ, ვერცხლისფერი აბრეშუმის ძაფებით ამოქარგულ მოსასხამს მოიგდებდა მხრებზე. საღამოობით წელგამართული იჯდა ძველებურ, ზავიერდივით კრიალა მაგიდასთან. შვენოდა მაღალი სავარცხელი, ცრემლისდარი საყურე, რამდენიმე აცმა მარგალიტის მძივი. შინდისფერ ზაფერდის კაბაში გამოწყობილი, ლამაზი მოსასხამით დამშვენებული პოლინი სანთლის შუქზე მართლაც ოცდათორმეტი თუ ოცდაცამეტი წლის ჯიშაზე ესპანელ ქალს მოგაგონებდათ. სანთლებს ისე მიუჩენდა ხოლმე ადგილს, რომ აღს მომაჯადოებლად ელიცლიცა მის სახეზე. მაღალი, მწვანედ მოჩუქურთმებული სკამის საზურგის ფონზე მისი სახე საშობაო ვარდივით ანათებდა.

მაგიდას მუდამ სამნი უსხდნენ. ერთ ბოთლ შამპანურს მიირთმევდნენ. პოლინი ორ ჭიქას სვამდა, აიზიც ბიცოლას ბაძავდა, დანარჩენს კი რობერტი უღებდა ბოლოს... მომხიბლავი ქალი მართლაც ბრწყინავდა და ანათებდა. სიზის მოკლედ ჰქონდა შეჭრილი შავი თმა. ფართო მხრებზე კოხტად ადგა პოლინის დახმარებით შეკერილი ლამაზი კაბა. შეცბუნებულ, სხივჩამქრალ თვალებს ზან პოლინს მიაპყრობდა და ხანაც რობერტს, თითქოს მონუსხული დამსწრე ყოფილიყო და მეტი არაფერი. ყოველთვის მოჯადოებულებით შესცქეროდა ბიცოლას, ფარ-ხმალს აყრევინებდა მისი სივისკასე. სადღაც კი სიზის გონების

შორეულ კუნძულში დავანებულიყო ყველაფერი, რაც პოლინისა და მისი ვაჟიშვილის შესახებ იცოდა.

რობერტი ნამდვილი ჯენტლმენი გახლდათ. მამაპაპური თავისუფლებით გამოირჩეოდა. სწორედ ეს თავისუფლება უჩნდა ფარად მის მორიდებულობას. მხოლოდ სიზი ხვდებოდა, რომ ის უფრო შემკრთალ-დარცხნისმირი, ვიდრე მორიდებული. რობერტი ამ ქალზე უარეს დღეში იყო. სწორედ უსწრაფესობის გრძნობა ამ ხუთი წლის წინათ დაეუფლა, რობერტი კი დაბადებამდეც ასე წვალბოდა: მომხიზვლელი დედის საშოშიაც კი უხერხულად გრძნობდა თავს.

ყმაწვილი კაცი მთელ ყურადღებას დედას უთმობდა, ისე შესციცინებდა, როგორც მზეს უფერული ყვავილი, და მაინც, ყოველთვის ახსოვდა სესილის არსებობა, გრძნობდა, რომ ახალგაზრდა ქალიც იქ იყო და თითქოს ყოველთვის ჩრდილში იდგა, არავინ აქცევდა ყურადღებას. რობერტი იმასაც ხედავდა, რომ ყველაფერი არ იყო რიგზე, ოთახში ხომ მესამე გონებაც ბუუტავდა. პოლინისათვის კი სესილი ჩვეულებრივი, ყოველდღიური ნივთი უფრო იყო, ვიდრე მოაზროვნე არსება.

ყავას სამივენი მშვენიერი, რჩეული ავეჯით მოწყობილ ოთახში შეეკცეოდნენ. მისის ოტენბორო თავად იხვეჭდა სიმდიდრეს. ფულის შოვნის საშუალებებისათვის მიეცვლია... სხვადასხვა ქვეყნებიდან იწერდა საუკეთესო ავეჯსა და იშვიათ ნივთებს და მუზეუმებს უგზავნიდა.

სამივენი რვა საათამდე, ხანაც ცხრისნახევრამდე უსხდნენ მაგიდას და საუბრით იქცევდნენ თავს. სასიამოვნო, ოჯახური სიმყუდროვე სუფევდა, ესეც პოლინის დამსახურება გახლდათ. ქალი თავის ქიას ახარებდა. ალერსიანად იგესლებოდა, უცნაურ, ირონიულ ღიმილს ასხივებდა. შემდეგ კი ცოტა ხნით სიჩუმე ისადგურებდა.

სწორედ ამ დროს დგებოდა სიზი, დამე მშვიდობისას უსურვებდა დედა-შვილს და ყავის ჭურჭელი გაჰქონდა, მეტად რომ არ შეეწუხებინა ნათესავები.

შემდეგ კი, შემდეგ დედა-შვილს შორის ნეტარი, ცხოველი სიახლოვე ისადგურებდა. — ძველი ხელნაწერებისა და სხვადასხვა სასამართლო ქაღალდების ამოკითხვას იწყებდნენ. პოლინი გოგონასავით ალეგზნებოდა ხოლმე, ამითაც გახლდათ ცნობილი. რალაც მანქანებით შეენარჩუნებინა ყმაწვილქალური გრძნობები. მშვიდი, მეტისმეტად ღიმილი რობერტი დედაზე უფროსი გეგონებოდათ, თითქოს მღვდელი ესაუბრებოთ მოწაფე გოგონას. ყოველ შემთხვევაში, რობერტი, ასე გრძნობდა თავს.

სიზია საკუთარი ბინა ჰქონდა იმავე ეზოში, ეტლების ძველი სადგომისა და თავლის ახლოს. თავლაში ცხენები არ ჰყავდათ და ეტლების სადგომიც რობერტის მანქანისათვის იყო განკუთვნილი. სიზის ბინა სამი მოზრდილი, ერთმანეთზე მიწყობილი ოთახისაგან შედგებოდა. ქალი მიჩვეული იყო თავლის სახურავზე საათის ხმას.

ზოგჯერ საერთოდ არ ადიოდა თავის ბინაში, ზაფხულობით მდგლოზე იჯდა და სასტუმრო ოთახის ღია ფანჯრიდან უსმენდა პოლინის მომაჯადოებელ გულში ჩამწვდომ სიცილს. ზამთარში კი თბილ პალტოში გამოწყობილი მიაფირობდა მდინარეზე გადებული ნოაჩირიანი ზიდისაკენ და იქიდან უფრებდა სასტუმრო ოთახის სამ გაჩახახებულ ფანჯარას: ო, რა ბედნიერები იყვნენ იქ პოლინი და მისი ვაჟიშვილი!

სიზი უყვარდა რობერტი და ისიც იცოდა, რომ პოლინს მათი შეუღლება ედო გულში, მაგრამ მხოლოდ თავისი სიკვდილის შემდეგ. საბრალო რობერტი კი უკვე დაეხმარებინა ზედმეტ სიმორცხვს, ქალებთანაც უჭირდა საერთო ენის გამონახვა და მამაკაცებთანაც. რაღა დარჩებოდა მისგან პოლინის სიკვდილის შემდეგ? თორმეტობდე წელიწადში ცარიელ ნაჭუჭად იქცეოდა, ნაჭუჭად მამაკაცისა. რომელსაც ხეირიანად არასოდეს უცხოვრია.

რაღაც უცნაურ, ენით უთქმელ გრძნობას გადაეჩაქვს რობერტი, მაგრამ ამ გრძნობას ხანდაზმული ქალის არსებობა გადალობებოდა წინ, თანაც აიზი გრძნობდა, რომ რობერტი ვნებიანი კაცი იყო. მისი სიჩუმეც და მიჩქმალულობა, მაგრამ მტანჯველი მოკრძალებაც საიდუმლო ფიზიკური ვნების შედეგად დაბადებულიყო, როგორ სარგებლობდა ამით პოლინი! სიზი მშვენივრად ხედავდა — ახალგაზრდა კაცი დედას მოჯადოებული, გაუბედაობით აღსავსე და ამავე დროს დამცირებული კაცის თვალებით შეჰყურებდა. რცხვენოდა იმისა, რომ არ იყო ნამდვილი მამაკაცი. თანაც დედა არ უყვარდა, მხოლოდ მონუსხული იყო — სულთ ხორცამდე მონუსხული, გარდა ამისა, იგრძნობოდა, ვერასოდეს განთავისუფლდებოდა ხელ-ფეხის შემბორკველი უხერხულობისაგან.

სიზი იქამდე რჩებოდა ბაღში, ვიდრე სინათლე არ იფეთქებდა პოლინის საწოლ ოთახში — მომხიბლავი ქალი დასაძინებლად ემზადებოდა. რობერტი კი კიდევ ერთ საათს, ანდა ცოტა მეტ ხანს რჩებოდა მარტო. შემდეგ ისიც საწოლს მიაშურებდა. რამდენჯერ უნატრია სიბნელეში განმარტოებულ სიზის, მისულისა რობერტთან და ეთქვა: „ო, რობერტ, ასე არ შეიძლება“, მაგრამ პოლინი აუცილებლად გაიგონებდა მის ნათქვამს, ესეც რომ არა, სიზი ისედაც ვერ მოახერხებდა ხმის ამოღებას და ისევ თავის ოთახში ადიოდა. ასე მეორდებოდა ყოველდღე.

დილაობით სამივეს ლანგრიტ მოართმევდნენ ხოლმე ყავას და შემდეგ, ცხრა საათისათვის, სიზი სერ უილფრედ ნაიპთან მიდიოდა — მუსიკას ასწავლიდა მის ორ პატარა შვილიშვილს. გოგონებს ორ საათს ამეცადინებდა, ეს იყო მისი ერთადერთი სერიოზული საქმიანობა. ისე კი, თავისი სიამოვნებისათვისაც ურავდა ზოგჯერ. რობერტი ცხრა საათზე მიდიოდა ქალაქში. ბიცოლა პოლინა ხანდახან ჩაიმდე საერთოდ არ ეჩვენებოდა სესილს, გამოჩენისას კი ყოველთვის ახალგაზრდულად გამოიყურებოდა, მხნე იყო, შემართული. მაგრამ დღისით მწყურვალე ყვავილივით მალე ჭკნებოდა. სინათლის შუქზე იყო მომხიბლავი და თვალწარმტაცი.

შუადღისას პოლინი ყოველთვის ისვენებდა. კარგ ამინდში მზეზე ხეობიერობდა. ეს იყო მისი ერთ-ერთი საიდუმლო, ძალიან მსუბუქ საუზმეს მიირთმევდა, პაერზე და მზეზე კი მაშინ გადიოდა, როცა მოეატრებოდა — თორმეტ საათამდე ან შუადღის შემდეგ, ყველაზე ხშირად კი შუადღეს არჩევდა. ამ დროს მზე უხვად ღვრიდა სითბოს ურთხმელის ხეებით შემოღობილ პატარა, ლამაზ მოლზე. აქ უშლიდა აიზი ბიცოლას სკამსაწოლს, ფარდას და მსუბუქ, მოხდენილ მის ქოლგაააც ახვედრებდა. აიზუდროვე სუფევდა ხშირი ხეებით შემორავულ მდელოზე. აქ ეს მომხიბლავი ქალი წიგნის კითხვით იქცევდა თავს, სიზი კი თავისი ოთახიდან დარაჯობდა მის სიმშვიდეს.

ერთხელაც ახალგაზრდა ქალს თავში გაუელვა, თავადაც მშვენივრად მოგკლავ დროს მზეზე გაწოლილიყო. ამ აზრმა ააფორიაქა. თითქოს რაღაც თავგადასავალს უქადდა თავლის ბრტყელი სახურავი, რომელზედაც სხვენიდან შეიძ-

ლებოდა აძრომა. ისეც ხშირად უხდებოდა ზევით ასვლა თავლის საათის დასაქოქად, თვითონვე ითავა ამ საქმის გაძღოლა. ახლა კი ფარდაგიც აიტანა სახურავზე. ღია ცის ქვეშ გაშალა, თვალი გაუსწორა მზეს, შეხედა თევზების კენწეროებს, შემდეგ ტანთ გაიხადა და ნეტარებით გაიშოტა მზის გულზე.

ო, რა კარგი იყო ნებივრობა! მზე და ჰაერი თითქოს უქარგებდა გულის წუხილს, გამოუთქმელ, უსაშველო კაეშანს. უღარდელად გაბჭამსდამწყვდილი სხეულით მზეს მიეფიცხა. მზე მაინც გაუწევდა მიჯნურის მატიურობას! შემოიღვლიდა გაიზმორა... და უეცრად ძარღვებში სისხლი გაეყინა. თმა ყალყზე დაუდგასაიდანლაც ნაზი, მეოცნებე ხმა შემოესმა.

„არა, ძვირფასო ჰენრი, არა! რა ჩემი ბრალია, კლავდიას შერთვის მაგივრად სიცოცხლეს რომ გამოესალმე. მართალია, არ იყო შენი შესაფერიანი, მაგრამ ძალიან, ძალიან მინდოდა თქვენი შეუღლება“.

სესილი გაილურსა, ცივმა ოფლმა დაასხა. ო, რა ხმა იყო, — ნაზი, მოღუღუნე და საოცრად არამიწიერი — ნეტა ვინ არის სახურავზე? ვაი, რა საშინელებაა!

ძლივსძლივობით წამოსწია თავი და გაიხედა. არავინ ჩანდა. საკვამლე მიწები საკმაოდ ვიწრო იყო და მათ ვერავინ ამოეფარებოდა. თელაზე თუ იყო ვინმე ასული, ან ასე იქნება, ანდა რაღაც ენით უთქმელი საშინელება ტრიალებს — ისმის რაღაც უსხეულო, არამიწიერი ხმა. უფრო მეტად წამოსწია სესილიმ თავი და კვლავ მოესმა:

„არა, ძვირფასო, მე მხოლოდ ის გითხარი, ექვს თვეში მოგბეზრდება-მეთქი და ხედავ, მართალი გამოვდექი, მართალი ვიყავი, მართალი, შენი გაფრთხილება მინდოდა. ოღონდ მე რა შუაში ვარ, შენ თვითონ გიჭირდა იმ სულელ კლავდიასთან ყოფნა. საბრალო, როგორ მოტეხა შენმა სიკვდილმა. თან გინდოდა მისი შერთვა და თანაც — არა. აჰან აგიბნია თავგზა. მე გაფრთხილებდი, სხვა რა შემეძლო? შენ კი სულით დაეცი და ისე მოკვდი, რომ ვერ გამიგე, ო, რა მძიმეა, რა მძიმე...“

ხმა მისუსტდა. სესილი უღონოდ დაეშვა ფარდაზე, მოეშვა ასეთი მტანჯველი დამაბულობის შემდეგ. ო, რა საშინელებაა! მზე კაშკაშებდა, ცა იყო ლაქვარდისფერი, ირგვლივ ყველაფერი გაზაფხულით და სიყვარულით სუნთქავდა. და, აი, უბედურება თუ გინდა? უნდა ერწმუნა რაღაც ზებუნებრივი! მას კი ოდითგანვე სძულდა ასეთი რამ — სულები, ხმები, იდუმალი ხმაური...

ნეტავ რა იყო ეს ერუანტელის მომგვრელი ხმა. ეს გაურკვეველი ჩურჩული? და მაინც საშინლად ნაცნობი იყო სესილისთვის, თანაც იდუმალებით მოცული. სხვა რა შეეძლო საბრალო ქალს, იწვა ტანთგახდილი, უმწეო, უძრავი დანთქმული საშინელების მორევში.

შემდეგ კი ოხვრა მოესმა, ღრმა, საოცრად ნაცნობი ამოსუნთქვა. არც ახლა იყო ეს ხმა მიწიერი...

„ო, დაიცალე სისხლისაგან, გულო, დაიცალე, სჯობს ასე გამოიწურო, ვიდრე გამისკდე. რა უბედურება დამატყდა თავს, რა უბედურება! ჩემი ბრალი არ არის, ძვირფასო! რობერტსაც შეუძლია შეერთოს ის შტერი სესილი, თუკი ძალიან უნდა, მაგრამ ხომ ვიცი, თვითონ არაფერს ფიქრობს და რაღად დავატანო ძალა“. ხმა ხან წყდებოდა, ხან ისევ მოისმოდა, ხანაც ჩახრინწულ ჩურჩულად გადაიქცეოდა. უსმინე, სიზ, უსმინე!

ცოტაც და სესილს ხმამაღალი, გულისგამგმირავი, ისტერიული კივილი აღმოხდებოდა, მაგრამ ბოლო წინადადებათა თავეზარი დასცა და გააშეშა. მთელი გონებითა და სხეულით დაიძაბა. ეს ხომ პოლინი იყო! მუცლით მეზღაპრეობაში ვარჯიშობდა ან რაღაც ამდაგვარს ჩადიოდა! ო, ნამდვილი სატანაა ეს ქალი, ნამდვილი სატანა!

ნეტავ სად არის ახლა? ალბათ ქვემოთ წევს თავლასთან, ეს კნუტორტი სულის თინი იყო, ანდა აზრების გადაცემა! ხმა არათანაბრად მოისმოდა. ხან მიწყნარდებოდა, ხანაც რაღაც მოშრილზე ხმაურად გადაიქცეოდა. სიზიმ სმენა დაძაბა. არა, მუცლით მეზღაპრეობა არ უნდა ყოფილიყო! უარესი რამ ხდებოდა — აზრების გადაცემა, ქალი ისევ ისე იწვა — მისუსტებული და ძალაგამოცლილი, განძრევისაყ ეშინოდა. მაგრამ თანდათან შშვიდდებოდა. ამ მაცდურ ქალს რაღაც დემონური უნდა ჰქონოდა ჩაფიქრებულ.

ნამდვილი სატანა იყო! ისიც კი სცოდნია, სესილი გულში ბრალს რომ დებდა ჰენრის სიკედილში. საბრალო ჰენრი რობერტის ძმა გახლდათ. მასზე თორმეტი წლით იყო უფროსი. უეცრად გარდაიცვალა ოცდაორი წლისა. შავი დღე აღგა. გატაცებით უყვარდა ახალგაზრდა, თვალწარმტაცი მსახიობი ქალი, დედა კი ხუმრობანარევი გესლით უმასპინძლდებოდა ამისათვის, მოულოდნელად რაღაც ერთი შეხედვით მსუბუქი ავადმყოფობა შეეყარა, მაგრამ ტვინი მოუწამლა და ისე მოკლა, გონება არც დაბრუნებია. ეს ყველაფერი სიზიმ მამისაგან იცოდა და შემდეგ სულ იმის შიში ჰქონდა, პოლინს რობერტიც არ მოეკლა. აშკარა მკვლელობა იყო: დედა ხოცავდა მგრძნობიარე ვაჟიშვილებს, რომლებიც მოჭადლოებული იყვნენ მისით — აი, ცოდვა, თუ გინდათ!

„მგონი, დროა ავდგე, — ჩაიბუტბუტა სუსტმა, მაგრამ მაინც მტკიცე ხმამ. — ზომაზე მეტი მზე ისევე ცუდია, როგორც ზომაზე ნაკლები. საკმარისი მზე, საკმარისი სასიყვარულო განცდა, საკმარისი შესაფერისი საქმელი — ზედმეტი არაფრით არ შეიძლება და — მაშინ იქნება ქალი უკვდავი. მტკიცედ მწამს, მარადიულ უკვდავებას ჰპოვებს. სწორედ იმდენი ენერგია უნდა შთანთქმას, რამდენსაც გასცემს, ანდა ცოტა უფრო მეტი!“

რა თქმა უნდა, პოლინი იყო! სესილს ესმოდა ამ ქალის ფიქრები. რა საშინელებაა! პოლინი თითქოს ჰაერს ანდობდა თავის აზრებს, სიზი კი ჰაერშივე იჭერდა მათ. ო, რა აღმაშფოთებელი ამბავია! ერთ-ერთმა მათგანმა უთუოდ უარი უნდა თქვას სიცოცხლეზე — სხვაგვარად შეუძლებელია.

სიზი მოიკრუნჩხა და გაქვავდა, უსაგნო გაუხდა მზერა. თითქოს ვერაფერს ხედავდა. თვალები კი მილის სატუჩისათვის მიეღურსმა. ხედავდა და ვერც ხედავდა, არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებდა სატუჩეს, მხოლოდ ამინებდა ცოტა.

და უეცრად სწორედ ამ მილიდან პოლისმა ოხვრა და ჩურჩული „დღეისათვის კმარა, პოლინ, ადექი, დროა“. ღმერთო, ღრუბელთმბრძანებელო, საწვიმარი მილიდან ამოდრიოდა ხმა. ეს მილი ყოფილა ბგერების გამტარი! შეუძლებელია. თუმცა რატომ? რომელიღაც წიგნში წაუკითხავს ასეთი რამ. ბიცოლა პოლინი, ეს ბებერი, დანაშაულით დადასტურებული ქალი, ხმამაღლა ესაუბრებოდა თავის თავს. კი, ნამდვილად ასე იყო!

ბოროტი სიზარულით აღევსო სიზის გული. აი, რატომ არჩევდა პოლინი განმარტოებას საწოლ ოთახში! რობერტსაც კი არ უშვებდა თავისთან. აი, რატომ ერიდებოდა სკამზე ჩათვლემას, გათიშვას! როგორც კი მოდუნდებოდა,

მაშინვე თავის ოთახს მიაშურებდა და იქამდე რჩებოდა, ვიდრე კვლავ არ გამოფხიზლდებოდა ფიქრებისა თუ რულისაგან. როდესაც მოეშვებოდა, თავის თავთან ლაპარაკი ჩვეოდა თურმე. ხმადაბალი, ნაზი, თითქოს შეშლილის ხმით ლაპარაკობდა, მაგრამ შეშლილი კი ნამდვილად არ იყო, ეს მისი ფიქრები იყო მხოლოდ, ხმამაღლა გამოთქმული ფიქრები.

მაშ, სინდისი ქენჯნიდა! ასეც უნდა ყოფილიყო, რა თქმა უნდა, პოლინს ეყვარებოდა თავისი უფროსი შვილი — წარმოსადგეი, ბრწყინვალე გარეგნობის ჰენრი — ეყვარებოდა რობერტზე მეტად. მისი სიკვდილი უთუოდ თავზარს დასცემდა ქალს. საბრალო რობერტი მხოლოდ ათი წლისა იყო, როცა ჰენრი გარდაიცვალა და შემდეგ მან შეცვალა ძმა.

რა საშინელებაა!

ბიცოლა პოლინი უცნაური ქალი გახლდათ: ქმარი რობერტის დაბადებამდე რამდენიმე წლით ადრე მიატოვა. ჰენრი კი სულ პატარა ჰყავდა. მეუღლესთან ჩხუბი არ მოსვლია, ზოგჯერ ხვდებოდნენ კიდეც ერთმანეთს, მართალია, ქალი ქმარს მეგობრულად ექცეოდა, მაგრამ დაცინვასაც არ აკლებდა. ფულსაც კი აღ-
ლევდა ხოლმე.

ეს ქალი თვითონ შოულობდა ფულს. მამამისი კონსული იყო აღმოსავლეთ ნეპალში, ლამაზი და ეგზოტიკური ნივთების შეგროვებით გახლდათ გატაცებული. ჯერ კიდევ სულ პატარა იყო ჰენრი, მამამისი რომ გარდაიცვალა და ძვირფასეულობის მთელი კოლექცია ქალიშვილს დაუტოვა და პოლინმაც, რომელსაც მთელი გზებით უყვარდა ყველაფერი მშვენიერი, მშვენიერი ფორ-
მითაც, შინაარსითაც და ფერიტაც — გამდიდრების წყაროდ დაისახა მამისეუ-
ლი კოლექცია. თვითონაც სადაც წააწყდებოდა, ყიდულობდა იშვიათ ნივთებს და კოლექციონერებსა და მუზეუმებს უგზავნიდა უცნაურ აფრიკულ ხის ფიგურ-
ებსა და ახალი გვინეიდან გამოწერილ სპილოს ძვლის ნაკეთობებს. რენტარის ნახატები ნახვისთანავე შეიძინა. მარტომ დააგროვა მთელი სიმდიდრე.

ქმრის სიკვდილის შემდეგ აღარ გათხოვდა. ისიც კი არავინ იცოდა, ჰყავდა თუ არა საყვარელი. და თუ ჰყავდა, ყოველ შემთხვევაში, არა იმ მამაკაცთა წრიდან, რომლებიც ფარვანასავით ევლებოდნენ თავს და აშკარად გამოხატავ-
დნენ თავიანთ გრძნობას. მათთვის პოლინი „მეგობრად“ რჩებოდა.

სესილმა სასწრაფოდ გადაიცვა ტანსაცმელი, ფარდაგი აიტაცა და კიბეზე დაეშვა. ჩამოსვლისთანავე მოესმა მელოდიური, ზარივით წკრილა ხმა: „უკვე მოვრჩი, სიზ“. ეს იმას ნიშნავდა, რომ მომხიბლავმა ქალმა უკვე ინებიერა მზეზე და ახლა სახლში ბრუნდებოდა. წელანდელთან შედარებით ხმა შეცვლო-
და — საოცრად ახალგაზრდული, მედერი, თანაბარი და დინკი გაუხდა. თავის თავს კი, მოგეხსენებათ, უფრო მოხუცი ქალის ხმით ელაპარაკებოდა.

სიზი აჩქარებით მიუახლოვდა ხეებით შემოღობილ ადგილს, სადაც მომ-
ხიბლავ ქალს მოხერხებული სკამლოგინი და ლამაზი ნოხები დაეტოვებინა. პოლინს ყველაფერი რჩეული ჰქონდა, დაწყებული იატაკზე დაგებული ქილო-
ფიდან... უკვე გაწოლილიყო ხეთა გრძელი ჩრდილები. მხოლოდ იმ კუთ-
ხეს ედგა მზე, სადაც ნოხები ელვარებდნენ ათასფრად.

სესილმა აკრიაფა ნოხები, აკეცა სკამი და შემდეგ საწვიმარი მილისაკენ დაიხარა. მილის ხერვლი კუთხეში მიმაღულიყო, ქვის პატარ სახურავის ქვეშ, მცოცავი მცენარის სქელი ფოთლებიდან იჭვრიტებოდა. თუკი მწოლიარე პო-
ლინი პირით კედლისაკენ მიიქცეოდა, პირდაპირ ამ მილში ილაპარაკებდა. ახლა

კი დარწმუნდა სესილი, რომ მართლაც პოლინის ფიქრებს ისმენდა და ზებუნებრივი ძალა არაფერ შუაში იყო.

იმ საღამოს. ყავის სმისას, პოლინს აჩქარება დაეტყო, თითქმის გულმა რაღაც უგრძნო, მართალია, ისევ ის ქალი იყო — მშვიდი და იდუმალი, — მაგრამ დალია თუ არა ყავა, მაშინვე დაემშვიდობა რობერტსა და კესილს და დალიან მომერია ძილი, მზემ თუ იმოქმედა. ფუტკარივით მცურავი მშვენიერების ხოლმე, წავალ, დავწვები, თქვენ კი აქ ისაუბრეთ“.

სესილმა სწრაფად გადახედა რობერტს:

„ალბათ მარტო გირჩევნია ყოფნა“.

„არა, არა, თუ არ მოგწყინდება, ცოტა ხანს დარჩი“, — სთხოვა რობერტმა.

ლია ფანჯრებიდან ცხრატყავას სურნელთან ერთად ბუს კივილიც შემოიჭრა. გამეფებულ სიჩუმეში ეწეოდა რობერტი. მოხრილი, გახევებული იჯდა და დალიან სასოწარკვეთილი ჩანდა, თითქოს მძიმე ტვირთი აწვა მხრებზე.

უეცრად სესილმა ჰკითხა:

„გახსოვს ჰენრი?“

რობერტმა გაოცებით შეხედა.

„მახსოვს. ძალიან კარგად მახსოვს“.

„როგორი იყო?“ სიზიმ ჯიქურ შეხედა ბიძაშვილს იდუმალი წუხილით აღსავსე თვალებში.

„ო, ერთობ წარმოსადეგი, მაღალი, ფეროვანი, დედასავით თბილი თაფლისფერი თმა ჰქონდა (ისე კი, სადაც სამართალია, პოლინს სულაც ფერფლისფერი თმა ამშვენებდა), ქალები ჰკუთას კარგავდნენ მისთვის. არც ერთი მეჯლისი არ გაუცდენია“.

„როგორი ხასიათი ჰქონდა?“

„გულლია იყო. მზიარული, გართობა უყვარდა. დედასავით გონება გახსნილი, ჰკვიანი, რომ იტყვიან მეგობარ-ამხანაგების გული და სული იყო“.

„დედა თუ უყვარდა?“

„ძალიან. დედასაც უყვარდა. ჩემზე მეტად. სწორედ ასეთი უნდა იყოს ნამდვილი მამაკაციო, ამბობდა“.

„რატომ?“

„ტანმაღალი, ლამაზი, მიმზიდველი, მზიარული, თანაც სამართალში ბედი სწყალობდა“.

სიზიმ მშვიდი თაფლისფერი თვალები ყურადღებით მიაპყრო რობერტს. თუმცა კაცს უშფოთველობის ნილაბი ჰქონდა სახეზე აკრული, ქალმა იცოდა, როგორ იტანჯებოდა იგი.

„დარწმუნებული ხარ, რომ ჰენრი ბევრად გჯობდა?“

რობერტს თავი არ აუწევია, რამდენიმე წუთის შემდეგ კი უპასუხა:

„არათუ მჯობდა, მე საერთოდ არ უნდა გავჩენილიყავი ამქვეყნად“.

სიზი შეყოვნდა, მერე კი ჰკითხა:

„ძალიან განიცდი?“

რობერტს არ უპასუხია, თითქოს გული ჩასწყდა.

„ვშიშობ, ჩემი ცხოვრებაც ასეთივე უარყოფითი მოვლენა არ იყოს. საშინლად განვიცდი, უკვე ოცდაათი წლისა ვარ“, დაიწყო სესილმა.

კაცს ქათქათა მოვლილი ხელი აუკანკალდა.

„მე კი მგონია, ადამიანი მაშინ ჯანყდება, როცა უკვე ძალიან გვიანია“. საოცარი იყო: ეს სიტყვები რობერტს ევუთვნოდა.

„რობერტ, სულ არ მოგწონვარ?“

კაცი გაქვავებული, მოღუშული სახე გაუფითრდა.

„ძალიან კარგად ვარ შენდამი განწყობილი“.

„არ მაკოცებ? ჩემთვის ჯერ არავის უკოცნია“, — აღმოხდა სესილს.

რობერტმა ამპარტავნული, მაგრამ შიშით სავსე მზერა შეაგება. შემდეგ წამოხტა, მიუახლოვდა და ნაზად ეამბოროა ლოყაზე.

„ო, სიზ, რა სირცხვილია“, — ჩაიჩურჩულა.

ქალმა რობერტის ხელი მკერდზე მიიკრა.

„ზოგჯერ ბალშიაც ჩამოვსხდეთ ერთად, — ძლივს ამოღერღა სესილმა. — არ გინდა?“

შეშფოთებული, გამჭოლი მზერა შეაგება რობერტმა. სიზიმ საბრალოდ გაიღიმა და თვალი გაუსწორა. უეცრად კაცი ქარხალივით გაწითლდა და განზე გაიხედა. საცოდაობა იყო ნამდვილი.

„ნეტა რომელი ქალთა გულის მომნადირებელი მე ვარ?“ — კაცი სარკასტულად, დაბეჯითებით სდებდა ბრალს თავის თავს და სესილმაც კი არ იცოდა, რა სირცხვილად უღირდა ეს ყველაფერი.

„არც არასოდეს ცდილობ მათ მომნადირებას?“

კვლავ შეეცვალა რობერტს სახე.

„უნდა ვეცადო კი?“

„რატომაც არა, თუ კაცმა ბედი არა სცადა, არაფერი გამოუვა“.

რობერტი გაფითრდა:

„იქნებ მართალიც ხარ“.

რამდენიმე წუთის შემდეგ სიზი თავისი ბინისაკენ გაეშურა. ბოლოს და ბოლოს რაღაცას მაინც მიაღწია.

მეორე დღეს მზიანი ამინდი დაიჭირა, პოლინი კვლავ მზეზე ნებივრობდა, სიზი კი სახურავიდან ქურდულად იყურებოდა, დიახ, ქურდულად. მაგრამ პოლინის ხმა აღარ ისმოდა — ყოველ შემთხვევაში, მილი ღუმდა. ალბათ კედელთან ზურგშექცეული იწვა ქალი. სიზი სმენას დაბავდა და მაშინ სუსტი, ძალიან სუსტი ბუტბუტი მოესმოდა, გარკვევით კი არაფერი აღწევდა მის ყურამდე.

ლამით სესილი ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ქვეშ იჯდა და გალურსული ელოდა რობერტს, თან თვალს არ აშორებდა სასტუმრო ოთახის ფანჯრებს და ბაღის ტიშქარს. დაინახა, როგორ ჩაქრა სინათლე პოლინის ოთახში, შემდეგ სასტუმროშიც. იჯდა და ელოდა, მაგრამ რობერტი არა ჩანდა. ბუს კივილამდე იცადა, მაგრამ ამაოდ.

ორი დღე არაფერი მომხდარა საგულისხმო, აღარც პოლინის ხმამაღალი ფიქრები მისწვდენია მის ყურს და არც რობერტს შეხვედრია. მეორე ღამეს კი უმწეოდ, ჯიუტად მომლოდინე სესილს რობერტი გამოეცხადა. ქალი წამოდგა. უხმოდ გაიარა ბაღახებზე და მიუახლოვდა.

„ჩუმაღ“, — წაიბუტბუტა კაცმა.

სიბნელეში დაეშვნენ პატარა ხიდისაკენ. იქვე გვიან მოთიბული თივის ზვინები გამოჩნდა... ღია ცის ქვეშ იდგა ორი უბედური, უმწეო ადამიანი.

„აბა დაფიქრდი, როგორ შემიძლია სიყვარული გთხოვო, როცა თვით ჩემს

არსებაშია ჩაკლული ეს გრძნობა. ისე, ხომ იცი, როგორ მომწონხარ...“ — და იწყო რობერტმა.

„კი, მაგრამ, როგორ გინდა სიყვარული იგრძნო, როცა ცხოვრებაში საერთოდ არაფერი გიგრძნია?“ — გააწყვეტინა სესილმა.

„მართალია“, — მიუგო კაცმა.

სესილი მოთმინებით ელოდა, რას ეტყოდა შემტყუპი.

„როგორ უნდა დავოჯახდე, ფულის შოვნის შნოც არა მაქვს. დედას ხომ ვერ ვთხოვ დახმარებას?“

ქალმა ღრმად ამოიოხრა:

„დაოჯახებაზე ფიქრით თავს ნუ იწუხებ. გიყვარდე მხოლოდ, არ კმარა?“ რობერტს ჩაეცინა.

„საშინელებაა, მაგრამ უნდა გითხრა, დაწყება მიჭირს“.

კვლავ ამოიოხრა სესილმა. ძნელი იყო ამ კაცის გამოღვიძება.

„მოდო, ცოტა ხანს ჩამოვსხდეთ, — და როდესაც თივაზე მოიკალათეს, ქალმა გაბედა: — ხომ არ გეწყინება, ხელით რომ შეგეხი?“

„მეწყინება, მაგრამ რას იზამ, ისე მოიქეცი, როგორც გაგიხარდეს“, — ისეთი მორცხვი და უგერგილო გულწრფელობით უთხრა რობერტმა, რომ თავადაც მიხვდა, რა სასაცილო იყო. გულში კი ჯოჯოხეთი უტრიალებდა.

ქალმა თითები შეუცურა შავ, გულმოდგინედ დავარცხნილ თმაში.

„ალბათ ერთ მშვენიერ დღეს მეც ავჯანყდები“, — მოულოდნელად წამოსცდა რობერტს.

იქამდე ისხდნენ, ვიდრე საკმაოდ არ აგრილდა. კაცს მაგრად ეჭირა ქალის ხელი, მოხვევით კი არ ეხვეოდა. ბოლოს სიზი ადგა, ღამე მშვიდობისა უსურვა და სახლისაკენ გაემართა.

მეორე დღეს სესილი დაძაბული და განრისხებული იწვა გავარვარებულ სახურავზე და მზესთან ერთად თანდათანობით რისხვაც ეკიდებოდა. უეცრად თავზარი დაეცა, კვლავ შემოესმა ხმა: „Caro, caro, tu non lihai visto“¹. სესილისათვის უცნობი იყო ეს ენა. ერთიანად მოიკუნტა და მთელი გულისყურით უსმენდა, მაგრამ ამაოდ. ნაზი მოღუღლუნე ხმა იყო, იდუმალი ალერსითა და მზაკვრული ამპარტავნობით აღსავსე. სიზი მიხვდა: პოლინი იტალიურად ლაპარაკობდა: „Bravo, sì molto bravo, poverino, ma uomo' come te non lo sarà, mai, mai, mai“². იტალიური ენა განსაკუთრებით აჩენდა ამ მოუღუპრულ, მელოდიური და ასე საოცრად ეგოისტური ხმის შხამიან ხიბლს.

მთელი არსებით სძულდა სიზის ეს ოხვრა და ჩურჩული. რატომ უნდა ჰქონოდა პოლინს ასეთი დახვეწილი, მოქნილი, მშვენივრად დაყენებული ხმა, როდესაც ის, სესილი, ასეთი მოუქნელი იყო? შუადღის მზის გულზე წრიალებდა ეს ტლანქი, ქალურ სინაზეს მოკლებული არსება და თან პოლინს ადარებდა საკუთარ თავს.

„არა, რობერტ, ბევრი, ძალიან ბევრი გიკლია მამაშენამდე, თუმცა რაღაცით კი გავხარ. ეჰ, რა საოცარი სიყვარული იცოდა — ყვავილივით ნაზი იყო

¹ ეჰ, ჩემო ძვირფასო, შენ მაგისი რა იცი!

² ჩემო კარგო, შენ მას ვერასოდეს დაემსგავსები!

და ბუღბუღის გალობასავით გულში ჩამწვდომი. ეჰ, ჩემო რობერტ, ქალს ვერასოდეს დაიპყრობ ისე, როგორც მონსენიორ მაურო.

*Cara mia bellissima, ti ho aspetata l'agonizzante la morte, morte deliziosa, quasi, quasi troppo deliziosa per un anima umana*³. უგავილივით ნაზი და ბუღბუღის ზმასავით გულში ჩამწვდომი... ქალს ისე ემოწონებოდა მონსენიორ მაუროს, მაურო, მაურო, ო, როგორ გიყვარდი!

მოდულუნე ხმა მიიღო და სესილიც საბოლოოდ დარწმუნდა, რაშიც აღრეც ეჭვობდა. რობერტი მართლა ძია როლანდის კი არა, ვიღაც იტალიელის შვილი იყო.

„იმედები გამიცრუე, რობერტ, მარილი გაკლია: მამაშენი იეზუიტი იყო, მაგრამ ძნელად იპოვიდა კაცი ისეთ მგზნებარე მიჯნურს. შენც იეზუიტი ხარ — ოღონდ თევზივით ცივი. ის ჩვენი სიზი კი კატასავით ნადირობს შენზე, ჰენრის მაგალითი მაინც გაიხსენე“.

უეცრად სესილი მიღის სატუჩისაკენ დაიხარა და ხმადაბლა ჩასძახა:

„თავი დაანებე რობერტს! მაგას მაინც ნუ გამოუყვან წირვას!“

ბუზის გაფრენას გაიგონებდა კაცი, ივლისის ცხელი შუადღე ჭექა-ქუხილის მოახლოებას მოსწავებდა. გაუნძრევლად იწვა სესილი, ყრუდ უცემდა გული. სმენად იყო ქცეული. ბოლოს ჩურჩული მოესმა.

„ვინ არის?“

სიზი კვლავ დაიხარა სატუჩისაკენ:

„რობერტი მაინც აცოცხლე, ჩემსავით იმასაც ნუ მოკლავ!“

სუსტი შეკივლები გაისმა: „ვინა ხარ?“

„ჰენრი“, — იყო პასუხი.

კვლავ სამარისებურმა სიჩუმემ დაისადგურა. ისევ ისე იწვა მთლად ღონე-მიხდილი სესილი. ბოლოს მოისმა ჩურჩული:

„არა, მე ბრალი არ მიდევს, რატომ მადანაშაულებ? მიყვარდი, ძვირფასო, მხოლოდ შეველა მინდოდა შენი“.

„შენ მომკალი, — მიუგო მკერდისმიერმა ხმამ. — რობერტს მაინც აცალე. რას ერჩი, შეირთოს ცოლი!“

პაუზა.

„რა საშინელებაა, — ჩაიჩურჩულა ხმამ. — ნუთუ ჰენრის სული მღებს ბრალს“.

„დიახ, მე ბრალს გდებ“.

სესილმა გზა მისცა რისხვას. თანაც ეცინებოდა. ნამდვილად რაღაც უბედურება ტრიალებდა.

იწვა და უსმენდა. სამარისებური სიჩუმე ჩანოდა. თითქოს დრო გაჩერდა. მოშვებული იწვა სხივსუსტი მზის ქვეშ. ცას სიყვითლე შეჰპარვოდა უკვე. სწრაფად ჩაიცვა და პოლინის მდელოსაკენ გაეშურა.

„ბიცოლა პოლინ! გესმით ჭექა-ქუხილი?“

„კი, კი, უკვე შევდივარ სახლში. ნუ დამიცდი“, — უპასუხა სუსტმა ხმამ. სესილი სხვენიდან უთვალთვალებდა ამ საოცარ ქალს. ძველებური ცისფერი აბრეშუმის მოსასხამში გახვეული ბორძიკ-ბორძიკით მიჩანჩალებდა სახლისაკენ.

³ საოცარო ქალო, მშვენიერო, ისე გელოდი ვით მომაცვდავი სიკვდილს, შეებას უნეტარესს, ადამიანის სულისათვის.

ცა მოიქუფრა. სესილმა ნოხები აკრიფა და სახლში შევიდა, პოლინი მაინც არ გამოსულა. შემოთვალა, ჭექა-ქუხილი ცუდად მოქმედებდა ჩემზე. რობერტიც გვიან მოვიდა, თავსხმა წვიმაში მოხვედრილიყო. სესილი გადახურული გასასვლელით დაბრუნდა თავის სახლში, სადილისათვის სუფრას დაეწყო, მოიკაზმა, გულზე თეთრი ყვავილები დაიბნია.

სასტუმრო ოთახს სუსტად ანათებდა მოჩრდილული ნათურა, რობერტი წვიმის ხმაურს აყურადებდა. ისიც აღელვებული ჩანდა. ერთიანად ცახცახებდა. მალე სიზიც შემოვიდა, შემოვიდა თეთრი ყვავილებით დამშვენებული, ცნობისმოყვარედ შეჰყურებდა რობერტი. ახლა სულ სხვა იყო ეს მხერა. ქალი წიგნების თაროს მიუახლოვდა და კართან გაირინდა. რაღაცას ელოდა დაძაბული. შემდეგ ჩუმი შრიალი მოიხმა და ვიღაცამ წყნარად შემოაღო კარი.

ზღურბლზე პოლინი იდგა. შავი მარმაშის კაბა მკაფიოდ აჩენდა მის სპილოსძვლისფერ კანს. შეღებილიყო, მაგრამ განაწამები, სიქაგაცლილი ჩანდა, თითქოს ბებერ ჯადოქრად გადაექცია ცხოვრების ქარცეცხლს.

„ოი, ბიცოლა!“ — შეჰყვირა სესილმა.

„ვაიმე, დედა, რა მოხუცი ყოფილხარ!.. — გაოცდა რობერტი. პატარა ბიჭვით გაოცდა, სიზმარში ეგონა თავი.

„ახლა დაინახე?“ — გესლიანად ჰკითხა პოლინმა.

„ჰო, ახლა. მე კი შეგონა!... — ხმა ნელ-ნელა მიეღია თითქოს, ავმა წინათგრძნობამ შეიპყრო.

მობერებულმა, გაღიზიანებულმა და გულამღვრეულმა პოლინმა კი ესლა მოახერხა:

„აღარ ჩავდივართ ქვემოთ?“

სინათლის სიჭარბეც კი ვერ შეამჩნია, ვერ შეამჩნია ის, რასაც ასე ძალიან უფრთხოდა ადრე. ბორძიკ-ბორძიკით ჩავიდა ქვემოთ.

მაგიდასთან სახეგაქვავებული იჯდა. გაღიზიანებული გამომეტყველება არ შორდებოდა. მართლაც ბებერ ჯადოქარს ჰგავდა, სიზი ხედავდა, რობერტი ისე იყო შეცბუნებული დედის გარეგნობით, რომ სულ ერთიანად შეცვლილიყო.

„როგორ იმგზავრე?“ — წაისისინა პოლინმა.

„ცხადია, წვიმდა“, — იყო პასუხი.

„რა ჭკვიანი ხარ, როგორ მიხვდი?“ — გესლიანად გაიღიმა დედაბერმა. სახე ბოროტმა ღიმილმა მოუქცია.

„ვერ გავიგე, რისი თქმა გინდა?“ — მშვიდად, შემპარავად ჰკითხა რობერტმა.

„რატომ, ყველაფერი გასაგებია“, — ესლა თქვა პოლინმა და გამალებით შეუდგა ჭამას. ისე სწრაფად ნთქავდა საჭმელს, რომ მოსამსახურეს შეეშინდა კიდევ და მორჩა თუ არა, მყისვე ზედა სართულისაკენ ვაემართა. გაეცეცებულნი შეჰყურებდნენ რობერტი და სიზი, თან შეთქმულებს ჰგავდნენ.

„ყავას შენ მიხედე, მე მაგის თავი არა მაქვს. წავედი. ღამე მშვიდობისა“, — მიაყარა პოლინმა და თავის ოთახში შევიდა.

ქვლავ სამარისებურმა სიჩუმემ დაისადგურა. ბოლოს ისევ რობერტმა ამოიღო ხმა:

„მგონი, დედა ვერ არის კარგად. უნდა ვაიძულო, ექიმს გაესინჯოს“.

„ჰო“, — თქვა სესილმა.

საღამომ სიჩუმეში ჩაიარა. რობერტი და სიზი სასტუმრო ოთახში დარჩნენ

და ბუხარში ცეცხლი დაანთეს. გარეთ წვიმდა და ციოდა. ვითომ კითხულობდნენ, სინამდვილეში კი ერთად ყოფნა სურდათ. სწრაფად გაიბნენ, საღამომ, მაგრამ თითქოს ჯერ კიდევ წინ იყო რაღაც ავისმომასწავებელი.

ათი საათი იქნებოდა, უეცრად კარი რომ გაიღო და კისფერ მოსასხამში შეფუთვნილი პოლინი გამოჩნდა. ზურგსუკან კარი მიიხურა. მუხარბი მივიდა. სიძულვილით, აშკარა სიძულვილით შეჰყურებდა ორივეს.

„სჯობს დროზე დაქორწინდეთ.. ასე უფრო ლამაზი იქნება, ო, რა შეყვარებული ქალ-ვაჟია!“

რობერტმა მშვიდად შეხედა:

„მე კი მეგონა, შენ მხარს არ უჭერდა ბიძაშვილების შეუღლებას.“

„არც ვუჭერ, მაგრამ სადაური ბიძაშვილები ხართ! მამაშენი იტალიელი მღვდელი იყო“. პოლინმა კობტა ფაჩურში გამოკვართული ფეხი ქველებური კეკლუცობით მიუშვირა ცეცხლს. მთელი სხეულით ცდილობდა ადრინდელი დიდებული მოძრაობის განმეორებას, მაგრამ ნერვებმა უმტყუნა და სასაცილო კარიკატურას დაემსგავსა.

„მართლა, დედა?“

„მართლა, მაშ რა გეგონა? ის სულ სხვა კაცი იყო, ამიტომაც გახდა ჩემი საყვარელი, აფსუსია, ასეთ კაცს შენისთანა შვილი ჰყოლოდა, მაგრამ რა გაეწყობა, ასეთი ბედი მარგუნა ღმერთმა.“

„რა უბედურებაა ეს ყველაფერი“, — წყნარად თქვა რობერტმა.

„შენთვის? არა, შენ ბედს ნუ უჩივ. ეს ჩემი უბედურებაა“, — კვლავ წაისისინა პოლინმა.

მართლაც საშინელი შესახედავი იყო. თითქოს ლამაზი ვენეციური სურის ნამსხვრევები აეკრიფათ და ყოვლად უგერგილოდ შეეკოწიწებინათ. იგი სწრაფად გავიდა ოთახიდან.

მთელი კვირა იავადმყოფა. ველარ გამომჯობინდა. თითქოს ყოველი ნერვი ცალ-ცალკე ციოდა მის არსებაში. ძილი გაუტყდა და ექიმმა დამამშვიდებელი წამლები გამოუწერა. აბების გარეშე ველარ იძინებდა. ერთთავად ბოლთას სცემდა ოთახში. საშინლად გამოიყურებოდა. სიძულვილითა და რისხვით გააფთრებული, ახალგაზრდებს დასანახავად ველარ იტანდა. როგორც კი თვალს მოჰკრავდა რომელიმეს, მაშინვე ეკითხებოდა: „რას შვრებით? როდის არის ქორწილი? ჯერ არ დაგიჭერიათ თადარიგი?“.

სესილი პირველ ხანებში შეაშფოთა თავისმა ნამოქმედარმა. ქვეცნობიერად გრძნობდა, რომ მისმა ბრალდებამ დააყრევინა პოლინს ფარ-ხმალი, მოკრუნჩხა და სამუდამოდ ჩაკეტა თავის ნაჭუჭში. ეს ყველაფერი შემადრწუნებელი იყო და სიზიკ სინანულმა შეიპყრო. შემდეგ კი თავი დაიმშვიდა: სინამდვილეში მუდამ ეს იყო ამ ქალის სახე. დაე, სიცოცხლის ბოლო დღეები მაინც გაატაროს უნილბოდ.

პოლინს დიდი დღე აღარ ეწერა. ცოდვებით დამძიმებული ნელ-ნელა იწრიტებოდა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ოთახიდან აღარ გამოდიოდა და არც არავის დანახვა სურდა. სარკეებიც კი მოაშორა იქაურობას.

რობერტი და სესილი დიდხანს ისხდნენ ხოლმე ერთად. გააფთრებული პოლინის დაცინვაც კი ველარ აცილებდათ ერთმანეთს — დედაბერს, ეს ბოლო იმედიც გადაუწყვიტეს. სესილი ვერ ბედავდა თავისი ნამოქმედარის აღიარებას რობერტის წინაშე.

„როგორ გგონია, დედაშენს ოდესმე ვინმე უყვარდა?“ — გამომცდელად ჰკითხა ერთხელ დანადვლიანებულმა ქალმა.

რობერტმა თვალი თვალში გაუყარა.

„არავინ, საკუთარი თავის გარდა“.

„საკუთარი თავიც კი არ უყვარდა, — რაღაც სხვა უყვარდა, მაგრამ რა?“ — სიზიმ შეცბუნებით შეხედა რობერტს.

„ძალაუფლება“. — მოკლედ მოუჭრა კაცმა.

„მაინც რას ნიშნავს ძალაუფლება, არ მესმის!“

„სხვისი სიცოცხლით გაძლომას, — გამწარებით წამოიძახა რობერტმა. — ლამაზი იყო და სხვისი სიცოცხლით ძლებოდა. მეც ჰენრისავეთ მი'შრობდა სისხლს, შეეძლო ადამიანისათვის მთელი სიცოცხლე წაემწარებინა“.

„არასოდეს აპატიებ?“

„არასოდეს“.

„საბრალო ბიცოლა პოლინი!“

მაგრამ სიზის სულაც არ ებრალებოდა ეს ქალი, იგი მას თავზარს სცემდა.

„მეცა მაქვს გული, — მგზნებარედ წამოიძახა რობერტმა და ხელიც კი დაიბრაგუნა მკერდზე. — მაგრამ ერთიანად გამოფიტულია. ო, როგორ უყვარს ზოგიერთს სხვისი დამონება“.

სიზის ხმა არ ამოუღია. ან კი რა უნდა ეთქვა?

ორი დღის შემდეგ პოლინი მკვდარი იპოვეს თავის საწოლში, ზედმეტი ვერონალი დაეღია. სიკვდილის შემდეგაც იძია შური ახალგაზრდებზე. რობერტს ათასი ფუნტი უანდერძა, მისი საცოლე ასს დააჯერა. ყოველივე დანარჩენს კი, ძვირფას ანტიკვარულ ნივთებთან ერთად, პოლინ ოტენბოროს მუზეუმი უნდა დაემშვენებინა.



უ ც ხ ო უ რ ი

ი უ მ ო რ ი

მოწვევა

ცნობილი გერმანელი კომიკოსი კარლ ვალენტინი ერთხელ სასამართლოში მოწვევდ გამოდიოდა.

— ბატონო ვალენტინ, სასამართლოს უნდა მოახსენოთ მხოლოდ ის, რაც საკუთარი თვალით ნახეთ და არა ყურმოკრული ამბები. — განუმარტა მოსამართლემ.

მოწვევთ თავი დაუქნია.

— მაშ ასე, როდის დაიბადეთ, ბატონო ვალენტინ?

— მე ეგ გადმოცემით ვიცი, ბატონო მოსამართლე. — აღიარა გულწრფელად მსახიობმა.

მამაკაცთა საუბარი

— ცოლი არ გეხმარება ტანსაცმლის გაწმენდაში?

— როგორ არა, ჭიბეებს სულ ის არ მისუფთავებს ხრლმე?

დახმარება

— როგორ დაქექით ასეთი ნასვამი საჭესთან? — ეკითხება მილიციელი მძღოლს.

— ამხანაგები დამეხმარნენ.

(გაგრძ. 276 გვ.)

უილიამ სოპერსებ მოევი

ლორდი მაუნტდრაგო



მთხრობა

ინგლისურიდან თარგმნა ნინო ჯაფარიძემ

ექიმი ოდლინმა მაგიდის საათს შეხედა. ექვსს ოცი წუთი უკლდა. მისი პაციენტი იგვიანებდა: ეს კი უმაგალითო შემთხვევა იყო, რადგან ლორდ მაუნტდრაგოს სიზუსტე ცხოვრების წესად ჰქონდა ქცეული და ამით დიდად მოჰქონდა თავი. ლორდს ჰკუთსდამრიგებლური, მაღალფარდოვანი ლაპარაკი უყვარდა და გაცვეთილ აზრსაც ისე არ იტყობდა, ღრმააზროვნების შარავანდედით რომ არ შეემოსა. ერთი ამგვარი ღრმააზროვანი გამონათქვამი განსაკუთრებით ჰქონდა ამოჩემებული: სიზუსტეს რომ ვიცავთ, ჰქვია ადამიანს ჩვენს პატივისცემას ვუდასტურებთ, ბრწყინს კი მუნათს ვადებთო. ლორდი მაუნტდრაგო ექვსის ნახევარზე იყო დაბარებული.

ექიმი ოდლინის გარეგნობა არაფრით იქცევდა ყურადღებას. მაღალი, ხმელ-ხმელი კაცი იყო; ვიწრო მხრები ჰქონდა და წელში მოხრილი დადიოდა; გაქალაჩავებული თმა შესამჩნევად შეთხელებოდა; მოგრძო, ავადმყოფურად ყვითელი სახე ღრმა ნაოქებს დაედარა; ორმოცდაათზე მეტის არ იქნებოდა, მაგრამ უფრო ხანდაზმული ჩანდა. მის დიდრონ, წყლისფერ თვალებს დაღლილობა ეტყობოდა; როცა გესაუბრებოდათ, უმაღლესი შეამჩნევდით მათ უმოძრაობას; დაჟინებით შემოგყურებდნენ ეს თვალები, მაგრამ ისე განურჩეველი იყო მათი გამომეტყველება, რომ არავითარ უხერხულობას არ გაგრძნობინებდნენ: იშვიათად თუ აენტებოდნენ, მის ფიქრებსაც არასოდეს ამჟღავნებდნენ. არც მაშინ ეცვლებოდათ გამომეტყველება, როცა ექიმი რაიმეზე ლაპარაკობდა. დაკვირვებული კაცი იმასაც შეამჩნევდა, რომ ექიმი ოდლინი, ბევრი ადამიანისაგან განსხვავებით, ძალზე იშვიათად ახამხამებდა თვალებს. მას ლაღი ხელები და გრძელი, თლილი თითები ჰქონდა. ამ სათუთ ხელებს რაღაც ძალა და სიმტკიცე გააჩნდათ, მათი შეხება კი სასიამოვნო სიგრილეს გავრძნობინებდათ. სანამ ექიმ ოდლინს კარგად არ დააკვირდებოდით, ვერ იტყვოდათ როგორ იყო ჩაცმული. მუქი ფერის ტანისამოსს იცვამდა. ყელზეც მუდამ შავი პალსტუხი ეკეთა. გაცრეცილსა და დანაოქებულ სახეს ტანსაცმელი კიდევ უფრო უფერმკრთალებდა; წყლისფერი თვალებიც უფრო მიმქრალი უჩანდა. იგი ძალზე ავადმყოფი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა.

ექიმი ოდლინი ფსიქოანალიტიკოსი იყო. ასეთი არჩევანი შემთხვევითობამ განაპირობა და იქნებ ამიტომაც თავის საქმეს ერთგვარი უნდობლობით ეკიდებოდა, ომი რომ დაიწყო, სამედიცინო სასწავლებელი ახალი დამთავრებული ჰქონდა და პრაქტიკას სხვადასხვა საავადმყოფოში გადიოდა; მერე სათანადო სამხედრო უწყებას მიმართა, თავისი სამაგისტრო უწყება და მალე საფონგეტში გაგზავნეს. სწორედ მაშინ აღმოაჩინა მისი ფსიქოანალიტიკური ღვაწლი. ღვაწლითმომადგენელი უნარი იყო დაჟილდობებული. მთავარი გოილი, ძლიერი ხელის შეხება ტკივილს უამებდა ავადმყოფს, ხოლო ლაპარაკი — უძლიერესად გაწვალბებულ ადამიანს ხშირად ძილსა ჰგვრიდა. იგი ღიბჯად, აუჩქარებლად, ერთ ხმაზე ლაპარაკობდა. ეს ხმა განსაკუთრებული ელერადობით არ გამოირჩეოდა, მაგრამ მელოდიური, ხავერდოვანი და ძილის მოძგვრელი იყო. „მოდუნდით, ნურაფერზე ფიქრობთ, თქვენ უნდა დაიძინოთ“, — ჩაესმოდა პაციენტს და სიმშვიდე შეუმჩნევლად ისადგურებდა დაუძლურებულ სხეულში, უშფოთველობა დევნიდა საწუხარს, ავადმყოფი ბურანში ეხვეოდა და ძილს ისეთივე შვეება მოჰქონდა მისთვის, როგორც გაზაფხულის ყუეუნა წვიმას მოაქვს ხოლმე ახლად მოხსული მიწისთვის. ექიმი ოდლინი დარწმუნდა, როცა პაციენტს თავისი რბილი, მონოტონური ხმით ელაპარაკებოდა, წყლისფერი, უსიცოცხლო თვალებით შეჰყურებდა და გათანგულ შუბლზე გრძელსა და ძლიერ ხელს უსვამდა, ამით სიმშვიდეს უბრუნებდა მას, ანთავისუფლებდა გაუთავებელი შინაგანი ჭიდილისაგან და უქარვებდა იმათისნაირ პათოლოგიურ შიშს, რის გამოც ავადმყოფს სიცოცხლე სატანჯველად გადაქცეოდა. მისი მკურნალობა ხანდახან სასწაულთმოქმედებას ემსგავსებოდა. ერთ-ერთ პაციენტს, რომელიც ჭურვის აფეთქებისას მიწაში ჩაიმაჩნა და ენა წაერთვა, მეტყველება აღუდგინა. მეორე კი, რომელსაც საპაერო კატასტროფისას დამბლა დაეცა და მოძრაობის უნარი დაკარგა, ფეხზე დააყენა. თვითონაც ვერაფერი გაუგო თავის ძალას. ყველაფერს ეჭვის თვალით უყურებდა და მართალია ამბობენ, ასეთ დროს მთავარია საკუთარი თავის რწმენა გქონდესო, მან მაინც ვერა და ვერ მოიპოვა ეს რწმენა. მხოლოდ ის გასაოცარი შედეგები, რომლებიც ყველაზე ურწმუნო ადამიანსაც კი დააჯერებდა მის სიძლიერეში, ამაულებდა ელიარებიანა, რომ მართლაც გააჩნდა რაღაც უნარი, ბნელით მოცული და იდუმალი, რის მეოხებითაც სასწაულებს ახდენდა, თუმცა ვერც ამ უნარის ათავისთვის მიეკვლია და ვერც სასწაულთმოქმედებისთვის მოენახა რაიმე ახსნა. ომი რომ დამთავრდა, ჯერ ვენაში გაემგზავრა სასწავლებლად, შემდეგ — ციურიხში. მოგვიანებით კი ლონდონში დაბრუნდა, რათა ასე უცნაურად შეძენილი პროფესია გამოეყენებინა. უკვე თხუთმეტი წელი იყო, რაც ექიმი ოდლინი ფსიქოანალიზით მკურნალობდა ადამიანებს. ამ ხნის განმავლობაში საუკეთესო სპეციალისტის სახელიც მოიპოვა. ხალხი მის სასწაულებზე ლაპარაკობდა და, თუმცა მასთან მკურნალობა ძვირი ჯდებოდა, მაინც იმდენი პაციენტი ჰყავდა, რამდენის მიღებასაც აუდიოდა. ექიმმა ოდლინმა იცოდა, რომ მართლაც განსაკუთრებულ შედეგებს მიაღწია: ზოგი თვითმკვლელობას გადაარჩინა, ზოგი — ფსიქიატრიულ საავადმყოფოს, ზოგსაც ისეთი სულიერი ჭრილობა მოუშუშა, რაც მას ადამიანური ცხოვრების საშუალებას არ აძლევდა; ბევრი უიღბლო ქორწინება ბედნიერ შეუღლებად აქცია. პათოლოგიური ინსტინქტების აღმოფხვრით ბევრი დაიხსნა საზარელ ვნებათა ტყვეობიდან. ბევრი სულით ავად-

მყოფი განკურნა და, ყოველივე ამის მიუხედავად, მაინც ფიქრობდა, ექიმბა-
შისგან დიდად არ განესხვავებოდა.

ექიმი ოდლინი ვერაფრით შეეგუა იმ ამბავს, რომ თავისთვისაც სრულიად
გაუგებარი საშუალებით მკურნალობდა ავადმყოფებს. ხოლო ის გარემოება,
რომ ავადმყოფები სრულ ნდობას უცხადებდნენ, მაშინ როცა თვითონ არ სჯე-
როდა საკუთარი თავისა, მასში სინდისის მტანჯველ ვრძნობას იწვევდა. უკვე
იმდენად შეძლებული იყო, რომ აღარ ეძუშავა, ცხოვრება მყინველზე გაუჭირ-
დებოდა, მით უმეტეს ძალზე მომქანცველი სამუშაო ჰქონდა. არაერთხელ და-
აპირა კიდევ ყველაფრისთვის თავი მიენებებინა. ფრთხილად, იუნგისა და მათი
მიმდევრების შრომებს ზედმიწევნით იცნობდა, მაგრამ არც ეს აკმაყოფილებდა.
შინაგანი ხმა კარნახობდა, რომ მთელი მათი თეორიები ოინბაზობა იყო. მკურ-
ნალობის ამოუხსნელი, მაგრამ უტყუარი შედეგები კი მაინც თავისას ღაღადებ-
დნენ. ამ თხუთმეტი წლის მანძილზე ადამიანური ბუნების რანაირი გამოვ-
ლინების მოწმე აღარ გახდა თავის ჩაბნელებულ კაბინეტში ჟიმპლ სტრიტზე.
თავდაპირველად ექიმი ოდლინი გაოცებული ისმენდა ავადმყოფთა აღსარე-
ბებს — ზოგი ხალისით ლაპარაკობდა, ზოგი სირცხვილის ოფლში იწურებოდა,
რალაცას მაღავდა, ბრაზობდა. ახლა კი აღარაფერი უკვირდა, აღარაფერი იყო
მისთვის მოულოდნელი და გამოკვებელი. ახლა უკვე იცოდა, რომ ადამიანები
ცბიერნი, უზომოდ პატივმოყვარენი არიან; ეს და კიდევ ბევრი უარესი რამ
იცოდა მათზე, მაგრამ ისიც ესმოდა, რომ არც განსჯისა და არც დაგმობის უფ-
ლება არ ჰქონდა. წლიდან წლამდე კი, რაც უფრო მეტ შემადრწუნებელ საიდუმ-
ლოს ანდობდნენ, მით უფრო ელუშებოდა შუბლი, უფრო ღრმა ნაოჭებით ელა-
რებოდა სახე და თვალებსაც მეტი დაღლილობა ემჩნეოდა. იშვიათად თუ გაი-
ცინებდა; მაგრამ, ზოგჯერ, დასვენების ჟამს, რაიმე რომანს რომ აიღებდა ხელ-
ში, ყოველთვის ელიმებოდა. ნუთუ ამ რომანების ავტორებს მართლაც ისეთები
ჰგონიათ ადამიანები, როგორც თავიანთ წიგნებში აღწერენ? მათ არც კი იცი-
ან, რამდენად უფრო რთული და მოულოდნელობით აღსავსეა მათი ცმირების
შინაგანი სამყარო; ვერც კი წარმოუდგენიათ, როგორი ურთიერთსაწინააღმდე-
გო თვისებები თანაარსებობენ მათში და როგორი ბნელი ინსტინქტები უწეწა-
ვენ სულს.

ექვსს თხუთმეტი წუთი უკლდა. ექიმ ოდლინს მთელი თავისი სამკურნა-
ლო პრაქტიკის მანძილზე ლორდ მაუნტბარაკოზე უფრო უცნაური სენით შეპ-
ყრობილი ავადმყოფი არა ჰყოლია. ამ სენის უწვეულობას, პირველ ყოვლისა,
თვით პაციენტის პიროვნება განაპირობებდა. ლორდი მაუნტბარაკო უნარიანი
და სახელმოხვეჭილი კაცი იყო. ორმოცი წლისაც არ იქნებოდა, საგარეო საქმე-
თა მინისტრის მოადგილედ რომ დაინიშნა და ახლა, სამიოდე წლის შემდეგ,
მისი პოლიტიკის მომხრეთა რაოდენობა საგრძნობლად ვაზრდილიყო. კონსერ-
ვატორთა პარტიაში ყველაზე ფხიან პოლიტიკოსად აღიარეს. მაგრამ რადგანაც
მამა პერი ჰყავდა, რომლის სიკვდილის შემდეგაც აღარ ექნებოდა თემთა პა-
ლატის წევრობის უფლება, ამიტომ პრემიერ-მინისტრად არავინ აირჩევდა.
ხოლო თუ ჩვენს დემოკრატიულ იდეებით აღჭურვილ დროშიც კი, ლორდთა
პალატის წევრობა ინგლისის პრემიერ-მინისტრისთვის დაუშვებელია, ლორდ
მაუნტბარაკოს იმაში მაინც არაფერი უშლიდა ხელს, რომ კონსერვატორთა
მმართველობის პერიოდში საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ყოფილიყო
და, ამრიგად, თავისი ქვეყნის საგარეო პოლიტიკა წარემართა.

ლორდ მაუნტდრაგოს ბევრი ღირსება ჰქონდა. გამჭრიახ გონებასთან ერთად გასაოცარი შრომის უნარიც გააჩნდა. მაოფლიოს მრავალი ქვეყანა ჰქონდა მოვლილი, თავისუფლად ლაპარაკობდა რამდენიმე ენაზე. ჰაბუკობიდანვე ძალა და მონდომება არ დაიშურა, დიპლომატიაში რომ დახელოვნებულიყო და კეთილსინდისიერად, ზედმიწევნით შეისწავლა სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრება თუ ეკონომიკური ყოფა. გამბედაობით, შორსმჭვრეტელობითა და მტკიცე ხასიათით გამოირჩეოდა. კარგ ორატორად აღიარებდნენ. მისი აზრი ყოველთვის ნათელი, დასაბუთებული და ხშირად გონებაშაბვილურიც იყო. ბუნებას უბადლო მოპაექრის ნიჭით დაეჯილდოებინა და დროული და მოსწრებული პასუხით არაერთი მოკამათე ჰყავდა დამარცხებული. გარეგნობაც წარმოშობისა და მდგომარეობის შესაფერი ჰქონდა: მაღალი, წარმოსადეგი, მართალია, თმა ცოტათი გასცვენოდა, ზედმეტად ზორბაც იყო, მაგრამ ეს თითქოს ხაზს უსვამდა მის უდრეკ ხასიათს და დარბაისლურ იერსაც მატებდა, რაც არცთუ ცუდ სამსახურს უწევდა. სტუდენტობისას მძლეოსნობით იყო გატაცებული, ოქსფორდის ნიჩბოსანთა გუნდშიც ირიცხებოდა და მთელ ინგლისში ერთ-ერთ საუკეთესო მსროლელად ითვლებოდა. ოცდაოთხი წლისამ ცოლად შეირთო თვრამეტი წლის ქალიშვილი, ჰერცოგის ასული, რომელსაც დედა ამერიკელი მილიონერი ჰყავდა. ამრიგად, მის ცოლს მტკიცე სოციალური მდგომარეობაც ჰქონდა და არც სიმდიდრე აკლდა. ამ ქორწინებამ ორი ვაჟი შესძინა. ბოლო რამდენიმე წელიწადი ლორდი და მისი მეუღლე ფარულად ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ, მაგრამ საზოგადოებაში ყოველთვის ერთად იყვნენ, ხალხს თვალს უხვევდნენ თავიანთი ქორწინების მოჩვენებითი კეთილდღეობით; ამასთან, ვინმესთვის მითქმა-მოთქმის საბაბი რომ არ მიეცათ, არც ერთს ცოლქმრული ერთგულებისათვის არ უღალატია. დიახ, ლორდი მაუნტდრაგო იმდენად პატივმოყვარე, იმდენად მუყაითი და, ამავე დროს, ისეთი მხურვალე პატრიოტი გახლდათ, რომ მისი ცთუნება იმგვარი მიწიერი სიამოვნებით, რაც კარიერისტულ წინსვლას შეაფერხებდა, შეუძლებელი იყო. მოკლედ რომ ვთქვათ, მას ბევრი ისეთი თვისება გააჩნდა, რომელთა წყალობით შეეძლო წარჩინება და საყოველთაო პატივისცემა მოეპოვებინა. მაგრამ, სავალალოდ, ბევრი ნაკლიც ჰქონდა.

ლორდი მაუნტდრაგო საშინელი სნობი იყო. ეს ალბათ გასაკვირი არც იქნებოდა, მამამისი პერის ტიტულის პირველი მფლობელი რომ ყოფილიყო მათ საგვარეულოში. სრულიად გასაგებია, როცა გაკეთილშობილებული ვეჭილის, მეწარმის, ანდა არყის გამომხდელის შვილი გაამაყდება ხოლმე ახლად მიღებული წოდებით. გრაფის ტიტული, რომელსაც ლორდი მაუნტდრაგოს წამა მემკვიდრეობით ფლობდა, ჩარლზ II-ის მიერ იყო ნაბოძები, ბარონები კი, მათ გვარში ჯერ კიდევ ვარდების ომის დროიდან იხსენიებოდნენ. სამი ასეული წლის მანძილზე მაუნტდრაგოთა საგვარეულოს მთამიმაველობა ინგლისის უწარჩინებულეს ოჯახებს დაუნათესავდა. მაგრამ ლორდი მაუნტდრაგო ისევე ამაყობდა ჩამომავლობით, როგორც *nouveau riche*-ი ამაყობს ხოლმე ფუტლებით. ყოველთვის ცდილობდა სხვებისთვის თავისი წარმოშობის უპირატესობა ჩაეგონებინა. ზრდილობა და თავაზიანობა არ ავიწყდებოდა იმათთან ურთიერთობისას, ვისაც თავის სწორად თვლიდა. ასეთ დროს აჰ თვისებების წარმოჩინება საჭიროდაც მიაჩნდა. თავისზე დაბლა მდგომ კაცს აგდებულად ეპყრობოდა, მსახურებთან უხეში იყო; მდივნების დამცირება უყვარდა. მისადმი დაქვემდებ-

ბარებულ სახელმწიფო უწყებათა თანამშრომლებს ეწინააღმდეგებოდა მისი და სძულდა იგი. მისი კადნიერება აღმაშფოთებელი იყო. სწამდა, რომ ჰკუთხებოდა ბევრად აღემატებოდა იმ ადამიანთა დიდ უმრავლესობას, ვისთანაც ხაჭმე ან სხვა რაიმე ურთიერთობა აკავშირებდა და მათთან ამ ჰეშმარიტებას ყოველთვის უყოყმანოდ აღნიშნავდა. ადამიანურ სისუსტეთა მიტევება არ შეეძლო, მიაჩნდა, რომ თვითონ მბრძანებლად იყო დაბადებული და უსაზღვროდ უნდა მოქმედებოდა. თუკი ვინმე შეკამათებას გაუბედავდა ან მისი ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიზეზს გამოიკითხავდა, მის ეგოიზმს საზღვარი არ ჰქონდა. რა სამსახურიც არ უნდა გაეწიათ მადლობის ღირსადაც არ ჩავთვლიდათ, რადგან ყველაფერი თავისი ტიტულისა და ჰკუთხის წინაშე გაღებულ აუცილებელ ხარკად მიაჩნდა. არასოდეს თავში აზრად არ მოსვლია, რომ თვითონაც ვალდებული იყო რაიმე გაეკეთებინა სხვებისთვის. ბევრი მტერი ჰყავდა და მათაც სიძულვილს მიაგებდა. ისეთი არავინ ეგულვებოდა, მისი დახმარება, თანაგრძნობა ან სიბრალული რომ ჰქონოდა დამსახურებული. მეგობრები არასოდეს ჰყოლია. სახელმწიფო მესვეურნი არ ენდობოდნენ, ვინაიდან არ სჯეროდათ მისი ერთგულებისა. პარტიის წევრებს არ უყვარდათ, რაკი ასე უღმრთო იყო და ყველას ზევიდან დაჰყურებდა. მაგრამ ყოველივე ამის მიუხედავად, ისეთი აშკარა პატრიოტი იყო, ისეთი ფხიზელი და საღი გონებით გამოირჩეოდა, ისეთი ბრწყინვალე ორგანიზატორული ნიჭით იყო დაჯილდოებული, რომ ძალაუფლებურად უნდა შერიგებოდნენ მის პიროვნებას. ამ შეგუებას ისიც უწყობდა ხელს, რომ თუ გარემოება მოითხოვდა, ლორდ მაუნტბრაგოს ადამიანების მოხიბვლის უნარიც შესწევდა. მათთან, ვისაც თავის სწორად თვლიდა და ვისი გულის მოგებასაც ცდილობდა, — უცხოელ გავლენიან პირთა და წარჩინებულ მანდილოსანთა საზოგადოებაში, — გულლია, გონებაშეზავილი და ენაწყლიანი იყო. ამ დროს გრძნობდით, რომ მასაც ლორდ ჩესტერფილდის მოდგმის სისხლი უღუოლა ძარღვებში. უბრალო ამბავსაც საოცრად ცოცხლად, მოსწრებულად მოგიყვებოდათ და თან არც ბუნებრიობასა და აზრის სიღრმეს მოაკლებდა. გაოცებდათ მისი დიდი განათლება და დახვეწილი გემოვნება. ბოლოს კი მასთან ყოფნა ყველაფერს გერჩივნათ და აღარც ის გახსოვდათ, წინა დღეს რომ უდიერად მოგექცათ და ველარც იმას ითვალისწინებდით, რომ მეორე დღეს შეეძლო ისე ჩაევლო თქვენს გვერდით, ზედაც არ შემოეხედა.

ლორდ მაუნტბრაგოსთვის ადვილი არ ყოფილა ექიმ ოდლინის პაციენტთა რიცხვში მოხვედრა. ექიმთან ლორდის მდივანმა დარეკა და აცნობა, მის ბრწყინვალეობას თქვენი ნახვა სურს და მოხარული იქნება თუ ხვალ, დილის ათ საათზე შინ ეწვევითო. ამაზე ექიმმა ოდლინმა უპასუხა, ლორდ მაუნტბრაგოსთან მისვლას ვერ მოვახერხებ, მაგრამ მზად ვარ იგი ორი დღის შემდეგ, საღამოს ხუთ საათზე, ჩემს კაბინეტში მივიღო. ცოტა ხანში მდივანმა კვლავ დაურეკა და უთხრა, ლორდი მაუნტბრაგო თქვენთან შეხვედრას დაეინებით მოითხოვს საკუთარ სახლში და ნებისმიერ გასამრჯელოზე თანახმააო. ექიმ ოდლინს კვლავ იმის გამეორება დასჭირდა, რომ იგი პაციენტებს მხოლოდ თავის კაბინეტში იღებს და თან სინანულით დასძინა, სანამ ლორდი თვითონ არ მეწვევა ვერაფრით დავეხმარებო. თხუთმეტი წუთის შემდეგ ექიმს პატარა ბარათი გადასცეს. ბარათში ეწერა, რომ ლორდი მაუნტბრაგო მივიდოდა მასთან, მაგრამ არა ორი დღის შემდეგ, არამედ მეორე დღის ხუთ საათზე.

მეორე საღამოს, ზუსტად ხუთ საათზე ლორდი მაუნტბრაგო ექიმთან გა-

მოცხადდა, მაგრამ კაბინეტში შესვლამდე, ზღუბლთან შედგა და ექიმი ოდ-ლინი მოურიდებლად აათვალიერ-ჩაათვალიერა. ექიმი მიხვდა, რომ ლორდი გაათვრებული იყო. იგი დუმდა და პაციენტს უმოძრაო თვალებით მშვიდად შეჰყურებდა. მის წინ ბრგე, ჩასხმული კაცი იდგა, რომელსაც წერილობითი ნაკვთები და ქედმაღლური გამომეტყველება ჰქონდა. ჭალარაშვილმა, შუბლ-თან შეთხელებული თმა შთამბეჭდავ იერს აძლევდა მის ზვიად სახეს. ამ კაცის გამოხედვაში იყო რაღაც მბრძანებლური — მეთვრამეტე საუკუნის ზურბონთა დინასტიის თვითმპყრობელთათვის დამახასიათებელი.

— თქვენი ნახვა ისევე ძნელია, როგორც პრემიერ-მინისტრისა, ექიმო ოდლინი. მე ყოველი წუთი გამოზომილი მაქვს.

— დაბრძანდით, — უთხრა ექიმმა.

ექიმ ოდლინს ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, ვერ შეატყობდით გაიგო-ნა თუ არა ლორდ მაუნტდრაგოს სიტყვები. იგი სამუშაო მაგიდასთან იჯდა. ლორდი მაუნტდრაგო კი ისევ ჯიუტად იდგა ფეხზე და ისედაც მოლუშული სახე უფრო და უფრო ექუფრებოდა.

— ვგონებ, თქვენ იმის შესვენება გჭირდებათ, რომ მე მისი უდიდებუ-ლესობის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვარ, — თქვა მან ყინული-ვით ცივი ხმით.

— დაბრძანდით, გთხოვთ, — გაუმეორა ექიმმა.

ლორდი მაუნტდრაგო ისე შეიჩხა, თითქოს ქუსლებზე შემოტრიალებას და ოთახიდან მედიდური ნაბიჯით გასვლას აპირებდეს, მაგრამ თუ მართლაც ასე ჰქონდა გადაწყვეტილი, ბოლო წუთს, როგორც ჩანს, მაინც გადაიფიქრა და დაჯდა. ექიმმა ოდლინმა დიდი დავთარი გადაშალა, კალმისტარი აიღო და ისე შეუდგა ლორდ მაუნტდრაგოს პასუხების ჩაწერას, ერთხელაც არ აუ-წყევია თავი.

— რამდენი წლისა ხართ?

— ორმოცდაორის.

— მეუღლე თუ გყავთ?

— დიახ.

— რამდენი წელია რაც იქორწინეთ?

— თვრამეტი.

— შვილები გყავთ?

— ორი ვაჟი.

ექიმმა ოდლინმა ამ მოკლედ მოჭრილი პასუხების ჩანიშვნა რომ დაამთავ-რა, სკამის ზურგს მიეყრდნო და პაციენტს შეხვდა. იგი ხმას არ იღებდა, იჯდა და ლორდს წყლისფერი, უმოძრაო თვალებით შეჰყურებდა.

— ჩემთან რისთვის მობრძანდით? — იკითხა მან ბოლოს.

— თქვენზე ბევრი მსმენია. ლედი კანუტი ხომ თქვენი პაციენტია. რო-გორც თვითონ ამბობს, მისთვის დიდი დახმარება გაგიწევიათ.

ექიმი ოდლინი დუმდა. იგი ლორდს თვალს არ აცილებდა, მაგრამ იმდენად განურჩეველი გამომეტყველება ჰქონდა სახეზე აღბეჭდილი, გეგონებოდათ ვერც კი ხედავსო მას.

— მე სასწაულებს არ ვახდენ, — თქვა მან ბოლოს და თვალებში ძლივს შესამჩნევმა ღიმილის ნაპერწკალმა გაუელვა. — ექიმთა სამეფო კოლეჯი ამას არ მომიწონებდა.

ლორდ მაუნტდრაგოს ჩაეცინა. ექიმის სიტყვებმა მისი მტრული კანწყობა თითქოს შეასუსტა. მან უფრო მშვიდობიანად განაგრძო ლაპარაკი.

— დიდადა გაქვთ სახელი განთქმული. ეტყობა, ხალხს სჯერა თქვენი.

— ჩემთან რისთვის მობრძანდით? — გაუმეორა შეკითხვა ექიმმა ოდლინმა.

ამჯერად ლორდ მაუნტდრაგოს გაჩუმების ჯერი დადგა. ექიმის ბასუხის მძებნა უჭირსო. ექიმი ოდლინი მოთმინებით ელოდა. ბოლოს ლორდმა იქნა, ლორდმა თავს ძალა დაატანა და დაიწყო.

— ჯანმრთელობას არ ვუჩივი. ამ ცოტა ხნის წინ ჩემმა პირადმა ექიმმა სერ ოგუსტეს ფიცპერბერტმა რომ გამსინჯა, უთუოდ გაგონილი გექნებათ ამ ექიმის სახელი, მითხრა, ოცდაათ წელზე მეტს არავინ მოგცემთო. თავდაუზოგავად ვმუშაობ, მაგრამ დაღლილობა არასოდეს მიგრძნია. პირიქით, ჩემი საქმე სიამოვნებას მანიჭებს. ძალიან ცოტას ვეწევი, სმითაც ძალზე ზომიერად ვსვამ; საკმარისად ბევრს ვვარჯიშობ და არც უსარგებლო და ზედმეტი გართობით ვიტვირთავ თავს. ერთი სიტყვით, სრულიად ჯანმრთელი, ნორმალური, სალსალამათი ადამიანი ვარ. ჩემს აქ მოსვლას ალბათ, ბავშვურ და სულელურ საქციელად ჩათვლით.

ექიმმა ოდლინმა დაინახა, რომ მისი ჩარევა საჭირო იყო.

— არც კი ვიცი, რით შემძლია დაგეხმაროთ. ყოველ შემთხვევაში ვნახოთ. ნერვიულობას ხომ არ უჩივით?

ლორდ მაუნტდრაგოს სახე მოედუნა.

— ძალიან მნიშვნელოვანი საქმე მაკისრია. სრულიად ადვილი შესაძლებელია, რომ ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობა და თვით მთელი მსოფლიოს მშვიდობაც ჩემს მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებებმა განსაზღვრონ. ყოველი წინადადება, ყოველი აზრი აუმღვრეველი გონებით განსჯილი და აწონ-დაწონილი უნდა მქონდეს. ამიტომ საკუთარ მოვალეობად მიმაჩნია აღმოვფხვრა ჩემში მღელვარების ყოველნაირი მიზეზი, რაც კი ჩემი მუშაობისთვის და, ამრიგად, საქმისთვისაც ხელის შემშლელი იქნება.

მთელი ამ ხნის განმავლობაში ექიმ ოდლინს თვალი არ მოუცილებია ლორდისათვის. იგი ხედავდა, რომ ლორდის ზაზგასმულად მედიდური თავდაჯერებულობისა და კადნიერი სიამაყის მიღმა მტანჯველ შიშსა და სასოწარკვეთას დაესადგურებინა, რაც მას ვერასგზით დაეძლია.

— გამოცდილებით ვიცი, გულახდილი ლაპარაკი ექიმის ჩაბნელებულ კაბინეტში უფრო ადვილია, ვიდრე სახლის ჩვეულ გარემოში. სწორედ ამიტომ მოგიყვანეთ აქ.

— მართლაც რომ ჩაბნელებულია აქაურობა, — თქვა ლორდმა მაუნტდრაგომ გესლიანად და გაჩუმდა.

ექიმი ოდლინისთვის ნათელი იყო, რომ ეს თავის თავში საოცრად დაჯერებული კაცი, რომელსაც ისეთი სხარტი და მახვილი გონება ჰქონდა, რომ არასოდეს იბნეოდა, ახლა საგონებელში ჩავარდნილი, შემცბარი იჯდა და არ იცოდა რა ექნა. ექიმისთვის რაღაც ეჩვენებინა, სრულიად თავისუფლად ეგრძნობ თავსო, ლორდმა მაუნტდრაგომ გაღიმება სცადა, მაგრამ თვალებმა მისი მღელვარება განსცა. როცა ლაპარაკი განაგრძო, მის ხმას არაბუნებრივი გულითადობა დაეტყო.

— ძალიან მიჭირს ამგვარი წვრილმანებით თქვენი შეწუხება. ბოლოს

ალბათ მეტყვით, სისულელეებს თავი დაანებეთ და ტყუილუბრალოდ ნუ მკარგვინებთ ძვირფას დროსო.

— ის, რაც თქვენ წვრილმანი და უმნიშვნელო გგონიათ, შესაძლოა ღრმად ჩამალულ ფსიქიურ აშლილობაზე მაუთითებდეს. ამგვარად ჩემი დრო მთლიანად თქვენს განკარგულებაშია.

ექიმი ოდლინის დაბალი, დახშული ხმა თითქოს შიშისმომცველ მოსმობდა. ეს მონოტონური ხმა უცნაურ დამაწყნარებელ ზეგავლენას ახდენდა. ლორდმა მაუნტდრაგომ საბოლოოდ გულწრფელობა ამჯობინა.

— საქმე ის არის, რომ ამ ბოლო დროს ძალიან შემაწუხებელ სიზმრებს ვხედავ. ვიცი, ამაზე ყურადღების მიქცევა სისულელეა, მაგრამ გულახდილად რომ გითხრათ, ეს სიზმრები უკვე ძალიან მოქმედებს ჩემზე.

— რომელიმე მათგანს ხომ არ მომიყვებოდით?

ლორდი მაუნტდრაგო შეეცადა უზრუნველად გაეღიმა, მაგრამ ნაცვლად ამისა მწარე ღიმილი გამოეხატა სახეზე.

— იმდენად იდიოტური სიზმრებია, რომ მიჭირს კიდევაც მათი მოყოლა.

— ეგ ნუ შეგაწუხებთ.

— პირველი სიზმარი დაახლოებით ერთი თვის წინათ ვნახე. მესიზმრა, ვითომ, კონემარებთან ვარ დარბაზობაზე. ოფიციალური მიღებაა, მეფეს და დედოფალს ელიან და, რა თქმა უნდა, ყველა საზეიმოდ გამოწყობილა, ყველა წარჩინების ნიშნებით შემკული მოსულა. მეც ჩემი ბაფთა და ვარსკვლავი მიკეთია. პალტოს დასაკიდებლად გასახდელ ოთახში რომ შევედი, პარლამენტის უელსელი წევრი ოუენ გრიფითსი არ შემომეფეთა? სიმართლე გითხრათ, სრულიად არ მოველოდი, ამ კაცუნას ამგვარ თავყრილობაზე თუ ვნახავდი. ძალზე მდაბიო ვინმეა. ჩემთვის კიდევ გავიფიქრე: ლიდია კონემარს მართლაცდა ძალიან შეუტოპავს, ვნახოთ ამის შემდეგ ვიღას მოიპატიჟებს-მეთქი. მომეჩვენა, რომ გრიფითსმა ცნობისმოყვარე თვალი შემავლო, მაგრამ ზედაც არ შევხედე ამ გაუთლელ კაცუნას, გვერდზე ისე ჩავუარე, თითქოს იქ არც ყოფილიყო და კიბეს ავუყუვი. თქვენ ალბათ კონემარებთან არასოდეს ყოფილხართ?

— არა.

— ჰმ, მათთან თქვენი სტუმრობა მართლაც ძნელი წარმოსადგენია. ერთობ უგვანი ხალხია. მათ სახლს მარმარილოს მშვენიერი კიბე აქვს. კონემარები ამ კიბის თავში დგანან და სტუმრებს ზედებიან. ხელი რომ ჩამოვართვი, ლედი კონემარმა გაკვირვებულმა შემომხედა და ჩაიქირჩილა. მისი ქირჩილისთვის ყურადღება არ მიმიქცევია. ლედი კონემარი ერთი ტუტრუცანა, მატრაკვეცა ქალია და მისი მანერები არაფრით განსხვავდება მისივე წინაპარი ქალის მანერებისაგან, რომელსაც მეფე ჩარლზ II-მ ჰერცოგის ტიტული უბოძა. მისაღები დარბაზები კონემარებს მართლაც რომ დიდებული აქვთ. მე დარბაზიდან დარბაზში გავდიოდი, ნაცნობებს ვესალმებოდი, ხელს ვართმევდი. ამ დროს თვალი მოვკარი გერმანელ ელჩს, რომელიც ავსტრიელ ერცჰერცოგს ელაპარაკებოდა. მე სწორედ მასთან მქონდა საქმე; მივედი და ერცჰერცოგს ხელი გავუწოდე. მას კი ჩემი დანახვისთანავე ხარხარი აუტყდა. საშინლად შეურაცხყოფილი დავრჩი. ერცჰერცოგს პრისხანედ ავხედ-დავხედე, მაგრამ მას თავის შეკავება არც უცდია, პირიქით, სიცილს უმატა. ის იყო დავაპირე მისთვის საკადრისი პასუხი გამეცა, რომ დარბაზში უეცარი სიჩუმე ჩამოვარდა. მივხვდი, რომ მეფე და დედოფალი მოვიდნენ. ერცჰერცოგს ზურგი შევაქციე, წინ რამდენიმე ნაბიჯი

გადავდგი და უცებ ელდა მეცა — მაშინლა შევამჩნიე, რომ შარვალი არ მეცვა. აბრეშუმის ქვედა საცვლისა და შარვლის ალისფერი სამაგრების ამარა მივსულვარ დარბაზობაზე. მაშინ კი მივხვდი, რატომ გირჩილებდა ლედი კონემარი, რატომაც ხარხარებდა ერცპერცოგი! აუტანელი იყო ის წუთები ჩემთვის. სირცხვილისაგან სული შემეხუთა; რომ გამომეღვიძა, ცევ ოთღში ვიყავი გაღვრილი და, ვერ წარმოიდგენთ, რა შვება ვიგრძენი, როცა დავერწმუნდი, რომ ყველაფერი მხოლოდ სიზმარი იყო.

— ასეთი სიზმრები არცთუ იშვიათი და უჩვეულოა, — თქვა ექიმმა ოდლინმა.

— ალბათ, მაგრამ იმას, რაც მეორე დღეს შემემთხვა, ჩვეულებრივს ველარ დაარქმევ. მეორე დღეს თემთა პალატის დერეფანში ვიდექი. იმ ვიგინდარა გრიფითსმა ნელა რომ ჩამიარა გვერდზე: ჯერ საგულდაგულოდ ფეხებზე დამხედა, მერე ჯიქურ შემომხედა და, თითქმის დარწმუნებული ვარ, თვალიც კი ჩამიკრა. სულელურმა აზრმა გამიელვა თავში — წუხელ გრიფითსი ჩემი გამასხარავების მოწმე გახდა, ახლა კი იმ სეირის გახსენებით თავს იქცევს-მეთქი. მაგრამ, რა თქმა უნდა, მსგავსი რამ შეუძლებელი იყო. ყოველივე ეს ხომ სიზმარში ვნახე. გრიფითას გამჭოლი შხერა შევაღლე. იგი მაშინვე გამშორდა, მაგრამ თან უშნოდ ეციხებოდა.

ლორდმა მაუნტდრაგომ ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და ხელის გულები გაიმშრალა. იგი უკვე აღარ ცდილობდა მღელვარების დაფარვას. ექიმი ოდლინი ისევ დაჟინებით შეჰყურებდა და თვალს არ აცილებდა.

— ამის შემდეგ რა გესიზმრათ?

— რადა, მეორე ღამეს კიდევ უფრო უთავბოლო და უაზრო სიზმარი ვნახე. ვითომ პალატაში ვარ და დებატს ვესწრები. საგარეო საკითხების განხილვა მიმდინარეობს. ამ საკითხებით არა მარტო ჩვენი ქვეყანა, არამედ მთელი მსოფლიოა დაინტერესებული და შეფიქრიანებული. პარლამენტმა ცვლილებები უნდა შეიტანოს საგარეო პოლიტიკაში, რაც არსებით გავლენას იქონიებს იმპერიის შემდგომ ბედზე. ყველასათვის ნათელია, რომ ამ მოვლენას ისტორიული მნიშვნელობა ექნება. პალატა, რა თქმა უნდა, გაჭედილია. დებატს ყველა ქვეყნის ელჩი ესწრება. ქანდარაზე ხალხის ტევა აღარ არის. დასკვნითი სიტყვა, რომელიც მე უნდა მეთქვა, წინასწარვე კარგად მქონდა მოფიქრებული. ჩემნაირ კაცს ბევრი მტერი ჰყავს. მე ჩემს მდგომარეობასა და თანამდებობას იმ ასაკში მივალწიე, როცა ყველაზე გამჭრიახებიც კი იძულებულნი არიან ორკოფულ პირობებს დასჯერდნენ. ბევრს ჩემი ამგვარი წარმატება ვერ მოუწონებია. ამიტომ ჩემი სიტყვა იმ ისტორიული მოვლენის ბადალიც უნდა ყოფილიყო და, ამავე დროს, ამ გამოსვლით მოშურნეებისათვის პირში ბურთი უნდა ჩამეჩარა. იმის გაფიქრებაც კი, რომ მთელი ქვეყნიერების ბედ-იღბალს ჩემი ერთი სიტყვა წყვეტდა, ეინს მმატებდა და მოქმედებისაკენ მიბიძგებდა. პალატაში დებატებს თუ დასწრებიხართ. გეცოდინებათ როგორ ყაყანებენ პალატის წევრები, როგორ აშრიანებენ ქაღალდებს და წამდაუწუმ ფურცლავენ თავიანთ მოხსენებებს, მაგრამ, როგორც კი ლაპარაკი დავიწყე, დარბაზში მაშინვე სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. უეცრად ერთ-ერთ მერხზე იმ საძულველ კაცუნას, იმ ხეპრეს — უელსელ წევრს, გრიფითსს მოვკარი თვალი! იჯდა და ენას მიყოფდა. არ ვიცი, მოგისმენიათ თუ არა ერთი უხამსი სიმღერა „ველოსიპედი ორისათვის“, რომელიც ერთი ხანობა ვოდვეილის თეატრში

სრულდებოდა. კარგა ხნის წინათ ეს სიმღერა ძალიან პოპულარული იყო. გრიფითსი რომ აბუჩად ამეგდო და მისადმი ზიზღი გამოემჩნა, ეს სიმღერა წამოვიწყო. პირველი სტროფი რომ ჩავათავე, დარბაზს განცვიფრებამ ტალღასავით გადაუარა, მერე კი მოპირდაპირე მერხებიდან აყვირდნენ: „კარგია, კარგი, მიდი!“ მე წამქეზებლებს სიჩუმისკენ მოვუწოდე და მეორე სტროფი ვიმღერე. მთელი პალატა სულგანაბული მისმენდა, მაგრამ გუმანიტ ვერცხვადი, რაღაც არ მოსწონდათ. ბრაზი მომივიდა — სასიამოვნო ბარიტონი მქვეყნდა ვითომ რაო, რატომ უნდა დაიწუნონ ჩემი სიმღერა? მესამე სტროფზე რომ გადავედი, პალატის წევრებს სიცილი წასკდათ. სიცილი ერთბაშად მთელ დარბაზს მოედო. ელჩები, წარჩინებული უცხოელები და მანდილოსნები, რეპორტიორები სიცილისაგან თახთახებდნენ, ბოაოდნენ, მუცლები ხელით ეჭირათ, ერთმანეთს აწყუდებოდნენ. ყველა, განურჩევლად ყველა იცინოდა, მინისტრების გარდა, რომლებიც ჩემს უკან პირველ მერხზე ისხდნენ. იმ წარმოუდგენელი, იმ დაუჯერებელი ღრიანცელისა და აურზაურის დროს ისინი გაქვავებული სახეებით შემომყურებდნენ. ერთი გავხედე მათ და უცებ გონს მოვეგე. საჩარელი სიცხადით შევიგრძენი, რაც ჩავიძინე — საქვეყნოდ გავიმასხრე თავი. მივხვდი, რომ ჩემთვის ყველაფერი დამთავრდა. ამ დროს გამომეღვიძა კიდევ ყოველივე ისევ სიზმარი იყო.

სიზმრის მოყოლა რომ დაასრულა, ლორდ მაუნტდრაგოს ამპარტავნობისა და კადნიერებისაგან აღარაფერი დარჩენილიყო. ახლა იგი გაფითრებული და აკანკალებული იჯდა. ბოლოს მაინც მოიკრიბა ძალა, თავს დაეუფლა და მოცახცახე ტუჩებით გაღიმებაც კი სცადა.

— ისე დაუჯერებელი და ფანტასტიკური იყო ჩემი სიზმარი, რომ მეორე დღეს მხოლოდ გამეცნა მის გახსენებაზე. როცა ნაშუადღევს პალატაში მივედი, წინალამინდელი სიზმარი აღარც კი მახსოვდა. ღა თავს მშვენიერად ვგრძნობდი. დებატი ძალიან უინტერესოდ მიმდინარეობდა, მაგრამ ჩემი დასწრება აუცილებელი იყო და დრო რომ ტყუილად არ დამეკარგა, საბუთების კითხვა დავიწყე; საქმე მოითხოვდა მათ სასწრაფო გაცნობას. ცოტა ხანში რატომღაც თავი ავწიე და დავინახე, რომ გრიფითსი ლაპარაკობდა. მას მკვეთარი ულსური კილო ექვს. მისი გარეგნობა კი მისსავე წინააღმდეგ განგაწყობთ; ძნელი წარმოსადგენია გრიფითსს რაიმე ჭკვიანური ეთქვა; მის მოსასმენად დროის დაკარგვა არ ღირდა, და ის იყო ისევ ჩემს საბუთებს უნდა მივბრუნებოდი, რომ უეცრად მან ორი სტრიქონი წარმოთქვა სიმღერიდან „ველოსიპედი ორისათვის“. უნებურად მისკენ გავიხედე — დამცინავი თვალებით, აგდებულიად მომჩერებოდა მხრები ავიჩეჩე. განა სასაცილო არ იყო ამ საცოდავი უელსელი კაცუნასაგან ასეთი შემოხედვა? ისე, მეტად უცნაურ დამთხვევად კი მეჩვენა, რომ გრიფითსმა ეს ორი სტრიქონი სწორედ იმ ავბედითი სიმღერიდან წარმოსთქვა, რომელიც სიზმარში თავიდან ბოლომდე ვიმღერე. ისევ ჩემი საბუთების კითხვა განვაგრძე. მაგრამ არ დაგიმაღავთ, ძალიან გამიჭირდა მათზე ყურადღების შეჩერება. ამ ამბავმა საგონებელში ჩამაგდო. გრიფითსი ჩემს პირველ სიზმარშიაც მონაწილეობდა, მერე კი სრულიად გარკვევით მაგრძნობინა, რომ კარგად იცოდა, რა უბადრუკ მდგომარეობაშიც აღმოვჩნდი კონემარებთან. ნუთუ შეიძლებოდა, რომ გრიფითსის მიერ ცოტა ხნის წინ წარმოთქმული ის ორი სტრიქონი მხოლოდ უბრალო დამთხვევა ყოფილიყო? ისიც კი გავიფიქრე — იქნებ იგი სულაც იმავე სიზმრებს ხედავს, რასაც

მე ვხედავ-მეთქი ყოველ ღამეს? მაგრამ ეს უკვე სრული უაზრობა იყო და მტკიცედ გადაწყვიტე, ამაზე აღარ მეფიქრა.

კაბინეტში სიჩუმე ჩამოვარდა. ექიმმა და პაციენტმა ერთმანეთს შეხედეს, არც ერთს ხმა არ ამოუღია.

— სხვისი სიზმრების მოსმენა ნამდვილად მოსაბეზრებელია, ერთი ხანობა ჩემი მეუღლე ხედავდა სიზმრებს და მისგან მოსვენება მქონდა დაკარგული — მეორე დღეს ვიდრე დაწვრილებით არ მოპიყვებოდა, არ მომეშვებოდა, პირდაპირ სიგიჟემდე მიყვავდი.

ექიმ ოდლინს ოდნავ შესამჩნევად გაეღიმა.

— მე სრულიადაც არ მომბეზრებია თქვენი მოსმენა.

— ერთ სიზმარს კიდევ მოგიყვებით. ამ რამდენიმე დღის წინ მესიზმრა, ვითომ ლაიმჰაუსზე ლუდხანაში შევედი. ამ რაიონში არასოდეს ვყოფილვარ, ლუდხანებისკენ კი ოქსფორდული წლების შემდეგ აღარც გამიზღიდა. მაგრამ მაინც ისე ნათლად ვხედავდი ქუჩასაც და ლუდხანასაც, თითქოს იქაურობის ხშირი სტუმარი ვყოფილიყავი. რომელიღაც ოთახში მოვხვდი. არ ვიცი, ასეთ ოთახს რა ჰქვია — სალონ-ბარი თუ ბარი — ინტიმური შეხვედრებისათვის. ოთახის ერთ კუთხეში, ბუხართან, დიდი ტყავგადაკრული სავარძელი იდგა, მეორე კუთხეში კი — პატარა, დაბალი დივანი. ბარი ოთახს მთელ სივრცეზე გასდევდა. იქიდან საერთო ბარში გახედვაც შეიძლებოდა. კართან ახლოს მრგვალი, მარმარილოს ზედაპირიანი მაგიდა იდგა. მაგიდისთვის ორი სავარძელი მიედგათ. შაბათი ღამე იყო და იქაურობა ხალხით იყო სავსე. გაჩახახებულ ლუდხანაში თამბაქოს ისეთი სქელი კვამლი იდგა, რომ შესვლისას თვალები ამეწვა. ავარასავით მეცვა — თავზე კეპი მესურა და ყელზე ცხვირსახოცი მქონდა გამონასკვული. ლუდხანაში თითქმის ყველა კარგა გვარიანად შემთვრალიყო. ამ ამბავმა რატომღაც გამამხიარულა. ბუხრის წინ დიდი ქალი გრამოფონისა თუ რადიოს ხმაზე ალქაჯით ცეკვავდა. მათ გარშემო პატარა ჯგუფი შეგროვილიყო; ყველა იცინოდა, მღეროდა და შეძახილებით აქეზებდა მოცეკვავეებს. უკეთ რომ დამენახა რა ხდებოდა, იმ ჯგუფს მივუახლოვდი. ამ დროს ვიღაც კაცი მომიბრუნდა და მეკითხება: „დალევაზე როგორა ხარ, ბილ?“ მაგიდაზე დაწყობილ ჭიქებში მუქი ფერის სითხე ესხა. ამ სასმელს ყავისფერ ეილს უნდა ეძახდნენ. იმ კაცმა ჭიქა გამომიწოდა. არ მინდოდა ვინმეს ყურადღება მიმექცია, ამიტომ ჭიქა გამოვართვი და გამოვცალე. ერთ-ერთმა მოცეკვავე ქალმა ცეკვას თავი აწება და ჩემს ჭიქას წააგლო ხელი: „ე, რა კარგია? — თქვა მან. — ჩემი ლუდი მრიყულე და წრუპავ არა?“ „ო, პატივით, — ვუპასუხე, — არა, ამ ჯენტლმენმა შემომთავაზა და მეც ვიფიქრე, ლუდი მისი იყო.“ „ეგ არაფერი, ძმობილო, — მითხრა ქალმა, — მერე რა მოხდა! წამო, ახლა ერთად ვიცეკვოთ.“ სანამ უარის თქმას მოვასწრებდი, ხელი ჩამავლო და საცეკვაოდ გამათრია. ცოტა ხანში სავარძელში აღმოვჩნდი; ის ქალიც მუხლებზე მეჭდა და ერთი ჭიქით ვსვამდით ლუდს.

უნდა გითხრათ, რომ სექსს თითქმის არავითარ მნიშვნელობას არ ვანიჭებ. ცოლი ახალგაზრდამ შევირთე, არა მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემი მდგომარეობის კაცისათვის სასურველი იყო ოჯახის შექმნა, არამედ იმიტომაც, რომ ამ ადრეული ქორწინებით ერთხელ და საბოლოოდ გადამეწყვიტა ეს საკითხი. თავიდანვე მინდოდა ორი ვაჟი მყოლოდა და, როცა მეორე ვაჟიც შემეძინა, სექსის საკითხით აღარ დავინტერესებულვარ. ასეთი რამეებისთვის არასოდეს მეცალა

და კიდევაც რომ მომენახა დრო, როცა ადამიანი ჩემსავით გამუდმებით ყურადღების ცენტრშია, ნამდვილი სიგიჟე იქნებოდა ისეთი ნაბიჯის გადადგმა, რაც შესაძლოა, შემდეგ სასკანდალო გამხდარიყო. პოლიტიკოსის ყველაზე დიდი სიმდიდრე მისი უმწიკვლო სახელია და ეს პირველ რიგში უნდა დავიცვათ. არაფრად მიმაჩნია ისეთი მამაკაცები, რომლებიც თავიანთი კარიერას ქალების გამო ღუპავენ. მძაგს ასეთი ხალხი.

მუხლებზე გამომთვრალი ქალი მეჯდა. მას არც მომხიზვლელი გარეგნობა ჰქონდა და არც ახალგაზრდა იყო. ეს თმაგაწეწილი, ჩასუჭებუი და გადაბერებული მეძავი დედაკაცი ჩემს არსებაში საშინელ ზიზღის გრძნობას იწვევდა: და თუმცა პირი ლუდის სუნით უყარდა, კბილებიც ჩამბალი ჰქონდა, და მეც საკუთარი თავი მძულდა, მაინც როცა მაკოცა და მისი ტუჩების სიმხურვალე ვიგრძენი, მთელი არსებით, სიგიჟენდვ მომინდა ამ ქალს დავუფლებოდი. უცებ ვიღაცის ხმა შემომესმა: „ყოჩაღ, შე ძველო, კარგ დროს ატარებ!“ ზევით ავიზედვ და ოუენ გრიფითსი შემრჩა ხელში. სკამიდან წამოხტომა ვცადვ, მაგრამ იმ საზარელმა ქალმა არ გამიშვა: „რა ყურადღებას აქცევ, არამკითხეა, ვიღაცაა“, — მითხრა მან. „მიდი, მიდი! — დამძახა ამ დროს გრიფითსმა, — მოლის კარგად ვიცნობ, ფული რამდენიც არ უნდა მისცე, ალაღია მაგაზე“. იმან კი არ გამაგულისა, გრიფითსმა ასეთ ტუტუტურ მდგომარეობაში რომ წამასწრო, მისი მიმართვის ფორმამ გამაშმაგა — „შე ძველო“. ქალს ხელი ვკარი, ფეხზე წამოვევარდი და გრიფითს გადავუდექი. მე თქვენ არ გიცნობთ და არც მინდა გიცნობდეთ-მეთქი, ვუთხარი. „მე კი ძალიან კარგად გიცნობ, — მიპასუხა, — მოლი, გირჩევ თვალი კარგად გეჭიროს მაგ კაცზე, თორემ გაგაცურებს, ფულს არ გადაგიხდის, ისე აგეთესება“. ჩემს გვერდით, მაგიდაზე ლუდის ბოთლი იდგა. იმ ბოთლს წავავლე ხელი და, რაც ძალი და ღონე მქონდა, გრიფითსს ვხეტქე თავში. ხელის გამეტებულმა მოქნევამ გამომალვიდა.

— თქვენს სიზმარში არაფერია გაუგებარი, — თქვა ექიმმა ოდლინმა, — ეს შუურისძიების გრძნობაა, რომელიც უდანაშაულო ადამიანებს ეუფლებათ ხოლმე.

— ჰმ, ეს სიზმარი მტკნარი სისულელეა და არა მგონია, თქვენს ახსნას საჭიროებდეს. მეორე დღეს მომხდარი ამბავი რომ არა, მას არც ვიამბობდით. რაღაც მქონდა სასწრაფო გასარკვევი და პალატის ბიბლიოთეკაში შევედი; ჩემთვის საჭირო წიგნი ავიღე და კითხვა დავიწყე. დაჯდომისას ვერ შევამჩნიე, რომ გრიფითსი იქვე იჯდა. ცოტა ხნის შემდეგ ბიბლიოთეკაში ლეიბორისტთა პარტიის რომელიღაც წევრი შემოვიდა, გრიფითსთან შავიდა და გამოელაპარაკა. „ჰელოუ, ოუენ, — მიესალმა იგი, — დღეს რაღაც ძალიან შეფერთხილი მეჩვენები“, „ისე მტკივა თავი, — უპასუხა გრიფითსმა, — თითქოს თავში ბოთლი ჩამცხეს“.

შიშისაგან ლორდ მაუნტდრაგოს ადამიანის ფერი აღარ ედო სახეზე.

— მაშინ კი ვირწმუნე, ცოტა ხნის წინათ აბსურდული რომ მეჩვენა და უარყავი, ის აზრი სრული ჭეშმარიტება ყოფილა-მეთქი. საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ გრიფითსი და მე ერთსა და იმავე სიზმრებს ვხედავდით და გამოღვიძებისას მასაც ჩემსავით ზედმიწევნით ახსოვდა ყველაფერი.

— იქნებ ესეც უბრალო დამთხვევა იყო?

— გრიფითსი ბოლმითა და აღშფოთებით აღსავსე თვალებით მიმხერდა და თავისი მეგობრის კი არა, ჩემს გასაგონად ამბობდა იმ სიტყვებს.

სიზმარი მოგიყვებით, სამივე მონაგონია დანარჩენ სიზმრებთან. ამ კაცის თვალწინ იმდენი პირუტყვული, შემზარავი, სამარცხვინო რამ ჩამიდგნია, რომ ცოცხალი თავით არავის მოვუყვები. მას კი ყველაფერი ახსოვს. აღარ ვიცი, სად გავექცე მის დამცინავ, ზიზლით სავსე თვალებს. საჯარო გამოსვლაზე ვეღარ გამბედავს, რადგან ვიცი, რომ რაც არ უნდა ვთქვა, [ტყუილად] ჩმახვად მოეჩვენება. მის თვალწინ ბევრი ისეთი უმსგავსობა ჩამიდგნია, არც ერთი თავმოყვარე კაცი რომ არ ჩაიდგნა; უმსგავსობა, რისთვისაც ადამიანებს საზოგადოება თავის წრიდან აძევებს და დიდი ხნით ციხეში ამწყვდევს. მას ჩემი უშვერი გინება მოუსმენია, გაპამპულავებულიც კუნახივარ და ამაზრზენ მდგომარეობაში მყოფიც. იგი არაფრად მაგდებს და აღარც ცდილობს ამის დამალვას. იცოდეთ, ექიმო, თუ ვერაფრით დამეხმარებით, უეჭველად ან თავს მოვიკლავ, ან იმას მოვკლავ.

— იმის მოკვლას არ გირჩევდით, — თქვა ექიმმა ოდლინმა აუღელვებლად, მისთვის დამახასიათებელი სიმშვიდის მომგვრელი ხმით, — ჩვენს ქვეყანაში თანამოქმის მკვლელობას მაინცდამაინც სახარბიელო შედეგები არ მოჰყვება ხოლმე.

— თქვენ თუ გგონიათ მკვლელობას ისე ჩავიდნენ, რომ ჩამოსახრჩობად გამიხდეს საქმე, ძალიან ცდებით. ვინ გაიგებს, რომ გრიფითსი მე მოვკალი? ჩემმა სიზმარმა მიმახვედრა, როგორც უნდა მოვიქცე. ხომ გითხარი, გრიფითსს თავში ბოთლი რომ ჩავარტყი, მეორე დღეს ისე სტკიოდა თავი, თვალთ უბნელდებოდა-მეთქი. ჩემი ყურით გავიგონე ამას რომ ამბობდა. ესე იგი, გრიფითსი ცხადშიაც გრძნობს იმ ფიზიკურ ტკივილს, რაც სიზმარში მიაყენეს. არ გეგონოთ, შემდეგისთვისაც ბოთლის დარტყმას დაეჯერდები. ერთ მშვენიერ ღამეს, როცა ისევ სიზმარში ვიქნები, აღმოჩნდება, რომ ხელში დანა მიჭირავს ან სულაც ჯიბეში რევოლვერი მიდევს. ისე ვყავარ ამ სურვილს ატანილი, ნამდვილად ასე მოხდება და მაშინ ხელსაყრელ შემთხვევას პოლომდე გამოვიყენებ. ღორივით დავკლავ იმ კაცუნას, ისე დავახლი ტყვიას და ჩავაძალოებ, ხელიც არ ამიკანკალდება. და მოვისვენებ კიდევ ამ ეშმაკეული დენისაგან.

ზოგი ალბათ იმასაც იფიქრებდა, ლორდი მაუნტდრაგო სრულ ჭკუაზე არააო. ხანგრძლივმა პრაქტიკამ დაანახა ექიმ ოდლინს, თუ რა უმნიშვნელო ზღვარი ჰყოფს ეგრეთ წოდებულ „ჯანმრთელ“ და „ავადმყოფ“ ადამიანებს ერთმანეთისგან. ექიმმა იცოდა, რომ ძალიან ბევრია ისეთი ადამიანი, რომელიც ყოველმხრივ ჯანმრთელი და ნორმალური ჩანს, წარმოსახვის უნარსაც თითქოსდა მოკლებულია — მხოლოდ იმაზე ფიქრობს, ყოველდღიური ცხოვრების მოვალეობანი პირნათლად შეასრულოს და ამით მოყვასიც მოიმადლიეროს, მაგრამ საქმარისია ასეთ ადამიანს დაუახლოვდეთ, მისი ნდობა მოიპოვოთ და ის ნიღაბი ჩამოჭლიჯოთ, რომელსაც ხალხში, საზოგადოებისთვის ატარებს, რომ არა მარტო მისი ბუნების შემზარავად ავადმყოფური თვისებების მოწმე გახდებით, არამედ ისეთ უცნაურ ხუმტურებსა და მისი სულიერი სამყაროს იმდენად უჩვეულო, წარმოუდგენლად შეუსაბამო მხარეებსაც დაინახავთ, რომ უყოყმანოდ დაიჯერებთ — საქმე ნორმალურ ადამიანთან კი არა, შლეგთან მქონიაო. თუ ასეთი ადამიანების ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში მოთავსებას გადაწყვეტთ, აღმოჩნდება, რომ თვით მთელი მსოფლიოს საავადმყოფოებიც ვერ დაიტევს მათ. მაგრამ ასეა თუ ისე, ადამიანს სულით ავადმყოფის მოწ-

მობას არავინ აძლევს მხოლოდ იმის გამო, რომ უცნაურმა სიზმრებმა მისი ნერვული სისტემის მოშლა გამოიწვია. ლორდი მაუნტდრაგო, რა თქმა უნდა, სრულიად განსაკუთრებული სენით იყო შეპყრობილი, მაგრამ მაინც მისი მდგომარეობა ექიმი ოდლინის სხვა ავადმყოფთა მდგომარეობისაგან მხოლოდ თავისი უკიდურესი სიმძაფრით განსხვავდებოდა. მიუხედავად ამისა, ექიმმა ოდლინმა შეშობდა, რომ მკურნალობის ნაცადი მეთოდები ამ შემთხვევაში არ გაუმართლებდა.

— რომელიმე ჩემს კოლეგას თუ მიმართეთ კიდევ რჩევისათვის?! — ჰკითხა ექიმმა ოდლინმა.

— მხოლოდ სერ ოგესტესთან გახლდით. მასაც მარტოოდენ ის ვუთხარი, ლამაზობით კომპარული სიზმრები მაწუხებს-მეთქი. მან რატომღაც გადაწყვიტა, რომ ხანგრძლივი, დაძაბული მუშაობისაგან ვარ გადაღლილი და ზღვაზე მოგზაურობა მირჩია. მტკნარი სისულელეა. ახლა ჩემი სამინისტროდან წამოსვლა ყოვლად შეუძლებელია — მიმდინარე საერთაშორისო მდგომარეობა მუდმივ თვალყურის დევნებას საჭიროებს. ჩემი იქ ყოფნა სრულიად აუცილებელია. თანაც ჩემი მომავალი მთლიანადაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ ნაბიჯს გადავდგამ დღევანდელი გამწვავებული ვითარების პირობებში. სერ ოგესტესმა ჯერ იყო და დამამშვიდებელი წამლები გამომიწერა; არავითარი შედეგი ამ წამლებს არ მოჰყოლია. მერე ტონუსის ასაწევი წამლების სმა დავიწყე. ეს ხომ სულ მთლად უვარგისი გამოდგა. ბებერი ყუყუჩია და მეტი არაფერი.

— ხომ ვერ მეტყოდით, რა მიზეზია, რომ მაინცდამაინც ამ კაცთანაა თქვენს სიზმრებში ყველაფერი დაკავშირებული?

— ერთხელ უკვე გიპასუხეთ მაგ შეკითხვაზე.

ლორდი მაუნტდრაგო მართალს ამბობდა. მაგრამ საქმე ის იყო, რომ ექიმი ოდლინი იმ პასუხმა ვერ დააკმაყოფილა.

— ცოტა ხნის წინ თქვენ სიტყვა „ღევნა“ ახსენეთ. რატომ უნდა გდევნიდეთ ოუენ გრიფიტისი?

— არ ვიცი.

ლორდ მაუნტდრაგოს თვალეში რაღაც დაფარული აზრი გამოჰრთა. ექიმი ოდლინი დარწმუნებული იყო, რომ ლორდი სიმართლეს მალავდა.

— რაიმე ხომ არ დაგიშავებიათ ოდესმე მისთვის?

— არა, არასოდეს.

ლორდ მაუნტდრაგოს წარბიც არ შეუხრია, მაგრამ ექიმ ოდლინს უცნაური შეგრძნება დაეუფლა — თითქოს ლორდი თავის ნატუჟში შეძვრა და იქ დაიმაღლა. მის წინ ბრგე, ამაყი მამაკაცი იჯდა და ისეთი სახე მიეღო — ამგვარი შეკითხვები შეურაცხყოფას მაყენებსო, მაგრამ ამ გარეგნული თავდაქერის მიღმა, ხაფანგში მომწყვდეული დამფრთხალი ნადირის მზაკვრული მზერა გამოჰრთოდა. ექიმი ოდლინი წინ გადაიხარა, დაუინებულად შეაქქერდა ლორდს და აიძულა თვალი გაესწორებინა მისთვის.

— დარწმუნებული ხართ?

— სავსებით დარწმუნებული. თქვენ, როგორც ჩანს, ვერ გაგიგიათ, რომ ჩვენი ცხოვრების გზები არსად არ კვეთენ ერთმანეთს. არ მინდა ერთი და იგივე გაუთავებლად ვიმეორო, მაგრამ კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ მე მისი უდიდებულესობის მინისტრი ვარ, გრიფიტისი კი ლეიბორისტთა პარტიის

რიგითი წევრია. ბუნებრივია, ჩვენს შორის რაიმე სოციალურ სიახლოვეზე ლაპარაკიც ზედმეტია.

— სანამ სრულ სიმართლეს არ მეტყვით, ვერაფრით დაგეხმარებით.

ლორდმა მაუნტდრაგომ წარბები ახიდა. მისი ხმა მკახედ გაისმა:

— ჩემს სიტყვებში ეჭვი არ შეაქვთ ხოლმე, ექიმო ოდლინი. თუ ასე გააგრძელებთ, ჩვენი შეხვედრები ორივესთვის დროის დაკარგვა იქნება მხოლოდ. ფულის თაობაზე შეგიძლიათ ჩემს მდივანს მიმართოთ, ის იზრუნებს, ჩემს მიღება რომ არ დაგვივიანდეთ.

ექიმი ოდლინის გამომეტყველების მიხედვით ვერ მიხვდებოდით, გაიგონა თუ არა ლორდის სიტყვები. იგი კვლავ დაჟინებით შეჰყურებდა ლორდს და მისი ხმაც დიწჯი და აღუშფოთველი იყო.

— შეიძლებოდა თუ არა იმ ადამიანს ეფიქრა, რომ თქვენი რომელიმე მოქმედებით მას შეგნებულად დაუშავეთ რამე?

ლორდ მაუნტდრაგოს ვერ გადაეწყვიტა რა პასუხი გაეცა. მან გვერდზე მიატრიალა თავი, მერე თითქოს ექიმ ოდლინის თვალების მაგიურ ძალას ვერ გაუძლო, კვლავ გამოხედა და უპასუხა:

— ასეთი რამ მხოლოდ ბინძურ, ყოვლად უფარგის, გაუთლელ არაქაცს მოუვიდოდა თავში.

— მაგრამ თქვენ ხომ სწორედ ამგვარად აღმიწერეთ იგი.

ლორდმა მაუნტდრაგომ ამოიოხრა. მას უკვე ყველა გზა მოჭრილი ჰქონდა. ეს ამოოხვრა იმის ნიშანი იყო, რომ ბოლოს და ბოლოს გადაწყვიტა მოეყოლა ის, რასაც აქამდე ასეთი გულმოდგინებით მალავდა. ახლა უკვე ძალდატანება საჭირო აღარ იყო. ექიმმა ოდლინმა თვალები დახარა და ისევ შეუდგა საშრობზე გაუგებარი გეომეტრიული ფიგურების ხაზვას. დუმილმა ორ-სამ წუთს გასტანა.

— მე მზადა ვარ დაუფარავად გითხრათ ყველაფერი, ვინძლო თქვენთვის რაიმე ხელჩასაჭიდი აღმოაჩინოთ. თუ აქამდე არც კი ვახსენე ეს ამბავი, რომლის მოყოლასაც ახლა ვაპირებ, მხოლოდ იმიტომ, ვერ წარმომიდგენია, ამ უმნიშვნელო შემთხვევას რაიმე კავშირი ჰქონდეს ჩემს ავადმყოფობასთან. ბოლო არჩევნების დროს გრიფითისის კანდიდატურამ გაიმარჯვა; ეს იყო და საშველი აღარ მოგვცა, ერთიანად აგვიკლო. იგი მეშახტის შვილია, ბავშვობაში თვითონაც უმუშავია შახტში; ერთი ხანობა პანსიონებში უმსახურია მასწავლებლად, მერე ჟურნალისტობაც უცდია. ერთი სიტყვით, ეს კაცი, თავისი საყველბურო ცოდნით, აბდაუბდა იდეებით და უმაქნისი გეგმებით, სწორედ ის ტიპური ახლად გამოჩეკილი, ყოყლოჩინა ინტელექტუალია, სავალდებულო სწავლებამ რომ წამოსწია მუშათა წრიდან. შესახედავადაც ერთი გაძვალტყავებული ვინმეა, სახეზე მუდამ ნაცრისფერი ადევს, ნაშიმშილევსა ჰგავს და ყოველთვის დაუდევრად და ულაზათოდ აცვია. სიმართლე რომ ითქვას, ამ ბოლო დროს პალატის წევრები მაინცდამაინც აღარ იწუხებენ თავს სათანადო ტანსაცმლის შერჩევით, მაგრამ გრიფითისის ჩაცმულობა უკვე პალატის ღირსების შეგინებაა. თითქოს საგანგებოდ, გაქუცულსა და დაძველებულ ტანისამოსს ატარებს, მუდამ გაზინთლულსაყელოიანი პერანგი აცვია, ჰალსტუხიც ვერ გამოუნასკვია ხეირიანად და, ყველა სიკეთესთან ერთად, ერთი თვის დაუბანელს ჩამოჰგავს, ხელებიც მუდამ ტურტლიანი აქვს ხოლმე. ლეიბორისტე-

ბიდან რამდენიმე უმაქნისმა, რომლებსაც რაღაც უნარი აღმოაჩნდათ, მინისტრის სკამის დაკავებაც კი შეძლეს, დანარჩენები ხომ სათვალავში ჩასაგდებიც არ არიან. „უძალო ქვეყანაში კატებს აყუფებდნენო“. და რადგანაც გრიფითს ენის ტარტალი ეხერხები და სხვადასხვა საკითხებზე ლაპარაკისათვის ნაირ ყურმოკრულ ცნობებს, მარჯვედ იყენებს, მისი პარტიული ინტერესებმაც აღარ დააყოვნეს და, როცა კი სიტყვით გამოსვლის შესაძლებლობა მიეცემოდათ, ყოველთვის მას აგულიანებდნენ და აქეზებდნენ. ბოლოს მან საგარეო საქმეებში განსწავლულ კაცადაც წარმოიდგინა თავი და გაუთავებლად მაძლევდა სულელურ, გულისგამაწვრილებელ შეკითხვებს. მეც გადავწყვიტე მისთვის ისე მესწავლებინა ჭკუა, რომ ერთხელ და სამუდამოდ ხმა ჩაეკმინდა. თავიდანვე ჭირივით მძულდა მისი ლაპარაკი — ეს მიკნავეებული ხმა, მღაბიური კილო, მის პრანჭვა-გრეხას ხომ მოთმინებიდან გამოვყავდი. მორცხვად, ძლივ-ძლივობით, ენის ბორძიკით ლაპარაკობდა თითქოს სასჯელს იხდისო. მაგრამ მაინც რაღაც ეშმაკი ალაპარაკებდა. ხშირად ისეთ რაღაცას იტყოდა, თავგზას აგიბნევდათ, საკუთარ მრწამსში დაგაეჭვებდათ. თანაც ბრტყელ-ბრტყელი სიტყვების წყალობით, მისი გამოსვლები ხანდახან დამაჯერებელიც ჩანდა. ყოველივე ამან გარკვეული ზეგავლენა მოახდინა მისი პარტიის წევრებზე; მათზე მისი მგზნებარება და სულელური სიწრფელე მოქმედებდა; მე კი მათგან განსხვავებით, ყელში ამომივიდა ეს სენტიმენტალიზმი. ნებისმიერ პოლიტიკურ დებატზე სენტიმენტალიზმს ზომიერების ფარგლებში, დიდი გასავალი აქვს. სახელმწიფოებს ანგარება და პირადი ინტერესი მართავს, მაგრამ ქვეყნის მმართველობისთვის უფრო უპრიანია ირწმუნონ, რომ მათ კაცთმოყვარე მიზნები ამოძრავებთ. პოლიტიკოსსაც იმ შემთხვევაში ექნება გამართლება, თუ მოჩვენებითი პირუთვნელობითა და ლამაზ-ლამაზი სიტყვებით დააჯერებს ამომრჩევლებს, რომ ის მძიმე ტვირთი, რასაც აგი თავისი ქვეყნის უკეთილდღეობისთვის ეზიდება, საყოველთაო სიკეთეს ემსახურება. გრიფითსის მსგავსი ადამიანების შეცდომა ის არის, რომ მათ ბრმად სჯერათ პოლიტიკოსების მოჩვენებითი პირუთვნელობის და ლამაზი სიტყვებისა. აუტანელია გრიფითსის ენთუზიაზმი, იდეალისტობა დაუჩემებია და გამუდმებით პირზე აკერია ის სისულელეები, რითაც ინტელიგენციამ, წლების მანძილზე, ყურები გამოგვიჭედა — ხელისუფლებისადმი მორჩილება! ძმობა! ერთი სიტყვით, ღობე-ყორეს ედება. ყველაზე უფრო დასანანი კი ის იყო, რომ მისმა მონაჩმახმა ჩვენი პარტიის ზოგიერთ მოსულელს და უტვინო წევრზეც იმოქმედა. ყველა იმაზე ლაპარაკობდა, როცა ლეიბორისტთა პარტია გაიმარჯვებს, გრიფითსი ერთ-ერთი იმათგანი იქნება, ვისაც თანამდებობაზე დანიშნავენო. იმასაც კი ამბობდნენ — გრიფითსი საგარეო საქმეთა მინისტრიც კი შეიძლება გახდესო. ეს უკვე სასაცილო იყო, მაგრამ არც მთლად შეუძლებელი და განუხორციელებელი ჩანდა ამგვარი რამ. და ერთხელაც, საშუალება მომეცა შემაჯამებელი სიტყვით გამოვსულიყავი დებატზე, რომელიც გრიფითსმა გახსნა. მან მთელი საათი ილაპარაკა საგარეო საკითხებზე. უფრო ხელსაყრელი შემთხვევა გრიფითსის გასაცამტვერებლად ძნელი წარმოსადგენი იყო, და — მაღალ ღმერთს ვფიცავ, სერ, გავაცამტვერე კიდევაც იგი. ქვა ქვაზე არ დავუტოვე. ყველას დავუმტკიცე მისი მოსაზრებების მცდარობა და დავანახე მისი უვიცობა. თუმთა პალატაში მოწინააღმდეგის სასაცილოდ აგდება საუკეთესო იარაღია მის გასანადგურებლად; მეც ვაპაშულავე და ვამასხარავე გრიფითსი, იმ დღეს განსაკუთრებული, შესაშური

ენამახვილობა გამოვიჩინე; მთელი პალატა თავშეუკავებლად ხარხარებდა. მათ-
მა სიცილმა ფრთები შემახსა და მეც საკუთარ თავს ვაჯობე. როგორც კი კოპებ-
შეკრული იჯდა და ხმას არ იღებდა, მაგრამ მათ შორისაც ვერ იკავებდნენ ზო-
გიერთები სიცილს. არც ისეთი აუტანელია, როცა ხედავ რაღაც ნაწარმებს
შენს კოლეგას, რომელიც შესაძლოა შენი მეტოქეც იყოს. ზღაპრულად მოგვითხრობს
ვინმე გაუსულელებიათ. მეც უნდა ვთქვა — გრიფითსი გავასულელე-მეთქი.
იგი დაპატარავებულიყო და დაჩიავებულიყო; სახეზე მიტკლისფერი ედო;
ბოლოს თავი ხელებში ჩაარგა და ზემოთ აღარ ამოუხედავს. როცა ლაპარაკი
დავამთავრე და დავჯექი, გრიფითსი უკვე ცოცხლად მყავდა დამარხული. იგი
ველარასოდეს შეძლებდა თავისი გავლენის აღდგენას და ნდობის მოპოვებას.
ხოლო თუკი ლეიბორისტთა პარტია გაიმარჯვებდა, მას თანამდებობის მიღების
ისეთივე იმედი უნდა ჰქონოდა, როგორიც პალატის შემოსასვლელთან მდგარ
პოლიციელს. მოგვიანებით გავიგე, რომ მისი მშობლები — მოხუცი მეშახტე
თავის ცოლთან ერთად — უელსიდან ჩამოსულიყვნენ და თან იქაური საარ-
ჩევნო ოლქიდან მომხრეებიც წამოეყვანათ, რათა მონაწილენი გამხდარიყვნენ
იმ დიდი გამარჯვებისა და ზეიმისა, რომელსაც თავიანთი ვაჟიშვილისგან
მოელოდნენ. ისინი კი მისი საქვეყნოდ თავის მოჭრის მოწმენი გახდნენ. გრი-
ფითსმა მხოლოდ ხმების უმცირესობა მიიღო. ამგვარი შემთხვევის გამო მისი
პალატიდან გაპანდურებაც შეუძლებოდა, მაგრამ ეს ამბავი მე არ მეხებოდა.

— თუ არ ვაჭარბებ, თქვენ გრიფითსის კარიერა დაგილუპავთ?

— დიახ, ასეა.

— მართლაც რომ დიდი ზიანი მიგოყენებიათ მისთვის.

— თავის თავს დააბრალოს ყველაფერი.

— ოდესმე თუ გინანიათ თქვენი საქციელი?

— წინასწარ რომ მცოდნოდა, რომ მისი მშობლებიც იქ იქნებოდნენ, იქნებ
ცოტათი მაინც დამენდო და აგრერიგად არ შემელახა მისი თავმოყვარეობა.

ექიმ ოდლინისთვის ყველაფერი ნათელი გახდა და იგი მკურნალობას
ისეთი გზით შეუდგა, რომელსაც მისი აზრით, სასურველი შედეგი უნდა მოჰ-
ყოლოდა. ჯერ დაადინა პაციენტი და შეეცადა, შთავონების ძალით ისე ემოქ-
მედა, რომ გაღვიძების შემდეგ ლორდს სიზმრები აღარ ხსომებოდა; მერე
სცადა ღრმა, უსიზმრო ძილი მოეგვარა მისთვის. მაგრამ ლორდ მაუნტდრაგოს
წინააღმდეგობის გადალახვა შეუძლებელი აღმოჩნდა. ერთ საათში ექიმმა ოდ-
ლინმა პაციენტი დაითხოვა. ამის შემდეგ ლორდი ბარემ ექვსჯერ მაინც მივიდა
მასთან, მაგრამ ექიმმა ოდნავადაც კი ვერ შეუმსუბუქა მდგომარეობა. უბედურ
კაცს საშინელი სიზმრებისაგან ყოველ ღამე ისევ სული ჰქონდა ამოხდილი და
მისი საერთო მდგომარეობაც საოცარი სისწრაფით უარესდებოდა. ადამიანს
აღარ ჰგავდა, ყველაფერი აღიზიანებდა. ამ უშედეგო მკურნალობასაც მოთმი-
ნებიდან გამოჰყავდა, მაგრამ მაინც ჯიუტად განაგრძობდა ექიმ ოდლინთან
სიარულს, არა მარტო იმიტომ, რომ ესლა იყო მისი ერთადერთი იმედი, არამედ
იმიტომაც, რომ მისთვის შეეზა მოჰქონდა ექიმთან გულახდილ საუბარს.

საბოლოოდ ექიმი ოდლინი მიხვდა, რომ ლორდ მაუნტდრაგოს ხსნის
ერთადერთი გზა არსებობდა; მაგრამ იმდენად კარგად იცნობდა მას, რომ დარ-
წმუნებული იყო, ნებით ლორდი ამაზე არასოდეს დათანხმდებოდა. მის ავადმ-
ყოფს ნერვული სისტემის მძიმე აშლილობა ემუქრებოდა და ამისაგან თავი
რომ ეხსნა, ლორდს ისეთი ნაბიჯი უნდა გადაედგა, რაც სრულიად წარმოუდ-

— მაგრამ თქვენ ჩემგან შეუძლებელს ითხოვთ: მე გრიფითს ბოდიშს ვერ მოვუხდლი.

— ბევრი ვიფიქრე თქვენს ავადმყოფობაზე და ბევრი რამ ჩემთვის გაუგებარი დარჩა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ამ მდგომარეობიდან ხსნის ერთადერთი გზა სწორედ ის არის, რაც შემოგთავაზებთ ჩემსი მხრიდან, ყველა ჩვენგანის არსებაში ცხოვრობს არა ერთი, არამედ ბევრი „მე“. თქვენ გრიფითს დიდი ზიანი მიაყენეთ და ამით ერთ-ერთი „მე“ აიძვდრეთ. მან თქვენს ცნობიერებაში გრიფითის სახე მიიღო და ახლა ჩადენილი ავკაცობისთვის გსჯით. მე რომ მღვდელი ვიყო, გეტყოდით — თქვენი სინდისი გადაქცეულა: მეთქი გრიფითსად, რათა თვითგვემით მოგანანიებინოთ საქციელი და დანაშაული გაზღვევინოთ.

— მე სინდისი სუფთა მაქვს. ჩემი ბრალი არ არის, თუკი იმ კაცის კარიერა დავლუბე. ისე გავჭყლიტე იგი, როგორც ჩემს ბაღში შემოსულ ლოკოკინასავით გავჭყლეტდი. სანანებელიც არაფერი მაქვს.

ეს თქვა და ლორდმა მაუნთდრაგომ ექიმის კაბინეტი დატოვა.

ექიმი ოდლინი, ლორდის მოლოდინში, თავის ჩანაწერებს ათვალიერებდა და იმაზე ფიქრობდა, რა შეიძლებოდა ელონა, რომ ლორდი გონს მოეყვანა. მას შემდეგ, რაც მკურნალობის არც ერთმა ნაცადმა ხერხმა არ გაუმართლა, იგი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ლორდის ხსნა მხოლოდ ამ გზით იყო შესაძლებელი. ლორდი უცნაურად იგვიანებდა. იმ დღით ლორდის მდივანმა დაურეკა და შეატყობინა — ლორდი მაუნთდრაგო დღესაც ჩვეულ დროს მოვა თქვენთანო. მაგრამ ხომ შეიძლებოდა, ლორდი გადაუდებელ საქმეს შეეყოვნებინა? ამან ექიმი ოდლინი სხვა რამეზე დააფიქრა: ლორდ მაუნთდრაგოს აღარ შეეძლო იმ სამუშაოს შესრულება, რასაც თანამდებობა ავალებდა. იქნებ უმჯობესი იყო ბელისუფლების რომელიმე წარმომადგენელს — პრემიერ-მინისტრს, ანდა საგარეო საქმეთა მინისტრის მუდმივ თანაშემწეს დაკავშირებოდა და შეეტყობინებინა — ჩემის ღრმა რწმენით, ლორდი მაუნთდრაგო შინაგანად იმდენად აფორიაქებული და არეულია, რომ საშიშია მისთვის მნიშვნელოვანი საქმეების მინდობაო. კაცმა რომ თქვას, ეს მეტად საჩოთირო საქმე იყო. ამას შესაძლოა ზედმეტი არეულობა გამოეწვია და იქნებ მისთვისაც სხვის საქმეში ცხვირის ჩაყოფა დაებრალეზინათ. ექიმმა მხრები აიჩეჩა, „ბოლოს და ბოლოს, — გაიფიქრა მან, — ბოლო ოცდახუთი წლის მანძილზე პოლიტიკოსებმა ისეთნაირად აწეწ-დაწეწეს მთელი მსოფლიოს საქმეები, რომ მგონი, არავითარი განსხვავება აღარ არის, გიჟები იქნებიან სახელმწიფოს სათავეში თუ ჭკუათმყოფლები“.

მან ზარი დარეკა.

— ლორდი მაუნთდრაგო თუ მოვა გადაეცით, შვიდის თხუთმეტ წუთს სხვა ავადმყოფი მყავს დაბარებული და დღეს მის მიღებას ვერ შევძლებ.

— კეთილი, სერ.

— საღამოს გაზეთი ხომ არ მოსულა?!

— ახლავე მოგიტანთ, სერ.

რამდენიმე წუთში მსახურმა გაზეთი შემოიტანა. გაზეთის პირველ გვერდს უზარმაზარი შავი ასოებით ნაბეჭდი სათაური გასდევდა. — „საგარეო საქმეთა მინისტრის ტრაგიკული სიკვდილი“.

— ღმერთო ჩემო! — წამოიყვირა ექიმმა ოდლინმა.

ამჯერად კი ექიმს ჩვეულმა სიმშვიდემ უმტყუნა — გაშრა, ელდა ეცა; მაგრამ მოულოდნელი თითქოს მაინც არ ყოფილა მისთვის ეს ამბავი. არაერთხელ უფიქრია, ლორდმა მაუნტდრაგომ შესაძლოა ყველაფერი თვითმკვლელობით დაასრულოსო; ხოლო ეს რომ თვითმკვლელობა იყო და არა უბედური შემთხვევა, ეჭვიც არ ეპარებოდა. გაზეთი იტყობინებოდა, რომ იმ დღეს მაუნტდრაგო მეტროს მატარებლის მოლოდინში ბაქანის კიდესთან მდგომარეობდა, როცა მატარებელი სადგურში შემოვიდა, მგზავრებმა დაინახეს, როგორ გადაეშვა იგი ქვევით და პირდაპირ ლიანდაგზე დაენარცხა. ამ საშინელ სიკვდილს გაზეთი გონების უეცარ დაკარგვას მიაწერდა. წერილში შემდეგ ნახსენები იყო, რომ დაძაბული მუშაობისაგან ბოლო ხანებში გადაღლილი ლორდი თავს კარგად ვერ გრძნობდა, მაგრამ ვიდრე ინგლისის საგარეო მდგომარეობა მის მუდმივ ყურადღებას საჭიროებდა, შეუძლებლად მიაჩნდა, საქმისათვის თავი მიენებებინა. წერილის ბოლოს, სადად და ზომიერად რამდენიმე სიტყვა იყო ნათქვამი განსვენებული სახელმწიფო მოღვაწის დიდი ნიჭის, საქმისადმი მისი ერთგულების, პატრიოტიზმისა და შორსმჭვრეტელობის შესახებ. ამას მოსდევდა ათასნაირი მოსაზრება იმაზე, თუ ვის დანიშნავდა პრემიერ-მინისტრი ლორდის ადგილას. ექიმმა ოდღინმა ბოლომდე ჩაიკითხა წერილი. არასოდეს მოსწონდა ლორდი მაუნტდრაგო და ერთადერთი შეგრძნება, რაც მასში ამ სიკვდილმა გამოიწვია, საკუთარი თავით უკმაყოფილების განცდა იყო იმის გამო, რომ იგი უძლური აღმოჩნდა რითიმე დახმარებოდა ლორდს.

იქნებ შეცდა ლორდ მაუნტდრაგოს პირად ექიმს რომ არ დაუკავშირდა? იგი საქციელწამხდარი იყო — როგორც ყოველთვის, როცა მისი კეთილსინდისიერი შრომა მარცხით მთავრდებოდა. იმ ემპირიული მოძღვრების თეორიისა და პრაქტიკის მიმართ კი, რომელიც მისთვის შემოსავლის წყაროდ გადაქცეულიყო სიძულვილი იგრძნო. მას ბნელ, იდუმალ ძალასთან ჰქონდა საქმე, რომლის არსში ჩაწვდომაც, როგორც ჩანს, ადამიანის გონებას არ ძალუძდა. ექიმი თვალახვეულ კაცს ჰგავდა, რომელიც გზის გაკვლევას ცდილობს, მაგრამ საით თვითონაც არ იცის. გაზეთი უხალისოდ გადაფურცლა. უეცრად თითქოს დენმა დაარტყაო — შეხტა და კიდევ ერთხელ აღმოხდა გაოცების წამოძახილი. საგაზეთო სვეტის ბოლოში პატარა ცნობას წააწყდა, „პარლამენტის წევრის უეცარი სიკვდილი“, — ამოიკითხა მან. მისტერ ოუენ გრიფითსი, ამისა და ამის წევრი, ნაშუადღევს, ძალიან მძიმე მდგომარეობაში მყოფი, ფლიტს-ტრიტიდან საავადმყოფოში წაუყვანიათ. საავადმყოფოში მიყვანისას აღმოჩნდა, რომ მას გზაში დაეღია სული. გაზეთი ვარაუდობდა, რომ გრიფითსი ბუნებრივი სიკვდილით უნდა გარდაცვლილიყო, მაგრამ სიკვდილის გამომწვევ მიზეზს მაინც დაადგენდნენ. ექიმი ოდღინი საკუთარ თვალებს არ უჯერებდა. ნუთუ შეიძლებოდა, რომ ლორდი მაუნტდრაგო, თავისივე სურვილისამებრ, ბოლოს და ბოლოს მართლაც დანით ან თოფით შეიარაღებული გამოცხადებოდა მაწამებელს საკუთარსავე სიზმარში და სიცოცხლე მოესპო მისთვის? ნუთუ შეიძლებოდა, რომ ეს ზმანებაში მომხდარი მკვლელობა ცხადშიც განხორციელებულიყო, მხოლოდ გარკვეული დროის შემდეგ, და უკვე გამოღვიძებული კაცი ემსხვერპლა, ზუსტად ისევე, როგორც სიზმარად თავში ბოთლის ჩარტყმამ იმოქმედა გრიფითსზე და მეორე დღეს საშინლად აატკივა თავი? ან იქნებ ყველაფერი უფრო მეტად საზარელი და იდუმალებით მოცული იყო? ლორდმა მაუნტდრაგომ სიკვდილში ჰპოვა შეება, მისი

მტერი კი, რომელსაც მან დაუნდობელი სისასტიკით დიდი ზიანი მიაყენა, ამა-
საც არ დასჯერდა, საკუთარ სიკვდილს გაექცა და ლორდს იმქვეყნად დაედევ-
ნა, რათა იქ გაეგრძელებინა მისი ტანჯვა-წამება? ყველაფერი ძალზე უცნაური
იყო. ექიმ ოდლინს ისღა დარჩენოდა, ეს ამბავი მხოლოდ უჩვეულოდ დამთხვე-
ვად ჩაეთვალა. მან ზარი დარეკა.

— გადაეცით მისის მილტონს, რომ ეწუხვარ, მაგრამ ამ საღამოს მის მი-
ლებას ვეღარ მოვახერხებ; რაღაც თავს კარგად ვერა ვგრძნობ.

მართლაც, ექიმ ოდლინს ციებიაწივით აკანკალებდა. გულისშემძვრელმა
შემზარავმა სიცარიელემ დაისადგურა მის არსებაში. იგი სულის უკუნეთმა
შთანთქა და მისთვის გაუგებარმა, უცნაურმა პირველქმნილმა შიშმა მოიცვა.



უ ც ხ ო უ რ ი ი უ მ ო რ ი

ლაქციაჲ

სტუდენტს, რომელიც ლექციაზე თვლემ-
და, ლექტორმა შენიშვნა მისცა.

— ჩემს ლექციაზე დაძინება შეუძლებე-
ლია.

— მართალი ბრძანდებით, ბატონო პროფე-
სორო, ძალიან ხმამაღლა ლაპარაკობთ, — მი-
უგო სტუდენტმა.

სიუჰარული და ფეხბურთი

— ეს საშინელებაა, — უსაყვედურა ცოლ-
მა მაქსს, — შენ ზეპირად იცი ფეხბურთში პი-
რველობის გათამაშების კალენდარი და ყვე-
ლა ფეხბურთელის გვარი და სახელი. მაგ-
რამ სანაძლეოს დავდებ, რომ ჩვენი ქორწინე-
ლის თარიღი არ გახსოვს.

— როგორ გეკადრება, ჩემო ძვირფასო,
ჩვენ მაშინ ვიქორწინეთ „მოტორმა“ „ტემპს“
რომ მოუგო.

ხუთი წუთით

ქალბატონი კლუგე მეგობარ ქალს ეწვია.
შინ მხოლოდ პატარა ელზა დახვდა.

— სად არის დედაშენი? — ჰკითხა სტუ-
მარმა.

— ორი საათის წინ, ხუთი წუთით დეიდა
მარისტან წავიდა. — მიუგო პატარამ.

კეთილი სურვილები

ახალწლის წინა დღეებში სტუდენტებს
უნდა დაეწერათ თხოულება თემაზე: „ბუ-
ნების საიდუმლოებანი“. ერთ-ერთმა სტუ-
დენტმა დაწერა:

„ღმერთმა იცის, მე არ ვიცი. ბედნიერ ახალ
წელს გისურვებთ, ბატონო პროფესორო!“

რამდენიმე დღის შემდეგ პროფესორმა სტუ-
დენტებს რვეულები რომ დაუბრუნა, იმ სტუ-
დენტმა თავის რვეულში ამოიკითხა:

„ღმერთს „ხუთიანი“, შენ „ერთიანი“. გი-
სურვებ მხიარულ ახალ წელს“.

საბოლოო სიტყვა

მოსამართლე: — თავის გასამართლებლად
რა შეგიძლიათ დაუმატოთ?

ბრალდებული: — ათას დოლარზე მეტს
ერთ ცენტსაც ვერ დავემატებ.

სასწრაფო ზომის მიღება

თქვენს დირექტორთან მოლარე მივიდა
და უთხრა: ერთი მაყურებელი მესამე ია-
რუსიდან პარტიკაში ჩამოვარდა და როგორ
მოვიტყულო?

— ახლავე გადაახდევინეთ განსხვავება!

კონცერტი

ქალბატონმა მიულერმა კონცერტზე ლაიგ-
ვიანა, თავისი ადგილი რომ მონახა, გვერდით
მჯდომ ქალს ჰკითხა:

— რას უკრავენ?

— შეცხრე სიმფონიას.

— სამწუხაროა, რომ დავაგვიანე და პირველ
რეას ვერ მოვუსმინე.

(დასას. 281 გვ.)

დოროთი პარკერი

მელოდონი



მოთხრობა

ინგლისურიდან თარგმნა ინგა პაპავამ

დოროთი პარკერი (როტშილდი) დაიბადა 1893 წ., სწავლობდა ნიუ-იორკში. 1916 წლიდან აქვეყნებდა კრიტიკულ წერილებს, ფელეტონებს, პესებს. წარმატება ხვდა მისი ლირიული ლექსების კრებულებს (1926, 1928, 1931) და ნოველებს. 1936 წელს პარკერი ესპანეთშია კორესპონდენტად. ამერიკაში დაბრუნების შემდეგ ესპანელი ემიგრანტების დამხმარე ფონდის შექმნაში მონაწილეობს და ემიგრანტი ანტიფაშისტების გაერთიანებული კომიტეტის ამერიკის სექციის თავმჯდომარეა.

პარკერმა სახელი გაითქვა მოთხრობებითა და ნოველებით. ისინი დასრულებული ფორმით გამოირჩევიან, კამერულია, ხშირად უსიუჟეტო, მაგრამ ფსიქოლოგიურად ღრმა და ემოციური. 1929 წელს დ. პარკერს მიანიჭეს ო'ჰენრის პრემია.

დ მეერთო, გეხვეწები, დაარეკვინე ჩემთან. ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე, დაარეკვინე ახლა. მეტად აღარაფერზე შეგაწუხებ, მართლა გეუბნები. განა ბევრს გთხოვ? ეს ხომ შენთვის არაფერია, ღმერთო. რა დიდი საქმეა, მხოლოდ ახლა დაარეკვინე. გეხვეწები, ღმერთო. გეხვეწები, გეხვეწები, გეხვეწები.

ამაზე რომ არ ვფიქრობდე, იქნებ დაერეკა კიდეც ტელეფონს. ასეა ხოლმე. ნეტავ სხვა რამეზე შემეძლოს ფიქრი. ნეტავ სხვა რამეზე შემეძლოს ფიქრი. ხუთასამდე ხუთობით რომ დავთვალო, შეიძლება ამასობაში დარეკოს კიდეც. ნელა დავთვლი. არ გამოვტოვებ და თუ დარეკავს, არ გავჩერდები, მხოლოდ სამასამდეც რომ ვიყო მისული. არ ვუბასუხებ, ვიდრე თვლას არ ავთავებ. ხუთი, ათი, თხუთმეტი, ოცი, ოცდახუთი, ოცდაათი, ოცდათხუთმეტი, ორმოცი, ორმოცდახუთი, ორმოცდაათი... გეხვეწები, ღმერთო, გეხვეწები.

ახლა კი უკანასკნელად შევხედავ საათს. მეტს აღარ შევხედავ. რვის ათი წუთია. მითხრა, ხუთ საათზე დაგირეკავო. „ხუთზე დაგირეკავ, ძვირფასო“, მგონი, მაშინ მითხრა, ძვირფასო. თითქმის დარწმუნებული ვარ, მაშინ მითხრა.

ვიცი, ორჯერ მითხრა „ძვირფასო“, მეორედ — როცა დამემშვიდობა: „მშვიდობით, ძვირფასო“. საქმე ჰქონია და, საერთოდ, სამსახურიდან ბევრს ხომ ვერ მელაპარაკებოდა, ორჯერ კი მითხრა, ძვირფასოო. ჩემი დარეკვა არ ეწყინებოდა. ვიცი, კაცს არ უნდა დაურეკო. არ უყვარს, როცა ურეკავ, იცის, რომ მასზე ფიქრობ, მისი ნახვა გინდა და უფრო შეაიულებ თავს. მგერა მგერა, ხომ სამი დღეა, რაც არ დავლაპარაკებია — სამი დღე. არაფერი მაქმამაქმამა მგერა, მხოლოდ ვკითხე, როგორ ხარ-მეთქი, უბრალო ნაცნობმაც კი შეიძლება დაგირეკოს და ასე მოგიკითხოს. რა გასაბრაზებელი ეს არის? ან რატომ იფიქრებდა, შემაწუხაო. არა, არ მაწუხებთ, ხომ თქვა. ისიც მითხრა, დაგირეკავო. არავის არ დაუძალებია. მე არ მითხოვია, დარეკე-მეთქი, მართალს ვამბობ. დარწმუნებული ვარ, არ მითხოვია. რაკი დამპირდა, დაგირეკავო, არა მგონია, მომატყუოს. გეხვეწები, დაარეკვინე, გეხვეწები, დაარეკვინე.

„ხუთზე დაგირეკავ, ძვირფასო“. „ნახვამდის, ძვირფასო“. საქმე ჰქონდა და ეჩქარებოდა, ხალხი ეხვია ირგვლივ, მაგრამ ორჯერ მაინც მითხრა — ძვირფასოო. ეს სიტყვა ხომ ჩემია, ჩემი, მე მეკუთვნი, თუნდაც რომ ვერასოდეს ვნახო იგი. მაგრამ, ვაი რომ ეს ერთი სიტყვა ვერაფერი ნუგეშია, თუ მას შეტად ველარ ვნახავ. ღმერთო, რა იქნება, კიდევ მანახე. ისე მენატრება, ისე მენატრება! ნახავ, რა კარგად მოვიქცევი, ღმერთო. ვეცდები, უკეთესი ვიყო. ვეცდები, თუ ისევ შემახვედრებ, თუ ისევ დაარეკვინებ ჩემთან. ო, გეხვეწები, დაარეკვინე ჩემთან ახლა.

ეჰ, ღმერთო, ალბათ ფიქრობ, ეს რა სათხოვარიო. ზეცაში ზიხარ ქათქათა მოხუცი, ანგელოზები გახვევიან გარს და ვარსკვლავები დასრიალებენ შენს ირგვლივ, მე კი რაღაც დარეკვაზე გელაპარაკები. ეჰ, ნუ იცინი, ღმერთო. შენ ხომ არ იცი, ეს რა გრძნობაა. შენ რა! ზიხარ შენთვის მშვიდად ტახტზე, ქვემოთ ლურჯი სივრცეა გაშლილი, შენთვის სულერთია ყველაფერი: გულს ვერაფერი შეგიკუმშავს. ეს ტანჯვაა, ღმერთო, საშინელი, საშინელი ტანჯვა. არ დამებზარები? შვილს გაფიცებ, დამებზარე. ხომ ამბობდი, ჩემი შვილის სახელით რაც უნდა მთხოვონ, შევასრულებო. ო, ღმერთო, სახელითა უსაყვარლესი ძისა შენისა და მეუფისა ჩვენისა იესო ქრისტესი გემუდარები, დაარეკვინე ჩემთან.

კმარა. ასე არ უნდა ვიქცეოდე. ვთქვათ, ვაჟი ჰპირდება ქალს, დაგირეკავო, შემდეგ კი რაღაც ხდება და ვერ ურეკავს. რა მოხდა მერე, არა? სად არა ხდება ასეთი ამბავი, თუნდაც ამ წუთს. ო, მე რაში მეკითხება, სად რა ხდება? რატომ არ დარეკავს ტელეფონი? რატომ? რატომ? რა იქნება, რომ დარეკო, რა იქნება, შე, ჰყეტელავ, უშნო, წყეულო! ვითომ რამე დაგიშავდება, რომ დარეკო? ეჰ, ალბათ დაგიშავდება. წყეულებიც იყავ, შენს ბინძურ ფესვებს ძირიანად ამოვგლეჯ კედლიდან, სულ ნამსხვრევებად ვაქცევ შენს გაბერილ შავ პირისახეს. ჯანდაბას შენი თავი.

არა, არა, არა. კმარა, სხვა რამეზე უნდა ვიფიქრო. აი, რას ვიზამ: საათს მეორე ოთახში გავიტან, რომ ველარ შევხედო ხოლმე. თუ მაინც დამპირდა, საათი, საწოლ ოთახში უნდა გავიდე და ესეც რაღაც საქმე იქნება. იქნებ დამირეკოს კიდევ, ვიდრე მე კიდევ შევხედავდე საათს. თუ დარეკა, ძალიან ტკბილად ველაპარაკები. თუ თქვა, ამაღამ ვერ გნახავო, ვეტყვი, „არა უშავს, საყვარელო, არა უშავს“. ისე მოვექცევი, როგორც ახალგაყენობილს ვექცეოდი. იქნებ მოუბრუნდეს გული. თავდაპირველად ტკბილად ვექცეოდი. ეჰ, ვიდრე არ გიჟვარს, ტკბილად მოქცევა ადვილია.

მგონი, ცოტა ისევ მოვწონვარ. აბა, დღეს ორჯერ რად მეტყუა, ძვირფასო, ცოტა მაინც რომ არ მოვწონდე. ყველაფერი დაკარგული არაა, თუ ისევ მოვწონვარ ცოტათი მაინც, თუნდაც სულ, სულ ცოტათი. იცი, ღმერთო, თუ ახლა დაარეკვინებ, არაფერი აღარ მექნება შენთან სათხოვარი. ტკბილად მოვექცევი, მზიარული ვიქნები, როგორც წინათ ვიყავი ხოლმე, მასაც ისევ ვეყვარები. აღარც შენთან მექნება რაიმე სათხოვარი. არ გესმის, ღმერთო? მაშ, არ დაარეკვინებ ჩემთან? არა? არა? არა, ღმერთო?

ღმერთო, მსჯი, რომ ცუდად მოვიქეცი? მიჯავრდები, ის რომ ჩავიდინე? ო, ღმერთო, ქვეყანაზე იმდენი ცუდი ადამიანია, მხოლოდ მე რატომ მექცევი მკაცრად. თანაც არც ისეთი ცუდი რამ ჩამიდენია, არც შეიძლებოდა, ცუდი ყოფილიყო. ჩვენ ცუდი არავისთვის არ გაგვიკეთებია. ცუდი საქმე ისაა, სხვებს რომ რამეს დაუშავებ. ხომ იცი, სულიერისათვისაც კი არ გვიწყენინებია. ისიც ხომ იცი, ღმერთო, რომ არც ის იყო ცუდი? მაშ, არ დაარეკვინებ ჩემთან ახლა?

თუ არ დამირეკა, მაშ ღმერთი გაბრაზებული ყოფილა ჩემზე. ხუთასამდე დავთვლი ხუთობით და თუ ამასობაში არ დამირეკა, ჩანს, ღმერთი არ აპირებს ჩემს დახმარებას. ამით მივხვდები. ხუთი, ათი, თხუთმეტი, ოცი, ოცდახუთი, ოცდაათი, ოცდათხუთმეტი, ორმოცი. ორმოცდახუთი, ორმოცდაათი, ორმოცდათხუთმეტი. ცუდად მოვიქეცი, ვიცოდი, ცუდად ვიქცეოდი. ძალიან კარგი, გამისტუმრე ჯოჯოხეთში. იქნებ მაშინებ შენი ჯოჯოხეთით? იქნებ შენი ჯოჯოხეთი ჩემს ჯოჯოხეთზე უარესი გგონია?

არა, ასე არ შეიძლება. იქნებ ცოტა მოგვიანებით დარეკოს. ამისათვის ისტერიკა ხომ არ უნდა დამემართოს. გამიბრაზდება, თუ შემატყუო, რომ ნამტი-რალევი ვარ. არ უყვართ, როცა ტირი. თვითონ არ ტირის. ღმერთო, ნეტავ, შემეძლოს, ავატირო, ნეტავ შემეძლოს. ავატირო, ფეხით გავთელო და ვგრძნობდე, როგორ უმძიმდება, როგორ ებერება და როგორ სტკივა გული. ნეტავ შემეძლოს, ჯოჯოხეთური ტანჯვა მივაყენო.

ის არ ისურვებდა ამას ჩემთვის. არა მგონია იცოდეს, რა დღეში მაგდებს. ნეტავ გაიგებდეს, მაგრამ მე ხომ ვერ ვეტყვი. კაცებს არ უყვართ, როცა ეუბნები, შენი ბრალია, რომ ვტირიო. არ უყვართ, როცა ეუბნები, შენ გამაუბედურეო, და თუ ეტყვი, ეგოისტი და მეტისმეტად მომთხოვნი ხარო. ჰოდა, შესძულდები. შესძულდები, როგორც კი ეტყვი, რასაც ფიქრობ. სულ უნდა თამაშობდე, როლიდან არ უნდა გამოხვიდე. ეჰ, არ ვიცოდი. მეგონა — რა ჯობია, შენს ნაფიქრალს რომ გაუზიარებ-მეთქი. თურმე საჭირო არაა, არასოდეს. ამქვეყნად ისეთი მნიშვნელოვანი არაფერია, კაცისთვის მოსმენად ღირდეს. ო, ახლა რომ დამირეკავდეს, არ ვეტყვი, მოწყენილი ვარ-მეთქი შენს მოლოდინში. არ უყვართ მოწყენილი ხალხი. ისეთი ტკბილი, ისეთი მზიარული ვიქნები, რომ არ შეიძლება, არ მოვეწონო, ოღონდ დამირეკოს. ოღონდ დამირეკოს.

იქნებ დაურეკავად მოდის. იქნებ ახლა უკვე გზაშია ან იქნებ რაღაც შემთხვა. არა, შეუძლებელია რამე შემთხვეოდა. ამის წარმოდგენაც არ შემიძლია. ვერასოდეს წარმოვიდგენ, რომ რამე დაეტაკოს, ვერასოდეს წარმოვიდგენ, რომ ქუჩაში ეგდოს მკვდარი. მკვდარი?.. ნეტავ მკვდარი იყოს! რა საშინელია ეს ნატვრა და თან რა სასიამოვნო. მკვდარი რომ იყოს, ჩემი იქნებოდა! მკვდარი რომ იყოს, ამ ბოლო დღეებზე აღარ ვიფიქრებდი. მხოლოდ ბედნიერ დღეებს გავიხსენებდი. ყველაფერი ლამაზად მომეჩვენებოდა. ნეტავ მკვდარი იყოს. ნეტავ, ნეტავ, ნეტავ.

სისულელეა! სისულელეა ადამიანის სიკვდილი ინატრო მხოლოდ იმიტომ, რომ არ გირეკავს ზუსტად იმ წუთს როცა დაგპირდა, დაგირეკავს. იქნებ, საათი გარბის. არც ვიცი, სწორია თუ არა. იქნებ არც აგვიანებს დარეკვას. იქნებ რამ შეუშალა ხელი. იქნებ სამსახურში შეფერხდა. იქნებ შენ წავედი, რომ იქიდან დაერეკა და ვინმემ შეიარა მასთან. სხვების თანდასწრებით დარეკვა არ უყვარს. იქნებ ოდნავ, ოდნავ მაინც წუხს, რომ მალოდინებს. იქნებ იმედიც აქვს, რომ მე დავურეკავ. ხომ შეიძლებოდა, შეიძლებოდა, დამერეკა.

არა, არა, არა. ღმერთო, გეხვეწები, არ დამარეკვინო. გეხვეწები, შემაკავებინე თავი. ვიცი, ღმერთო, და შენც ხომ იცი, ჩემი დარდი რომ ჰქონდეს, დამირეკავდა, სადაც უნდა იყოს და რამდენი ხალხიც უნდა ეხვიოს. ღმერთო, გეხვეწები, შემაგნებინე ეს. არ გთხოვ, ტანჯვა შემომსუბუქე-მეთქი — ამას ვერც შეძლებ, თუმცა მთელი ეს ქვეყანა შენი შექმნილია. მხოლოდ შემაგნებინე, ღმერთო, ნებას ნუ მომცემ, რომ ისევ იმედიანად ვიყო. ნებას ნუ მომცემ, რომ თავი დავიმშვიდო. გეხვეწები, მომისპე იმედი, ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე, გეხვეწები!

არ დავურეკავ, არ დავურეკავ, სანამ პირში სული მიდგას. ვერ მოესწრება, მე დავურეკო. ძალას არ გთხოვ, ღმერთო, თავადაც ძლიერი ვარ. რომ ვუნდოდე, მნახავდა. იცის, სადაც ვარ. იცის, რომ აქ ვუცდი. დარწმუნებულია, თანაც როგორაა დარწმუნებული, რომ მიყვარს, როგორ! რა საოცარია, რატომ შევძულდებით ხოლმე კაცებს, როგორც კი დარწმუნდებიან, ვუყვარვართო. გაზა სიამით არ უნდა გივსებდეს გულს რწმენა!

რა უნდა მასთან დარეკვას. ამბავსაც გავიგებდი. იქნებ სისულელე არაა, რომ დავურეკო. იქნებ არ ეწყინოს. იქნებ უნდა კიდეც, რომ დავურეკო. იქნებ სცადა, თვითონ დამკავშირებოდა. ხანდახან გირეკავენ, გირეკავენ და თურმე ზარი არ გამოდის. იმიტომ კი არ ვამბობ, თავი ვინუგეშო, ნამდვილად ხდება ხოლმე. შენ ხომ იცი, ღმერთო, ნამდვილად ხდება ხოლმე. ღმერთო, შორს მამყოფე ტელეფონისგან. სიამაყის ნატამალი მაინც შემანარჩუნებინე. ალბათ მომავალშიც დამჭირდება, ღმერთო. ალბათ ამის მეტი აღარაფერი შემრჩენია.

ეჰ, რას მიქვია სიამაყე, როცა ვერ ვძლებ, თუ არ ველაპარაკე? ასეთი სიამაყე სისულელეა, წვრილმანობაა. ნამდვილი სიამაყე, დიდი სიამაყე ისაა, სულ რომ არ გამოიჩინ სიამაყეს. იმიტომ კი არ ვამბობ, რომ მასთან დარეკვა მინდა. არა, ნამდვილად არა. ეს უბრალოდ ასეა. ვიცი, რომ ასეა. დიდბუნებოვანი ვიქნები და წვრილმან სიამაყეზე მალლა დავდგები.

ღმერთო, გეხვეწები, ნუ დამარეკვინებ მასთან, გეხვეწები, ღმერთო!

არ მესმის, რა შუაშია სიამაყე. რასაკვირველია, ადვილია სიამაყის მომიზეზება და მთელი ამბის გაზვიადება. იქნებ, სწორად ვერ გავიგე. იქნებ მითხრა, ხუთი საათისთვის შენ დამირეკო: „ხუთზე დამირეკე, ძვირფასო“. რატომაც არა, შეიძლება ასე მითხრა. სულ ადვილი შესაძლებელია, რომ ვერ გავიგე სწორად. „ხუთზე დამირეკე, ძვირფასო“. მგონი, ასეც მითხრა. ღმერთო, ნუ მაძლევ უფლებას, ამდენი აბდაუბდა ვილაპარაკო. შემაგნებინე, გეხვეწები, შემაგნებინე.

სხვა რამეზე ვიფიქრებ. წყნარად ვიჯდები. ნეტა შემეძლოს წყნარად ჯდომა! იქნებ წამეკითხა. ეჰ, წიგნებში ადამიანებს უყვართ ერთმანეთი, გულწრფელად და ტკბილად. რატომ წერენ ასე? არ იციან, რომ ეს არაა სიმართ-

ლე? არ იციან, რომ ეს სიცრუეა, მტკნარი სიცრუე? რატომ ამბობენ ასეთ რამეს, ხომ იციან, როგორ მტკენს გულს? წყეულები! წყეულები! წყეულები!

დავწყნარდები. მშვიდად ვიქნები. ასაღელვებელი არაფერია. მოდი ვიფიქრებ, ვითომ სხვა ვილაყაა, რომელსაც კარგად არც ვიცნობ. ვითომ ვინმე ნაცნობია. მაშინ უბრალოდ დავურეკავდი და ვკითხავდი: „რა დაგემაართა, რა ამბავია?“ აი, ასე ვიზამდი და არც დავფიქრებდით. რატომ ვფიქრობდი, ჩვეულებრივად, ბუნებრივად მოვექცე? რადგან მიყვარს? შემძლიერებდა ვეფიცები, შემძლიერებდა. დავურეკავ და ისე, უბრალოდ და მეგობრულად ველაპარაკები. აი, ნახავ, ღმერთო. ო, არ დამარეკვინო, არა! არა! არა!

ღმერთო, არ დაარეკვინებ ჩემთან? დარწმუნებული ხარ, ღმერთო? ცოტა ვერ მოლბები, ღმერთო? გეხვეწები. არა, მაინცდამაინც ამ წუთს დაარეკვინებო. არ გთხოვ. ღმერთო, მხოლოდ ამ ცოტა ხანში მაინც დამირეკოს. ხუთსამდე დავთვლი ხუთობით. ნელა დავთვლი, არ გამოვტოვებ. თუ ამასობაში არ დარეკა, მაშინ მე დავურეკავ. დავურეკავ! ო, გეხვეწები, ღმერთო დიდებულო, ღმერთო მოწყალო, მამავ კურთხეულო, დაარეკვინე, ვიდრე ხუთსამდე დავთვლიდე. გეხვეწები, ღმერთო. გეხვეწები!

ხუთი, ადი, თხუთმეტი, ოცი, ოცდახუთი, ოცდაათი, ოცდათხუთმეტი...



უ ც ხ ო უ რ ი ი უ მ ო რ ი

გაცნობა

სახელგანთქმული გერმანელი დირიჟორი ჰანს ფონ ბიულოვი კონცერტზე მიიჩქარა. ერთმა ახალგაზრდამ გზა გადაუჭრა. დირიჟორმა თავი ვერ შეიმავრა და ახალგაზრდას ფეხი დააბიჯა.

— აქლემი! — წამოიძახა ახალგაზრდამ. დირიჟორმა შლაპა მოიხადა და თავაზიანად მიუგო:

— მე კი დირიჟორი ბიულოვი გახლავართ.

გამართლება

მოსამართლემ გაამართლა ბრალდებული, ვინაიდან ბრალად ქურდობა ედებოდა.

ვექილი ეკითხება:

— კმაყოფილი ხართ ჩემი დაცვით?

— როგორ არა, მაგრამ, რომ მცოდნოდა უდანაშაულო ვიყავი, საერთოდ ვექილს არც დავიჭირებდდი.

დასაძინებელი წამალი

ბალატაში ავადმყოფს ღრმად ჩასძინებოდა.

მორიგე ექიმმა ხანგრძლივი ყვირილისა და ჯანჯღარის შემდეგ ძლივს გააღვიძა ავადმყოფი.

— რა მოხდა? — იკითხა დაფეთებულმა ავადმყოფმა.

— ძილის წამალი უნდა მიიღოთ. — მიუგო ექიმმა.

გერმანულიდან თარგმნა

ზოთა ამირანაშვილმა.



II ნაწილი

ესტონურიდან თარგმნა ამირან კალაქიშვილი

51

6 ეტაჲ ადამიანს იმდენი თვალი მისცა, რამდენიც წიგნი მოეპოვება კაცობრიობას!

დღეს ლაფკადიო პერნის ბიოგრაფიას ვკითხულობდი. საბრალო პერნი! იგი ხომ თითქმის დაბადებიდანვე ცალთვალა იყო და ის ერთადერთი სალი თვალიც ხშირად სტკიოდა. არადა ვინ მოთვლის რამდენი წიგნი წაიკითხა მტკივანი თვალით ამ კაცმა! ამიტომაც იყო, რომ, დღენიადაც წიგნებში ჩაფლული, თანატოლებმა «Semikoolon»-ად, ანუ „წერტილმძიმედ“ მოწოდეს.

52

კარგი წიგნი არა მარტო მკითხველის, თვით მწერლის სულსაც ამაღლებს ხოლმე. ამა თუ იმ ქმნილების დასრულებისას არც ერთი მწერალი არ რჩება ისეთად, როგორც მის დაწყებამდე გახლდათ... ნაწარმოებზე რუდუნებით მუშაობისას მწერალი ქვეცნობიერად სხვათა ცხოვრებით ცხოვრობს, ხოლო ასეთ დროს, მზისქვეშეთში ჯერაც ფეხდაუდგმელ კუნძულებზე მხიარულ მოგზაურობას ხშირად დილეგის სასონარკვეთა ენაცვლება. ეს არის მონაცვლეობა გარდასახვისა და თვითმყოფადობისა. აქვე უნდა ვეძებოთ გრძნობა-გონების უთვალავ ნამსხვრევებისაგან საკუთარი თავის პოვნა-აღქმის ბედნიერებას.

შემოქმედებითი აღმაფრენით სხვათა გამდიდრებისას, პირველ რიგში, თვითონვე ვმდიდრდებით.

53

მართლაც და რა ძალუმად მოქმედებს ჩვენს შთაბეჭდილებაზე გარემომცველი პირობები, რომელშიც ამა თუ იმ წიგნს ვკითხულობთ.

ერთხელ, მახსოვს, შემოდგომის მოულოდნელმა თავსხმამ მთელი სამი დღით ამაღებინა ხელი უმიზნო ხეტიალზე. თავშესაფრის ძებნაში ტყეში ერთ ღარიბულ ქოხს წავანყდი,

* — 1 ნაწილი დაიბეჭდა 1980 წლის პირველ ნომერში.

რომელიც ბავშვებით იყო სავსე. ვიფიქრე, ეს პატიოსანი ხალხი ჩემი სტუმრობით არ შევანუხო-მეთქი და იქვე ასიოდ ნაბიჯზე, საბძელში მოვკალათდი. ერთადერთი წიგნი, რაც ქოხში მოეძევადათ, მერლიტის „შინაბერას საიდუმლო“ იყო. რა გაენწყობოდა — მე და ამ წიგნმა სამი წვიმიანი დღე ერთად გავატარეთ.

საბძლის სახურავს მონოტონურად ეცემიან წვიმის წვეთები, შორიანლო წყლით დატბორილი მინდორი მოჩანს, უფრო იქით — ტყის მონყენილი პეიზაჟი, არგვლივ თვლემისმომგვრელი სიმშვიდე სუფევს... დროგამოშვებით კი შინაბერას საიდუმლო თავგადასავალი...

გული მწყდება, რომ მას შემდეგ არ მომიხერხდა იმ ნაწარმოების ხელმეორედ წაკითხვა. სამაგიეროდ როგორც კი საბძელი და ის წვიმიანი დღეები მომაგონდება, მაშინვე იმ წიგნსაც ვიხსენებ. მართლაც მშვენიერსა და ამაღლევებელ წიგნს!

არადა ზოგჯერ ისეც ხომ ხდება, რომ უმდიდრესი ბიბლიოთეკა მხოლოდ მერქნითა და ცელულოზით დატვირთულ თაროებად, უმშვენიერესი ლექსები კი ქალაქზე დახვავებულ საღებავის სვეტებად გეჩვენება. ამ დროს, რა თქმა უნდა, საკუთარ თავსაც აღარა წყალობ და ცხოვრების უსასრულო მონყენილობაში მატლად წარმოიდგენ...

54

ესთეტიკური კულტურის ისტორია და მატერიალური კულტურის ისტორია არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მაშინ, როდესაც ტექნიკური პროგრესი თვითონვე უარყოფს, უღმობლად ანადგურებს თავის წინანდელ მიღწევებს უფრო ახლისა და სრულქმნილის დასამკვიდრებლად, ხელოვნების ისტორიისაგან მოითხოვენ, რომ მისი განვითარების ყოველმა პერიოდმა ჩვენი ყურადღება უცვილებლად გაამახვილოს ყოველმხრივ სრულყოფილი ფასეულობისადმი. თანაც ისე, რომ მიუხედავად ყოველგვარი მომდევნო სიახლისა, წინამორბედმა საესებით შეინარჩუნოს ზემოქმედებითი ძალმოსილება.

სტეფანსონის ორთქლმავალი რახანია კურიოზების კოლექციას ამშვენებს, გოეთეს „ფაუსტს“ კი დღესაც აღტაცებაში მოვყავართ.

55

მწერლის შემოქმედება ხომ მის ბიოგრაფიაზე უფრო ფართო ცნებაა. მაგრამ ქვეშარბიტი შემოქმედების სივრცე და საყრდენი მაინც ბიოგრაფიის საზღვრებშია მოქცეული.

ასეა თუ ისე, არ უნდა დაგვაინყდეს, რომ მგრძნობელობა, კვლევის სიღრმე, ფანტაზია, ყველანი ერთად თუ ცალ-ცალკე, ბიოგრაფიის ჩარჩოდან იღებენ სათავეს.

56

მაჟანი ისევ სტილის გამო ბჭობს. ეშმაკმა დალახვროს, რა უმწეობააა! რა შუაშია სტილი! კარგად უნდა წერო. ეს არის და ეს.

57

მართალია, აღმოსავლურ ორნამენტსა თუ ჩვენს საცეკვაო მუსიკაში შინაარსს ვერ იპოვით, მაგრამ რა ნათლად ასახავენ ისინი ჩვენს ეპოქას, ყოფას, ეროვნულ ხასიათს.

58

ზოგჯერ სრულიად შემთხვევითი, უბრალო გარემოებით გამოწვეული ბიძგიც კი საკმარისია შედეგის შესაქმნელად.

ბერნში, მწერალ პენრიხ ცშოკეს ოთახში, პენრიხ კლეისტმა პირველად იხილა გრაფიურა „გატეხილი სურა“. ცნობილია, რომ შემდგომში სწორედ ამ გრაფიურამ შთააგონა მას შეექმნა კომედია. გადმოცემის თანახმად ქრისტოფ ვილანდს გატეხილ სურაზე სატირული ნაწარმოები უნდა დაეწერა, ცშოკეს — მოთხრობა, ხოლო კლეისტს კომედია, როგორც ხედავთ, ფრთები მხოლოდ ამ უკანასკნელის იდეას შეესხა.

თავისი არსით ყოველი ლიტერატურა ეროვნულია, ხოლო რამდენადაც იგი ზოგადსაკაცობრიო თემებს ეხება, ანუ რამდენადაც ესმით სხვა ქვეყნის ადამიანებს, იმდენად ინტერნაციონალურიცაა. ამ გაგებით კლასიკაც ეროვნულია... და იმ ლამაზი მკვლელობის გამო, რომ მისი თემატიკა ყველასათვის გასაგებია, ხოლო იდეები ახლობელი, ჩვენ მივიჩნევთ, რომ თავისი არსით იგი ინტერნაციონალურია.

რეალურსა თუ ფანტასტიკურს, ამაღლებულსა და ჩვეულებრივს ჩვენ ეროვნული პრიზმიდან ვჭვრეტთ. ამიტომ დანტეს ჯოჯოხეთი, რა თქმა უნდა, იტალიურია, ხოლო მილტონის სამოთხე ინგლისური.

არ უნდა დაგვაფიქვდეს, რომ ფორმა შინაარსის გარსია მხოლოდ, მხატვრული სინთეზის გარეშე კი მათ დამოუკიდებელი ღირებულება არ გააჩნიათ. მხატვრული სინთეზის მიღწევა მხოლოდ ფორმის მაღალი კულტურით მიიღწევა. ამ მხრივ თავის დროზე აკი დიდი ამოცანების წინაშე ვიდევით.

ფორმა ადამიანის სულიერი ცხოვრების, აზრისა და გრძნობის განსხეულებას უნდა ემსახურებოდეს. ყოველგვარი კამათი მწერლური ტექნიკის გამო უაზრობაა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ცხოვრების რიტმსა და ენერგიას, რის გამოსახვასაც უნდა ვესწრაფოდეთ ტექნიკის წყალობით. ცალკე აღებული ფორმა კი მხოლოდ უფიცთათვისაა გამოსადეგი.

დიდი უგუნურებაა შეღავათიანი, წერილმანი მოთხოვნების შესრულება დაავალო საკუთარ თავს. საშუალო დონე კი არა, მწვერვალებია საჭირო! საშუალო დონით კმაყოფილს რა გამოლევს ქვეყანაზე. ისინი ხომ ამა თუ იმ ჩანაფიქრის არასრულყოფილ ნაწილობრივ აღსრულებასაც არად დაგიდევნ... რეალურად თუ განვსჯით და საფინიშე აღამსაც მოვიშველიებთ, უმალ დავრწმუნდებით, რომ საშუალო დონის მაძიებელნი სინამდვილეში ამ საშუალომდეც ვერ აღწევენ.

მაქსიმალური მოთხოვნილება საკუთარი თავის მიმართ! რამეთუ დიდის მისაღწევად დიადისაკენ სწრაფვაა საჭირო.

ფორმულირებას კიდევ შო, მოახერხებს კაცი, მაგრამ თვით ქეშმარიტების აღმოჩენა მეტად ძნელი რამ გახლავთ. მართალია, ცნობიერად თუ ქვეცნობიერად მას მრავალი ეზიარება, მაგრამ ამ ზიარებათა ჯამი თავის ფორმას შეიძენს მხოლოდ ერთის, ერთადერთის წყალობით. ჩვენს დროში ესა ვართ ჩვენ, ყველანი ერთად აღებული.

ვკითხულობ გორკის პირად წერილებს...

ქეშმარიტად სულში ჩამწვდომი, ამაღლებული, სიბრძნით გასხივოსნებული წერილებია. ყოველი სტრიქონი ცხოველმყოფელი სიყვარულით ან სიძულვილითაა აღსავსე.

ნეტავ ახალგაზრდობის წლებში ჩვენს ლიტერატურაშიც გვეყოლოდა მსგავსი ძლევა-მოსილებით დაჯილდოებული მოაზროვნე, ვისაც მიებაძავდით და გავყვებოდით. მაშინ ხომ არ ჩავიდენდი ყოველივე იმას, რასაც ახლა ასე ვნანობ.

ზოგ-ზოგები ამა თუ იმ ლიტერატურულ ნაწარმოებს ისევ და ისევ „ტენდენციის“ გამო ესხმიან თავს. თანაც ისე, რომ ამ ტენდენციის ქეშმარიტი არსის გასარკვევად ოდნავადაც

აღარ ირჯებიან. უერთგულეს ქვეშევრდომთა განსაკუთრებულ გულისწყრომას ჩვეულებრივად, ის ნაწარმოებები ინვევენ, რომლებიც საზოგადოებრივი ცხოვრების განახლებისაკენ მოგვინოდებენ, ის კი ავინყდებათ, რომ ნებისმიერი მოსაზრება ღალატებს ავტორის სურვილს: — გვითხრას, ავციხსნას... დაგვარწმუნოს რაღაცაში!

ნარმოუდგენელია, ამა თუ იმ მნიშვნელოვან ნაწარმოებში თუნდაც გაკვეთით არ აისახოს არსებული სოციალური ვითარება და საზოგადოებრივი ურთიერთობანი. ადამიანი ხომ დღენიადაგ ფიქრობს, აფასებს... მის ნააზრევსა და განსჯილს კი, რა თქმა უნდა, გარკვეული მიმართულებაც აქვს. წინააღმდეგ შემთხვევაში ხომ ოდა და სატირა პირწმინდად მოისპობოდა.

უსათუოდ ყურადსაღებია ისიც, რომ საზოგადოებრივ ღირებულებათა გადაფასება და მსოფლმხედველობრივი ცვლილებები პირველყოვლისა სწორედ ლიტერატურაში აისახება. ეს გახლავთ ქვეცნობიერი გარჯის ნაყოფი, რომელიც განვითარების ახალი ეტაპების განმსაზღვრელ შეგნებას ყოველთვის წინ უსწრებს ხოლმე.

როცა ამა თუ იმ თვალსაზრისს ტენდენციურად მიიჩნევს, აკი კრიტიკოსიც საკუთარ ტენდენციას გვიმჟღავნებს! ბრანდესი, ბიერნსონზე მსჯელობისას, შენიშნავს, რომ კრიტიკოსი ხელოვნებისათვის საზიანოდ სწორედ იმ აზრებს მიიჩნევს, თავიანთი სიახლის გამო პირადად მისთვის დაკანონებულ მოსაზრებებს რომ ეწინააღმდეგებიან; ჩვეულებრივად მოძველებულ ტენდენციებს ისე ეგუებიან, ეერც კი ამჩნევენ. თვალშისაცემი მხოლოდ ახალი ტენდენციები წდება. დიას, ის ტენდენციები, რომლებმაც სასიცოცხლო უფლებების დაცვა ეს-ესაა დაიწყეს, დრო, და მხოლოდ დრო, გვეხმარება ამა თუ იმ ტენდენციის გარკვევაში.

დედამიწა ჩვენი ბრუნავს, ამაზე დღეს არ დაობენ. თორემ კოპერნიკის დროს ეს მოსაზრება მკრეხელობად ითვლებოდა. ამჟამად კი პირიქით, უკიდურესი ტენდენციურობის მაგალითად თვით სასულიერო ლიტერატურას მიიჩნევენ.

განა მთელი ჩვენი ლიტერატურა დღემდე „ტენდენციური“ არ იყო? ამის ნიმუშად ფოლკლორიც კი გამოდგება მისი უცვლელი დამოკიდებულებით მეზატონებისა და მღვდლების მიმართ. მეორე მხრივ, ჩვენი პირველი ლიტერატურული ნაწარმოებები ტენდენციურობას იმითაც ამჟღავნებენ, რომ გამჟღავნებთ ღვთაების ან ამა ქვეყნის ძლიერთა მორჩილებას გვიქადაგებენ. ასევე ღრმად ტენდენციურია რეაქციული მშ-იანი წლების, ეროვნული თვითგამორკვევისა და რაციონალიზმის ეპოქის ნაწარმოებებიც. აბა თუ დამისახელებთ ჩვენი საუკეთესო მწერლებიდან თუნდაც ერთს, არატენდენციური რომ ყოფილიყო! აკი ქველანი რაღაცას ქადაგებდნენ, იცავდნენ, აიდეალებდნენ, უარყოფდნენ... მათი ძალა და დამსახურებაც ემანდაა საძებარი! მაგალითისათვის ესტონელ მწერლებს გვდავხედოთ: რაღა დაგვრჩებოდა კარლ რობერტ იაკობსონისაგან მისი სოციალურ-პოლიტიკური, აგიტაციური აზროვნების გარეშე, კრეიცვალდისაგან — რაციონალიზმის, ხოლო ლიდია კოიდულასაგან — ეროვნული აღტყინების გარეშე!

მაშ ისევ და ისევ რად ამტკიცებენ, თითქოს ხელოვნებისათვის ტენდენციურობა საზიანო იყოს? ეს მხოლოდ საზოგადოების განვითარების პირობებით აიხსნება.

ჩვენი ეროვნული თვითგამორკვევის წლებში ხალხი მწერალს არა მარტო ზურგს უმაგრებდა, არამედ მის ნააზრევსაც უსიტყვოდ იზიარებდა. საზოგადოებრივი ტენდენციის წინააღმდეგ გალაშქრება ხალხის ინტერესების წინააღმდეგ ბრძოლას ნიშნავდა. მდროინდელი გერმანული პრესა ესტონურ ლიტერატურას, რა თქმა უნდა, წამქეზებლობაში, დაკანონებული ცხოვრების წესის შერყევაში ადანაშაულებდა. კარლ რობერტ იაკობსონზე თავდასხმას ესტონური ეკლესიის ერთმა ჯგუფმაც კი დაუჭირა მხარი ხოლო ედუარდ ვილდეს პირველი წიგნის „შავ მოსასხამიანი კაცის“ გამოსვლისთანავე ატყდა გაი-უშველებელი იმის გამო, რომ „მოთხრობები შეიცავენ ქვეტექსტებს, რომლებიც ხალხს სოციალ-დემოკრატიისაკენ, ანუ არსებული წყობილების წინააღმდეგ მოუწოდებენ“.

და თუ დღევანდელ პრესაშიც მსგავსი ყიყინა გაისმის, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენი ხალხის სოციალური დაყოფა უთუოდ უფრო შორს წავიდა... ესტონელი ხალხი ხომ კარგა ხანია არ წარმოადგენს ერთ მთლიან ერთეულს. აი, აქედან მოდის „ტენდენციურობის“ ბრალდებაც.

აზრისაგან გაქცევის ყოველგვარი ცდა უშედეგოა. გასაქცევად მხოლოდ ერთი გზაა, და იმასაც უშეცრებისა და სიცარიელისაკენ მივყავართ.

ვერაფრით ვერ ვიხსენებ და არც ყოფილა შემთხვევა, რომ ჩვენს უპირველეს იუმორისტს ოსკარ ლუცს ოდესმე გაეცინოს. ისიც კი ვერ წარმომიდგენია, როგორ ხმაზე გაიცინებდა... დიდი-დიდი უგემური გრიმასა გაკრთომოდა სახეზე. ეს იყო და ეს, არადა, მე ხომ მასთან ათეული წლების მეგობრობა მაკავშირებდა. მართლაც, პირველში ხალხია ეს იუმორისტები!

სამაგიეროდ, ყველასათვის ცნობილია, თუ რა ურყევი სერიოზულობაა საჭირო მხიარული წიგნის შესაქმნელად.

არა მგონია მთელი ცხოვრების მანძილზე თუნდაც ერთი ორიგინალური აზრი მომსვლოდეს თავში. ისეთი, საკუთარი თავისთვის რომ მეთქვა: აი, ყოჩაღ-მეთქი.

სამოცდაათის რომ გახდები, გინდა თუ არა, ცხოვრების განვლილსა და დარჩენილ გზას გადახედავ. მერე რა, თუ ეს მონაკვეთები ერთობ განსხვავებული ხანგრძლივობისაა. სამაგიეროდ დარჩენილი გზა უფრო რთული, მიმზიდველი და შინაარსიანია. ასე არ არის? არა მგონია, ოდესმე უფრო ინტენსიური სულიერი ცხოვრებით მეცხოვროს, ვიდრე ახლა, ამას კი მხოლოდ და მხოლოდ ჩემს დაუოკებელ ცნობისმოყვარეობას ვუმაძლი.

ფოლკლორის სამყარო პირველ რიგში ისტორიული პერსპექტივისათვის, შედარებისათვისაა საჭირო და არა იმისათვის, რომ უკან, მისკენ ვისწრაფოდეთ. მხოლოდ მასზე დაყრდნობით თხზვა და ცხოვრება ისევე არ შეიძლება, როგორც ის, რომ გოთური პერიოდის სასახლეში ცხოვრობდე და ულტრა თანადროულად კი ფიქრობდე.

დღეს ფოლკლორის ერთ-ერთ „სპეციალისტს“ ეკითხულობ. ღმერთო ჩემო, როგორ აბრუებს ამ კაცს საქათმეების სამყარო, რა მწარედ განიცდის ქოხმახების ნგრევას!... არადა სანაძლეოს ჩამოვდივარ, თუ ყოველივე ამას მოდურად განწყობილ კაბინეტში არ წერდეს... თუ თანამედროვე კულტურის ყველანაირი მატერიალური და სულიერი მონაპოვრით არ სარგებლობდეს.

ფსიქოლოგიური ანალიზისათვის ობიექტებს რა გამოლევს... მთლად რომ განყრეს ღმერთი, ბოლოს და ბოლოს საკუთარ თავს ჩაულრმავდება კაცი. მთავარია, ობიექტი იყოს საინტერესო.

რა საოცრად ნათელია დღეს ცა!

განა არ ვიცი, რომ ჰაერი შედგება აზოტისა და ჟანგბადისაგან, ნახშირჟანგისა და ჰელიუმისაგან... ისიც ვიცი, რომ სხვადასხვა სიმაღლეებზე ტემპერატურა თითქმის ას გრადუსამდე აღწევს, რათა შემდეგ ისევ აბსოლუტურ ნულამდე დაეცეს. ერთი სიტყვით, მშვენიერად მესმის, რომ ჩვენს ირგვლივ არა მარტო რომანტიკულად ლურჯი ეთერი, არამედ უფრო კონკრეტული ქიმიური და ფიზიკური შენაერთებია...

და, მიუხედავად ამისა, სულის გამნათებელ ულურჯეს სიღრმეს მწყურვალეობით ვენაფები ყოველცისმარე.

ამბობენ, დედამიწა თანაზომიერად არ ბრუნავსო. მართალია, ბრუნვის სიჩქარე თურმე დღე-ღამეში წამის მხოლოდ მეათასედი ნაწილით იცვლება, მაგრამ მაინც მათთვის ჩემი უკიდურესად დაძაბული მგრძნობელობის გამო ამას რომ ვერ ვამჩნევ.

ასევე არათანაბარი სინათლის სხივის გავრცელების სიჩქარეც. ნუ იტყვი, და, წამში ყოველთვის 300000 კილომეტრი არ ყოფილა! მე კი ელექტრონათურას რომ ვრთავ, ამასაც ვერ ვამჩნევ.

ერთი სიტყვით, ჩემი მგრძნობელობის გამო ბაქიაობით თავს ვერაფერს მოუწონებ.

მარკ ტვენს უთქვამს: „ზოგი კაცი მთვარესავითაა — თავის ჩრდილოვან მხარეს არასოდეს არ გვიჩვენებსო“, ზოგნი კი პირიქით, სულ ამ მხარით არიან გამოჯგიმულნი. მე რომ კაცმა მკითხოს, პირველებთან ცხოვრებას ვირჩევდი, რამეთუ საკუთარი ჩრდილოვანი მხარეც მაბეზრებს თავს.

ხშირად ყველაზე ღრმა აზრებიც კი საოცრად გვანან კოჭმა პრუტკოვის სიბრძნისმეტყველებას. განსაკუთრებით ეს ითქმის აფორიზმებზე. ზოგჯერ ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორი ტონით წარმოთქვამენ მათ, ზოგ შემთხვევაში კი მსმენელთა განწყობილება და ინტელექტუალური დონე ასრულებს მთავარ როლს.

ყოველი ადამიანი გაცნობა-დაახლოებათა, კავშირ-ურთიერთობათა და დამოკიდებულებათა ერთგვარ ცენტრს წარმოადგენს. თავის მხრივ ასეთივე ცენტრია ყოველი მისი ნაცნობიც და ა. შ. და ა. შ. ამიტომ ჩვენ არა მარტო ხალხთან, ნაწილობრივ მთელ კაცობრიობასთანაც ვართ დაკავშირებული მისი განვითარების ყოველ ეტაპზე. ესაა უწყვეტი ჯაჭვი დროსა და სივრცეში. ჯაჭვი, რომელიც ადამიანის გაჩენიდან დღემდე მთელი ქვეყნიერების გასწვრივაა გადაჭიმული.

ყოველივე ამის შემდეგ როგორღა უნდა წარმოიდგინო თავი იზოლირებულ ერთეულად?

განა ყველას უნახავს ოკეანე, რომ ცხოვრებისეული ძნელებდობანი მისი სიბოროტრისათვის შეედარებინა. სულ სხვაა, როგორც იტყვიან, გრიგალი ჭიქა წყალში! არადა დღენიადაგ სწორედ მისგან ვცოდვილობთ და ვიტანჯებით. მთელი უბედურებაც ამასია!

„ბოროტებისა და სიკეთის მიღმა“ — რა ალოგიური გამოთქმაა! სიკეთე და ბოროტება ადამიანში ერთობლივად ვითარდება... მაშ როგორღა უნდა აღმოჩნდეს საკუთარი თავის „მიღმა“?!

რა ხშირად ვკიცხავთ ხოლმე ზარმაცობისათვის არა მარტო სხვებს, საკუთარ თავსაც. მაგრამ იმ მცირე ნაღვანის სამოქმედო ძალის გაკეთებასაც ასწრებს ადამიანი ცნობრებაში, უნაყოფო ან რაღაც ზედმეტი, გაკეთებულის უაზრო განმეორებაა. ჩვენ კი, მიუხედავად ამისა, საფორანე ცხენივით ყოველ ცისმარე ნაცნობი ქუჩით ვაგრძელებთ გზას.

მაგალითისათვის ეს საკვანძო სადგური ავიღოთ. მე ხომ ასჯერ და ათასჯერ ვყოფილვარ აქ... რამდენჯერ გამოვსულვარ მის ვიწრო ბაქანზე სასეირნოდ, რათა მერე ისევ ვა-

გონში მოვკალათებულიყავი და საითაც მომესურვილებოდა, იქით გამეგრძელებინა გზა. სადგურის გარეუბანი ჩემთვის დღემდე უცნობია! მე მხოლოდ სადგურის ფასადი და ეს ვიწრო ბაქანი მეცნობა! ჭეშმარიტად გულდასაწყვეტია, რომ მთელი ცხოვრების მანძილზე, ერთხელაც ვერ მოვიცალე გარეუბნის დასათვალიერებლად.

76



ადამიანი დროდადრო და რომელიმე განსაზღვრულ ადგილას ხარჯუნს — სრლმე თავის ძალ-ღონეს. ბუნება კი პირიქით — შეუსვენებლად შრომობს და სწულგან ერხადროულად. იგი, მართალია, არაეკონომიურად და უგეგმოდ ირჯება, ზედმეტად უშურველია, მაგრამ სამაგიეროდ დრო აქვს უხვად.

79

მას შემდეგ, როცა დარეინაზმმა ცოცხალ ორგანიზმთა შორის არსებული საერთო და განმასხვავებელი ნიშნები აგვიხსნა, სარწმუნო გახდა, რომ ყველანი, ასე თუ ისე, „ერთი ეზოს ბიჭები“ ვყოფილვართ.

80

ადამიანმა იმთავითვე ღმერთის, ეშმაკის, შავი ჭირისა და სიკვდილის პერსონიფიკირება მოახდინა.

შეიძლება ითქვას, რომ დღემდე მხოლოდ ამ უკანასკნელმა მოაღწია, რამეთუ სწორედ მასთან შეხვედრა მოუწევს ყველას ადრე თუ გვიან. დანარჩენი სამი კი აბსტრაქციის ბურუსში გაახვია გულგრილობამ და მეცნიერებამ.

ხოლო სიკვდილი... სიკვდილი მუდამ სასთუმალთანაა ჩასაფრებული. ადამიანებს მუდამ შიშის ზარსა ჰგვრის მისი ნაბიჯების ხმა, მისი მსახვრალი ცელის სისინი...

უბრალო ადამიანის წარმოსახვით სიკვდილი საიქიოს მოციქულია, რომელიც კბილებდაკრეჭილი თავის ქალით და ჩონჩხის ღრჭილით გვიახლოვდება. ფრიად საეჭვოა, შორის მეტერლინკსაც ამნაირად ჰქონდა წარმოდგენილი სიკვდილის აჩრდილი, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მისი ფილოსოფიისათვის მსგავსი ასოციაციები უცხო როდი იყო.

ბევრი წყაღე ჩაივლის, სანამ ჩვენ სიკვდილს არარაობაში გადასვლად, ლოგიკურ დასასრულად, ზეუღლებრივი ბიოლოგიური არსებობის დასასრულად აღვიქვამთ. მთავარია, ჩვენი აზროვნების დამაბნელებელ მისტიკას დავაღწიოთ თავი.

81

ძნელბედობის წყვდიადში, ჰაინეს თქმით, ყველაზე საიმედო მეგზური რელიგიაა.

ისიც ხომ ცნობილია, რომ სიბნელეში გზის მკვლევად ბრმას ვერაფერ შეედრება. გზანვრილებსა და ლაბირინთებში იგი მხედველზე უკეთ იცავს ორიენტაციას.

თავის ერთ-ერთ სიტყვაში ბრანდესმა ბრძანა:

„ნათქვამია რწმენა მთებს გადააყირავებსო... და თუ მსგავსი რამ ჯერჯერობით არ გვიხილავს, აქვე ისიც უნდა დავძინოთ, რომ არც მეცნიერებას დაუძრავს მთები ადგილიდან, ეს კია, მეცნიერებამ მთების გულში გვირაბი გაგვაყვანინა, მართალია, მან ჩვენსა და უხილავს შორის აღმართული კედელი ვერ დაანგრია, მაგრამ რამდენიმე ხერხი მაინც გამოჭრა, საიდანაც ცხოველი შუქი გადმოიღვარა.

ქებათა ქება ადამიანის გონიერებას!

82

მორწმუნეთა შორის ცეცხლთაყვანისმცემლები მხიბლავენ ყველაზე მეტად.

ცეცხლია კაცობრიობის ისტორიის ჭეშმარიტი სანყისი. ის და მხოლოდ ის არის ცხოვრების ნამდვილი შემოქმედი. სწორედ ეს ქიმიური პროცესია ერთადერთი მისტერია, რომლის ხილვაც ყოველდღე ძალგვიძს.

ცეცხლი ღმერთია, ხოლო პრომეთე წინასწარმეტყველია მისი!

აი, მე ისევ ბუხრის წინ ვზივარ და თაყვანს ვცემ ცეცხლის ღმერთს! რახანია უდიდესი კრძალვით შევყურებ ალს, რომელიც ამდიდრებს ჩემს გონებას, აფრადებს ოცნებათა სამყაროს... ამ მშვენიერი სალამანდრის ცეკვაში ნამიერი სეედაც მერქალდება და მე ვმხნევდები.

83

ეროვნული
ზიგლირთეა

რამდენ გაზაფხულს შევესწარი, განუმეორებელი კი მხოლოდ ეს მგონია! ო, როგორ მინდა მთლიანად მასში გავლდე! სამუდამოდ შევინარჩუნო!.. და მეც მისებრ მშვენიერ ხსოვნად შევრჩე ქვეყნიერებას!

84

გულახდილად რომ წერო, დიდი გამბედაობაა საჭირო... სიმართლის წერას ისევ ღამით თუ მოახერხებს კაცი: სიბნელეში ნანერს რომ ვერ ხედავ, შიმშელი სიტყვების წინაშეც არ მორცხვობ.

85

ნეტავ რას ვიზამდი, არჩევანის სრული თავისუფლება რომ მეონოდა? ვინ ვიქნებოდი? სად ვიქნებოდი? ან კი საერთოდ ვიქნებოდი?

86

რატომ გვგონია, თითქოს მიცვალება უფრო იდუმალი რამ იყოს, ვიდრე დაბადება... იმიტომ ხომ არა, სიკვდილის იქით რომ არაფერი გაგვეგება? მაგრამ საიდან მოვედით, ესეც რომ არ ვიცით?!

ისღა დაგვრჩენია, ამჟამინდელი არსებობით დაუტკბეთ, რამეთუ არყოფნის გრძნობა ჩვენთვის საერთოდ უცნობია.

87

რამდენი გმირი არ ჩაიდუნდა ამა თუ იმ გმირობას, სხვა გამოსავალიც რომ მეონოდა. ხშირ შემთხვევაში გმირობა სასოწარკვეთიდან გარდუვალისაკენ გადადგმული ნაბიჯია მხოლოდ და მხოლოდ, რომელიც დროთა განმავლობაში საამაყო რისკად აღიქმება. დიახ, პირველ რიგში სწორედ გმირი ფიქრობს ამგვარად თავისი გმირობის შესახებ.

88

კაცობრიობის ისტორიას თუ დავაკვირდებით, რამდენი ადამიანიც აღესრულება, იმდენივე იბადება. მეტნაკლებობა აქ თითქმის გამორიცხებულია.

მიუხედავად ამისა, ზოგჯერ მაინც გვეჩვენება, თითქოს პლანეტაზე ჩვენი სადგომი ფართი დღითიდღე მცირდებოდეს. ამაო შიშია — აკი მშვენიერად ვეტყვიან. გარწმუნებთ, მინით ყველანი გარანტირებული ვართ... ღმერთმა გვაცილოს და ერთიანად რომ გაენწყდეთ მაშინაც კი.

89

ზოგი მიწასთან შეხებით ძალას იკრებს... ზოგი ტალახში ითხუპნება! ამიტომაც, რომ რეალიზმთანაც ასეთივე დამოკიდებულება აქვთ.

90

ნერვები უწვრილესსა და უსათუთეს ძაფებს შგავსო...

ცხოვრებისეული გამოცდილება გვარწმუნებს, რომ ისინი უზარმაზარ სიმძიმეებსაც

უძლებენ...

ასე რომ „უსათუთესი ძაფები“ აშკარად გადაჭარბებული გამოთქმაა.

91



ეს გაზაფხული გვიან მოვიდა. აი, ახლაც ჩემს ბაღში ვზივარ და ყვავილებს ამოსვლას ველოდები. ვცდილობ არ გამომრჩეს, თუ როგორ ამონვერავს პირველი უმწეო ყლორტი... არა და არ ჩანს არაფერი! თავს იმითლა ვიმშვიდებ, რომ ახლა, გაზაფხულით გაფუჭებულ მიწაში ის უსასრულო ბიოლოგიური პროცესები მოემედებენ, რომელთა შესახებაც მე ისევე ცოტა გამეგება, როგორც საკუთარი ცხოვრებისა.

92

მზის დაბნელება! აი როდის იხედებიან ადამიანები ცისკენ და ისიც გამჭვარტლული შუშით!

93

სამჯერ დაკაკუნებაზე გამეღვიძა... ვინ არის? — დავიყვირე გამოფხიზლებისთანავე. არავითარი პასუხი. ვინ დააკაკუნა?! — ვიყვირე უფრო თავგამეტებით. ისევ სიჩუმე. მე კი ჯერაც იმ მბრძანებლური კაკუნის ტყვეობაში ვარ...

...ვინ იცის, იქნებ მართლაც დადის ვინმე კარდაკარ! დადის ის დალოცვილი და გვალვიძებს: ჰეი, ადექით! — დაგვძახის იგი — გამოიღვიძეთ, რა დროს ძილია! შეიცანით დრო, რომელშიც ცხოვრობთ! დაფიქრდით, ვინ ხართ და რა უნდა აკეთოთ! ყოველი წამი ძვირფასია! ჰეი, დრო დადგა, დრო მოქმედი მეთვალყურისა!

94

„ნუ იკვლევთ წიგნებს, იკვლიეთ ადამიანები!“

წიგნიც ცხოვრებაა! ცუდი წიგნი კი ფაქტია. დიას, სავალალო ფაქტი.

სხვათაშორის, წიგნებში უფრო ძნელად სავალი გზანვრილებაა, ვიდრე ცხოვრებაში... წიგნებში ცხოვრების ექსტრაქტია. იქ ჩვენი ყოფის ამსახველი რჩეული გვერდებია ჩაკერებული: არსებობის სიღრმე და სიღამაზე... უხამსობა და სიცარიელე! რას არ ნახავთ იქ.

ჩვენი ვალია სულ უფრო და უფრო დავხვეწოთ მხედველობა ზომიერ შუქზე, ე. ი. ცუდ წიგნში ნუ მოვიძებნით უკეთესს ანუ კარგ წიგნს. თორემ უმაღლეს ხელმოცარულ ფსიქოლოგს დავემგვანებით, უმეცარში რომ ამაღლებულს მოიძებნის.

და ბოლოს, ცუდი წიგნი იმდენადაა საინტერესო, რამდენადაც ჩვენს ირგვლივ მოფუსფუსე ადამიანების დიდი უმრავლესობა.

95

მე, რა თქმა უნდა, სიმართლის მხარეზე ვარ... მაგრამ ისეც ნუ გამიგებთ, თითქოს ხელოვნების ნაწარმოებში მოხდენილად გაბრწყინებულ სიცრუეს მოუხეშავი ჭეშმარიტება მერჩიოს.

96

შემოქმედს გაიდუალების უფლება თუ არა აქვს, სამაგიეროდ სიმახინჯიდან უნდა იდგეს შორს...

გადაჭარბება მხოლოდ მაშინაა ასატანი ხელოვნებაში, როცა მას დახვეწილი ფორმით ანუ ზომიერად გვთავაზობენ. ამ დროს მთავარია თვით გადაჭარბების ცნება გვესმოდეს სწორად.

იშვიათად განმიცდია ცხოვრებაში ლამაზი სიხარული... ლამაზი დარდი — არასოდეს! ლამაზ დარდს უფრო ხშირად ხელოვნებაში ვხვდებით.

97

როცა ესა თუ ის ავტორი თავისივე თემატიკის დონეზე არ დგას, მაშინ იგი ან პოზიო-
რობს ან ქედმაღლურად იბღინძება, ან არადა მის პერსონაზე ამაღლებულ თემატიკას ქვე-
შიდან ჭვრეტს.

98

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამბობენ ცისარტყელას თვალწარმტაცი ფერადოვნება რძის ფერში გადადისო... ეს თუ
ნამდვილად ასეა, მაშინ ნაირგვარ სიცრუეთა ჯამში სიმართლის აღმოჩენაც არ უნდა
გაგვიჭირდეს.

99

ყოველი შეამბოხე ბოლოს და ბოლოს ფილოსოფოსად იქცევა ხოლმე... თუ, რა თქმა
უნდა, მანამდე არ გააყოფინეს ყულფში თავი.

100

კეთილი მეგობარო! თუკი სამომავლოდ ჩემი ცხოვრების კვლევა-ძიებას შეუდგები,
გადამეტებულ სერიოზულობას განსარიდე ღვთის გულისათვის!

საერთოდ, ჩემს ცხოვრებას მგონი არა უშავდა რა... თუმცა, როგორც იტყვიან, ასეც
იყო და ისეც! და თუ რამ კარგი გადამხდენია, ძნელ ბედობის სამაგიეროდ მხოლოდ და
მხოლოდ.



მწერლის როლი თანამედროვე საზოგადოებაში

ფრანგულიდან თარგმნა თინათინ ჯიქოძემ

განსხვავდება თუ არა დღევანდელი მწერლის როლი იმისგან, რომელსაც ის უწინდელ დროში ასრულებდა? ამ კითხვას რომ ვუპასუხოთ, უნდა გავიხსენოთ, რაში მდგომარეობს მწერლისა, და უფრო ფართოდ, მხატვრის უწყვეტი დანიშნულება.

რაც უნდა შორეულ წარსულში, თუნდაც პრეისტორიულ ეპოქაში გავიხედოთ, დავინახავთ, რომ ადამიანები მუდამ ყოფილან მხატვრები, მოქანდაკეები და შეუქმნიათ ლეგენდები და მითები. გამოქვაბულში მცხოვრებნი კლდეებზე ხატავდნენ ცხოველებს. ეგვიპტის აკლდამები, სადაც არავის შეუძლო ფეხის შედგმა, საუცხოო ბარელიეფებით იყო შემკული. ყველა ბალხა პტონდა თავიანი წმინდა ტექსტები, თავდაპირველად ზეპირი გადმოცემები, შემდგომში კი ჩანერგილი. ჰომეროსის პოემები აერთიანებდნენ საზოგადოებას. საშუალო საუკუნეებში ადამიანები თავიანთი სახსრების უმეტეს ნაწილს ტაძრების აშენებას ახმარდნენ. დღევანდელ მსოფლიოში ხელოვნება, როგორც ყოველთვის, ასრულებს უდიდეს სოციალურ როლს. ყველა ქვეყნისა და ყველა სოციალური მდგომარეობის ქალი თუ კაცი ყიდულობს რომანებს, დადის თეატრში, კინოში. რატომ?

დიახ, რატომ ხდება, რომ ყველა მზადაა თავისი შრომა, თავისი ფული დახარჯოს, რათა შექმნას ხელოვნების სამყარო და შეადნოს ამ სამყაროში? ჩვენ დღენიადაც გვტანჯავს და გვაბრუნებს სიყვარული, ეჭვიანობა, პატივმოყვარეობა, ომები, სიკვდილის შიში, მაგრამ, იმის მაგივრად, რომ მოცალეობის საათებში მაინც გვაძოთ გულიდან გადავიგდოთ ყოველდღიური ჭირ-ვარამი, თეატრში ან კინოში მივდივართ, რათა იე ჩვენი საკუთარი დრამის მსგავსი დრამა ვიხილოთ. რატომ ხდება ეს? განა რეალური ცხოვრება არ არის ისე მდიდარი, რომ დაგვაკმაყოფილოს? ჩვენ გვაქვს საკუთარი პოლიტიკური ცხოვრება, თანაც საკმაოდ გაცხოველებული, მაშ რისთვის მივდივართ თეატრში შექსპირის „იულიუს კეისრის“ სანახადად? ჩვენ თვითონვე ხანგრძლივად, ძნელად ვსწავლობდით ცხოვრებას, მაშ რატომღა გვაინტერესებს ვილჰელმ მაისტერის, ყიულიენ სორელის, რასტინიანის სწავლების წლები?

გრაველმხრივობა მხატვრის როლისა

ამ კითხვაზე მე ვუპასუხებ, რომ მწერალი, და უფრო ფართოდ მხატვარი, ადამიანთა საზოგადოებაში უცვლელ როლს თამაშობს, დამოუკიდებლად დროისა და ადგილისა. ეს როლი მრავალმხრივია.

1. ხელოვნებისაგან — რომანისაგან, დრამისაგან, თუ ფილმისაგან ჩვენ იმას მოვიტხოვთ, რისი მოცემაც ცხოვრებას არ შეუძლია. როცა რაიმე უზომოდ გვსურს, ჩვენი სურვილის დასაკმაყოფილებლად ორ ხერხს მივმართავთ. პირველი — შევიძინოთ ან დაფიქროთ ის, რაც ძალიან გვსურს, — ეს მოქმედებაა. როცა ველურს მოშივდება, ის სანადიროდ ან

სათევზაოდ მიდის. როცა ყმანვილი კაცი ქალითაა გატაცებული, ის ცდილობს ქალს თავი მოაწონოს. მაგრამ შეიძლება ნანატრი მოქმედების შესრულება შეუძლებელი აღმოჩნდეს. შესაძლოა კაცი მეტისმეტად სუსტი იყოს, რათა ინადიროს, ან მეტისმეტად მთრთუნველი იყოს, რომ ქალთან იარსიყოს. რა ნაშალი უშველის ასეთ შემთხვევაში? ის მოქმედებიდან უნდა გადავიდეს კვლავნარმოქმნაზე. როგორ იქცევა პირველყოფილი მონადირე, როცა ბიზონს ან ირემს ვერ პოულობს? ის ამ ცხოველებს ლასკოს მღვიმეებში, ცხელი წყლის საბაზებზე და იმედი აქვს, რომ ეს გამოსახულება ჯადოსნური ძალით მოიზიდვას. როგორ იქცევა უიღბლო შეყვარებული, რომელსაც მეტი აღარაფერი დარჩენია, რომ სხვა, უბადრუკი სიყვარულით დაკმაყოფილდეს? თუ ის პომეროსის ეპოეის ბერძენია, თავის სარტყელზე ღმერთქალებს მოიხმობს: აფროდიტეს ან ჰერას, თუ ის II საუკუნის ფრანგია, კინოში წავა და ჯან მოროს ან ბრიჯიტ ბარდოს ცქერით ტკბება, ანდა შეიყვარებს ნატაშას „ომი და მშვიდობიდან“, ქალბატონ დე რენალს „ნიტელი და შავიდან“, მარსელ პრუსტის ალბერტინას. ბევრი ადამიანის ცხოვრება უშინაარსო და უფერულია. მხოლოდ შემთხვეული ამბავი თუ ახალისებს ასეთი ადამიანების ცხოვრებას.

2. კვლავნარმოქმნის უპირატესობა მოქმედებაზე, რომანის უპირატესობა სინამდფაზე იმაში მდგომარეობს, რომ ხელოვნების ნაწარმოები იმის უფლებას გაძლევს, რასაც რეალური ცხოვრება გიკრძალავს: უანგარო ჭვრეტას. ტოლსტოის თავად ანდრეის მსგავსად, ჩვენ, ქალმომრეობის საუკუნის მამაკაცებმა თუ ქალებმა, ომიც გადავიტანეთ და მშვიდობაც; ჩვენც მასავით გამოვცადეთ სიყვარული, მაგრამ რა პირობებში? იძულებული ვიყავით სწრაფად გვემოქმედნა, აღსავსენი ვიყავით რისხვით, შიშით, სევდით და ისე განვვლეთ ჩვენი ცხოვრება, გემო ვერც კი გავუგეთ. ჩვენ ამოსუნთქვის საშუალებას არ გვაძლევდა იმის შეგრძნება, რომ აუცილებლად რაღაც არჩევანი გავუკეთებინა, რაღაც გადაგვწყვიტა, რაღაც გველონა. „როგორ მიწოდდა ცოტათი შეეჩერებულიყავი, სული მომეთქვა, ამ სახით, ამ გრძნობით დავმტკბარიყავი“, — ვამბობდით ჩვენ. „არა, — გვიპასუხებდა ცხოვრება, — ნადი, შენი გზით იარე, ნუ შეჩერდები!“ მარტოოდნ პოეტები და რომანისტები თუ გვათავისუფლებდნენ ამ სისწრაფისაგან. „ყველაზე გრძელი დღე“ ნორმანდიის სანაპიროზე ჯოჯოხეთური ორომტრიალი, სიკვდილისაკენ გაქცევა იყო, როცა ყოველი ადამიანი თავის გარშემო მარტო რკინისა და სისხლის წარღვნას ხედავდა. მშვენიერი სანახაობაა ეკრანზე ეს დღე. ვატერლოო „პარმის საფანის“ მკითხველისთვის, ვერდენი „კეთილი ნების ადამიანებისთვის“ არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენს, არავითარ გადანწყვტილებებს არ მოითხოვს. ამ დროს უანგარო ჭვრეტას ვეძლევი. როგორც მაღრო ამბობს, ტიციანის ვენერა ჩვენ არ გვიღვიძებს მისი დაუფლების სურვილს, ის გვინერგავს სურვილს მისი თავყვანისცემისა.

მე ვიმეორებ, რომ ესთეტიკური გრძნობა მუდამ უანგაროა და ამაშია თვით მისი არსიც. დიდი მწერლები არ გვაიძულებდნენ გამოგვეჩანა განაჩენი, რაც ჩვენ აუცილებლობის სამეფოში დაგვაბრუნებდა. მათი ნაწარმოებები ემყარებოდა მყარ ფასეულობებს: სიკეთეს, სიყვარულს, მეგობრობას. ისინი მკითხველს აიძულებდნენ, განეცადა გრძნობა, რომელიც მას უფრო ძლიერს გახდიდა. მათ უნარი შესწევდათ საოცარი ინტერვაი გაეღვიძებინათ ყოველდღიური ცხოვრების სულ უმნიშვნელო ეპიზოდების მიმართაც კი. ისინი გვაჩვენებდნენ, რომ პატარა დრამებს იგივე ფასი აქვს, როგორიც დიდ დრამებს, უფრო მეტიც, რომ სწორედ პატარა დრამებია დიდი დრამები. ბალზაკი, ჩეხოვი, პარანდელო ნუგეშს სცემდნენ მათ, ვინაც, ზერელე შეხედვით, თითქოს უფერულ ცხოვრებას ეწევა. ისინი ყველასთვის წერდნენ და მათ ყველა კითხულობდა. სამოცდაათიანი წლების ყველა ფრანგი, მიუხედავად თავისი კლასობრივი მდგომარეობისა, ვიქტორ ჰიუგოა კითხულობდა ისევე, როგორც ყოველი ინგლისელი დიკენსს კითხულობდა. ანტიკური თეატრი ღულვას მგვრიდა ათენისა თუ რომის ყველა მოქალაქეს, ის ყველას ესმოდა, გველა აღტაცებაში მოჰყავდა. დიდი ხელოვნება წმენდდა ადამიანებს, და ვფიქრობ, უკეთესს ზდიდა მათ. ასეთია ხელოვნების ერთ-ერთი მუდმივი ფუნქცია. ხელოვნებამ ეს ფუნქცია დღესაც უნდა შეასრულოს, თუმცა ზოგიერთ შემოქმედს ეს ავიწყდება.

3. მაგრამ ეს ჯერ კიდევ ყველაფერი როდია. ხელოვნების კიდევ ერთი ფუნქცია ის არის, ჩვენი გონებისათვის გასაგები გავხადოთ ესოდენ გამოუცნობი სამყარო. რა არის ჩვენთვის გასაგები ცხოვრებაში? თითქმის არაფერი. გაუგებარნი და ძალიან რთულნი არ-

ან ადამიანები ჩვენ მთელ ცხოვრებას ვატარებთ მშობლების, შვილების, მეუღლის გვერდით, მაგრამ ბოლომდე მაინც არ გვესმის მათი. საკუთარ თავსაც კი არ ვიცნობთ ხეირიანად. კიდევ უფრო ნაკლებად შეიძლება ვიცნობდეთ მათ, ვინც დიდი მანძილითაა ჩვენგან დაშორებული: სახელმწიფო მოღვაწენი, ეროვნებები, უცხო ხალხები. ბუნება ბურუსშია გახვეული და ის ერთთავად ხელიდან გეისხლება. ხშირად სურვილი მაქვს დაფიქროს საყვარელი სახის გამომეტყველება, ის კი მსწრაფლ იცვლება, როგორც მსუბუქი ქავლი წყლის ზედაპირზე. აპრილის ცასავით ცვალებადია ჩვენი გრძნობებიც. მაგრამ კარგად აგებული რომანი ჩვენ გვთავაზობს ადამიანთა ისეთ სახეებს, თუნდაც ნაზიდან იდუმალთ, რომლებიც მუდამ უფრო გასაგებნი არიან გონებისათვის, ვიდრე რეალური არსებანი, რამეთუ რომანის პერსონაჟები ადამიანის გონების მიერ არიან შექმნილნი. *Ars est homo additus natural* ხელოვნება — ეს არის ბუნება პლიუს ადამიანი. ამგვარად, ადამიანი არის ბუნება, რომელიც მიახლოებულია ადამიანთან.

ეს უმაღლესი მკაფიობა ხელოვნებისა თავისი თავის ასახსნელად მსჯელობას არ საჭიროებს. მშვენიერი დაფიქრების გარეშეც გასაგებია. თქვენ უყურებთ ტაძარს, გაღელვებით მისი სილამაზე, მაგრამ ის თეოლოგიურ ფიქრებს არ გგვრით. ის თავისთავად ნიშნავს რაღაც უდიდესს, იდუმალს, ღვთაებრივს. საშუალო საუკუნეების წმინდანისა და ანტიკური ღვთაების ქანდაკება საშუალოდ სძენს ფორმას კაცობრიობის მოხეტიალე ოცნებებს. უსაგნო ოცნება სამძიმოა. ეს კარგად იგრძნობა უძილობის დროს. მხატვარი, რომანისტი ოცნებას საგნობრიობას, ფორმას აძლევს. რაოდენ დიდი სიამოვნებაა, ამ სწრაფნარმავეალ სამყაროში მყარ ფორმებს მოულოდნელად: ჯოკონდას, ქალბატონ ბოვარის, ტერეზა დესკეირუს, ანა კარენინას. მათთან განუწყვეტელი შეიძლება დაბრუნება, მათზე თვალის დასვენება. პრუსტის დიდი რომანის მთელი აზრიც ესაა: „ცხოვრება ისეთი, როგორაც მიეძინება, არაფერია, გარდა დაკარგული დროისა. რაიმეს გადარჩენა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ მას მარადიულობის, ესე იგი, ხელოვნების ფორმას მივცემთ“. და მწერლის კიდევ ერთი მუდმივი ფუნქცია ესეცაა. ატილევსისგან და პატროკლესგან დაწყებული დონ კიხოტსა და სანჩომდე, ანდრომაქედან მოყოლებული ბეატრიჩემდე, ალბერტინადან — შარლიუსამდე მწერალი მარადიულ ფორმებს ქმნის და ეს ფორმები უფრო მუდმივნი არიან, ვიდრე თვით ცხოვრების ფორმები.

მწერლის ამ მარადიული დანიშნულების გათვალისწინების შემდეგ აბსურდი იქნებოდა იმის მტკიცება, რომ მწერლის როლი თანამედროვე სამყაროში სრულიად განსხვავებულია იმისგან, რომელსაც იგი წარსულში ასრულებდა, რომ ხელოვნების ფორმა, რომელიც ერთხელ მშვენიერი იყო, შეიძლება სამუდამოდ მოძველდეს, და რომ ხელოვნებაში არსებობს პროგრესი. არც ერთი თანამედროვე პოეტი არ შეიძლება პომეროსზე ან ბერძენ ტრაგიკოსებზე გენიალური იყოს. პრუსტი ბალზაკზე დიდი არ არის, ის უბრალოდ სხვაა. მალარმე და ვალერი არ არიან „პროგრესულნი“ პიუგოსა და ბოდლერთან შედარებით. ისინი სხვა ეპოქაში მცხოვრები სხვა ადამიანები არიან. ჩეხოვი გოგოლზე არც უკეთესია, არც უარესი. და ჩეხოვი არ იქნებოდა ის, რაც იყო, გოგოლი რომ მისი წინამორბედი არ ყოფილიყო. არც ერთმა მწერალმა, არც ერთმა თაობამ არ შეიძლება ნულიდან დაიწყოს. ადამიანის უბადრუკობის პირველი ნიშანი ის არის, როცა ის წარსულის ოსტატებს სათანადო პატივს არ სცემს.

სამაგიეროდ, სხვადასხვა ისტორიული ეპოქები, სხვადასხვა განედები ხელოვნების საკუთარ ფორმებს წარმოქმნიან. მუდმივი მოთხოვნილებები არსებითად არ იცვლება. მაგრამ იცვლება მათი დაკმაყოფილების ხერხები და, ამის შედეგად, გამომსახველობითი საშუალებანი. კლასიციზმი უპასუხებდა ძლიერი იერარქიის ეპოქას, დარწმუნებულს თავის სიმტკიცეში. რომანტიზმი ეგზოტიკაში, ფანტასტიკაში ან ისტორიაში ვაქცეფით ნუგეშს ხდებდა თავისი თავით უკმაყოფილო საზოგადოებას (გოეთეს დროის გერმანელი ახალგაზრდობა, ფრანგი ახალგაზრდობა, რომელსაც რესტავრაციის დროს დიდება ჰქონდა ნართ-მეუღლი, 1920 წლის ამერიკელი ახალგაზრდობა). მეცნიერებასა და პოზიტიურ ფილოსოფიას XIX საუკ. ორმოცდაათიან წლებში უნდა წარმოეშვა ნატურალისტური რომანი. ჩვენს დროში, როცა ფიზიკოსისთვის მატერია მათემატიკურ ფორმულაშია გამოხატული, როცა მე უკვე სკამზე კი აღარ ვზივარ, არამედ განტოლებათა ქსელზე, ხოლო მხატვრები, ყოველ შემთხვევაში, ზოგიერთი მათგანი, საგანს უარყოფენ, — ზოგიერთი რომანისტიც უარყოფს სიუჟეტსა და პერსონაჟს. ასეა მოწყობილი. ყველანი თავიანთ დროს ეკუთვნიან.

ის, რასაც „ახალი რომანი“ ეწოდება, ღირსია ჩვენი ყურადღებისა. შოკის ეფექტი

ლიტერატურაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს „მშვენიერი ყოველთვის გასაკვირია“, — ამბობდა ბოდლერი. ის, რაც არ გვაკვირებს, ძნელად თუ იზიდავს გაფაქიზებულ და გულ-მოყრჩებულ ლიტერატორებს. „ახალი რომანი“ ყოველთვის საჭიროა. ოღონდ ჩმის ფიქ-რია შეცდომა, რომ „ახალი რომანი“ აბსოლუტურად ახალია, ანდა ის მუდამ „ახალი“ დარ-ჩება. ყოველი დიდი რომანისტი თავის დროზე „ახალ რომანს“ ქმნის, ბალზაკი და სტენ-დალი ისე კარგად უბნევდნენ თავგზას თავიანთ თანამედროვეებს, რომ „ქმნიდნენ“ უმ-რავლესობა მათ არ სცნობდა. პრუსტი ვერ გაიგეს, როცა მან 1913 წელს „სენ-პრესის“ დაწერა. მაგრამ უნდა გავფრთხილდეთ! შოკის ეფექტი დიდხანს არ გრძელდება, განცვიფ-რება მალე ნელდება. საზოგადოება ჯერ ეჩვევა უცნაურ სტილს, მერე კი იღლება მისგან. ახლა მას ახალი მოთხოვნილებები უჩნდება და მადის გასალვადებლად ახალ-ახალი კერძები სჭირდება. ეს ახალი კერძებიც ერთხანს გემრიელი ეჩვენებათ, მერე კი ისინიც გაუგე-შურდებიან ხოლმე. „ქვეყანაზე არაფერი ისე სწრაფად არ ძველდება, როგორც სიახლე“, — ამბობს ჟაღერი და ჩვენს ყურადღებას მიაპყრობს იმაზე, რაც არ ძველდება: ფასეულობანი, რომელნიც ახალი კი არა, მარადიულნი არიან.

ჩვენი დროის განსაკუთრებული მოვლენაა ის, რომ „ავანგარდი“ დღეს შეგნებულად მიისწრაფის სიახლისაკენ და საოცარი ილუზიის შემწეობით თავი მიაჩნია „ავანგარდად ad aeternum“. მაგრამ ყოველი ეპოქის ავანგარდი დროის უღმრთესი სრბოლის შედეგად, შე-დეგად ზნე-ჩვეულებათა ცვლილებისა და შოკის ამორტიზაციისა, აუცილებლად შემდგომი ეპოქის არაერგარდად გადაიქცევა. არც ვირჯინია ვულფი, არც პრუსტი არ ამბობდნენ და არ ფიქრობდნენ: „მე ავანგარდს ვეკუთვნიო“. ჩვენი ეპოქა ფანატიკურად იყენებს მოუ-ლოდნელის კულტს. ეს საშიში ცდუნებაა მისტიფიკატორებისთვის. მაგრამ ეს არის შანსი მზევრავებისა და წინამორბედთათვის, რომლებმაც მოახერხეს მინიდან ამოხედილი წყარო დაენახათ და პირველნი შეცურდნენ ნაკადში.

ანგაჟირებული მწერალი

მეორე მოდური გამოთქმა, რაც ჩვენი დროის დამახასიათებელია, არის „ანგაჟირებუ-ლი“ მწერალი. ჩვენ გვეუბნებიან, თანამედროვე მწერალი ანგაჟირებული უნდა იყოსო. განა წარსულის დიდი მწერლები არ იყვნენ ანგაჟირებული? სხვანაირად რომ ვთქვათ, იდ-გნენ თუ არა ისინი მყარ პოზიციაზე სხვა საკითხებში, გარდა ესთეტიკის საკითხებისა? შე-დიოდნენ თუ არა ისინი მოქმედების სფეროში? მონაწილეობდნენ თუ არა რელიგიურ, პოლიტიკურ, სოციალურ ცხოვრებაში? არა მგონია, არსებულიყო რაიმე ურყევი წესები. ფოლტერი და რუსო ისევე ანგაჟირებული მწერლები იყვნენ, როგორც პიუგო და ჟორჟ სანდო. ბალზაკი თავს მონარქისტად თვლიდა, სტენდალი — რესპუბლიკელად. ფლობერი, პირიქით, მხატვრისგან ვნებადამცხრალობას მოითხოვდა. ის თვლიდა, რომ ხელოვნება, ესთეტიკური განცდები ვნებათა ლელვის მიღმა იმყოფებიან. ხელოვნება შეიძლება მხოლოდ დამცხრალი ვნებებით იკვებებოდეს. ეს არის „გრძნობა, რომელიც სრულს სიმშვიდეში უნ-და გაიხსენო“. ფლობერმა რომან „გრძნობათა აღზრდაში“ გამოიყენა თავისი სიტყაბუკის სიყვარული ქალბატონი შლეზინგერის მიმართ. მაგრამ ის წერს: „ჩემო კარგო, შენ ღვი-ნოს, სიყვარულს, ომს მაშინ აღწერ კარგად, როცა თვითონ არ ხარ მსმელი, საყვარელი და მეომარი. შენ პოლიტიკურ ცხოვრებას ნიჭიერად მაშინ აღწერ, როცა თვითონ არ ეკუთვ-ნი არც ერთ პარტიას“.

პირადად მე ვთვლი, რომ ფლობერი აქ აზვიადებს. ვნებები კი არ ღუპავს ხელოვნების ნაწარმოებს, არამედ სწრაფვა იმისკენ, რომ რაღაც დაამტკიცოს. მხატვრული შედეგრი დიახაც შეიძლება ანგაჟირებული იყოს. ის არასოდეს არ არის არც დიდაქტიკური, არც პედანტიური. პასკალი „წერილებს პროვინციალისადმი“ ვნებიანად წერს, ისევე როგორც ტაციტი „ანალებს“, და ორივე ძალიან კარგი ნაწარმოებია. მწერალს უნარი აქვს და ვალ-დებულია აღწეროს პოლიტიკური ვნებები ისევე, როგორც სხვა ვნებები. ამიტომ არაფერია იმაში ცუდი, თუ მან ეს ვნებები თვითონვე გამოსცადა. მაგრამ რაკი ხელოვნება კონფლიქ-ტებისაგან გათავისუფლებია, ხელოვანი თავის საკუთარ ვნებებზე უნდა ბატონობდეს. ტოლ-სტოი აღტაცებას იწვევს „ომსა და მშვიდობაში“ და „ანა კარენინაში“, სადაც ის ყველას თანაბარ შუქსა პფენს, მაგრამ იმდენად დიდი აღარ არის, როცა გვიქადაგებს და გვიმტკი-

ცებს. ბალზაკი, შესაძლებელია, კათოლიკე და მონარქისტი: (მე ვამბობ, „შესაძლებელია“-მეთქი იმიტომ, რომ აქ ყურადღას უნდა სწავლობდეთ და მეგობრული კავშირები, მაგრამ მას ყველაფერი ესმის და რესპუბლიკელებს ჩინებულად აღწერს, ხოლო ათერბტა კეთილშობილი გამოჰყავს. აღწერი ამბობს, — ბალზაკი ყველას მიუტევებს იმ მოძღვრის მსგავსად, რომელიც ცოდვების მოსაწანიებლად მისულს სწრაფად გაისტუმრებს ჭაღმყოფად.

ერთი სიტყვით, მე მგონია, რომ მწერალი, როგორც ძველი, გსუფთაქმეფრევე, შეიძლება ორ პიროვნებაში ერთიანი იყოს. ერთი მხრივ არის მწერალი-პოლიტიკოსი, რომელიც პაუქრობს: პიუგო „პატარა ნაპოლეონში“, შატობრიანი „ბონაპარტე და ბურბონებში“, ზოლა „მე ბრალს ვდებ“. და ამგვარი ნაწარმოებები თავისებურად მშვენიერი არიან, რადგან მათში ვნება სტილს მომეტებულ სიმახვილეს აძლევს. მწერალი საზოგადოებაზე ზეგავლენას ახდენს და მის სინდისზე, ეს გავლენა კეთილშობილი და სასარგებლო იყოს. მაგრამ მეორე მხრივ, არის მხატვარი, რომელიც საზოგადოდ ნმენდს ვნებებს და ამასთან თავის ვნებებსაც, როცა კონფლიქტებზე მაღლა დგება. მხურვალე დრეიფუსარი მარსელ პრუსტი მიუკერძოებელია, როცა თავის რომანში „საქმეს“ აღწერს. პიუგო „განკიცხულნის“ დასაწყისში ეპისკოპოს მირიელის დიდსულოვნებამდე მაღლდება. შატობრიანი „საიქიოს ჩანაწერებში“ მიუტევებს ნაპოლეონსაც, თავის თავსაც და თავის დროსაც. ეს არის ყველაზე დიდი ხელოვნება, ჭეშმარიტად ესთეტიკური განცდა, ეს არის ვნებათა განწმენდა, და ასე იყო ყველა ეპოქაში. აი, რა არის მუდმივი და შეუცვლელი ხელოვნებაში. ეს არის მიზანი, რომელიც უნდა დაისახოს „თანამედროვე“ მწერალმა, როგორც ამას ისახავდნენ წარსული დროის მწერლები. მაგრამ აქ მწერლის იშვიათი სიდიდეა საჭირო.

• • •

პოლიტიკოსი იბრძვის და თუ ის ბრძოლაში სიმდაბლეს არ სჩადის, საქმე ნიჭიერად მიჰყავს, — მე მას ტაშს ვუკრავ. შემოქმედი ფასეულობას უნდა ქმნიდეს და ჩვენი დროის მწერალი ასეთ შემთხვევაში ხშირად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება ხოლმე, ხან კი სულაც მარცხდება. არაერთი თანამედროვე ავტორი აღწერს ადამიანის ცხოვრების აბსურდულ ხასიათს. ვერაფერი აღმოჩენა! ეს აღმოჩენა პასკალმაც გააკეთა, ხოლო მანამდე მონტენმაც. მაგრამ პასკალი გვთავაზობდა ხსნის საკუთარ საშუალებას, — რწმენას, მონტენი კი თავისას — სიბრძნეს. დღეს მწერალთა შორის ცოტა როდია ისეთი, რომლებმაც თითქოს შეპყვიცეს არ აღწერონ მარადიული პოზიტიური ფასეულობანი, ადამიანის გრძნობების მუდმივობა. ისინი აღწერენ მხოლოდ ადამიანის არსებობის არარაობას და ბეჩავ არსებათა ამოღებლობას — ეროტიკასა და ლოთობაში ჰპოვონ თავდავიწყება, დავიწყებას მისცენ თავისი უბედურება. მომავალი თაობების მკითხველები გაკვირვებული დარჩებიან: „ნუთუ შეიძლებოდა, — იტყვიან ისინი, — რომ ადამიანები ოდესმე ასე რიგად სასომიხდილნი ყოფილიყვნენ?“ თუ ისინი უფრო ღრმად გამოიკვლევენ, რა თქმა უნდა, აღმოაჩენენ ჩვენს ისტორიაში ცინიზმსა და გულქვაობას, მაგრამ მათ ისიც არ გამოუპარებათ, რომ ამ პესიმიზტური ხელოვნების, ამ შავი თეატრის მიმდევარნი უმთავრესად მდიდარ უსაქმურთა შორის არიან თავმოყრილნი იმ ქვეყნებში, სადაც საზოგადოებამ კეთილდღეობის მაღალ დონეს მიაღწია და შედარებით ბედნიერია.

მდიდარ უსაქმურთ და აგრეთვე ახალგაზრდობას, რომელსაც ჯერ კიდევ არ გააჩნია პასუხისმგებლობის გრძნობა, შეუძლია დატკბეს ესთეტიკური ემოციებით, რომელსაც შავი თეატრი, აბნეულ-დაბნეული ფილმები და უსიუფეთი რომანები ინვევენ მათში, რამეთუ ისინი საკმაოდ უზრუნველნი არიან, რათა ფორმის სინამდისით დაინტერესდნენ. „კი, მაგრამ ფართო საზოგადოება? — ჩაეკითხებიან თავის თავს ჩვენი ბადიშიშვილები. — რას კითხულობდა ფართო საზოგადოება? რა უნდოდა მას?“ მართალი რომ ითქვას, ფართო საზოგადოებას სურდა ის, რაც მუდამ სურდა, ის სულ სხვა საკვებს ნთქავდა. თანამედროვე სამყაროს საოცარი თვისება მასში ორი კულტურის თანაარსებობაა: მასური კულტურისა და იმისა, რაზეც ამბობენ „ელიტარული კულტურააო“. მასური კულტურის განვითარებას ხელს უწყობდა გავრცელების ახალი ტექნიკური საშუალებანი: ევრეთ ნოდებულის ჯიბის წიგნი, რადიო, ტელევიზია, კინო. ამ კულტურას სჭირდება უზარმაზარი აუდიტორია, ის უნივერსალობისაკენ ისწრაფვის და ყველაზე გასაკვირი ის არის, რომ ამას ახერხებს

კიდევ საუცხოო ფილმი მოსწონთ რომშიც, ნიუ-იორკშიც, ტოკიოშიც და ლაჰაიშიც. ნიგნი ვრთსა და იმავე დღეს ოცდაათ ენაზე გამოდის. გამომცემლები პლანეტური მასშტაბით მუშაობენ. ჯერ არასოდეს მოუპოვებია მხატვრულ შედეგებს ესოდენ ვრცელი აუდიტორია.

• • •



ეროვნული

მიუხედავად ამისა, გიგანტურმა კულტურულმა ინდუსტრიამ ¹ [საფილმოსახლეობა] მაინც შეაშფოთა თანამედროვე მწერალი. „ჩემს იდეებს, — ამბობდა ის, — პროდიუსერები გაცხრილავენ, ტექნიკოსები გააშანდაკებენ, რალა დარჩება მათგან?“ მაგრამ სასწაული ის არის, რომ რალაც მაინც რჩება. მასურ კულტურას, ცხადია, დანაკარგიც ბევრი აქვს, მაგრამ ის ამასთანავე მშვენიერსაც ავრცელებს. სხვაგვარად არც შეიძლება მოხდეს. ადამიანთა ინდუზიალი მოთხოვნილებანი არ შეცვლილა. ინფორმაციის მასურ საშუალებებს არ შეუძლიათ დიდხანს გასძლონ შემოქმედებითი გამოგონებების გარეშე, რათა მაყურებელი მიიზიდონ, რათა ის ხელიდან არ გაუშვან, რათა მას პოეზიისა და სიდიადის კუთვნილი უღუფა მისცენ, ურომლისოდაც ადამიანი თავს უბედურად იგრძნობს. უხამსი სანახაობებით რალაც დროის მანძილზე შეიძლება ზოგიერთის მიზიდვა, მაგრამ არა ყველასი და არა ყოველთვის. აქაც იმალება შოკის რალაც ელემენტი, ესოდენ აუცილებელი ხელოვნების ნაწარმოებისათვის. ახალი სტილით გაკეთებულ ფილმს („გზა“, „ხირთსიმა, ჩემო სიყვარულო“, „მარიენბადი“) უფრო მეტი წარმატება ექნება, ვიდრე რომელიმე ჩვეულებრივ ფილმს. და მასურ ჯიბის გამოცემაში დიდი მწერლები უფრო კარგად იყიდებიან, ვიდრე საშუალო ავტორები.

მასური კულტურა თანამედროვე მწერალს გაუგონარ შესაძლებლობებს აძლევს ადამიანის ჩამოყალიბებისათვის. ტექნიკურმა პროგრესმა გაზარდა და მომავალში კიდევ უფრო გაზრდის მოცალობის დროს. თავისუფალი საათების შესავსებად ადამიანი მიმართავს ნიგნს და სანახაობებს. „მასური კულტურა, — წერს ედგარ მორენი, — იკავებს შრომისა, დღესასწაულებისა და ოჯახური საზრუნავისაგან გათავისუფლებულ ზონას... უდიდეს ფასეულობათა თავისუფალ ადგილებზე წარმოიშვა უდიდეს უსაქმურობათა ფასეულობანი... როცა აღარ იარსებებს აუცილებლობა იმისა, რომ წელმოწყვეტით მოინაგრო პური არსობისა, კაცობრიობის სულ უფრო დიდი ნაწილი იძულებული გახდება თამაშობებით გაერთოს თავი. „ნიგნების, თეატრის, კინოს ზემოქმედებით აურაცხელი ადამიანის გონება გარდაიქმნება. უკვე დღესაც იგრძნობა ჩვენი, დასავლეთის ცივილიზაციების გავლენა იმ ხალხებზე, რომლებისთვისაც ის აქამდე მიუწვდომელი იყო. კულტურული ინდუსტრია მიმართულია ყველა კლასისადმი, ყველა ქვეყნისადმი. მსგავსად იმისა, როგორც უნივერსალური მაღაზიები გვთავაზობენ „მზა ტანსაცმელს“ კერვის ყველაზე ცნობილი ოსტატების ნიშნით, მასური კულტურა ითრევს უნიჭიერეს შემოქმედთ. რა ბედი სწევიათ ჩვენს მწერლებს! რა ბედი გვწევია, თუკი გვაქვს რაიმე დიადი ხალხისთვის შესათავაზებლად!..

სწორედ ამაშია მთელი პრობლემა თანამედროვე მწერლისთვის. თუ მას არიფერი აქვს შესათავაზებელი, გარდა სასონარკვეთილებისა და პედონისტურ ფასეულობათა სიატემისა, ხარბი გონების ადამიანები სხვა ადგილას წაელენ საკვების საძებნელად. მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ლიტერატურაში, რომელიც საერთაშორისო ხდება, შეიქრება ერთურობის გაგებისა, შეცოდებისა და სიყვარულის დაუშრეტელი წყარო, რომელიც ცხოვრებისადმი ზიზღსა და ცხოვრებით გამოწვეულ ნუხილს გადალახავს. არ არის მართალი, თითქმის ახალგაზრდობას მარტოდენ უაზრო გასართობები აინტერესებდეს. დააკვირდით, როგორი წარმატებით სარგებლობს ყველა ქვეყანაში ჩეხოვის დრამატურგია — „ძია ვანია“, „საპი და“, „ალუბლის ბაღი“. ვინ იცის, ტექნიკის სასწაულის ნგალობით ხომ არ ხდება უკვე ახლა „ერთგვარი მუტაცია, — ხომ არ იქმნება ახალი ადამიანი“? ჩვენი მწერლების ვალეა ამ ახალ ადამიანს დავეხმაროთ დაბადებაში.

ჩვენი ვალეა, დავეხმაროთ მკითხველს ყოველ ადამიანში ადამიანი დაინახოს. ის, რამაც მიიღო სახელწოდება „საკონცენტრაციო სამყარო“, ეს მინიერი ჯოჯოხეთი, სადაც სისატიკე, წამება, მკვლელობა კანონიერად იყო გამოცხადებული, ეს ყველაფერი შესაძლებელი აღმოჩნდა იმიტომ, რომ ნაციისტური დოქტრინები უარყოფდნენ ადამიანის პიროვნების თანაბარ ღირებულებას, რომელი ერის, რომელი კლასის, რომელი რასის წარმომადგენელიც

¹ ციტატა ამოღებულია ედგარ მორენიდან.

უნდა ყოფილიყო ეს პიროვნება. რომანისტი, დრამატურგის, კინემატოგრაფიის მოღვაწის როლი იმაში მდგომარეობს, რომ მან თვალსაჩინო გახადოს ეს საერთო ადამიანურობა. ჩვენს საუკეთესო მკითხველები მოკრძალებული ადამიანები არიან, ისინი შრომობენ, მათ უყვართ, იტანჯებიან და ცდილობენ ყველაფერი გაიგონ. ისინი წიგნს კითხულობენ არა იმისთვის, რომ წერის ამა თუ იმ ტექნიკით აღტაცებაში მოვიდნენ, ისინი წიგნში ეძებენ ღირებულებას. წიგნებისგან მოუღიან ახალ ძალებს ბრძოლის გასაგრძელებლად და უნდა ითქვას, რომ ცხოვრებასთან გამართულ ამ მატჩში მრავალი თანამედროვე მწერალი საკუთარ მკითხველზე ბევრად უფრო ადრე ჰყრის ფარ-ხმალს. ნუ ვიტყვით, ყოველთვის ასე იყო. არა, მწერლები, რომლებიც ცხოვრებას გვიმსუბუქებდნენ, არასოდეს იარაღს არ ჰყრიდნენ.

სიმართლე რომ ითქვას, ის, ვინაც ჩვენს დროში ღრმა გავლენას ახდენს ახალგაზრდობაზე, ადვილად არ ნებდება. ახლა მოკლედ განვიხილოთ შებედილებანი სამი მწერლისა, რომელთაც ყველაზე მეტად კითხულობს ახალგაზრდობა. ესენი არიან: სენტ-ეგზიუპერი, მალრო და კამიუ.

სამი მწერალი

— სენტ-ეგზიუპერის რომ მომეტებულად ახალგაზრდობა კითხულობს, ეს ფაქტია. მარშან, როცა საგამოცდო თხზულებების ერთ-ერთ თემაში დამონმებული იყო მისი წინადადება, ზოგიერთი შეეცადა შეერყია ამ მწერლის რეპუტაცია. მე ეს არასამართლიანად მიჩვენება. სენტ-ეგზიუპერის კარგად ვიცნობდი. მისი მეგობარი ვიყავი და აღტაცებული გახლდიო მისი პიროვნებით. რატომ? არა მარტო იმისთვის, რასაც ის ლაპარაკობდა ან წერდა (თუმცა ეს ყველაფერი თავისთავად შესანიშნავი იყო), არამედ იმისთვისაც, რომ ის თავის ცხოვრებაში ამ წესებს მისდევდა. ის არ იყო კიპლინგივით მოქმედების პოეტი, ის, კონრადივით, თავად მონაწილეობდა იმ მოქმედებებში, რომელთაც აღწერდა. ათი წლის განმავლობაში მან ხან რიო-დეოროზე იფრინა, ხან ანდების კორდილიერებზე. ერთხელ უდაბნოში გზა აუბნა და უდაბნოს მბრძანებლებმა გადაარჩინეს, ციდან ხმელთაშუა ზღვაში ჩავარდა, გვატემალის მთებს დაენარცხა. ჯერ 1940 წელს იბრძოდა პაერში, მერე 1944 წელს, და სწორედ იმიტომ დაიღუპა, რომ უფრო სწრაფი თვითმფრინავის მართვისთვის ასაკი ხელს აღარ უწყობდა და პატარა თვითმფრინავს დასჯერდა. აქედანაა მისი ყოველი სიტყვის ღღერადობის უტყუარობა. სიმამაცეზე ლაპარაკის უფლება რომ მოიპოვო, ჯერ საკუთარი სიცოცხლის რისკი უნდა გასწიო. სენტ-ეგზიუპერის პატივს სცემენ იმიტომ, რომ ის ღირსია პატივისცემისა.

რას გვასწავლის სენტ-ეგზიუპერი? იმას, რომ გმირული სამყაროს კანონები მბრძანებლობენ მეგობრობაზე. ამ მეგობრობას წარმოშობენ და კვებავენ საერთო საშიშროებია, საერთო მსხვერპლის, საერთო ტექნიკის ეავშირები. „ყოველი ხელობის სიდიადე, უწინარეს ყოვლისა, შესაძლებელია, სწორედ ის იყოს, რომ ის ადამიანებს აერთიანებს, რამეთუ არაფერია ქვეყანაზე იმაზე უფრო ძვირფასი, ვიდრე ადამიანთა შემაერთებელი ეავშირი“. იშრომე მატერიალური კეთილდღეობისათვის? როგორი თავის მოტყუებაა! ამგვარად ადამიანი მხოლოდ ნატარტუტად საქცევ ქონებას იგროვებს. ეს ქონება ისეთს არაფერს იძლევა, რისი გულისთვისაც ღირდეს ცხოვრება. მდიდარი ადამიანი სამადლოდ სარჩენი ხალხითაა გარშემორტყმული, ყოვლისშემძლე ეაცი — მლიქვნელებით, მოქმედების ადამიანს კი მეგობრები, ამხანაგები არტყია გარს. როცა ადამიანი სხვებს უფრთდება, ესკადრილიაში იქნება ეს, არმიაში, ქარხანაში, თუ სპორტულ გუნდში, იგი უსასრულოდ უსწრებს თავის თავს, თავის თავს ივიწყებს. მაგრამ კპოვებს კიდევ. ის სოლიდარულია გარშემო მყოფ ამხანაგებთან საშიშროების დროსაც, დამარცხებაშიც კი. 1940 წელს ნიუ-იორკში სენტ-ეგზიუპერი წერდა: „რავი ერთი ჩემიანთაგანი ვარ, რაც არ უნდა ჩაიდიონ არასოდეს განვუდგები ჩემიანებს. არასოდეს ავიმალლებ ხმას მათ წინააღმდეგ სხვისი თანდასწრებით... რასაც არ უნდა ვფიქრობდე მათზე, ბრალდების მონმედ არ გავხდები. მე საფრანგეთს ვეკუთვნი“. სენტ-ეგზიუპერი გვასწავლის, თუ რა ღირებულება აქვს შეგნებულად არჩეულ ეავშირებს.

რას გვასწავლის ის კიდევ? იმას, რომ ადამიანმა არ შეიძლება მოიპოვოს მშვიდობა, ისე თუ თავისი „ციხე-სიმაგრე“ არ აიგო. ადამიანს სჭირდება საცხოვრებელი, ადგილ-მა-

მეუღლე, მხარე, რომელიც უნდა უყვარდეს. აგურისა და ქვების გროვა არაფერს წარმოადგენს. მას აკლია ხუროთმოძღვრის სული. ციხე-სიმაგრე, უნიწარეს ყოვლისა, თვით ადამიანის გულშია. იგი აგებულია მოგონებებისაგან და ზნე-ჩვეულებებისაგან. საჭიროა მისი ერთგული იყო, ვინაიდან „მე ვერ მოვრთავ ტაძარს, თუ ყველაფერს თვითიდან დავწყებ. ციხე-სიმაგრისა და საცხოვრებელი სახლის საყრდენი ურთიერთობაა ერთი კვანძია. ზნე-ჩვეულებებს იგივე ადგილი უჭირავთ დროში, რაც საცხოვრებელს — სივრცეში“.

საჭიროა, რომ თვით დროც აშენებულ იქნას, რომ ადამიანმა შეძლოს სახლისა და დღე-ასწავლამდე, წლისთავიდან წლისთავამდე, რთვლიდან რთვლამდე წარმოადგინოს ოგისუსტ კონტი და ალენი ლაპარაკობდნენ რიტუალური ცერემონიებისა და მოსაყონარი თარიღების ღირებულებაზე, ურომლისოდაც არ შეიძლება საზოგადოება არსებობდეს. „მე აღვაადგენ იერარქიას, — ამბობს უდაბნოს მბრძანებელი. — დღევანდელი უსამართლობისგან მე ვქმნი ხვალისდელ სამართლიანობას. ამგვარად ვაკეთილშობილებ ჩემს იმპერიას“. სენტ-ეგზი ვალერის მსგავსად ქებას ასხამს იძულებას, რამეთუ იძულებითი ზომების დამსხვრევით, მათი დავინწყებით, ადამიანი ისევ პირუტყვად იქცევა. „სუფელი ყბედი“ კედარს უსაყვედურებს, რატომ პალმა არა ზარო, მას უნდა ყველაფერი გაათანაბროს და სხვადასხვა ნიგნას ერთად დახორებით ქაოსისაკენ მიემართება... მაგრამ ცხოვრება ემინააღმდეგება უწესრიგობასა და ბუნებრივ მიდრეკილებებს.

სიყვარულშიც ასეთივე სიმკაცრეა. „მე ქალს ცოლ-ქმრობის უფელში ვაბამ და ვბრძანებ, ქვებით ჩაქოლონ ორგული ცოლი“. რასაკვირველია, მას ესმის, რომ ქალი მთრთოლვარე არსებაა, სინაზის ნამისთვისაა განწირული და მისი ძახილი უკუნში გაისმის. მაგრამ ქალი ამოდ გადავა ერთ თავშესაფრიდან მეორეში, რამეთუ არ არსებობს მამაკაცი, რომელიც სავსებით დააკმაყოფილებს მას. მას რაღად დაფაკანონოთ მეუღლის გამოცვლა? „მე იმ ქალს ვიხსნი, რომელსაც უნიწარეს ყოვლისა, თვით სიყვარულიც კი არ უყვარს, არამედ ის ერთადერთი სახე, რომელიც სიყვარულმა მიიღო“. ქალმაც ასევე უნდა აიგოს ციხე-სიმაგრე თავის გულში.

ვისგან მოდის ეს ბრძანება? უდაბნოს მბრძანებლისაგან. უდაბნოს მბრძანებელს ვინლა მბრძანებლობს? ვინ უკარნახებს მას პატივისცემას იძულებითი ვალდებულებებისა და კავშირების მიმართ? „მე ჯიუტად მივდიოდი ღმერთისკენ, რათა მისთვის მეკითხა, რა შიამ-მეთქი საგანთა აზრი. მაგრამ მთია მწვერვალზე შავი გრანიტის მძიმე ლოდი ეძოვე, და სწორედ ეს იყო ღმერთი“. ის ღმერთს ემუდარება, განმანათლებო. მაგრამ გრანიტის ლოდი უგრანობელია და ასეთი უნდა დარჩეს. ღმერთი, რომელმაც შეიძლება გული აუჩუყო, ღმერთი აღარ არის. „არც მაშინ, როცა ის ლოცვას ემორჩილება. და მე პირველად მივხვდი, ლოცვის სიდიადე, უნიწარეს ყოვლისა, ისაა, რომ ის უმასუხოდ რჩება, რომ ვაჭრობის სიმახინჯე ლაქას არ სცხებს ამ გაცვლა-გამოცვლას, რომ ლოცვის სწავლება — ღუმლის სწავლებაა, რომ სიყვარული მხოლოდ იქ იწყება, სადაც უკვე არავითარ ძღვენს არ ელი. სიყვარული — ეს არის ვარჯიში ლოცვაში, ლოცვა კი — ღუმელში ვარჯიშია“.

შესაძლებელია, სწორედ ეს იყოს მისტიკური გმირობის საბოლოო სიტყვა.

• • •

სენტ-ეგზიუპერის სრულიად არ სწამს სიტყვები. ვაჟაკობას ვერ წარმოქმნის კარგად ჩამოყალიბებული სიტყვა, ეს არის მოქმედებაში გადასული ინტუიციის ნაყოფი. სიმამაცე — ფაქტია. სენტ-ეგზი მოხალისედ მიდის არა „იმპიტომ, რომ...“, ის ბუნებითაა მოხალისე. ის ალენებით სიამოვნებით იტყოდა, ყოველ დამამტიკიცებელ საბუთში ჩემთვის ცხადად გამოხტვივის არაკეთილსინდისიერებაო. როგორ შეუძლია განყენებულ სიტყვებს მოიცვას ტეშმარიტება ადამიანზე? „ტეშმარიტება სულაც არ არის ის, რისი დამტიკიცებაც შეიძლება. თუ ნარინჯის ხე სწორედ ამ ნიადაგში გაიდგამს მაგარ ფესვებს და არა სხვაში, თანაც უხვად მოიხსნამს ნაყოფს, ეს იმას ნიშნავს, რომ ნარინჯის ხისათვის ეს ნიადაგი ყოველად ტეშმარიტება. თუ სწორედ ეს რელიგია, ეს კულტურა, ღირებულებათა ეს მასშტაბი, მოღვაწეობის ეს ფორმა და არა სხვა რომელიმე აძლევენ ადამიანს სულიერი სისაფის გრძნობას, ბადებენ მის ხელში ძალას, რომელსაც აქ სრულიად არ ელოდნენ, იმას ნიშნავს, რომ სწორედ ღირებულებათა ეს მასშტაბი, ეს კულტურა, მოღვაწეობის ეს ფორმა არის ტეშმარიტება ადამიანისა. ლოგიკამ რაღა ენას? ლოგიკამ, როგორც სურს ისე დაიძვინოს თავი, რათა ახსნას და განმარტოს ცხოვრება“.

ვინ არის მართალი? მემარჯვენეები თუ მემარცხენეები? ეს პარტია, თუ სხვა პარტია? ნუ ელით სენტ-ეგზიუპერიისგან პასუხს ასეთ ფუჭ შეკითხვებზე. ყველა ეს შესლა-შემოხლა მას არარაობად მიაჩნია, მისთვის მხოლოდ იმას აქვს მნიშვნელობა, რაც ადამიანს თავის თავზე აღამაღლებს. მაგრამ, რაც ერთს ამაღლებს, ის მეორეს ამდაბლებს. ყოველ მოძრაობას, — როგორც ამბობდა პეგი, — ჰყავს თავისი მისტიკოსები და თავისი პოლიტიკოსები. მთავარი ის კი არ არის, ადამიანზე იკითხო, რომელ მრწამსს ემდგმის, რომელ იარაღს ატარებსო, საკითხავი ის არის, როგორი ადამიანია. *შენი მისტიკოსები*

როგორი ადამიანი იყო სენტ-ეგზი? სენტ-ეგზი გმირი იყო, ის იყო ერთ-ერთი უნმინდესი პიროვნება, რომელთაც მე ცხოვრებაში ვიცნობდი. მისთვის უცხო იყო გვირგვინი იმითომ, რომ თავის თავს ადამიანთა ჯგუფის ნაწილად რაცხდა. ის უგულვებელყოფდა ადამიანთა წერილმან ინტერესებს იმითომ, რომ წინ მხოლოდ მიზანს ხედავდა. სენტ-ეგზის გაკვეთილი ისევე ცოცხალია: „ისე მოგეჩვენება, თითქოს მკვდარი ვარ, მაგრამ ეს მე არ ვიქნები“ — ამბობს პატარა უფლისწული. და კიდევ: „როცა ჩემი სიკვდილის შემდეგ დაცხრები (ბოლოს და ბოლოს ყოველთვის დაცხრებიან ხოლმე), კმაყოფილი იქნები, რომ მიცნობდი. შენ მუდამ ჩემი მეგობარი იქნები“. ჩვენ გვიხარია, რომ მას ერთ დროს ვიცნობდით, ჩვენ მუდამ მისი მეგობრები ვიქნებით.

მამაცობის ლიტერატურა

ახლა მე გადავდივარ სხვა მწერალზე, რომელიც ერთი შეხედვით თითქოს განსხვავდება სენტ-ეგზიუპერიისგან, მაგრამ სინამდვილეში არც იმდენად განსხვავდება. ეს არის მწერალი, რომელმაც აგრეთვე თვალსაჩინო გავლენა იქონია თანამედროვე სამყაროზე: ეს ანდრე მალროა. ერთხელ მან დაწერა: „ერთ მშვენიერ დღეს სამყარო ჩემს წიგნებს დაუპყრო“. დიახ, თავისი ახალგაზრდობის რომანებში იგი გვიხატავს რისკს, ბრძოლას, სგავსაო“. დიახ, თავისი ახალგაზრდობის რომანებში იგი გვიხატავს რისკს, ბრძოლას, რევოლუციას, და დღეს ხომ მართლაც მთელი ქვეყანა ამბოხებებითა და ომებითაა მოცული. მის გულს ეამებოდა ვაჟკაცური ლიტერატურა, სადაც გაუფასურებული იქნებოდა სანტიმენტალური ღირებულებანი, ხოლო გამოვლენილი — მამაცობა და სიამოვნებანი. დროის სულმა დაადასტურა მისი სიმართლე. მგრძნობიარობა ლიტერატურაში გაბატონებული ღირებულება იყო წესრიგისა და მოცალეობის ეპოქაში (რასინიდან პრუსტამდე). ავტობიოგრაფიული ღირებულება იყო ალზრდილი ახალგაზრდობა უფრო მკაცრ მასწავლებლებს ეძებს. მას უფრო ნაკლებად აინტერესებს ცალკეული პიროვნების ფსიქოლოგიური ანალიზი, ვიდრე მასების ერთიანობა. მალროს შემოქმედება ამ ახალგაზრდობას უნდა მოსწონებოდა, და მოეწონა კიდევ.

მაგრამ, როგორც სენტ-ეგზიუპერიისთვის, მალროსთვისაც პრესტიჟის ერთ-ერთი საფუძველი იყო ცხოვრების შეთანხმება შემოქმედებასთან. მალროს ერთხელ უთქვამს, ერთადერთი, რისი დაწერაც ღირს, „მეშუარეობა“. მისი რომანები მამაცი და ჭკვიანი ადამიანების ტრანსპონირებული მეშუარეობაა. მან გაიცნო ამბოხებული ზინეთი რომან „ადამიანის ხვედრისა“; იბრძოდა ესპანეთში „იმედის“ მოხალისეთა შორის. მეთაურობდა ოკუპანტებისგან საფრანგეთის გათავისუფლების ბრიგადას. „მრავალი ჩვენგანისთვის, — დაწერა გაეთან პიკონმა, — მალრო ის იყო, რაც პეგი, ბარესი და მათზე ადრე შატობრიანი იყვნენ ახალგაზრდათა სხვა თაობებისთვის“. მალრომ შატობრიანზე უფრო დიდი შედეგური შექმნა საკუთარი ცხოვრებისაგან.

ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს მალროს ცხოვრებაში არ ექონდა მძიმე მომენტები. მას დიდი რისკიც გაუწევია. თხუთმეტი წლის მანძილზე მსოფლიო რევოლუციას ებლაუჭებოდა, მაგრამ იმას უფრო გმირული ავანტიურების სიყვარულით აკეთებდა, ვიდრე ასეთი რევოლუციის ნამდვილი რწმენით. სარტრზე ბევრად უფრო ადრე მან პირველმა მიანიშნა ადამიანის მდგომარეობის აბსურდულობაზე. მაშ, თუ სამყარო აბსურდულია, ადამიანს ისლა დარჩენია, რაც შეიძლება თავაშვებულად ითამაშოს ცხოვრების თამაშებში. რა აქვს ადამიანს დასაკარგი? არაფერი. აბსოლუტის ძებნაში ის მწვანე მაუდზე საკუთარ ცხოვრებას გადადის. „ცხოვრება ოკეანეში გადაგდებული კენჭია და სხვა არაფერი. როცა ამას მიხვდები, მთელ ტრეპტორიაზე ენევი რისკს“. დააღწევს თუ არა მალრო თავს ერთ ფათე-რისკს, მეორეში ებმება თავისი ნებით, ინტერნაციონალურ ბრიგადას მხოლოდ იმისთვის ტოვებს, რომ საფრანგეთის წინააღმდეგობაში მიიღოს მონაწილეობა.

შანამდე ბევრი მისი გმირი უცხო იყო იმ ქვეყანაში, რომლისთვისაც იბრძოდა. არც გარინი და არც ბოროდინი ჩინელები არ არიან. ინტერნაციონალური ბრიგადა, როგორც მისი სახელიდან ჩანს, არ შედგებოდა მარტო ესპანელებისგან. თანამედროვე გმირი, იქნება ეს ინგლისელი ლორენსი არაბებთან, თუ ამერიკელი პემინგუმი ესპანელ რესპუბლიკელებთან, — გარედან მოსული ადამიანია. კიდევ უფრო პარადოქსულია, რომ მალროს გმირი (1940 წლამდე) სრულიადაც იდეისთვის არ იბრძვის. ყოველ პარტიაში თავს უხერხულად გრძნობს. მას ნამდვილი მოქმედება სწყურია და მე მგონია, რომ იმ დღეს, როცა მალრომ თავს იდო ელზას-ლოტარინგიის ბრიგადის მეთაურობა და მძაბვრად წესრიგს სამსახურში ჩაეყენებინა ავანტიურა, მან დიდი შვება იგრძნო. ბრძოლა საფრანგეთისთვის, უფრო მეტიც, დასავლეთისთვის, განსაზღვრული კულტურისთვის, — ბოლოს და ბოლოს ის საქმე იყო, რომელიც მის ნამდვილ მისწრაფებას ემთხვეოდა.

მალროს მოქმედი ცხოვრების მრუდი გარკვევითაა გამოსახული „იმედის“ სამი ნაწილის სახელწოდებებში. 1. „ღირსეული ილუზია“ — რწმენა რევოლუციისა. იგი დიდხანს არ გაგრძელებულა და ადგილი დაუთმო სასონარკვეთილ გამოფხიზლებას. 2. „აბოკალიფსიის მოქმედებაში“ — ეს არის ომი ომისათვის, ტერორიზმი ტერორიზმისათვის, აბსურდი. 3. „იმედი“ — უსაფუძვლო ავანტიურის მიღმა განთიადის სხივების მსგავსად ამოდის იმედის ნებისყოფა. „არ არსებობს ბრძოლის ათასი ხერხი, არსებობს მხოლოდ ერთი — იყო გამარჯვებული“. ადამიანი საკუთარ მოქმედებათა ჯამია. მოქმედებით ის ისტორიას განასახიერებს. აქციოს ეს ისტორია დიდებულ ისტორიად, რამდენადაც ეს მას ძალუძს. — აი, მიზანი, აი, აბსოლუტი, აი, გამოსვლა აბსურდის საზღვრებიდან.

რატომ არის ისტორია აბსოლუტი? იმიტომ, რომ ადამიანისთვის აუცილებელია მოიპოვოს აბსოლუტი არა სამყაროს თვალსაზრისით, არამედ თავისი საკუთარი თვალსაზრისით. „ადამიანის ცხოვრების ყველაზე დიდი საიდუმლოება, — ამბობს მალროს ერთ-ერთი გმირი, — იმაში კი არ არის, რომ ჩვენ მოქცეული ვართ მატერიასა და უხვ ვარსკვლავეთს შორის, ეს საიდუმლოება ის არის, რომ ამ საპყრობილეში ყოფნისას ჩვენს თავში საკმაოდ ძლიერ სახეებს ვპოულობთ, რათა საკუთარი არარსობა უარეყოთ“. ადამიანის ნებისყოფა ყოველ წუთს და დეადამიანის ყველა კუთხეში ისტორიას ქმნის. „ადამიანი ის არ არის, რასაც თავის თავში მალავს, ის ერთი მუჭა საიდუმლოებები. ადამიანი ის არის, რასაც ის აკეთებს“. მალროსი და მისი გმირებისათვის სულ ერთი არ არის, როგორ ადგილს დაიკავებენ ისინი ისტორიაში. „ვიარსებო ადამიანთა უმრავლესობაში და, იქნებ, ხანგრძლივად, რაკი იძულებული ვარ საკუთარი სიკვდილის წინააღმდეგ ვითამაშო“, — მე მიჩვევნი ვითამაშო ძველისძველ ეროვნებასთან ერთად, რომელიც გმირს თავისი წარსულის, თავისი სიდიადის განუზომელი სიმდიდრით აჯილდოებს.

ამის გარდა, კიდევ რჩება ისტორიასთან დაკავშირებული გადარჩენის ერთი შანსი. ეს არის კულტურა. კულტურა სხვა ხერხია სამყაროსგან თავის დაღწევისა, რათა შეიქმნა საკუთარი სამყარო, ესე იგი, გახდეს შემოქმედი. შემოქმედი აბსურდს თავს აღწევს. მხატვრული ნაწარმოები „სამყაროს ნაწილაკია, რომელსაც ადამიანმა მიმართულება მისცა“. შემოქმედი დამოკიდებულების შეგრძნებას ისევე კარგავს, როგორც კოსმონავტი ნონის შეგრძნებას. იგი თავისუფლდება სოციალური მიზიდულობისაგან. გათავისუფლებული შემოქმედი თავის თავგანისმცემლებს საკუთრივ მათი გათავისუფლების ექოს აწვდენს... როცა მაცურებელი ოიდიპოს მეფის წარმოდგენას ესწრება, მას სულაც არ უნდა თვალები დაითხაროს; მას უჩნდება სურვილი კიდევ დაბრუნდეს თეატრში. „შთამომავლობა ადამიანთა მადლიერებაა გამარჯვებებისთვის, რომლებშიც საკუთარი გამარჯვებების საწინდარს ხედავს“. ჩვენ აქ ვუბრუნდებით დასაწყისში ნათქვამს, — შემოქმედის ამოცანას, მოგვცეს ის, რისი შემოთავაზებაც ცხოვრებას არ შეუძლია, — უანგარო ჭვრეტა, — ესე იგი, თავისუფლება.

„ხელოვნება ანტიბუდისწერაა“. იგი ძველსა და მრისხანე ბუდისწერას უპირისპირებს სხვა ბუდისწერას, თვით ადამიანის ხელით შექმნილს. ეს ერთგვარი კვლავშექმნილი დროა მთელი კაცობრიობის მასშტაბით. კულტურა — ეს არის კაცობრიობის ქმნილება დაკარგული დროის ძიებაში. „მშვენიერია, როცა პირუტყვი, რომელმაც იცის, რომ უნდა მოკვდეს, ბუნდოვანების ირონიას თანავარსკვლავედთა მუსიკას სტაცებს და ამ მუსიკას საუკუნეებში სტყორცნის, რითაც მათ უცნობ ენას თავს ახვევს. მხატვარი საუნჯეს სამუდამოდ ქმნის, „სალამოს მწუხრში, როცა ჯერ კიდევ მეფობს რემბრანდტი, წარსულის ყველა სახე-

ლოვანი აწრდილები, მათ შორის გამოქვაბულთა მხატვრებისაც, თვალს ადევნებენ გაუ-
ზედაჲ ხელს, რომელიც მათ აცნობებს — დაუბრუნდებიან ისინი ახალ ცხოვრებას, თუ ძილს
განაგრძობენ... და ეს ხელი „რომლის ყოველი მოქნილი მოძრაობისკენ ამ საღამოს ათას-
წლეულთა მზერაა მიმართული, თრთის, ამოძრავებული ერთ-ერთი ყველაზე რღუმადი, ყვე-
ლაზე მაღალი ძალის მიერ. ეს არის ძალა და პატივი — იყო ადამიანი“. მალრო ხელოვნებაში
აბსოლუტურ ფასეულობას ნიშნავდა. მე რომ ანდრე მალროს ბიოგრაფიის დანერგა მოვი-
სურვო, რაც არ მოხდება, რადგან ის შეტად ახალგაზრდაა, მე კი უკვე წინააღმდეგარ, მას
ხალხაკისეულ სახელწოდებას მივცემდი: „მალრო, ანუ აბსოლუტის მიტოვება“. და ანაბრედ ეს
ძიება ხდის ნათელს, თუ რატომ მიუჩინა მას ესოდენ დიდი ადგილი თანამედროვე სამ-
ყაროში, რომელიც აბსოლუტს მოწყურებული და მოკვეთილია.

80770 60%0803

მესამე მწერალი, რომელზეც მინდა ვილაპარაკო, არის ალბერ კამიუ. ყველა თანამედროვე მწერალს შორის, მას, შეიძლება ითქვას, ყველაზე არაჩვეულებრივი ლიტერატურული ბედი აქვს. ჯერ ისევ მთლად ახალგაზრდა იყო, როცა გახდა არა „სულთა მბრძანებელი“ (ეს გამოთქმა მას სიცოცხლე ჰგვრიდა), არამედ ცოცხალი სარკე მთელი თაობისა. უცხოეთის მკითხველმა კეთილად მიიღო და ნობელის პრემია მიანიჭა ისეთ ასაკში, როცა სხვები გონეურის პრემიის მიღებაზეც ამაოდ ოცნებობენ. მაგონდება, 1946 წელი, როცა ორივე ამერიკა შემოვიარე, ყველა სტუდენტი სარტრსა და კამიუზე მეკითხებოდა. რას ემყარებოდა ეს საერთაშორისო სახელი? ეს იყო პატარა რომანი „უცხო“, პიესა „კალიგულა“, რამდენიმე ესე და მათ რიცხვში „მითი სიზიფზე“. მაშ რა იყო მიზეზი? ამის მიზეზი ის გახლდათ, რომ კამიუნ გამოთქვა ის, რასაც ომისა და ომის შემდგომი ახალგაზრდობა ბუნდოვნად ხვდებოდა.

აღბერ კამიუ ალჟირში დაიბადა. მზისა და მზიარულების მოტრფიალემ, ბავშვობიდანვე იწვინა სიღარიბე, ხოლო სიჭაბუკეში — ომი. მისი სიჭაბუკისდროინდელი ნაფიქრის შედეგად შეიქმნა „მითი სიზიფზე“, კაცზე, რომელსაც ღმერთების მიერ მისჯილი ჰქონდა მთელი ცხოვრება მათა წვერომდე უზიდა ღოღი, რომელიც თავისი სიმძიმის გამო ისევ და ისევ ქვევით მოგორავდა. ეს მითი ადამიანის ცხოვრების სიმბოლოა. რა არის ჩვენი ყოფა ამ დედამიწაზე, თუ არა ასეთი უნაყოფო შრომა? თუ აუტანელი შრომის შედეგად მაინც მოვახერხებთ ღოღი მათი წვერზე ავიტანოთ, მაშინვე ან რაიმე ავადმყოფობა, ან ომი ისევ დაანარცხებს მას მთის ძირას და როგორიც არ უნდა იყოს სიცოცხლე, სულ ერთია, იგი მაინც სიკვდილით, საბოლოო, დაცემით მთავრდება. შევიგნოთ უაზრობა ასეთი მოქმედებისა, ეს იმას ნიშნავს, აღმოვაჩინოთ ადამიანის არსებობის აბსურდულობა. ამ ქვეყანაზე, სადაც არ არსებობს იმედი, არ არსებობს ილუზიები, ადამიანი თავს „უცხოდ“ გრძნობს.

მაშ, რა არის გამოსავალი? თვითმკვლელობა? იმის იმედი, რომ შენი საქმეებისა და შენი ქმნილებების შემწეობით სიკვდილს გადაურჩები? არა. ახლა, როცა ამ სიტყვებს ვამბობ, კამიუს აზრდილი ხელშესახებად მაგრძნობინებს, რომ აბსურდის კედლებს შორის ვარ გაჭედილი. მართლაც, რისთვის ვნერტ? რა საჭიროა ამდენი შრომა, თუკი ხვალ მაინც უნდა მოგვედღე? სახელის გულისთვის? სახელი საექვო რამაა და თუ შემთხვევით მან ჩემზე შეტი იცოცხლა, ამას მე მაინც ვერ გავიგებ. თვით იმ საზოგადოების ტიპი კი, რომელიც ასეთი ნაწარმოებით დაინტერესებული იყო, ძალიან ჩქარა გაქრება ისევე, როგორც ოდესმე გაქრება თვით დედამიწა. მაშ რისთვისღა ვინვალოთ? ჩვენ ბავშვობიდანვე მომავლით ვცხოვრობთ, „ხვალ... მოგვიანებით... გაიზრდები და გაიგებ“. მაგრამ ხვალ — ეს სამარეა. ერთ მშვენიერ დღეს ადამიანი ხვდება ამ თვალთმაქცობას, მაგრამ აღშფოთებას უკვე აზრი აღარა აქვს.

მაშ, რა გამოსავალი გვქონია? კამიუ, როგორც მზის შვილი, სასონარკვეთას ვერ ეგუ-
ება. თუ მომავალი არ არსებობს, — კეთილი. დაეტკბეთ აწმყოსთი. გავხდეთ სპორტსმენი,
ან პოეტი, ან ერთიც და მეორეც. აბსურდის ედვალაია ამნუთიერი ტკობა. სიზიფს შეგნ-
ბული აქვს თავისი მძიმე ზვედრი, და მისი ნათელხედვა გამარჯვებას უქადის. აქ კამიუ პას-
კალს იზიარებს. ადამიანის სიდიადე იმაშია, რომ მან იცის, მოკვდავი ვარო. სიზიფის სი-

დიაღნოზი იმაშია, რომ მან იცის, ქვა ყოველთვის უკან ჩამოვარდება. „და ასეთი ცოდნა ბედისწერას ადამიანის საქმედ აქცევს, რაც სწორედ ადამიანთა შორის უნდა იქნეს მოწესრიგებული“.

ადვილი წარმოსადგენია, როგორი შთაბეჭდილება მოახდინა 1942 წელს გამოცემულმა ამ წიგნმა ახალგაზრდა ფრანგებზე. მანამდე არასოდეს მოსჩვენებია ხალხს სამყარო ესოდენ აბსურდული. ომი, ოკუპაცია, მოჩვენებითი ტრიუმფი სისასტიკისა და უსამართლობისა, — ყველაფერი მძაფრად უარყოფდა რაციონალურად მოწყობილი სამყაროს იდეას. სიზიფმა, ესე იგი, ადამიანმა, საუკუნის დასაწყისში მოახერხა თავისი ქვა საკმარისად მაღლა აეტანა საბედისწერო ფერდობზე. 1914 წლის ომამდე დიახაც არ იყო ყველაფერი წესრიგში, მაგრამ მაინც ბევრი რამ, ყოველ შემთხვევაში საფრანგეთში, გაუმჯობესდა. ამ დროს სიტყვები „იმედი“, „პროგრესი“ აზრით იყო აღსავსე. პირველი საერთაშორისო ომის ოთხი წლის წინაშე ლოდი ძალიან შორს ჩამოვარდა ძირს, მაგრამ სიზიფი ისევ ვაჟაკურად შეუდგა თავის მუდმივ შრომას. მეორე მსოფლიო ომმა ყველა იმედი გაუანთა. ქვის ლოდმა ყოველივე გააცამტვერა. დაუძლურებული და სასოწარკვეთილი სიზიფი ნანგრევებში დარჩა ჩაფლული. მაშინ გაიხმა ახალგაზრდული ხმა: „დიახ, ასეა, — ქვეყანა აბსურდულია. ღმერთებისგან სასიკეთოს აღარაფერს უნდა მოველოდეთ. მაგრამ მაინც ჩვენი ვალაა უღმრთოდ ბედისწერას სახეში შევხედოთ, შევიცნოთ. იგი, არ შევებუოთ და იმდენად, რამდენადაც ეს ადამიანურ ძალას შესწევს, გადავაჯეტოთ“. გასაგებია, რომ ეს ხმა ყველამ გაიგონა. რჩებოდა მხოლოდ ეს, ან არაფერი. და აი, მოგვევლინა ახალგაზრდა მწერალი, რომელმაც პირველივე ნაწერებით დაისადგურა თანამედროვე სამყაროს გულში. მოკლედ რომ ვთქვათ, მისი როლი იმაში მდგომარეობდა, რომ ეს ქვეყანა იმედდაკარგული ახალგაზრდობისათვის მისაღებად გადაექცია, თან ისიც ეღიარებინა უიმედობისათვის არის ყველა საფუძველი. „უცხო“ — ეს არის სიზიფის მითი მოქმედებაში, ადამიანი, სიკვდილმისჯილი აბსურდული დანაშაულისათვის და გადარჩენილი იმით, რამაც ის დაღუპა. „შავი ჭირი“ კოლექტივის მიმართ იგივე როლს ასრულებს, რასაც „უცხო“ ასრულებს ინდივიდუულის არსებობის მიმართ. როგორც მერსომ სიცოცხლის მშვენიერება დიდი შოკის მშვედობით აღმოაჩინა და აღშფოთდა, ასევე მთელ ქალაქ ორანში მაშინ გაიღვიძებს შეგნება, როცა შავი ჭირის მარნუხებში აღმოჩნდება მომწყვდეული.

მაგრამ კამიუს დიპტიქს მეორე ნაწილიც აქვს: ეს არის „მეამბოხე ადამიანი“. „მე მნამს, რომ არაფერი მნამს, — ამბობს მეამბოხე ადამიანი, — მაგრამ არ შემიძლია დავეჭვდე ჩემს პროტესტში“. მეამბოხე ადამიანი ის ადამიანია, რომელიც ამბობს „არა“-ს, მაგრამ მას არ შეუძლია უთხრას „არა“ არსებულს, თუ არ უთხრა „ჰო“ სხვა რამეს. რას უნდა უთხრას „ჰო“? წიგნის დასასრული ვაჟაკურად ჟღერს. კამიუს ამბობებაზე უარს არ ამბობს, მას არ სძულს მოქმედება. მაგრამ აღიარებს და მოითხოვს ზომის გრძნობას. „ჩვენი დაფლეთილი ევროპა საჭიროებს არა შეურიგებლობას, არამედ შრომას და თანამოაზრეობას“. „ჭეშმარიტი გულუხვობა მომავლის მიმართ სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ყველაფერი აწმყოს მივცეთ“.

აქვე, დღესვე, ახლავს, — აი, როგორ გვმართებს გარჯა. ეს ძნელი საქმე იქნება. უსამართლობასა და მის წინააღმდეგ ბრძოლას არასოდეს ბოლო არ მოეღება. ეს ეწმაცია, ჩვენ რომ ჩაგვძახის: «Eritis sicut dii» თქვენ ღმერთებივით იქნებით. დღეს რომ ადამიანი იყო, ღმერთად ყოფნაზე უნდა უარი თქვა. კამიუს ეოლტიკის სიტყვებს არ იმეორებს: „უნდა დაამუშაოთ ჩვენი ბაღი“. ჩემის აზრით, ის უფრო იმას გვეუბნება, რომ ბეჩავთ დავეხმართ მათი ბაღის დამუშავებაში. ჭეშმარიტად ანგაჟირებული შემოქმედი ის არის, ვინც ბრძოლაზე უარს არ ამბობს, მაგრამ რეგულარული არმიის რიგებში ჩადგომას უარყოფს. მე მინდა ვთქვა: პარტიზანი-მეთქი. ასეთია კამიუს უკანასკნელი განსაზღვრება, და არ უნდა დავივიწყოთ, რომ ბრძოლის ყველა მონაწილეთა შორის ყველაზე ადვილად გასაგმირავი სწორედ ეს პარტიზანია.

კამიუს ვერ იტანდა, როცა მას ინდივიდუალური თუ სოციალური მორალის მქადაგებლად თვლიდნენ. „მე უბინო კაცი არა ვარ“, — ამბობდა ის. ფიქრობ, რომ მას უსათუოდ ექნებოდა თავისი პატარა ცოდვები. საბედნიეროდ დიდი მხატვარი, უწინარეს ყოვლისა, დიდად ცხოველმოქმედი ადამიანიც არის. კამიუს თავის უბის წაგნაში ბედნიერების ოთხი პირობა ჩაინიშნა: როგორც ეს უდგარ პოს ესმოდა: 1. ცხოვრება ბუნების წიაღში. 2. —

იყო საყვარელი. 3 — სრულიად უარი თქვა პატივმოყვარეობაზე. 4 — შემოქმედება. ეს პროგრამა ურიტო არ არის, და ვფიქრობ, კამიუ მას მისდევდა. მას აღიარებდნენ და აკრიტიკებდნენ კიდეც. „მე თანდათან ვთავისუფლდები იმისგან, რომ ჩემს შესახებ სხვათა აზრებისადმი მგზნობიარე ვიყო“. ეკთხულობთ მის უბის წიგნაკში. მან დაგვიტოვა საოცარი მოღვაწეობისა და ნაშინდა ფორმის შემოქმედებითი მეშვეიერება. აღბრუნებით კამიუ დიდი კლასიკოსი იყო და ამავე დროს თავის ეპოქასთან მჭიდროდ დაკავშირებული თანამედროვე მხატვარი. იგი საბუღალოდ ჩნდება ისეთი მწერლის ნამუშავედ, რომელიც ფარსმალს არ ყრის.

სამი მცნება

ეს სამი მაგალითი — სენტ-ეგზიუპერი, მალრო და კამიუ, — ერთგვარ წარმოდგენას იძლევა მწერლის როლზე თანამედროვე სამყაროში. უწინარეს ყოვლისა, ეს როლი იგივეა, რაც ყოველ დროში იყო. ხელოვნება ცხოვრებას ნიშნუებს აძლევს, ფანტაზიას — საყრდენს, გონებას — ნებსრიცხ. უდიდესი წიგნი დღეს ისევე, როგორც გუშინ, მკითხველისთვის რჩება, როგორც შემარიდგებელი წიგნი საკუთარ თავთან და სამყაროსთან. „ამაღლებული ნუთების მონიშნულ იმიტაციას“ შეუძლია ყველაზე სუსტი ადამიანიც კი აღამაღლოს. გინდათ, მოვიტანოთ დამადასტურებელი ტექსტები? ეპისკოპოსი მირიელი „განწირულნი“ პირველ გვერდებზე, ნატამას ამამაღლებელი პაერ პეზუხოვი, ათეისტი მედიკოსი დებლენი, რომელიც სულის მოსახსენებელ ღოცვას უკვეთავს საბრალო ოვერნელისთვის, ესოდენ დავალებული რომ არის მისგან. ეს კეთილმყოფელი საკითხავია. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მწერალმა მხოლოდ ამამაღლებული ნუთები უნდა აღწეროს. ამ ნუთების სილამაზე ჩვენ გარშემომყოფ საშინელებასთან კონტრასტის ძალით გვეძლევა. დოსტოვესკის, მორიაკის, გრეემ გრინის ნაწარმოებები სულიერი სამყაროს უსასრულო ღირებულებას არასრულყოფილ რეალურ სამყაროს უპირისპირებენ. ნათელი ადგილები ბევრად უკეთესად გამოირჩევიან მელანქოლით შავ ფონზე. დიდ ტანჯვაში მადლი გამოსჭვივის.

მწერალი, როგორც მხატვარი, სამ მცნებას უნდა ემსახურებოდეს: ვალდებულია ილაპარაკოს სიმართლე, ვალდებულია მშვენიერებისაკენ მიისწრაფოდეს, დაბოლოს, ვალდებულია დაიცვას თავისუფლება, რამეთუ თავისუფლების გარეშე არ არსებობს სიმართლე. ლიტერატურის გავლენა ზნე-ჩვეულებებზე აშკარაა, და დღეს, როცა ხელოვნება ასე ღრმად სწვდება მასება, ეს შემოქმედება უფრო ძლიერია, ვიდრე ოდესმე იყო. მაგრამ ეს გავლენა ხორციელდება წინააღმდეგობების მაღალი განსახიერების მეშვეობით. ვნებათა განწმენდის ნყალობით და მხატვრის უკვლელ საშარტლიანობით პერსონაჟების მიმართ. მწერალმა არ უნდა თქვას: „შეიყვარეთ ამერიკელები, ინგლისელები, რუსები“. მისი ვალია დახატოს ნამდვილი ამერიკელები, ნამდვილი რუსები, მათი სათნოებებით, მათი სუსტი მხარეებით, და დახატოს ისე, რომ რაც შეიძლება მეტი და მეტი მკითხველისთვის იქნას გასაგები.

წარსულთა საუბოლო ნაწარმოებები იმისთვის როდი იწერებოდა, რომ ელიტა გაევირფებინა კომისთვის იწერებოდა, რომ ყველა დონის მკითხველი შედეგებინა. მამლეტი, დონ კიხოტი, მამა გორიო, ან კარენინა რჩებიან ყველანაირი მკითხველისთვის ხელმისაწვდომ პერსონაჟებად. ის ლიტერატურა, რომელიც ტექნიკური ოინების შესრულებისაკენ ისწრაფვის, ბევრს კარგავს თავისი ძველი სიცოცხლისუნარიანობისგან, იგი აგრეთვე კარგავს თავის ძალაუფლებას, როგორც თანამედროვე, ისე მომავლის საზოგადოებაზე. ლიტერატურის ამ შექმენიზაციამ ბევრი, ემოციებს მოწყურებული ადამიანი გადააგლო ბულოვნების უჩუალური ფორმებისკენ. ჩვენი საუკუნის ოციან-ოცდაათიანი წლების დიკენსად ზარლი ჩაბლინი იქცა. როგორც ინგლისელი მწერალი პრისტლი ამბობს, საქმე ის კი არ არის, მოფარის დამაღლები მხარე დავინახოთ, რომელსაც ჩვენს ცხოვრებასთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვს, საქმე ის არის, დავინახოთ ჩვენი საკუთარი შეგნების დაფარული ნაწილი და იქ ეპოქით უბრალო და საჭირო ღირებულებანი, რომელნიც წარმოთქვენ დასავლეთის პირველმა დიდმა ოსტატებმა: შექსპირმა და რაბლემ, სერვანტესმა და მონტესმა.

მე არ მინდა ყოველ თანამედროვე მწერლისგან, რომ იგი აუცილებლად რაიმე პარტიას ან სექტას უკავშირდეს. მე მას კარგად იყოს გულმოდგალო და ადამიანებს ერთმანეთის გაგებაში დაეხმაროს. ყოველთა პოეტოსი 1878 წლის საერთაშორისო ლიტერატურულ კონგრესზე

გამოსვლისას შესძახა: „ბატონებო, ერთმა რომაელმა აკეთებული იდევით გაიტყვა სახელი: უნდა დაინგრეს ქართაგენისი მეც მაქვს ერთი აზრი, რომელიც მოსვენებას არ მაძლევს. აი, ისიც: „უნდა მოისპოს სიძულვილი!“ თუკი ადამიანის მიერ შექმნილ ლიტერატურას რაიმე მიზანი აქვს, მისი მიზანი მხოლოდ და მხოლოდ ეს არის. „Humaniores litterae“

ეს დღესაც ისევ სამართლიანია, როგორც ვიქტორ ჰიუგოს დროს იყო. თანამედროვე მწერალი თავისი დიდი სიჭრტის გამო, დღეს უფრო მეტად, ვიდრე, როდესაც საერთაშორისო სულიერი ინტერესების წარმომადგენლად გვევლინება. ზედნიერად არიან ჩვენი უმცროსი თანამოქალაქენი! მათ განუშეორებელი წარმატება ხვდათ წილად. აბა, წარმოდგინონ მთელს დედამიწის ზურგზე მათ წიგნებზე თავდახრილი მილიონობით მკითხველი, მილიონობით მოხუცი თუ ახალგაზრდა მაყურებელი, ყოველ საღამოს ტელევიზორის ეკრანებთან რომ მოუყრიათ თავი, მაშინ იგრძნობენ ისინი თავიანთ ძალაუფლებას და თავიანთ ვალდებულებას, მათზე დამოკიდებული, იქნება ჩვენი სამყარო ოცი წლის შემდეგ ზედნიერად, თუ მთლად დაინგრევა. დაე, მათ აღწიან გრძნობები, რომლებიც ადამიანებს ერთმანეთთან დაახლოებს. ხოლო მე კი, ჩემი ცხოვრების გრძელი გზის დასასრულს, იმედითა და სიყვარულით მივადევნებ თვალს მათ ბრძოლებსა და გამარჯვებებს.



პაატა ჩხეიძე

„მეფე ლირის“ ქართული თარგმანები

„მეფე ლირის“ ქართულად თარგმნასთან არის დაკავშირებული ქართველი ენის კულტურული კოდის რამდენიმე მნიშვნელოვანი მოვლენა: 1. მთარგმნელობითი ტრადიციის აღდგენა (ახალი ხერხები, ახლებური დამოკიდებულება ორიგინალით ტექსტთან); 2. ქართული თეატრის გაახლება; 3. ახალი ლიტერატურული ტრადიციების შექმნა და დაფუძნება; 4. მათი მნიშვნელობა ქართული სალიტერატურო ენის განუმეადამი.

ამ ოთხი მოვლენიდან უმთავრესად პირველი მიგვაჩნია, არა იმის გამო, რომ წისი, ვით ფაქტის მნიშვნელობა დანარჩენი სამისას აღემატება, არამედ იმიტომ, რომ თარგმნილი ლიტერატურა ეროვნული ლიტერატურის განუყოფელი ნაწილია, დრამების თარგმნით კი თეატრს ეძლეოდა აუცილებელი მასალა არსებობისა და გაძლიერებისათვის.

იმ დროს, მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს, ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა უცხოური, უპირატესად ევროპული ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნას. რადგან როგორც პავლე ინგოროვცა შენიშნავს: „საფუძველი ახალი ქართული მწერლობისა არის ევროპეიზმი...“

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში უკვე დიდი მუშაობა მიჰდინარებოდა ევროპული მწერლების ქართულად სათარგმნელად. თუ თვალს გადავავლებთ იმ დროის პერიოდიკას ან გამოცე-

მულ ლიტერატურას, დავინახავთ, რომ ითარგმნება: სერვანტესის „დონ კიხოტი“, სენეკეის „ვიდრე ჰევალი“ (ნიკო ავალიშვილი); ერკმან-შატრიანის „გლუხიკაცის ისტორია“, ჰიუგოს „საბრალონი“ (ი. მჭავარიანი); ჟაზოვს „ღამონებულნი“, მოპასანის „ნოველები“, ბოკაროს „დეკამერონი“ (თედო საბოკი), მარკ ტვენის „ტომ სოიერის თავგადასავალი“, სენეკეის „ცეცხლითა და მახვილით“ (გრ. ყიფშიძე);

მაჩაბელმა შექსპირის პიესები ზოგიერთ ამ თარგმანზე (მაგ. ავალიშვილის „დონ კიხოტი“) გვიან თარგმნა, მაგრამ მაინც ის ითვლება საუკეთესო მთარგმნელად და ახალი ეტაპის დამწყებად ქართულ მთარგმნელობით ლიტერატურაში, ამას თავისი მიზეზი აქვს. ჯერ ერთი, შექსპირი უშუალოდ ორიგინალიდან ითარგმნა, ზემოთ ჩამოთვლილი თარგმანები კი ყველა ორიგინალიდან არ არის შესრულებული (ავალიშვილი ფრანგულიდან თარგმნიდა, „ტომ სოიერის თავგადასავალი“ კი რუსულიდან ითარგმნა). მეორე, ითარგმნა თითქმის ყველა მნიშვნელოვანი პიესა შექსპირისა, მესამეც, ნოიბოვა ძალზე დიდი პოპულარობა; ამას, რა თქმა უნდა, თეატრსაც მიუძღვის თავისი წვლილი, მაგრამ ვ. ჭელიძე სხვა მიზეზსაც ასახელებს: „შეიძლებოდა დაგვესაზღვრებინა აგრეთვე ერთი, არცთუ ისე უმნიშვნელო ფაქტორი: შექსპირი აღორძინების ეპოქის წარმომადგენელი იყო და მის შემოქმედებაში გამო-

საბუღალტრო მუშა ან ეპოქის მთელმა წინააღმდეგობით აღსავსე ცხოვრებამ. კეთილისა და ბოროტის უკიდურესობამდე დაძაბულმა ბრძოლამ, კეთილშობილადამიანთა იმედის გაცრუებამ და სასოწარკვეთილებამ, „მძლავრთ უკმეხობამ... უმთა სიმწარემ... მტარვალთა ჩაგვრამ... სიამაყის თავგასულობამ... მართლმსაჯულობის გვიანობამ... უღირსისაგან ღირსეულის შეურაცხყოფამ... „ნაწილობრივ ასეთი სურათები ჩვენი ხალხის იმდროინდელ ცხოვრებაშიც იგრძნობოდა“.²

ის, რომ მაზაბელმა კარგად იცოდა ევროპული ენები, კარგად ინგლისური ენა, უკვე დადგენილია. მაზაბელის პიესების მისეული თარგმანები ინგლისურიდან არის შესრულებული, გარდა ამისა მაზაბელი იცნობდა შექსპირის პიესების სხვა (მაგ. რუსულ, გერმანულ ენებზე) არსებულ თარგმანებს და მიწერ-მოწერა ჰქონდა მთარგმნელებთან და შექსპირის შემოქმედების მკვლევარებთან.³

ქართული მთარგმნელობითი საწყისების ძიებას ბიბლიამდე მივყავართ. ეს იყო „ერთი ბირველი ძეგლთაგანი, რომელიც ითარგმნება ქართულ ენაზე ქრისტიანობის გავრცელებასთან ერთად“.⁴ — წერს პავლე ინგოროყვა. ბიბლიასთან ერთად ითარგმნებოდა ბიოგრაფიულ ისტორიულ-მხატვრული ლიტერატურა, პავლოგრაფიული მწერლობის ნიმუშები და აპოკრიფები.

გავარკვეოთ, თუ რამდენად შეიძლება უძველეს და შედარებით ახალ ძეგლებს ქართულ ენაზე თარგმანი ეწოდოს.

კორნელი კეკელიძე ქართულ ენაზე გადმოტანილ უძველეს თეოლოგიურ, პავლოგრაფიულ, ბიოგრაფიულ ლიტერატურას, აპოკრიფებს, შედარებით ახალ, აღმოსავლურ ლიტერატურას, განხილვისას „თავისუფალ“ თარგმანს უწოდებს, რასაც სათანადოდ ასაბუთებს. ის მიუთითებს, რომ მთარგმნელები რაიმეს ამატებენ დედანს ან აკლებენ მას. უფრო მეტიც: „ახალი იდეები, ახალი აზრები, ახალი ფილოსოფიურ-რელიგიური და პოეტური შეხედულებანი ხშირად გადმოიღწიან ამ თარგმანებში ისეთი სიტყვებითა და ტერმინებით, ისეთი ფორმებითა და სახეებით, რომელნიც უშუალოდ წარმართული წყაროებიდან მოდიან“.⁵ მისივე აზრით: „ქართული „ვისრამიანი“ წარმოადგენს სპარსული დედნის თავისუფალ მხატვრულ თარგმანს“.⁶

შ. ნუცუბაძის, ს. ყაუხჩიშვილის, პ. ინგოროყვას შრომებში გვხვდება ანალოგიური შეხედულებანი. უფრო მეტიც, პავლე ინგოროყვას მიზანია, რომ: „ქართული რომანი „სიბრძნე ბალაჭვარისა“ წარმოადგენს არა თარგმანს არაბულიდან, არამედ ქართულ მწერალს გამოუყენებია არაბული ევრსია ლევენდისა — როგორც მასალა“.⁷ ეს მოხაზრება შეიძლება ქართულ

ენაზე არსებულ სხვა ძეგლთა დასაბასიანებლადაც გამოდგეს, ამიტომ ერთგვარი სიტუაციაა საჭირო, როცა რომელიმე ნაწარმოებს თარგმანს ვუწოდებთ ან არ ვუწოდებთ.

ამრიგად ქართულ ენაზე გადმოტანილი ლიტერატურა შეიძლება ორ ნაწილად დავყოთ: 1. ქართული ნაწარმოებისათვის გამოყენებული უცხოური ევრსია — მაგ. „მალაქარიანი“ 2. თავისუფალი თარგმანის ნიმუშები — რელიგიური ლიტერატურა, აღმოსავლური ლიტერატურა, მაგ. „ვისრამიანი“.

აქედან ჩვენ მეორე კვაინტერესებს, რათა ზუსტად დავადგინოთ თავისუფალი თარგმანის არსი.

თავის წერილში კ. კეკელიძე ლაბარაკობს ქრისტიანული ღვთისმსახურების ფორმაზე (ე. წ. ტიპიკონზე), რომელსაც შემდგომ „ქართული კანონი“ ეწოდა, და მიუთითებს მია რედაქციაში არსებულ წენიშვნაზე: „საყუარელნო, თუნცა ბერძენნი ამა და ამ დღესასწაულს ასე ასრულებენ, ... ჩვენ ასე, ჩვენებურად და არა ისე ვასრულებთ“.⁸ ამ შემთხვევაში ქრისტიანული ღვთისმსახურების ქართული წესების შექმნასთან გვაქვს საქმე და რა თქმა უნდა, ამ პრინციპით შეტანილ ცვლილებებს ორიგინალში თავისუფალი თარგმანი უნდა ვუწოდოთ. თავისუფალი თარგმანის ნიმუში მოაქვს კ. კეკელიძეს ვისრამიანიდანაც: „სპარსული წინადადება — „შენ არა ხარ ის, რომ ჩემს იქით არაფერი გახსოვდა და ჩემის ფეხის ტალახისგან სურმას იკეთებდი“. ქართულში ასეა წარმოდგენილი: „შენ რომელ ჩემი მიჯნური იყავ, ჩემისა ნახვისათვის ასრე გასურდა, ვითა წყაროსთვის ირემსა“. (შვიდ. ფსალმ. 41,1);⁹ თავისუფალი თარგმანია ტომონიშის შეცვლა: „სპარსული ტექსტის ყელნი ალაგ-ალაგ ქართული მტკვრით არის ხოლმე შეცვლილი“.¹⁰ მოყვანილი მაგალითები მართლაც თავისუფალი თარგმანის მეთოდით არის შესრულებული, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხეივნი და სხვა თარგმნილი ნაწარმოებები მხოლოდ ამ პრინციპით ითარგმნებოდა და მთარგმნელის მიზანს შეადგენდა რაც შეიძლებოდა გაექართულებინა ორიგინალის ტექსტი. კ. კეკელიძე თავითვე აღნიშნავს: „აღნიშნული თავისუფლება, დედანთან შედარებით, სისრულესა და სიუფეთურ ფაბულარულ მთლიანობას ოდნავადაც არ არღვევს, გაერცობა და შემოკლება-შეკვეცა, რომელსაც ადგილი აქვს თარგმანში, აიხსნება მთარგმნელის საგანგებო მოსაზრებით, მისი მხატვრული ალლოთი და მთარგმნელობითი ხერხით.“¹¹

ვფიქრობთ, ძველ ქართულ მთარგმნელობით ლიტერატურაში თავისუფალი თარგმანის გარდა ჩაისახა და ჩამოყალიბდა სხვა მეთოდიც, რომელ-

საე რამდენიმე დამახასიათებელი ნიშანი იქვს, რაც შემდგომ მაჩაბელთან იჩენს თავს და ამჟამადაც ახასიათებს ჩვენს მთარგმნელობით საქმიანობას.

ა. თარგმნა პირველ რიგში ქართული კულტურისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი თხზულებებისა. ამის გარკვევაში თარგმნილი ძეგლების ნუსხა დაგვეხმარება.¹² კ. კეკელიძე მიუთითებს, რომ ქართველები „გაფაციცებით აღევნებდნენ თვალ-ყურს მსოფლიო კულტურის მონაპოვარს და შეძლებისდაგვარად კიდევ ითვისებდნენ მას“.¹³ გარდა ამისა ისინი „მასში ხედავდნენ და პოულობდნენ პასუხს მათთვის საჭირობოროტო და სასიცოცხლო საკითხებზე“.¹⁴ ჩვენამდე მოღწეულ უძველეს თარგმნილ ლიტერატურას თუ თვალს გადავივლებთ ცხადი გახდება, რომ მართლაც სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა მოღვაწეობას, რომელსაც ძველი ქართველი მთარგმნელები (ათონელები, ეფრემ მცირე და სხვები) ეწეოდნენ. ისინი საქართველოს მჭიდროდ უკავშირებდნენ ევროპას, ქრისტიანული თხზულებების თარგმნით ხელს უწყობდნენ ამ სარწმუნოების განმტკიცებას ერში და ამით ძალის მატებდნენ, ისლამური სამყაროს მოძალებისთვის რომ გაეძლო.

ბ. მკითხველთათვის ორიგინალის გასაგებად გადმოტანა, გაშიფვრა. კ. კეკელიძეს, ზემოთ დასახელებულ ნაშრომში მოაქვს ერთი მაგალითი ექვთიმე მთაწმინდელის მიერ თარგმნილი „ბასილი დიდის ცხოვრებიდან“, ორიგინალში ყოფილა: „**აჲ მარტვი-ნათესავ ვჰპოვებ ერსა მას, არამედ ფრიად დაფარულ რაითმე და ზღვის კლდე.**“ მთარგმნელს საკმარისად არ ჩაუთვლია იმ „ერის“ დედნისეული აღწერილობა და შემდეგნაირად უთარგმნია: „**ვითარცა არს ნათესავი იგი აჲწირფელი, არამედ მზაკუვარი, გულარძნილი და ბოროტი.** მიმსგავსებულჲ კლდეთა მათ, რომელნი არიან დაფარულ ზღუასა შინა, და ვერ იხილვენ მათ მენავენი, ვიდრე არა სცენ ნივი და ვანტეხონ“.¹⁵

ასეთი გავრცობა თარგმანისა, ორიგინალის ტექსტის დაწვრილებითი გაშიფვრა შეიძლება ნაკლადაც ჩაითვალოს, მაგრამ ექვთიმე მთაწმინდელის მიზანი იყო ზედმიწევნით ზუსტად მიეტანა მკითხველამდე დედნის აზრი, გარდა ამისა ეფიჭრობთ ამასაც გაითვალისწინებდა, რომ საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ ერთი ნაწილი იცნობდა ზღვას და ბევრს არც ეცოდინებოდა თუ რას წარმოადგენს წყალქვეშა კლდე.

გ. ორიგინალისეული საჩოთირო აღვლილების შესუსტება თარგმანში. ამის კლასიკური მაგალითი იოანე პეტრიწის მიერ თარგმნილი ნემესიოს ემესელის თხზულების — „ბუნებისათვის კაცისა“ ერთი ადგილი, რომელსაც კვლავ კ. კეკელი-

ძე იმოწმებს თავის ნაშრომში.¹⁶ დედანში ყოფილა: „ნივთად წინამდებ არს დედანეი, ხოლო მოქმედებად ამისდა სიძვა, მრუშება, გინა კანონიერი კავშირი“. იოანე პეტრიწს უთარგმნია: „ნივთად წინამდებ არს შეშა, ხოლო მოქმედებად ხუროვანება.“ თარგმანი დიდადაა ორიგინალს დაცილებული, მაგრამ ნაწილობრივ დაცილებია; მთარგმნელი არ ასენებს დედაცს და მის დამახასიათებელ „ნიშნებს“: სიძვა, მრუშება... (რაც ალბათ ქართული ზნეობისათვის შეუფერებლად მიაჩნია). საზოგადოებრივად წვდება ფრაზის განწყობას, მის აზრს, ემოციურ მიმართებას და მშოშლიურ ენაზე გვაწვდის ფრაზას, სადაც განწყობა, ემოციური მიმართება შენარჩუნებულია, „საჩოთირო სიტყვები ამოღებული, ხოლო აზრი, უფრო მეტად დატვირთული ვიდრე დედანში, გვეტექსტშია გადატანილი. ყოველივე ამის გარდა თარგმანი მაღალმხატვრულადაა შესრულებული.

ხსენებული ნიშნებიდან ბ. და გ. ორიგინალისადმი შემოქმედებითი მიდგომის ნიშნად მიგვაჩნია, ორიგინალისადმი შემოქმედებითი მიდგომა, შემოქმედებითი თარგმანი მხოლოდ მაშინ გადაიზრდება თავისუფალ თარგმანში, როცა მთარგმნელი დედანს საბეს უცულის თავისა ერის ყოფისა და რჯულის შესაბამისად (ასეთი მაგალითები მრავლად დაიძებნება „ვისრამიანსა“, „როსტომიანსა“ და სხვა, განსაკუთრებით აღმოჩენილი ენებიდან თარგმნილ თხზულებებში).

გარდა ლიტერატორად და მოაზროვნედ ჩამოყალიბებისა, ძველმა ქართულმა ლიტერატურამ ივანე მაჩაბელს საშუალება მისცა შეესაბამა სათარგმნელად ყველაზე ზუსტი საზომისათვის მიეგნო; იგულისხმება ინგლისური იამბური პენტამეტრის ქართული თოთხმეტმარცვლიანა თეთრი ლექსით გადმოღება. ამ ლექსიწერების შემოტანამ და დამკვიდრებამ არა მარტო შეესაბამა, შემდეგ კი სხვა ინგლისელ პოეტთა თარგმნის გაუხსნა გზა, არამედ სხვი გარბეულ პოეტთა თარგმნასაც: ჩოსერის „ეპიტურპერიულა მოთხრობები“ (გ. ნიშნაიანიძე), მილტონის პოემები (ვ. ტელიძე, ზ. კიკნაძე, ე. კვიტაიშვილი), შილერი, გოეთე (ვ. ბეწუჯელი), ევრიპიდე (გ. სარიშვილი, ზ. კიკნაძე), ესქილე (გ. სარიშვილი), პონეროსი — ილიადა, ვერგილიუსი (ბ. პიშინოშვილი) პომეროსი — ოდისეა, ლუკრეციუსი — საგანთა ბუნებისათვის (პ. ბერაძე) და სხვ.

თოთხმეტმარცვლიანი ლექსი პირველად ბესიკთან გვხვდება ამგვარი სახით: (5-4-5). ამან თავის ნაშრომში „ქართული კლასიკური ლექსი“¹⁷ მაგვითითებს აცაკი გაწერულია მისი აზრით, ამ ლექსს ანტონაია შენცევიძეს ქართულმა რომანტიკოსებმა, შემდეგ კი მაჩაბელმა გვხვდება სრულყოფილი სახით ივანე მაჩაბელის

ქართველი რომანტიკოსების ვერსიფიკაციულ გავლენის შესახებ უფრო ადრე სიმონ ჩიჭოვანი მიუთითებდა,¹⁸ ხოლო ბარათაშვილისა და მაჩაბლის სიახლოვესა და გავლენაზე მიუთითებს პავლე ინგოროყვა.¹⁹

ბარათაშვილის გავლენა ივანე მაჩაბელზე მართლაც დიდია, ორიგინალურ ლექსში „ოცნება“ ის არა მარტო თოთხმეტმარცვლიან საზომს იყენებს, არამედ ბარათაშვილისეული მედიტაციური მსოფლგანცდაც აშკარად ატყვია ამ ლექსში გამოთქმულ აზრებს.

ივანე მაჩაბელმა შექსპირის რვა პიესა თარგმნა. ამათგან ერთი, „მეფე ლირი“ ილია ჭავჭავაძესთან ერთად, ამ თარგმანით იწყება ახალი ერა ქართულ მთარგმნელობით ლიტერატურაში. ამას გარდა ეს თარგმანი მკვლევართა განსაკუთრებულ ყურადღებასაც მოითხოვს. უმთავრესად იმიტომ, რომ თარგმნიდა ორი განსხვავებული პიროვნება, ორი ტალანტი, რომელთაგან ორივეს ჰქონდა გარკვეული გამოცდილება თარგმნის საქმეში და, ამგვარად, შეუძლებელია საკუთარი, ერთმანეთისგან განსხვავებული პრინციპები არ ჰქონოდათ. შესაძლოა ვინმეს კითხვა დაეზადოს, რომელ მათგანს ეკუთვნოდა უპირატესი როლი თარგმნის პროცესში და რომელ მათგანს ეკუთვნის ის ძირითადი მიგნებანი, რომელმაც ქართული მთარგმნელობითი ლიტერატურის აყვავებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა.

თუ გავიხსენებთ, როგორ ჩაისახა ერთობლივი თარგმანის იდეა და როგორ შეიქმნა ეს თარგმანი, შემდეგი სურათი წარმოგვიდგება:

1. „მეფე ლირის“ თარგმნი ილიამ და მაჩაბელმა დაიწყეს 1873 წ. შემოდგომაზე²⁰ (მაგრამ მაჩაბელს უკვე დაწყებული ჰქონდა თარგმნი იმავე წლის გაზაფხულზე).

2. „მეფე ლირის“ მაჩაბელთან ერთად თარგმნი ილიამ გადაწყვიტა რუსეთში პანკის საქმეებზე ყოფნის დროს, ეს გადაწყვეტილება კი ალბათ მაჩაბლის მიერ თარგმნილი ნაწყვეტების ღირსების შედეგია. ისიც უნდა ითქვას, რომ ილია დიდად აღასებდა შექსპირს და განსაკუთრებით „მეფე ლირი“ უყვარდა.²¹

3. ილიამ ინგლისური არ იცოდა და მხოლოდ მაშინ დაიწყო შესწავლა მაჩაბლის დახმარებით.²²

თუ ამ ცნობებიდან რომელიმეს მეტ მნიშვნელობას მივანიჭებთ, შეგვეძლება ილიასი ან მაჩაბლის, რომელსაც გნებავთ, როლი ვადამწყვეტად მივიჩნიოთ „მეფე ლირის თარგმანში“, მაგრამ ასეთ ტენდენციას არც აზრი აქვს და ქართულ ლიტერატურასაც ვერას შეჰმატებს. თუმცა ზოგჯერ ქართველი მკვლევარის წერილებში ამგვარ გადახრებს მაინც ვხვდებით. მაგ. ირ. კენჭოშვილი თავის წერილში „მეფე ლირის ქართული თარგმანი“ აცხადებს: „უკვე ჩამოყალი-

ბეზული პოეტი — ილია, ცხადია, მთავარ როლს შეასრულებდა თარგმანის ესთეტიკური საფუძვლების გამოძენის საკითხებში“.²³ ირაკლი კენჭოშვილი არ უნდა გულისხმობდეს იმას, რომ მაჩაბელს მხოლოდ დამხმარის, მწყობრდის მიმწოდებლის როლია რჩება, მაგრამ ილია გვაფიქრებინებს სხვა ადგილზე, სადაც უფრო დიდია ის მაღალ შეფასებას აძლევს ივანე მაჩაბელს, — მაგრამ ილიას მაინც მთავარ ფუნქციას აკისრებს. ილია ჭავჭავაძის ღვაწლი ამ საქმეში მართლაც დიდია, მაგრამ გადაჭარბების არ საჭიროებს; ის იყო უკვე სახელმძღვანელო პოეტი, ავტორიტეტული პიროვნება, თავდადებული მოღვაწე ერისა, ძლიერი და მრავლისშემძლე, ის იდგა ყველა ეროვნული საქმის სათავეში. თარგმნის საქმეც მისი ხელდებულა. მისი თანამშრომლობა მაჩაბელთან ორგვარად იყო მომგებიანი: პირველი — ლიტერატურულ-შემოქმედებითი თვალსაზრისით და მეორეც — ილიას ხელეწიფებოდა ეზრუნა თარგმანზე და სცენაზედაც დაედგა, რის შესაძლებლობასაც სრულიად მოკლებული იყო იმხანად ივანე მაჩაბელი. ჩვენის აზრით, ამას ორივე — ილიაც და მაჩაბელიც — კარგად გრძნობდა.

შექსპირის ახალი, კერძოდ ვახტანგ კელიძის მიერ შესრულებული თარგმანები უშუალოდ უკავშირდებიან ივანე მაჩაბლის მთარგმნელობით ტრადიციას. ვ. კელიძემ უცვლელად მიიღო ყველა მიგნება თუ აღმოჩენა, რაც შექსპირის პირველად თარგმნის დროს გამოვლინდა; ვახტანგ კელიძემ შექსპირის რვა პიესა თარგმნა ქართულად. მათი დაწერილებითი ანალიზი დაგვაჩვენებს, რომ მთარგმნელი მთლიანად იზიარებს მაჩაბლის შემოქმედებით მიღწევებს და თავადაც შემოქმედებითად უდგება თარგმანს.

ვახტანგ კელიძეს დღესდღეობით თითქმის ევრაზიის შეედრება საქართველოში თარგმნილი ლიტერატურის სიუხვეთა და მაღალმხატვრული დონით. ის ძალზე ნაყოფიერად მუშაობს როგორც თარგმანში, ისე თარგმნის თეორიაში, არის რეტორი მონოგრაფიისა „ივანე მაჩაბელი“, გამოქვეყნებული აქვს წერილები თარგმნის საკითხებზე.

ვახტანგ კელიძე ქართველ მთარგმნელთა ახალი თაობის წამომადგენელია. ეს ის დიობაა, რომელიც მაჩაბლიმ მთარგმნელობით ტრადიციაზე აღიზარდა, გარდა ამისა მათ ჰყავდათ ისეთი დიდი წინამორბედები, როგორიც იყვნენ: გრ. ყიფშიძე, ნ. ავალიშვილი, თ. სახოკია, ივ. მაჭავარიანი, მოგვიანებით გ. ქიქოძე. გარდა ამისა ამ თაობას ძალზე გაუმართლა; ეს იყო ჩვენი საუკუნის 30-იან, 40-იანი წლები, თბილისის უნივერსიტეტში შეიქმნა დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი, რომელსაც

სათავეში ედგა ერეკლე ტატიშვილი, ფართოდ
ერუდირებული პიროვნება, შესანიშნავი ლიტე-
რატორი, ბრწყინვალე მთარგმნელი და რაც მთა-
ვარია იშვიათი პედაგოგი. მან აღზარდა მთელი
პლექადა ქართველი მთარგმნელებისა თუ ლიტე-
რატორებისა და მათ შორის ვახტანგ ჭელიძეც.

ვ. ჭელიძის თარგმანები პირველად 40-იან
წლებში გამოქვეყნდა. მას შემდეგ თითქმის ნა-
ხევარი საუკუნე გავიდა.

ჩვენ შევეცდებით ზოგადად ჩამოვყალიბოთ
მისი მთარგმნელობითი შემოქმედების პრინცი-
პები. უპირველეს ყოვლისა მისთვის დამახასია-
თებელია ფაქტიზი დამოკიდებულება სათარგმნელ
ნაწარმოებთან, თუმცა მიაჩნია, რომ მთარგმნე-
ლი თამაში უნდა იყოს, მაგრამ არასოდეს აიო-
ლებს, გადასაწყვეტ პრობლემას; მისი აზ-
რით: „ენა რთული ფენომენია... ამდენად,
თარგმანიც რთული ფენომენია და არ შეიძლება
მისი ძალიან გამარტივება.“²⁴ მხატვრული თარგ-
მანი პირველყოვლისა ენასთან არის დაკავშირე-
ბული; თარგმნის პროცესში ორი ენის სამყარო-
ში გვიხდება ტრიალი — ორიგინალის ენისა და
თარგმანის ენისა — ამ პროცესში მთარგმნელს,
გარდა ენების ღრმა და საფუძვლიანი ცოდნისა
(ალარაფერს ვამბობთ იმ ერის, რომლის ენა-
ზეც სათარგმნელი მასალაა შექმნილი, კულტუ-
რისა და ყოფის ცოდნაზე), სჭირდება დიდი ინ-
ტუიცია, სწორი, ზუსტი ადეკვატების მოსაძებ-
ნად და ბოლოს მშობლიური ენის ისეთი ცოდნა,
გრძნობა მისი, რომ არ ემონოს უცხო ენასა და
ლიტერატურას და ნაწახირევი არ გამოვიდეს
თარგმანი. ენობრივი სირთულეები განაპირობე-
ბენ თარგმნის სირთულეს და ამიტომ მთარგმნე-
ლი უნდა ეცადოს მის მიერ შეხამებული სინ-
ტაქსური კონსტრუქციები, მის მიერ მოძებნილი
სიტყვები არ „ყვიროდნენ“, მშობლიურ ენაზე
ელერდნენ. ეს ყველა მთარგმნელის უპირველესი
ამოცანაა.

ვახტანგ ჭელიძე იდეალურ შეხედულებად მი-
იჩნევს გერონტი ქიქოძის აზრს თარგმნის შე-
სახება: „ეს დებულება მას საგანგებოდ, მგონი,
არ დაუწერია და ამიტომ თავს ნებას ვაძლევ
ჩემი სიტყვებით გადმოგცეთ ის, რაც მისგან
მომისმენია: როცა უცხოელი მწერლის რომელი-
მე ფრაზას თარგმნით ქართულად, წარმოიდგინეთ,
როგორ დაწერდა ამ ფრაზას ავტორი, ის რომ
ქართველი ყოფილიყო.“²⁵ იმავე წერილში ვ. ჭე-
ლიძეს მოაქვს ნაწყვეტი გ. ქიქოძის წერილიდან
ივანე მაჩაბელზე: „ესაა ნამდვილი შემოქმედე-
ბითი თარგმანი, არსად მკითხველი არ გრძნობს,
რომ თარგმანს კითხულობს და არა ორიგინალს;
ის ფიქრობს, შექსპირი თავის ტრაგედიებს სწო-
რედ ასე დაწერდა, თუ ის ქართველი ყოფილი-
ყო.“ ... და თვითვე უკეთებს კომენტარს ამ სი-

ტყვეს: „არა მგონია, ამ საღად ჩამოყალიბებულ
აზრზე უფრო კარგი სახელმძღვანელო პრინციპი
არსებობდეს მთარგმნელისათვის.“²⁶

ამგვარად, თუ მთარგმნელსა თვს პირველი
ეტაპი განვლილია — ის კარგად იცნობს უცხო
ენასა და კულტურას, უნდა შეძლოს ამო-
ცანა, ეს კი ორიგინალის „სიზუსტის“ ენა-
ზე გადმოტანაა. მოყვანილი ციტატიდან ჩანს, თუ
რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ვ. ჭელიძე (გ. ქი-
ქოძე) ამ მომენტს. სწორედ აქ არის საჭირო ინ-
ტუიცია, რომლითაც აუცილებლად უნდა იყოს
დაჯილდოებული კარგი მთარგმნელი, ინტუიციის
საშუალებით მთარგმნელი მოახერხებს იგივე შე-
მოქმედება მოახდინოს მკითხველზე როგორცაც
ორიგინალი ახდენს, სწორედ ასე შეიძლება ვაეი-
გოთ: „როგორ დაწერდა ამ ფრაზას ავტორი, ის
რომ ქართველი ყოფილიყო“. ამრიგად საჭიროა
იგივე ემოციური ძალა, რაც ორიგინალს აქვს.
შექსპირის ცნობილი რუსი მკვლევარი მ. მორო-
ზოვი წერს: В художественном переводе
огромное значение приобретает адекват-
ность эмоционального воздействия²⁷.

იგივეს ფიქრობენ ევროპელი სპეციალისტები:
Один из основателей Пражского лингви-
стического кружка Вилем Матешус
(Vilem Mathesius) уже в 1913 г. так фор-
мулировал функциональный подход к пе-
реводу: «В сущности, поэтический перевод,
должен оказать на читателя такое же воз-
действие, какое оказывает подлинник, пусть
даже иными художественными средствами,
чем в оригинале»²⁸. «Адекватность эмоцио-
нального воздействия», «Функциональный
подход». ამას გერონტი ქიქოძემ „შემოქმედები-
თი თარგმანი“ უწოდა და ჩვენც ასე გავიმეორებთ.
ამ ეტაპზე თავს იჩენს „სიზუსტის“ ცნება, თუ რო-
გორ უნდა გადაწყდეს ეს პრობლემა თეორიუ-
ლად, ძნელი წარმოსადგენია. სიზუსტე თარგმა-
ნისაგან დიდ მსხვერპლს მოითხოვს, ზოგჯერ
ორიგინალისადმი სრულ მორჩილებასაც კი. ვ.
ჭელიძის აზრით თარგმანი, რა თქმა უნდა, ზუს-
ტი უნდა იყოს. სულ სხვა საქმეა ვის როგორ
ესმის „სიზუსტე“. ზოგი მოითხოვს პედანტურ
სიზუსტეს — ორიგინალის ენობრივი კონსტრუქ-
ციის გადმოტანასაც კი — ეს, რა თქმა უნდა,
მოჩვენებითი სიზუსტე იქნება; სინამდვილეში
ასეთი „სიზუსტე“ უფრო ლალატობს ორიგინალს
და მის განწყობილებას ვერ გადმოსცემს, მხატ-
ვრული ნაწარმოების თარგმნა შემოქმედებითი
პროცესია და ყველაფერი იმაზეა დამოკიდებუ-
ლი, ვინ როგორ მოახერხებს, ვის რა ძალა შეს-
წევს.²⁹ შემდეგ იქვე ამბობს: „მხატვრულ თარ-
გმანში სიზუსტე შედარებითი ცნებაა“... და მოა-
ყავს მოროზოვის სიტყვები: Точность перево-

да относительно...". ამრიგად მოჩვენებითი სიზუსტე ორიგინალის დაღატიდა, მთავარია განწყობა გადმოიცეს სწორად და ნათლად.

გერონტი ქიქოძის დებულებას ვ. ჭელიძე სხვა მხრივაც განიხილავს: „მთარგმნელს გაბედულება მართებს, მას უნდა ახსოვდეს, რომ ორიგინალის ავტორის სახელით მიდის მკითხველთან, ავტორის წარმოგვიდგენს და გაგვაცნობს, ავტორის აზრს გვაზიარებს და თუ სურს მისი ერთგული დარჩეს, მონური მორჩილებითა და გაუბედაობით კი არ უნდა მოიქცეს...“³⁰ აქ თვალსაჩინოვდება, ვ. ჭელიძის, როგორც თეორეტიკოსის პოზიციის კიდევ ერთი ნიშანი — მთარგმნელის პიროვნება. მაშასადამე, მთარგმნელი ინდივიდუალად, პიროვნებად უნდა დარჩეს იმისდა მიუხედავად, რაც არ უნდა სახელგანთქმულ ავტორს თარგმნიდეს. სხვაგვარად თარგმნას ის ემოციური ზემოქმედება არ ექნება, რაც ორიგინალს. ამ საკითხზე საინტერესო აზრს გამოთქვამს თამაზ ჩხენკელი: „ვინ უნდა მიაწიკოს პიროვნულობა თარგმანს? ცხადია მთარგმნელმა, რომელიც თავად წარმოადგენს შემოქმედს. მხოლოდ მთარგმნელის პოეტური ნიჭიერება განსაზღვრავს მკითხველის ცნობიერებაში სამთარგმნელი ავტორის სიდიადესა და ზიზღს, მისი პოეზიის განცდისმიერი სიღრმისა და სტატუსი ბრწყინვალეების მასშტაბს. ამიტომ სუბიექტურობა ისევე ახასიათებს მთარგმნელობით ზელოვნებას, როგორც შემოქმედების ყველა დარგს, აი ამ სუბიექტურობის, პიროვნული ხიზლის, ან მოკლედ რომ მოეჭრათ, შემოქმედებითი ტალანტის უქონლობის გამოა, რომ მსოფლიოს უდიდესი ლირიკოსები ქართულ თარგმანებში ხშირად ვერსიფიკაციული უსუსურობით და პოეტური უმწიფარობით არიან აღბეჭდილნი.“³¹

ყველაფერზე წინ ვ. ჭელიძე მაინც თარგმანის ეროვნულობას აყენებს. თარგმანი იმპროვიზაციაა, რომ ახალი ეროვნულობა მოიპოვოს, ახალი მოქალაქეობა მიიღოს. ვ. ჭელიძის აზრით, მთარგმნელს უნდა ახსოვდეს, რას თარგმნის და, რაც მთავარია, ვისთვის თარგმნის: „ისიც იცოდა ვისთვის თარგმნიდა (ამასაც დიდი მნიშვნელობა აქვს), ვის სამსახურში უნდა ჩამდგარიყო მისი თარგმანი, რა მისია შეესრულებინა, როგორ სჭირდებოდა ეს მის ხალხს, აღორძინების გზაზე შემდგომ ქართულ კულტურას, რომელსაც დიდი წარსული ჰქონდა, დიდ გზაზე მოდიოდა და შერეა ამ გზიდან ვალაგდეს“.³² უმთავრესი მუდამ ის არის, რომ შენს ერს ემატება ახალი ლიტერატურული ძეგლი, მისი კულტურა, ლიტერატურა მდიდრდება და ძლიერდება: „კარგად თარგმნილი ყოველი დიდი მწერალი შენი ეროვნული ლიტერატურის განუყრელი ნაწილი ხდება“.³³ აქ ბრანდესს იმეორებს ვ. ჭელიძე, საინტერესო იქ-

ნება, თუ აქვე ზურაბ კიკნაძის ერთი წერილის ნაწყვეტს გავიხსენებთ: „სადღა არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ სიტყვა უცხო, სმარებული სხვა ხალხის მწერლობის მიმართ მხოლოდ შედარებითა და მისი მოჩვენებითი აბსოლუტური მნიშვნელობა მაშინვე უქმდება, როგორც კი რომელიმე ნაწარმოებში მწერლობისა ჩვენს ენაზე დგას“.³⁴ ამის მაგალითი ძალზე ბევრია.³⁴

„მეფე ლირის“ თარგმანა რომ დაიწყო, ვახტანგ ჭელიძე მეტად დიდი და რთული პრობლემის წინაშე იდგა. აქ ის დიდოსტატთა წინ უნდა წარმდგარიყო და მხარი გაესწორებინა მათთვის, მას უნდა შეექმნა ახალი, გაუვრცობელი თარგმანი „მეფე ლირისა“, მაგრამ პირველი თარგმანის ბადალი მხატვრული ღირსებებით. პირველი თარგმანის შემოქმედებით საფუძველს დაყრდნობილი.

პირველი და ურთულესი პრობლემა ვახტანგ ჭელიძისათვის ის უნდა ყოფილიყო, რომ, როგორც მაჩაბლის სხვა თარგმანებში, „მეფე ლირშიც“ არის ადგილები, რომელთა ბადალის მოძებნა ძნელია, ხოლო უკეთესისა კი თითქმის შეუძლებელი, — თუმცა „მეფე ლირის“ ახალ თარგმანში გვხვდება ადგილები, სადაც ვ. ჭელიძე შესანიშნავად თარგმნის რეპლიკას, ან ფრაზას, რომელიც თავად ილიასა და მაჩაბელს აქვთ ბრწყინვალედ თარგმნილი. მაგალითისათვის მოვიტანთ ორთა. ბეთლემელად ქცეული ედგარის სიმღერას:

Edg. — Pillicock sat on Pillicock — hill;
Hallo, hallo, loo, loo.

(ი. და მ.) ედგ. — პილიკოკი ჯდომილა პილიკოკის მთაზედა ტიტლი, ტიტლი, ტიტლი, ტიტლი!

მართალია, თვით ვ. ჭელიძე ამ ვარიანტს ბრწყინვალედ მიიჩნევს³⁵, მაგრამ ეჭვგარეშეა, გრძნობს ახლებურად თარგმნის საჭიროებას, ამიტომაც ის თავის, არანაკლებ ბრწყინვალე ვარიანტს გვთავაზობს:

(ვ. ჭ.) ედგ. — პილიკოკი წამოსკუბდა პილიკოკის სერზედა.

პეი, პეი, პეი, ბიჭო, პილიკოკის სერზედა.

აქ ვ. ჭელიძე თითქმის იჭიბრება თავის დიდ წინამორბედს, მაგრამ „მეფე ლირის“ ახალი თარგმანი გაჭიბრებით არ იქმნებოდა. მისი საჭიროება პირველი თარგმანის უვარგისობით არ იყო გამოწვეული, ამიტომ პაექრობის ყოველგვარი ცდა ვ. ჭელიძისაგან გამორიცხული იყო, ის უფრო თანამშრომლობდა ილიასა და მაჩაბელთან.

ზემოთ ითქვა, რომ შექსპირის პიესების მაჩაბლისეულ თარგმანებში გვხვდება ადგილები,

რომელთა უკეთესად თარგმნა თითქმის შეუძლებელია, ასეთი მაგალითები შექსპირის პასტერნაკისებულ თარგმანებშიც მრავლად არის: „Порвалась дней связывающая нить, как мне обрывки их соединить.“ თუმცა „ჰამლეტი“ რუსულად რამდენჯერმე ითარგმნა, ეს ადგილი ასე მაღალმხატვრულად არავის გადმოუტანია. თარგმნის ასეთი ნიმუში „მეფე ლირის“ ილიასა და მაჩაბლისეულ თარგმანშიც გვხვდება; სწორედ ამ ადგილებზე მეორედ თარგმნისას გამოჩნდა ვ. ქელიძის დიდი ტაქტი და თავიანთ-ცუმა დიდ წინაპართა მემარო; მან ან უცვლელად გადმოიტანა (მხოლოდ ერთხელ) ეს ნაწყვეტები, ან კი ოდნავ შეცვალა, დახვეწა.

(ი. და მ.) ლირი — მოზიდულია მშვილდი, კენტო, უფროხილდი ისარს, ეს თარგმანი ზედმიწევნით ზუსტია, ოდნავი გადახვევაა სიტყვა-სიტყვით ვარიანტიდან, ხოლო განწყობილების, ინტონაციის უფრო ზუსტი მიგნება შეუძლებელია, ეს კარგად იცოდა ვ. ქელიძემ, როცა უცვლელად გადმოიტანა თავის თარგმანში ეს ადგილი:

(ვ. ქ.) ლირი — მოზიდულია მშვილდი, კენტო, უფროხილდი ისარს.

ვ. ქელიძე მკვლევარია ივანე მაჩაბლის შემოქმედებისა, ის სრულად იზიარებს მაჩაბლის მთარგმნელობითი სკოლის პრინციპს (პირობითად მას შემოქმედებითი პრინციპი ვუწოდეთ), მაგრამ მთარგმნელობითი შემოქმედების გზაზე ვ. ქელიძე უფრო წინ მიდის, მან იცის მაჩაბლის თარგმანების ღირსება, მაგრამ იმ მცირე ხარვეზებსაც ხედავს, რაც იშვიათად, მაგრამ მაინც შეიმჩნევა მაჩაბლის თარგმანებში; სწორედ ზედმიწევნითი ცოდნა წინამორბედის შემოქმედებისა ეხმარება ვ. ქელიძეს საძნელის დაძლევაში და დიდი წარმატების მიღწევაში, ვნახოთ რამდენიმე მაგალითი:

...Thou whoreson zed!

(ი. და მ.) ... თუ შე ანბანის უხმარო ასოვ! აღწყვტი ზუსტია და თანაც შემოქმედებითი პრინციპითაა მოქმენილი, zed. resp. — Z არის ასო, რომელიც იშვიათად იხმარება ინგლისურ ენაში, ეს ბგერა [z]-ს არ ეხება, მას ძნელად თუ შეხვდებით ინგლისურ წერილობით წყაროებში. ეს ადგილი მეორე თარგმანში თითქმის უცვლელად გადმოდის:

(ვ. ქ.) ...თუ შე ნაბუშარო, შე ანბანის უხმარო ასო!

ვ. ქელიძემ უფრო ზუსტი გახადა თარგმანი; პირველ ვარიანტში გამოტოვებული „ნაბუშარი“ შემოიტანა; ილიამ და მაჩაბელმა კი ეს სიტყვა გარკვეული მოსაზრების, პრინციპის გამოტოვებს — ისინი საერთოდ ერიდებიან თარგმანში საჩოთირო სიტყვების გადმოტანას.

„მეფე ლირში“ ბევრი რეპლიკა მთლიანად ტროპულია, მათი თარგმნა დიდ ადლოს, სიფაქიზეს, შრომას და გემოვნებას მოითხოვს; ძალზე ძნელი სათარგმნელია კალამბურები, რისი ქეშ-მარიტი ოსტატიაა შექსპირი:

fool-... But for all this thou shalt have as many dolours for thy sins as thou canst tell in a year.

(ი. და მ.) ზუპარა — ... მამ აბა ნუღარ გაგიკვირდება, რომ შენმა ქალებმა ამდენი ვაი გაუვირთნ, რომ მთელი წელიწადი თვალო, ვერ დათვალო.

კალამბურია *dolour — dollar* — ქართულად „თვალო, ვერ დათვალოთ“ გადმოიტანა ბრწყინვალე მიგნებად მიგვაჩნია, ვ. ქელიძეც ამ აზრის უნდა ყოფილიყო, რადგან ნაშუადღევ „იაკო კალამბური, ოღონდ, როგორც სხვა შემთხვევაში, კვლავ შეამსუბუქა და დახვეწა თარგმანი:

(ვ. ქ.) მასხარა — ... ჯერ სადა ხარ, იმდენი ვაი მოგითვალონ შენმა ქალებმა რომ სათვალავი აგერიოს.

ილია და მაჩაბელი ოსტატურად თარგმნიან სხარტ, მოქნილ გამოთქმებს, ეს უკვე ითქვა, თარგმანის ქართული ელფერიტ შემოსვაში ბადალი არ მოეძებნებათ.

fool-... now thou art an O without a figure...

ამ ფრაზის თარგმნა ქართულად ძალზე ძნელი იყო, რადგან ჩვენს ანბანში ასო o — სხვაგვარად იწერება; ხოლო ციფრი 0-ით საკურო ეფექტს ვერ მიაღწევ, რადგან ასეთი გამოთქმა ქართულისათვის დამახასიათებელი არ არის. ილიამ და მაჩაბელმა იპოვეს შესანიშნავი აღექვატი — „გუდაფშუტა“, რომელიც ფორმიტაც და შინაარსითაც — 0-ს შეესატყვისება.

(ი. და მ.) ზუპარა — ... ეხლა კი არც გუდაფშუტა ხარ...

ვ. ქელიძემ ყველაფერი უცვლელად გადმოიტანა, მხოლოდ წინადადება ოდნავ შეაბრუნა: (ვ. ქ.) მასხარა — ... ახლა რა, გუდაფშუტა გახდი... ასეთი მაგალითები სხვაც ბევრია; ვ. ქელიძე იყენებს ილიასა და მაჩაბლის მიგნებებს, ოღონდ შეძლებისდაგვარად ათანამედროვეებს, ამსუბუქებს მათ;

ახალი თარგმანის ავტორი ძველის გამოცდილებას ითვალისწინებდა და ამდენად მის მცირე ნაკლს აღარ გაიმეორებდა, მას უკეთესი თუ არა, მისებრ მაღალმხატვრული თარგმანი მაინც უნდა შეექმნა, მაგრამ „ძველი“ თარგმანის ავტორები ილია ჭავჭავაძე და ივანე მაჩაბელი იყვნენ, ამიტომ შეუძლებელი ხდებოდა ყველგან მხარის გასწორება მათთვის. ზოგიერთ ადგილებში ილიასა და მაჩაბლის უპირატესობა მართლაც უდავოა:

Red. - So white, and such a traitor.

(ი. და მ.) რეგანა — წვერი გაქვს თეთრი და გული კი ამოჭვარტლული.

ვახტანგ ქელიძე თითქოს უფრო ახლოს მიდის ორიგინალთან, მაგრამ მისი თარგმანი ნაკლებ ემოციურია:

(ვ. ჭ.) რეგანა — ასე ჭალარა და ასეთი მუხთალი მონა.

სხვა შემთხვევაში, იქ სადაც ილია და მაჩაბელი ედგარს ქართლურ, ტეტურ, კილოზე ამეტყველებენ, რათა დედნისეული, სომერსეტში-რული დიალექტი შეძლებისდაგვარად გადმოიღონ. ვახტანგ ქელიძესთან დიალექტი არ იგრძნობა:

Edg. - Chill not let go, zur, without vurther casion.

(ი. და მ.) ედგ. — ნუ გამიწყრები კი შენი ჭირიმე, და მე ამას თავს ვერ დავანებებ.

(ვ. ჭ.) ედგ. — არ გაეუშვებ, ეგ არ მოხდება. ჩვენის აზრით, უმჯობესი იყო ვ. ქელიძესაც დიალექტი გამოეყენებინა, თარგმანი ამით მხოლოდ მოიგებდა, რადგან როგორც უილიამ ეროუსმიტი³⁶ მიიჩნევს, თუ ორიგინალში პერსონაჟის კარიკატურის დასახატად გამოყენებულია დიალექტი, საჭიროა თარგმანშიც კომიზმისათვის დიალექტი გამოვიყენოთ.

მაჩაბლის საუკეთესო თარგმანების ერთი ღირსებათაგანი ის არის, რომ ისინი ენობრივად არ მოძველებულან: მათი ახლად თარგმნის, ან თუნდაც ახალი რედაქციის მწვევე საჭიროება არ დამდგარა. შექსპირის პირველი თარგმანებიდან დღემდე თითქმის საუკუნე გავიდა, მაგრამ მხოლოდ ლინგვისტის დაკვირვებული თვალი თუ შეამჩნევს „ჰამლეტის“ ქართულ თარგმანსა და დღევანდელ სალიტერატურო ენას შორის ენობრივ განსხვავებას — განსხვავება ძალზე ნიუანსობრივია. ამას ორი მიზეზი აქვს: 1. მაჩაბელი გამგრძელებელია სამოციანელთა რეფორმისა ქართული სალიტერატურო ენის საკითხში. 2. თავისებურება ქართული ენისა — სადაც „ძველი“ და „ახალი“ განსხვავებით ევროპული ენებისაგან ძალზე პირობითი დაყოფაა. ასე მაგალითად: თუკი ინგლისელი ან სხვა ევროპელი მკითხველი ვერაფერს გაიგებდა მის ენაზე შუა საუკუნეებში შექმნილი ძეგლიდან, ქართველი მკითხველისათვის მეხუთე საუკუნეში შექმნილი რომანია ხელმისაწვდომი.

ივანე მაჩაბლის მთარგმნელობით ტრადიციაზე, მის თარგმანებზე დღეს ქართველ ლიტერატორთა, მთარგმნელთა თაობები იზრდებიან და, ვიმეორებთ, მათი ზედმეორედ თარგმნის საჭიროება არ არის, ეს ზედმეტი ფუფუნება იქნებოდა ჩვენს პირობებში, როდესაც მსოფლიო ლიტერატურის მრავალი შედევრი სათარგმნელია.

ამ მხრივ გამონაკლისი მხოლოდ „მეფე ლირი“ შეიძლება იყოს. ეს თარგმანი, როგორც აღვნიშნეთ, განსაკუთრებულ დამოკიდებულებას მოითხოვს; ეს არის თარგმანი, სადაც ყალიბდებოდა ყველა ის მთარგმნელობითი პრინციპი, რომლითაც დღეს ვხელმძღვანელობთ, ამიტომ გარკვეული გადახრებისაგან დაზოგუებული ვერ იქნებოდა. „მეფე ლირის“ პირველ თარგმანში ვხვდებით ადგილებს, რომლებიც მართლაც მოძველებულია, მძიმეა ენობრივი თვალსაზრისით. ამ მხრივ საყურადღებოა მასხარას სიტყვები, უფრო სწორად სიმღერები, რომლებიც პირველი აქტის ბოლო სცენებში და მეორე აქტშიც გვხვდება. ამ მოსაზრების დასაბუთებლად ერთი სიმღერა განვიხილოთ:

Have more than thou showest,
speak less than thou knowest,
Lend less than thou owest
Lern more than thou trowest.
Set less, than thou throwest;
leave thy drink and thy whore
And keep in-a-door.
And thou shalt have more
than two tens to a score.

ილია ჭავჭავაძემ და ივანე მაჩაბელმა შესანიშნავად თარგმნეს ეს სიმღერა, თითქმის შეუწარჩუნეს ორიგინალის სახე და ელფერი, ქართულ თარგმანში რითმებიც თითქმის ისევე განაწილებული, როგორც დედანში (aaaaa bbbb); მათ შესანიშნავად გადმოსცეს განწყობა, თითქოს არაფრისმთქმელი და ფუქსავატური, მაგრამ ირონიული და ორაზროვანი:

(ი. და მ.) ზუმარა — რაც რამა გაქვს, სჯობს რომ იმას ჰფარვიდე.

რაც რამ იცი, სჯობს, რომ იმას არ სთქმიდე.
გაცემასა ყველაფრისას არ ჰქმნიდე,
ცხენზედ იჯდე და ფეხით არა ვლიდე,
რაცა იცი, მასზედ მეტს ისწავლიდე,
არვის ენდო, ვიდრე არ გაიცვნიდე,
ლოთობას და ქალთ დევნას დაიშლიდე,
შინიდგანა კარში აღარ გახირდე.
მაშინვე იქმნე მდიდართ თანასწორია,
როგორც სწორედ ოცი ათჯერ ორია!

თარგმანში არც სტრიქონთა რაოდენობაა გავრცობილი და აზრიც ზუსტადაა გადმოტანილი, მხოლოდ სიმღერის ჰანგია მოძველებული. მთარგმნელებმა მასხარას სიმღერას შეუხამეს ის სასიმღერო ჰანგი, მელოდია, რომელიც იმხანად იყო გავრცელებული — მეტიად პოპულარული ქალაქური ჰანგი — ლექსთაწყობაც და სიტყვათაწყობაც იმდროინდელია. (საინტერესოა კიდევ ერთი ფაქტი, რომელიც ამ თარგმანში ნახმარი სიტყვების მოძველებაზე მიუთითებს — პი-

ესაში მასხარა ლირს უმთავრესად *nuncle*-ს უწოდებს, რაც ქართულად „ბიძის, ძის“, შესატყვისება, ილია და მაჩაბელი კი „ნათლით“ თარგმნიან; „ნათლია“ ძალზე გავრცელებული იყო ქართლში, ამგვარად მიმართავენ მეზობელს, თანასოფელს და სხვ. დღესაც შეიძლება შეხვდეთ ამგვარ მიმართვას ქართლის სოფლებში. ე. ჭელიძე *nuncle*-ს ბიძიად თარგმნის, რაც ჩვენი დროისთვის არის დამახასიათებელი. ასეთი მიმართვა ჩვენის აზრით დასავლეთ საქართველოდან შემოვიდა და ძალზე გავრცელდა — განსაკუთრებით ქალაქად. შექსპირის თხზულებები უპირველეს ყოვლისა სცენაზე დასადგმელად არის შექმნილი და თუ ზემოთმოყვანილი სიმღერის პირველი თარგმანი ბუნებრივად იქნებოდა მაჩაბლის დროს, დღევანდელი თეატრის სცენაზე აშკარა ანაქრონიზმად მოგვეჩვენებოდა. „მეფე ლირის“ მეორე თარგმანიც ხომ ახლებურად დადგმის საჭიროებამ წარმოშვა და, რა თქმა უნდა, ე. ჭელიძეს უფრადღებია უნდა მიეყვია ამგვარი ადგილების ახლებურად თარგმნისათვის, რაც მან ღირსეულად შეასრულა.

(ვ. ჭ.) მასხარა — ნუ გამოაჩენ მთელ შენ ქონებას.

ცოდნას ერთბაშად ნუ დაფქვავ ენით,
აღმათ ეს სიბრძნეც გაგეგონება:
ფეხით სიარულს გერჩივნოს ცხენი,
ზედმეტი სწავლა არ შეგყრის ზიანს,
ბევრი მოიგე, ჩამოდი მცირეს,
არ მიეძალო კახებში წრიალს
და ღვინის სმასაც ნუ გაახშირებ.
შინ გამოაქეცი თუ გსურს მხნეობა,
ბევრი ფული და კეთილდღეობა.

ამ ვარიანტში ლექსთაწყობაც შეცვლილია და რითმების განლაგებაც (*abab*). სამაგიეროდ, განწყობილების შენარჩუნებით, შექმნილია ახალი სიმღერა, რომელიც თანამედროვე მკითხველს თუ მაყურებელს არც წაკითხვისას ეუხერხულება და არც სცენაზე მოსმენისას ეხამუშება.

ერთხელ უკვე აღვნიშნეთ, რომ ილია და მაჩაბელი ერიდებიან მკაცრ სარკაზმს, უფრო სწორად უხამს, საჩოთირო ადგილებს. ასეთ შემთხვევებს მრავლად შევხვდებით თარგმანში. თუ ზოგიერთ ადგილებში მთარგმნელები ცდილობენ გააძლიერონ პიესის პასაჟი — მაგ: ლირის განრისხების, ქარიშხლის ეპიზოდი, ლირის წყევლა — სხვაგან ისინი სკამბრეზულ ადგილებს ანელებენ და (იშვიათად) მთლიანად ტოვებენ.

უკვე აღვნიშნეთ, რომ ამგვარი დამოკიდებულება თარგმანისადმი, საქართველოში უხსოვარი დროიდან მოდის. სწორედ ამ საკითხს ეხება ერთი საინტერესო მიგნება გ. გაჩეჩილაძის ნაშრომში.³⁷ ავტორი ეხება იოანე პეტრიწის მიერ თარგმნილ, ნემესიოს ემესელის თხზულებებში

გამოყენებულ მთარგმნელობით ხერხს — ჩვენ აღვნიშნეთ ეს მომენტი — და იგივე ხერხის გამოყენებას მაჩაბლის მიერ „მამლეტის“ თარგმანში — იქ სადაც პამლეტი ოფელის კალთაში თავის ჩადების ნებას უწყობდა და აშკარა მსგავსებას ხედავს გერმანული კმედარებით ახალ თარგმანებს შორის. თარგმნის ეს ტენდენცია გვხვდება „მეფე ლირის“ პირველ ქართულ თარგმანშიც.

fool – ever since thou madest thy daughters
thy mothers; for when thou gavest
them the rod and puttest dōw thine
own breeches.

ამ ფრაზის ზუსტი შესატყვისით თარგმნა ილიასა და მაჩაბელს უთუოდ შეეძლოთ, მიუთმეტეს ადგილი პროზაულია, მაგრამ მათ ლირს „შარვლის ჩახდა“ და „გაწეპვლა“ არ აკადრეს და ფრაზა შემდეგნაირად თარგმნეს:

(ი. და მ.) ხუმარა — მას აქედ, რაც შენი ქალები ბატონებად გაიხადე, სკიბტრა და გვირგვინი ჩააბარე და შენი მეუფება დასთმე.
აქვე მოვიყვანთ ე. ჭელიძის თარგმანს:

(ე. ჭ.) მასხარა — რაც შენი საკუთარი შეილები დელებად გაიხადე, აი წეკლა რომ მიეცი ხელში და თვითონ კი შარვალი ჩაიხადე.

სხვაგან ილია და მაჩაბელი მთლიანად ტოვებენ მასხარას სიტყვებს:

fool – she that's a maid now; and loughs at
my departure, shall not be a maid
long, unless things be cut shorter.

და ამგვარ ახსნა-განმარტებას იძლევიან: „ამია შემდეგ ხუმარა ორ სტრიქონიანს შაირს ამბობს. ეგ შაირი ისეთი უაზროა, რომ სრულიად არ უხდება არც ხუმარას და არც ტრიგედის გარემოებასა, გამოჩენილი კრიტიკოსი შექსპირისა სტივენსი ამბობს ამ შაირზედ, რომ სხვისგან ჩამატებულიაო, ჩვენც სტივენსს დავუჯერეთ და არა ვსთარგმნეთ.“³⁸ ამ რეპლიკის ინტერპოლაციურ წარმოშობაზე სტივენსის გარდა სხვა კომენტარებიც მიუთითებენ, მაგრამ რადგან ეს ადგილი „მეფე ლირის“ ყველა გამოცემაში უცვლელად გადადის, ქართულ თარგმანშიც უნდა ვოფილიყო. ილიას და მაჩაბელს ეს გამოტოვება შეეძლოდათ არამც და არამც არ ჩაეთვლებათ, რადგან ისინი გარკვეული ოვალსაზრისით მოქმედებენ: 1. ტოვებენ იმიტომ, რომ სტივენსმა თქვა და უფრო იმიტომაც, რომ უაზროა, 2. ტოვებენ იმიტომ, რომ უწმაწურია, ხოლო ქართული მთარგმნელობითი ტრადიცია ამ შემთხვევაში ორიგინალის ვულგარული მხარის გაწმენდას მოითხოვს.

„მეფე ლირის“ მეორე თარგმანის ავტორი სულ სხვა ამოცანას ისახავდა მიზნად და უპირველესი, როგორც ვთქვით, იყო დაზუსტება

თარგმანისა, ორიგინალთან რაც შეიძლება ახლოს მისვლა. რადგან ქართული მთარგმნელობითი ხელოვნება ერთ მთლიან მოვლენად უნდა აღვიქვათ. მაშინ თავისთავად ცხადია, რომ ამ შემთხვევაში ვ. ჭელიძე იგივე საქმეს აკეთებს, რასაც ეფრემ მცირე აკეთებდა თავის დროზე, როდესაც აზუსტებდა და ბერძნულ ორიგინალს ადარებდა მთარგმნელობის შეთანხმებულ თარგმანებს.

აი, ამ ადგილის ვ. ჭელიძისეული თარგმანიც: (ვ. ჭ.) მასხარა — ეგერ ის გოგო რომ დამცინის, რას მერჩის ნეტა? მალე დაკარგავს ჭალწულობას — ახლავე ვხედავ. უნდა ითქვას, რომ აქაც ქართული თარგმანი აშკარად შერბილებულია.

როდესაც „მეფე ლირის“ ახალ ქართულ თარგმანზე ვლაპარაკობთ. არ გვაფიქრდება საბაბი, რამაც ამ, ახალი თარგმანის შექმნა განაპირობა. აქ ჩვენ არ ვგულისხმობთ ახალი თარგმანის შექმნის საჭიროებას საბაბი კი ის იყო, რომ რუსთაველის თეატრმა ახალი თარგმანით ნოვანდომა „მეფე ლირის“ დადგმა. მიზეზი, რატომ უნდა, ისევე სტრიქონთა გაგრძელები უნდა ეყოფილიყო, მაგრამ ჩვენ მხოლოდ ამ მიზეზით ვერ ავხსნივთ ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბლის მიერ თარგმნილი პაესისა დაწესებას. რატომ უნდა, თეატრს უფლება აქვს დაიწუნოს გაგრძელები ვარდნა — მითუმეტეს თანამედროვე თეატრს — მაგრამ ისიც ააგულისხმოს, რომ დღეს ძნელი მოსაძებნია დასი, რომელიც თავგანწირულ ერთგულებას იჩენდეს ავტორის — თუნდაც ისეთი გენიოსისა, როგორიც შექსპირია — მთლიანი ტექსტისადმი. თეატრში უკვე კარგა ხანია კუმპიტრები მეფობს. ტექსტი რეჟისორის ჩანაფიქრის მახედვით იცვლება, ან, უფრო სწორად, იკვეცება. ამის საბუთად ისიც გამოდგება, რომ იგივე რუსთაველის თეატრს „რაჩარდ III-ის“ ახალი თარგმანიც დასჭირდა. თუმცა მაჩაბლის თარგმანი სრულებით არ არის გაგრძელებილი, მიზეზი კი მერე განოჩნდა; საჭმე ის ეყოფილა, რომ რეჟისორსა და მსახიობებს იველი, ტრავიკული, სისხლისმამელი, მაგრამ წინკ ხანდახან ამაღლებულად და პოეტურად მოსაუბრე რჩებოდათ კი არ სჭირდებოდათ, ეუხერხულებოდათ კიდევ, და ჩვენი თანამედროვე ცინიკობა, ცბიერი და ბოროტი პოლიტიკოსია, თანამედროვე დანაშაულის დამატვა სურდათ. ალბათ სამოციან წლებში „მეფე ლირის“ სახის ასეთი ნეტანორფონა არ ჰქონდათ განზრახული, (როდესაც ტრავიკის გმირი ფარასი გმირად იქცევა) მაგრამ, ჩვენი აზრით, მაშინაც თანამედროვე, მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის კილოზე ამბავებულად ლირი სურდათ.

თეატრი გახდა საბაბი ლიტერატურული ფაქ-

ტისა, ლიტერატურულ ფაქტს კი უქვევლად თავისი მოთხოვნები გააჩნია. ვარდა სტრიქონთა რაოდენობისა, და პიესის გათანამედროვეობისა, ის გადახვევები, ტექსტის დაცვლებებიც უნდა შეესწორებინა, რაც „მეფე ლირის“ უდავოდ ჰქონდა. მთარგმნელის მიზანმიმართული მოძრაობა იქნა შეესწავლა ტექსტის მასალა, თუ მის მიღწევებს გამოიყენებდა, მცირედი უზუსტობაც აღარ გაემეორებინა. „მეფე ლირის“ მეორე თარგმანის განხილვისას ცხადი ხდება, რომ ვ. ჭელიძემ ეს ამოცანა უნაკლოდ გადაწყვიტა.

ილია და მაჩაბელი ხშირად თანვე სცილდებიან ორიგინალს, რათა უფრო გასაგები გახადონ მკითხველისათვის ნაწარმოების აზრი, ეს მთარგმნელის უპირველესი მოვალეობაცაა: Работая над переводом, нужно всегда помнить о читателе. — მაგრამ ეს დაცვლება ზოგან თარგმანის დამძიმებას იწვევს და სხარტი ინგლისური ფრაზა ასევე სხარტად აღარ გადმოდის:

fool — why, after I have cut the egg (the middle and eat up the meat, the two crowns of the egg.

(ი. და მ.) — ხუმარა — იმაზედ, ჩემო ბიძიკო, რომ როცა შენგან მოძებულის კვერცხის ნაჭუჭები მიიღე შეგარჩება და გვირგვინად მოიხმარებ, — თორემ ამასწინად რომ შენ გვირგვინი შეუაზედ გაჰყავ და სუ შენს ქალებს გადაიყლაპე, შენ რა გარგუნეს.

თარგმანი ბევრადაა ორიგინალს დაცილებული, თუმცა მთავარი აზრი და ნაწილობრივ ინტონაციაც შენარჩუნებულია, უმთავრესი დაცილება მოცემული პირის, სუბიექტის შეცვლა: after I have cut the egg — მას შემდეგ კვერცხს რომ გავტეხ — ილიასა და მაჩაბლის თარგმანში ასეთ სახეს ღებულობს: „ამასწინად რომ შენ გვირგვინი შეაზედ გაჰყავ.“

ვ. ჭელიძე ლაკონურად და სხარტად თარგმნის:

(ვ. ჭ.) მასხარა — რაზე და იმ კვერცხს შეაზედ გავტეხ, გულკალას თვითონ გეახლები, ზოლო ნაჭუჭიდან ორი გვირგვინი გამოგივა.

არაუხსტად უნდა იყოს თარგმნილი მასხარის რეპლიკაც: აღშფოთებულ ლარი კითხულობს „ეინლა ვარ მე?“ მასხარა მასუბობს: Lear's shadow პირველ თარგმანში ეს რეპლიკა თარგმნილია როგორც „ლირის აზრდილი“; ინგლისური სიტყვა shadow ქართულად ჩრდილს ნიშნავს, აზრდილი უფრო გარდაცვლილი ადამიანის სულზე ითქმის — გაეხსენოთ „პამლეტი“, აქ ghost-ს მაჩაბელი თარგმნის „აზრდილად“, — ზოლო shadow — ჩრდილის ირონიული ეპი-

თეტი მასხარა ლირს დაცინის, ამ რეპლიკას ასოციაციით მივყავართ იმ ადგილთან, სადაც მასხარა ლირს „D-S“, „გულდაფშუტას ადარებს. ვ. ჰელიძესთან Lear's shadow-ს შესატყვისად აქვს „ლირის ჩრდილი“.

მცირედი უზუსტობის ან ორიგინალიდან გადახვევის მაგალითებს ყველა საუკეთესო თარგმანში შევხვდებით. ისინი კარგ თარგმანს ვერაფერს დააკლებენ და ვერც ერის ცხოვრებაში მხატვრული თარგმანის მნიშვნელობაზე იჭონიებენ ზეგავლენას. მათი ჩხრეკა უხვრბულიც კია და არც მკვლევარის სასარგებლოდ ლაპარაკობს. ყურადღება უნდა მიექცეს ისეთ უზუსტობას ან ტექსტიდან გადახვევას, რაც დამახასიათებელია მთელი თარგმანისათვის. რა არის „მეფე ლირის“ პირველ თარგმანში ისეთი, რისი შეცვლაც საჭირო იყო? ორ მათგანზე უკვე ვისაუბრეთ: 1. სასიმღერო პანგი ან მოძველებული კილო. 2. ორიგინალის სკაბრუზული ადგილების წერბილება მთარგმნელთა მიერ. გარდა ამ ორი თვისებისა გვხვდება სხვა, ნიშანიც: ილია და მაჩაბელი „მეფე ლირს“ თარგმნიდნენ ხალხის ფართო მასებისათვის, მთელი ერისათვის, სცენაზე წარმოსადგენად და წასაკითხად, ისინი ითვალისწინებდნენ, რომ ქართველ ხალხს სრულყოფილი წარმოდგენა არა ჰქონდა ინგლისელთა უოფ-ცხოვრებასა და ზნე-ჩვეულებებზე და ცდილობდნენ, ტრადიციის რომელიმე პასაჟი, თვით უმნიშვნელო რეპლიკაც კი გაუგებარი არ უოფილიყო. მეორე აქტის მეორე სცენაში გაქაფრებულ კენტი ლანძღავს ოსვალდს და ცდილობს საჩხუბრად წააქეზოს, ორთაბრძოლაში გამოიწვიოს:

„I would make thee care for me.“

აქ ნახსენებია განსაზღვრული გეოგრაფიული ადგილი Lipsbury. ეს სიტყვა მკითხველისათვის იმ დროში არრისმთქმელი სიტყვა იყო, არც შეცვლა შეიძლებოდა. — ქართული ტოპონიმის განოყენებაზე ლაპარაკიც ზედმეტია — ამიტომ მთლიანად გამოტოვებს: (ი. და მ.) კენტი — მე გაბლიდი თავში ქვას, სხვაგან რომ შემხვედროდი... ვ. გაჩეჩილაძე ამ ადგილს ასეთ კომენტარს უკეთებს: „დედანიში Lipsbury pinfold“ ლიპსბერის საჩხუბო, რადგან ადგილი ლიპსბერი არ არსებობს, ფიქრობენ, რომ ეს [შეიძლება დამახინჯებული სახელია ადგილისა ფინსბერი, რომლის საჩხუბო (ბაკი) ძლიერ ცნობილი იყო, მაგრამ შესაძლოა, ეს საბუძრო სახელია ლიპსბერი შეიძლება ითარგმნოს როგორც ტუჩების ქალაქი (lip—ტუჩა), მაშინ გამოვა, რომ კენტი უნდოდა ეთქვა: პირში, ყბაში რომ ჩამეარდნოდი.“⁴⁰

ვახტანგ მელიძე კვლავ აზუსტებს თარგმანს:

(ვ. ჰ.) კენტი — ერთი ლიპსბერის ბაქში მიმაჩივინა შენი თავი, მაშინაც ენახავდი როგორ არ ინალვლიდი.

აქ მას შესანიშნავი მხატვრული სახე შემოაქვს, ის pinfold-ის უკეთესი მართულ შესატყვისს იყენებს და გოქნილ სიტყვას ქმნის: „ბაქში მიაჩივინა“. იქვე გვხვდება მეორე ასეთი მაგალითიც:

Kent — Goose, if I had you upon Sarum plain, I'd drive ye cackling home to camelot.

პირველ თარგმანში Sarum plain და Camelot გამოტოვებულია:

(ი. და მ.) კენტი — ნეტა არ მინდა ტრიალს მინდორს სადმე შემყროდი, მე შენ ბატსავით ხალხათი წინ გამოგიგდებდი და სულ ყივილით მიგარბენდი შენს საბუდრამდინ.

მეორე თარგმანში გეოგრაფიული სახელები კვლავ შემოდის და თარგმანიც ზუსტდება:

(ვ. ჰ.) კენტი — ნეტა სარუმის მინდორზე მომცა შენი თავი, იმდენი გირტყა, რომ სულ ყივილით გარბენინო კამელოტამდე.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ „იმდენი გირტყა“ ორიგინალში არ არის და Home to Camelot-ს პირველი თარგმანის „საბუდრამდინ“, მართალია, არაზუსტად, მაგრამ მაინც გადმოსცემს.

ვერ ვიტყვი, რომ ილია და მაჩაბელი საერთოდ ტოვებენ ნაწარმოების ტოპონიმიკას და მკითხველს წარმოდგენა არა ჰქონდეს, სად მიმდინარეობს მოქმედება; ამის თქმა ცილისწამება იქნებოდა, მით უმეტეს, რომ ილიასა და მაჩაბელს, როგორც ჩანს საკმარისი მიზეზი ჰქონდათ ამ სამი ტოპონიმის გამოტოვებისა: „მაჩაბლის დედანში ამ სტრიქონებს გამომცემელთა განმარტება აქვს სწოლიოში: „სომერსეტშიარში სადაც ბატებს მრავლად აშენებენ“. როგორც ჩანს, ბატთან შედარება ოსვალდის სიცილით (ყივილით) არის ნაკარნახევი, სარემი — ძველი ქალაქია ინგლისში ახლანდელი საოლსბერის ჩრდილოეთით, კამელოტი მითოლოგიური მეფე ართურის რეზიდენციაა. საერთოდ ზემოთ მოყვანილი სტრიქონები შეიცავენ ნიშნავს, რომლის ახსნა კომენტატორებმა ვერ მოახერხეს.“⁴¹

ილიასა და მაჩაბელს შეეძლოთ გამომცემელთა შენიშვნაც ეთარგმნათ, მაგრამ შენიშვნა ამ ადგილს ნათელს ვერ მოჰფენდა, ალბათ ამიტომაც შემოგვთავაზეს ორიგინალის ახალი, თავისებური ინტერპრეტაცია.

„მეფე ლირის“ პირველი თარგმანისა და შემდგომ საერთოდ მაჩაბლის მთარგმნელობითი შემოქმედებისათვის დამახასიათებელია დიდი ზომიერების გრძნობა. მაჩაბელს ჰქონდა მწერლისა და მთარგმნელისათვის აუცილებელი ინ-

ტუიცი, რომელიც საშუალებას აძლევდა მართალი ყოფილიყო ყველა საქოჭმანო პრობლემის გადაჭრაში, ამან შეაძლებინა მას პრაქტიკულად განეხორციელებინა მრავალი საკითხი, რომლის დამუშავებაც და წესად დადგენას დღემდე ცდილობენ ლიტერატურის სპეციალისტები.

Умение уловить интонации подлинника и передать их в переводе составляет высшее мастерство художественного перевода⁴².

ეს დებულება მით უფრო სწორად და ექვშეუტანლად წარმოგვიდგება, თუ გავითვალისწინებთ, რომ გენიალური მხატვრული ნაწარმოების ავტორი, გარდა იმისა, რომ გენიალური მწერალია, პიროვნებაც არის, ინდივიდიც, რომელსაც თავისი შეხედულება და დამოკიდებულება აქვს არა მარტო გლობალურ, არამედ ცხოვრებისეულ წვრილმან პრობლემებთანაც; ის მათ სხვაგვარად, თავისებურად აღიქვამს, ყველასაგან განსხვავებულად ხედავს ადამიანის ყოველდღიურ ქმედებას და ასევე თავისებურად, საკუთარი ინტერპრეტაციით გადააქვს ქაღალდზე, მას აქვს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ირონია, იუმორი, ტრაგიზმი, ემოცია და თავის, საკუთარ პასუხს იძლევა როგორც უზოგადეს, ისე წვრილმან შეკითხვებზე. შეუძლებელია ამ დამოკიდებულებამ ცხოვრებისადმი მის ქმნილებებში არ იჩინოს თავი. უფრო მეტიც, აუცილებლად უნდა იჩინოს, და სწორედ აქ დგება მკითხველი და პირველ რიგში მთარგმნელი ძნელი პრობლემის წინაშე: თუკი მკითხველს სურს თავისი ტკივილი დაინახოს ავტორისაში და თავისი სიცილით იცინოს ავტორის ხუმრობაზე, მთარგმნელმა სწორად უნდა გაიგოს ავტორის გულისთქმა და დიდი სიფრთხილით გადმოიტანოს; სწორედ აქ სჭირდება მთარგმნელს დედნისეულ ინტონაციაში წვდომისა და გადმოტანის უნარი.

აქ ერთ გავრცელებულ მაგალითს მოვიტანთ, რაც ჩვენი აზრის დადასტურებად მოგვაჩნია; ეს არის პორაციოს პასუხი გუშაგების შეკითხვაზე „ამლეტში“, a piece of him პასუხობს პორაციო. ამ რეპლიკის პირდაპირი თარგმანი მასში ჩადებული აზრში ჩაუწყდომლად, თითქმის ლიტერატურულ კერიოზად მოგვაჩნია. ვნახოთ თუ როგორ თარგმნის მას ორი დიდი მთარგმნელი — ქართველი და რუსი: „შგონი ისა ვარ“; ეს მაჩაბლის თარგმანია, „да в некотором роде“ ეს კი პასტერნაკია.⁴³ ასე ახლოს ერთმანეთთან მდგომი შესაწინავე ვარიანტები ორმა სხვადასხვა მთარგმნელმა შექმნა, მათ შეეძლოთ ორიგინალის ინტონაციის ზუსტად გადმოტანა და სულაც არ იყო აუცილებელი, რომ ერთმანეთის შემოქმედება სცოდნოდათ. გარკვეული ყოფილიყვნენ ერთურთის მთარგმნელობით პრინციპებში.

მაჩაბელს თითქმის არსად ლალატობს ორიგი-

ნალის აზრში, განწყობაში, ინტონაციაში წვდომის უნარი, „თითქმის“ იმიტომ ვახსენეთ, რომ „მეფე ლირის“ პირველ თარგმანში იშვიათად, მაგრამ მაინც, გვხვდება ადგილები, სადაც ინტონაცია ზუსტად არ არის გადმოცემული. ვგულისხმობთ ლირის ურთიერთობას თავის ქალიშვილებთან, მათ შორის წარმოშობილ კონფლიქტის დროს. პირველ თარგმანში აქ ლირი ზედმეტ სიფიცხეს იჩენს, მისი გულისწყრომა უსაზღვროა და ინგლისურ ტექსტს ბევრად ამეტებს — ამის გამოა მრავალგან სტრიქონთა რაოდენობა გავრცობილი — ხოლო ქალიშვილები მიუხედავად იმისა, რომ უპირისპირდებიან მამას, მაინც თითქოსდა მოკრძალებულნი არიან, აღარ ჩანს ის აგდებული ტონი, რაც დედანში გვხვდება, ვნახოთ ერთი მაგალითი:

Reg. — good sir, no more; these are unsightly tricks. Return you to my sister.

(ი. და მ.) რეგანა — რას სჩადით მაგას? რად ჰკადრულობთ მაგ გვარს საქციელს, მე მხოლოდ გირჩევთ ჩემს დასთანა წაბრძანებასა.

(გ. ჯ.) რეგანა — კმარა, ბატონო, ვის რად უნდა ოინბაზობა, ჩემს დასთან წადი. პირველი თარგმანი დაცილებულია ორიგინალს; დედანის მკვაზე, შეურაცხყოფელი ტონის ნაცვლად აქ შეწუხებაც, შეცოდებაც, ერთგვარი პატიების თხოვნისა და მობოდიშების სურვილიც ისმის. ასეთი ტონი პირველ თარგმანში გვხვდება იმ ადგილებში, სადაც ლირი თავის უღირს ქალებს ელაპარაკება, გაგულისებული ლირის წყევლას ისინი პასუხობენ, მაგრამ უზრდელად კი არა, ერთგვარი პატივისცემითაც მოხუცი მამისადმი.

ჩვენის აზრით, აქაც იგივე მიზეზი უნდა ვეძებოთ, რაც დამახასიათებელია „მეფე ლირის“ მთელი პირველი თარგმანისათვის. აქ თავს იჩენს მთარგმნელთა დამოკიდებულება პიესის და განსაკუთრებით ლირის პიროვნების მიმართ. ორ მთარგმნელს ეუბნებოდა ცალკეულ საკითხებში განსხვავებულ შეხედულება ექნებოდა ნაწარმოებსა და მის გმირებზე. საინტერესოა ილიას პოზიცია ამ მხრივ, მას განსაკუთრებით უყვარს „მეფე ლირი“; მან ცოცხალი სურათები დადგა ამ პიესიდან⁴⁴ და თარგმნის შემდეგ თამაშსაც აპირებდა. ლირის პიროვნებაზე მას საკუთარი აზრი ექნებოდა და როგორც თარგმანიდან და მისი წერილებიდან ირკვევა, ძალზე მაღალი აზრიც, შეხედულება, რომელიც ვერ დაუშვებდა მტერსაც კი სადმე ლანძღვით ეხსენებინა ლირის სახელი. ეს აზრი, რა თქმა უნდა, სადავოა. მაგრამ ვფიქრობთ, ლირის წყევლა ილიას მიერაა გამძაფრებული და ზოგან გადაჭარბებულიც კი; ჩისდამი ქალიშვილების შეურაცხყოფ-

ფელი საქციელიც მის მიერვეა შემსუბუქებული. საერთოდ შეუძლებელი არ უნდა იყოს, ამ თარგმანში, დადგინდეს, თუ ვის მიერაა ზოგიერთი ადგილი გადმოღებული, ამისათვის საჭიროა ილიასი და მაჩაბლის შემოქმედების ზედმიწევნით შესწავლა და დეტალური ტექსტოლოგიური ანალიზი. ზოგიერთი ფრაზა პირდაპირ თვალში მოგვხდება. ქარიშხლის სცენაში კენტი კითხულობს: „ვინა ხარ ემანდ ამ საშინელს ვაი-ვაგლახში!“ სიტყვა „ვაი-ვაგლახი“ კი ამ მნიშვნელობით „ოთარაანთ ქვრივში“ გვხვდება: — „ბიჭო სამის მანეთისთვის ამ სიშორედ როგორ წამოხვედი მეოქი ამ ვაი-ვაგლახში!“⁴⁵ როგორც ვხედავთ მთარგმნელის ვინაობის დადგენა შესაძლებელი ხდება, ვიმეორებთ მხოლოდ ცალკეულ ადგილებში.

ამგვარად, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ორიოდვე შემთხვევაში ინტონაციის უზუსტობა მთარგმნელთა დამოკიდებულების ბრალია ნაწარმოებისადმი და არა მათ მიერ მის აზრში ჩაუწვდომლობისა.

„მეფე ლირის“ მეორე მთარგმნელი ვალდებული იყო დაეზუსტებინა თარგმანი და ამგვარ ადგილებს, ისევე როგორც მთელ პიესას, ვ. ჭელიძე შესანიშნავად თარგმნის. მის მიერ ქართულად ამეტყველებული რეგანა და გონერილი ისეთივე თავხედები არიან, ისევე ებოდშიოდ ეპყრობიან მამას, როგორც ორიგინალში: *these are unsightly tricks* — „ვის რად უნდა ოინბაზობა“ — აქ ფრაზობრივი გადახვევაა ორიგინალიდან, მაგრამ ბრწყინვალეა დაჭერილი ინტონაციური ნიუანსები. *Return you to my sister* — „ჩემს დასთან წადი“. როგორც ვხედავთ, აქ შენობითი კილოა ნახშირი, რაც დამახასიათებელი იყო ქართული ენისათვის, მეტყველებისათვის, გარკვეულ დრომდე, ვ. ჭელიძე კარგად იყენებს ამ კილოს, როგორც თავაზიან საუბრებში (კენტისა ლირთან), ისევე თავხედურ შეპასუხებაში (რეგანასი და გონერილასი ლირთან).

ზოგ შემთხვევაში მთარგმნელის — ერთ-ერთი მთარგმნელის — სუბიექტურმა დამოკიდებულებამ ლირის ბედისადმი ორიგინალური განწყობა მთლიანად შეცვალა. გონერილისაგან გაჯავრებული ლირი თავის მეორე ქალიშვილთან, რეგანასთან მიდის. ლირი აღშფოთებულია, ეს არის გულმოკლული მამა, მაგრამ უფრო განრისხებული ხელმწიფე, რომლის ნება-სურვილი არაფრად ჩაადგეს; ის მრისხანებს, აღშფოთებული უყვება რეგანას, თუ რა ჩაიდინა მისმა დამ. ის თითქოს ჩივის, მაგრამ უფრო გულისწყრომას გამოხატავს, მას ვერ გაუგებს, მისი სურვილის აღსრულება არ ინდობეს. ვნახოთ ამ წყრომის ერთი ადგილი ორიგინალში: *Lear - Beloved Regan,*

Thy sister's naught; O, Regan! She hath tied sharp — tooth'd unkindness, like a vulture here.

ლირს უკვირს და თავის გაჯავრებას რეგანას უმხელს; თურმე რეგანას და-ჯავრებულია ისეთი, როგორსაც ლირი ეძღვნება და როგორიც უნდა ყოფილიყო; აქ ლირი აამბობს თავის ქალიშვილის უმადურებას და ამას თავის მეორე ქალიშვილს აუწყებს წყრომით, თანაც არ ავიწყდება, რომ ამ მეორე, ქალიშვილს მოეფეროს, მიუღალერსოს — მოყვარული მამისაგან ეს ბუნებრივი საქციელია, ახლა ვნახოთ რას გვთავაზობს პირველი თარგმანი:

(ი. და მ.) ლირი — ჩემო რეგანავ!... დაი შენი ფინთი რამ არის!

რეგანავ! შვილო! შენმა დამა იცი რა მიყო? აქ, აქ (უჩვენებს გულზედ) ჩამკიდა მან კბილ-ბასრი უმადურება და არწივისა ბრქვალეზსავით შიგ განმიწონა...

ინტონაცია აშკარად დარღვეულია, აქ ლირი უნუგეშო მოხუცად გვევლინება, რომელიც თავისი ქალიშვილის კალთას შეფარებული ცრემლის ღვრით შესჩივის მას, ვ. ჭელიძის თარგმანში კი ლირი ისევე ის ლირია, ორიგინალისეული ლირი, ჩვენის აზრით აქ კომენტარი აღარც არის საჭირო, უბრალოდ უნდა შევადაროთ ის ორიგინალსა და პირველ თარგმანს:

(ვ. ჭ.) ლირი — შენი და, ჩემო საყვარელო შვილო რეგანა,

ბილწი უგვანი ქმნილებაა, ქორის სიავით ჩამასო გულში ბოროტების ბასრი კბილები. შედარების შემდეგ ყველაფერი ნათელი ხდება, მაგრამ ჩვენ გვინდა სხვა რამეზე გავამახვილოთ ყურადღება; დააკვირდით ილიასა და მაჩაბლის თარგმანში ზოგიერთ სიტყვას და ფრაზას: „დაი შენი ფინთი რამ არის!“ „შენმა დამა იცი რა მიყო?“ ასე გამწყრალი კაცი მეტყველებს ქართულში, ისე ლაპარაკობენ გლეხები და უბრალო ქალაქელები — აქ სალიტერატურო ენის გაზაღბურებას ვხედავთ, რის ტენდენციასაც მრავალი ქართველი მკვლევარი ადასტურებს ილიასა და მაჩაბლის და საერთოდ იმდროინდელი მწერლების შემოქმედებაში. ხალხურობის ტენდენცია თარგმანს ნაკლად არ ჩაეთვლება, მაგრამ აქ ერთგვარად დარღვეულია ზომიერება. ლირმა შეიძლება სიტყვა „ფინთი“ იხმაროს, მაგრამ არაოდეს ამგვარად და ამგვარ კონტექსტში — ამ ფრაზის კორიკანობის ელფერი დაჰკრავს — ისევე როგორც ინგლისის დედოფალი თუნდაც ბოროტი, ავსული, უწმინდური, არ იკადრებდა კაბასი დედაკაცივით წყევლას:

Reg. - Out, treacherous Villain!

დააკვირდით ამ სიტყვებს პირველ თარგმანში:

(ი. და მ.) რეგ. — აი მეხი კი დაგეცა მაგ მუხანათს თავზედ!

ეს არის გლოსტერისადმი მიმართული სიტყვები, სადაც ედმუნდის გამცემლობას და ქვეშევშობას ვხვდებით ფარდა; სიტყვებში „მეხი კი დაგეცა, მუხანათს თავზედ“, დაცლებულია ორიგინალის განწყობა. აქ რეგანა სისხლისმსმელი სვავი როდია, არამედ აშარი დედაკაცი, ნიშნის მოსაგებად აესიტყვაობს; ამ ადგილის ქელიძისეული თარგმანი უკეთესია:

(გ. ჭ.) რეგ. — ხმა ჩაიკმინდე, მოღალატე და გარეწარო.

ასეთივე აშარი დედაკაცს გვაგონებს პირველ თარგმანში გონეროლა, როცა განრისხებული თავს ესხმის ქმარს:

Gon. — O, vain fool —

პირველი თარგმანი ასეთია:

(ი. და მ.) გონ. — ვაი მაგ შენს ფულურო თავს, ნაცარ-ქექიაჲ!

ვ. ქელიძე ასე თარგმნის:

(გ. ჭ.) გონ. — შენ მართლაც ბრეყვო!

ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ ამ ადგილების ასე თარგმნა, ვაგება, ინტერპრეტაცია, მთარგმნელთან ან მთარგმნელის (ერთ-ერთის) სუბიექტური დამოკიდებულების შედეგია პიესისადმი და ზოგიერთი გმირის ბედისადმი და მართალია უზუსტობებს ვხვდებით, მაგრამ ეს უზუსტობანი უმნიშვნელოა და ძნელი მოსაძებნი.

ვფიქრობთ, მოყვანილი მაგალითებიდან ცხადი ხდება, რომ ქართული მთარგმნელობითი ხელოვნება ერთი მთლიანი მოვლენაა, რომელსაც ძირითადად ერთი და იგივე ნიშნები ახასიათებს როგორც შუა საუკუნეებში, ისევე მაჩაბლის ეპოქაში და ჩვენს დროშიც. ჩვენს ნაშრომში ამ ნიშნებიდან, მეთოდებიდან, რამდენიმე განვიხილეთ.

1. ისეთი ნაწარმოებების არჩევა სათარგმნელად, ქართველი ერისათვის საჭირო და გამოსადეგი რომ იქნება.

2. ნაწარმოების ისე თარგმნა, ინტერპრეტაცია, რაც მას მთარგმნელის თანამედროვე მკითხველისათვის გააგებასა და მისაღებს გახდის.

3. ნაწარმოების სკაბრეზული, საჩოთირო ადგილების შერბილება თარგმანში, სადაც კი ეს მოსახერხებელია.

ამ ზოგადი, საერთო ნიშნების გარდა, როცა რომელიმე ნაწარმოები მეორედ ითარგმნებოდა ან საცხირო იყო მისი რედაქტირება, მთარგმნელს კონკრეტული მიზანიც ესაზებოდა. ასეთი კონკრეტული ამოცანა ჰქონდა ალბათ ეფრემ მკერდს, როცა ადარებდა და აზუსტებდა ათონელთან თარგმანებს. ასეთივე კონკრეტული მიზანი ჰქონდა ვ. ქელიძესაც. მას უნდა შემეცნებინა გავრცობილი თარგმანი, დაეზუსტებინა სტრიქონთა რაოდენობა. „მეფე ლირის“

პირველი ქართული თარგმანი მართლაც ძალზე გავრცობილია. ორიგინალში 2855 სტრიქონია, თარგმანში 2818, განსხვავება 437 სტრიქონია. გავრცობის მიზეზად შეიძლება ჩვენი რამ დავასახელოთ, ერთი კია ოსტატობას ვერ დავუწუნებთ ილიასა და მაჩაბელს, მეორე კითხვა — რატომ? — მაინც დავიძახებ, ვგელანე მართებული პასუხი შექსპირის პიესების ვ. ქელიძისეული თარგმანების ორტომეულის ბოლოთქმაში შეგვიძლია ვიპოვოთ: „ეგებ იმითომ, პირველი ძიება რომ იყო შექსპირის ჭეშმარიტი თარგმანისა, ეგებ იმითომაც, საბაზო მიეცათ და თავიანთ ფიქრებსაც გაუღეს კარი, მიადევნეს, მიაცილეს შექსპირის ფიქრებს?“⁴⁷

ცნობილი ფაქტია და ჩვენც რამდენჯერმე აღვნიშნეთ, რომ ილიას გამორჩეულად უყვარდა „მეფე ლირი“, „მეფე ლირი“ მოსწონდა ივანე მაჩაბელსაც, ამას ისიც ამტკიცებს, რომ მან პირველად ამ პიესის თარგმნა დაიწყო. ჩვენის აზრით, ეს სიყვარული თუ მოწონება მხოლოდ პიესის მხატვრული ღირსებით არ იყო გამოწვეული. სიყვარულის მთავარი მიზეზი, ნაწარმოებში აღწერილი ამბავი, მასში ჩადებული აზრი უნდა იყოს. ილიასა და მაჩაბლის მთავარი მიზანი სამშობლოს თავისუფლება იყო და ყველაფერი ამ საქმეს უნდა მომსახურებოდა, მხოლოდ იმას ჰქონდა ფასი, რაც საქართველოს შეეწყოდა. განყენებულ, არაფრის მაქნის მშვენიერებას მათთვის ფასი დაკარგული ჰქონდა. ისინი ბრძოლას უცხადებდნენ ყველას, ვინც კი დაჩაგრულ ერს დაუპირისპირდებოდა. გაეხსენოთ ილია ჭავჭავაძის ბრძოლა ვულგარული სოციალისტების წინააღმდეგ.

რა იყო „მეფე ლირში“ ისეთი, რაც მას ილიას საყვარელ ნაწარმოებად და ქართველი ერისათვის საჭირო პიესად აქცევდა? ზოგადად მოვიხილოთ მისი შინაარსი: მამა აძლევს შვილებს ყველაფერს, რაც გააჩნია, მათზე ზრუნავს; შვილები ღალატობენ მამას, აძევებენ სახლიდან და მის დაღუპვას ცდილობენ. ახლა იმდროინდელი საქართველოს სურათიც წარმოვიდგინოთ და ყველაფერი ნათელი ხდება. სწორედ ეს იზიდავდა ილიასა და მაჩაბელს. სწორედ ამიტომ აირჩიეს ლირი და ამით არის გამოწვეული ის სუბიექტური დამოკიდებულება ლირისა და მისი ქალიშვილებისადმი; რაზეც უკვე ვილაპარაკეთ. აი გავრცობის მთავარი მიზეზი. სტრიქონთა რაოდენობა მეტწილად იმ ადგილებშია გავრცობილი, სადაც ლირი მრისხანებას, ეს კი ქარიშხლის სცენებია. მოვიტანოთ ერთი თვალშისაცემი მაგალითი:

„I never gave you kingdom, call'd you children

You owe me no subscription; then let fall

Your horrible pleasure; here I stand,
your slave,
a poor, infirm, weak and despised old man.

(ი. და მ.) სამეფო ჩემი მე ხომ თქვენივეს
არ მომიცია,

ხომ ჩემს შვილებად არ ოდეს არ

მიწოდებინათ!...

ჩემგან არა რა გემადლისთ რა!... რაღა ნება

მაქვს,

რომ მორჩილებას, შებრალებას თქვენგან

ველოდვი

მაშ ეგ საზარო რისხვა თქვენი დამეცით

თავსა!...

აჰა, აქ ვდგევარ თქვენს წინაშე

ქედ-მოდრეკილი,

ლონე მიხდილი, შესაბრალო, მოძულეებული,

მე, ბერიკაცი განდევნილი შვილთა

ჩემთაგანს!...

ამ მაგალითს კომენტარი აღარ სჭირდება. მხოლოდ ერთს დავურთავთ, ლირის მთელი მონოლოგი ორიგინალში თერთმეტი სტრიქონისაგან შედგება, ილიასა და მაჩაბლის თარგმანში თვრამეტი სტრიქონია, ვ. ჭელიძის თარგმანში კი ცამეტი.

„მეფე ლირის“ თარგმანების ანალიზის შემდეგ ცხადი ხდება, რომ ილია და მაჩაბელი, შემდგომ მაჩაბელი და მისი მიმდევარი ვახტანგ ჭელიძე შემოქმედებითად უდგებიან თარგმანს და ამიტომ მათ მიერ შემუშავებულ მეთოდს შემოქმედებითი მეთოდი უნდა ვუწოდოთ (ეს ტერმინი, როგორც ითქვა, ვ. ჭელიძის შემოტანისა). შემოქმედებითი არა იმიტომ, რომ თვით თარგმანიც შემოქმედების, ლიტერატურის ნაწილია, არც იმიტომ, რომ მთარგმნელებიც შემოქმედები იყვნენ და არიან, არამედ იმიტომ, რომ ეს მეთოდი ორიგინალისეულ სიღრმეებში წვდომას და ნაწარმოების ენობრივ და ლიტერატურულ ფორმებში სრულყოფილად განხორციელებას გულისხმობს. შემოქმედებითი თარგმანის ერთი საუკეთესო მაგალითი სწორედ „მეფე ლირის“ ქართულ თარგმანში გვხვდება. გავიხსენოთ პიესის ერთი ადგილი: ალბანის მთავარმა შეიტყო თავისი ცოლისა, ცოლისდისა და ქვისლისა ჩაქციელი. შეიტყო როგორ მოეპყრნენ მოხუც მეფეს, გლახტერს და აღმფრთხილებელი ლანძღვეს ცოლს:

Alb. - tigers, not daughters.

(ვეფხვებო, არა ქალიშვილებო)

ინგლისურ და საერთოდ ევროპულ აზროვნებაში, ვეფხვის სიმბოლო, ხასხასმსმელი, უბოროტესი არსების სინონიმია. მაგ. დანტესთან, „ღვთაებრივი კომედიის“ *ინფერნო*-ში პიეტს გზად შემოყრილი სამი ხასხასმელი მსგავსი ერთი ვეფხვი უნდა იყოს⁴ ამიტომ ბუნებრივია, რომ ამ ეპითეტით ამკობენ გონიერლას; დავაკვირდეთ ქართულ თარგმანს:

(ი. და მ.) ალბანი — ... თქვენ აფთრებო და არა შვილნო!

ერთი შეხედვით ტექსტობრივი უზუსტობაა, სად აფთარი და სად ვეფხვი. ამ უზუსტობას თითქოს ინტონაციური რღვევა უნდა მოჰყვეს, მაგრამ პირიქით, ინტონაცია ზედმიწევნით ზუსტადაა გადმოტანილი. ილია და მაჩაბელი არაფრისდიდებით არ შემოიტანდნენ ქართულ თარგმანში ვეფხვს, რადგან ეს სიმბოლო ქართულში სილამაზეს, ვაჟკაცობას, აეთილშობილურ სულს ესინონიშება — იმისდა მიუხედავად თუ რა ცხოველი იგულისხმება ამ სახელით — ვეფხვი თუ ავაზი; „ვეფხისტყაოსანში“ ვეფხვი ნესტანდარეჯანის სიმბოლოა. მთარგმნელებმა ვეფხვის ინგლისურ გააზრებას ქართული აფთრის სიმბოლო შეუნაცვლეს და მიიღეს ორიგინალის ეკვივალენტური სურათბატი; ე. ი. დედნისეული ხატის მოჩვენებითად უზუსტო თარგმნით აღწევენ თანაბარი სიძლიერის მხატვრული სახის შექმნას; სწორედ ეს არის შემოქმედებითი მეთოდიც.

ვ. ჭელიძე ამ შემთხვევაში ზემოხსენებული მეთოდის მიმდევარია:

(ვ. ჭ.) ალბანი — ... თქვენ აფთრები ხართ.

ჩვენი წერილის მიზანი იყო გვეჩვენებინა, და ვფიქრობთ მაგალითებითაც დასტურდება, რომ დღეს ქართულ მთარგმნელობით ხელოვნებას იგივე ნიშნები ახასიათებს, რაც მაჩაბლის დროს, შუა საუკუნეებში და უფრო ადრე პეტრე და, რომ ქართული მთარგმნელობითა ხელოვნება ერთი მთლიანი მოვლენაა, ძველიც და ახალიც ან ერთი უწყვეტი პროცესის შემადგენელი ნაწილებია; ეს უწყვეტი პროცესი კი ათასხუთასი წლია (და უფრო ხნიერიც) ქართული ლიტერატურაა.

შენიშვნები

¹ ნ. ბარათაშვილი — „ლექსები, პოემა, წერილები“, „ფედერაცია“, 1939 წ.

² ვ. ჭელიძე, წერილები, „შექსპირის ქართული თარგმანები“, თბ., 1978 წ. გვ. 120.

³ უილიამ შექსპირი, ტრაგედიები, ინგლ.

თარგმნ. ივანე მაჩაბლის მიერ, ტ. II, თბ., 1959 წ. შენიშვნები, გ. გაჩეჩილაძე, გვ. 729.

⁴ პ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, ტ. IV, თბ., 1978 წ. გვ. 279.

⁵ კ. აკველიძე — „მთარგმნელობითი მეთოდი ძველ ქართულ ლიტერატურაში და მისი ხასი-

ათი". (ლიტერატურული ძეგლები ტ. VII, 1951 წ. გვ. 172).

⁶ კ. კეკელიძე — ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. II, „ვისრამიანი“, თბ., 1952 წ. გვ. 50.

⁷ ვ. ინგოროყვა — თხზულებათა კრებული, ტ. IV, თბ., 1978 წ. გვ. 374.

⁸ კ. კეკელიძე — „მთარგმნელობითი მეთოდი ძველ ქართულ ლიტერატურაში და მისი ხასიათი“. (ლიტერატურული ძეგლები, ტ. VII, 1951 წ. გვ. 173).

⁹ კ. კეკელიძე — „ვისრამიანი“, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. II, თბ., 1952 წ. გვ. 50.

¹⁰ იხ. იქვე.

¹¹ იხ. იქვე.

¹² კ. კეკელიძე — „უცხო ავტორები ძველ ქართულ მწერლობაში“, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, ტფილისი 1927 წ.

¹³ კ. კეკელიძე, „მთარგმნელობითი მეთოდი ძველ ქართულ ლიტერატურაში და მისი ხასიათი“. (ლიტერატურული ძეგლები, ტ. VII, 1951 წ. გვ. 170-171).

¹⁴ იხ. იქვე.

¹⁵ იქვე — გვ. 174-175.

¹⁶ ს. გორგაძე — „ნემესიოსის ემესელი — ანტიგონისა და ჯიკისა“, ციტირებულია კ. კეკელიძის შრომაში.

¹⁷ ა. გაწერელია, „ქართული კლასიკური ლექსი“, თბ., 1953 წ.

¹⁸ „ჩიქოვანი, ეურნ. „ჩვენი თაობა“ 1937 წ. №3-6.

¹⁹ „ბარათაშვილი, „ლექსები, პოემა, წერილები“, „ფედერაცია“, 1939 წ.

²⁰ იხ. ილიას წერილი „ოლღასთან — 1873 წ. 20-XI, იხ. ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. I, 1961 წ. გვ. 325.

²¹ იხ. „ივერია“ 1899, №109-113.

²² იხ. აგივე წერილი (ილიასი ოლღასთან).

²³ ირ. კენჭოშვილი — „მეფე ლირის ქართული თარგმანი“. ქართული შექსპირიანა, ტ. 2, თბ., 1954 წ.

²⁴ ვ. ქელოძე — წერილები — „თარგმნი პრობლემები“, თბ., 1978, გვ. 85.

²⁵ იხ. იქვე გვ. 81.

²⁶ იხ. იქვე გვ. 85.

²⁷ M. M. Morozov — Пособие по переводу. М., 1956, стр. 12.

²⁸ Иржи Левый — Искусство перевода, М., 1974.

²⁹ ვ. ქელოძე — წერილები „თარგმნის პრობლემები“, თბ., 1978, გვ. 105.

³⁰ იხ. იქვე — გვ. 84.

³¹ თ. ჩხენკელი — „მთარგმნელობითი მეთოდი ქართულად“, უილიამ შექსპირის „სონეტები“. თარგმ. რ. თაბუკაშვილისა, თბ., 1979 წ. გვ. XXI.

³² ვ. ქელოძე — „თარგმნის პრობლემები“, გვ. 83.

³³ იქვე — გვ. 85.

³⁴ ზ. კიკნაძე, „შენიშვნები ჰერმან ჰესეს ბროწურაზე „მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა“, საუნჯე №2, 1978 წ.

³⁵ ვ. ქელოძე — „ივანე მაჩაბელი“, თბ., 1968 წ. გვ. 69.

³⁶ ეიმონგებ ირჯი ლევის წიგნიდან — Искусство перевода, М., 1974, стр. 45.

³⁷ გ. გაჩეჩილაძე — „მხატვრული თარგმანის თეორიის საკითხები“, თბ., 1958 წ. გვ. 15.

³⁸ უილიამ შექსპირი — ტრაგედია, ტ. II, თბ., 1954 წ. გვ. 547.

³⁹ M. M. Morozov — Пособие по переводу, М., 1956, стр. 27.

⁴⁰ უილიამ შექსპირი — ტრაგედია ტ. II, თბ., 1954 წ. შენიშვნები, გვ. 754.

⁴¹ იქვე, გვ. 795.

⁴² M. M. Morozov — Пособие по переводу, М., 1956, стр. 36.

⁴³ ან ფრაზის ქართული და რუსული თარგმანების საბაზოვზე მიუთითებს ვ. ქელოძე, „თარგმნის პრობლემები“.


⁴⁴ იხ. „ივერია“ 1899 №109-113; იხ. აგრეთვე ვ. ქელოძე — ივანე მაჩაბელი, თბ., 1968 წ. გვ. 67.

⁴⁵ ი. ჭავჭავაძე — თხზულებანი ორ ტომად, „ოთარაანთ ქვერთი“, თბ., 1977 წ. გვ. 527.

⁴⁶ სტრიქონთა რედაქციის დათმობილი იქვს ვ. ქელოძე — „ივანე მაჩაბელი“, თბ., 1968 წ. გვ. 286.

⁴⁷ თ. ჩხეიძე, ბოლოტკმა, უილიამ შექსპირი, ორ წიგნად — თარგმანი ვ. ქელოძისა, თბ., 1971 წ.

⁴⁸ კ. გამსახურდიამ ამ ცხოველს ბაბრს უწოდებს — იხ. მისი — რჩეული თხზულებანი, ტ. VIII, თბ., 1967 წ. გვ. 385.



საქართველოს
საზღვაო მუზეუმი

საქართველოს
საზღვაო მუზეუმი

საქართველოს
საზღვაო მუზეუმი

საქართველოს
საბავშვო ლიტერატურის
ცენტრი

